ალექსანდრე წერეთელი

ძველი საბერძნეთის ისტორია

ნაწილი II

სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა

1931

სახელგამის მე 2 სტამბა
ლ ე ნ ი ნ ი ს ქუჩა № 3.
შეკვ. 727. ტირ. 500.
მთავლიტი 2029.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ჩვენ ეპოქაში ანტიკური ქვეყნების ისტორია არ უნდა იყოს მოკლებული ინტერესს. ცნობილია, რომ ევროპის ცივილიზაციის ერთ-ერთი საფუძველი ანტიკური კულტურა იყო. ამასთან ერთად იმ რთული პრობლემების უფრო სწორი გაშუქებისათვის, რომლებიც ჩვენმა დიდმა საუკუნემ წამოაყენა, სრულებითაც არ უნდა იყოს ზედმეტი და უსაფუძვლო ანტიკურ საზოგადოებათა ცხოვრებიდან უაღრესად თვალსაჩინო მომენტების გათვალისწინება. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ანტიკური ეკონომიკის ხასიათის შესწავლა, ანტიკურ სოციალურ უტოპიებთან დაკავშირებით სოციალური საკითხის გათვალისწინება და საერთოდ ანტიკურ საზოგადოებათა თავისებური სამეურნეო, სოციალური და პოლიტიკურ-კულტურული ყოფა-ცხოვრების გაშუქება.

ვერ ვიტყვი, რომ წამოყენებულ მოთხოვნილებათ ეს ჩემი ნაშრომი საკ
ბით აკმაყოფილებდეს და მას თან არ სდევდეს ესათუის ნაკლი, მაგრამ იმ
მაქვს, იგი, როგორც პირველი ორიგინალური ნაწარმოები ქართულ ენაზე, უს
გებლო არ იქნება ანტიკურ ქვეყნების ისტორიით დაინტერესებულ პირთათ
ყოველ შემთხვევაში ყოველგვარ სამართლიან შენიშვნას დიდი მადლობით
ვიღებ.

როგორც ამ წიგნის პირველი ნაწილის წინასიტყვაობაშია აღნიშნული
ზრახვა მქონდა ამ ნაწილში დამემთავრებია ძველი საბერძნეთის ისტორია
რამ ჰელენისტური ეპოქის, განსაკუთრებით მისი ეკონომიკის გარშემო წ
შობილმა ახალმა მასალამ დამარწმუნა, რომ ამ დარგში ჩემი ხელნაწერი საგ
ძვლიან გადამუშავებას საჭიროებს. ამიტომ ჰელენისტური ეპოქა მაკედონიის
რიოდთან ერთად ცალკე გამოვყავი და მესამე ნაწილში მექნება განხილული.

შენიშვნები და დამატებანი ტექსტის ბოლოს მაქვს მოთავსებული, რ
გან ჩვეულებრივ მკითხველს ყოველივე ეს ზედმეტად დატვირთავდა, ხოლო
ტერესებულთ მათი მონახვა არ გაუჭირდებათ. დასასრულ, მოვალედ ვრაცხ
გულითადი მადლობა მოვახსენო საქართველოს სახელმწიფო პედ. ინსტიტუ
დ ი რ ე ქ ც ი ა ს, რომელმაც საშუალება მომცა ამ ნაშრომის დაბეჭდვის
წრფელ მადლობას ვუცხადებ აგრეთვე პედ. ინსტიტუტის გამოცემა
ტორს ვლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ეს, რომელმაც კორექტურის გასწორებ
დახმარება აღმომიჩინა, და გამომცემლობის საწყობის გამგეს მ ა ნ უ
ლ ი ე რ ს.

ალ. წერეთელი.

ტფილისს.
20/XII 1930

თავი პირველი

გარდამავალი ხანა.

1. XI—VI საუკუნეებში აღმოსავლეთის მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა.

ამ წიგნის პირველ ნაწილში ჩვენ უკვე გავეცანით მიკენის პერიოდის დასასრულს და ეგრეთწოდებულ „ბერძნულ საშუალო საუკუნეებს". მიკენის კულტურის განადგურების შემდეგ ზღვაოსნობისა და ვაჭრობის ასპარეზზე დიდ წარმატებას აღწევენ ფინიკიელები, რომლებიც თავისებური შუამავლების როლს თამაშობდენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ეს ფაქტი დაკავშირებული იყო იმ ღრმა ცვლილებებთან, რომლებიც აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა განიცადა მეორე ათასეული წლების დასასრულს. ამიტომ ვიდრე ბერძენი ტომების ისტორიას გავაგრძელებდეთ, საჭიროა ზოგადად მაინც გავითვალისწინოთ აღმოსავლეთის მდგომარეობა აღნიშნულ ხანაში და ხაზი გავუსვათ განსაკუთრებით მასთან ბერძნების ურთიერთობას.

XI საუკუნეში ოდესღაც სახელგანთქმული ეგვიპტის ძლიერი სახელმწიფო დიდ ეკონომიურსა და პოლიტიკურ დაცემას განიცდის, იგი თანდათან ჰკარგავს თავის საერთაშორისო მნიშვნელობას და მას, სხვათა შორის, ხელიდან ეცლება სირია. ამავე დროს ეგვიპტეში ადგილი აქვს ფრიად საყურადღებო პროცესს, რომელიც თეოკრატიული სახელმწიფოს წარმოშობაში გამოისახა. თებას უმაღლესმა ქურუმმა ხრიხორმა დაახ. 1090 წელს გვერდზე მიაგდო XX დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი და მიითვისა ადგილობრივად სამეფო გვირგვინი[1]. ეს ფაქტი არსებითად გამომდინარეობს იმ სოციალურ-პოლიტიკური პროცესიდან, რომელსაც ეგვიპტე წინა საუკუნეებში განიცდიდა. თავისთავად იგი იმდენად საყურადღებოა, რომ მასზე ცოტა უფრო ხანგრძლივად შეეჩერდებით.

ახალი სამეფოს დროს (1580—1090) სხვადასხვა ხელსაყრელი პირობების გამო ეგვიპტის ქურუმებმა უდიდესი ეკონომიური ძლიერება და ამასთან დაკავშირებით ღრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა მოიხვეჭეს.

ჯერ კიდევ აზიის დაპყრობამდე ქურუმებმა შესძლეს ჩამოყალიბებული თეოლოგიური სისტემების შემუშავება. ავიღოთ, მაგ., ღმერთი პტა, რომელიც უძველესი დროიდან ხელოსნებისა და ხუროთმოძღვართა ღვთაებად ითვლებოდა. მემფისის ტაძრის სახელოსნოები, სადაც, თითქოს, პტას ხელმძღვანელობით შზადდებოდა ძვირფასი ქანდაკები და კულტის საგნები, მთელ სამყაროდ იქცა და პტა ასეთი მსოფლიო სახელოსნოს უმაღლესი ხელოსანი გახდა. იგი აწოდებს ხუროთმოძღვრებსა და ხელოსნებს ყველა გეგმას და იგივე მიმართავს ადამიანთა

მოღვაწეობას ყველა სფეროში. იგი წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც უმაღლესი გონება, რომლისაგანაც გამომდინარეობს ყოველი საგანი. ადამიანები და ღმერთებიც მისი გონებისაგან წარმოიშვენ; ყოველივე, რასაც ისინი აკეთებენ, არის მხოლოდ მათში მოქმედი ღვთაების გონება.—ასეთივე იდეები იქმნებოდა და ვრცელდებოდა სხვა ღმერთების მიმართაც, მაგრამ, სანამ ეგვიპტის სახელმწიფოს ტერიტორია მარტო ნილოსის ველით განისაზღვრებოდა, ღმერთების გავლენაც მხოლოდ მათზე ვრცელდებოდა.

საქმე არსებითად შეიცვალა იმპერიის ხანაში. ფართოვდება ეგვიპტის საზღვრები და იზრდება სახელმწიფო ღვთაების გავლენის ასპარეზიც. ამ მხრით საქმე ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, თითქოს ღვთაება თან მისდევდა ეგვიპტის ჯარს მის ძლევამოსილ წინმსვლელობაში. ამ ნიადაგზე წარმოიშვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი თეოლოგიური თეორია. რომლის მიხედვითაც სხვა მხარეების დაპყრობა ღვთაების სახელით წარმოებს, რომ ამ გზით გაფართოვდეს მისი საკუთარი „ქვეყანა". რაც უფრო შორს მიიწევდა ეგვიპტის ბატონობა, უფრო მტკიცდებოდა იდეა მსოფლიო ღვთაების არსებობის შესახებ. მკრე, რომელი უნდა გამხდარიყო მსოფლიო ღვთაებად? მემფისის ქურუმების აზრით — პტა, ჰელიოპოლისის—რე, რადგან თვით ფარაონი ამ მზის ღმერთის შვილად და მემკვიდრედ ითვლებოდა, ხოლო თებას ქურუმების შეხედულებით — ამონი. უპირატესობა ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა, როგორც სახელმწიფო ღვთაებას.

სამხედრო ნადავლის საკმაოდ თვალსაჩინო ნაწილი ტაძრების განკარგულებაში გადადიოდა, როგორც ღვთაების „ძღვენი". მაშასადამე, ეს დოვლათი გროვდებოდა ქურუმების ხელში. ამგვარად, სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ქურუმების ქონება და ამასთან დაკავშირებით მტკიცდებოდა მათი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ამ ნიადაგზე მათ ისეთი დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს, რომ თვით ფარაონებს უხდებათ მათი სურვილებისათვის დიდი ანგარიშის გაწევა და ხშირად ამათუიმ ფარაონის ტახტზე ასვლაც კი ამონის ქურუმების ნება-თანხმობაზე იყო დამყარებული.

XIV საუკუნის დასაწყისში შედარებით უფრო განათლებულ „საშუალო წრეებზე" დამყარებით ქურუმების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ახალი მონოთეისტური სარწმუნოების—მზის კულტის—აღიარებით ამენოფის IV-მ (ეხნატენმა). ნაწილობრივ მას მხარს უჭერდენ ამ ბრძოლაში ქურუმთა უძველესი კორპორაციები მემფისში, რადგან ამონის ქურუმთა ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება მათთვის ცხადი საშიშროება იყო მათი კეთილდღეობისა და საერთო მნიშვნელობის მხრით. ამ ნიადაგზე გაჩაღდა ცნობილი კონფლიქტი მეფე-რეფორმატორსა და ამონის ქურუმთა კორპორაციას შორის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის ისტორიის შემდგომი განვითარებისათვის.

მეფემ აკრძალა სავსებით ამონის კულტი და წარგზავნა მთელ ეგვიპტეში ექსპედიციები, რომელთაც ამონის სახელიც კი უნდა ამოეშალათ წარწერებიდან. ახალი მოძღვრების მიხედვით, ღვთაება ატენი, გვეელინება მზეში, რომელიც მისი ნივთიერი გამოსახვაა. მისი სითბო და სინათლე, რომელთაც სხივების სახით გამოვხატავენ, აღწევს მთელ ბუნებაში ზღვების სიღრმემდე და კვერცხის ნაპუპში, ასულდგმულებს და ჰკვებავს მთელ ქმნილებას, რომელიც ზეიმობს მისი ბრწყინვა-

ლების დროს და მიცვალებულს ემსგავსება მისი ტატნობიდან დაშვებისას. ღვთაება არ არის დაკავშირებული მითოლოგიასთან და გეოგრაფიასთან, პირიქით იგი თანაბრად ახლოსაა ეგვიპტელებისა და უცხოელებისათვის; იგი თანასწორად ზრუნავს ყველა რასისა და ფერის ადამიანებზე, რადგან კანის ფერი მისი ნებითაა განსაზღვრული ხალხთა ერთი მეორისაგან განსხვავების მიზნით. თება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამონთან და მის ტრადიციებთან, ამიტომ საჭირო შეიქნა ახალი სატახტო ქალაქის შექმნა და ეხნატენმა იგი გადაიტანა ჰერმოპოლისის ნომში, ახლანდელი სოფლის ტელ-ელ-ამარნას მახლობლად, სადაც ააგო საუცხოო ტაძრები და სასახლეები.

ეხნატენის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დაწყებული რეფორმა თანდათან მარცხდება და სარწმუნოებრივი რეაქცია დიდ განვითარებას აღწევს. ყველა ის მარცხი, რომელიც ეგვიპტემ ამ მღელვარე პერიოდში განიცადა საგარეო პოლიტიკაში, ქურუმების პროპაგანდის მეოხებით, იმას მიაწერეს, რომ რეფორმაციამ შეურაცხყოფა მიაყენა ეგვიპტის სახელმწიფო ღმერთს ამონს. სრული რესტავრაცია ამონის კულტისა მოახდინა 19-ე დინასტიის დამაარსებელმა ხარემხაბმა.

„ვაი იმას, ვინც შენ შეურაცხყოფს, ნათქვამია ამონის ერთ ჰიმნში, შენი ქალაქი კვლავ არსებობს, მაგრამ ის, ვინც შეურაცხყოფა მოგაყენა, უკვე დაეცა“. ასე დამთავრდა დიდი რეფორმატორის მიერ დაწყებული საქმე და ერთი შეხედვით ისე გვეჩვენება, თითქოს ატენის კულტმა სრულებით უკვალოდ ჩაიარა. ნამდვილად კი უდაოდ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ რესტავრაციამ ვერ შესძლო მომხდარი ფაქტი არარსებულად გაეხადა და ძაფი კვლავ იქ შეერთებია, სადაც იგი გაწყდა. რეფორმაციის დამარცხებასთან ერთად შეუძლებელი შეიქნა შემდეგი წინსვლა. მის მაგიერ ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრდა გაქვავებული სიმძიმე ტრადიციისა, რომელიც ყოველგვარ თავისუფალ მოძრაობას აბრკოლებდა და საერთოდ მომავალზე ბატონობდა.

მრავალმხრივ საყურადღებო აწალოგიას ამ მოვლენისას წარმოადგენს ხატების საწინააღმდეგო ბრძოლა ბიზანტიის იმპერიაში[2].

ეხნატენის საქმის დამარცხების შემდეგ ამონის ქურუმთა ეკონომიური ძლიერება და პოლიტიკური გავლენა უფრო გაიზარდა. როგორც ფარაონები და წარჩინებული მოხელეები, ისე უბრალო ხალხი ცდილობდა „შეურაცხყოფილი და გაჯავრებული ღმერთის“ გულის მოგებას მრავალი შესაწირავის მირთმევით. კვლავ ივსება ამონის ტაძრების საგანძურები და ფართოვდება მათი მიწაწყალი.

ამ მოვლენას ცხადად ეხედავთ რამზეს IV მიერ გარდაცვალებული მამის რამზეს III-ის (1200—1168) სახელით შედგენილ საბუთში, ეგრეთწოდებულ ჰარისის პაპირუსში.

რამზეს III-ის მამამ სეტნახტმა ტახტს მიაღწია ქურუმების მეოხებით ისე, როგორც ბევრმა მისმა წინამოადგილემ. რამზეს III სრულებით არ ცდილობდა შეეზღუდა ქურუმების ძლიერება, რომელთა გავლენის ქვეშ თვით ტახტიც კი იმყოფებოდა. ქურუმები წარმოადგენდნენ სახელმწიფოსთვის სერიოზულ ეკონომიურსა და პოლიტიკურ საფრთხეს, რამზეს III კი ამაყობს, რომ დიდძალი ქონე-

ბა შესწირა ტაძრებს. მისი შვილი, რამზეს IV ტახტზე ასვლისთანავე ადგენს ფრიად საყურადღებო საბუთს, ხსენებულ ჰარისის პაპირუსს, რომლის დანიშნულება იყო, რათა მამა მისი ბრწყინვალე პირობებში ყოფილიყო იმ ქვეყნად და ამით თავისთვისაც დაემსახურებია მისი შუამავლობა ღმერთების წინაშე. ამ თვალსაზრისით შედგენილ იქნა საფლავში ჩასატანებლად სია რამზეს III-ს მიერ ჩადენილი კეთილი საქმეებისა. ჩამოთვლილია ყველა შეწირულება, რომელიც რამზეს III-ეს ეგვიპტის სამი ეროვნული ღვთაებისადმი მიუერთმევია: ამონისადმი—თებაში, რესადმი—ჰელიოპოლისში და პტასადმი—მემფისში, აგრეთვე სხვა შედარებით უმნიშვნელო ღმერთებისადმი. ვინაიდან სიაში აღნიშნული მამულები უმეტეს ნაწილად ძველადვე იყო შეწირული ტაძრებისადმი, ამიტომ რამზეს III-ს ისინი მხოლოდ დაუმტკიცებია მათთვის. ეს საბუთი საშუალებას გვაძლევს იმ ქონების გამორკვევისას, რომელსაც ფლობდენ ტაძრები. ისტორიკოსის ბ რ ე ს ტ ე დ ი ს გამოანგარიშებით[3] ეგვიპტის ტაძრების განკარგულებაში ყოფილა 107.000 მონა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ 50 კაცზე ერთი ადამიანი რომელიმე ტაძრის მონად ითვლებოდა. ამგვარად, ტაძრები ფლობდენ მთელი მოსახლეობის 2 პროცენტს. ტაძრების მამულები კი შეადგენდა $^3/_4$ მილიონ აკრს, რაც მთელი დასამუშავებელი მიწის 15%-ს უდრიდა. მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ტაძრების სიმდიდრე, მათ ჰყავდათ $^1/_2$ მილიონი მსხვილი და წვრილი საქონელი; მათი ფლოტი შედგებოდა 88 გემისაგან, ჰქონდათ საკუთარი 53 სახელოსნო, სადაც გადამუშავებას აწარმოებდენ ნედლი მასალისას. ამას გარდა სირიაში, კუშში (ნუბიაში) და ეგვიპტეში მათ მფლობელობაში იყო 169 ქალაქი.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ტაძრების მამულები თავისუფალი იყო გადასახადებისაგან, ნათლად დავინახავთ, თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენდენ ისინი სახელმწიფოს ეკონომიური წონასწორობისათვის.

ეგვიპტის ტაძართა შორის ყველაზე უფრო მდიდარი და ძლიერი ამონის ტაძრები იყო. მიწის $^3/_4$ მილიონი აკრიდან ამონი ფლობდა 583.000 აკრს, ხუთჯერ მეტს, ვიდრე რე ჰელიოპოლისში და 9-ჯერ მეტს, ვიდრე პტა მემფისში. მის განკარგულებაში იყო 85.000 მონა; მას ჰყავდა 5 დიდი ჯოგი საქონლისა, საერთოდ 421.000 მსხვილი და წვრილი საქონელი; 53 სახელოსნოდან მას ეკუთვნოდა 46; იგი ფლობდა ქალაქებს კუშში, სირიაში და თვით ეგვიპტეში. XIX დინასტიის უკანასკნელ ხანებში ამონის ტაძრებს საკუთრებად გადაეცა „ოქროს მაღაროებიანი მხარე“ ნუბიაში, რომლის შემოსავალი ოქროთი ყოველწლიურად უდრიდა 26000 გრანს, ვერცხლის შემოსავალი კი—17-ჯერ, სპილენძის—21-ჯერ, ღვინის—9-ჯერ და გემების 10-ჯერ აღემატებოდა ყველა სხვა ტაძრის შემოსავალს ერთად. ამგვარად, ამონის ქურუმების ეკონომიური ძლიერება იმდენად დიდი იყო, რომ მათვის ანგარიშის გაწევა აუცილებელი გახდა ფარაონებისათვის. ერთად-ერთი ძალა, რომელიც რამზეს III და მის მოადგილეებს შეეძლოთ ქურუმებისათვის დაეპირდაპირებიათ, იყვნენ მრავალრიცხოვანი უცხოელები, რომლებიც მონების მდგომარეობით ფარაონის განკარგულებაში იმყოფებოდენ; მათ დაღს ასვამდენ და მეომრებად ამზადებდენ. ეს ძალა და დაქირავებული ჯარი იყო ერთადერთი დასაყრდენი ფარაონებისათვის, მაგრამ დროთა მსვლელობაში ამ სამხედრო ძალამ თვით მოინდომა ხელისუფლების მი-

თვისება და მიაღწია კიდეც თავის საწადელს. მუდმივი ომიანობის მეოხებით ეკონომიურად დაქვეითებული ადგილობრივი მოსახლეობა უკვე გამოუსადეგარი გახდა სამხედრო სამსახურისათვის. ეგვიპტეს უკვე აღარ ძალუძს აწარმოოს თავისი დაპყრობითი პოლიტიკა და იძულებულია მოპოვებულის დაცვით დაკმაყოფილდეს. ასეთი მდგომარეობის სურათს იძლევა თვით რამზეს III-ს მიერ შექმნილი პირობები ჰარისის პაპირუსის მიხედვით: მე ნება მივეცი, ამბობს რამზეს III, (ეგვიპტელების) ფეხოსან ჯარს და ეტლებზე მებრძოლთ ჩემს დროს თავის სახლებში მჯდარიყვენ; შერდანასა და ,,ჰაჰაკს (ზღვის ხალხთა და ლიბიელების მეომრებს) შეეძლოთ უშიშრად გაწოლილიყვენ ზურგზე თავის გარნიზონებში; ამ დროს არ მოიპოვებოდა მტერი კუშში და ხორში (სირიაში); მშვილდი და იარაღი ეწყო მშვიდად მაღაზიებში; მეომრებს შეეძლოთ სიამოვნებით ესვათ და ეჭამათ, რამდენიც სურდათ, მათთან იყვნენ მათი ცოლები და შვილები.

მართალია, რამზეს III შესძლო სასტიკად გასწორებოდა ეგვიპტეზე შემოსეულ ლიბიელებსა და ზღვის ხალხებს, მაგრამ მისი მოადგილეების დროს ეგვიპტე იმდენად დასუსტდა, რომ მისი მდგომარეობა არსებითად შეირყა სირიასა და პალესტინაში, რასაც ნათლად მოგვითხრობს რამზეს XII მეფობაში ხრიხორის მიერ გაგზავნილი ელჩის ვენამონის თავგადასავალი. ამგვარად, ეგვიპტის სახელმწიფო დაეცა არა მტრების შემოსევის თუ ქვეშევრდომთა აჯანყების მეოხებით, არამედ შინაური სოციალურ-პოლიტიკური პროცესის წყალობით. სახელმწიფოს დასუსტებით სარგებლობენ ამონის ქურუმები და ცდილობენ ფაქტიურად ჩაიგდონ ხელში უმაღლესი ხელისუფლება. განსვენებული აკად. ტურაევის სიტყვით: „ამონის უმაღლესი ქურუმები მოგვითხრობენ თავის თავზე თებას ტაძრების კედლებიდან... მომავალმა მეფემ ხრიხორმა თვისი ტექსტებისა და გამოხატულებისათვის აირჩია ხონსუს ტაძარი კარნაკში—აქ რამზეს XII სრულებით აღარ ჩანს მის წინაშე წარწერებსა და ბარელიეფებში... აქ ქურუმი თვისი სახელით აგებს შენობებს და მხოლოდ გაკვრით იხსენიებს მეფეს; სცენებში გადმოცემულია საღვთო პროცესიები“[4]...

ჯერ კიდევ რამზეს XI დროს ხრიხორმა მიიღო ნუბიის გამგებლობა და ამის მიხედვით ატარებდა ტიტულს—„კუშის უფლისწულისას“. ერთერთ წარწერაში მას ეწოდება „ორმაგი ბეღლის მცველი“. იგივე იყო „მთავარი ქალაქის კომენდანტი და ვაზირი“, „ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჯარების უფროსი“ და სხვ.

ერთი სიტყვით, ხრიხორი ფაქტიური ბატონ-პატრონი იყო სახელმწიფოსი და უნებისყოფო და სუსტი რამზეს XII ძველი ფარაონების მხოლოდ მკრთალ აჩრდილს-ღა წარმოადგენდა. საპირო იყო მხოლოდ საქმის ნამდვილი სახის გამოაშკარავება და ესეც განახორციელა ხრიხორმა. მან გვერდზე მიაგდო დაუძლურებული დინასტია და თვით მიიღო სამეფო გვირგვინი.

მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ხრიხორის ხელისუფლება მთელ ეგვიპტეზე არ ვრცელდებოდა. მის გვერდით იდგა ტანისის ფარაონი სმენდესი, რომელიც ეგრ. წოდებული XXI ტანისის დინასტიის (1090—945) წარმომადგენელი იყო. ხრიხორიმ და სმენდესმა მოახერხეს განსაზღვრული პირობებით ერთმანეთთან შეთანხმება. თებას ახალი სარწმუნოებრივი კონცეპციის მიხედვით

ღმერთების მეფე ამონ-რე ითელებოდა ეგვიპტისა და მთელი ქვეყნიერების მბრძანებლად და, თითქოს, „მან გადასცა თვისი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი სმენდესს“. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უფრო ძლიერი და გავლენიანი სმენდესი იყო. ამასთან აღსანიშნაია ისიც, რომ ხრიხორის მოადგილეები უკვე აღარ ატარებდენ სამეფო ტიტულს და სატახტო სახელს და მხოლოდ უმაღლესი ქურუმის პატივით კმაყოფილდებოდენ. საერთოდ, ცხადია, თებას სასულიერო მთავრები საბოლოო ანგარიშით სავსებით დამოუკიდებელი არ იყვენ და ტანისის დინასტიის ფარაონების მიმართ ერთგვარი მორჩილების გამოჩენა უხდებოდათ. მაგრამ თვით თებაიდა, როგორც თავისებური სასულიერო სენიორია, მაინც თავის საკუთარ ცხოვრებას ატარებდა. სამთავროს საქმეებს ამონის სახელით განაგებდენ უმაღლესი ქურუმები, რომლებსაც სავსებით ემორჩილებოდა მთელი ეს მხარე და, შესაძლებელია, ნუბიაც. უმაღლესი ქურუმის ღირსება უკვე მემკვიდრეობით ხასიათს იღებს და ეს წესი, თითქმის, უცვლელად და მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში. ჩვეულებრივად უმაღლეს ქურუმს გვერდში ედგა და სახელმწიფო საქმეებში დიდ მონაწილეობას იღებდა მისი მეუღლე, რომელსაც „ღმერთის მეუღლეს“, „ღმერთის თაყვანისმცემელს“ და „ამონის ჰარამხანის პირველ მანდილოსანს“ უწოდებდენ. თებას თეოკრატიის ერთ უდიდეს საფუძველს, მის ძირითად აპარატს ა მ ო ნ ი ს მ ი ს ა ნ ი წარმოადგენდა. ჩვეულება რომელიმე საკითხის გამოსარკვევად მისნისადმი მიმართვისა ეგვიპტეში უძველესი დროიდან ყოფილა შემოღებული, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოუპოვებია ამ ეპოქაში ამონის მისანს. თუ როგორი წესით სრულდებოდა ამ მისნის „ნებისყოფის გამომჟღავნება“, ამის საკმაო ცნობებს იძლევა ძველი ტექსტები და ძეგლების სურათები. ყოველივე ეს კი კარგად შეესაბამება იმ აღწერილობას, რომელიც დაგვტოვა კ ა ლ ი ს თ ე ნ ე ს ო ლ ი ნ თ ე ლ მ ა, რომელიც თვითმხილველი იყო ალექსანდრე დიდის სივას ამონის ოაზისში მისვლისა“ და მისნის მიერ „ამონის შვილად აღიარებისა“. ღმერთი, ე. ი. ყუთი, რომელშიც მოთავსებული იყო სამკაულებში შეხვეული ღვთაების ფეტიში, ქურუმებს გადაჰქონდათ საღვთო ნავით მისი სენაკიდან ტაძრის შუაგულში—პორტიკში. ამ პროცესიის დროს თვითონ ღმერთი უჩვენებდა, თითქოს, მსვლელობის მიმართულებას და გარკვეული მოძრაობის მიხედვით ამჟღავნებდა თვის ნებისყოფას, რომელსაც გამოიცნობდა უმაღლესი ქურუმი, რისთვისაც მას ბერძნები προφήτης—მაუწყებელს უწოდებდენ. რასაკვირველია, ისეთი ქანდაკი, რომელსაც შეეძლო თავის გაქნევა, არ არსებობდა, მაგრამ ფეტიში, რომელიც ღვთაების სუფევის ადგილად ითვლებოდა, გულუბრყვილო მორწმუნეების თვალში დიდი საიდუმლოებით იყო მოცული და ნამდვილად კი წარმოადგენდა არა ღვთაების ფიგურას, არამედ ქვას ან მის მსგავს საგანს.

როგორც ტანისის ფარაონებმა, ისე თებას უმაღლესმა ქურუმებმა ვერ შეაჩერეს ეგვიპტის დანაწილება და შინაური და საგარეო დაქვეითება. თვით სახელმწიფოში იწყება ახალი ძალების, უცხო სამხედრო ჯგუფების ამაღლება, რომელიც ბუნებრივი შედეგი იყო ეგვიპტის წინა დროის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა. შექმნილი პირობების გამო ეგვიპტის ფარაონებმა ადრე იწყეს უცხო დაქირავებული ჯარების, განსაკუთრებით ლიბიელების, მიწევა სამხე-

დრო სამსახურში. მათ მეთაურებს მეფეები აძლევდენ დიდ მამულებს და მდიდრად ასაჩუქრებდენ. ამ ნიადაგზე ეგვიპტეში წარმოიშვა განსაკუთრებული სამხედრო წოდება—*ḥꜣty-ꜥ*, რომელმაც დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ამ ეპოქაში. მათ მეთაურებს „მაშაუშას“ ან მოკლედ „მას“ დიდ მთავრებს უწოდებდენ. ამ წოდებამ ხელი შეუწყო ეგვიპტის დანაწილებას და თითოეულ ქალაქში ცალკე დამოუკიდებელი მთავრების დამკვიდრებას. ამ გზით ნილოსის ველის ჩრდილოეთ ნაწილში წარმოიშვა ლიბიელების რამდენიმე თვალსაჩინო მოსახლეობა, რომელთა მთავრებმა შეითვისეს ეგვიპტის ცივილიზაცია და უკვე პრეტენზიას აცხადებდენ უმაღლეს ხელისუფლებაზე. მათ შორის განსაკუთრებით ძლიერი იყვენ ჰერაკლეოპოლის მთავრები. ერთმა მათგანმა, შეშონკ I-მა, ტანისის დინასტიის დაცემის შემდეგ ხელთ იგდო ფარაონების ტახტი და 945 წელს დასაბამი მისცა XXII ბუბასტიდურ დინასტიას. ამგვარად, ორ საუკუნეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რამზეს III, რომელმაც სასტიკად დაამარცხა „ზღვის ხალხები“ და ლიბიელები, და ამ უკანასკნელთ უკვე მიაღწიეს თავის საწადელს: ხელში ჩაიგდეს ეგვიპტეზე ბატონობა.

საყურადღებოა, რომ ლიბიელი მთავრების ამაღლების პროცესი იმ მოვლენასთან ერთად მიმდინარეობდა პარალელურად, რომელმაც თებაიდა თეოკრატიად აქცია.

ახალ დინასტიას დაექვემდებარა თებაიდაც. ხოლო, როგორც ჩანს, შეშონკ I-მა მისი ორგანიზაცია უცვლელად დატოვა, და თება ძველებურად „ამონის საბატონო მხარედ“ დარჩა. იგი თავისუფალი იყო გადასახადებისა და ფარაონის საფინანსო მოხელეების წვევისაგან. მაგრამ ჩვეულება დამყარდა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი ქურუმების ადგილი მმართველი დინასტიის უფლისწულებს უნდა დაეკავებიათ. და მართლაც, მცირე გამონაკლისს გარდა, გარდაცვალებული უმაღლესი ქურუმის-აატივი არა მისი შვილის, არამედ მმართველი მეფის *ძის* ხელში გადადიოდა. ამიტომ სავსებით მოისპო საფუძველი უმაღლესი ქურუმის თანამდებობის სრული მემკვიდრეობითი ხასიათისა და ცალკე დინასტიის წარმოშობისათვის.

ლიბიელებს ეკუთვნის აგრეთვე XXIII და XXIV დინასტიები (სულ ლიბიელების ბატონობა—945—712). მათ დროს ეგვიპტე განიცდიდა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული დაცემის შემდეგ განვითარებას. უკანასკნელ ხანებში ლიბიელთა ფარაონების ხელისუფლება ეგვიპტეზე მხოლოდ ნომინალური ხასიათისა იყო და არსებითად იგი უკვე ერთიმეორისაგან განცალკევებულ რამდენიმე ტერიტორიას წარმოადგენდა.

ამას გარდა ეგვიპტეს საგარეო საფრთხეც მოელოდა. მის სამხრეთით ამ დროს საკმაო დიდ ძალას წარმოადგენდა ეგვიპტელების ერთმორწმუნე ეთიოპელთა სახელმწიფო ნაპატში, რომლისათვისაც ეგვიპტის დაპყრობა ხელსაყრელი იყო ეკონომიური და პოლიტიკური მოსაზრებებით. ეთიოპელებმა მოახერხეს ეგვიპტის დაპყრობა და საკუთარი XXV დინასტიის (712—671) დაარსება. ამგვარად, ის ხალხი, რომელიც ეგვიპტის დიდ კულტურულ და პოლიტიკურ გავლენას განიცდიდა, თვით გახდა ეგვიპტის ბატონ-პატრონი. სხვათაშორის ეთიოპელთა დინასტიის დროს ბოლო მოეღო თებას თეოკრატიის არსებობას. აქ

უმაღლესი ქურუმების ადგილას ეხვდებით უკვე ქურუმ-ქალებს, ამონის მეუღლეთ, რომლებიც ქურუმების უმთავრეს თავად და ტაძრების ქონების რეგენტებად ითვლებოდენ: მათთან დინასტიის წარმომადგენლებს უხდებათ გარკვეული კავშირის დაკავება და მათი პრივილეგიების დადასტურება. ამათუმ პირის ფარაონის ღირსებაში ცნობა უკავშირდება ამ „ღვთის მეუღლესთან“ ფიქტიური ნათესაური კავშირის დამყარებას: მასთან ფიქტიურ შეუღლებას ან მის მიერ ფარაონის ასულების შვილად აყვანას. ასეთი ურთიერთობა მყარდება ახალ მბრძანებლებსა და თებას თეოკრატიის გადაგვარებულ ნაშთს შორის.

ცხადი დაცემისა და დაუძლურების გზაზე იდგა კოსეელთა დინასტიის ეპოქაში (1759—1173) ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ც, წინა-აზიის ეს ერთი უდიდესი სახელმწიფოთაგანი. საერთოდ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ბაბილონის სახელმწიფომ თვისი ცნობილი საერთაშორისო როლი და დიდი პოლიტიკური ხვედრითი წონა ხამურაპის დინასტიის შემდეგ უკვე დაჰკარგა, თუმცა კულტურული გავლენა ჯერ კიდევ დიდხანს შერჩა.

სამაგიეროდ XIII ს-ში ამაღლებას იწყებს მისი მეზობელი სახელმწიფო— ა ს ი რ ი ა. ეს ფაქტი, სხვათაშორის, თავის გარეგან გამოხატულებას ჰპოულობს ისაში, რომ ასურის პატესები სამეფო ტიტულს ითვისებენ და მსოფლიო ბატონობაზედაც კი აცხადებენ პრეტენზიას. განსაკუთრებით ძლიერი იყო ასირია ტუგულ-ტინინურტა I-ლის დროს (1260—1235). მან დაიმორჩილა მრავალი მხარე, დაიკავა ბაბილონიც და აქ თავისი ერთგული რეგენტი დააყენა სახელმწიფოს სათავეში. მაგრამ ასირიის ეს ამაღლება ხანმოკლე გამოდგა.

1173 წელს ბაბილონს თავს დაესხენ ელამიტები და ბრძოლის დროს მოჰკლეს კოსეელთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. ასე დასრულდა კოსეელთა ბატონობა ძველ სენაარზე, რომელმაც 576 წელს გასტანა. ამას შემდეგ კოსეელების სახელს ეხვდებით მხოლოდ მათ ძველ სამშობლოში, ზეედა ხოასპსა და ევლესთან მიუვალ მთებში (ხუცისტანი). მათ ადგილას ბაბილონში გაბატონდა აკადური ჩამოშავლობის IV-ე დინასტია. ამ დინასტიის ხანაში, განსაკუთრებით ნებუკადნეზარ I-ის დროს (1148—1125), ბაბილონმა, თითქოს, კვლავ შეძლო მოღონიერება, თავი განითავისუფლა ელამიტების ბატონობისაგან-ჯა ასირიაც კი დაიმორჩილა.

ხოლო ამას თან მოსდევს მალე პირიქით ასირიის მეორე, აგრეთვე ხანმოკლე გაძლიერება. ტიგლატპილესერ I-მა (1115—1110) მოსპო ბაბილონელების ბატონობა ასირიაზე, აწარმოვა მრავალი ომი, დაიპყრო რამდენიმე მხარე და ასირია ძლიერ სახელმწიფოდ გადააქცია. მაგრამ იგი მალე შინაურმა არეულობამ მოიცვა და კვლავ დასუსტების გზაზე შედგა.

ამგვარად, ვერც ბაბილონმა და ვერც ასირიამ ამ ეპოქაში ვერ მოახერხეს მტკიცე და ხანგრძლივი ბატონობის მოპოვება წინა-აზიაში. უნდა მოვიგონოთ ის ფაქტიც, რომ „ზღვის ხალხთა“ დიდ მოძრაობასთან დაკავშირებით XII ს-ს დასაწყისში კატასტროფულად დაიღუპა ხ ე თ ე ლ ე ბ ი ს ძლიერი და კულტურული სახელმწიფო, რომლის უკანასკნელი ნაშთი—კარხემიშის სამეფო (ევფრატთან) 717 წელს საბოლოოდ განადგურებულ იქნა ასირიელების მიერ.

მაშასადამე, ძველი აღმოსავლეთის მხარეთა შორის ამ ეპოქაში უკვე აღარ არსებობდა ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო თვისი ბატონობა შორეულ სივრცეზე განემტკიცებია. ეს მოვლენა კი ერთგვარად ხელსაყრელი აღმოჩნდა წვრილი სამეფოებისა და სამთავროების პოლიტიკური აღორძინებისათვის. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ს ი რ ი ი ს ბედი. სირიას ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია, რომ იგი ბუნებრივად შემაერთებელი მხარე იყო აფრიკისა და აზიისა; მასზე მიემართებოდა სავაჭრო გზები ხმელთაშუა ზღვისაკენ, რომლებიც ერთიმეორეს უკავშირებდა დედამიწის ამ ორ ნაწილს. სავაჭრო ურთიერთობა ეგვიპტესა და წინა-აზიას შორის წარმოებდა უწინარეს ყოვლისა ფინიკიის ნავსადგურების საშუალებით; სავაჭრო გზები მიდიოდა ამ ნავთსადგურებიდან დამასკოზე თუ ჰამათზე გაელით ევფრატისაკენ და შემდეგ უფრო ქვევით. პალესტინა კი ამ გზებიდან ცოტა დაშორებული იყო და მხოლოდ ცალკეულ ეპოქებში თუ ჰქმნიდა მასთან მთლიანობას. თვით სირიაც არასოდეს არ ყოფილა ერთი მთლიანი დიდი სახელმწიფო, ხოლო რაც შეეხება ცნობას მესამე ათასეულ წლებში აქ ამორიტების დიდი სახელმწიფოს არსებობის შესახებ, უნდა იფქვას, რომ იგი უფრო ჰიპოთეტური სურათია, რომელსაც წყაროებში საფუძველი არ მოეპოება [6].

ღღეს დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ფინიკიელებმა განსაკუთრებული როლი ითამაშეს ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში ვაჭრობისა და მეზღვაურობის საქმეში, უმთავრესად მიკენის პერიოდის დასასრულში. ეგვიპტის ისტორიიდან ვიცით, რომ დაახ. 1482 წელს მეფე თუტმოს მესამემ სირიაში წარგზავნა საკუთარი ფლოტი ლიბანიდან ტყის მოსატანად. ამ საყურადღებო ცნობიდან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ამ დროს ფინიკიელები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული მეზღვაურობის ასპარეზზე [7].

მეორის მხრით XIV საუკუნის დასაწყისში წარმოშობილ ტელ-ელ-ამარნას საბუთების მიხედვით ფინიკიის ქალაქის მთავრები ეგვიპტის ვასალებად ითვლებოდენ და სრულებით უმნიშვნელო როლს თამაშობდენ. ამ საბუთებიდან არა ჩანს აგრეთვე, რომ ფინიკიელები ამ დროს რაიმე თვალსაჩინო როლს თამაშობდენ ხმელთაშუა ზღვაზე მეზღვაურობასა და ვაჭრობაში, როგორც ეს გადაჭარბებულად ჰქონდა წარმოდგენილი ზოგიერთ მკვლევარს წინათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ფინიკიელებმა დასავლეთით განსახლება იწყეს უფრო მეორე ათასეული წლების დასასრულში. ამ მოვლენას ხელს უწყობდა, ალბათ, არა მარტო ის გარემოება, რომ ამ დროისთვის აფრიკაშიც და წინა-აზიაშიც დიდი სახელმწიფოები დაქვეითებას განიცდიდენ, არამედ ისიც, რომ ამ ხანაში მოხდა კრეტის ცნობილი საზღვაო ძლიერების განადგურება და მიკენელთა დიდი სამფლობელოს დაცემა.

ფინიკიის ქალაქთა შორის 1198 წლიდან [8] მეთაურის ადგილი ტვიროსმა მოიპოვა და მას ერთ დროს ისეთი ქალაქიც კი ემორჩილებოდა, როგორიც იყო სიდონი. საერთოდ ეს ორი ქალაქი უფრო მეტად იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული, ვიდრე ჩრდილოეთით მდებარე—ბერუტი, ბიბლოსი და არვადი.

ფინიკიის ქალაქების ეკონომიური კეთილდღეობა უმეტესად საზღვაო ვაჭრობაზე იყო დამყარებული. პირველი პუნქტი ფინიკიელების განსახლებისა და-

სავლეთით იყო კუნძული კიპრი. ამ წიგნის პირველ ნაწილში უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ გადასახლდა ბერძნების ნაწილი პამფილიიდან კიპრში და დაიკავა მისი ჩრდილოეთი სანაპირო. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ კიპრში განსახლებისას ფინიკიელთ მეზობლობა და მეტოქეობა მოუხდათ ბერძნებთან[9]. რაც შეეხება ეგეოსის კუნძულებსა და სანაპიროებს, აქ ფინიკიელების განსახლების დამადასტურებელი საბუთები არ მოგვეპოვება, თუმცა ძველად ფიქრობდენ, რომ აქ ისინი ფართოდ იყვენ განსახლებული. უფრო საგულისხმებელია, რომ ამ ადგილებში ფინიკიელების განსახლებას ხელი შეუშალეს ბერძენთა ახალშენებმა. ამიტომ აქ ისინი უფრო ვაჭრების როლში გვეელინებიან, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში ასალებდენ თავის საქონელს და შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებოდენ. ჰომეროსის გადმოცემით ბერძნები ამ უცხო ვაჭრებს ცხადი უნდობლობით ხვდებოდენ. ყოველ შემთხვევაში ფინიკიელმა მეზღვაურებმა გააცვნეს ბერძნებს აღმოსავლური წარმოებისა და კულტურის პროდუქტები.

იმის დამამტკიცებლად, რომ ფინიკიელებმა უფრო გვიან იწყეს მოგზაურობა ეგეოსის ზღვაზე და ზღვაოსნობის დარგში ბერძნების მასწავლებლები არ ყოფილან, ვ ი ლ კ ე ნ ს აღნიშნული აქვს, სხვათაშორის, ის, რომ ჰომეროსის მდიდარ სანაოსნო ტერმინოლოგიაში არ მოიპოვება ფინიკიელებისაგან გადმოღებული არც ერთი სიტყვა[10], თუმცა ზოგიერთი მკვლევარი გადაჭრით გვიმტკიცებს, რომ, ყოველ შემთხვევაში, სიტყვა ოკეანე ბერძნული კი არ არის, არამედ ფინიკიურიდანაა წარმომდგარი[11].

რაკი ეგეოსის ზღვის მიდამოებში ფინიკიელების განსახლებას ბერძნებმა შეუშალეს ხელი, ამიტომ მათ მთავარი ყურადღება მიაქციეს ხმელთაშუა ზღვის ღასავლეთ ნაწილებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აქაც ხვდებოდათ ბერძნების კონკურენცია. დაახლ. XI – X ს. უნდა დაეწყოთ ფინიკიელებს განსახლება ჩრდილოეთი აფრიკის, სიცილიის, სარდინიის და ესპანიის სანაპიროებში. ადრე იწყეს მათ მოგზაურობა სამხრეთ ესპანიის ვერცხლით მდიდარ ტარტესში, ხოლო ჰიბრალტარის მახლობლად მდებარე გზის მეორე მხარეზე მათ, უკვე განსვენებულის ედ. მ ა ჲ ე რ ი ს († 1930 31/VIII) გამოანგარიშებით, დაახ. 1180 წელს დაარსეს გადესი. აფრიკაში მათ უძველეს (9/8 ს.) მოსახლეობას წარმოადგენდა მათი ახალშენი კართაგო, რომელმაც VI ს-ის მეორე ნახევარში საესებით გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა სამხრეთ ესპანიაში და, როგორც ჩანს, დაახ. 530 წელს სრულებით გაანადგურა ოდესღაც სახელოვანი ტარტესი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა იტალიის დასავლეთ სანაპიროებში ფინიკიელთა ვაჭრობის უძველესი კვალი ჯერჯერობით მხოლოდ 9/8 ს-ის მიმართ დაადასტურა[12]. ფინიკიელების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვაჭრობის მიზნისთვის დაარსებულ ფაქტორიებს წარმოადგენდა, ხოლოდ ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგ., უტიკა და კართაგო, განვითარდა ნამდვილ ქალაქებად. მართალია, მეტროპოლიაში ფინიკიელებს შენარჩუნებული ჰქონდათ მონარქიული წყობილება, მაგრამ ახალშენებში კი მათ შემოიღეს თავისებური არისტოკრატიული რესპუბლიკური მართველობა, რომელიც უფრო შეესაბამებოდა მათ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს.

ეჭვი არ არის, ფინიკიელები ნიჭიერი მეზღვაურები იყვნენ, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ხმელთაშუა ზღვის ხალხებს ღირსშესანიშნავი სამსახური გაუწიეს, მაგრამ მათი როლი, როგორც ზღვაოსნობის საქმეში, ისე კულტურის დარგში უფრო შუამავლობითი ხასიათისა იყო. როგორც აღენიშნეთ, სირია და კერძოდ ფინიკია თვისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო უძველესი დროიდან განიცდიდა ბაბილონური და ეგვიპტური კულტურის ძლიერ გავლენას. მეორე ათასეულ წლებში ამას მიემატა, ხეთელების მეოხებით, მცირეაზიური კულტურის გავლენაც. ამგვარად, ფინიკია ისეთი პუნქტი იყო, სადაც ერთიმეორეს ხვდებოდა და ეჯვარედინებოდა დასახელებული კულტურები და თავისებური სახით ილექქმოდა ადგილობრივ მოსახლეობაში. ფინიკიამ ვერ განითავისუფლა თავი ასეთი გავლენისაგან, ვერ შექმნა საკუთარი კულტურა და ამიტომაც ეს უკანასკნელი არასოდეს არ ყოფილა თავისთავადი. ამის დასამტკიცებლად შეიძლება დასახელებული იქნას ზოგიერთი საფუძვლიანი მოსაზრება [12]. არსებობს ცნობა, რომ X ს-ში ხირამ ტვიროსელის ხელოსნებმა ააგეს სოლომონის ტაძარი, რომელიც თვისი აგებულობით და მოკაზმულობით წარმოადგენს არა სპეციალურად ფინიკიურ ნაწარმოებს, არამედ ნათლად ააშკარავებს საერთოდ წინა-აზიის ხელოვნების მოტივებს. საზოგადოდ ის მცირე რამ, რაც ჩვენ ვიცით ფინიკიური შენობების ნაშთების შესახებ, ცხადად გვიჩვენებს ეგვიპტურ ან ასირიულ გავლენას. ნიმროდში, კიპრში, კრეტაში, ოლიმპიაში და იტალიაში აღმოჩენილი ფინიკიური საგნები, მართალია გვისახიერებს განსაკუთრებულ ტექნიკას, მაგრამ უმეტეს ნაწილად მიგვითითებს ან ეგვიპტურ, ან ასირიულ და ან ჩრდილოეთ-სირიულ-ხეთურ სტილზე. ზოგიერთ მათგანზე კი, ხშირად ყოველგვარი შეკავშირების გარეშე, ვხედავთ ერთი-მეორის გვერდით ამ სხვადასხვა კულტურის მოტივებს. ცნობილია, რომ ფინიკიელებმა განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭეს თვისი ძვირფასი ქსოვილებით და ძოწეულის საღებავებით, მაგრამ დღეს საეჭვოდ არის მიჩნეული, არის თუ არა ყოველივე ეს მათი დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფი. შუშის წარმოება კი ფინიკიელებმა ეგვიპტიდან გადმოიღეს. თვით ანბანის შემოღებაშიც ფინიკიელებს ეგვიპტის ზეგავლენა უნდა განეცადათ [13].

ეგვიპტელებისა, ხეთელებისა და ბაბილონელების შემდეგ სირიაში გაბატონებას ცდილობდა ასირია.

X საუკუნის დასასრულიდან ასირიის ისტორია კვლავ ხელშესახები ხდება. იწყება მისი ახალი ამაღლება და IX ს-ში იგი დიდ ძლიერებას განიცდის. ასირიის მეფე ასურნაზირპალი (883—859) აღწევს ლიბანის მხარეს და უმორჩილებს თავის გავლენას ჩრდილოეთ სირიას. ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა სირიის პატარა სამთავროები, რომელთაც ასეთ მოვლენაში სამართლიანად დაინახეს უშუალო საშიშროება თვისი დამოუკიდებელი არსებობისათვის. ამ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად მათ იწყეს შეკავშირება და შექმნეს კოალიცია, რომელსაც დამასკო მეთაურობდა. სალმანასარ III მოახერხა ამ კოალიციის დამარცხება და ასირიის გავლენის გავრცელება სირიაში. მაგრამ ასირიას ამ დროს ახალი ძლიერი მოწინააღმდეგე გაუჩნდა ურარტუს სამეფოს სახით. წინა-აზიაში იგი ამ დროს წარმოადგენდა დიდ კულტურულ სახელმწიფოს, რო-

ნელსაც ფართე საგარეო პოლიტიკა ახასიათებდა. ამ ნიადაგზე მას ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდა ასირიასთან. მართალია, ამ ბრძოლის პროცესში ეს სახელმწიფო დასუსტდა და დაეცა, მაგრამ ეს ფაქტი საბოლოო ანგარიშში არა ასირიელების წყალობით მოხდა, არამედ კიმერიელების მეოხებით, რომლებიც VII ს-ში შეესიენ წინა-აზიას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასირიის მეფის ტიგლატპილესერ III (745—727) დროს ურარტუს სამეფოს დიდი გეგმა ჰქონდა დასახული: ასირიის მოწინააღმდეგეთა გაერთიანება დასავლეთით და ჩრდილოეთით და მისი მოწყვეტა ხმელთაშუა ზღვიდან. მაგრამ ტიგლატპილესერმა დაამარცხა ურარტელები და მათი მოკავშირეები. მეორის მხრით მან გაილაშქრა სირიაზე, დამასკოს სამთავრო ასირიის პროვინციად აქცია და მისი მოკავშირეებიც დაიმორჩილა. ამასთან ერთად ბაბილონის შინაურმა მდგომარეობამ მას საბაბი მისცა ამ სახელმწიფოს საქმეებში ჩარევისა და აქაც მოახერხა პულუს სახელით გამეფება. ტიგლატპილესერის შემდეგ ასირიამ ხანმოკლე შინაური მღელვარება განიცადა, რომლის დროსაც უზურპაციის გზით სამეფო ტახტი ხელში ჩაიგდო სარგონ II (722—705). იგი საბოლოოდ იმორჩილებს ისრაელების სამეფოს, რომელსაც ასირიის პროვინციად აქცევს. აქიდან მან 27.000 ისრაელზე მეტი გადაასახლა შუამდინარესა და მედიაში. ბოლო მოუღო მან აგრეთვე ხეთელების სახელმწიფოს ნაშთს—კარხემიშს (717 წ). ბაბილონი ამ ხანაში დიდ დამცირებას განიცდის. ელამიტები და ქალდეები ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას და ქალდების მეფემ მეროდახ-ბალადანმა ერთ დროს ბაბილონის დაპყრობაც კი მოახერხა. მაგრამ სარგონმა იგი განდევნა ბაბილონიდან და ამ უკანასკნელის მცხოვრებლებისაგან მიღებულ იქნა, როგორც მხსნელი.

თვისი უდიდესი სახელმწიფოს მოწესრიგების საქმეში სარგონ II ემყარებოდა ქურუმთა პარტიას, რომელსაც ცხად მფარველობას უწევდა. ამ პარტიის ცენტრი ბაბილონი იყო და, მაშასადამე, გარეგნულად მაინც იგი, ბაბილონური პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოქმედებდა. თვით ასირიელებში კი ქურუმთა პარტიის მფარველი მეფე პოპულარობით არ სარგებლობდა და უკმაყოფილებას იწვევდა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ძლიერი იყო სამხედრო პარტიაში, რომლის შემადგენელი ნაწილების ეკონომიურ-პოლიტიკური ინტერესები არსებითად და რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა ქურუმებისას. საქმე ისაა, რომ ასირია უმეტესად მიწის მეურნეობის ქვეყანა იყო, ბაბილონი კი შედარებით უფრო სავაჭრო და სამრეწველო მხარე, ამიტომ მფარველობა ამ უკანასკნელისადმი ნიშნავდა არსებითად ვაჭრობის მფარველობას. ბაბილონის ტაძრები ფართო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა და აქ ქურუმები პოლიტიკის მიმართულების მესვეურიც იყვენ. ყოველივე ამის გამო სარგონისადმი ასირიის სამხედრო პარტიის წევრები დიდი ერთგულებით არ იყვენ გამსჭვალული და ამიტომ უკვე მისი შვილი სანხერიბი (705—681) იძულებული გახდა, შეეცვალა შამის პოლიტიკა და დასაყრდენ სოციალურ-პოლიტიკურ ძალად ისევ სამხედრო პარტია აერჩია. სხვათა შორის, ბაბილონში მიიღო სარგონმა კიპრის 7 ბერძნული ქალაქის მთავრებისაგან ძვირფასი ძღვენი 709 წელს. ამგვარად, სარგონი აღმოსავლეთის პირველი მეფე იყო, რომელთანაც ბერძნებს მოუხდათ ურთიერთობა[16].

ალბათ, შინაური პოლიტიკის შეცვლას თან მოჰყვა ბაბილონელების აჯანყება ასირიის წინააღმდეგ. სანხერიბმა აიღო ბაბილონი და საფუძვლიანად დაანგრია იგი (689). სამაგიეროდ მან ვერ შესძლო ვერც იერუსალიმისა და ვერც ტვიროსის დაკავება სირიაში. საბერძნეთის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობა, რომელიც ბაბილონის ძველ ისტორიკოსს ბეროსეს აქვს შემონახული. იგი გადმოგვცემს, რომ იონელები ამ დროს კილიკიის სანაპიროებს მისდგომიან, მაგრამ ასირიელებს დაუმარცხებიათ. ამგვარად, ამ ხანაში თავის საკოლონიზაციო მოძრაობაში ბერძნები შორს წასულან.

სანხერიბის მოადგილემ—ასარხადონმა (681—668 წ.) აღადგინა ბაბილონი და კვლავ ჭურუმთა პარტიაზე დამყარებით განაგებდა სახელმწიფოს. 670 წელს მან გადალახა სირიის საზღვრები, შეესია ეგვიპტეს, დაამარცხა ტახარკა ეთიოპელი და ეგვიპტე ასირიის პროვინციად გახადა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ეგვიპტე წინა-აზიის ერთერთი დიდი სახელმწიფოს სამფლობელოს საზღვრებში მოექცა. მაგრამ ასირიელების ბატონობა ეგვიპტეზე დიდხანს არ გაგრძელებულა. წინა აზიას მალე მოევლინა ახალი დიდი საფრთხე კიმერიელების შემოსევის სახით. ეს ინდოევროპელი ხალხი ჩრდილოეთით მომხდარმა ხალხთა დიდმა გადაჯგუფებამ აიძულა დაეტოვებია ყირიმის ველი და მცირე აზიას შესეოდა. კიმერიელების ნაწილებმა გადალახეს მცირე აზიის საზღვრები და წინა-აზიაშიც გადავიდენ. აქ მათ ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდათ ურარტუსთან, რომელიც ამას შემდეგ ცხადი დაცემის გზაზე შედგა. თვით ასირიის მეფემ ასარხადონმაც დიდი გაჭირვებით შესძლო მათი დამარცხება და დასავლეთით გადადევნა.

მცირე აზიაზე შემოსევის დროს კიმერიელებმა წალეკეს და ბოლო მოუღეს ფრიგიის სამეფოს და უდიდეს განსაცდელში ჩააგდეს ლიდია. ამ უკანასკნელის მეფე გიგესი იძულებული გახდა ეცნო ასირიის ბატონობა და ასირიელების დახმარებით გადაერჩინა ლიდია კიმერიელების მიერ განადგურებისაგან. ხოლო შემდეგში, როდესაც ასეთი უშუალო საფრთხე შესუსტდა, გიგესმა კვლავ მოიწადინა დამოუკიდებლობის აღდგენა და ამ ნიადაგზე შეუკავშირდა ეგვიპტეში საისის მთავარს პსამეტიხს, რომელიც მოწადინებული იყო აგრეთვე ეგვიპტე ასირიელების ბატონობისაგან განთავისუფლებია. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გიგესი პსამეტიხს დასახმარებლად უგზავნის ბერძნებს, იონელ და კარიელ მეომრებს. პსამეტიხი სარგებლობს მისთვის შექმნილი ხელსაყრელი პირობებით, ათავისუფლებს თავის მხარეს ასირიელებისაგან და კვლავ აერთიანებს წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებულ ეგვიპტეს. ასე დამყარდა ეგვიპტეში ეგრეთწოდებული XXVI საისის დინასტია.

პსამეტიხმა გაწეული სამსახურისათვის დიდად დაასაჩუქრა ბერძენი მეომრები და დაასახლა დელტას, საიდანაც შემდეგში ამაზისმა ისინი მემფისში (Ἑλληνομεμφῖται) გადაიყვანა.

პსამეტიხის დროს ეგვიპტის გაბატონებული წრეები ცდილობდენ თვისი ქვეყნის ეკონომიური აღორძინების შექმნას. ამის მიხედვით, სხვათაშორის, ნება მიეცა იმ ბერძენ ვაჭრებს, რომლებიც თან მოჰყვენ იონელ და კარიელ მეომრებს,

დაეარსებიათ აქ თავისი ფაქტორიები და დამკვიდრებულიყვენ განსაკუთრებით კანპის ტოტთან. ასეთი სავაჭრო მოსახლეობიდან განვითარდა თანდათანობით ბერძენთა სახელგანთქმული სავაჭრო ახალშენი ეგვიპტეში—ნავკრატისი.

ეგვიპტის მოსახლეობამ წინა პერიოდში მრავალი მწარე განცდა, დამცირება და შევიწროება განიცადა. ბევრს მომავლის იმედიც აღარ ჰქონდა და ისევ შორეულ წარსულში ეძებდა იდეალს. ასეთად წარმოიდგინეს პირამიდების აღმშენებელ ფარაონთა ეპოქა. მასში ხედავდენ ეგვიპტის მოსახლეობისათვის საუკეთესო და ბედნიერ ეპოქას და მისი კულტურული სახის აღორძინებაში კი—ნამდვილ ხსნას. ოფიციალურ მიწერ-მოწერაში აღადგინეს ძველი ენა, დამწერლობა და ორთოგრაფია; განაახლეს ძველი პირამიდების სამარხი კამერები, შემოიღეს ძველი ტიტულები და საერთოდ ცდილობდენ, ძველის სრულ რესტავრაციას. მაგრამ, ცხადია, ასეთი ცდა შეუძლებელიც იყო და ამავე დროს ვერ დააყენებდა ეგვიპტეს განახლების გზაზე და ვერც შეაჩერებდა სრულებით იმ რღვევის პროცესს, რომელსაც ეგვიპტის სოციალურ-პოლიტიკური ყოფა უკვე დიდი ხნიდან განიცდიდა. ამიტომაც არის, რომ ამ დროის ეგრეთწოდებული „რესტავრაციის ეპოქა“ სავსეა მრავალი შინაგანი წინააღმდეგობითა და შეუსაბამობით.

ლურსმულ წარწერებში უკვე IX ს-დან თანდათანუფრო ხშირად იხსენიებიან ასირიის საშიშ მტრებად აღმოსავლეთით მ ე დ ი ე ლ ებ ი, რომლებიც ერთ-ერთ ირანულ ტომს წარმოადგენდენ.

VII საუკუნეში წვრილ სამთავროებად დანაწილებული მედია ერთ მთლიან სახელმწიფოში გაერთიანდა, ხოლო ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ასირიის დაპყრობასაც კი ცდილობდა. მაგრამ ამ ხანაში წინა-აზიას შემოესია ახალი ხალხი, რომელიც ასურულ წარწერებში აშკუზას სახელით არის ცნობილი, ხოლო ბერძენთა ისტორიკოსი ჰეროდოტე კი მას სკვითებს უწოდებს. მედიის მეფემ კიაქსარმა, რომლის დროსაც მედიელებს უკვე ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ, განდევნა სკვითები თვისი სახელმწიფოს საზღვრებიდან და კვლავ იწყო ბრძოლა ასირიის დაპყრობისათვის. ამ ბრძოლაში მისი მოკავშირე იყო ა ხ ა ლ ი ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ს სახელმწიფო, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დაახ. 625 წ. ქალდების მთავარმა ნაბოპალასარმა. ასირიელებს კი ეხმარებოდენ სკვითები. ბრძოლა ასირიის სრული დამარცხებით დამთავრდა და გამარჯვებულებმა გაანადგურეს 614 წელს ასირიის ოთხივე სამეფო რეზიდენცია—დურშარუკინი, ნინევია კალახი და ასური. ამას შემდეგ მოკავშირეებმა გაინაწილეს ასირიის სამფლობელო.

ნაბოპოლასარს ხვდა შუამდინარე და სირია, რომელიც ამაზე წინ ასამეტიხმა კვლავ ეგვიპტეს შეუერთა და ახლა კი ბრძოლით ჩამოერთვა მის შვილს; კიაქსარმა მიიღო მხარე ტიგრის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, ხოლო შემდეგში დასავლეთითაც გადაიწია და ამგვარად მისი სამეფო მეზობელი გახდა ლიდიისა, რომელსაც კიმერიელებზე გამარჯვების შემდეგ ფრიგიაც ჰქონდა შემოერთებული. ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა მალე გაშწვავდა და საქმე ომამდე მივიდა. ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ მათ შორის საზღვრად დადებულ იქნა ჰალისი.

ასირიის დიდი იმპერიის ნამსხვრევებზე ასე წარმოიშვა სამი ახალი დიდი სახელმწიფო: მედიის, ახალ-ბაბილონის და ლიდიის. ახალ-ბაბილონის სახელ-

მწიფო ცნობილი ნებუკადნეზარის (ნაბუქოდონოსორის, 604—562) დროს ერთხელ კიდევ განიცდიდა გაძლიერების ხანას. მან მოახერხა სირიის მახლობელი ნაწილების დამორჩილება და სასტიკად დასაჯა იერუსალიმი, გაანადგურა მისი ტაძარი და ებრაელები „ბაბილონის ტყვეობაში“ წაიყვანა. მაგრამ ასეთი ხანმოკლე გაძლიერების შემდეგ ბაბილონს მალე დაეტყო ისევ დაუძლურების ნიშნები.

რაც შეეხება ლიდიას, მას შემდეგ, რაც მან შესძლო თავიდან აეცდინა კიმერიელების წამლეკავი ტალღა, მის მთავარ მიზანს შეადგენდა ზღვის სანაპიროებისა და ბერძნული ქალაქების ხელში ჩაგდება. ამ მოვლენის გამო მცირე აზიის ბერძენთა პატარა ქალაქები შეკავშირდენ საერთო მოქმედებისათვის, ხოლო დიდი ქალაქები გმირულად იცავდენ თავს, მაგრამ მაინც დაპყრობილ იქნენ ერთიმეორის შემდეგ ლიდიელების მიერ. მხოლოდ მილეტმა მოახერხა იარაღით მოკავშირის უფლებების მოპოვება.

ამგვარად კრეზის დროს (560—546) მცირე აზიის მთელი ბერძნული სანაპირო, მილეტის გამოკლებით, ლიდიამ შეიერთა და თვის მოხარკედ გაიხადა. მისი უფლება არ გავრცელებულა კუნძულებზე, რადგან ლიდიას ფლოტი არ გააჩნდა და ისე კი მათი დაკავება შეუძლებელი იყო. ლიდიის მიერ ბერძენთა ქალაქების დამორჩილება ერთგვარად ხელსაყრელი იყო მათი ვაჭრობის განვითარებისათვის მცირე აზიის უფრო შორეულ მხარეებში და აგრეთვე კულტურული ურთიერთობის გაფართოებისათვის.

მაგრამ ლიდიის სახელმწიფოს VI ს-ის ნახევარში ბოლო მოუღეს სპარსელებმა. მათ, ისევე როგორც სხვა ერანელებს, ამ ხანაში ჯერ კიდევ გვარული წყობილება ჰქონდათ. ისტორიკოსი ჭეროდოტე სპარსელ ხალხს 10 ტომად ჰყოფს. ზოგი მათგანი მიწის მეურნეობას მისდევდა, ზოგიც მესაქონლეობას. ტომის უმცირეს ერთეულს ოჯახი წარმოადგენდა, შემდეგ მას მისდევდა კლანი, შემდეგ კიდევ გვარი და დასასრულ მხარე. ამის მიხედვით არსებობდა უფლება მამასახლისისა, კლანის, გვარისა და მხარის უფროსებისა[16]. მედიელების ძლიერების დროს სპარსელები მათ ვასალებად ითვლებოდენ, თუმცა მაინც საკუთარი მეფეები ჰყავდათ.

პასარგადენის (კუშის) სპარსელი ტომის მთავარმა და ანშანის (ელამში) მბრძანებელმა კიროსმა 553 წელს გაილაშქრა მედიელების წინააღმდეგ, დაატყვევა მათი მეფე ასტიაგესი და არამცთუ გაითავისუფლა თავი მედიელების ბატონობისაგან, არამედ დაიმორჩილა თვით მედიის სამეფო (550 წ.). მანვე გააერთიანა სპარსელი ტომები და მიიღო „სპარსელების მეფის“ ტიტული.

სპარსელების ასეთმა ამაღლებამ და გაძლიერებამ დიდ საგონებელში ჩააგდო ლიდია, ბაბილონი და ეგვიპტე. მათ სამართლიანად დაინახეს ამ ფაქტში თავისი დამოუკიდებელი არსებობის ცხადი საფრთხე და იწყეს ზრუნვა სპარსელების წინააღმდეგ შეკავშირებული მოქმედების შესახებ. საყურადღებოა, რომ აზიის საქმეებში ამ დროს ბერძნებიც ერევიან. მათი სიმპათია გარკვევით ლიდიის მეფის კრეზის მხარეზე იყო. ამას ადასტურებს არა მარტო ის, რომ ბერძნების მისნები კრეზს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდენ, არამედ უმთავრესად იმაში, რომ სპარტამ მას გარკვეული დახმარება აღუთქვა მეომრების

გაგზავნის სახით. ამ მხრით ცხად გამონაკლისს წარმოადგენდა მილეტი, რომელმაც ომის დაწყებამდე მოახერხა კიროსთან ხელშეკრულების დადება იმავე პირობებით, როგორითაც წინათ იგი ლიდიასთან იყო დაკავშირებული.

კრეზმა არ დაუცადა თავის მოკავშირეებს და ცალკე შეება კიროსს, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გადაეცა მისთვის თვისი სატახტო ქალაქი სარდესი (546). ამგვარად, მედიის შემდეგ სპარსეთის სახელმწიფოს საზღვრებში ლიდიაც შევიდა. ამით გადაწყდა მცირე აზიის ბერძენთა ბედიც. მათ იმორჩილებს სპარსეთი და, მილეტის გამოკლებით, ხარკის გადახდასა და საპიროების დროს მეომრების განსაზღვრული რიცხვის გამოყვანას აკისრებს. საკუთრივ საბერძნეთში ამ ფაქტის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა მხოლოდ სპარტამ და ისიც არსებითად მარტო უშინაარსო პროტესტით დაკმაყოფილდა. მცირე აზიის ბერძნები კი მალე დარწმუნდენ მწარე გამოცდილებით, რომ სპარსელების ბატონობა გაცილებით უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ლიდიელებისა.

ლიდიის შემდეგ ჯერი ბაბილონზე მიდგა. აქ კიროსს დახვდა ერთგვარად ხელსაყრელი ნიადაგი. ბაბილონის უკანასკნელ მეფეს ნაბონიდსა და ქურუმთა წრეებს შორის დიდი კონფლიქტი არსებობდა. ძნელია საესებით გათვალისწინება იმისა, თუ რა ნიადაგზე წარმოიშვა იგი, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაბონიდში ქურუმთა წრეები თავისი ინტერესების გარკვეულ მოწინააღმდეგეს ხედავდენ და, ცხადია, ისარგებლებდენ თვისი დიდი გავლენით, რომ მოსახლეობის ფართო მასებში მისი საწინააღმდეგო მოქმედება ეწარმოებიათ. მართლაც ოპისთან გამარჯვების შემდეგ (539 წ.). კიროსს უბრძოლველად გაუღეს ბაბილონის ბჭისკარი და დიდი პატივისცემით მიიღეს; ნაბონიდი კი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო.

კიროსმა ქალაქს განსაკუთრებული მანიფესტით მიმართა, რომელშიც აღუთქვა მოპოებული პრივილეგიების დაცვა და „მშვიდობიანობის დაწესება“. ქურუმებსაც თავის მხრით მისთვის საყურადღებო საბუთი მიურთმევიათ; ეს არის ეგრეთწოდებული კიროსის ცილინდრი, რომელშიც იგი მარდუკის მიერ შეყვარებულად არის აღიარებული და მინიჭებული აქვს ბაბილონის, სუმერისა და აკადის და ქვეყნის ოთხივე მხარის მეფის ტიტულები. კიროსმა სამშობლოში დააბრუნა ნაბუქოდონოსორის მიერ ბაბილონში გადასახლებული ებრაელები და ამ ფაქტთან დაკავშირებით შემდეგში ადგილი მიეცა იუდეელთა თეოკრატიის დამყარებას. ბაბილონის სახელმწიფოსთან ერთად სპარსელების ხელში გადავიდა სირიაც ეგვიპტის საზღვრამდე. ამგვარად, ეგვიპტის დასასრულიც მოახლოდა. მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში კიროსი მოუნდა აღმოსავლეთი ირანის დაპყრობას ინდოეთის საზღვრებსა და ტურანის ველებამდე და აქ იგი დაიღუპა სკვითებთან ბრძოლაში.

სხვათაშორის, კიროსის დროს მიაწერენ სპარსელების მიერ დამწერლობის შემოღებას. სათანადო ნიშნები სპარსელებმა ბაბილონელებისაგან გადმოიღეს და ასოებად გარდაქმნეს. ამ გზით მათ მოიპოვეს სულ 36 ასო, რომელთა შემწეობით გაცილებით უფრო ადვილი იყო აზრების გამოსახვა, ვიდრე ძველი იდეოგრაფიული ნიშნებით [17].

კიროსის შვილმა კამბიზმა იერიში მიიტანა უკვე ეგვიპტეზე. 525 წელს მან

ტახტიდან გადააყენა პსამეტიხ III და ეგვიპტე თვის მონარქიას შეუერთა. ფორმალურად, თითქოს, მხოლოდ დინასტიის შეცვლა მოხდა და კამბიზმა ფარაონების ტიტულის მიღებით, ვითომც, დასაბამი მისცა ეგვიპტის XXVII დინასტიას, მაგრამ, რასაკვირველია, ყოველივე ეს საქმის მხოლოდ გარეგნული მხარე იყო.

კამბიზის დროს სპარსეთის სახელმწიფომ დიდი შინაური მღელვარება განიცადა უმთავრესად ტახტის გარშემო ბრძოლის ნიადაგზე. კამბიზს გაუდგა ჯერ მისი ძმა ბარდია (სმერდისი), რომელიც მოკლულ იქნა, შემდეგ კი მას აჯანყება მოუწყო მაგმა გაუმატამ, რომელმაც მოკლულ ბარდიად (ცრუ-სმერდისი) გამოაცხადა თვისი თავი. კამბიზი ამ დროს ეგვიპტეში იმყოფებოდა და იძულებული გახდა საჩქაროდ წამოსულიყო ამ მოძრაობის ჩასაქრობად, მაგრამ გზაში გარდაიცვალა (სირიაში)[18].

მისმა ნათესავამა დარიოსმა რამდენიმე წარჩინებულთან ერთად შეთქმულება მოაწყო უზურპატორის — გაუმატას წინააღმდეგ. შეთქმულებმა ხელში ჩაიგდეს ცრუ-სმერდისი, მოჰკლეს იგი და სამეფო ტახტი დარიოსს გადასცეს (521 წ.). მაგრამ გაუმატას უზურპაციას უშედეგოდ არ ჩაუვლია; მას თან მოჰყვა სპარსეთის სხვადასხვა ნაწილის განდგომა და აჯანყება და დარიოსს ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდა მათ ჩასაქრობად. ბეჰისტუნის კლდეზე (კერმანშაჰის მახლობლად) მოთავსებულ წარწერაში დარიოსი ამაყად მოგვითხრობს თავის გამარჯვებას ცრუ-სმერდისზე და სხვა მეამბოხეებზე.

დარიოსს მიუღია ტიტული „ქვეყანათა მეფისა“ ან „მეფეთა მეფისა“. მის საფლავზე მოთავსებულ წარწერაში, სხვათაშორის, ნათქვამია: „თუ შენ იფიქრებ იმაზე, რამდენად დიდი იყო რიცხვი ქვეყნებისა, რომლებსაც დარიოსი ფლობდა, და იკითხავ ამის შესახებ,—შეხედე იმათ გამოხატულებას, ვინც მიეზიდება ჩემ ტახტს, და შენთვის ნათელი გახდება ეს“[19].

ამ უზარმაზარ სახელმწიფოში სხვებთან შედარებით უპირატესი ადგილი ეკავათ სპარსელებს, მედიელებს და სხვა ირანელებს. მართალია, სახელმწიფო ლაშქრის შემადგენლობაში სხვა ხალხებიც იღებდენ მონაწილეობას, მაგრამ ძირითად ჯგუფებს სპარსელები და მედიელები წარმოადგენდენ. ჰეროდოტეს თქმით (I, 136), სპარსელ ახალგაზრდობას ასწავლიდენ ცხენოსნობას, მშვილდისრის მოხმარებასა და სიმართლის თქმას.

უზენაესი ბატონ-პატრონი ამ ვეებერთელა სახელმწიფოსი იყო მეფე, რომლის ნება-სურვილი აბსოლუტური კანონის ხასიათს ატარებდა. მისი ხილვა ჩვეულებრივ მოკედავთათვის თითქმის შეუძლებელი იყო.

მას გარს ეხვია მთელი რიგი კარისკაცებისა და უმაღლესი მოხელეებისა. სათანადოდ იყო მოწყობილი პროვინციების მმართველობაც. დარიოსმა თვით დაინახა მწარე გამოცდილებით ის, თუ რამდენად აკლდა სპარსეთის მონარქიას მჭიდრო ორგანიზაცია; ამიტომაც მან ამ დარგში გარკვეული რეფორმა გაატარა. მთელი სახელმწიფო დაჰყო რამდენსამე ნაწილად და თითოეულ მათგანს სათავეში დაუყენა სატრაპი. ბეჰისტუნის წარწერა 23 სატრაპიას გვისახელებს, ჰეროდოტე კი მხოლოდ ოცს. სატრაპების ხელში იყო მართვა-გამგეობა და ბაჟის აკრეფა და მათვე ემორჩილებოდენ ადგილობრივი სამხედრო ძალები. რომ ~~ხა~~

ტრაპების მოქმედებისათვის სრული კონტროლის გაწევა ყოფილიყო შესაძლებელი, დარიოსმა შეჰქმნა მეთვალყურეთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც ჩუმად ზეირავდა სატრაპების საქმიანობას და შემდეგ დაწვრილებით მოახსენებდა მეფეს ყველაფერს. დროგამოშვებით სატრაპს ეწვეოდა ხოლმე ჯარით მეფის მიერ წარგზავნილი განსაკუთრებული მოხელე და სთხოვდა მას ანგარიშს. ამას გარდა თითოეულ სატრაპს გარკვეული თანხა უნდა გადაეცა სახელმწიფო ხაზინისათვის ყოველწლიურად [20]. სპარსელები გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყვნენ. გადასახადებს აგროვებდენ არა მარტო ნატურით, არამედ ფულითაც. დარიოსმა შემოიღო ლიდიაში უკვე ცნობილი ფულის მოჭრა და ერთი მთლიანი სისტემა დააწესა. მისი ფულის სისტემის საფუძველს წარმოადგენდა ოქროს დარეიკი, რომელიც ოქროს 20 შეკელს უდრიდა (ოქროსა და ვერცხლის შეფარდება= —$13^1/_3$: 1). ასე რომ ამ დროის სპარსეთში ერთიმეორის გვერდით გვხვდება ორი სახის მეურნეობა—ფულადი და ნატურალური.

დიდ ყურადღებას აქცევდა დარიოსი ვაჭრობის განვითარებას. ამ მხრით, უწინარეს ყოვლისა უნდა დასახელებულ იქნეს მის მიერ წარგზავნილი საზღვაო ექსპედიცია არაბეთის გამოსაკვლევად. მისი ბრძანებით ინდუსიდან გაემგზავრა სკილაქს კარიანდელი, რომელმაც შემოუარა არაბეთს და მივიღა მეწამული ზღვის ჩრდილოეთ ცხვირთან (სუეცი). ამასთან დაკავშირებით დარიოსმა ბრძანა დაემთავრებიათ ეგვიპტის ფარაონის ნეხო II-ის მიერ დაწყებული არხი, რომელმაც მეწამული და ხმელთაშუა ზღვები ერთიმეორეს დაუახლოვა [21]. სახელმწიფოს შიგნით დარიოსს კარგად მოწყობილი სახელმწიფო ფოსტა და გზები ჰქონდა, რაც, ცხადია, ვაჭრობის განვითარებისათვისაც იქნებოდა ხელსაყრელი. თავის კულტურულ განვითარებაში სპარსელებს ბევრი რამ შეუსწავლიათ ძველი სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ისე კი არა, როგორც ფინიკიელებს, რომელთაც უმთავრესად შუამავლის როლს ვაკუთნებთ ამ დარგში, არამედ სხვისაგან შეთვისებულში საკუთარი შემოქმედების ელემენტებიც შეუტანიათ. ამ დროის სპარსელების ხელოვნებას ნათლად ემჩნევა ბაბილონური, მცირე-აზიური, ფინიკიური და ეგვიპტური ხელოვნების გავლენა. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ იგი ააშკარავებს ბერძნული ხელოვნების ერთგვარ გავლენასაც. ამ მხრით ტრადიციაშიც გვაქვს შემონახული ცნობა, რომ მოჭანდაკე ტელეფანე ფოკეელი დარიოსისა და ქსერქსეს შეკვეთით მუშაობდა [22]. მაგრამ გარკვეით უნდა ითქვას, რომ სპარსელების ხელოვნებას არ აკლდა არც საკუთარი მოტივები [23]. ამისთვის საკმარისია გავეცნოთ იმ საუცხოო სასახლეებს, რომლებიც დარიოსს და მის მოადგილეებს პერსეპოლში [24] აუგიათ. საკუთარი მოტივები მოჩანს აგრეთვე სპარსელების სარწმუნოებაშიც, ზარათუსტრას დუალისტურ რელიგიაში.

ასეთ ხალხთან მოუხდათ ურთიერთობა მცირე აზიის ბერძნებს და შემდეგ კი თვით მეტროპოლიასაც. ამ ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიშვა ბერძენ-სპარსელთა ომები, რომელთაც ორივე მხარისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რაზედაც საუბარი თავის ადგილას გვექნება.

2. სპარტა და მისი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება.

იმ დორიელთა შორის, რომლებიც მეორე ათასეული წლების დასასრულში ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოვიდენ, ყველაზე სახელგანთქმული შეიქნა მათი ის ნაწილი, რომელმაც პელოპონესის ერთერთ მხარეში—ლაკონიაში დაარსა სპარტის ძლიერი სახელმწიფო[25]. პელოპონესი ისთმოსის (ანუ კორინთოს) მეტად წვრილი ყელით არის შეერთებული შუა-საბერძნეთთან, და ამიტომაც ბერძნებს უფლება ჰქონდათ მისთვის კუნძული ეწოდებიათ*. საპიროა მოვიგონოთ პელოპონესის მთავარი მხარეები. მისი შუა-ადგილი ეკავა მთიან ა რ კ ა დ ი ა ს, რომლის მცხოვრებლები მისდევდენ უმეტესად მიწის დამუშავებასა და შესაქონლეობას. არკადია დანაწილებული იყო ერთიმეორისაგან თითქმის დამოუკიდებელ ერთეულებად. ეპერობა-წარმოებისა და კულტურის მხრით იგი დიდად ჩამორჩენილი მხარე იყო, თუმცა სხვა ბერძენ ტომებს არკადიელი მწყემსები და მიწის მუშები ბედნიერ ადამიანებად ეჩვენებოდათ და ამ ნიადაგზე ხშირად ამბობდენ: „ბედნიერი არკადია“-ო. [არკადიის მთაგრეხილის აღმოსავლეთით მდებარეობდა ა რ გ ო ლ ი დ ა], რომელსაც მშვენიერი ნათესადგურები მოეპოებოდა და მათი მეოხებით საშუალება ჰქონდა მუდმივი სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებია კუნძულებთან და აგრეთვე მცირე აზიასთან. [მართალია, არგოლიდა მთაგორიანი და მშრალია, ამასთან მისი ზღვის ნაპირები ჭაობიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, მაგრამ საერთოდ იგი მოსავლიანი მხარეა.

არკადიის ჩრდილოეთით იმყოფებოდა ა ქ ა ი ა, რომელიც დაფარული მთებით, რომელთა ფერდობებიდან წვიმის დროს მოვარდნილი ნაკადულები დიდად აზიანებს დაბლობებს. დასავლეთით იყო ტყეებით მდიდარი ე ლ ი დ ა თეისი განთქმული ოლიმპიით, სადაც ყოველ ოთხ წელში ეწყობოდა ყველა ბერძენი ტომისათვის უაღრესად საყურადღებო დღეობები.

დასასრულ, არკადიის სამხრეთით მდებარეობდა მ ე ს ე ნ ი ა და ლ ა კ ო ნ ი ა. მესენია ფრიად მოსავლიანი ქვეყანა იყო და მეტად მიმზიდველ მხარეს წარმოადგენდა. მისკენ ეპირა თვალი სპარტის სახელმწიფოს თავიდანვე და ძველადვე შესძლო მისი დაპყრობა და შემოერთება.

ლაკონიის[26] ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებს უკავია, ხოლო ევროტასის ნაყოფიერ ველს კი დაახლ. მხოლოდ ერთი მეოთხედი. მას დასავლეთით აკრავს მთა ტაიგეტი, აღმოსავლეთით კი—პარნონი. ტაიგეტის ქედი, თითქმის, მუდამ თოვლით არის დაფარული; დიდი მრისხანე ჩანჩქერები ქაფით ავსებს ნაშვის სქელი ტყეებით დაბურულ ბნელ ნაპრალებს; მის ფერდობებზე ბიბინებს მშვენიერი ბალახი, რომელიც ძვირფას საკვებს წარმოადგენდა საქონლისათვის, განსაკუთრებით თხებისათვის; აქვე ბუდობდა მრავალი გარეული მხეცი და ფრინველი, რაც ხელსაყრელი პირობა იყო მონადირეობის განვითარებისათვის. ლაკონიაში არსებობდა აგრეთვე რკინის ძვირფასი ბუდობები.

სწორედ ლაკონიაში წარმოიშვა სპარტის ფრიად თვალსაჩინო და ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც თავისებური ბუნებრივი საფარი ჰქონდა შემოვლებუ-

* Pelnponessos, ე. ი. პელოპიდების ლეგენდარული მამამთავრის პელოპის კუნძული.

ლი მთების მიერ და რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ძველი საბერძნეთის ისტორიაში.

სპარტის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები არსებითად და რადიკალურად განსხვავდებოდა სათანადო იონურ-ატიკური დაწესებულებებისაგან და ძველადვე იწვევდა დიდ ინტერესს მათი წარმოშობის გათვალისწინების მხრით. სპარტის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის უეჭველ ანალოგიას წარმოადგენდა ძველი კრეტას წყობილება.

როგორ დარაპირობებში წარმოიშვა სპარტის ორგანიზაცია? ძველად მის შექმნას მიაწერდენ ერთ პიროვნებას, ვინმე ლიკურგოსს. ძველი ისტორიკოსების ცნობები მის შესახებ უმეტეს ნაწილად გაურკვეველი და ერთმანეთის საწინააღმდეგოა. ლიკურგოსის უფრო ვრცელი ბიოგრაფია დაგვიტოვა პლუტარქმა; იგი გვაცნობს მისი ცხოვრების პირობებს და მის საკანონმდებლო მოღვაწეობას[27]. მაგრამ პლუტარქი გარკვევით აღნიშნავს: კანონმდებლის ლიკურგოსის შესახებ არ შეგვიძლია ისეთი ცნობების გადმოცემა, რომლებიც საკამათო არ იყოს; არსებობს სხვადასხვა მოთხრობა მისი დაბადებისა, მოგზაურობისა, სიკვდილისა და აგრეთვე კანონმდებლობითი მოღვაწეობის შესახებ; უფრო ნაკლები თანხმობაა იმ დროის შესახებ, როდესაც იგი ცხოვრობდა. ბიოგრაფიის VI თავში პლუტარქს აღნიშნული აქვს ეგრეთწოდებული ლიკურგოსის რეტრა, ე. ი. ის პასუხი, რომელიც ლიკურგოსმა მიიღო, თითქოს, დელფოს მისნისაგან, როდესაც მას თვისი კანონები წარუდგინა. რეტრაში ნათქვამია: სელანიის ძევეს (Διὸς Σελλανίου) და სელანიის ათინესადმი (καὶ Ἀθηνᾶς Σελλανίας) ტაძრის აგების, ფილების დაწესებისა და ობების (ὠβάς) შექმნისა და 30 პირისაგან არქაგეტებთან ერთად ჰერუსიის დაფუძნების შემდეგ, დროგამოშვებით მოწვეული იქნეს სახალხო კრება ბაბიკასა და კნაკიონს* შორის (μεταξὺ Βαβύκας καὶ Κνακιῶνος); ამგვარად იქნას შეტანილი წინადადებები და გამოტანილი დადგენილებები; ხალხს ეკუთვნოდეს ხელისუფლება და ძალაო (δάμῳ δὲ τὰν κυρίαν ἦμεν καὶ κράτος).

ისტორიკოსი ჰეროდოტეც გადმოგვცემს, რომ ლიკურგოსმა ბევრი იმოგზაურა, იყო, სხვათა შორის, კუნძულ კრეტაზე, ნახულა დელფო და აქ შეკითხვით მიმართა პითიას, რომელმაც მოიწონა მისი პროექტი. სპარტაში დაბრუნებისას კი მან ცხოვრებაში გაატარა თვისი კანონები. ამავე დროს ლიკურგოსს არ იცნობს ჰელანიკე ლესბოსელი, რომელიც სპარტის ინსტიტუტების დაარსებას მეფეებს პროკლეს და ევრისთენს მიაწერს. სპარტის ძველი წყობილების მოხსენიების დროს არ ასახელებს ლიკურგოსს არც ისტორიკოსი თუკიდიდე.

სამაგიეროდ V ს-ის დასასრულს და IV-ის დასაწყისში, როდესაც მძვინვარებდა ცხარე სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა და ერთგვარად საჭირო გახდა სპარტის ძველი წყობილების გაიდეალება, წარმოიშვა თავისებური პოლიტიკური ლიტერატურა. ოფიციალური ვერსიის ხასიათი მიიღო იმ გადმოცემამ, რომ ლიკურგოსს თვით პითიამ გადასცა გეგმა სპარტის სახელმწიფოებრივი წყობილებისა და, მაშასადამე, ეს უკანასკნელი ღვთაებრივი წარმოშობისაა.

* ე. ი. ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ პუნქტებს შორის.

ამ ვერსიის გამტკიცება, ედ. მაჯერის სამართლიანი აღნიშვნით, უმთავრესად შეფე პავსანიას უმცროსს უნდა მიეწეროს. მას ბრძოლა მოუხდა ოლიგარქოსების პარტიის მეთაურთან, ცნობილ ნავარქოს ლისანდრესთან, სპარტის წყობილების გარშემო და ამ ნიადაგზე წარმოიშვა მისი განსაკუთრებული პამფლეტი, რომელიც შეიცავდა მისნის მრავალ გამოთქმას. პავსანიასის მიერ წამოყენებულმა მოსაზრებებმა ფართო გამოძახილი და მრავალი მიმდევარი ჰპოვა სპარტაში და ათენშიც კი გაჩნდენ ისეთი პირები, რომლებიც კონსერვატორულ წრეებს ეკუთვნოდენ და რომელთა აზრითაც ლაკონია იდეალური სახელმწიფო იყო (მაგ. ქსენოფონტე). ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ IV ს-ის ისტორიკოსი ეფორი პირდაპირ აღნიშნავს; ლიკურგოსმა შექმნა აგრარული თანასწორობა სპარტაში და რომ მან მოახდინა მიწების დანაწილება თანასწორობის საფუძველზეო. ამას გარდა III ს-ში, როდესაც ადგილი ჰქონდა თავისებურ სოციალურ რევოლუციას მეფეების—აგის III და კლეომენ III დროს, ლიკურგოსზე განმტკიცდა წარმოდგენა, როგორც სოციალურ რეფორმატორზე, თითქმის რევოლუციონერზე, ლიკურგოსზე გარკვეით მიუთითებდა მეფე კლეომენი თვისი რეფორმატორული გეგმის განხორციელების დროს [28].

ძველი ცნობების ასეთმა გაურკვევლობამ საკმაოდ დიდი კამათი და საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმა გამოიწვია ჩვენი დროის მკვლევართა შორის. ამჟამად უფრო გავრცელებულია და განმტკიცებული ის შეხედულება, რომელიც დაასაბუთეს ვილამოვიც-მოელენდორფმა, ედ. მაჯერმა და მათმა მიმდევრებმა. ამ შეხედულების თანახმად ლიკურგოსი მითური პიროვნებაა; იგი იყო ადგილობრივი ღვთაება, რომელსაც სპარტაში ჰქონდა საკუთარი საკურთხეველი და დღესასწაულები; თვით სახელი ლიკურგოსი პირვანდელი გადაკეთებაა არკადიის ძველს ლიკეიოსისა, რომელსაც დაუკავშირეს თქმულება დიდ კანონმდებელზე, რადგან თვით ძველი სპარტის სახელმწიფოს მფარველად ითვლებოდა. და საერთოდ, „როდესაც ძველ სარწმუნოებრივ მსოფლშემეცნებაზე ახალმა რაციონალისტურმა მიმართულებამ გაიმარჯვა და სარწმუნოებრივმა მომენტმა დაჰკარგა თვისი წინანდელი ძალა და მნიშვნელობა,—კეთილმყოფელი ღვთაებისაგან ლიკურგოსი თანდათანობით გადაიქცა გვირ-რეფორმატორად“ [29]. ამ შეხედულებას ულ. ვილკენი თავის „საბერძნეთის ისტორია“-ში ასეთ საერთო დასკვნას უკეთებს [30]: „ახალმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ეს კანონმდებელი არასოდეს არ არსებობდა, რომ პირიქით პირველად ორგანიზაციის დაწესებას მიაწერდენ სპარტის ძველ ღვთაებას ლიკურგოსის სახელით, რომელიც ძველს ლიკაიოსს ეწინააღმდეგებოდა, ვიდრე საზღვარგარეთელი კანონმდებლების ანალოგიით იგი ადამიანად არ წარმოიდგინეს, რომელიც შემდეგში მეფის ზეურვის ადგილით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მეფეების სიაში მისი სახელი მოხსენებული არ არის“. ... ჩვენის აზრით, ასეთი მსჯელობა საერთოდ გადაჭარბებული სკეპტიციზმის შედეგი უნდა იყოს. ცხადია, სპარტის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის წარმოშობას ერთი პიროვნების—ლიკურგოსის მოღვაწეობასა და სურვილებს ვერ მივაწერთ, მაგრამ ამიტომ ამ უკანასკნელის რეალობის უარისყოფა იმ მოსაზრებით, რომ მისი

სახელი ძველეს ლიკაიოსს მოგვაგონებს, ან იმიტომ, რომ მასზე არას გვეუბნება, ან საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდის ზოგიერთი ძველი ისტორიკოსი, ვფიქრობთ, სავსებით დამარწმუნებლად ვერ ჩაითვლება. დიდი ისტორიკოსი თუკიდიდე, მაგ., სრულებით არ იხსენიებს სოლონს, მაგრამ ამის მიხედვით ფიქრად არავის მოსელია, სოლონის მითურ პიროვნებად აღიარება. დღეს თანდათან მტკიცდება ის აზრი, რომ ჰომეროსი რეალური პოეტი-შემოქმედი იყო; რეალურ პიროვნებებად თვლიან ზოგიერთ ძველ კანონმდებელს, რომელთა შესახებ ფრიად საეჭვო ცნობები მოგვეპოვება, ყოველ შემთხვევაში ასეთი ცდა არსებობს! რატომ არ შეიძლება, რომ ლიკურგოსიც რეალური პიროვნება ყოფილიყო, რომლის ცხოვრებიდან ზოგიერთი ცნობა მაინც შემოგვინახეს ძველმა წერილებმა, არა მარტო პლუტარქმა, არამედ ჰეროდოტემ და სხვებმა. ის ფაქტი, რომ იგი სამეფო სიაში არ არის მოხსენებული, შეიძლება მხოლოდ იმას ამტკიცებდეს, რომ იგი სპარტის მეფე არ ყოფილა. ადვილი შესაძლებელია, სპარტის ისტორიული პროცესის მიმდინარეობაში წარმოშობილ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ლიკურგოსმა ოდესღაც მართლაც ითამაშა ერთგვარი როლი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებებით IV-ს-ში სრულებით გადასხვაფერებული სახით წარმოიდგინეს. რაც შეეხება ეგრეთწოდებულ ლიკურგოსის რეტრას, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი, მაგ. გილბერტი, ხელშეკრულებად თვლის მისნის მოწონების შემდეგ შეერთებულ თემებს შორის[31], მის შესახებ უფრო სარწმუნოდ ის მოსაზრება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი შემდეგი დროის ფალსიფიკაციაა და რომ მისი წარმოშობა დაკავშირებულ უნდა იქნეს მეფე პავსანიასის უკვე ხსენებულ პამფლეტთან, როგორც ამას გარკვევით აღნიშნავს ედ. მაჯერი[32]. ამიტომ იგი არსებითად არ გამოგვადგება სპარტის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის გენეზისის გარკვევისათვის.

ᲩᲐ სპარტას სახელმწიფო წარმოიშვა ძველი წინა-დორიული მოსახლეობის დაპყრობის შედეგად და ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი განვითარებისათვის[33].

საფიქრებელია, რომ დამპყრობელებმა ზოგიერამმანც შეითვისეს დაპყრობილთაგან და უწინარეს ყოვლისა კი ეგრეთწოდებული მამაკაცთა კავშირები (Männerbünde). პირველად ასეთი კავშირების არსებობას სპარტაში ყურადღება მიაქცია XVIII ს-ში ისააკ იზელინმა, ხოლო უფრო გარკვევით შეეხო მას 1912 წელს შვეიცელი მკვლევარი მ. ნილსონი.

რაში მდგომარეობდა საერთოდ ეს კავშირები?

სქესობრივი მომწიფების დამყარებისას ახალგაზრდები სტოვებდენ ოჯახს და იწყებდენ ერთად ცხოვრებას ყაზარმული ფორმის ეგრეთწოდებულ „მამაკაცთა სახლებში“ (Männerhaus), სადაც მეტად თუ ნაკლებად გაბატონებული იყო თავისებურად განსაზოგადოებული ყოფა-ცხოვრება და ზოგჯერ ადგილი

ჰქონდა სქესობრივ პრომისკუიტეტს. ასეთ კავშირთა წევრების მთავარ ფუნქციას სახელმწიფოს სამხედრო დაცვა და სარწმუნოებრივ ღვთისმსახურებათა შესრულება შეადგენდა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს კავშირები დანაწილებული იყო წლოვანობით კლასებად და უმცროსები ხშირად განიცდიდენ მძიმე პირობებში არსებობას: ისინი ასრულებდენ კავშირის უფროსი წევრების დავალებებს, მარხულობდენ და იკვებებოდენ სრულებით უბრალო საჭმლით და ხეულის გამაგრებისათვის მისდევდენ უძნელეს ვარჯიშობათ [34].

დამპყრობელი დორიელები ლაკონიაში პირველ ხანებში წარმოადგენდენ პატარა სამხედრო ახალშენს მათდამი მტრულად განწყობილ ადგილობრივ მოსახლეობას შორის და ამიტომაც მამაკაცთა კავშირების ორგანიზაცია მათთვის ამ ახალ პირობებში მეტად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. მართლაც, აქ სავსებით იქნა დაცული სრულუფლებიანი მოქალაქეების მამაკაცთა კავშირებში დაჯგუფება მათი წლოვანობით კლასებად დანაწილებით, საერთო სადილებით და თავისებური კომუნიზმით. ეს ფაქტი საბერძნეთში არა მარტო სპარტას ახასიათებს, მაგრამ ამ სახელმწიფოში უფრო გარკვევით გვეელინება იგი [35].

დამპყრობელებმა ლაკონიაში შექმნეს გაბატონებული სოციალური წრე—სპარტიატები ს ა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თავისებურ სამხედრო ბანაკს—საკუთრივ სპარტას და მისი მცხოვრებლები გახდენ. დაპყრობილი მხარე მათ ურთიერთშორის გაინაწილეს ისე, რომ ყოველ სპარტიატს მამულის განსაზღვრული თანასწორი ნაკერი (κλῆρος) შეხვდა; არსებობს გარკვეული ცნობები, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაკერების გასხვისება და გაყოფა და რომ ამ ნიადაგზე იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც თავისუფალი კლეროსის უქონლობის გამო რამდენიმე ძმას ერთი ცოლი და საერთო მეურნეობა ჰქონდა.

ძველი მოსახლეობის—აქაელების უმეტესი ნაწილი თანდათანობით, თუ ერთბაშად სახელმწიფო ყმებად—ჰელოტებად იქნა გამოცხადებული. ჰელოტები ამუშავებდენ სპარტიატების კლეროსებს და უხდიდენ მათ განსაზღვრულ ღალას მოსავლიდან. მათი მთავარი დანიშნულება იყო სპარტიატების უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით, რომ უკანასკნელთ შესძლებოდათ მთელი თვისი დრო სამხედრო ვარჯიშობისათვის გამოეყენებიათ; ამას გარდა ასეთ სამეურნეო ურთიერთობაზე იყო დამყარებული სპარტიატების კუთვნილება თემისადმი. სპარტიატს უფლება არ ჰქონდა გაეყიდა ან განეთავისუფლებია თვისი ჰელოტები, ეს შეეძლო მხოლოდ სპარტიატების თემს საერთოდ. მაშინ როდესაც სპარტიატების რიცხვი სულ რამდენიმე ათასი იყო, ჰელოტები ფრიად მრავალრიცხოვან მასას წარმოადგენდენ და ხშირად ამეღავნებდენ შექმნილი მდგომარეობის გამო თვის უკმაყოფილებას, რაც ზოგჯერ აჯანყების სახეს ღებულობდა. ეს გარემოება იწვევდა სპარტიატებში მუდმივ შიშსა და უნდობლობას მათდამი.

ძველი აქაელების მეორე ნაწილი, რომელიც, ძველი ისტორიკოსების სიტყვით, თითქოს, თვისი ნებით დაემორჩილა შემოსეულ დორიელებს, შეადგენდა პ ე რ ი ე კ ე ბ ს. პერიეკები უმეტეს ნაწილად ხელოსნობას მისდევდენ და ამ მხრით სპარტის სახელმწიფოსათვის სასარგებლო ელემენტებს წარმოადგენდენ.

მართალია, ისინი პირადად თავისუფალი იყვენ, მაგრამ პოლიტიკური უფ-

ლებებით არ სარგებლობდენ და ვალად ედვათ სახელმწიფოს წინაშე განსაზღვრული სამხედრო ბეგარა და განსაკუთრებული ხარკი მეფეებისადმი (βασιλικὸς φόρος). საერთოდ კი მათი მდგომარეობა ჰელოტებთან შედარებით გაცილებით უკეთესი იყო.

ამგვარად, ძველი სპარტის სახელმწიფოში არსებობდა სამი გარკვეული სოციალური წრე: სპარტიატები, პერიეკები და ჰელოტები. უდიდეს ყურადღებას აქცევდენ სპარტიატები თავიანთ შორის სრული ქონებრივი თანასწორობის დაცვას, რომ თითოეულ სპარტიატს სრული შესაძლებლობა ჰქონოდა სამხედრო სამსახურის ჯეროვანად შესრულებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქონებრივ უთანასწორობას შეეძლო გამოეწვია სამხედრო უთანასწორობაც, რადგან სპარტიატების ქონებრივად ჩამორჩენილ ნაწილს საშუალება არ ექნებოდა უკვე სრული შეიარაღებისა (პანჰოპლიის) და ომში მონაწილეობისა.

ძველ სპარტას საერთოდ თანასწორთა (ὅμοιοι) სახელმწიფოს უწოდებდენ, რასაკვირველია, მხოლოდ სპარტიატების მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ შემდეგში დავინახავთ, თუ როგორ ირღვეოდა ეს თანასწორობა და როგორ იზრდებოდა რიცხვი გაღატაკებული სპარტიატებისა, ან როგორ მტკიცდებოდა ქონებრივი და პოლიტიკური გავლენა სპარტიატების წრეში ამაღლებული არისტოკრატიისა.

სპარტის სახელმწიფოს, როგორც შინაური, ისე საგარეო მდგომარეობა მოითხოვდა სპარტიატების მუდმივ სამხედრო მზადყოფნას და ამიტომაც, თუ შეიძლება ვთქვათ, ეს ქრონიკული მილიტარისტული იძულებითი მომენტი თავისებურ ელფერს აძლევდა მის სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას. როგორც ვთქვით, სპარტიატების ყოფა-ცხოვრებაში, რომელიც დამყარებული იყო არა დაწერილ კანონებზე, არამედ ტრადიციაზე, დაცული იყო „მამაკაცთა კავშირების“ მრავალი ელემენტი, რომლებიც არსებითად სამხედრო პირობების მიხედვით იყო მომარჯვებული. საესებით გაბატონებული იყო ის აზრი, რომ სახელმწიფო შეიცავს მის ფარგლებში შემავალი მოსახლეობის მთელ ცხოვრებას. ამ მომენტის ძლიერების კარგად გრძნობდა თითოეული სპარტიატი. დაბადებიდანვე სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით წყდებოდა, უნდა გაიზარდოს ახლად დაბადებული, თუ რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო იგი გადაგდებულ უნდა იქნას. 7 წლის შესრულების შემდეგ ბავშვები სახელმწიფოს სრულ განკარგულებაში გადადიოდენ და აღზრდის განსაკუთრებული სისტემის მიხედვით ვითარდებოდენ. მთავარი ყურადღება ექცეოდა მათ ფიზიკურ ვარჯიშობას, სხეულისა და ნებისყოფის განმტკიცებას, რომ მათგან საუკეთესო მეომრები გამოსულიყვენ. საერთოდ ამ სისტემით სახელმწიფო ცდილობდა, რომ ახალგაზრდობას შეეთვისებია უფროსებისადმი პატივისცემა, კანონების წინაშე უსაზღვრო მორჩილება და ყოფა-ქცევისა და საუბრის სასტიკი განსაზღვრა (ლაკონიზმი)[34]. ამ ახალგაზრდებს ანაწილებდენ წლოვანობის მიხედვით და ჰყოფდენ ჯგუფებად (ἀγέλαι), რომელთაც უფროსი ამხანაგები მეთაურობდენ. სახელმწიფო აღზრდას ახალგაზრდობა 20 წლის შესრულებისას ამთავრებდა, მაგრამ ამას შემდეგაც გრძელდებოდა მასზე სახელმწიფოს კონტროლი. მათი საერთო ცხოვრება ახლა უძველესი დროიდან შემოღებულ განსაკუთრებულ ამხანაგობებში (φειδίτια, συσσίτια)

შიმდინარეობდა, სადაც თითოეულ მათგანს საერთო სადილებისთვის განსაზღვრული რაოდენობის პროდუქტები უნდა შეეტანა. ამ ამხანაგობებში მტკიცდებოდა სახელმწიფოს მთავარი ამოცანა—სპარტიატების სამხედრო მზადყოფნა და ვაჟკაცობისა და თავგანწირვის გრძნობების გაღრმავება. ასე წარმოიშვა სპარტის სამხედრო ბანაკში სახელოვანი მეომრების (καλοὶ κἀγαθοί) ჯგუფები, რომელთაც, მიუხედავად თვისი მცირერიცხოვნობისა, უდიდესი სამსახური გაუწიეს სპარტის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საქმეში. სპარტის სახელმწიფოს სათავეში ედგა უძველესი დროიდან მომდინარე მეფე, რომელიც ბრძოლის ველზე უმაღლესი სარდალი (ἀγήτας) იყო; ხოლო მშვიდობიანობის დროს—უმაღლესი ქურუმი და მოსამართლე. იგი ხალხის „უხუცესებთან“ ერთად იხილავდა თვისი თემის საქმეებს და განსაკუთრებული პირების საშუალებით იწვევდა საერთო კრებაზე ყველა იარაღის მატარებელ მამაკაცს. ამ დროს სპარტაში ორი მეფე და ორი საგვარეულო დინასტია—აგიადები და ევრიპონტიდები—არსებობდა. როგორ მოხდა ამ ორმეფიანობის წარმოშობა?

ვილკენის სამართლიანი თქმით, ეს არ უნდა იყოს თავდაპირველი მოვლენა, არამედ განსაკუთრებული ისტორიული პირობების შედეგი, რომელთა შესახებ შეიძლება გამოითქვას მხოლოდ ჰიპოთეზები[37]. საჭიროა გაკვრით მაინც გავითვალისწინოთ ამ საკითხის გარშემო წარმოშობილი ჰიპოთეზები. ერთის მიხედვით, იგი შედეგია სინოიკისმისა—ადგილობრივ და დორიელ თემებს შორის (Wachsmuth); სხვები კი ფიქრობენ, რომ სინოიკისმი მოხდა ორ დორიელ თემს შორის (Duncker); მესამე მოსაზრება გვარწმუნებს, თითქოს ისტორიული სპარტა დორიელებისაგან დასახლებული მთელი რიგი ადგილების სინოიკისმისაგან წარმოდგა (Niese). უფრო სხვაგვარია და ხელოვნურიც ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც შემოსეულ დორიელებს ორი წინამძღოლი მეთაურობდა, რომელთაგან ერთმა დაიპყრო ევროტასის ქვედა ჭალა, მეორემ კი ტაიგეტის დასავლეთი ფერდობი და ფერეს ველი; ევროტასის ზედა ჭალა კი ორივემ დაიკავა და ამიტომაც აქ სპარტაში დასაბამი მიეცა ორმეფიანობასა და ორ დინასტიას (K. T. Neumann). დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შესაძლებლად არის ცნობილი, რომ უძველესი დროის მეფის გვერდით ამაღლდა სხვა βασιλῆες და გაჩნდა მეორე მემკვიდრეობითი დინასტია (Ed. Meyere, K. J. Beloch)[38]. ამგვარად ამ ფაქტის მიმართ მხოლოდ ჰიპოთეზებთან გვაქვს საქმე და გადაჭრით რისამე თქმა შეუძლებელია. ერთი რამ კი მართლაც უდაოდ უნდა აღვიაროთ, რომ ორმეფიანობა თავდაპირველი მოვლენა არ არის, არამედ შედეგია ჩვენთვის ჯერჯერობით გამოურკვეველი ისტორიული პირობებისა. მეფეების გვერდით სპარტის ქველი სახელმწიფოს თვალსაჩინო ორგანოს წარმოადგენდა უხუცესთა საბჭო ანუ ჭერუსია. თუ სხვა გზით განვითარებულ ბერძნულ სახელმწიფოებში უხუცესთა საბჭო თანდათანობით წარჩინებულთა საბჭოდ იქცა, აქ, სპარტაში, იგი უცვლელად იყო დაცული. სპარტიატების ის ნაწილი, რომელსაც მოხუცებულობის გამო უკვე აღარ შეეძლო იარაღის მოხმარება და, მაშასადამე, არც სამხედრო მოვალეობის ასრულება, ერთი სიტყვით, 60 წელს გადაცილებულნი მოხუცნი, რომელთაც იმ დროის საზოგადოების წარმოდგენით სამაგიეროდ

დიდი გამოცდილება მოეპოებოდათ, შედიოდენ წევრებად ჰერუსიაში. ისტორიულ ხანაში ჰერუსია შედგებოდა 28 წევრისაგან, მათ შორის ორი მეფისა და 26 სიცოცხლეულად არჩეული ჰერონტისაგან.

არსებობდა ამ დროს სპარტაში აგრეთვე სპარტიატების სახალხო კრება (ἀπέλλα), რომელსაც არ ჰქონდა რაიმე ინიციატივის უფლება და მას იწვევდენ მხოლოდ განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად.

როგორც აღვნიშნეთ, სპარტაში უძველესი დროიდან მომდინარეობდა ცდა სპარტიატებს შორის სრული მოქალაქეობრივი თანასწორობის დაცვისა, ამიტომაც მათ „თანასწორთ“ (ὅμοιοι) უწოდებდენ. მაგრამ თუ მთელ მოსახლეობას მივიღებთ მხედველობაში, პერიეკებისა და ჰელოტების ჩათვლით, მაშინ ამ უკანასკნელთა მიმართ ურთიერთშორის თანასწორი სპარტიატები წარმოადგენდენ გაბატონებულ კეთილშობილთა წრეს, თავისებურ არისტოკრატიას. და ეს უკანასკნელი თავის საგარეო პოლიტიკაში კავშირს აწესებდა არა დემოკრატიასთან, არამედ არისტოკრატიასა და ოლიგარქიასთან. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კეთილშობილთა წრესთან ერთად სპარტის სახელმწიფოს განვითარებაში არ წარმოშობილა ისეთი მომენტები, რომლებმაც სხვა სახელმწიფოებში გამოიწვია ეფორების თანდათანობითი დაცემა და გაუქმება; მეორის ხრით ქალაქი-სახელმწიფოს (პოლისის) განვითარება ხელს უწყობდა ამ პროცესს და, რამდენადაც ეს სპარტაში არ მომხდარა, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ პოლისი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არც წარმომდგარა[3]. სპარტა არსებითად ხუთი გაუმაგრებელი სოფლის გაერთიანებას წარმოადგენდა და, როგორც ქალაქი, მთელ მხარის ადმინისტრატიული ცენტრი იყო. მაგრამ დროთა ვითარებაში, რაკი ქალაქ გაიზარდა და გაძლიერდა სახელმწიფო მოხელეების რიცხვი და მნიშვნელობა, მეფის გვერდით წარმოიშვა განსაკუთრებული კოლეგიუმი 5 ეფორი (ἔφοροι), რომლებიც ყოველწლიურად არჩეულ საგანგებო კვალიფიკაციის „მეთვალყურეებს“ წარმოადგენდენ. მათ კომპეტენციაში, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა, შედიოდა კონტროლი სპარტის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზე და თვით მეფეებზეც. ამ კოლეგიუმის წარმოშობის პირობებისა და დროის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, როგორც ძველს, ისე ახალ ისტორიკოსთა შორის. ამიტომ ამ საკითხზე ერთი გარკვეული და საერთოდ აღიარებული აზრი დღემდე არ მოგვეპოება. საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ამას წინათ ერთმა რუსმა მკვლევარმა[4]: ამ კავშირებს (მამაკაცთა კავშირებზეა ლაპარაკი) სათავეში ედგა, როგორც ახლა მთელ რიგს ველურებისას, ღვთაებრივი მეფე, რომელიც 9 წლის გასვლის შემდეგ უნდა მომკვდარიყო, ალბათ, რიტუალური თავისმკვლელობით. ასეთ მეფეს თაყვანს სცემდენ, როგორც ღმერთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ხელისუფლება საერო საქმეებში დიდი არ უნდა ყოფილიყო. თუ იგი შეუსაბამო-ალმოჩნდებოდა, შამანებს შეეძლოთ (ვარსკვლავებზე მკითხაობით და სხვ.) დაეწესებიათ, რომ მეფემ დაჰკარგა თვისი ღვთაებრივი ძალა და, ამგვარად, ვადაზე ადრე გაეძევებიათ იგი. და პირიქით, იმავე შამანებს შეეძლოთ გაეგრძელებიათ მეფის ღვთაებრივი ძალის ვადა მეორე, მესამე და შემდეგ ცხრა წელზე. მოსულმა ბერძნებმა ბევრი რამ შეითვისეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ადგილობრივი მეფის საკრალურ მოვალეობა-

თა წყება გადაიტანეს დამპყრობელთა მეფეზე: ასევე დაცულ იქნა ყოველი ცხრა წლის დასასრულში შამანების მიერ ზეცის შეკითხვის წესი. ვიდრე სპარტის მეფეები ძლიერი მბრძანებლები იყვნენ, ეს რიტუალი უეჭველად უბრალო ფორმალობა იყო. მაგრამ თანდათანობით სპარტაში... სამეფო ხელისუფლება სუსტდებოდა... და თუ საზოგადოდ აქ მეფის ხელისუფლება არ იქნა გაუქმებული, ეს მოხდა ორ სამეფო გვარეულობას შორის არსებული განხეთქილების მეოხებით: ერთი დინასტია, აგიადებისა, გაღარიბებულ სპარტიატებზე ემყარებოდა, მეორე კი, ევრიპონტიდებისა, უფრო მდიდარი ნაწილის ინტერესებს იცავდა. ამ განხეთქილებამ ხელი შეუწყო ეფორების გაძლიერებას, რომელთაც არამცთუ გამოიყენეს პოლიტიკური მიზნით შამანების ზემოთ აღნიშნული ფუნქციები არასასურველი მეფეების თავიდან მოსაშორებლად, არამედ მიითვისეს უფლება სახელმწიფო საქმეების საბოლოო გადაჭრისა მეფეებს შორის უთანხმოების შემთხვევაში.

სამწუხაროდ, არც ამ საყურადღებო მსჯელობაშია გარკვეული ეფორატის წარმოშობის პირობები. ამიტომ უფრო საფიქრებელია[21], რომ ეფორების რიცხვი (5) სპარტის შემადგენელ 5 სოფელს უნდა შეესაბამებოდეს და რომ თავდაპირველად ისინი ამ სოფლების მამასახლისები უნდა ყოფილიყვნენ.

ეფორების სია 755/4 წლიდან იწყება, მაგრამ აქედან, რასაკვირველია, იმის დამტკიცება არ შეიძლება, რომ ეს ინსტიტუტი სწორედ ამ წლებში იქნა დაარსებული. მართალია, ეფორებმა ხელშეუხებლად დაუტოვეს მეფეებს ძველი გარეგნული პატივი და ღირსება, მაგრამ არსებითად დიდად შეზღუდეს მათი ხელისუფლება. მათ უფლება მოიპოვეს გასასამართლებლად მოეწვიათ მეფე; უკანასკნელს შეეძლო ორჯერ არ გამოცხადებულიყო, მაგრამ მესამედ კი ვალდებული იყო ეს მოთხოვნილება შეესრულებია. ეფორები განსაზღვრულ ვადაში თვალყურს ადევნებდენ ცისიერ მოვლენათ და მათი შეხედვით არასასიკეთო წინათმოსწავლების შემთხვევაში, უფლება ჰქონდათ გადაეყენებიათ მეფეები იმ დრომდე, სანამ დელფოდან არ მოვიდოდა ამ უკანასკნელთათვის ხელსაყრელი პასუხი, და სხვ. პირველად ეფორებს მეფეები ნიშნავდენ, შემდეგში კი მათ სახალხო კრება ირჩევდა, არისტოტელის თქმით, რაღაც „ბავშური გზით“.

როგორც დავინახეთ, სპარტის სახელმწიფოს არსებობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ აგრარულ წყობილებასთან, რომელიც მასში თავიდანვე დამყარდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში, რასაკვირველია, დადგებოდა ისეთი მომენტი, როდესაც სპარტიატების რიცხვის ბუნებრივი ზრდის გამო უკვე საკმარისი არ იქნებოდა თავისუფალი კლეროსების რაოდენობა და აუცილებელი გახდებოდა ახალი ქვეყნების დაპყრობა. სპარტის საგარეო ისტორიის შესახებ ცნობები პირველად მხოლოდ VIII საუკუნიდან მოგვეპოება. ამ დროს სპარტელები ებრძოდენ თვისი საზღვრების გასაფართოებლად აღმოსავლეთით არგოსს პარნონის იმიერ მდებარე კინურიისათვის, ჩრდილოეთით კი—არკადიელებს, განსაკუთრებით ტეგეას. ამ საუკუნის მეორე ნახევარში კი მიწის განსაკუთრებულმა სიიწროვემ აიძულა სპარტელები ბრძოლა დაეწყოთ დასავლეთით ფრიად ნაყოფიერი მესენიის დასაპყრობად. მესენიასთან ბრძოლის ისტორიიდან

ჩვენ ვიცით სპარტელი პოეტის[42] ტირტეოსის ნაწყვეტების მეოხებით ჯერ კიდევ ეგრეთწოდებული მესენიის პირველი ომი. როგორც ჩანს, ომი ფრიად ხანგრძლივი ყოფილა და იგი სპარტისათვის გამარჯვებით დაუმთავრებია მეფე თეოპომპეს მას შემდეგ, რაც აუღია კლდოვანი სიმაგრე ითომე. მესენიელები სპარტელებს ჰელოტებად გაუხდიათ, ხოლო მათი ქვეყანა ახალ კლეროსებად დაუნაწილებიათ და სპარტიატებისათვის დაურიგებიათ. ამ კლეროსებს ამუშავებდენ მესენიელები—ჰელოტები და, როგორც ტირტეოსის ცნობიდან ირკვევა, მოსაელის ნახევარს უხდიდენ კლეროსების პატრონთ, მაშასადამე, ისინი მონახევრეები გამხდარან. თუ რამდენად მძიმე ყოფილა ამ ახალი ჰელოტების ხვედრი, ეს კარგად ჩანს ტირტეოსის იმ სიტყვებიდან, რომელშიც იგი მათ მძიმედ დატვირთულ ვირებს ადარებს.

მესენიის დაპყრობას სპარტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მან შეანელა აგრარული კრიზისი და შეაჩერა სპარტიატებს შორის ქონებრივი არისტოკრატიის წარმოშობის განვითარება. მეორის მხრით მესენიის დაპყრობით სპარტელები მეზობლები გახდენ ელიდასი, რომელსაც ამ დროს უკვე დაკავებული ჰქონდა პისატიის მხარე ოლიმპიით. მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა და სპარტელებმა იწყეს 720 წლიდან მონაწილეობის მიღება ელიდელების მიერ დაწესებულ დღეობებში. როგორც სხვადასხვა ცნობიდან ჩანს, ამავე დროიდან იწყებს სპარტა პელოპონესის გარეშე ფართო ურთიერთობის განვითარებას.

მაგრამ VII ს-ის ნახევარში მესენიელები აჯანყდენ სპარტის ბატონობის წინააღმდეგ და მიზნად დაისახეს მათი აუტანელი უღლის თავიდან მოშორება. დაიწყო ეგრეთწოდებული მესენიის მეორე ომი. ამ ომის უშუალო მონაწილე იყო უკვე დასახელებული პოეტი ტირტეოსი. მის მთელ რიგ ნაწყვეტებში დასურათებულია ის აუტანელი პირობები, რომლებმაც აიძულა მესენიელები—იარაღისათვის მოეკიდათ ხელი. თუ სტრაბონს დავუჯერებთ, ტირტეოსი ამ ომში სტრატეგოსიც კი იყო (VIII, 362).

ეს ომი არსებითად ბრძოლა იყო არა მარტო სპარტასა და მესენიას შორის, არამედ იგი ორ მოპირდაპირე ბანაკად გაყოფილი მთელი პელოპონესის შეტაკებას წარმოადგენდა. მესენიელებს ეხმარებოდენ სპარტის მოწინააღმდეგენი არგოსელები და არკადიელები; ამავე დროს პისატიელები აუჯანყდენ ელიდელებს, რომლებიც სპარტელებს უკავშირდებოდენ. ამ ხანაში უნდა ეცხოვრა არგოსის ცნობილ მეფეს ფეიდონს, რომლის შესახებაც ტრადიციამ ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები შემოგვინახა. იგი იყო დიდი მბრძანებელი, რომელმაც არგოსს ძლიერების მხრით პირველი ადგილი მოუპოვა პელოპონესში და თვისი გავლენა ეგინაზედაც გაავრცელა. თავის სამეფოში მან შემოიღო ფულისა და წონის საკუთარი სისტემა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრის ეკონომიური განვითარებისათვის. იგი შეთანხმდა სპარტასა და ელიდას წინააღმდეგ ბრძოლას პელოპონესში. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი უნდა ყოფილიყო. სპარტელები რამდენჯერმე მარცხდებიან და, თითქოს, მზად არიან ხელი აიღონ მესენიაზე, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობენ. ბრძოლისადმი მოწოდებით არის გაჟღენთილი ტირტეოსის ლექსები, რომლებითაც იგი

სპარტელების გამხნევებას ცდილობდა. მაგრამ საჭირო არ არის ამ ომის მსვლელობის დაწერილებით გათვალისწინება, მით უმეტეს, რომ მის შესახებ დაცულია მრავალი ლეგენდალური ცნობა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. (მესენიელები კვლავ დამარცხდენ და იძულებული გახდენ ხელმეორედ დამორჩილებოდენ სპარტელებს ჰელოტების სახით;) კვლავ მოხდა მესენიის კლეროსებად დანაწილება. მაგრამ ამ ომს არც სპარტისათვის ჩაუვლია უშედეგოდ. მან დიდი გავლენა მოახდინა მის სამეურნეო ცხოვრებაზე. ტირტეოსის ლექსების მიხედვით, ჯერ კიდევ ძველად მოუთხრობდენ იმის შესახებ, რომ მესენიელთა აჯანყების გამო მრავალი წლის განმავლობაში სპარტიატების ნაწილს ღალა აღარ მოსდიოდა მესენიის კლეროსებიდან და ამიტომაც იგი სრული გაღატაკების გზაზე იდგა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა, თითქოს, რევოლუციონური ლოზუნგი მიწების ახალი გადანაწილებისა (ἀναδασμὸς γῆς). ერთი სიტყვით, სპარტის ძველი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება დიდ განსაცდელში ჩავარდნილა. ეს კარგად ჩანს ტირტეოსის პოემაში—„კეთილკანონიერება" (Εὐνομία). ტირტეოსი გულისტკივილით შეყურებდა სპარტის წყობილების შეცვლის ცდას და ძველი ტრადიციების დაცვის ნიადაგზე მოუწოდებდა ხალხს აჯანყებისაგან თავის შეკავებისაკენ.

მაგრამ უკანასკნელ დროს ამ საყურადღებო მოძრაობის შესახები ცნობები უფრო გაიზარდა და უფრო ნათელი გახდა. 1918 წელს ბერლინის პაპირუსზე აღმოჩნდა ტირტეოსის ერთი ფრიად საგულისხმიერო ფრაგმენტი[43], რომელიც ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ამ შინაურმა მოძრაობამ თვალსაჩინო ცვლილება მოახდინა სპარტის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაშიც[44]. წინათ ფიქრობდენ, რომ ძველი სამი დორიული ფილე გაუქმებულ და ახალი 5 ფილეთი შეცვლილ იქნა. უკვე ეგრეთწოდებული ლიკურგოსის კონსტიტუციის დამყარების დროს. ახლა კი ამ ფრაგმენტის მეოხებით ირკვევა, რომ მესენიის მეორე ომშიც კი ძველი სამი ფილე—პამფილებისა, ჰილეებისა და დიმანებისა—მოქმედებდენ, როგორც სპარტელების აქტიური სამხედრო ჯგუფები. ფრაგმენტში ნათქვამია: ამგვარად, წავიდეთ ბრძოლაში ცალ-ცალკე პამფილები, ჰილეები და დიმანები... ამიტომ საფიქრებელია, რომ ხუთი ახალი ფილეს შემოღება მოხდა VII ს-ის მეორე ნახევარში, აღნიშნული „რევოლიუციის" დროს. ამ ფაქტს თავისთავად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან თუ ძველად სპარტიატები სამ გვარულ ფილეში იყვენ შეკავშირებული, ახლა 5 სოფლის მიხედვით ისინი 5 ფილეში იქნენ დანაწილებული და ამ დანაწილებას უკვე ტერიტორიალური და არა გვარული ხასიათი მიეცა. ამასთან ამ ახალ ერთეულებში უფრო შესაძლებელი იქნებოდა სპარტიატებს შორის სრული ქონებრივ-მოქალაქობრივი თანასწორობის განმტკიცების ცდა. საფიქრებელია ისიც, რომ ამ ხანაში უფრო გაიზარდა და გაფართოვდა ეფორების ხელისუფლება და მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში ამ დროიდან დაწყებული ეფორები უფრო ძლიერი და გავლენიანი მოხელეების სახით გვეელინებიან.

მაგრამ ამ ომს და მასთან დაკავშირებულ მოძრაობას თან მოჰყვა სახელმწიფოში უფრო სასტიკი რეჟიმის დაწესება. ცხადია, მესენიის მეორე ომის დროს სპარტის ჰელოტების ნაწილის თანაგრძნობა მათ მდგომარეობაში მყოფი

მესენიელების მხარეზე იქნებოდა, ამასთან ერთად მათ წრეშიც უნდა ეჩინა თავი, ყოველ შემთხვევაში სპორადულად მაინც, სპარტიატების მძიმე უღლის თავიდან მოშორების გრძნობას. ყოველივე ამან კი უფრო გააძლიერა და გააღრმავა შიში და უნდობლობა მათდამი სპარტიატების მხრით. შემოღებულ იქნა ჰელოტების ყოველი ნაბიჯის სასტიკი მეთვალყურეობა და ეგრეთწოდებული კრიპტია (κρυπτεία), ე. ი. დროგამოშვებით ნებადართული ნადირობა ჰელოტებზე, რომ ამით ხელოვნურად შემცირებულიყო მათი ზედმეტი რიცხვი. ყოველგვარი ზომა იყო მიღებული, რომ სხვა მხარეებთან, განსაკუთრებით კი მესენიასთან, ისეთი ურთიერთობა ყოფილიყო დაწესებული, რომ გავლენა არავის მოეხდინა ჰელოტებზე ამბოხების გამოწვევის მიზნით. აკრძალული იყო ვერცხლისა და ოქროს ფულის შემოტანა სპარტაში და ხმარებაში იყო მხოლოდ სპილენძის ფული, რომ ამ გზით შეუძლებელი გამხდარიყო ფულადი მეურნეობის განმტკიცება და სპარტის სამეურნეო ყოფაცხოვრების შეცვლა. უცხოელების მიმართ ხშირი იყო ქსენელასია, ე. ი. გაძევება, რომ მათ გავლენა არ მოეხდინათ ადგილობრივ ჰელოტებზე. ერთი სიტყვით, წარმოიშვა რეაქციურ-პილიციური სახელმწიფო, რომელშიც გაბატონებული წრე სრული ეკონომიური და კულტურული კარჩაკეტილობით ცდილობდა შეენარჩუნებინა თვისი სოციალურ-პოლიტიკური პრივილეგიები.

რაც შეეხება მესენიის ომის სხვა მონაწილეთ, ფეიდონის დროს დაწყებული ომი არგოსთან ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში. ბოლოს აქაც იმარჯვებს სპარტა და იერთებს კინურიას, ფირეატისს და კუნძულ კითერას. სხვანაირად დამთავრდა ომი ტეგეასთან. მართალია, მასზე სპარტელებმა გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ მის დაპყრობას თავი დაანებეს და ისევ კავშირის დადება ამჯობინეს. ამ მაგალითს შემდეგში სხვა სახელმწიფოებმაც წაბაძეს და VI-ის მეორე ნახევარში წარმოიშვა პელოპონესის კავშირი, რომლის მეთაური სპარტა გახდა, ხოლო მასში შემავალ წევრებს შინაურ საქმეებში სრული ავტონომია მიენიჭა. ელიდამაც კი იცნო სპარტის ჰეგემონია. არსებობს ცნობა, რომ სპარტის საგარეო პოლიტიკაში ანექსიის საკავშირო პრინციპით შეცვლაზე დიდი გავლენა იქონია ხეილონმა, რომელიც ეფორად იყო პირველად 556/5 წელს[1].

საერთოდ VI ს-ში სპარტა ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რომელიც ამავე დროს უძლიერეს კავშირს ჩაუდგა სათავეში. მისი როლი და მნიშვნელობა გაიზარდა არა მარტო საბერძნეთში, არამედ აღმოსავლეთშიც.

მასთან მეგობრული ურთიერთობის დაწესებას ცდილობენ ეგვიპტის მეფე ამაზისი და ლიდიის მეფე კრეზი, რომელიც დიდ ძღვენს უგზავნის სპარტას. როდესაც ლიდიას თავს დაესხა სპარსეთის მეფე კიროსი, სპარტა ლიდიას ეხმარება, მაგრამ რაკი კიროსმა გაიმარჯვა და ლიდია დაიპყრო, რასაც თან მცირე აზიის ბერძნების დამორჩილებაც მოჰყვა, სპარტამ თავი შეიკავა სპარსეთისათვის პირდაპირი ომის გამოცხადებისაგან და მხოლოდ უბრალო და უშედეგო დიპლომატიური პროტესტის განცხადებით დაკმაყოფილდა.

მაგრამ საკუთრივ საბერძნეთში სპარტას მალე გაუჩნდა ძლიერი მოწინააღმდეგე ათენის სახელმწიფოს სახით, რომლის წარმოშობისა და ძველი ორგანიზაციის განხილვაზე ახლა გადავალთ.

3. ათენის სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი და მისი ძველი ორგანიზაცია.

შუა საბერძნეთის ნაწილი—ატიკა, სადაც ათენის სახელმწიფო წარმოიშვა, წარმოადგენს 40 კვ. მილის ოდენობის სამკუთხედს, რომელიც დანარჩენ ხმელეთს უერთდება მხოლოდ თვისი საფუძვლით—მთა კითერონით. მას არტყია გარშემო კუნძულები და მისი ნაპირებიც ისეა შეჭრილი, რომ ჰქმნის მრავალ კარგ ნავთსადგურს და ზღვის უბეს: აღმოსავლეთით—მარათონისას, ხოლო დასავლეთით, ათენის ნავსადგურებს გარდა, ელევსინისას. ამ სამკუთხედზე აღმართულია მთების რამდენიმე ჯგუფი, მათ შორის—ტყით დაფარული პარნეტი და მარმარილოთი მდიდარი პენტელიკი კითერონის გაგრძელებაა. პენტელიკსა და ევბეის ზღვას შორის მდებარეობს მარათონის ჭაობიანი ველი. პენტელიკიდან გამოიყოფა და სამხრეთით მიემართება მარმარილოთი და საუცხოო თაფლით განთქმული გიმეტი. შემდეგ აღსანიშნავია ლავრეიონის მთაგრეხილი, რომელიც მდიდარი იყო ვერცხლის მაღაროებით. ატიკის უდიდესი ნაწილი ქვა-კლდეს უკავია და მხოლოდ აქა-იქ მოჩანს პატარა ნაყოფიერი ადგილები, სადაც ბალ-ენახებია გაშენებული. დიდად ღარიბია ატიკა წყლითაც. კეფისი, რომელიც პენტელიკიდან გამოდის, კიდევ შეიკავდა იმდენ წყალს, რომ შესართავთან მოერწყო მიწა, მაგრამ ილისი, რომელიც გიმეტიდან მომდინარეობს, სრულებით იკარგება ველის ნიადაგში. ამიტომ ატიკაში განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდენ წყლის განაწილებასა და წყაროებსა და ჭებს.

მიწის სივიწროვესა და ნიადაგის სიმწირესთან ერთად უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი უარყოფითი მოვლენა, რომელიც ატიკის ბუნებას ახასიათებს: ნიაღვრები არამც თუ მთებიდან, არამედ ხშირად ველიდანაც კი იტაცებს ნიადაგის ზედა ფენებს და მათ ადგილას აუცილებელი ხდება ხელოვნური ნიადაგის შექმნა მძიმე შრომის მეოხებით.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ატიკის სამეურნეო ცხოვრებაში მიწის დამუშავებას დიდი და ერთ დროს გაბატონებული ადგილი ეკავა. თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მესაქონლეობას, ფრინველების მოშენებას, მეფუტკრეობასა და ხეთის ხილის კულტურას.

დროთა მსვლელობაში მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან ერთად ატიკის მწირი ნიადაგი უკვე ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და აუცილებელი გახდა პურის შემოტანა. ამიტომ ატიკის მცხოვრებლები ადრე გახდენ იძულებულნი უდიდესი ყურადღება მიექციათ მეზღვაურობის განვითარებისათვის, რისთვისაც ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა მათი მხრის გეოგრაფიული მდებარეობა, და ხელსანობის გაფართოვებისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებისათვის (კერამიკის წარმოება, ლავრეიონის მაღაროების დამუშავება და სხვ.)

ასეთ მხარეში წარმოიშვა ძველი საბერძნეთის ისტორიაში სახელგანთქმული ათენის სახელმწიფო. მართალია, მისი ძველი ისტორიის შესახებ სანდო და გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ერთ დროს ატიკა რამდენსამე დამოუკიდებელ თემს წარმოადგენდა.

ისეთი მიკენური ნაშთები ატიკაში, როგორიცაა დიდი გუმბათოვანი სამარხები აქარნეში და თორიკოსში, ადასტურებს ტრადიციას იმის შესახებ, რომ

ატიკაში ათენის აკროპოლისის სასახლეს გარდა ათენისაგან დამოუკიდებელი კიდევ რამდენიმე მთავრის საჯდომი არსებობდა [46].

სახელოვანი ისტორიკოსი თუკიდიდე გარკვევით გადმოგვცემს, რომ შორეულ წარსულში ატიკა დანაწილებული იყო რამდენსამე დამოუკიდებელ თემად და თითეულ მათგანს საკუთარი საბჭო და პრიტანეიონი ჰქონდა; შემდეგში მოხდა სინოიკისმი, რომლის გატარებასაც იგი თეზეოსს მიაწერს. მისი სიტყვით: მან „გააუქმა სხვა ქალაქების საბჭოები და ხელისუფლებანი, ყველა მცხოვრები გააერთიანა ახლანდელი ქალაქის გარშემო და დააწესა ერთი საბჭო და ერთი პრიტანეიონი...“ (II, 15).

არქეოლოგიური აღმოჩენები და აგრეთვე სხვადასხვა მოსაზრება საროწმუნოდ ხდის ატიკის ძველი დანაწილების შესახებ ტრადიციას და თუკიდიდეს ცნობას. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ელევსინი ერთს დროს ათენისგან დამოუკიდებელ თემს წარმოადგენდა; ამაზე მიგვითითებს, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ გათხრების საშუალებით დადასტურდა ელევსინის ველსა და ათენს შორის სიმაგრეების არსებობა, რაც თავისთავად ადასტურებს მათ შორის ძველად მტრულ ურთიერთობას. ამას გარდა შემდგომ ხანაშიც კი ელევსინს შენარჩუნებული ჰქონდა საკუთარი ფულის მოჭრის უფლება. დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ათენისგან მარათონის ტეტრაპოლისი და სხვ. ამგვარად, ათენის სახელმწიფო, სპარტის სახელმწიფოსაგან განსხვავებით, არა დაპყრობის შედეგად წარმოიშვა, არამედ აქ ადგილი ჰქონდა უფრო წმინდა სინოიკისმს.

ზოგიერთი მკვლევარი (მაგ. C. Wachsmuthn) ფიქრობს, რომ თავდაპირველად ათენიც რამდენსამე თემად იყო დანაწილებული და ამიტომ ჯერ მოხდა ათენის გაერთიანება და უფრო გვიან კი მთელი ატიკისაო [47]. ეს მოსაზრება საეურადღებო ჰიპოთეზაა, რომელიც ერთგვარად შეესაბამება ტრადიციას იონისა და შემდეგში თეზეოსის მიერ გატარებულ სინოიკისმის შესახებ.

ცხადია, საუკუნეთა განმავლობაში და, ალბათ, არა უადრეს VIII ს-ის დასაწყისისა ათენმა შესძლო თავის ხელქვევით გაეერთიანებინა მთელი ატიკა, რაც შემდეგში თეზეოსის სინოიკისმს მიაწერეს. როგორც ბერძენთა სხვა მხარეში, აქაც პირველად თეგის სათავეში მეფე იდგა, მაგრამ ათენის მეფეების ხანა დიდი სიბნელით არის მოცული და ისტორიული გაშუქებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

ბნელით არის მოცული აგრეთვე მონარქიიდან არისტოკრატიის ხელისუფლებაზე გადასვლის პროცესი. ამის შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ სხვადასხვა სახის თქმულება. ერთის მიხედვით—მეფე კოდრმა თავი შესწირა თვისი ქვეყნის კეთილდღეობას და ამიტომ ათენელებმა ღირსად აღარავინ სცვნეს მის შემდეგ მეფობისა და იგი გააუქმეს. ნამდვილად კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ათენის არისტოკრატულმა გვარებმა თანდათან შეზღუდეს მეფის უფლებები და ბოლოს სავსებით მიითვისეს მისი ხელისუფლება (ამ პროცესზე საუბარი საერთოდ ქვემოთ გვექნება). მათ ჩამოართვეს კოდრის დინასტიას სამეფო ტიტულის შემკვიდრეობით მიღების უფლება და დააწესეს მისი გადაცემა ამ დინასტიის წევრებიდან სიცოცხლეულად არჩეული პირის ხელში. ამგვარად, ძველი მეფე სიცოცხლეული არქონტით (ἄρχων—მმართველი, ბრძანებელი) შე-

იცვალა. შემდეგში მათი მმართველობის ვადა 10 წლით განსაზღვრეს და ამ უმაღლესი თანამდებობის არჩევით დაკავების უფლება მიენიჭა ყველა არისტოკრატული გვარის წევრებს და არა მხოლოდ კოდრიდებს. ბოლოს არქონტს ირჩევდენ მხოლოდ ერთი წლით. მათი სია 683/2 წლიდან იწყება.

ამას შემდეგაც აქაც ისე, როგორც რომში—rex sacrorum—ძველი მეფის ხელისუფლების ერთგვარ ნაშთს განასახიერებდა ბასილევსი, რომელიც განაგებდა უმთავრესად კულტსა და მასთან დაკავშირებულ საქმეებს. ამ მხრით, სხვათა შორის, ძველი დროის საყურადღებო გამოძახილს წარმოადგენდა ბასილევსის ცოლის—„დედოფლის“ ღმერთ დიონისესთან შეუღლების წესი. არქონსტსა და ბასილევს მიემატა პოლემარქოსი და თესმოთეტი. პოლემარქოსი—(მხედართთავარი) განაგებდა ომის საქმეებს და მეთაურობდა ლაშქარს, აგრეთვე, რადგან ძველად „უცხო“ და „მტერი“ იდენტური ცნებები იყო, ამიტომ მის განკარგულებაში იმყოფებოდა უცხოელების საქმეებიც.

თესმოთეტები ემსახურებოდენ სამართლის წარმოებას. არსებობს მოსაზრება, თითქოს თავდაპირველად თესმოთეტები სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეების მდივნები იყვნენ და მხოლოდ შემდეგში შექმნეს მათ დამოუკიდებელი კოლეგიუმი, რომლის მოვალეობას სასამართლოს ჩვეულებათა დაცვა და ზოგიერთი საქმის განხილვა შეადგენდა[48]. მაგრამ ძნელია ასეთი მოსაზრების გაზიარება, რადგან მის დასამტკიცებლად წამოყენებული საბუთები სავსებით დამარწმუნებლად და საკმარისად ვერ ჩაითვლება.

დროთა მსვლელობაში პირველ არქონტს მიემატა ეპიტეტი ეპონიმისა, რადგან მისი სახელის მიხედვით წარმოებდა წელთაღრიცხვა, დანარჩენი უმაღლესი თანამდებობის პირებს კი მიაკუთვნეს აგრეთვე არქონტის სახელწოდება, მაგ. არქონტი—ბასილევსი.

ძველი მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა და უმაღლეს მოხელეთა შორის მისი ასეთი თანდათანობითი დანაწილების ნიადაგზე წარმოიშვა მმართველობის ახალი აპარატი, რომელიც უფრო შეესაბამებოდა სახელმწიფოში გაბატონებულ წარჩინებულთა წრის ინტერესებსა და სურვილებს.

დიდი ადგილი ჰქონდა მიკუთვნილი იმ დროის ათენის სახელმწიფოში განსაკუთრებულ საბჭოს, რომელიც არესის გორაკზე იკრიბებოდა და ამიტომაც ა რ ე ო პ ა გ ი ეწოდებოდა[49]. იგი მონარქიის დროის წარჩინებულთა საბჭოს მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და არსებითად სახელმწიფოს უმაღლეს მეთვალყურედ ითვლებოდა.

ამ დროის ატიკის მოსახლეობა ს ო ც ი ა ლ უ რ ა დ სამ წოდებად იყო დაყოფილი; პირველს ეკუთვნოდენ ე ვ პ ა ტ რ ი დ ე ბ ი („კეთილშობილნი“), რომელთაც შედარებით თვალსაჩინო მამულები ჰქონდათ და მათ ხელშივე იყო პოლიტიკური ძალაუფლება; მეორეს გ ე ო მ ო რ ე ბ ი (მიწისმოქმედნი)—წვრილი მიწის მეურნეები, რომელთა პოლიტიკური როლი უმნიშვნელო იყო; და, დასასრულ, მესამეს—დ ე მ ი უ რ გ ე ბ ი (ხელოსნები), რომლებიც უმთავრესად ხელოსნობას მისდევდენ.

ძველად ასეთ წოდებებად დანაწილებას აგრეთვე თეზეოსს მიაწერდენ. მის ბიოგრაფიაში (XXIV—XXV) პ ლ უ ტ ა რ ქ ი აღნიშნავს, რომ თეზეოსმა სინო-

იკისმის გატარების დროს ყველა თანასწორი უფლებებით მიიწვია, მაგრამ ახალი წყობილებისათვის რომ გარკვეული სახე მიეცა, დაანაწილა მცხოვრებნი სამ წოდებად და ევპატრიდებს განსაკუთრებული ადგილი მიაკუთვნა: მათი საქმე იყო თანამდებობების დაკავება, სარწმუნოების მოწესრიგება და ღმერთებისა და ადამიანების კანონთა განმარტება; ისინი განირჩეოდენ პატივით, გეომორები სარგებლიანობით, დემიურგები კი—რიცხვით. რასაკვირველია, მთელი ეს მსჯელობა ოდნავ არ შეესაბამება სინამდვილეს.

თეზეოსი რომ ისტორიულ პიროვნებად ჩაეთვალოთ, მაინც შეუძლებელია ძველი ატიკის ისტორიული პროცესის მიმდინარეობაში წარმოშობილი სამი წოდება მის მიერ გატარებულ დანაწილებად წარმოვიდგინოთ. ვერც იმას დავეთანხმებით, თითქოს ამ დროს დემიურგების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ამით სხვა წოდებათაგან განირჩეოდენ. პირიქით ატიკის ამ ხანის მეურნეობის გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ მათი რიცხვი შედარებით სხვებთან მცირე უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, პლუტარქის ამ ცნობაში ჩვენთვის საყურადღებოა მხოლოდ სამი წოდების არსებობისა და მათი სახელების აღნიშვნა.

[გარდა ასეთი წოდებრივი დანაწილებისა ძველ ატიკაში არსებობდა გვარული დანაწილებაც: 4 ფილე, რომელთაგან თითოეული სამი ფრატრიისაგან შედგებოდა, ფრატრია კი—რამდენიმე გვარისაგან.] ამ დანაწილებასთან დაკავშირებულია მთელი რიგი საკითხების წარმოშობა, მაგ., რომელი უფრო ძველია: ფილე, ფრატრია თუ გვარი; შეიცავდა ასეთი დანაწილება ატიკის მთელ მოსახლეობას თუ მხოლოდ ევპატრიდებს და სხვ. ამ საკითხების გარშემო წარმოდგა მთელი სპეციალური ლიტერატურა [50], რომლის განხილვა შორს წაგვიყვანდა და ამჟამად არც საჭიროდ მიგვაჩნია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ფილეებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ და მათში გაბატონებული წარჩინებულთა წრეები თვისი ინტერესების მიხედვით მიმართავდენ სახელმწიფოს გემს.] ძველი ფილეების ასეთ მნიშვნელობას, როგორც ამას თავის ადგილას დავინახავთ, ბოლო მოუღო კლისთენმა.

V ❀ ბერძენთა კოლონიზაცია VIII—VI ს. ს. და მისი ზოგადი მნიშვნელობა.

იმ სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების გასათვალისწინებლად, რომლებიც საბერძნეთმა ამ ეპოქაში განიცადა, აუცილებლად საჭიროა გავეცნოთ ისეთ უდიდეს ფაქტს ძველ ბერძენთა ცხოვრების განვითარებაში, როგორიც იყო კოლონიზაცია.

ჩვენ ვიცით, რომ [ჯერ კიდევ მეორე ათასეული წლების მეორე ნახევარში კრეტის დაპყრობის შემდეგ აქაელების ნაწილი ჯგუფ-ჯგუფად გადავიდა მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროზე და პამფილიაში დასახლდა, სადაც დააარსა აქიავას ძლიერი სახელმწიფო [51].] აქიდან მათი ნაწილი გადასახლდა კიპრის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ამგვარად, მიკენის პერიოდშიეე ცდილობდენ ბერძენ ტომთა ნაწილები მცირე აზიის სანაპიროებსა და მის მახლობლად მდებარე კუნძულებზე დამკვიდრებას.

რა პირობები იწვევდა ასეთ მოვლენას მიკენის ეპოქაში?

ის უზარმაზარი სასახლეები, რომლებიც მიკენის მეფეებს აუგიათ, აგრეთვე მათი მოკაზმულობის სიმდიდრე და ბრწყინვალება გვაფიქრებინებს, რომ მათ სრულ მორჩილებაში და განკარგულებაში იმყოფებოდა მათი ციხე-ქალაქების გარშემო მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც დიდად უნდა ყოფილიყო დაბეგრილი სხვადასხვა მოვალეობით. ამ ხანაში, მართალია, ძლიერ იყო განვითარებული მეკობრეობა, მაგრამ, უეჭველია, თვალსაჩინო წარმატება ჰქონდა მოპოებული საზღვაო-საავჭრო ურთიერთობასაც. თვით მიკენის მთავრების ეკონომიური კეთილდღეობა, ალბათ, ამ საავჭრო უთიერთობაში მონაწილეობაზეც უნდა ყოფილიყო დამყარებული. პირველად ეს ურთიერთობა უცხოეთიდან მოსულ პირებთან პასიურ გაცვლა-გამოცვლაში გამოიხატებოდა, შემდეგში კი მან შედარებით უფრო დამოუკიდებელი ხასიათი მიიღო და საჭირო შეიქნა სამხედრო ექსპედიციების გაგზავნა ზღვის იქით ვაჭრობისათვის ახალი ადგილების მოსაპოებლად. ზოგიერთი ფაქტის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიკენური პროდუქტების ექსპორტი მეფეებისა და მთავრების ხელში იყო.

ასეთი მოვლენის გამო ივსება გაბატონებული წრეების საგანძურები და სამარხები ოქრო-ვერცხლით და მრავალი ძვირფასი სამკაულით და საერთოდ დიდად ღრმავდება განსხვავება მათი და ხელქვეითი მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და ყოფაცხოვრებაში. ამ შორეული წარსულის კოლონიზაცია „ატარებს თავისებურ ხასიათს, რომელსაც მას ანიჭებს ფეოდალიზმის ვაჭრობასთან შეერთება: ეს არის „მიწისმოქმედთა კოლონიზაცია“ (Ackerbau Kolonisation) მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელქვეითი გლეხკაცობა, ცხადია, აუცილებელი იყო, როგორც საფუძველი ახლად დასაარსებელი პოლისისათვის; მაგრამ „გვარები“ (Geschlechter), რომელთაც იგი ხელში ეკავათ, როგორც აგრეთვე მეტროპოლიის მთავრები, მოწადინებული იყვნენ სარგებლობა ვაჭრობისგანაც მიეღოთ[12].

სანამ არსებობდა ხეთელების ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს ეგეოსის ზღვამდე იყო გადაშლილი, ბერძნებისათვის უფრო ძნელი იყო მცირე აზიის სანაპიროებზე ვრცლად განსახლება. მას შემდეგ კი, რაც ბოლო მოეღო ამ სახელმწიფოს, ამ მხრით ბერძნებმა უფრო თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. მცირე აზიისაკენ მიმავალ ბერძნებს, ცხადია ჯერ ეგეოსის დიდი კუნძულები უნდა დაეკავებიათ. მართლაც, როგორც ჩანს, ჩრდილოეთელი აქაელები პირველად ლესბოსს დაპატრონებიან, შემდეგ პატარა ტენედოსს და უფრო გვიან მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროში გადასულან. ეს კოლონისტები, როგორც ვიცით, ცნობილი არიან ეოლელების სახელწოდებით.

მეორე ტალღა კოლონისტებისა ეკუთვნოდა იონურ დიალექტზე მოლაპარაკე ჯგუფებს, რომლებიც უმეტესად ატიკიდან და ევბეადან იყვნენ გამოსული. მათ მოახერხეს მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროში განსახლება. მათაც შეჰქმნეს მთლიანი ტომი იონელების სახელით. მაგრამ უფრო ცნობილია ჩვენთვის და ამასთან უფრო ღრმა მნიშვნელობისაა ბერძენთა კოლონიზაცია VIII—VI ს—ში, რომელიც მთელ მსოფლიო ისტორიაში ერთ უდიდეს ფაქტად ითვლება.

მისი მთავარი გამომწვევი პირობა დასაწყისში იყო მოსახლეობის რაოდე-

ნობის ზრდა და ამასთან მიწის სიმცირე და იმ დროის მეურნეობის მიხედვით საჭირო საკვები პროდუქტების მოპოვების სიძნელე. მოსახლეობის ზრდის საწინააღმდეგოდ იღებდენ სხვადასხვა ზომას: „ასეთი უნდა ყოფილიყო, ალბათ, იმ დროის პერმანენტული ომების მთავარი ბიოლოგიური ამოცანა“ [illegible], მშობიარობის შეზღუდვა, ახლად დაბადებულების გადაგდება ან მონებად გაყიდვა, მოხუცებულების მოკვლა და სხვ., მაგრამ ყველა ეს ზომა უძლური აღმოჩნდა შეეჩერებია მცხოვრებთა რიცხვის ბუნებრივი ზრდა. ამ მხრით შემდეგშიც კოლონიების დაარსება ერთგვარი სოციალური ზომა იყო: მათში გადაჰყავდათ მოსახლეობის ზედმეტი ნაწილი, რომელსაც ადგილობრივად აღარ შეეძლო თავის გამოკვება.

უფრო მეორეხარისხოვანი იყო ის მომენტი, რომელიც შინაურ განხეთქილებასთან და ბრძოლასთან იყო დაკავშირებული. იგი იწვევდა ნაწილობრივ ემიგრაციას: ბევრი გაურბოდა დამორჩილებოდა გამარჯვებულ მხარეს და უცხოეთში ეძებდა ახალ თავშესაფარს.

დასასრულ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა VII ს-დან კოლონიზაციის გაფართოებისათვის ვაჭრობის განვითარებას. ბუნებრივია, რომ ახალშენების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია პირველ ხანებში მაინც მეტროპოლიის წყობილების მსგავსად ეწყობოდა. საკოლონიზაციო ექსპედიციებს სათავეში უდგებოდენ იგივე წარჩინებულნი, რომლებიც ახალ ადგილას მიწების საუკეთესო ნაწილს ითვისებდენ.

მართალია, ბუნებრივია ისიც, რომ ახალ პირობებში, მით უმეტეს აღმოსაელეთის კულტურულ მხარეებთან ურთიერთობისას, ძველი ტრადიციის უცვლელად დაცვა შეუძლებელი გახდებოდა; ახალშენები უფრო ახლოს გაეცნენ აღმოსავლეთის ფუფუნების საგნებს და იწყეს მათი უფრო ფართედ შეძენა, განსაკუთრებით მათმა წარჩინებულმა წრეებმა. მაგრამ ახალშენებისათვის დიდხანს აუცილებელი გახდა მიღება მეტროპოლიის მიერ დამზადებული საგნებისა, რომლებიც მათ, ასე ვთქვათ, შეთვისებული ჰქონდათ პირვანდელ სამშობლოში. ბ ე ლ ო ხ ი ს სამართლიანი შენიშვნით, ასეთ აუცილებელ საგნებს უნდა მივაკუთვნოთ იარაღი, ლითონის ინსტრუმენტები, თიხის საოჯახო ჭურჭლეულობა, ნაქსოვები და სხვ., აგრეთვე ზეთის ხილიც. ამგვარად, ახალშენები გადაიქცენ ბერძნული პოლისების პროდუქტების მთავარ საექსპორტო პუნქტებად, და ეს გარემოება ხელს უწყობდა მეტროპოლიაში ხელოსნობისა და წარმოების განვითარებას. ხოლო ეს უკანასკნელი მომენტი კი თავის მხრით ჰქმნიდა ახალ-ახალ მეურნეო საფუძველს კოლონიზაციის გაშლისათვის.

[illegible] განსაკუთრებულ ძლიერებას აღწევს VII ს-ში, როდესაც საბერძნეთში ხდება დიდი ეკონომიური ცვლილება და მასთან დაკავშირებული ვაჭრობა-წარმოების გაფართოება და სოციალური ბრძოლის ახალი სახით გაღვივება. VI ს-ში საკოლონიზაციო ტალღა თანდათან სუსტდება და მცირდება. აღმოსავლეთით ბერძენთა სავაჭრო ურთიერთობის გავრცობას წინ ეღობება სპარსეთის ძლიერი მონარქია, რომელმაც თავის საზღვრებში მოაქცია აღმოსავლეთის, თითქმის, ყველა ცნობილი ძველი სახელმწიფო, ხოლო დასავლეთით—დიდი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი კართაგო ეტრუსკებთან ერთად. მიწის მეურნეთა ახალშე-

ნები უფრო ღრმად იჭრებოდენ ამათუიმ მხრის შუაგულში და უფრო დიდ სივრცეს ეპატრონებოდენ; სავაჭრო ახალშენები პირიქით სახლდებოდენ უფრო ნაპირებთან, სავაჭრო გზების მახლობლად, რომ ვაჭრობის ძარღვი უფრო მტკიცედ ჩაეგდოთ ხელში. ამ მხრით, სამართლიანად აღნიშნავდენ ძველადვე, რომ ისინი ისე იყვნენ განსახლებული საჭირო პუნქტების მახლობლად, როგორც ბაყაყები ტბის გარშემო, ისინი პირველ რიგში ჰქმნიდენ ემპორიებს (ἐμπόρια), ე. ი. სავაჭრო და გაცვლა-გამოცვლის პუნქტებს, სადაც ვაჭრობას აწარმოებდენ ადგილობრივ მცხოვრებლებთან. თუ ასეთი ადგილები ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა, აქვე, ემპორიების გვერდით, აარსებდენ ახალშენებს (ἄποικία) ქალაქების სახით. იმ ემპორიებს კი, რომლებიც ამ მხრით თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებდა, გვერდს უხვევდენ და მათ ნაცვლად ახალ პუნქტებს ეძებდენ.

აღსანიშნავია, რომ თავიდანვე ბერძნების კოლონიებს დიდ კონკურენციას უწევდენ ფინიკიელების ფაქტორიები, მაგრამ მათ შესძლეს უკანასკნელთა გაძევება საერთოდ, გარდა იმ ადგილებისა, რომლებზედაც ძლიერი კართაგოს მფარველობა და დახმარება ვრცელდებოდა (დასავლეთ სიცილიაში). ეს ფაქტი, სხვათა შორის, ბერძნული იმპორტის მაღალი თვისებებითაც უნდა აიხსნას. სამართლიანად უთქვამთ, რომ კონკურენტმა, რომელმაც იტალიაში ეგრეთწოდებული ფრანსუას ვაზა* მიიტანა, მოსპო იქ ფინიკიელებიო[54].

მთავარი პუნქტები,* საიდანაც მიემართებოდა ბერძნული კოლონიზაცია VIII—VII ს., იყო უმთავრესად მცირე-აზიელი იონელების ქალაქები, განსაკუთრებით მილეტი, ფოკეა და ნაწილობრივად კუნძ. სამოსი, საკუთრივ საბერძნეთში კი—ეგეას ქალაქები—ქალკიდა და ერეტრია, კორინთო და სხვ. შავი ზღვის ნაპირების დასახლება ბერძნებით უმეტეს ნაწილად მილეტელების საქმე იყო, ხოლო მათთან ერთად მოხსენებულ უნდა იქნენ მეგარელები, რომლებმაც დაარსეს ბიზანტია, ქალკედონი ბოსფორთან, ჰერაკლეა პონტიკა და სხვ. ამ მიდამოებში მილეტელები პირველ ადგილს იკავებენ VII ს-ის დასაწყისში მას შემდეგ, რაც მეფე გიგესის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ მათ ლიდიის შიდა-ხარეთთან კავშირი დაუხშო და ამით ბაბილონთან ურთიერთობაც შეუძლებელი გახადა. მას შემდეგ, რაც მათ დაიკავეს ჰელესპონტის სამხრეთი ნაპირი, თამამად შეიჭრენ საშიშარ „არა-სტუმართმოყვარე“ ზღვაში (ἄξεινος) და ამით იგი, თითქოს, „სტუმართმოყვარე“ ზღვად (Πόντος Εὔξεινος) აქციეს. სწორედ აქ სკადეს მათ პირველად თვისი ემპორიების დაარსება[55] სამხრეთ ნაპირთან მდებარე. პირველად სინოპი დაიკავეს, რომ შემდეგ სხვა ნაპირებზედაც გადასულიყვენ. ასე წარმოდგა დასავლეთით ტომოი და სხვ., ჩრდილოეთით—უწინარეს ყოვლისა ტირასი დნესტრის შესართავთან და ოლბია ბუგთან, ყირიმში თეოდოსია და პანტიკაპეა (ქერჩი), აღმოსავლეთით—დიოსკურია. ამით ბერძნებმა ფეხი მოიკიდეს იმ მხარეებში, რომლებზედაც მიდიოდა ძველი მსოფლიო სავაჭრო გზები. სინოპიდან მათ მოახერხეს დაკავშირება ბაბილონთან და ცენტრალურ აზიასთან. სხვათა შორის ის ცნობილი სავაჭრო გზა, რომლითაც, სტრაბონის ცნობით[56], საქონელი მიჰქონდათ ინდოეთიდან საბერძნეთსა და

* ლაპარაკია ბერძნულ ვაზაზე, რომელიც შემკულია ძვირფასი სურათებით; ასე ეწოდება მას ძველი პატრონის სახელის მიხედვით.

სხვა მხარეებში, ჩვენს ქვეყანაზე მიდიოდა. ჩრდილოეთის ახალშენები დიდი მდინარეების საშუალებით მიეზიდებოდენ რუსეთიდან ხორბლეულობას, ხე-ტყეს, მატყლს, ტყავს, მონებსა და სხვ. ყირიმი მათთვის იყო უაღრესად ნაყოფიერი ხორბლეულობის ქვეყანა—ბეღელი. იონური გაცვლაგამოცვლის საგნები შორს იყო გავრცელებული ჩრდილოეთით, ასე ძველიიონური თიხის ნაწარმოებები კიევამდე იქნა აღმოჩენილი. უმეტესად მწირენიადაგიანი და მცირემოსავლიანი საბერძნეთისათვის პურით მომარაგების მხრით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დაკავშირებას შავი ზღვის ფრიად ნაყოფიერ ჩრდილოეთ სანაპიროსთან. ამ წმინდა სამეურნეო ხასიათის ურთიერთობის დროს მილეტელმა ვაჭრებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე კულტურული გავლენაც მოახდინეს, როგორც ეს ბრწყინვალედ დაგვიმტკიცა დიდმა არქეოლოგიურმა მუშაობამ კერჩში. მათი მეოხებით ბერძნულმა ხელოვნებამ სკვითების ხელოვნებაზედაც კი იქონია გავლენა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ პანტიკაპეას კოლონისტები 5/4 საუკუნეშიც კი აგებდენ გუმბათოვან სამარხებს. ესენი და აგრეთვე მათში აღმოჩენილი ოქროს ფიცარნი სპირალებითა და პეპლებით საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, რომ მიკენელების მიერ ოდესღაც მცირე აზიის ნაპირების დაკავებისას იქ გადატანილ იქნა მიკენური კულტურის ელემენტები [57].

თრაკიის სანაპიროში მდწის მეურნეობის ახალშენები დაარსეს ქალკიდამ და ერეტრიამ. ქალკიდიკა მთლიანად იონური გახდა კორინთოს ახალშენ პოტიდეამდე. ხოლო მაკედონიის სანაპირო დაიკავეს ევბეას ახალშენებმა, ოქროთი მდიდარი კუნძული თასოსი კი პაროსის კოლონისტებმა. აგრეთვე ტროაც ახლა ლესბოსელების მიერ იქნა დასახლებული. როგორც ვიცით, აღმოსავლეთით იონელებმა სცადეს კილიკიაში შეჭრა, რომ აქიდან ბაბილონთან დაკავშირებისათვის მიეღწიათ, მაგრამ უკუქცეულ იქნენ; შემდეგში მათ მაინც მოახერხეს აქ ცალკეული პუნქტების დაკავება. სირიის სანაპიროებზე არ გვხვდება არც ერთი ბერძნული ახალშენი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ აქ ასირია იყო გაბატონებული. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ფინიკიის ქალაქებში ბერძენთა ვაჭრები ნამდვილად აწარმოებდენ სავაჭრო ოპერაციებს. უკვე იყო ნათქვამი, რომ ასირიის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში ეგვიპტეს დიდი დახმარება აღმოუჩინეს ბერძენმა მეომრებმა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ აქ ფეხი მოიკიდეს ბერძენმა ვაჭრებმაც. პირველად მილეტელებმა ბოლბიტინის შესართავთან დააარსეს ფაქტორია (τὸ Μιλησίων τεῖχος=„მილეტელების კედელი—სიმაგრე"), შემდეგში კი ნილოსის კანობის ტოტთან, დღევანდელ ნებირეჰთან, ცნობილი ნავკრატისი, რომელმაც თანდათან გარკვეული ორგანიზაცია მოიპოვა, როგორც ქალაქმა. მაშინ როდესაც ნავკრატისი, ალექსანდრიის დაარსებამდე ეს ცალკეული ბერძნული ქალაქი ეგვიპტეში, სავსებით განვითარებული პოლისი გახდა, ის ბერძნები, რომელთაც სურდათ ეგვიპტეში არა მოქალაქის უფლებების მოპოვება, არამედ დროებით დარჩენა სავაჭრო მიზნით, ქალაქის გარეთ აარსებდენ თავის ემპორიებს. დიდ სავაჭრო ცენტრებს მილეტს, სამოსს და ეგინას ჰქონდა თავისი საკუთარი ემპორიები შესატყვისი მფარველი-სალვთხელებით (აპოლონის, ჰერას და ძევსის), დანარჩენთ კი, რომელთაც იონური, ეოლური და დორიული ქალაქები ეკუთვნოდა, საერთო ემპორია „ჰელენიო-

ნით“, სადაც „ჰელენების ღმერთებს“ სცემდენ თაყვანს [58]. აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროში დორიული თერას მიერ VII ს-ში დაარსებულ იქნა ახალშენი—კირენე. მის მეტროპოლიაში ჯერ კიდევ დაცული იყო მონარქია და აქაც გადმოტანილ იქნა მეფის ხელისუფლება (ბატიადები). ეს ახალშენი თვლსაჩინო ეკონომიურ წარმატებას აღწევს მიწის მეურნეობისა და მესაქონლეობის მეოხებით, აგრეთვე სილფიონის* ექსპორტით, რომლის მონოპოლია მეფის ხელში იმყოფებოდა. კირენის საშუალებით გაეცვნენ ბერძნები სივას ოაზისის ამონის მისანს.

დასავლეთით ბერძენთა ახალშენების განსახლების შესახებ უნდა ითქვას, რომ VIII ს-ის ნახევარში ბერძენთა კოლონისტები გადავიდენ ქვედა იტალიასა და სიცილიაში. მაგრამ ეს არ იყო, ასე ვთქვათ, ამ მხარეების პირველი აღმოჩენა ეგეოსის სამყაროსათვის, როგორც ამას წინათ ფიქრობდენ. პირიქით ახალმა გათხრებმა ცხადჰყო, რომ მას უკვე III—II ათასეულ წლებში ჰქონდა დასავლეთის ამ ქვეყნებთან საზღვაო და სავაჭრო ურთიერთობა. დღემდე დაცულია ქვედა იტალიისა და სიცილიის სხვადასხვა ადგილას კრეტა-მიკენური ხელოვნების პროდუქტები. დაახ. მეორე ათასეული წლების დასასრულს ეგეოსის კულტურის წრეს უნდა გამოჰყოფოდენ ტვირსენელები (ეტრუსკები) და იტალიაში უნდა გჰდასულიყვენ. მაგრამ VIII ს-ში ბერძნების მისელას ამ მხარეებში მათი ახალი კულტურით მაინც ახალი დროის ცისკრის მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პირველად მათ შეუწყვეს ხელი თვისი გავლენით იტალიისა და სიცილიის ხალხების კულტურულ ამაღლებას.

პირველად ქალკიდელებმა დააარსეს სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროში ახალშენები—ნაქსოსი, კატანა და დაიკავეს კუნძული ორტიგია. იტალიაში უძველეს ქალკიდურ მოსახლეობას ეკუთვნის აგრეთვე კუმე კამპანიის სანაპიროში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შუა-იტალიის, განსაკუთრებით ლათინთა და ეტრუსკების, კულტურაზე.

სხვადასხვა ბერძენი ტომისა და ქალაქის სიცილიაში ურთიერთშორის ქიშპობის შედეგი ის იყო, რომ სირაკუსისა და მეგარა ჰიბლეას გამოკლებით, მისი აღმოსავლეთი და ნაწილობრივ ჩრდილოეთი სანაპირო იონური გახდა, სამხრეთი სანაპირო—დორიული, ხოლო დასავლეთი ნაწილი კი ძლიერი კართაგოს მეოხებით ისევ ფინიკიელების ხელში დარჩა. მაშინ, როდესაც სიცილიის ქალაქები უმთავრესად სავაჭრო ახალშენებს წარმოადგენდენ, ტარენტის ზღვის ყურესთან დაარსებული ბერძნული ქალაქები—კროტონი, სიბარისი, მეტაპონტი და სხვ.—მიწის მეურნეობის ახალშენები იყვენ. კროტონი და სიბარისი დროთა მსვლელობაში დიდად გაიზარდენ და ფართო გავლენა მოიპოვეს. ხოლო სპარტის მიერ დაარსებული ტარენტი მოკლე დროში გახდა ძლიერ სავაჭრო ქალაქად.

მცირე აზიიდან გამოსულმა ფოკეელებმა მოახერხეს უფრო შორს, იტალიისა და სიცილიის იქით, შეჭრა და დაახ. 600 წელს დააფუძნეს ახალშენი—მასალია (მარსელი) რონის შესართავის მახლობლად; აქედან შემდეგში მათ ფეხი

* აფრიკული მცენარეა, რომლის წვენს წამლად და საკაზმავად ხმარობდენ.

მოიკიდეს ესპანიის აღმოსავლეთ სანაპიროს ზოგიერთ პუნქტში და დაუახლოვდენ ტარტესის მხარეს.

ბერძენი კოლონისტების ასეთ ფართო განსახლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საბერძნეთის პოლისების შემდგომი სოციალურ პოლიტიკური განვითარებისათვის. მართალია, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, კოლონიზაცია პირველ ხანებში უმთავრესად მიწის მეურნეობის ხასიათს ატარებდა, მაგრამ ახალი პირობების გამო მრავალი ახალშენი თვალსაჩინო სავაჭრო ცენტრად გადაიქცა. ამ მოვლენამ კი დიდი გავლენა მოახდინა საბერძნეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე. უკვე იყო ნათქვამი, რომ ახალშენებმა გააკენეს მეტროპოლიას აღმოსავლური პროდუქტები, ხოლო მეორის მხრით მათ დიდხანს ესაჭიროებოდა მეტროპოლიის მრავალი ნაწარმოები და ამ გზით მათ შორის წარმოებდა ბუნებრივი გაცვლა-გამოცვლის პროცესი: ახალშენები გახდენ ბერძნული პოლისების პროდუქტების პირველ საექსპორტო პუნქტებად. ამ გარემოებამ კი გააართულა საბერძნეთის ეკონომიური ცხოვრება და საბაბი მისცა მისი ხელოსნობა-წარმოების გაფართოებას.

პირველად ვაჭრობა უფრო ახალშენებში, განსაკუთრებით მცირე აზიის ქალაქებში, იყო ძლიერი. მათ შორის კი უპირატესი ადგილი მილეტს უნდა მიეკუთვნოს, რომელიც იმ დროს ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი იყო. მან განავითარა საფეიქრო მრეწველობა, რომლისათვისაც საჭირო ნედლ მასალას უხვად იძლეოდენ მეზობელი მხარეები. მილეტის ჭრელი მატყლის ქსოვილები იტალიამდე იყო გავრცელებული.

საკუთრივ საბერძნეთში თავდაპირველად რამდენიმე სავაჭრო ცენტრი არსებობდა: ევბეას ქალაქები ქალკიდა და ერეტრია, შემდეგ მეგარა და კორინთო. VI საუკუნიდან კი ამ მხრით დიდად ამაღლდა ათენი, რომელმაც მალე გაბატონებული მდგომარეობაც კი მოიპოვა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კოლონიზაციას საბერძნეთის მოსახლეობის პურითა და ნედლეულობით უზრუნველყოფის მხრით.

ახალშენებსა და მეტროპოლიას შორის წესიერი მუდმივი ურთიერთობის განმტკიცებამ აუცილებელი გახადა ნაოსნობის გაუმჯობესებაც. საჭირო შეიქნა სავაჭრო ფლოტის აგება და პირატებისაგან თავდაცვის მიზნით კი სამხედრო გემების მოწყობა. ამასთან ძველი მოუხერხებელი ორმოცდაათნიჩბიანი გემის ადგილი დაიკავა ტრიერებმა, გემებმა სამი წყება მენიჩბეებით.

ახალშენებშიც უფრო ადვილი იყო ძველი სოციალურ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ტრადიციების დარღვევა, და ახალ სამეურნეო და გეოგრაფიულ პირობებში მართლაც უფრო აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა ბერძენთა ძველი ყოფა-ცხოვრების დაშლა.

ახალშენების საშუალებით ბერძნული კულტურის თესლი უხვად მიმოიბნა სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო მეორის მხრით ბერძნებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა სხვა ხალხების კულტურა. ამ ფაქტს კი საერთო კულტურული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ ახალშენებში წარმოიშვა პირველად ბერძენი ტომების საერთო სახელი — „პან-ჰელენეს“ და უფრო გარკვევით გამოისახა მათი დამოკი-

დებულება სხვა ხალხებისადმი: ყველა ხალხს, რომლებიც არა ბერძნულად ლაპარაკობდენ და, მათი სიტყვით, „გაუგებრად ტიტყინებდენ", მათ „ბარბაროსები" უწოდეს [39].

5. საბერძნო ურთიერთობათა მოწესრიგების ცდები.

როგორც დავინახეთ, კოლონიზაციამ უაღრესად შეუწყო ხელი ბერძენი ტომების ვაჭრობის უდიდეს განვითარება-გაფართოებას. მაგრამ მის წესიერ მიმდინარეობას ძლიერ აფერხებდა იმ დროს ფრიად გავრცელებული ყაჩაღობა, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. ჯერ, თითქმის, მუდმივი ომიანობის გამო ყველაზე მეტად ზარალდებოდენ ვაჭრები, რომელთაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაჰქონდათ თვისი საქონელი. მაგრამ ამ მხრით საქმეს განსაკუთრებით აფერხებდა ყაჩაღობა და ვაჭრებზე თავდასხმა. თუკიდიდეს სიტყვით, მცხოვრებლები სცარცავდენ ერთიმეორეს ხმელეთზედაც და იარაღის ტარების ჩვეულებაც ხმელეთის ხალხს ამ ხელობისაგან აქვს შეთვისებულიო (Thuc, I, 5). ერთგვარ საპატიო ხელობად ითვლებოდა სხვა მხარის მოგზაურებზე თავდასხმის ორგანიზაცია. მხოლოდ სტუმართმოყვარეობის კავშირსა და სათანადო სარწმუნოებრივი ცერემონიების შესრულებას თუ შეეძლო. გადაერჩინა სიკვდილისაგან ასეთი მოგზაური.

საბერძნეთის ზღვების მრავალი მოფარებული ყურე და პატარა კუნძული მშვენიერი თავშესაფარი იყო სხვადასხვა ჯურის ყაჩაღისათვის. მეკობრეები თავს ესხმოდენ არა მარტო გემებს, არამედ გაუმაგრებელ ქალაქებსაც. ასეთი მეკობრეობა მაშინ არამც თუ სამარცხვინოდ, არამედ საპატიო ხელობად ითვლებოდა და მას არ ერიდებოდა მრავალი წარჩინებული პირიც. მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში სამოსის ტირანის პოლიკრატეს, რომელსაც პირატების მთელი ფლოტი ჰყავდა (Herod. III, 39), მამა ეაკი ჩვენ დრომდე დაცულ წარწერაში სიამაყით სწერავს ჰერას მეკობრეობით მოპოებული ნადავლის მეათედს. საერთოდ სამართლიანად აღნიშნავს ბელოხი[40]: „საშოვრის ყველაზე უფრო კეთილშობილ სახედ ითვლებოდა მეზობელი ტომის საქონლის გარეკვა, ან ზღვაზე ამოცურება ჩქარ გემებზე, რომ მოულოდნელად მიდგომოდენ უცხო ნაპირებს და მოეხდინათ მათი გაცარცვა. მოპირდაპირე მხარეც, რასაკვირველია, არ დააყოვნებდა, ასეთივე პასუხი გაეცა მათთვის, ამიტომ მთელი ეს ეპოქა სავსეა მუდმივი მტრობით. თითოეული ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო იარაღით დაეცვა თვისი სიცოცხლე და ქონება; ხმალი განუყრელი თანამგზავრი იყო მამაკაცისა; სახლიდან გარეთ უიარაღოდ არავინ არ გამოდიოდა". მეკობრეობა განსაკუთრებით ძლიერი იყო ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი ნაპირის კუნძულებზე, სადაც ერთი მეორეს ხვდებოდენ ბერძნები, კართაგენელები, ფინიკიელები და ეტრუსკები. ყაჩაღების შიშით უცხო ვაჭრები ერთ დროს სიცილიაში საქონლით მისვლას ვერ ბედავდენ (Strabo, VI, 22).

გარდა მეკობრეობისა ბერძენთა ქალაქებს შორის ხშირი იყო გარკვეული პუნქტების გარშემო ხანგრძლივი დიდი დავა; მან VII ს-ში საერთო-ბერძნული ხასიათი მიიღო. ეს ომი ცნობილია ლელანტის სახელწოდებით, რადგან მისი

გამომწვევი საბაბი იყო ქალკიდასა და ერეტრიას შორის ბრძოლა ლელანტის ველის გარშემო.

ცხადია, ზემოთ დახასიათებული მოვლენა უეჭველად დიდ დაბრკოლებას ჰქმნიდა ვაპრობის წესიერი სახით და საჭირო მოცულობით მიმართვისათვის. ბერძნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი სამწუხარო მოვლენის წინააღმდეგ ისინი თავიდანვე იღებდენ სათანადო ზომებს. თანდათან ვრცელდება ქალაქთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულებათა (συμβολα) დადება ურთიერთის დახმარებისა, ცალკე მოქალაქეთა დაცვისა და სადაო საკითხების სამედიატორო სასამართლოს საშუალებით გადაწყვეტის შესახებ. საზოგადოდ, არბიტრაჟის იდეა საბერძნეთში ძველადვე განვითარდა; აქ ძველი დროიდან დაწყებული საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო თვალსაჩინო როლს თამაშობდა და დროთა მსვლელობაში გარკვეული გამოხატულება მიიღო. ზოგიერთი დადგენილებათაგანი, რომელიც ჩვენს ხანაში ჰაგის კონვენციამ შეიმუშავა, უკვე ხორცშესხმული იყო ძველ საბერძნეთში [61]. თვით ბერძნები თვისი არბიტრაჟის დასაწყისს მითურ დროს მიაწერდენ, მაგრამ უფრო სამართლიანი იქნება იგი VII ს-ის დასასრულს მივაკუთნოთ.

ყველაზე უფრო ძვირფასი უპირატესობა, რომელსაც პირველ ხანებში ერთიმეორეს ანიჭებდა საბერძნეთის ორი ქალაქი, იყო უარის თქმა კერძო მისაგებელზე და აქედან გამომდინარე პიროვნებისა და მისი ქონების უზრუნველყოფა დარბევისაგან (ἀσυλία და ἀσφάλεια). ხელშეუხებლობა ჩვეულებრივად ვრცელდებოდა როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. მისი ყოველი დარღვევა ისჯებოდა გარკვეული ჯარიმით და, რასაკვირველია, პირველ რიგში განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვენ გატაცებული პირები მათი ქონებით. ამას გარდა უფრო ხშირად სდებენ ურთიერთშორის სავაპრო და საკავშირო ხელშეკრულებათ. მეორის მხრით, ვგონებ, VII ს-ის დასასრულში დამყარდა საბერძნეთში ჩვეულება, რომლის მიხედვით თითოეული სახელმწიფო მეორე სახელმწიფოში ადგილობრივ გავლენიან მცხოვრებთაგან ირჩევდა განსაკუთრებულ პირებს—პროქსენებს, რომელთა მოვალეობას შეადგენდა მათ ქალაქში ამ სახელმწიფოდან მისული მოქალაქეების პიროვნებისა და ქონების დაცვა და მფარველობა. პროქსენიის ინსტიტუტი თანამედროვე კონსულებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობას მოგვაგონებს, ხოლო იმ უმთავრესი განსხვავებით, რომ პროქსენი მარწმუნებელი სახელმწიფოს მოქალაქე კი არ იყო, არამედ სხვა ქალაქის წევრი. ამის მიხედვით, მაგ., ათენის ინტერესებს კორინთში არა ათენიდან წარგზავნილი მოქალაქე იცავდა, არამედ კორინთელი, რომელსაც ათენისაგან რაიმე დამსახურების გამო პროქსენის ღირსება ჰქონდა მინიჭებული. პროქსენს მისი მოღვაწეობისათვის მისი მარწმუნებელი ქალაქი—სახელმწიფო თავის ფარგლებში განსაკუთრებულ პრივილეგიებს აძლევდა [62]. თუ, ამგვარად, ბერძნულმა პოლისებმა ერთიმეორისადმი ურთიერთობაში ერთგვარ გარკვეულ შედეგს მიაღწიეს, უფრო ძნელი გახდა მეკობრეობის მოსპობა. ზოგიერთი ქალაქი, განსაკუთრებით კორინთო დიდ და გადამჭრელ ზომებს იღებდა მის წინააღმდეგ, მაგრამ ბერძნული ვაპრობის ამ ღრმა იარის საბოლოოდ თავიდან აცილება, თითქმის, შეუძლებელი გახდა.

6. ხამეფო ხელისუფლების დაცემა, გლეხობის მძიმე მდგომარეობა კეთილშობილთა გატაცების ძვეშ. ჰესიოდე. ფულის მოჯრის შემოღება. საკრებულო მონობის წარმოშობა. დაწერილი კანონები.

ამ წიგნის პირველ ნაწილში (გვ. 105 შმდ.) უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ პოლისის, ქალაქის სახელმწიფოს, განვითარება და გაძლიერება პირველ რიგში სასარგებლო აღმოჩნდა „კეთილშობილთა“ წრეებისათვის. რაკი განსაზღვრულ ადგილას—ქალაქში იქნა დაფუძნებული სახელმწიფო აპარატი, აქეთ გამოეშურენ კეთილშობილთა ოჯახებიც. მეორის მხრით საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებანი თანდათან გართულდა და, სხვათა შორის, აუცილებელი გახდა მეფეების უახლოესი თანამშრომლებისა და მოხელეების შტატის შექმნა. თავისთავად ცხადია, ასეთი პირები კეთილშობილთა წრეებს უნდა მიეცა და ამგვარად ამ უკანასკნელთ საშუალება მიენიჭათ სახელმწიფოს გამგებლობაში უფრო მახლობელი მონაწილეობის მიღებისა. ე ი ლ კ ე ნ ი ს სიტყვით, პოლისის განვითარებამ დიდი ზეგავლენა იქონია კეთილშობილთა მნიშვნელობის ამაღლებაზე და იმ აუცილებელი საჭიროების წარმოშობაზე, რომელიც მეფის გვერდით განსაკუთრებული მოხელეების დაყენებას მოითხოვდა; ამიტომაც მეფის ხელისუფლება შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ იქ, სადაც პოლისი არ განვითარებულა, მაგ. სპარტაში, მაკედონიაში, ეპირში[13].

მაგრამ უფრო მთავარი ის არის, რომ დროთა მსვლელობაში მეფეების საგანძურები და ნივთიერი საშუალებანი ძალზე შემცირდა და მათი მნიშვნელობაც თანდათან დაეცა სამხედრო არისტოკრატიის თვალში.

ყოველ შემთხვევაში მეფეების ეკონომიური დაქვეითება ცხადად მოჩანს იმ ფაქტიდან, რომ მათ კარზე თითქმის ჰქრება ძველი აღმოსავლური ფუფუნება და ისპობა ადრინდელი დიდი მშენებლობა. ამით კი ბოლო ეღება სამეფო კლიენტელის შემდგომ განვითარებასა და დიდი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას. ამას გარდა წარმოიშვა ისეთი-სოციალური წრე, რომელიც თვისი ნივთიერი მდგომარეობით მეფეებს დიდ კონკურენციას უწევდა. ამ წრის შემადგენელი წევრები პირველ რიგში უნდა ყოფილიყვენ მეფეების უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგები, რომელთაც მით უფრო მალე უნდა შეეძლოთ თავის ხარჯზე შეიარაღებული და მათ განკარგულებაში მყოფი სამხედრო წრეები, რაც უფრო მეტად ჰკარგავდა მნიშვნელობასა და მიმზიდველობას უკვე თვალსაჩინოდ შემცირებული სამეფო „საგანძურები“. ყოველივე ამის გამო ლაშქრობაში გამგზავრებულ მეფეს უკვე დამოუკიდებლად აღარ უპყვრია ხელთ არც მეომრების სარდლობა და არც მათი ნივთიერი საფუძველი, ე. ი. მათი შეიარაღება და საჭირო სურსათით უზრუნველყოფა. ყველა ეს წარჩინებული „გვარი“ სამხედრო ნადავლიდან თვისი ნაწილის მიღებით და განსაკუთრებით საზღვაო ვაჭრობაში მონაწილეობით ახერხებს შედარებით დიდი მამულებისა და ქონების შეძენას და თავის ხარჯზე საკუთარი კლიენტელის შეიარაღებას. ამ მხრით უფრო მნიშვნელოვანი იყო მათი მონაწილეობა საზღვაო ვაჭრობაში, რომელიც კოლონიზაციის განვითარებასთან ერთად უფრო ფართო ხასიათს იღებდა.

ნაწილი იმ არისტოკრატიისა, რომელიც მიუხედავად ვაჭრის პროფესიი-

სადმი იმ დროს გაბატონებული ზიზღისა, ებმება მეტროპოლიასა და ახალშენებს შორის სავაჭრო უთიერთობაში, მალე მდიდრდება და სხვებთან შედარებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საზოგადოებაში. ამ ხანაში ერთგვარი მოდის ხასიათს იღებს აღმოსავლური ფუფუნების საგნების შეძენა ბერძნული არისტოკრატიის მიერ. ამიტომ იგი იძულებულია მის მოსაპოებლად ხელი აიღოს მამულის ნაწილზე და ამით გაბატონებულ მოდას არ ჩამორჩეს. მეორის მხრით არისტოკრატიის ის ნაწილიც, რომელიც მონაწილეობას იღებს საზღვაო ვაჭრობაში, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა, აგრეთვე იძულებულია ამ საქმის მოგვარებას შესწიროს თვისი მიწების ნაწილი და, თუ ბედმა უმტყუნა ამ დარგში. უდიდესი გაჭირვება განიცადოს. ამ ნიადაგზე ძველ მიწის არისტოკრატიას შორის წარმოიშვა მრავალი გაღატაკებული წევრი. ამ პროცესს ჰქონდა უფრო მუდმივი მიზეზებიც: მიცვალებულთათვის სამარეში ძვირფასი ნივთების ჩატანების ჩვეულება, ბრწყინვალე ამალის შენახვა და შთამომავლობის ბუნებრივი ზრდა. ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა მიეცა საუკუნოებით განმტკიცებული წყობილების შერყევის საქმეში. ძველად კეთილშობილება, სიმდიდრე, პატივი და გაველენა სინონიმები იყო და ღვთისაგან მონიჭებულ სიკეთედ ითვლებოდა; ახლა კი ზოგიერთი ეს „ძევსის შთამომავალი“ (diogeneis) ჭკარგავს თავის ქონებას, ღატაკდება, რასაც იმ დროის მისედვით შეუძლებელია თან არ მოჰყოლოდა მათი არისტოკრატიის წრიდან გარიცხვა და ხელისუფლებაში მონაწილეობის აღკვეთა[1].

მეფის ხელისუფლება, რომელიც უფრო ტრადიციულ ხასიათს ატარებდა, ამ ბრძოლაში იცავდა არისტოკრატიის იმ ნაწილს, რომელიც ძველებურად მიწის მეურნეობას ემყარებოდა და ვაჭრობით გამდიდრებული არისტოკრატიის წინაშე ქედს არ იხრიდა. მაგრამ ამ უკანასკნელს ბრძოლის გაცილებით მეტი საშუალება გააჩნდა და მან შესძლო ისედაც უკვე დასუსტებული მეფის ხელისუფლების შეკვეცა და ბევრგან სრული გაუქმებაც. არსებობს აზრი, თითქოს ბერძნულ სახელმწიფოებში მეფის ხელისუფლების არისტოკრატიით შეცვლა ყველგან მშვიდობიანი და თანდათანობითი გზით მოხდა. მაგრამ საფიქრებელია, რომ ზოგიერთ ადგილას მაინც ეს გადასვლა თავისებური რევოლუციის შედეგი იყო, ზოგან კიდევ მართლაც ევოლუციის ნაყოფი: მემკვიდრეობითი მეფეების ადგილს თანდათან იკავებენ ყოველწლიურად არჩეული პრეზიდენტები, მაგ., პრიტანი (πρύτανις) კორინთში და მცირე აზიის ქალაქებში, არქონტი (ἄρχων) ათენში, დამიურგოსი (δημιουργός) არგოსში, ელიდაში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ადგილას სამეფო გვარეულობას დიდხანს შერჩა საკმაოდ თვალსაჩინო მნიშვნელობა და ახალი უმაღლესი თანამდებობის დაკავების უფლება, ასეთი იყვენ: ბაკხიადები კორინთში, პენთილიდები მიტილენში, ბასილიდები ეფესში და ერეთრეში და სხვ.

პროცესი მონარქიის არისტოკრატიული ხელისუფლებით შეცვლისა ყველაზე უფრო ადრე ახალშენებში დაიწყო და ეს არც საკვირველია, რადგან აქ ახალ სამეურნეო და კულტურულ პირობებში უფრო ადვილად უნდა განვითარებულიყო ტრადიციული ყოფაცხოვრების დაშლა და ახალი სოციალურ-პოლიტიკური მომენტების წარმოშობა.

კეთილშობილთა ბატონობის დამყარებამ ხალხის ქვედა ნაწილებისათვის მეტად მძიმე მდგომარეობა შეჰქმნა. თუ წინათ მეფე გარეგნულად მაინც თვის თავს წარჩინებულთა და უბრალო ხალხს შორის შუამავლად წარმოიდგენდა და ცდილობდა, თითქოს, ზოგიერთ შემთხვევაში დემოსისადმი მფარველობის გაწევას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლო საზღვარი დაედვა არისტოკრატიის წრეგადასული პრეტენზიებისათვის, ახლა კეთილშობილთა ბატონობა ხალხისათვის მეტად მძიმე უღლად გადაიქცა და შემდეგში ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ გადატრიალებასთან ერთად უფრო რთული და აუტანელი შეიქნა.

ამ დროის სოფლის მცხოვრებლებისა და ხელოსნების ბედშავი მდგომარეობის კარგი სურათი მოგვცა ჰესიოდემ თავის პოემაში—„სამუშაონი და დღეები". მართალია, ჰესიოდე პოეტი იყო და არა ისტორიკოსი, მაგრამ მის პოეტურ შემოქმედებაში ნათლად გამოჭკრთის ნამდვილი ამბების გამოძახილი. მწუხარება პოეტ-ეპიკოსის ჰესიოდესი არის იმავე დროს მისი თანამედროვე ბერძენი გლეხის საერთო ჩიენილი და სულისკვეთება. ამ მხრით მას სამართლიანად უწოდებენ „სოფლის მუშა-ხალხის პოეტს".

ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ჰესიოდეს მამა იყო მცირეაზიელი ბერძენი ეოლიის კვიმის მკვიდრი და „ბედის უკუღმა ტრიალის გამო" შემთხვევით მოხვედა ბეოტიაში[5]. მაგრამ დაუშვებლად მიგვაჩნია წარმოვიდგინოთ, რომ ეოლიის კვიმის ეაჟარს ბეოტიაში მიწის შეძენის საშუალება მიეცემოდა, რადგან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთ უფლება არ ჰქონდათ აქ „მიწისა და სახლის მფლობელობისა". ამ შეუსაბამობას სამართლიანად მიაქცია ყურადღება ბელოხმა და გარკვეულად აღნიშნა მისი მიუღებლობა, ხოლო სამწუხაროდ თავის მხრით ისიც სხვაგვარ წინააღმდეგობაში ჩავარდა: ჰესიოდე მან თითქმის მითურ პიროვნებად მიიჩნია[6]. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება, ჰესიოდეს ბიოგრაფია მოკლედ ასე წარმოვიდგინოთ[6]: VII ს-ის დასაწყისში ჰესიოდეს მამა იძულებული გამხდარა ამათუიმ ფიქტიური ფორმით გაეყიდა თვისი მამული ბეოტიაში და გადასახლებულიყო ეოლიის კვიმეში, სადაც ეაჟრობისათვის მოუკიდნია ხელი. მაგრამ მისი საქმე ამ დარგში ძლიერ ცუდად წასულა და კვლავ დაბრუნებულა ბეოტიაში. აქ სოფელ ასკრაში, ჰელიკონის მთის ძირში, შეუძენია მას მიწის პატარა ნაკერი და დაუწყია მისი დამუშავება. აქ ეყოლა მას ორი ვაჟი ჰესიოდე და პერსე. მამის გარდაცვალების შემდეგ ძმებს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა მემკვიდრეობის გარშემო.

პერსე თვისი ნაწილით არ დაკმაყოფილებულა და პირიქით ჰესიოდეს ხვედრის მითვისება განუზრახავს; მოუხერხებია კიდეც მსაჯულების მოსყიდვა და საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვეტილა. ამგვარად, ჰესიოდეს მწარედ განუცდია თვისი დროის ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლების—მექრთამე მსაჯულების „სამართალი". მაგრამ დიდხანს არც პერსეს უგრძვნია თავი ბედნიერად, მალე გაკოტრებულა და დახმარებისათვის ისევ მის მიერ უსამართლოდ დაჩაგრული ძმის ჰესიოდესთვის მიუმართავს. ამ ამბავს ჰესიოდე დაწვრილებით გადმოგვცემს უკვე დასახელებულ პოემაში „სამუშაონი და დღეები" (Ἔργα καὶ ἡμέραι). ამ გვარად, მართალია, ამ პოემას თითქოს საფუძვლად უდევს თვით ჰესიოდეს მიერ განცდილი პირადი მწუხარება და უსამართლოება, მაგრამ არსებითად მას-

ში ნატურალისტური ფერადებითაა განსახიერებული იმ დროის გლეხკაცობის საერთო ბედშავი მდგომარეობა, მისი სოფლმხედველობა, მწუხარება და იმედი. ამ მხრით სამართლიანად აღნიშნავს მის განსაკუთებულ მნიშვნელობას ბ უ ზ - ო ლ ტ ი[68].

ჰესიოდე ცხოვრობდა ორი სამყაროს მიჯნაზე: ერთი მათგანი იყო ძველი, პატრიარქალური, უკვე სასიკვდილოდ განწირული, მეორე ახალი, ამომავალი მთელი თვისი სამეურნეო ცვლილებებით და სოციალური გარდაქმნით. მის პოეტურ თვალს არ გამოპარვია ამ ტრანსფორმაციის სიმძიმე და გვიანდერძა მისი წარუშლელი სურათი. მგოსნის მიერ მოსწრებულად ასახულ დასურათებაში თავისუფლად ვკითხულობთ იმ დროის საზოგადოებრივ ურთიერთობაში გაბატონებულ უდიდეს სიტლანქეს, უსამართლოებას, ერთიმეორის გაუტანლობასა და ხალხის უმრავლესობის უაღრესად მძიმე მდგომარეობას. ჰესიოდეს სიტყვით, კაცობრიობამ განიცადა რამდენიმე ერთიმეორის შემცვლელი ეპოქა: ჯერ იყო ოქროს საუკუნე. მას მოყვა ვერცხლის ხანა, შემდეგ სპილენძისა და გმირული, რომელიც ტროის კედლებთან დასრულდა, და დაიწყო რკინის საუკუნე, რომელშიც ცხოვრება უხდებოდა მის თაობას. თუ ოქროს საუკუნეში კაცობრიობა ბედნიერ ცხოვრებას ატარებდა და არ იცოდა მწუხარება და გაჭირვება, შემდგომ საუკუნეებში მისი არსებობის პირობები თანდათან გაუარესდა და, განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა „რკინის საუკუნეში“.

რწმენა, რომ უხსოვარ დროს კაცობრიობა განიცდიდა ოქროს საუკუნეს, თავისებურ „სოციალისტურ სამოთხეს“, დიდად იყო გავრცელებული ძველ ქვეყნებში და განსაკუთრებული სიცხადით გვევლინება კრონოს-სატურნის სარწმუნოებაში. ცნობილ ეთნოლოგს ფ რ ე ზ ე რ ს ეს მომენტი კარგად აქვს დახასიათებული[69]: „მრავალ ხალხს ჰქონდა ჩვეულება, რომელიც აწესებდა სრული და საესებით შეუკავებელი თავისუფლების ყოველწლიურ პერიოდს; ამ პერიოდს განმავლობაში უკუაგდებდენ კანონისა და ზნეობის მიერ დამყარებულ ჩვეულებრივ შეზღუდვათ; მთელი მოსახლეობა ეძლეოდა უსაზღვრო მხიარულებასა და ლხინს: ყოველგვარ თითქმის სავსებით თავაშეებულ სურვილს ენიჭებოდა გასაქანი და ისეთი თავისუფლებით იჩენდა თავს, რომელსაც ჩვეულებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის დროს არავინ არასოდეს არ დაუშვებდა. ადამიანის ბუნების ჩვეულებრივად თავდაკავებულ ძალთა ამ ანთებასა და გამოჩენას, რომლებიც ძლიერ ხშირად უფრო ველურის, და ხან ვნებიანი ხან სისხლიანი ორგიებით გამოისახებოდა, ადგილი ჰქონდა უმეტესად წლის ბოლოში და დაკავშირებული იყო მიწის მეურნეობის ამათუიმ მთავარ პერიოდთან. საზღვარდაუდებელი თავისუფლების ამ პერიოდთაგან ერთი სხვებზე უკეთესად არის ცნობილი; ეს არის სატურნალიების პერიოდი. ხალხი მასში ხედავდა ბედსეისა და მიწის მეურნეობის ღმერთის სატურნის, რომელიც უხსოვარ დროს ცხოვრობდა დედამიწაზე და იყო იტალიის სამართლიანი და კეთილისმყოფელი მეფე, მხიარული მეფობის შესახებ მოგონებას. მან დაასახლა ერთად პირველყოფილი მთიელები, რომლებიც წინათ გაფანტულად და განცალკევებულად ცხოვრობდენ, ასწავლა მათ მიწის დამუშავება, მისცა მათ კანონები და მშვიდობიანად განაგებდა მათ. მისი მეფობა იყო სწორედ ზღაპრული ოქროს საუკუნე;

დედამიწა უხვად იძლეოდა მოსავალს; ომი და განხეთქილება დისონანსად არ—იჭრებოდა ამ ბედნიერ სამყაროში; გამდიდრების დამღუპველ შხამს ჯერ კიდევ არ მოეწამლა შრომისმოყვარე და თვისი ხელედრით კმაყოფილი გლეხობის სული. მონობა მაშინ ისევე უცნობი იყო ადამიანებისათვის, როგორც კერძო საკუთრება,—ყველა საგანი საერთო სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა.

დღესასწაული, მხიარულება და ყოველგვარი სიამოვნებით უსაზღვრო გატაცება—აი ის თვისებები, რომლებიც, ალბათ, ძველი დროის ამ კარნავალის განმასხვავებელ მომენტებს წარმოადგენდა; იგი სრულდებოდა 7 დღის განმავლობაში, დეკემბრის 17-დან 24-დე, ძველი რომის ქუჩებში, მოედნებზე და სახლებში. მაგრამ ამ დღესასწაულის არც ერთი თვისება არ არის იმდენად ყურადღების ღირსი და, როგორც ჩანს, არაფერი ისე არ აოცებდა თვითონ ძველ ადამიანებს უფრო მეტად, ვიდრე შეუზღუდავი თავისუფლება, რომელიც ამ დროის განმავლობაში ენიჭებოდა მონებს. განსხვავება თავისუფალთა კლასსა და მონათა კლასს შორის დროებით ისპობოდა. მონას შეეძლო მასხარად აეგდო თვისი ბატონი, დამთვრალიყო, როგორც ის, დამჯდარიყო სუფრასთან მასთან ერთად, და არავის არ შეეძლო ასეთი საქციელისათვის, რომელიც ყოველ სხვა დროს მას თავზე დაატეხდა ჯოხით დასჯას, ციხეს და თითქმის სიკვდილით დასჯას, რაიმე საყვედური ეთქვა. უფრო მეტიც: ბატონები უცვლიდენ თავის მონებს როლს და ემსახურებოდენ მათ სუფრაზე და მანამდე, სანამ მონა არ გაათავებდა ჭამა-სმას, სუფრა არ იყო თავისუფალი და ბატონს სადილს ვერ მოართმევდენ. როლების ეს შეცვლა იმდენად თანამიმდევრობით იყო გატარებული, რომ თითოეული სახლი ხდებოდა, თითქოს, რესპუბლიკის პაროდია, რომელშიც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი მონებს ეკავათ, რომლებიც განკარგულებებს იძლეოდენ და სისრულეში მოჰყავდათ კანონები ისე, თითქოს ისინი მართლაც ყოფილიყვნენ აღჭურვილი კონსულის, პრეტორის, მოსამართლის წოდებით...

როგორც ჩანს, იტალიის გარეშეც, ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ადგილას სრულდებოდა დღესასწაულები, რომლებიც ზოგადად ისეთსავე ხასიათს ატარებდა, როგორსაც სატურნალიები. სატურნალიების დამახასიათებელი თვისება, როგორც ვხედავთ, ის იყო, რომ ამ დღესასწაულის დროს სოციალური ურთიერთობანი, თითქოს, ყირამალა დგებოდა: ბატონები მონების ადგილს იკავებდენ და ემსახურებოდენ მათ... საბერძნეთის სხვადასხვა ნაწილში ზოგიერთი დღესასწაული მონების ასეთივე თავისუფლების ილუზიით განსხვავდებოდა. ასე, კრეტაში ჰერმესის დღესასწაულის დროს მონები ქეიფობდენ, ბატონები კი მათ ემსახურებოდენ. ტრეზენელები ასრულებდენ დღესასწაულს, რომელისაც მრავალ დღეს გრძელდებოდა: ამ დღესასწაულის ერთი დღე იმით ხასიათდებოდა, რომ მონები თავის ბატონებთან ერთად იქცევდენ თავს და ბატონები მათ ნადიმზე იპატიჟებდენ. თესალიელებს ჰქონდათ დიდი დღესასწაული, რომელსაც პელორიებს უწოდებდენ. ამ დღესასწაულს ბატონ სინოპელი სატურნალიებთან აიგივებს; მის სიძველეზე მიუთითებს ის, რომ ტრადიცია მას პელასგებს მიაწერს. ამ დღესასწაულის დროს სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა ძველეს პელორიელისადმი; დგამდენ საუცხოოდ მორთულ მაგიდებს; ნადიმზე

იწვევდენ ყველა უცხოელს; ყველა დაპატიმრებულს ათავისუფლებდენ საპყრობილიდან: დასასრულ, მონები მონაწილეობას იღებდენ ლხინში, ამასთან სარგებლობდენ სიტყვის თავისუფლებას და მათ ემსახურებოდენ მათი ბატონები. ხოლო ყველა ბერძნული დღესასწაულისაგან იტალიის სატურნალიებს ყველაზე უფრო მეტად შეესაბამებოდა კრონიები ანუ კრონოსის დღესასწაული. ბარბაროსული მითი ამ ღმერთზე და სასტიკი რიტუალი ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს მითი ბერძნული სარწმუნოების ფრიად ადრინდელ ფენს ეფარდება; ამას ისიც უნდა მივუმატოთ, რომ ძველადვე არსებობდა ერთსულოვანი აზრი კრონოსის და სატურნის იგივეობისა. არსებულ მოწმობათა მიხედვით, ეს დღესასწაული სრულდებოდა საბერძნეთის უმეტეს ნაწილში, მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული იგი ათენში იყო. მის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენდა მხიარული ნადიმი, რომლის დროსაც მონები და ბატონები ერთად ისხდენ... გადმოცემით, ატიკის პირველმა მეფემ კეკროპსმა ბრძანა, რათა მკის დამთავრების შემდეგ მონებსა და ბატონებს ერთად მიეღოთ მონაწილეობა საერთო ლხინში... გარდა ამისა, არის მონებისადმი გარკვეული თავისუფლების მინიჭების კვალი ღვინის ჭურების ახდის დიონისური დღესასწაულის დროს... როგორც სატურნს, ისე კრონოსს თაყვანს სცემდენ, როგორც მეფეს, რომელიც განაგებდა ზეცასა და დედამიწას ნეტარ ოქროს საუკუნეში, როდესაც ადამიანები, ღმერთების მსგავსად, ცხოვრებას ატარებდენ შრომისა და დარდის გარეშე, როდესაც მათი ცხოვრება მხოლოდ დაუსრულებელი დღესასწაულები იყო, სიკეთილი კი მოდიოდა, როგორც მსუბუქი და მოულოდნელი სიზმარი“...

როგორც აღვნიშნეთ, ჰესიოდეს სწამდა შორეულ წარსულში ასეთი ოქროს საუკუნის არსებობა და მით უფრო მეტი გულისტკივილით აღნიშნავდა რკინის საუკუნის უკულმართ პირობებს, მმართველი წრეების ძალმომრეობას, უსამართლოებასა და მეკრთამეობას: თვისი დროის დასახასიათებლად მას აღნიშნული აქვს საყურადღებო არაკი ქორსა და ბულბულზე: ჭრელფრთებიან ქორს ზეციისაკენ აუტაცნია ბულბული—მგალობელი და მაგრად ჩაუსვამს მის ნაზ სხეულში თვისი გამრუდებული კლანჭები. იგი მედიდურად ეუბნება საცოდავ ბულბულს:—ბრიყვო, რა გაყვირებს? შენთვის საჭირო არ არის მაინც-და-მაინც ბედზე წუხილი, რაკი შენზე გაცილებით უფრო ძლიერი უწარჩინებულესი მბრძანებლის ხელში ხარ; მოვისურვებ—შეგჭამ, არა-და თავისუფლებას დაგიბრუნებო. „ასე ეუბნებოდა მას ქორი ფრთოსანი, მარდი ფრინველი. ის, ვინც მოისურვებს ებრძოლოს უძლიერესს,—გიჟია; დაჰკარგავს იგი სასურველ გამარჯვებასაც და სირცხვილის ტკივილებსაც განიცდის“.

ერთი სიტყვით, პოეტს სურს გვითხრას, რომ მის დროს სიმართლე და პატიოსნება ისევე იტანჯებოდა თავაშვებული ძალმომრეობის კლანჭებში, როგორც ბულბული ქორის ბრჭყალებში; ამიოდ შეებრძოლებოდა სუსტი და ღარიბი წარჩინებულთა უსამართლოებასა და ბოროტებას, რადგან უფრო მეტ შეიწროებასა და შეურაცხყოფას ეიღებდა შედეგად. მგოსანი ჰგოდებს, რომ სიჩუმე და ნამუსი დაიკარგა და მათი ადგილი სიცრუემ და სიტლანქემ დაიკავა: „უკეთესი იყო, ასეთ დროს არ მეცხოვრაო“, ამბობს იგი. განსაკუთრებით აწუხებდა პოეტს მძიმე მდგომარეობა წვრილი გლეხობისა, რომელიც

დროზე გადაუხდელი ვალების გამო ხშირად ვარდებოდა არისტოკრატიის კაბალაში. ეს უკანასკნელი კი სავსებით გაუტაცნია ყოველგვარი საშუალებით გამდიდრების წყურვილს. სიმდიდრის წყურვილი ადამიანთათვის შიშზე უფრო ძლიერიაო, ამბობს ჰესიოდე. იგი ცდილობს სამართლიანობისაკენ წარმართოს ბოროტებაში ჩაფლული თანამედროვე საზოგადოება და ამისთვის სარწმუნოებრივი ნიადაგი მოუძებნია: სიმართლით ცხოვრება, მისი აზრით, აუცილებელია ადამიანისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მის სიცოცხლეს მარად უყურებს ღვთაების მხილავი თვალი, რომელსაც არაფერი არ დაემალება.

მეორის მხრით წაგლეჯისა და მიმტაცებლობის გრძნობით შეპყრობილ მოძალადეებს იგი მიუთითებს შრომის გამასპეტაკებელ გავლენაზე; ადამიანი უნდა ცდილობდეს პატიოსანი შრომით შეიძინოს დოვლათი და სიმდიდრის მრხვეპას უნდა ფიქრობდეს კეთილშობილი შრომით და არა ძალმომრეობით; არ უნდა წაჰბაძოს მან მამალ ფუტკრებს, რომლებიც ყოველთვის უსაქმური არიან და მუყაითი ფუტკრების მუდმივი შრომით იკვებებიან. „არა შრომაა სირცხვილი, არამედ უსაქმურობა“-ო. („Ἔργον δ' οὐδὲν ὄνειδος, ἀργὴ δὲ τ' ὄνειδος“— Ἔργα ν. 311).

მართალია, ჰესიოდე არ იძლევა უსამართლოების საწინააღმდეგო ბრძოლის გეგმას და არც გარკვეულ მოწოდებას, მაგრამ ეს მას არც მოეთხოვება. ჩვენთვის ძვირფასია ის გარემობა, რომ ჰესიოდე წერდა არა წარჩინებულთა წრეებისათვის, არამედ მის წოდებასა და მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, რომელიც მძიმე ტვირთს ეზიდებოდა „კეთილშობილთა“ ბატონობის უღლის ქვეშ. ამ მხრით მან საკმაო სიცსადით დაგვისურათა იმ დროის გლეხკაცობის საერთო მწუხარება, საერთო გაჭირვება და სულისკვეთება. საზოგადოდ, მან მოხაზა ის ღრმა საზოგადოებრივი პროცესი, რომელშიც მიმდინარეობდა ეს საყურადღებო გარდამავალი ხანა.

მაგრამ ჰესიოდეს სიცოცხლეშივე საბერძნეთის სამეურნეო ცხოვრებაში შეიჭრა ახალი მომენტი რომელმაც ეს პროცესი უფრო გაართულა. ლაპარაკია ფულის მოჭრის შემოღებაზე. სავაჭრო ასპარეზის გაფართოებასთან ერთად უფრო თვალცხადი ხდებოდა, რომ საქონელი ღირებულების საზომად უკვე აღარ ვარგოდა. პირველად ძველ ბაბილონსა და ეგვიპტეში შემოვიდა ხმარებაში კეთილშობილი ლითონები, უმთავრესად ვერცხლი, შემდეგში კი ოქრო.

ბაბილონის სისტემა, ზოგიერთი ცვლილებით, გადავიდა წინა-აზიაში, ნაწილობრივ ეგვიპტეში, ბოლოს საბერძნეთში. ვერცხლისა და ოქროს ნაჭრები, რომლებიც ვაჭრობაში იქნა შემოღებული, ზოგან ყურსის ფორმისა იყო, ზოგან კი, როგორც მაგ. ეგვიპტეში, რგოლების სახის (დებენები). ზოგიერთ მათგანზე ათავსებდენ განსაკუთრებულ ნიშნებს— ამათუიმ ქალაქის შტემპელს, როგორც გარანტიას, რომ ისინი კეთილშობილი ლითონების განსაზღვრულ ოდენობას შეიცავდენ. მაგრამ ფულის მოჭრის გამოგონებამდე დასახელებული ქვეყნები არ მისულან. ფულის მოჭრა პირველად ლიდიამ შემოიღო. ამის შესახებ გარკვეული ცნობაც მოგვეპოება. ისტორიკოსის ჰეროდოტეს თქმით (I, 94) ლიდიელებმა პირველებმა მოიგონეს ოქროსა და ვერცხლის ფულის მოჭრა; იგინივე იყვენ წვრილი საქონლით პირველი მოვაჭრენი (πρῶτοι κάπηλοι ἐγένοντο). მართლაც,

ლიდია მდიდარი იყო თეთრი ოქროთი, ანუ ელექტრით; ამასთან ვაჭრობის მხრით მას ფრიად ხელსაყრელი მდებარეობა ეკავა, ამიტომაც ლიდიელები მალე გახდენ ბუნებრივი შუამავალნი ეგეოსის მხარეების, მცირე აზიის, სირიისა და შუამდინარის სავაჭრო ურთიერთობაში. მაგრამ გარდა ტრანზიტისა ლიდიას თვით გაჰქონდა საკუთარი ნაწარმოებებიც.

ფულის მოჭრა ლიდიას VII ს-ის პირველ მეოთხედში უნდა შემოეღო. ლიდიის მაგალითს მალე მიბაძეს მცირე-აზიის ბერძენთა ახალშენებმა და განსაკუთრებით ცნობილმა სავაჭრო ცენტრებმა: მილეტმა, ეფესმა, ფოკეამ, სამოსმა, ქიოსმა და სხვ.

მცირე-აზიიდან კი ფულის მოჭრა მეტროპოლიის ქალაქებმაც—კორინთმა, ეგინამ, ქალკიდამ, ერეტრიამ და ათენმა—გადმოიღეს. საერთოდ საბერძნეთში ფულის ორი სისტემა გაბატონდა—ეგინისა და ევბეის; პირველი გავრცელებული იყო საბერძნეთის ხმელეთზე, კრეტაში, კიკლადის კუნძულებზე და მცირე-აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებში. მას დიდ კონკურენციას უწევდა მეორე, ევბეის სისტემა, რომელმაც თანდათან მოიპოვა უფრო დიდი ასპარეზი.

ფულის მოჭრის შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებაგაფართოებას და ამასთან დაკავშირებით ბერძნული ინდუსტრიის გაძლიერებას. საავაჭრო ქალაქებში ნატურალური მეურნეობა ადგილს უთმობს თანდათან ფულად მეურნეობას, ხოლო იქაც, სადაც ჯერ კიდევ პირველი დარჩა გაბატონებული, ეს უკანასკნელი თვალსაჩინო გავლენას ახდენს სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაზე. ვაჭრობისა და წარმოების აყვავებამ, აგრეთვე კოლონიზაციის საშუალებით მოპოებულმა ახალმა საავაჭრო პუნქტებმა VII საუკუნეშივე საკმაოდ გახადა ვაჭრობა-წარმოებაში მონობის შემოღება.

ტყვედწამოყვანილ თუ მოტაცებულ მონებსა და მხევლებს, მართალია, ვხვდებით უკვე ჰომეროსის ეპოქაში, მაგრამ იმ დროს მონობა ჯერ კიდევ არ იყო საზოგადოებრივი იარა და უმეტესად პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა; მონების მდგომარეობა საერთოდ ცუდი არ იყო; ისინი უმთავრესად ოჯახში ემსახურებოდენ წარჩინებულთ და თითქმის არ წარმოადგენდენ კონკურენტებს თავისუფალი უბრალო ხალხისათვის. ახლა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა: მათ მრავლად ჰყიდულობენ ვაჭრობა-წარმოებისათვის და ამ მხრით მონობა ახალი განსაკუთრებული მოვლენა გახდა ბერძნული მეურნეობის განვითარებაში. თვისი მრეწველობის აყვავებაში ცნობილი მილეტი დიდად იყო დავალებული მეზობელი ქვეყნებიდან შეძენილი მონებისაგან. საერთოდ ნაყიდი მონების რიცხვი პირველად უფრო დიდი იყო მცირე-აზიის სავაჭრო ახალშენებში, ხოლო საკუთრივ საბერძნეთში—ისთმის ახლომწიფოებში.

მონების ყიდვა-გაყიდვის მთავარ პუნქტად ძველად ითვლებოდა ქიოსი, სადაც, თუკიდიდეს სიტყვით, მონების ყველაზე დიდი რიცხვი არსებობდა[70], შემდეგ სირაკუზი, კორინთო, ეგინა, ათენი და სხვ. ჩვეულებრივად სახალხო დღესასწაულების დროს აწყობდენ ბაზრობას და სხვა საქონელს შორის მონებსაც ასაღებდენ. აგრარულ მხარეებში კი დიდხანს დარჩა უცნობი მონური სისტემის ფართოდ გამოყენება.

მართალია, მონურ შრომას საესებით არ განუდევნია თავისუფალი მუშა-

ხელი, როგორც წინათ ზოგიერთი მკვლევარი უსაფუძვლოდ ფიქრობდა, პირიქით მოგვეპოება ცნობები, რომ თავისუფალი მუშები ამას შემდეგაც ბლომად არსებობდენ, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ მონობა საბერძნეთის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას სრულებით გარკვეულ ელფერს ანიჭებდა და საბედისწერო როლი ითამაშა მისი ისტორიის მსელელობაში; რომ იგი უდიდეს კონკურენციას უწევდა თავისუფალ შრომას და უქმნიდა მას უაღრესად შევიწროებულ მდგომარეობას, იმავე დროს კი არ იწვევდა იმპულსს წარმოების ტექნიკური გაუმჯობესებისას; რომ, ერთი ისტორიკოსის მოსწრებული თქმით, „მონობა იყო ტიპიური ფაქტორი ანტიური მეურნეობისა"; რომ საბერძნეთის დემოკრატიულ პოლისებში თავისუფალი პროლეტარიატის უმეტესი ნაწილი იყო არა მწარმოებელი, არამედ უფრო მომხმარებელი პროლეტარიატი, რომლის შენახვა მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფოს. მიუხედავად ყოველივე ამისა, ვიმეორებთ, გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, თითქოს მონობამ საესებით განდევნა თავისუფალი შრომა, და გადაჭარბებულია აგრეთვე მონათა ის დიდი რიცხვები, რომლებსაც ჩვეულებრივად ვხვდებით ზოგიერთ ნაშრომში.

მონობის შესახებ თავის კაპიტალურ ნარკვევში ედ. მაჯერი საფუძვლიანად აღნიშნავს იმ უპირატესობას, რომელიც მონის შრომას თავისუფალთან შედარებით აქვს [71]: „მრეწველობა საჭიროებს, რაც შეიძლება, იაფფასიან მუშებს, რომელთა ძალასაც, რაკი ისინი მას ხელში უვარდებიან, იგი ყოველმხრით იყენებს. აი, აქ მარხია ის ძირითადი მიზეზი, რომ მონობამ ეკონომიურ მნიშვნელობას მიაღწია: მცირე კაპიტალით მწარმოებელი ყიდულობს მუშის ძალას, რომელსაც იგი თვისი მიზნების მიხედვით გაწრთვნის და შემდეგ ბოლომდე შეიხმარს. ყოველივე ამისათვის ის მოვალეა მისცეს მონას არსებობის სახსარის მხოლოდ ის მინიმუმი, რომელიც აუცილებლად საჭიროა, რომ მონაში შენარჩუნებულ იქნეს მუშაობის უნარი; მაგრამ, რაც უმთავრესია, ასეთი მუშები იურიდიულად მის სრულ განკარგულებაში არიან, მას შეუძლია მათი გაცილებით მეტი ინტესიობით ექსპლოატაცია, ვიდრე თავისუფალი ადამიანის სამუშაო ძალისა"...

თავიდანვე მონა ითვლებოდა არა სუბიექტად, არამედ ნივთად, სულიერ ქონებად (κτῆμα ἔμψυχον) [72], ამიტომ ისევე არ შეიძლებოდა მისი განთავისუფლება, როგორც, ვთქვათ, რომელიმე საქონლის, რადგან იგი ამ გზით უპატრონო ნივთი გახდებოდა და მისი მითვისება შეეძლო იმას, ვინც მას პირველად იპოვიდა. მას შემდეგ კი, რაც დაწესებულ იქნა სამრეწველო მონობა, პატრონებისათვის ხელსაყრელი გახდა მდიდარი მონის განთავისუფლება, რადგან იგი დიდ გამოსასყიდ თანხას იძლეოდა და გარდა ამისა მომავალშიც ასრულებდა გარკვეულ მოვალეობათ თვისი ყოფილი ბატონისადმი. აღსანიშნავია, რომ იურიდიულად მონა კი არ თავისუფლდებოდა, არამედ გადაეცემოდა ან მიეყიდე-

ბოდა რომელიმე ღვთაებას, ან მისი ბატონის „იმ ქვეყნიურ“ საკუთრებად ჩაითვლებოდა.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ აღვნიშნო ლ უ რ ი ე ს შეხედულება ანტიკურ ქვეყნებში მონობის ბოლომდე შენარჩუნების შესახებ. მისი სიტყვით, „მონობა რომ მოსპობილიყო ანტიკურ სამყაროში, მაშინ არსებობისათვის ბრძოლის მკაცრ პროცესში უკვე ძველი საზოგადოება იპოვიდა organa apsycha-ს, ან „უსულო იარაღებს“, რომლებშიც უკვე არისტოტელი ხედავდა organa empsycha-ს, „სულიერი იარაღების“, ე. ი. მონების სასურველს, მაგრამ სამწუხაროდ განუხორციელებელ შეცვლას. ანტიკური მეცნიერების ძაღალი დონე სრულ საფუძველს იძლევა ასეთი პროგნოზისათვის. მართალია, ანტიკური სამრეწველო მონობა, რომელიც აღატაკებდა თავი სუფალი მოსახლეობის ფართო წრეებს, უაღრესად სასარგებლო იყო კაპიტალისტების მცირე ჯგუფისათვის. ამიტომ მონობის შენარჩუნება, თითქოს, უფრო მარტივად იმით შეიძლება აიხსნას, რომ სწორედ ეს მონათმფლობელი—მრეწველები იყვენ ანტიკური „დემოკრატიული“ სახელმწიფოების ბედის მესვეურნი. მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, რა აიძულებდა ხალხის ფართო მასებს უკან გაჰყოლოდენ ამ მართველთა ამ მცირე ჯგუფს... მხოლოდ იმიტომ ახერხებდა მმართველების ეს მცირე ჯგუფი თვისი ინტერესების მიხედვით „წარემართა“ ანტიკური სახელმწიფო პოლიტიური განცალკევებისა, მუდმივი სისხლისმღვრელი ომებისა და მონობაზე და თავისუფალ შრომისადმი ზიზღზე აგებული საშინაო პოლიტიკის გზით, რომ მათ მოკავშირეებად ჰყავდა საზოგადოების ს ი ბ რ ვ ი ლ ე, მისი მ რ ა ვ ა ლ ს ა უ კ უ ნ ი ა ნ ი ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ურ ი ჩ ვ ე ვ ა ნ ი. ისინი უფრო ძლიერი აღმოჩნდენ ცოცხალ ეკონომიურ მოთხოვნილებებზე: მკვდრები თან მიათრევდენ ცოცხლებს... რასაკვირველია, ეს ჩვევანიც არ იყო თავისუფალი ფსიქიური კადნიერების პროდუქტები ან ღმერთების მიერ მონიჭებული ძღვენი, და ისინიც თავის მხრით წარმოშობილი იყვენ ეკონომიური პირობებით. მაგრამ არა მოცემული, არამედ სხვა უკვე დიდი ხანია გამქრალი ეპოქების“ [13]....

უეჭველად საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული, რომელიც ღირსია ცალკე განხილვისა და ამიტომაც აქ—საერთო კურსში მასზე აღარ შევჩერდებით. იმ იმედით, რომ საჭ უალება გვექნება მას სხვა ადგილას, ანტიკური მონობის სპეციალური მიმოხილვის დროს კვლავ დავუბრუნდეთ.

სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარმა გადატრიალებამ დიდად აამაღლა საზოგადოების იმ ნაწილის მნიშვნელობა, რომელიც ვაჭრობა-წარმოებაში იღებდა მონაწილეობას. თქმა—„ფული ჭქმნის ადამიანს“-ო (χρῆμα ἄνῃ) ამ დროს წარმოიშვა [14]. მაგრამ თუ წინათ მხოლოდ ძველი არისტოკრატიის ნაწილი იყო ჩაბმული სავაჭრო ოპერაციებში, ახლა ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულმა პირებმაც შესძლეს ფართოდ მოეკიდათ ხელი ვაჭრობა-წარმოებისათვის და ამ გზით დიდი სიმდიდრე შეეძინათ. ამ ნიადაგზე თანდათან წარმოიშვა საშუალო წრეები – თავისებური „ბურჟუაზია“, რომელიც თვისი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით უკვე ველარ ურიგდებოდა „კეთილშობილთა“ ბატონობას და ბრძოლას იწყებდა მასთან ხელისუფლებისათვის.

მეორის მხრით აღნიშნულმა სამეურნეო გადატრიალებამ საბედისწერო გაელენა მოახდინა გლეხობის მდგომარეობაზე. მასთან ერთად საბერძნეთის სამეურნეო ცხოვრებაში შეიჭრა სხვათაშორის ერთი ახალი მომენტი — პროცენტები. სხვა სახით იგი ნატურალური მეურნეობის დროსაც არსებობდა: გლეხი, რომელსაც მოსავალი არ ყოფნიდა, იძულებული იყო შეძლებული მეზობლისათვის მიემართა და სესხად აეღო მისგან ყოველივე ის, რაც აუცილებლად ესაჭიროებოდა, იმ პირობით, რომ წაღებულს ახალ მოსავალზე დაუბრუნებდა. ამავე დროს მადლობის ნიშნად იგი მსესხებელს ნამდვილად ზედმეტს აძლევდა, დარწმუნებული, რომ კიდევ დასჭირდებოდა მისდამი მიმართვა. ხოლო ის, რაც პირველად ნებაყოფლობითი იყო, შემდეგში თანდათან საავალდებულოს გახდა, განსაკუთრებით იმ დროიდან, როდესაც ქალაქებში წარმოება გაიზარდა და მიწის მეურნეობის პროდუქტებმაც გასასაღებელი პუნქტები მოიპოვა. ფულის შემოღების შემდეგ კი სესხს ფულით აძლევდენ და ფულითვე მოითხოვდენ მის დაბრუნებას და დამატებით გარკვეული სარგებლის გაღებასაც. რადგან იმ დროს ფული ძვირი იყო, საზოგადოდ თავისუფალი თანხა ბევრს არ ჰქონდა, ამიტომ სარგებელიც ძლიერ დიდი იყო. ამას გარდა სესხის მიღებისათვის საჭირო იყო საწინდარი, ხოლო ვისაც იგი არ გააჩნდა, თვისი საკუთარი და ოჯახის წევრების „სხეულით" აგებდა პასუხს. თუ ასეთი პირი ვალს დროზე ვერ გადაიხდიდა, იგი სესხის გამღების მიმართ „კაბალურ" მდგომარეობაში ეარდებოდა. საავალო უფლება მაშინ მეტად სასტიკი და დაუნდობელი იყო.

გლეხობას არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას და ფიქრობდა, რომ ყოველივე ეს ღმერთისაგან ბოძებული კანონების ტლანქი და ბოროტი შერყვნაა გაბატონებული წრეების მიერ, ამიტომ მისი პირველი მოთხოვნილება იყო კანონების ჩაწერა და გამოქვეყნება. ზოგიერთ ადგილას ეს მოთხოვნილება აჯანყებების (στάσεις) შედეგად იქნა გატარებული დიქტატორული უფლებებით არჩეული განსაკუთრებული პირების (αἰσυμνῆται, თუ νομοθέται) მიერ. განთქმული ძველი კანონმდებლები იყვენ: ზალევკი ქვედა-იტალიის ლოკროში, ხარონდა — კატანაში, პიტაკი მიტილენში, დრაკონი და სოლონი ათენში. კანონების გამოქვეყნებამ, რასაკვირველია, გლეხობის მძიმე მდგომარეობა ოდნავადაც ვერ შესცვალა.

ბრძოლა დემოსსა და არისტოკრატიას შორის. არქილოქეს პოლიტიკური არაკი. ტირანია.

რაკი დაწერილი კანონების გამოქვეყნებამ გლეხობას იმედი სრულებით არ გაუმართლა, იგი ჰკარგავს ყოველგვარ პატივისცემას არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისადმი და უკვე აღარ ერიდება ძალით შეცვალოს იგი: ამ ბრძოლაში მისი მოკავშირეა ქალაქის „ბურჟუაზია" რომელიც თავის მხრით ვეღარ ურიგდება ძველი გადაგვარებული არისტოკრატიის ბატონობას. ერთი სიტყვით, იწყება უაღრესად საყურადღებო პერიოდი ძლიერი სოციალურ-პო-

ლიტიკური ბრძოლისა და წოდებრივი შეხლა-შემოხლისა. ზოგიერთ ადგილას ეს ბრძოლა მეტად მწვავე და სერიოზულ ხასიათს იღებს და ხშირად აყენებს მიწების ახალი დანაწილებისა და ვალების მოსპობის (Landverteilung und Schuldentilgung) ლოზუნგს. ერთი მკვლევარის სიტყვით [73]: „კონტრასტი საბერძნეთში არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის არა ნაკლებ, ვიდრე სხვაგან, ეთანაბრებოდა კონტრასტს მდიდარსა და ღარიბს შორის; და იქ, სადაც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დემოკრატია იმარჯვებდა, ხდებოდა განდევნილი არისტოკრატიის ქონების კონფისკაცია. საქმე უფრო შორსაც მიდიოდა,—გაისმოდა მოთხოვნილება წესწყობილებისა და მესაკუთრეობის ფორმათა შეცვლისა“.

აღსანიშნავია, რომ დაპირისპირება დემოკრატიისა არისტოკრატიისადმი თავიდანვე ჰპოულობს გამოძახილს პოლიტიკურ პოეზიაში. მხედველობაში გვაქვს პოეტის ა რ ქ ი ლ ო ქ ს არაკი—„მაიმუნი და მელა“, რომლისაგანაც რამდენიმე ნაწყვეტი დაგვრჩა და რომელიც სავსებით აღადგინა ლ ურ ი ე მ [76].

არქილოქე დაიბადა კუნძულ პაროსზე; მამა მისი, გადმოცემის მიხედვით, წარჩინებულთა გვარს ეკუთვნოდა, ხოლო დედა, პოეტისავე სიტყვით, მხევალი იყო. ამგვარად იგი უკანონო შვილად ითვლებოდა და, ალბათ, ვერ შესძლებდა მამის ყველა უფლების დამკვიდრებას, მაგრამ თვისი აღზრდით და სიმპათიებით იგი არისტოკრატი იყო და არისტოკრატიის იდეოლოგად გვევლინება.

დასახელებულ არაკში არქილოქე გვიამბობს მხეცების მიერ მეფის არჩევის ამბავს. მათ საერთო კრებაზე წამოყენებულ იქნა ორი კანდიდატი, ძლიერებითა და სიდიდით განთქმული სპილო და აქლემი. ორივეს მასხარად იგდებს მაიმუნი და დამსწრეთა ყურადღების მისაპყრობად ცეკვას იწყებს, რითაც მათში აღფრთოვანებას იწვევს. სპილომ თავის შეურაცხყოფად ჩათვალა მაიმუნის მაგალითისათვის მიებაძა, აქლემი კი შეეცადა ამ ასპარეზზედაც შეჯიბრებოდა მაიმუნს. მაგრამ მისმა უხეირო ძუნძულმა მხოლოდ აღაშფოთა მხეცები, რომელთაც იგი განდევნეს და მეფედ კი მაიმუნი აირჩიეს. მას ჩააცვეს ლომის ტყავი, მის ზევით სამეფო მანტია, ხოლო ფეხებზე ოქროს სანდლები. ამგვარად, მაიმუნმა ნამდვილი მეფის სახე მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ მაიმუნს მოსწყინდა სასახლის ეტიკეტი და პატივი და მარტოდ-მარტო მიდის განცალკევებულ ადგილას. გზაზე ხვდება მას ეშაკი მელა და დიდი ოსტატებით ახერხებს მის დარწმუნებას თავის გულწრფელსა და ღრმა მეგობრობაზე, აქებს-ადიდებს მის „მაღალ“ შთამომავლობას, ძლიერებასა და სათნოებას; ბოლოს კი აცნობებს, რომ ნახა ხორცი, მაგრამ შეუძლებლად ჩათვალა მისი მირთმევა და შეინახა იგი ჩვეულებრივ დაწესებული სამეფო ძღვნისათვის. მაიმუნი გაჰყვა მელას. გზაზე მათ გაუარეს რამდენიმე საფლავის ქვას და მაიმუნმა მოულოდნელად წამოიკვნესა. „რა დაგეშართა“? ეკითხება მელა. „როგორ არ ამოვიოხრო, როდესაც ამ ხავსმოკიდებულ ქვებს ქვეშ მარხია ნაშთი ჩემი კეთილშობილი მამებისა და პაპებისა!“ უპასუხებს მაიმუნი. „იცრუე, რამდენიც გნებავს!—ფიქრობს მელა, მკვდრები ხომ მაინც ვერ ადგებიან, რომ დარდი შეგიმსუბუქონ-ო.“ ამასობაში მიუახლოვდენ იმ ადგილს, სადაც მელას ხაფანგს ქვეშ ხორცი ჰქონდა შემონახული. მაიმუნმა დაიეიწყა თვისი სამეფო ღირსება და ოთხი ფეხით წაფოფხდა ხორცისაკენ. სა-

უცხოო პორფირა ნაგლეჯებად იქცა, ლომის ტყავი გვერდზე ჩამოეკიდა და გამო

გადავიდეთ კუნძულ ლესბოზე, რომელიც დასერილია მთებით და შემკული რბილი და ჯანსაღი ჰაერით; იგი მდიდარი იყო პურით, ზეთის ხილით და ლეღვით და ძველადვე განთქმული თვისი ღვინით. მისი მთავარი ქალაქი მდიდარი და მშვენიერი მიტილენი VII ს-ის მეორე ნახევრიდან ხშირად იყო ასპარეზი ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლისა. პენფილიდების დაცემის შემდეგ მიტილენშიც მყარდება ერთი პირის—პიტაკის ბატონობა. იგი უბრალო ხალხიდან იყო გამოსული და ქალაქის სავაჭრო „ბურჟუაზიის“ მეთაურად ითვლებოდა.

პიტაკი ათი წლით აირჩიეს ესიმენტად შეუზღუდავი უფლებებით. ამ შემთხვევით აღშფოთებული იმ დროის პოეტი არისტოკრატი ალკეო ასეთი სიტყვებით მიმართავს მიტილენელებს: „საერთო-სახალხო მსჯავრით ვის ხელში გადაეცით—თქვენ საცოდავი სამშობლო, ბედკრული ჩვენი ქალაქი? სამშობლოს გერს! ტირანი გახდა პიტაკი, ქალაქის მტერი, სამშობლოს გადაგვარებული“ (ვ. ივანოვის თარგმანით).

მაგრამ პიტაკის არჩევით არ დამთავრებულა მიტილენში რევოლუციური ეპოქა. როგორც ალკეოს დაცული ლექსებიდან ჩანს, მოსახლეობაში ერცელდებოდა განსაკუთრებული პროკლამაციები, რომლებშიც მას გადატრიალების მოხდენისაკენ მოუწოდებდა ძველი არისტოკრატიის შეურიგებელი ნაწილი. ერთი ათკანი ალკეოს ლექსის[78] მიხედვით ასე თავდებოდა: „მეგობრებო! საქმეს მოვკიდოთ ხელი! ხანძარი უნდა ჩავაქროთ, ვიდრე მორებისაგან ოდნავ მოჩანს კვამლი: როდესაც ცისფრად იქცევა ალი, უკვე გვიან იქნება დასახმარებლად მოსვლა!“ ამასთან ერთად წარმოებს ჩუმი მუშაობა საიდუმლო შეიარაღებული აჯანყებისათვის[79]. საერთოდ ალკეოს ლექსები გვარწმუნებს, რომ მიტილენის ძველი არისტოკრატია ვერ ურიგდება ახალი ქალაქის „ბურჟუაზიის“ ამაღლებას და პოლიტიკური პოზიციების დაპყრობას და გამწარებული და სასოწარკვეთილი ყოველგვარად ცდილობს შეაჩეროს ეს ახალი მოვლენა, მაგრამ ამაოდ...

ამ მხრით ალკეო თავის სახელმწიფოს გემს ადარებს, რომელსაც აქაფებულ ტალღებს შორის მიაქანებს ქარი და რომლის მიმართ უკვე შეუძლებელია შემაჩერებელი გონიერი ზომების მიღება[80]. მიტილენის არისტოკრატიას, რომლის სულისკვეთების გამომხატველია ალკეო, უკვე აღარ სწამს თვისი გამარჯვება და ღრმა პესიმიზმით შესცქერის „ბურჟუაზიის“ გაბატონებას:

„ახსოვთ სპარტაში არისტოდემის მოსწრებული სიტყვა, ძალაშია იგი სიტყვა. მეფემ თქვა: „ადამიანი—სიმდიდრეა“, ღარიბს არ მოეპოება დიდება, ლატკს—პატივი“ (ვ. ივანოვის თარგმანით). რაკი იმედი აღარ არსებობს ძველი პოზიციების დაბრუნებისა, სხვა რაღა დარჩენილა, თუ არა ისევ ცდა ომის სტიქიაში, ან ღვინოში თავდავიწყებისა:

„რა საჭიროა, მეგობრებო, ფიქრებით გულის გაწამება?
ფიქრით ხომ არ შეიძლება მომავლის აცილება?
ყველა წამლისაგან ღვინო სასოწარკვეთილების
ნამდვილი წამალია. დავლიოთ მაშ და დავითვრეთ!“

(ვ. ივანოვის თარგმანით)[81].

ამგვარად, ბრძოლის განწყობილება თანდათან ადგილს უთმობს აუცილებელი მოვლენის წინაშე დამორჩილების გრძნობას.

იონიის ტირანიამ·თვისი ბრწყინვალე დასასრული ჰპოვა პ ო ლ ი კ რ ა ტ ე ს ა მ ო ს ე ლ შ ი, რომელიც უაღრესად ძლიერი და იმავე დროს მრისხანე მბრძანებელი იყო VI ს-ის მეორე ნახევარში; მისი დიდი ფლოტი მთელს ეგეოსის ზღვაზე ბატონობდა და თავზარს სცემდა ყველას.

მისი დამხობა შედეგი იყო არა შინაური ბრძოლისა, არამედ 522 წელს იგი მოკლულ იქნა სპარსელების მიერ, რომლებიც მასში საშიშ მოწინააღმდეგეს ხედავდენ.

საკუთრივ საბერძნეთში ტირანიის მიმოხილვის დროს უწინარეს ყოველისა კ ო რ ი ნ თ ზ ე უნდა შეჩერდეთ. აქ 657 წელს კიპსელმა ბოლო მოუღო ბაკხიადების ოლიგარქიას, რომლებთანაც იგი დამოყვრებული იყო, და, როგორც დემოსის მეთაურმა, „ბასილევსის“ წოდებით დაარსა ტირანია, რომელიც მან და მისმა შვილმა პერიანდრემ ბრწყინვალე სახით განავითარეს. გონიერული საახალშენო პოლიტიკით და შინაური რეფორმებით მათ კორინთო ძლიერების მწვერვალზე აიყვანეს. პერიანდრე ზრუნავდა უმთავრესად წვრილ გლეხობაზე და, რომ მათთვის მიწები დაერიგებია, იგი კონფისკაციას უკეთებს არისტოკრატიის მამულებს [1] და გლეხებს ათავისუფლებს კაბალისაგან. მისი საგარეო პოლიტიკა და განსაკუთრებით მთელი რიგი ახალშენების დაარსება აგრეთვე იმავე მიზანს ისახავდა, რომ მოსახლეობის ზედმეტი ნაწილისათვის თავისუფალი მიწები აღმოეჩინა.

ამავე ხანაში მ ე გ ა რ ი ც დიდი შინაური სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი იყო და გლეხობის მემამულეების წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად წარმოიშვა თეაგენეს ტირანია (დაახ. 650 წ.). მაგრამ ტირანიამ დიდხანს ვერ იარსება და ძალაუფლება კვლავ არისტოკრატიის ხელში გადავიდა. მალე არისტოკრატია კვლავ დაამარცხა დემოკრატიამ, რომელმაც სასტიკი ზომები მიიღო პირველის წინააღმდეგ: ქონების კონფისკაცია, სამშობლოდან გაძევება და სხვ. სამშობლოდან გადახვეწილი არისტოკრატიის ნაწილი იმედს არ ჰკარგავდა უკან დაბრუნებისას და, როგორც ჩანს, მოახერხა კიდეც ეს VI ს-ის დასასრულს, დაამარცხა დემოკრატია და აღადგინა ოლიგარქიული წყობილება.

ამ ცხარე ბრძოლის თავისებურ გამოძახილს ვპოულობთ მეგარის VI ს-ის მეორე ნახევრის მგოსნის თეოგნიდეს შემოქმედებაში. თ ე ო გ ნ ი დ ე არისტოკრატი იყო ჩამომავლობით და სოფლმხველლობით და არისტოკრატიის სხვა წევრებთან ერთად განიცადა „ბედის უკუღმა ტრიალი“. მისი შემოქმედება უდიდესად მოწამლულია უბრალო ხალხისადმი უსაზღვრო სიძულვილით. ის ხედავდა, რომ იგი თანდათან აძევებდა ცხოვრების ასპარეზიდან ძველ კეთილშობილთა წოდებას და homo novus ეპატრონებოდა ეკონომიურსა და პოლიტიკურ პოზიციებს. „ფული ურევს ერთიმეორეში წოდებათ“, ჰგოდებს მგოსანი. იგი იძულებულია აღიაროს, რომ „ძალა სიმდიდრეშია“ და ძველი ამაყი არისტოკრატია სიამოვნებით უმოყვრდება დაბალი წარმოშობის ხალხს, რომელსაც სამაგიეროდ ფული და სიმდიდრე მოეპოება.

არისტოკრატიული იდეალების ნგრევის ეპოქაში მცხოვრები თეოგნიდე სასოწარკვეთილი გვიზიარებს თავის პესიმისტურ გულისნადებს: „ადამიანისათვის უმჯობესია სრულებით არ დაიბადოს და არასოდეს არ იხილოს მზის სხივები... რადგან, მართალია, ქალაქი იგივეა, მაგრამ ხალხი შეიცვალაო“.

ამგვარად თეოგნიდეს ლირიკა საუცხოოდ გვაცნობს ამ ეპოქის ბერძენი არისტოკრატების მწუხარე სულისკვეთებას ახალი სოციალური ფენების ამაღლების გამო.

ტირანიას ვხედავთ ამ ეპოქაში აგრეთვე სიკიონში.

აქ ორთაგორიდები ემყარებოდნენ მოსახლეობის დაბალ ფენებს, 4 ფილედ დანაწილებულ ძველ წინა-დორიული იონელების ჩამომავალთ. VI ს-ში ტირანი გახდა ორთაგორიდი კლისთენი, რომელიც უფრო გარკვეულ შეტევას აწარმოებდა არისტოკრატიის წინააღმდეგ და ცდილობდა მის დამცირებას.

სიციონიაში ტირანია ცოტა უფრო გვიან დამყარდა—VII ს-ის ბოლოში. აქ თვისი ძლიერებით უფრო განთქმული იყო აკრაგასის ტირანი ფალარისი (VI ს-ის დასაწყისი). უფრო ფართო ხასიათი მიიღო ტირანიამ სიციონიაში VI საუკუნის დასასრულიდან. როგორც იონიაში, აქაც ადგილობრივ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს გარდა ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო საფრთხეს კართაგენელებისა და ეტრუსკების მხრით, რის გამოც ტირანებისადმი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდენ სტრატეგოსები შეუზღუდავი უფლებებით (στρατηγὸς αὐτοκράτωρ).

ათენზე ცალკე გვექნება ლაპარაკი.

8. ატიკა VII-VI ს. კილონის შეთქმულება. დრაკონის კანონმდებლობა.

ათენის ისტორიის ამ ხანის შესახებ, საბწუხაროდ, მოგვეპოება მხოლოდ მცირე და ისიც ხშირად ნაკლებად სანდო ცნობები.

მიუხედავად ამისა უდაო ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ VII ს-ის ოცდაათიან წლებში ათენში ადგილი ჰქონდა კილონის შეთქმულებას და არა VI ს-ის მეორე ნახევარში, პიზისტრატეს დროს, როგორც ამის დამტკიცებას უსაფუძვლოდ ცდილობს ზოგიერთი ისტორიკოსი, მათ შორის ბელოხი, დესანქტისი და სხვ. წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აღმოჩენილი არისტოტელის „ათენის პოლიტი“-ის I თავი. რომლის მხოლოდ უკანასკნელმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, ეხება კილონის შეთქმულებას, ხოლო II თავი შეიცავს სოლონის რეფორმების წინამორბედი მოვლენების აღწერას.

ჰეროდოტესა და თუკიდიდეს ცნობების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ კილონი ეკუთვნოდა ერთ-ერთ არისტოკრატულ გვარს, იგი სიძე იყო მეგარის ტირანის თეაგენისა და 640 წელს ოლიმპიის დღესასწაულზე მოიპოვა გამარჯვება. კილონმა მოახდინა პირველი ცდა ათენში ტირანიის დაწესებისა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამისათვის სათანადო ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო აქ მზად და და მისი ცდა დამარცხებით დამთავრდა. ყოველ შემთხვევაში ხალხის დაბალი ფენები მის ცდას საკმაო გულგრილობით შეხვედრია, ამიტომ იგი მოქმედებდა მხოლოდ მცირერიცხოვანი მომხრეების დახმარებით. მართალია, მან მოახერხა

აკროპოლისის დაკავება, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ალყა შემოარტყეს და აიძულეს გაქცეულიყო. მისმა მომხრეებმა კი თავი შეაფარეს ღმერთქალის ათინას საკურთხეველს იმ იმედით, რომ აქ მათ ხელს ვერვინ შეახებდა; ხოლო არქონტის ალკმეონიდის მეგაკლეს განკარგულებით ისინი დახოცილ იქნენ საკურთხეველთან, რაც ალკმეონიდებს უდიდეს დანაშაულად ჩაეთვალა და რასაც მათ არაერთხელ მოაგონებენ შემდეგში, განსაკუთრებით კი—VI ს-ის დასასრულს და პელოპონესის ომის დასაწყისში. ამ შემთხვევაშიც, კილონის შეთქმულების ჩაქრობის შემდეგ, ალკმეონიდების გვარი, რომელმაც იმ დროის წარმოდგენით უდიდესი ღვთისგმობა დაატეხა ქალაქს თავს, გაძევებულ იქნა ათენიდან და მხოლოდ სოლონის ამნისტიით მიეცა მას საშუალება უკან დაბრუნებისა. მიუხედავად ამისა, ალკმეონიდების გვარმა დიდი როლი ითამაშა ათენის ისტორიაში.

ვაჭრობა-წარმოების განვითარების მხრით ატიკა პირველ ხანებში დიდად იყო ჩამორჩენილი საბერძნეთის სხვა ცნობილ ცენტრებს, მაგრამ ამ მოვლენამ სათანადო პირობების წყალობით აქაც მალე მოიპოვა ფართო ასპარეზი, განსაკუთრებით ფულის მოჭრის შემოღების შემდეგ.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ბერძენი გლეხკაცობა ფულადი მეურნეობის დამყარების შემდეგ. ასეთსავე მდგომარეობას განიცდიდა ახლა ათენის გლეხობა. პირველად ისიც დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე ამის მიზეზია გაბატონებული წრეების მიერ ღმერთებისაგან მონიჭებული კანონების შერყვნა, დარღვევა და დავიწყება, ამიტომ მისი პირველი მოთხოვნილება იყო დაწერილი კანონების გამოცემა. არისტოკრატია იძულებული გახდა ეს მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია და დაახ. 624 წელს არისტექმის არქონტობაში დრაკონს მიანდვეს სამართლის კოდიფიკაცია.

დრაკონის მოღვაწეობა წარმოადგენდა არა ახალი კანონების შექმნას, არამედ მხოლოდ ადათის ფიქსაციას.

იგი სცნობდა სისხლის აღების ჩვეულებას, რომელიც მას პრინციპში არ მოუსპია, მაგრამ დიდად შეზღუდა ამ ადათის საშინელი მხარეები და მკვლელსა და დაზარალებულთა შორის დააყენა სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც მათი დავის მომწესრიგებელი ორგანო, და ამით მას დაუკარგა პირადი მისაგებლის ხასიათი; ამას გარდა მან გარკვევით განასხვავა ერთიმეორისაგან წინასწარი განზრახვით და შემთხვევითი მკვლელობა და მკვლელობა, როდესაც მკვლელი „თავის უფლებაში ითვლებოდა“, მაგ. თავდაცვისა და იქვიანობის დროს. თითოეული სახის მკვლელობის გასამართლება წარმოებდა განსაზღვრულ ადგილას. დრაკონის კანონების შემონახული ფრაგმენტები გაეღენთილია არქაიზმით და იმ დროის დემოსს, ცხადია, იგი უნდა მიეღო, როგორც უაღრესად რეაქციონური მოვლენა. ეჭვი არ არის, დრაკონის ასეთი კანონმდებლობა ოდნავ ვერ დაამშვიდებდა ხალხის ფართო მასებს და მართლაც, უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდებოდა, რაზედაც საუბარი ცოტა ქვემოთ გვექნება. ხოლო ვიდრე დრაკონის მოღვაწეობის განხილვას დავამთავრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ ფაქტზე.

არისტოტელის „ათენის პოლიტი“-ის IV თავი დრაკონს გვიხასიათებს არა მარტო როგორც კანონმდებელს, არამედ აგრეთვე სახელმწიფო წყობილე-

ბის რეფორმატორს. მისი მიხედვით, დრაკონმა პოლიტიკური უფლებები მიანიჭა ყველა იმ მოქალაქეს, ვისაც შეეძლო თავის ხარჯზე შეიარაღება. ამათი წრიდან ირჩევდენ 401-ის საბჭოს წევრებს და სხვადასხვა თანამდებობის პირებს; საბჭოსა და სახალხო კრებაზე დაუსწრებლობისათვის დაწესებული ყოფილა ფულადი ჯარიმა—პენტაკოსიომედიმნებისათვის—3 დრახმა, მხედრებისათვის—2 და ძევგიტებისათვის—1: უმაღლესი თანამდებობის პირების სტრატეგოსების, ჰიპარქოსების, არქონტებისა და ხაზინადრების მიმართ შემოღებიათ დიდი ფულადი ცენზი და სხვ. ასეთი წყობილება უნდა დაემყარებია არისტოტელის ტრაქტატის IV თავის მიხედვით უკვე დრაკონს. ეს ფაქტი „ზოგის თვალში ჩვენი ახალი წყაროს ცნობათა შორის თავისებური მარგალიტია, ხოლო სხვებისათვის — სრული შეუსაბამობა“ [83]. საწინააღმდეგო ცნობას გვაწვდის პლუტარქი. იგი დრაკონს იცნობს მხოლოდ როგორც სისხლის სამართლის კანონმდებელს, ხოლო ცენზის შემოღებასა და მოქალაქეების კლასებად დაყოფვას გარკვევით სოლონს მიაკუთვნებს (Sol. XVII—XVIII).

იგივე არისტოტელი სხვა ადგილას აღნიშნავს: კანონმდებელთა შორის ზოგიერთი მხოლოდ კანონების ავტორი იყო, სხვები კი, მაგ., ლიკურგოსი და სოლონი, სახელმწიფოს მომწესრიგებელნი იყვენ, რადგან მათ კანონებიც გამოსცეს და წესწყობილებაც მათთან შეეფარდებით მოაგვარესო (Pol. II, 9,1). უფრო მეტიც—არისტოტელი გარკვევით ამბობს: არსებობს დრაკონის კანონები, მაგრამ მან ისინი უკვე არსებული სახელმწიფო წესწყობილებისათვის გამოაქვეყნა (Δράκοντος δὲ νόμοι μὲν εἰσί, πολιτεία δ᾽ὑπαρχούσῃ τοῖς νόμοις ἔθηκεν) და ორიგინალური, მოხსენების ღირსი მათში არა არის რა, გარდა სასჯელის სიდიდის სიმძიმისაო (ibid. II, 9,9). როგორ უნდა შეეათანხმოთ არისტოტელისა და პლუტარქის ცნობები, ან თვით არისტოტელის სხვადასხვა ნაშრომში გამოთქმული წინააღმდეგობა?

ამ საკითხის გარშემო მეცნიერებაში ორი გარკვეული ბანაკი ჩამოყალიბდა: ერთი არისტოტელის ცნობას დრაკონის კონსტიტუციის შესახებ მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს, მეორე კი მას სრულებით უარჰყოფს და შეუსაბამობად თვლის [84].

პირველთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი კლასიკოსი ვილამოვიცი, რომლის აზრით ატიკის ქრონიკამ სავსებით დაივიწყა დრაკონი და მისი კანონები სოლონს მიაწერა... არისტოტელმა შეავსო ეს ხარვეზი... ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ არისტოტელისა, რომელმაც შეგვინახა დრაკონის კონსტიტუცია და ამით შეასწორა დემოკრატიულად განწყობილი ქრონიკის შეცთომებია [85].

მეორის მხრით მკვლევართა მთელი რიგი ედ. მაიერის [86] მეთაურობით არისტოტელის ტრაქტატის IV თავს სრულებით შეუსაბამო ცნობად აღიარებს და ამტკიცებს, რომ იგი არისტოტელს არ ეკუთვნის [87].

ჩვენი აზრით, ამ საკითხზე ყველაზე უფრო საფუძვლიანი მოსაზრებები წამოაყენეს აკად. ვლ. ბუზესკულმა [88] და ულ. ვილკენმა. [89].

„ათენის პოლიტიის“ შესახებ სადოქტორო დისერტაციაში აკად. ბუზესკული გადაჭრით გვიმტკიცებს, რომ—ა) ტრაქტატის IV თავში აღწერილი

დრაკონის პოლიტია არის ანაქრონიზმი, ბ) გადმოღებულია იგი ოლიგარქიული წყაროდან და გ) ჩამატებულია სხვა, გარეშე პირის მიერ.

„წილის ყრას, ქონებრივ კლასებს და სხვა ასეთს რომ თავი დავანებოთ, რომლის შესახებ კიდევ შესაძლებელია კამათი, სრულებით წარმოუდგენელია, რომ დრაკონის დროს, VII საუკუნის ოციან წლებში, სტრატეგოსები და ჰიპარქოსები არქონტებზე მაღლა მდგარიყვენ... მათთვის კი უფრო მაღალი ცენზი იყო საჭირო, ვიდრე არქონტებისათვის... ეს უკვე ცხადი ანაქრონიზმია. V საუკუნემდე ათენის საერთო სახელმწიფო მართვა-გამგეობაში პირველი ადგილი არქონტებს ეკავათ, ხოლო ჯარების მთავარსარდლობა პოლემარქოსს ეკუთვნოდა. დრაკონის კონსტიტუციას მრავალი საერთო ხაზი აქვს V ს-ის დასასრულის ოლიგარქიულ პროექტთან, იგი ამეღავნებს იმ დროის ათენის ოლიგარქოსების წადილსა და იდეალებს, არ ეთანხმება წინა და მომდევნო ტექსტს და მიკერებულია, ასე ვთქვათ, თეთრი ძაფით“.

ასე გადაჭრით უარჰყოფს ამ თავის არისტოტელის ტრაქტატისადმი კუთვნილებას ვ ი ლ კ ე ნ ი ც, რომლის სიტყვითაც IV თავის ცნობა, რომ დრაკონმა კონსტიტუცია (πολιτεία) შეჰქმნა, არა-ისტორიულია და გამომდინარეობს V ს-ის დასასრულის ოლიგარქიული „გაყალბებისაგან. რომელიღაც ინტერპოლატორმა ეს ცნობა IV თავს ჩაურთო.

საერთოდ მთავარი საბუთები იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ დრაკონს არაეითარი პოლიტია არ შეუქმნია და რომ ხსენებული ტრაქტატის IV თავი თვით არისტოტელს არ ეკუთვნის.

II. ათენის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა VII ს-ის დასასრულს და სოლონის რეფორმები.

VII ს-ის დასასრულს ატიკის მოსახლეობა დიდ შინაურ მღელვარებას განიცდიდა. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს თქმით (Αθ. πολ. II), სოლონის დროს მდიდრები და ღარიბები დიდხანს (πολὺν χρόνον) მძლავრად ებრძოდენ ერთიმეორეს; სახელმწიფო წყობილება მაშინ ყოველ მხრით ოლიგარქიული იყო; მთელი მიწა უმცირესობას ეკუთვნოდა, ხოლო ღარიბები მდიდრების კაბალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდენ, როგორც თვითონ პირადად, ისე მათი შვილები და ცოლები; და უწოდებდენ მათ პელატებს და ჰექტემორებს, რადგან ასეთი საიჯარო ურთიერთობით ამუშაებდენ მდიდრების მამულებს; ხოლო თუ არ გაიღებდენ დაწესებულ საიჯარო გადასახადს, შეიძლებოდა მათი და მათი შვილების წაყვანა; სესხის აღება მაშინ, ვიდრე სოლონამდე, რომელიც პირველად გამოექომაგა ხალხს, წარმოებდა სხეულის დაწინდრებით. ამ საყურადღებო ცნობის მიხედვით დემოსი დაჩაგრული მოჩანს ეკონომიური კაბალით და სრული პოლიტიკური უუფლებობით. და, ვინაიდან პოლიტიკური წყობილება ოლიგარქიული ყოფილა და ხალხის უმრავლესობა გაბატონებული წრის კაბალაში ჩავარდნილა, დემოსი ამდგარა მათ წინააღმდეგ.

ხალხის ბედშავი მდგომარეობისა და უკმაყოფილების მსგავს სურათს იძლევა მეორე წყარო, პ ლ უ ტ ა რ ქ ი: იმ დროს სასტიკმა ქონებრივმა

უთანასწორობამ კეთილშობილთა და დაბალ ხალხს შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია; სახელმწიფო საკუთრებით მოშლილი იყო შექმნილი კრიზისით; მღელვარების მოსპობა შესაძლებელი იქნებოდა, თითქოს, მხოლოდ ტირანიის მეოხებით; მთელი ხალხი დავალიანებული იყო მდიდრების წინაშე; ზოგი მემამულეების მიწებს იმუშავებდა და აძლევდა მათ მოსავლის მეექვსე ნაწილს, ამიტომაც უწოდებდენ მათ მემეექვსედებს (ἑκτήμοροι) და თეტებს; სხვები მდიდრებისაგან იღებდენ სესხს სხეულის დაწინდრებით, და შეუძლო მოვალეების სახით ხდებოდენ კრედიტორების მონებად; ესენი მონებად მსახურობდენ ან სამშობლოში ან და მათ უცხოეთში ჰყიდდენ; ბევრი იძულებული იყო გაეყიდა თვისი შვილები (კანონით ეს აკრძალული არ იყო) და გაქცეულიყო ქალაქიდან, რომ თავი დაეღწია კრედიტორების სისასტიკისაგან; უფრო გაბედული პირები კი კრებებზე ერთიმეორეს არწმუნებდენ, თავიდან აეშორებინათ ასეთი მდგომარეობა, აერჩიათ წინამძღოლად რომელიმე სანდო პირი, გაეთავისუფლებინათ ისინი, ვინც ვადაზე ვერ გადაიხადა ვალი, მოეწყოთ მიწების ახალი დანაწილება (καὶ γῆν ἀναδάσασθαι) და სრულებით შეეცვალათ სახელმწიფო წესწყობილება (Sol. XIII).

ამგვარად, ამ წყაროების ზოგადად შეთანხმებული ცნობების მიხედვით ატიკის ეკონომიური განვითარების, განსაკუთრებით ფულადი მეურნეობის დამყარების შედეგად ათენის მცხოვრებლების უმრავლესობა დამონებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა და მღელვარედ ოცნებობს ძირითად სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე.

ასეთი ცნობა საერთოდ მტკიცდება იმ დროის ამბების მონაწილის, თანადამხდურისა და მთავარი მოღვაწის სოლონის მოწმობითაც. მისი ელეგიების დაცული ფრაგმენტები[10] თვალწინ გვიშლის ისეთსავე სურათს ხალხის გაჭირვებისა და უკმაყოფილებისას, როგორსაც არისტოტელი და პლუტარქი. სოლონი მწუხარებით აღნიშნავს: ჩემ გულში იბუდებს განუზომელი სევდა, როდესაც ეუცქერ იონიის ძველ მიწა-წყალს, რომელსაც აწამებს შინაური უთანხმოება... მაშინებს ზოგის შეუჩერებელი მიდრეკილება ფულისადმი, სხვების კი წრეგადასული ზვიადობა; არავინ ჯერდება იმას, რაც აქვს და არაფერს არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება; ხალხის მეთაურებისათვის ცოტაა მათი ქონება, თავის მოქმედებაში ისინი სიმართლეს არ დაეძებენ, ვერ ლაგმავენ გაუმაძღრობას ფულითა და ძვირფასი ნივთებით, ამიტომაც მათ მალე მოუხდებათ პასუხი აგონ თვისი საქციელისათვისო... თქვენ, ეუბნება იგი მდიდრებს, გეყოფათ ცხოვრების სიკეთით დატკბობა, საზღვარი დაუდევით თქვენ ზვიადობას, მოათვინიერეთ თქვენი გული და უფრო მარტივი იყავით თქვენს სურვილებში, თორემ ხალხის რისხვა არ აგცდებათო.

სოლონი საუკეთესოდ ადასტურებს ვალებში ჩავარდნილი პირების კაბალურ მდგომარეობას, დედამიწის დამონებას—მასზე სავალო ქვის სვეტების აღმართვით—და დემოსის მიერ მიწების ახალი დანაწილების მოთხოვნას.

ამგვარად, გარკვეული სურათი გვეშლება თვალწინ ატიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ეკონომიური კაბალისა, ამასთან ერთად პოლიტიკური უუფ-

ლებობის და აგრეთვე დემოსის ძლიერი მღელვარებისა და ამ მხრით გამწვავებული მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ წყაროების ცნობაში ბევრი რამ გაურკვეველი და სადაოა, რასაც ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ და ცალკე ნარკვევი მივუძღვენით („სოციალური რეფორმა ძველ საბერძნეთში. სოლონის სისახთია"). ამიტომ ყოველივე ამაზე აქ მხოლოდ გაკვრით შევჩერდებით.

ვალებით დატვირთული ხალხი, არისტოტელის მოწმობით, შედგებოდა დამოკიდებულთა მხოლოდ ერთი კატეგორიისაგან—პელატებისა და ჰექტემორებისაგან, რომლებიც ვალების გადაუხდელობის გამო, უშუალოდ გადადიან კაბალაში. პლუტარქი, პირიქით, ჯერ აღნიშნავს ჰექტემორებს, რომლებიც სამეექვსედოდ ამუშავებდენ მიწებს, და თეტებს, შემდეგ კი იმ კატეგორიის ხალხს, რომელიც საკუთარი „სხეულის" დაწინდრებით იღებდა სესხს და, რაკი მას თავის დროზე ველარ ისდიდა, ვარდებოდა კაბალურ მდგომარეობაში. უნდა გარკვეით აღინიშნოს, რომ პლუტარქის ცნობა უფრო სრული და დამარწმუნებელია. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დავალიანებული დემოსის დამოკიდებულ მდგომარეობაში არსებობდა სამი საფეხური: ა) ჰექტემორები და პელატები (არისტოტელი), თუ ჰექტემორები და თეტები, რომლებიც პირადად თავისუფალი იყვენ, მაგრამ ეკონომიურად დამოკიდებული; ბ) ვალში „სხეულის" დამაწინდრებელნი და, დასასრულ, გ) ვალის გადაუხდელობის გამო კრედიტორების კაბალაში ჩაცვინულნი.

ცხადია. ატიკელ გლეხს ხშირად უხდებოდა მდიდარი მეზობლებისაგან სესხის აღება ნატურით, თუ ფულით და ამ მიზნით თვისი მიწის დაგირავება, ასეთი რამ კი ატიკაში აკრძალული არ ყოფილა; თუ იგი ვერ შეძლებდა ვალის გადახდას, მისი მიწა ფაქტიურად კრედიტორის ხელში გადადიოდა; შემდეგ კი აუცილებელი საჭიროების დროს, იგი ახალ სესხს იღებდა „სხეულის" დაწინდრებით და მისი გადაუხდელობის შემთხვევაში იძულებული იყო შერიგებოდა კაბალას, ან საზღვარგარეთ იყიდებოდა მონად.

მიუხედავად ამისა, დაგირავებული მიწა იურიდიულად ისევ გლეხის საკუთრებად ითვლებოდა; მასზე აღმართული ყოფილა საკალო ნიშნები, საიდანაც ჩანს, რომ იგი კრედიტორების სრულ საკუთრებაში კი არ გადასულა, არამედ კვლავ დაწინდრებულად ითვლებოდა.

ჩვენთვის გარკვეული არ არის, თუ მოსავლის რომელ ნაწილს იხდიდენ ჰექტემორები. პლუტარქი გარკვეულად გვუბნება, რომ ისინი მემამულეთ მოსავლის $^1/_6$-ს აძლევდენ. არისტოტელის ცნობა კი ბუნდოვანია:

„ასეთი საიჯარო ურთიერთობით ამუშავებდენ მდიდრების მამულს"-ო (κατὰ ταύτην γὰρ τὴν μίσθωσιν ἠργάζοντο τοῦς ἀγροῦς). მაგრამ როგორი იყო ეს საიჯარო ურთიერთობა, არ ვიცით. ამავე დროს ლექსიკოგრაფოსები გარკვეულად აღნიშნავენ, ჰექტემორები მოსავლის $^5/_6$-ს იხდიდენო. ჩვენი წყაროების ცნობათა ასეთი შეუთანხმებლობის გამო ეს საკითხი სადაოა და დღემდე გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება[91]. ხოლო როგორ მოხდა, რომ ამ ეპოქისაგან პლუტარქსა და მით უმეტეს ლექსიკოგრაფოსებზე გაცილებით უფრო ადრე მცხოვრებმა არისტოტელმა ასეთი გაურკვეველი ცნობა დაგვიტოვა ამ სოცია-

ლურ ინსტიტუტზე? ამის შესახებ „სოლონის სისახთია“-ში ჩვენ უკვე გამოვთქვით ის მოსაზრება, რომ „შესაძლებელია, არისტოტელის დროს ტერმინი ჰექტემორები შენარჩუნებული იყო, ხოლო მასზე ნათელი წარმოდგენა დროთა ვითარებაში უკვე დავიწყებული“... (გვ. 20). უკანასკნელ დროს ასეთივე განმარტება მოგვცა ულ. ვილკენმა [93].

როგორც ჩანს, თვისი მდგომარეობით უდიდესად უკმაყოფილო ხალხის დაბალ ფენებს მხარს უჭერდა ატიკის მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელიც ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდა და რომელსაც ღრმად სძულდა ძველი ტიპის მემამულეები და მათი პოლიტიკური ბატონობა.

ამგვარად, VI ს-ის დასაწყისში ათენის წოდებათა შორის მტრულმა დამოკიდებულებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია; დაჩაგრული ხალხის მოთხოვნილებები ძლიერ შორს მიდიოდა. „ამ შემთხვევაში ჩვენ პირველად ვხვდებით მოთხოვნილებას—მიწა ხალხს, როგორც გაღატაკებულთა ლოზუნგს“. გაჭირვებისა და დაჩაგვრის გრძნობას ემატებოდა ახლა „ის საერთო შეხედულება, რომელიც მაცდურად უხატავდა დაჩაგრულთა თვალებს ბრწყინვალე ფანტაზიებს საყოველთაო წარმატებისას და ნერგავდა მათ სულში ოცნებას, თითქოს საჭიროა მხოლოდ ენერგიული ჩარევა და კადნიერი გამბედაობა, რომ ეს ახალი და საუკეთესო სამყარო სინამდვილედ იქცეს“ [93]. ამ აზრით შეგვიძლია დავეთანხმოთ პოელმანს [94] და ბუზოლტს [95], რომ ეს მოძრაობა თავისებური „სოციალური რევოლუცია“ იყო, რომელიც მიზნად ისახავდა, როგორც არსებული სამეურნეო პირობების, ისე პოლიტიკური წესწყობილების გარდაქმნას. და აი, როდესაც პარტიული შეხლა-შემოხლა უკიდურეს წერტილს აღწევს, და სახელმწიფოს უდიდესი კრიზისისაგან გადარჩენა, თითქოს, მხოლოდ ტირანიას შეეძლო, ორივე მებრძოლი პარტია შეთანხმებით ირჩევს 594 წელს სოლონს არქონტად და ანიჭებს მას, როგორც „შუამავალს“ (διαλλακτής) განსაკუთრებულ დიქტატორულ უფლებებს, რომ კონსტიტუციის (πολιτεία) და კანონების (θεσμοί) შეცვლით მოსპოს სახელმწიფოში გაბატონებული მძიმე მდგომარეობა. სოლონი, მართალია, ერთის მხრით ძველ სამეფო გვარეულობას ენათესავებოდა, მაგრამ მეორის მხრით, როგორც დიდი ვაჭარი, საზოგადოების უფრო საშუალო წრეებს უახლოვდებოდა და თავის სახელმწიფო მოღვაწეობაშიც საშუალო ხაზს ატარებდა.

უწინარეს ყოვლისა მან ყურადღება მიაქცია სასტიკ სავალო კანონებს და კაბალურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხის მასას და სამუდამოდ აკრძალა სესხის აღება სხეულის დაწინდრებით (δανείζειν ἐπὶ τοῖς σώμασιν), მოახდინა ვალების სრული გაუქმება (χρεῶν ἀποκοπή), განათავისუფლა ატიკაში კაბალურ პირობებში მყოფი პირები, ასსნა დედა-მიწას დაწინდრების სამარცხვინო ნიშნები და დააბრუნა სამშობლოში უცხოეთში „გაყიდული, თუ ვალების გამო გაქცეული ათენელები, რომელთაც სხვა ქვეყნებში ხანგრძლივი ხეტიალის გამო უკვე დავიწყებოდათ ატიკური ენა“. სოლონის ასეთ აქტს სისახთია (σεισάχθεια—ტვირთის მოხსნა) უწოდეს. ამ ფაქტის გათვალისწინების დროს ჩვენ ყურადღებას იქცევს ის საკითხი, თუ როგორ და რა საშუალებით გამოისყიდა სოლონმა უცხოეთში გაყიდული ათენელები. ვალების გაუქმებით, ცხადია, მან ათენში

დაბრუნების საშუალება მისცა უცხოეთში გაქცეულ ათენელებს, მაგრამ გაყიდულების მიმართ ასეთი ზომა უძლური იქნებოდა.

ამიტომ უკვე დასახელებულ სპეციალურ ნარკვევში ჩვენ გამოვთქვით და დღესაც ვიცავთ იმ მოსაზრებას, რომ მათი გამოყიდვა მოხდა, ალბათ, თვით მათი საზღვარგარეთ გამყიდველი პირების ხარჯზე (გვ. 150). ასეთი რამ სრულებით არ ეწინააღმდეგება იმ დროის პირობებს. ჩვენ ვიცით, მაგ., რომ მეგარაში VI ს-ში არამცთუ გააუქმეს ვალები, არამედ კრედიტორები აიძულეს უკან დაებრუნებინათ მოვალეებისაგან მიღებული პროცენტები (Plut. Quaest. Graec. 18). საფიქრებელია, რომ სოლონმაც დააკისრა ასეთ პირებს თვისი შეუძლო მოვალეების უცხოეთში გაყიდვისაგან აღებული თანხებით უკანვე გამოეყიდათ ისინი. ყოველ შემთხვევაში სხვაგვარი ახსნა ამ საკითხს სრულებით ვერ არ-კვევს [16].

მაგრამ მთავარი ის არის, რომ სისახთიის შესახებ [17] ძველადვე სხვაგვარი აზრიც არსებობდა. პლუტარქის სიტყვით, ზოგიერთი მწერალი, მათ რიცხვში ანდროტიონი, აღიარებს, სოლონმა ლარიბები ვალების გაუქმებით კი არ დააკმაყოფილა (οὐκ ἀποκοπῇ χρεῶν), არამედ პროცენტების შემცირებით და ფულის სისტემის შეცვლითო (Sol. XV). ეს ცნობა თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილმა სავსებით გაიზიარა და უკანასკნელ დროს, არისტოტელის ტრაქტატის აღმოჩენის შემდეგაც კი. ზოგიერთი მკვლევარი კვლავ სკეპტიკურად უყურებს ვალების სრული გაუქმების საკითხს. ასე იქცევა, მაგ., იტალიელი მეცნიერი ჩიკოტი (Ettore Ciccotti) 1923 წელს გამოცემულ „საბერძნეთის ისტორია"-ში. მაგრამ საბოლოოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ანდროტიონის მოსაზრებას და საერთოდ ყოველგვარ სკეპტიციზმს ამ დარგში საფუძველი არ აქვს [18].

ამგვარად, სისახთია მდგომარეობდა ყველა ვალის გაუქმებაში, რომლის მეოხებითაც კაბალურ პირობებში მყოფმა ადამიანებმა თავისუფლება მოიპოვეს და უცხოეთში გაქცეული პირები სამშობლო კერას დაუბრუნდენ, დედამიწას აეხსნა მონობის სამარცხვინო ნიშნები (ὅροι), ხოლო საზღვარგარეთ მონებად გაყიდული ათენელები კრედიტორების ხარჯზე იქნენ გამოსყიდული და ატიკაში დაბრუნებული (ჩემი სოლონის სისახთია, გვ. 166—167).

რაც შეეხება ფულისა და ზომა-წონის სისტემის შეცვლას, მას არსებითად კავშირი არ აქვს სისახთიასთან, ამ მხრით სოლონმა ეგინის სისტემა ევბეის სისტემით შეცვალა და ეს ჩაიდინა ათენის ვაჭრობის ინტერესების მიხედვით, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ხელსაყრელი იყო მისი განვითარებისათვის. ეგინის სისტემა გაბატონებული იყო ეგინასა და მეგარაში, რომლებიც დიდი ხნიდან ექიშპებოდენ ათენს, და საერთოდ საბერძნეთის უმეტეს ნაწილში. ახლა კი ათენი განთავისუფლდა საბერძნეთის სავაჭრო ქალაქების ფინანსიური დამოკიდებულებისაგან და სამაგიეროდ უფრო ფართოდ გაიკაფა გზა აღმოსავლეთის სავაჭრო ქალაქებისაკენ.

სისახთიასთან დაკავშირებით უნდა მოხსენებულ იქნეს სოლონის მიერ მი-

წისმფლობელობის, მაქსიმუმის დაწესება და ზედმეტი ნაწილის კონფისკაცია, ალბათ იმ მიზნით, რომ წვრილი მესაკუთრეები დაეცვა შეძლებული პირების მიერ მათი მამულების შესყიდვისაგან და საერთოდ ხელი შეეშალა მიწის საკუთრების რამდენიმე ადამიანის ხელში კონცენტრაციისათვის [99]. როგორც ჩანს, არც ეს ზომა ყოფილა იმ დროის საპერძნეთისათვის მაინცდამაინც უცნობი. არისტოტელის სიტყვით (Pol. II, 4); ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა არა მარტო ატიკაში, არამედ საბერძნეთის სხვა ადგილებშიც. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ეს მაქსიმუმი, ან რა დანიშნულება მიეცა ზედმეტ და კონფისკაციაქმნილ მიწებს [100].

სამაგიეროდ, სოლონმა გადაჭრით უარჰყო რადიკალური ელემენტების მოთხოვნილება მიწების ახალი დანაწილების შესახებ (ἀναδασμὸς γῆς).

ხალხის მოთხოვნილებები პოლიტიკურ დარგში კი სოლონმა მოქალაქეთა ტიმოკრატიული პრინციპის მიხედვით დანაწილებით დააკმაყოფილა. დროთა ვითარებაში წარმოშობილი ქონებრივი ჯგუფები მან შემოსავლის მიხედვით 4 კლასად გაჰყო. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, როგორც ეს წინათ ზოგიერთ მკვლევარს გულუბრყვილოდ წარმოედგინა, რომ სოლონმა შეჰქმნა ათენში სოციალური კლასები. მან არსებითად მხოლოდ გარეგნული იურიდიული აღრიცხვა მოახდინა იმისა, რაც შედეგი იყო წინა ისტორიული პროცესისა, და ამას დაუკავშირა პოლიტიკური უფლებების განსაზღვრა. პირველ კლასს მიაკუთვნა ის პირები, ვისაც წლიურად 500 მედიმნი პური, ან 500 საწყაო ზეთის ხილი თუ ღვინო მოსდიოდა საკუთარ მამულში: მათ ეწოდებოდა „ხუთასმედიმნიანები" (πεντακοσιομέδιμνοι); მეორეს —300 მედიმნი—„მხედრები" (ἱππεῖς); მესამეს—150, შემდეგში 200 მედიმნი —„ძევგიტები" (ჰოპლიტების სამხედრო ტერმინი); ატიკის დანარჩენი მოსახლეობა წარმოადგენდა თეტებს (θῆτες). ამ კლასების გათვალისწინების დროს უწინარეს ყოვლისა ჩვენ ყურადღებას იპყრობს საკითხი იმის შესახებ, ქონების მიხედვით დანაწილებას საფუძვლად ედო მარტო მიწის პროდუქტები, თუ კიდევ სხვა რაიმე შემოსავალი. არსებითად ეს იმას ნიშნავს, რომელ კლასს მიეკუთვნებოდა ატიკის მოქალაქეთა ისეთი ჯგუფი, რომელიც უმთავრესად ვაჭრობა-წარმოებას მისდევდა. დღემდე გაბატონებული იყო ის აზრი, რომ კლასებად დანაწილებას საფუძვლად ედო მხოლოდ მიწის ცენზი. მაგრამ უკანასკნელ დროს ულ. ვილკენმა სრულებით დამარწმუნებლად დაამტკიცა, რომ მხედველობაში იღებდენ აგრეთვე საქონელს და შემოსავალს ფულით, რაც ასეთი შეფარდებით იყო წარმოდგენილი: 1 მედიმნი=1 ცხვარს=1 დრახმას [101]. ამგვარად, არა ჩამომაელობა, არამედ ამ ქონებრივი კლასებისადმი კუთვნილება განსაზღვრავდა უკვე ამათუიმ მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს და მოვალეობათ. ამასთან ვინაიდან მეომრები ვალდებული იყვენ საკუთარ ხარჯზე შეიარაღებულიყვენ, ნამდვილი პრივილეგიებით სარგებლობდა პირველი სამი კლასი, რომელთაგან პირველი და მეორე ცხენებზე, მესამე ჰოპლიტებად მსახურებდა, ხოლო მეოთხე სულ დიდი—მსუბუქშეიარაღებულებად ან მეზღვაურებად. გარდა სამხედრო სამსახურისა, კლასების მიხედვით დანაწილებული იყო აგრეთვე მოქალაქეთა სხვა მოვალეობანიც. პირდაპირი გადასახადებისაგან მოქალაქეები თავისუფალი იყვენ, რადგან იგი სა-

ბერძნეთში ისე, როგორც რომში, თავისუფალი მოქალაქეების მიმართ ულირს ზომად ითვლებოდა, რის საწინააღმდეგოს ვხედავთ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მოქალაქეები სახელმწიფოს სასარგებლოდ იღებდენ ქონების მიხედვით არაჩვეულებრივ გადასახადებს (εἰσφοραί).

ეს კლასები აგრეთვე განსხვავებული პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდენ. სახელმწიფო მოხელეების ადგილის დაკავება შეეძლოთ მარტო პირველი სამი კლასის მოქალაქეთ, არქონტებსა და ხაზინადრებს (ταμίαι) კი ირჩევდენ მხოლოდ პირველი კლასიდან. სამაგიეროდ თეტები მონაწილეობას იღებდენ სახალხო კრებაში, რომელიც თანამდებობის პირთ ირჩევდა, მათ შორის არქონტებსაც, რომელთაც წინათ არეოპაგი ასახელებდა. ამასთან ერთად სოლონამდე თითოეული არქონტი ცალკე იხილავდა თავის ქვემდებარე საქმეებს, ახლა კი მათი კოლეგიუმი იქნა დაწესებული.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმას, რომ თეტებს უფლება მიენიჭათ ახლად დაარსებულ სახალხო სასამართლოში (δικαστήρια) მონაწილეობის მიღებისა, მით უმეტეს, რომ სოლონმა დააწესა სახელმწიფო მოხელეთა გადაწყვეტილებაზე აპელაციის (ἔφεσις) გადატანა სახალხო სასამართლოში, რომლის დადგენილება უკვე უაპელაციო იყო. არეოპაგის გვერდით, რომელიც თავისი დიდი პოლიტიკური უფლებებით ათენის სახელმწიფოში კონსერვატორულ ელემენტებს წარმოადგენდა, სოლონმა შეჰქნა 400-ის საბჭო, რომლის ორგანიზაციის წარმოშობის შესახებ, სამწუხაროდ, დანამდვილებით არა ვიცით რა. ისეთი აზრიც კი არსებობს, რომ 400-ის საბჭო და სახალხო სასამართლო უკვე სოლონამდე არსებობდა[102]. საერთოდ შემდეგ საუკუნეებში იცნობდენ სოლონის მხოლოდ კანონებს (θεσμοί) და ლექსებს და ერთი მთლიანი წყარო მისი რეფორმების შესახებ არ დარჩენილა, ამიტომაც წარმოიშვა მრავალი საეჭვო და სადაო საკითხი მისი კონსტიტუციის გათვალისწინების საქმეში.

როგორც სამეურნეო და სოციალურ დარგში, ისე პოლიტიკურ რეფორმებშიც სოლონი საშუალო ხაზს ატარებდა.

ძველი ისტორიკოსების მიხედვით სოლონმა მიიღო კანონმდებლობითი ზომა ქონების განკარგულების თავისუფლების შესახებ. პ ლ უ ტ ა რ ქ ი ს სიტყვით (Sol. XXI), ძველად სოლონამდე ანდერძით ქონების დატოვება არ შეიძლებოდა, და მთელი ქონება მიცვალებულისა მის გვარს უნდა დარჩენოდა; სოლონმა კი ნება მისცა უშვილო პირებს, ვისთვისაც სურდათ, იმისთვის ეანდერძებიათ თავისი ქონება... როგორც პლუტარქის და ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს (Ἀθ. πολ. XXXV, 2) ცნობებიდან ჩანს, ამ კანონს შემდეგი დამატება ჰქონია: თუ ისინი არ იყვენ ჭკუამოკლე, ან ღრმა მოხუცი და ან ქალის გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდენო.

დრაკონის კანონებიდან სოლონმა ძალაში დატოვა ნაწილობრივად მხოლოდ ის კანონები, რომლებიც მკვლელობას შეეხებოდა, და არსებითად შეცვალა სახელმწიფო სამართალი.

ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა სოლონის ის კანონი, რომელიც ყველა მოქალაქეს უფლებას ანიჭებდა გამოქომაგებოდა მეორე მოქალაქეს უკანონო შეეიწროებისა და შეურაცხყოფის შემთხვევაში.

ცალკე უნდა იქნეს აღნიშნული სოლონის ზომები ვაჭრობისა და წარმოების განვითარებისათვის. ხელოსნობის გაფართოების მიზნით მან გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით ყოველი მოქალაქე, თუ მას არსებობის სხვა სახსარი არ გააჩნდა, ვალდებული იყო თვისი შვილებისათვის შეესწავლებინა რაიმე ხელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა მათგან რჩენა მოხუცებულობისა და დაუძლურების ჟამს. იწვევდა სოლონი ათენში სხვა ქვეყნების ოსტატებსაც. არსებობს აგრეთვე ცნობა, რომ სოლონმა გამოაქვეყნა კანონი საავაჭრო კომპანიების შესახებ. ვინაიდან ატიკა ნაკლებად მოსავლიანი მხარე იყო, სოლონმა აკრძალა პურის და საერთოდ სანოვაგის გატანა მისი საზღვრებიდან. ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა ზეთის ხილზე.

სოლონის კანონები (რომელთაც პირველად ἄξονες, შემდეგში კი νόμοι ეწოდებოდა) საჯაროდ იყო გამოქვეყნებული ქვის სვეტებზე (κύρβεις) და ხის ფიცრებზე[102]. სოლონის კანონებმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო საბერძნეთის სახელმწიფოებზე, არამედ მის კვალს ვამჩნევთ რომაელების XII დაფის კანონებში და აგრეთვე ჰელენისტური ქალაქების, მაგ. ალექსანდრიის, კანონმდებლობაში.

თავის ელეგიებში სოლონი ღრმა რწმენით აცხადებს, რომ მისი რეფორმები ყველას დაკმაყოფილებს, რომ მან გააკეთა საშვილიშვილო საქმე; რომელსაც ათენელები ვერ დაივიწყებენ, რომ გარდა დავალიანებული ადამიანებისა და დედა-მიწის განთავისუფლებისა, თანასწორი კანონები მისცა როგორც წარჩინებულთ, ისე უბრალო ხალხს, შეჰქმნა ჩქარი და ყველასათვის სამართლიანი სასამართლო და გადაუჭარბებლად ხალხს ისეთი უფლებები მიანიჭა, რომლებიც მას შეეფერებოდა... მაგრამ თვითონვე აღიარებს, რომ მაინც ვერ შესძლო მოპირდაპირე მხარეების დაკმაყოფილება. მართლაც, როგორც დავინახავთ, სოლონის რეფორმებს თან არ მოჰყოლია მებრძოლი მხარეების დამშვიდება და მღელვარება კვლავ გრძელდებოდა.

10. ტირანია ათენში.

მართალია, სისახთიამ მოსპო დავალიანების გამო მონობა, აკრძალა „სხეულის“ დაწინდრება და მიწები განთავისუფლა ჰიპოთეკური ნიშნებისაგან, მაგრამ, ცხადია, არსებითად იგი არ შეხებია იმ ძირითად პირობებს, რომლებიც გლეხობის დავალიანებას ჰქმნიდა, და, მაშასადამე, ეს პროცესი უკვე კაბალის გარეშე მოშავალშიც გაგრძელდებოდა. ამას გარდა გლეხობის რადიკალურინაწილი გარკვევით მოითხოვდა მიწების ახალ დანაწილებას და სრულ პოლიტიკურ თანასწორობას; ეს კი სოლონმა გადაჭრით უარჰყო. ამიტომ გლეხობის დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო მისი რეფორმის ზომიერებითა და ნახევრიანობით.

მეორის მხრით, არც ვაჭრობა-წარმოებით გამდიდრებული წრეები დაკმაყოფილა ახალმა პოლიტიკურმა წყობილებამ, ვინაიდან, მათი აზრით, ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა, დიდი უფლებები და პრივილეგიები შერჩა ძველ არისტოკრატიას.

ცხადია, უაღრესად უკმაყოფილო იქნებოდა საზოგადოების ის ნაწილიც, რომელმაც სისახთიის განხორციელების გამო, თუ მთელი ქონება არა, მისი თვალსაჩინო ნაწილი მაინც დაჰკარგა. არისტოტელის ტრაქტატიდან ნათლად ჩანს, რომ მდიდრების უკმაყოფილების მიზეზი უმთავრესად ვალების გაუქმებით იყო გამოწვეული ('Αθ. πολ. XIII, 5). ასეთი საერთო დაუკმაყოფილებლობისა და იმედის ერთგვარი გაცრუების გამო ატიკა კვლავ გადაიქცა ძლიერი შინაური მღელვარების ასპარეზად. ეს ბრძოლა იმდენად დიდი ყოფილა, რომ არისტოტელის სიტყვით, 589 და 584 წლებში შეუძლებელი გამხდარა არქონტების არჩევა (ἀναρχία), ხოლო 583/2 წელს არქონტად არჩეულმა დამასიასმა მოინდომა უმაღლესი ხელისუფლების მითვისება და არამც თუ ხელი არ აიღო თავის რწმუნებულებაზე წლის დამთავრების შემდეგ, არამედ უზურპაციის გზით ორი წელი და ორი თვე შეინარჩუნა თვისი თანამდებობა.

შეიძლება მართალიც იყოს ამ მხრით ლ უ რ ი ე ს მოსაზრება, თითქოს დამასიასი არისტოკრატიის მეთაური იყო და მიზნად ჰქონდა დასახული სრული და ძირითადი რესტავრაციის გატარება, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობა არ მოგვეპოვება და პირიქით უფრო საფიქრებელია, რომ დამასიასი ტირანობის მითვისებას ცდილობდა. (დამასიასის გაძევების შემდეგ მებრძოლ ჯგუფებს შორის შეთანხმება მომხდარა არქონტების არჩევისა და მათი ადგილების განაწილების საკითხში. არქონტების რიცხვი 10-დე იქნა გადიდებული; ზოგიერთი ისტორიკოსი კი ფიქრობს, რომ ნაცვლად არქონტ—ეპონიმისა (ათენის პრეზიდენტისა) არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია 10 წევრისაგან. ყოველ შემთხვევაში ამ 10 ადგილიდან 5 უბრალო ხალხს მიეცა: სამი გლეხებს და ორი დემიურგებს.

(ამ დროს ატიკაში ჩამოყალიბებული იყო სამი გარკვეული პოლიტიკური პარტია; მათი ძირითადი ნაწილების მოსახლეობის ადგილის მიხედვით მათ ეწოდებოდათ: ა) პ ა რ ა ლ ი ე ბ ი (παράλιοι)—ზღვის სანაპიროებში მცხოვრებნი, რომლებიც მეზღვაურობას, ხელოსნობასა და ვაჭრობა-წარმოებას მისდევდენ, ბ) პ ე დ ი ა კ ე ბ ი (πεδιακοί) ველზე მცხოვრები მემამულე არისტოკრატია, გ) დ ი ა კ რ ი ე ბ ი (διάκριοι) ატიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მთიან მხარეში მობინადრე წვრილი გლეხობა, რომელიც ყველაზე უფრო რადიკალურად იყო განწყობილი. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ პარტიას არისტოკრატული ჩამომავლობის პირები მეთაურობდენ: პედიაკებს—ფილაიდი ლიკურგოსი, პარალიებს—ალკმეონიდი მეგაკლე, ხოლო დიაკრიებს—პისისტრატე ბრაურონიდან, რომელიც აგრეთვე არისტოკრატული გვარის წევრი იყო.)

ზოგიერთ თანამედროვე ისტორიკოსს აინტერესებს ის, თუ როგორ მოხდა, რომ არისტოკრატი პისისტრატე გლეხურ პარტიას ჩაუდგა სათავეში. ლ უ რ ი ე სრულებით უსაფუძვლოდ აყენებს ასეთ მოსაზრებას: „თუ დავუშვებთ, რომ პისისტრატეს წინაპრების მიწების უმეტესი ნაწილი ეკონომიური გარდატეხის ეპოქაში მდიდარი ფილაიდების ხელში გადავიდა[104] და რომ პისისტრატეს მშობლები მათგან გარკვეულ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდენ, მაშინ ეს აგვიხსნიდა პისისტრატეს რადიკალიზმს... ეს აგვიხსნიდა არისტოტელის შენიშნასაც: „ტირანები ძალაუფლებას აღწევდენ იმიტომ, რომ

სარგებლობდენ ხალხის ნდობით, ხოლო ამ ნდობის საწინდარი კი იყო მათი ღრმა სიძულვილი მდიდრებისადმი; ასე, ათენში პისისტრატემ იმის გამო მოიპოვა ძალაუფლება, რომ ებრძოდა პედიაკებს" (Pol. V, 5). მაგრამ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ პისისტრატეს მშობლები ფილაიდების ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდენ. რაც შეეხება არისტოტელს, ის მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ პისისტრატე ებრძოდა პედიაკებს და, თუ გნებავთ, ღრმა სიძულვილს გრძნობდა მდიდრებისადმი, მაგრამ რაზე იყო დამყარებული ეს, მის პირად გაღტაკებაზე, თუ სხვა რამეზე, ამის შესახებ იგი სრულებით არაფერს არ გვეუბნება.

მეორის მხრივ მ. ხვოსტოვი გვარწმუნებს, რომ პისისტრატე ამაღლდა ხალხის ფართო მასებთან პირადი მოხერხებული ურთიერთობის ნიადაგზე[105]; მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მისი ამაღლების მიზეზთან და, არა არისტოკრატი პისისტრატეს რადიკალიზმის გამომრკვეველ პირობებთან. ამიტომ თავი უნდა დავანებოთ ყოველივე ამას და დავკმაყოფილდეთ იმ ფაქტით, რომ არისტოკრატული ჩამომავლობის პისისტრატე უდიდესი მოწინააღმდეგე იყო პედიაკებისა და გულწრფელი დამცველი დიაკრიების ინტერესებისა. ტრადიციის მიხედვით 561 წელს პისისტრატემ, რომელიც დიაკრიების პარტიას ემყარებოდა, ათენში საფუძველი ჩაუყარა ხანგრძლივ ტირანიას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პისისტრატეს თანამედროვე მრავალი მოწმობა განსაკუთრებით ქრონოლოგიის დარგში, შემდეგში ისე გადაკეთეს ყოველივე ეს, რომ საესებით გარკვეული სურათის აღდგენა შეუძლებელი გახდა. ჩვეულებრივი ტრადიციის მიხედვით პისისტრატე სამჯერ იყო გაძევებული ათენიდან და სამჯერვე მოახერხა-უკან დაბრუნება და ძალაუფლების მითვისება. მაგრამ სიმართლესთან უფრო ახლოს უნდა იყოს ის, რომ მოწინააღმდეგე პარტიების კოალიციამ პისისტრატე აიძულა ერთხელ დაეტოვებინა ათენი და იგი რამდენიმე წლის განმავლობაში აბზადებდა ნიადაგს უკან დაბრუნებისათვის. მან მოახერხა თრაკიის ოქროს მაღაროების საშუალებით დაქირავებული მეომრების თავის გარშემო მოგროვება, მიიმხრო თავის მხარეზე გარეშე სახელმწიფოებიც და გამოეშურა ატიკისაკენ. აქ პალენესთან დაამარცხა მოპირდაპირეები და, მაშასადამე, სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ დაბრუნდა კვლავ ათენში, სადაც იგი ბატონობდა უკვე შეუწყვეტლად სიკვდილამდე (528 წ.). (მისი ტირანია ერთი უბრწყინვალესი ეპოქათაგანი იყო ათენის ისტორიაში.)

პისისტრატე თავიდანვე გაბედულად და დიდი ენერგიით ატარებდა ცხოვრებაში წვრილი გლეხობის დიქტატურის პოლიტიკას. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ბუზოლტი, მან მოახდინა დამარცხებული პარტიების მეთაურთა მამულების კონფისკაცია და დაურიგა მცირე მიწების მქონე გლეხობას და სოფლის მოჯამაგირეებს[106]. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია პისისტრატეს მიერ გლეხობისათვის სახელმწიფო იაფი კრედიტის დაარსება. ეს ცნობა შემოგვინახა არისტოტელემ. ხოლო უფრო გვიანი დროის მწერალი ელიანი გადმოგვცემს, რომ სესხის მიცემა ნატურით—თესლითა და საქონლით წარმოებდა. ამგვარად, თუ სოლონი არ შეხებია გლეხობის დავალიანების მთავარ გამომწვევ მიზეზებს, პისისტრატე ცდილობს იაფი სახელმწიფო კრედიტის სა-

შუალებით ხელი შეუწყოს გლეხური მეურნეობის განმტკიცებას, რომ იგი კვლავ არ დაადგეს სრული დაქვეითების გზას. ამ მხრით პისისტრატეს ეს ნაბიჯი მართლაც უაღრესად საყურადღებო სოციალური ზომა იყო[108]. სამაგიეროდ მან დააწესა სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ მიწის შემოსავლიდან პირდაპირი გადასახადი 10, თუ 5 პროცენტის რაოდენობით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სასამართლოების დაახლოებას მოსახლეობასთან. იმ მიზნით რომ გლეხები იძულებული არ ყოფილიყვენ ათენში მიემართათ სამაროლის მოსაპოვებლად, პისისტრატემ დემებში დააწესა მოსამართლეები (δικασταὶ κατὰ δῆμον), რომლებსაც უმეტეს ნაწილად გლეხური პარტიის ერთგული მიმდევრებისაგან ნიშნავდა.

ასეთი ზომების მეოხებით პისისტრატემ თვალსაჩინოდ გააუმჯობესა გლეხობის მდგომარეობა, ხოლო მეორის მხრით მოსახლეობის ფართო ნაწილის გულისმოგებით უფრო განამტკიცა თვისი გავლენა და მნიშვნელობა სახელმწიფოში. სამაგიეროდ თვისი სოციალური პოლიტიკის წყალობით პისისტრატემ დიდი ხიანი მიაყენა ძველ მემამულე არისტოკრატიას და დაუკარგა მას არსებითი მნიშვნელობა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში.

მაგრამ გლეხობაზე არა ნაკლებ ხელსაყრელი აღმოჩნდა პისისტრატეს ტირანია წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ამ დროს ათენის ნაწარმოებთა ექსპორტი აღწევს უკვე ნავკრატისს, შავი ზღვის ჩრდილოეთ ზოლს და იტალიას. უკვე VII ს-ში დაიკავა ათენმა სიგეიონი დარდანელის შესავალთან, რომ სამხრეთ რუსეთიდან პურის იმპორტი უზრუნველყოფილი ჰქონოდა. ახლა კი, ალბათ, პისისტრატესთან შეთანხმებით, ფილაიდი მილტიადე თრაკიის ხერსონესში აარსებს სამთავროს. აგრეთვე კუნძული სალამინი, რომლის გარშემო ხანგრძლივი ბრძოლა წარმოვდა მეგარასა და ათენს შორის, პისისტრატემ ათენს დაუმორჩილა, რითაც სახელი გაითქვა მოსახლეობის ფართო წრეებში, რადგან ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ათენის მეზღვაურობის უზრუნველყოფისათვის, ისე ამ კუნძულზე მცირემამულიანი გლეხების გადაყვანის თვალსაზრისით. სოლონის მიერ დამყარებულ წყობილებას და კანონებს პისისტრატე არსებითად არ შეხებია, ცდილობდა მხოლოდ მთავარ ადგილებზე თვისი მეგობრები და ნათესავები მოეწყო, რომ ამ გზით სახელმწიფო მმართველობაში ზურგი გამაგრებული ჰქონოდა თავისიანებით.

დიდად ზრუნავდა პისისტრატე აგრეთვე ათენის გამშვენიერებაზე და საერთოდ ათენის დიდ ქალაქად გადაქცევაზე; ამით იგი, სხვათა შორის, მრავალ ხელოსანს და ხალხის უღარიბეს ნაწილს აძლევდა საშუალებას სამუშაოს მიღებისა და ერთგვარი ხელფასის მოპოვებისას. დიდ მფარველობას უწევდა იგი მხატვრებსა და პოეტებს და ზოგიერთ მათგანს იწვევდა კიდეც ათენში. მის დროსვე უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული ჰომეროსის პოემების რედაქციის საკითხი.

პისისტრატეს მოადგილე იყო მისი შვილი ჰიპარქოსი) და არა ჰიპიასი[109]. ჰიპარქოსი გაცილებით უფრო დიდ მეცენატობას ეწეოდა მხატვრებისა და პოეტებისადმი და უფრო ფართოდ იზიდავდა მათ თავის სასახლეში. მაგრამ პისის-

ტრატეს შვილების დრო უკვე აღარ იყო ხელსაყრელი მათი ბატონობისათვის და არც თვითონ ისინი წააგავდენ სახელოვან მამას.

სპარსელების მიერ ეგვიპტის და მცირე აზიის სავაჭრო ქალაქების დაპყრობამ თვალსაჩინოდ შეაფერხა ათენის საგარეო ვაჭრობის საქმე და ტირანიის ავტორიტეტიც თვალსაჩინოდ შეირყა ამ ნიადაგზე. ამას გარდა თანდათან ძლიერდებოდა პარალიების პარტია, რომელსაც უკვე სრულებით აღარ ეშინოდა პისისტრატეს მიერ საკმაოდ განადგურებული პედიაკებისა და ახლა უკვე თვით ტირანიის გაუქმებაზე ფიქრობდა.

ზოგიერთი წყარო ასეთ პირობებს უმატებს პისისტრატეს შვილების გადაჭარბებულ ზვიადობას, სიმკაცრეს და გადასახადების არაჩვეულებრივ გადიდებას, თითქოს მათ გადასახადები დაადვეს ყველაფერს, თითქმის სახლების ზედა სართულებს, ქუჩაში გამოსულ ნაწილებს და სხვ.[110].

ტირანიით უკმაყოფილო პირთა წრეში წარმოშობილა შეთქმულება, რომელსაც მიზნად დაუსახავს ტირანების მოკვლა და ასეთი ტერორისტული აქტით ათენის მათი ბატონობისაგან განთავისუფლება. ორმა ახალგაზრდამ, არისტოგიტონმა და ჰარმოდიოსმა, რომელთაც შემდეგში გმირების კულტი დაუწესეს, 514 წელს მოჰკლეს ჰიპარქოსი, მაგრამ ჰიპიასი გადარჩა. ამას შემდეგ ტირანიის მკაცრი რეჟიმი უფრო გაუარესდა. ჰიპიასი შეიპყრო შიშმა და იქვიანობამ თვისი მდგომარეობის შესახებ და განიზრახა სათანადო ზომების მიღება: ყოველი შემთხვევისათვის მან გაამაგრა მუნიხია და იწყო სპარსეთთან ურთიერთობის განმტკიცება. მაგრამ მის წინააღმდეგ უკვე თამამად ჩამოყალიბდა გარკვეული ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც ალკმეონიდების გვარი მეთაურობდა; მეორის მხრით საზღვარგარეთ ლტოლვილი არისტოკრატები სამშობლოში დაბრუნების იმედით არა-ჩვეულებრივ აქტიობას იჩენდენ; მესამის მხრით სპარტამ, რომელიც, როგორც ვიცით, ტირანიის ტრადიციული მოწინააღმდეგე იყო, სრული დახმარება აღმოუჩინა ჰიპიასის ტირანობით უკმაყოფილო ათენელებს. ერთი სიტყვით, ჰიპიასის წინააღმდეგ შეიქმნა „კოალიცია,“ რომელსაც თვისი ავტორიტეტით ზურგს უმაგრებდა დელფის მისანი. მეფე კლეომენის მეთაურობით მოხდა სპარტის ჯარების მიერ ათენის ინტერვენცია, რომლის დროსაც ჰიპიასი იძულებული გახდა 510 წელს დაეტოვებინა ატიკა და სპარსეთში გაქცეულიყო; სპარსეთის მეფემ მიანიჭა მას სიგეიონი, როგორც სამთავრო.

ასე დაეცა ტირანია ათენში, რომელიც პირველ პერიოდში წვრილი გლეხობის ნამდვილ დიქტატურას წარმოადგენდა და, როგორც ასეთმა, დიდად შეუწყო ხელი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი ხელსაყრელი იყო აგრეთვე ვაჭრობა-წარმოების განვითარებისა და ათენის ექსპორტის გაძლიერებისათვის. მანვე წელში გატეხა ძველი არისტოკრატია და გზა გაუწალდა დემოკრატიის სრულ განმტკიცებას. ამით - ამოიწურა მისი, როგორც გარდამავალი საფეხურის, როლი და მეორე პერიოდში იგი უკვე გადაგვარების გზაზე შედგა და საზოგადოებრივი წრეების მხრით ღრმა შეტევასა და ოპოზიციას განიცდიდა. თუმცა გარკვეულად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ტირანის გაძევება უმთავრესად სპარტის შეიარაღებული დახმარების წყალობით მოხდა.

11. კლისთენის რეფორმები და მათი მნიშვნელობა.

ტირანიის დამხობის შემდეგ ათენში თავი იჩინა კვლავ ძლიერმა შინაურმა პარტიულმა ბრძოლამ. ატიკაში ტირანიის ქარტეხილს გადარჩენილი და აგრეთვე ემიგრაციიდან დაბრუნებული არისტოკრატული ჯგუფები შეეცადენ დაებრუნებიათ ძველი მდგომარეობა, შეეჩერებიათ დემოკრატიული მიმდინარეობა და კვლავ აღედგინათ თვისი ბატონობა. მათ მეთაურობდა ევპატრიდი ისაგორე და მათვე მხარს უჭერდა სპარტა თვისი შეიარაღებული ძალებით. არისტოკრატების მდერ განზრახულ უკვე განწირულ რესტავრაციას თავგამოდებით ებრძოდენ პარალიები, რომელთაც ალკმეონიდი კლისთენე მეთაურობდა. მაგრამ სპარტის მეფე კლეომენის დახმარებით ისაგორემ შესძლო გამარჯვება და დროებით ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. არსებითად ეს იყო სპარტელების ბატონობა ათენში.

გამარჯვებულებმა შური იძიეს მოწინააღმდეგეებზე და 700 ოჯახი, რომლებიც კლისთენს ემხრობოდენ, ატიკიდან გაძევეს. გაძევებაში ცხოვრობდა აგრეთვე კლისთენეც. ისაგორემ გაუქმა 400-ის საბჭო და ხელისუფლება გადასცა 300 წარჩინებულ ათენელს, რომელთაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. არისტოკრატიის ამ ახალმა ბატონობამ საერთო მღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა ატიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აჯანყება. აჯანყებულებმა გაიძევეს ათენიდან როგორც ისაგორე, ისე სპარტელები, და ამგვარად საშუალება მისცეს კლისთენს დაბრუნებულიყო ატიკაში და ცხოვრებაში გაეტარებია თვისი პარტიის პროგრამა.

კლისთენე კარგად ხედავდა, რომ ევპატრიდები გაბატონებული იყვენ ძველ 4 ფილეში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სახელმწიფო მმართველობაში. ამიტომ პირველი იერიში მან სრულებით მიზანშეწონილად სწორედ ამ ფილეებზე მიიტანა. მაგრამ, ვინაიდან ეს ფილეები ერთგვარად დაკავშირებული იყვენ სარწმუნოებასთან, კლისთენმა პირდაპირ ვერ გაბედა მათი სრული გაუქმება, მაგრამ გარკვეულად წაართვა მათ ყოველგვარი პოლიტიკური დანიშნულება და დაუტოვა მხოლოდ წმინდა საკრალური მნიშვნელობა. სამაგიეროდ შეჰქმნა 10 ახალი ფილე. რომელთაც განსაკუთრებული ადგილი მიენიჭა ათენის სახელმწიფო სისტემაში.

ეს ახალი ათი ფილე, რომლებიც კლისთენემ 508/7 წელს ჩამოაყალიბა, წმინდა ტერიტორიალური ხასიათისა იყო და ძველებთან საერთო, გარდა სახელისა, არა ჰქონდა რა. რომ საზღვარი დაედო ქალაქ ათენის უპირატესობისათვის დანარჩენ მხარესთან შედარებით, მეორის მხრით რომ „ერთი მეორეში შეერია მოქალაქეები“ და ბოლო მოეღო ადგილობრივი პარტიების განსაზღვრულ ნაწილებში ბატონობისათვის, მან გაატარა ატიკის სავსებით ახალი დანაწილება. ამ მიმართულებით მან ატიკაში გამოჰყო სამი გარკვეული ნაწილი: ქალაქი (ἄστυ), სანაპირო (παραλία) და შიდა-მხარე (Binnenland—μεσόγειος) და თითეული მათგანი დაჰყო თავის მხრით 10 ტრიტიად (τριττύες) და მაშასადამე, მთელი მხარე 30 ტრიტიად. ამ გზით ყოველი ახალი ფილე შედგებოდა 3 ტრიტიისაგან, რომელთაგან ერთი ქალაქში, მეორე სანაპიროში და მესამე შიდა-მხარეში

მდებარეობდა; მათი ამათუიმ ფილესადმი მიკუთვნება წილისყრით წყდებოდა. ამგვარად, თითოეული ტრიტია მთლიან ტერიტორიალურ დანაწილებას წარმოადგენდა, ფილე კი პირიქით ასეთ ხასიათს მოკლებული იყო, და, მაშასადამე, ყოველი მათგანი თავის თავში აერთებდა სხვადასხვა ლანდშაფტური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ნაწილებს. შემდეგ, ტრიტიები კლისთენმა დაჰყო დემებად.

თითოეული დემი, ახალი განსაზღვრით, განასასიერებდა თვითმმართველ ერთეულებს, რომელთაც ჰქონდა საკუთარი მამულები, სალარო და კულტი, ჰყავდა თვისი თანამდებობის პირები და დემარქოსის მეთაურობით აწარმოებდა მოქალაქეთა სიების შედგენას და სხვა ადგილობრივი საქმეების მოწესრიგებას. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებო იყო სათემო წიგნში შეტანა ახალგაზრდა დემოტებისა, რომლებიც 18 წელს აღწევდენ და, მაშასადამე, სრულწლოვანნი ხდებოდენ. ამ დროს ახალგაზრდა ათენელები ასეთ ფიცს იღებდენ: „მე არ შევარცხვენ საღვთო იარაღს, არ მივატოვებ ბრძოლაში თანამებრძოლს... სამშობლოს გადავცემ (შემკვიდრეებს) არა დამცირებულს, არამედ უფრო ძლიერსა და სახელოვანს... დავემორჩილები ხელისუფლებას და დაწესებულ კანონებს, აგრეთვე ისეთებს, რომელთაც ხალხი ერთსულოვნად დაამყარებს"[111]...

დროგამოშვებით წარმოებდა მოქალაქეთა უფლებების შემოწმება (დიაფსეფიზმა): დემის კრება იხილავდა სიებს და ამოწმებდა იმას, თუ რამდენად კანონიერად იყო შეტანილი ესათუის პირი სიაში. უარყოფითი დადგენილების შემთხვევაში საბოლოო სიტყვა ათენის სახალხო სასამართლოს ეკუთვნოდა.

ასეთი თვითმმართველი ერთეულების დაწესება უექველად პროგრესიული მოვლენა იყო ატიკის დემოკრატიის განვითარების ისტორიაში. ამიერიდან მოქალაქეს აღნიშნავდენ არა მამის სახელით, არამედ დემის მიხედვით. ამასთან, რომ უფრო საფუძვლიანად შეერყია ძველი ევპატრიდული ტენდენციები და გაეძლიერებინა დემოკრატიული ელემენტები, კლისთენმა მოქალაქეთა რიცხვში მიიღო, ან როგორც არისტოტელი იტყოდა, „ფილეებში შეიყვანა", მრავალი უცხოელი (მეტეკი). კლისთენის ამ რეფორმის მნიშვნელობას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ არისტოტელმა (Pol. 1319 b.) და დემოკრატიის განვითარებისათვის სასარგებლო ზომად აღიარა ამ მხრით მის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

დემის მოქალაქენი პრინციპულად ურთიერთშორის თანასწორნი იყვნენ, მაგრამ არსებითად, რასაკვირველია, ძალაში რჩებოდა სოლონის მიერ თითოეული კლასისათვის განსაზღვრული უფლება—მოვალეობანი. სამაგიეროდ, ამ ახალ წყობილებაში ჩამომავლობითი არისტოკრატიისათვის არავითარი უპირატესობა არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, თითქმის პერიკლემდე ათენის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სათავეში უდგენ არისტოკრატული გვარებიდან გამოსული პირები.

კლისთენის ფილეები საფუძველი გახდა სახელმწიფოს ახალი ორგანიზაციისა. ათ ფილეს შეესაბამებოდა მეომართა ათი წრე (τάξεις), რომელთაც სათავეში უდგა ყოველწლიურად ცალკეულ ფილეებში არჩეული ათი სტრატეგოსი. მართალია, მთავარსარდლად ჯერ კიდევ პოლემარქოსი დარჩა, მაგრამ შემდეგში მეომრებზე უფროსობა საკენებით გადავიდა სტრატეგოსების ხელში.

ახალ დანაწილებასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე 400-ის საბჭოს 500-ის საბჭოდ (ἡ βουλὴ οἱ πεντακόσιοι) შეცვლა და მისი ახალი ორგანიზაცია. თითოეულ ფილეს ეკუთნოდა 50 წევრის არჩევის უფლება და მათ ირჩევდენ დემებში პროპორციულად, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით. მიმდინარე საქმეებს უძღვებოდა საბჭოს არა მთელი შემადგენლობა, არამედ ერთი და იმავე ფილის 50 წევრი, რომლებიც განსაკუთრებულ კომიტეტებს—πρυτανεῖα (პრიტანეიებს) ქმნიდენ და წლის დასაწყისში წილისყრის მიხედვით ერთიმეორის შემდეგ მეორეგობდენ წლის ერთ მეათედ ნაწილში. როგორც მთელი საბჭოს, ისე თითოეული პრიტანეიის თავმჯდომარედ ითვლებოდა ყოველდღიურად არჩეული ეპისტატი. ეს საბჭო. რომლის წევრების არჩევის უფლება პირველ სამ კლასს ჰქონდა მინიჭებული. მოქალაქეთა ისეთ წარმომადგენლობას განასახიერებდა, რომელსაც პირველად. ალბათ, მსოლოდ საკონტროლო ფუნქციები ჰქონდა. მის გვერდით კი იდგა არქონტი-ეპონიმი, რომელიც. როგორც წინათ, ახლაც რესპუბლიკის პრეზიდენტად ითვლებოდა. საბჭოს საქმიანობაში მთავარი იყო ის, რომ იგი წინასწარ ამზადებდა სახალხო კრებისათვის გადაწყვეტილების პროექტს—პრობულევმას და უამისოდ არც ერთი საქმე არ შეიძლებოდა ყოფილიყო განხილული და გადაწყვეტილი.

კლისთენს არ გაუუქმებია არეოპაგი, რომელსაც კელავ შენარჩუნებული ჰქონდა თვისი დიდი მნიშვნელობა.

მაგრამ ახლა ფორმალურად ნამდვილი სუვერენი სახელმწიფოში იყო ხალხი (რასაკვირველია მხოლოდ ათენის მოქალაქენი), რომელიც სახალხო კრებაზე იხილავდა და ამტკიცებდა ომის გამოცხადებისა, თუ ზავისა და კავშირის დამყარების საკითხებს, საერთო კონტროლს უწევდა მთავრობის პირებს, კანონების გამოცემას, სამოქალაქო უფლებების მინიჭებას და სხვ. ამასთან ერთად სახალხო სასამართლოში მას თვისი უაპელაციო მსჯავრი გამოჰქონდა სხვადასხვა საყურადღებო საქმეებზე.

ამგვარად, პარალიების პარტიის წარმომადგენელმა კლისთენმა ხელი შეუწყო ისეთი პოლიტიკური წყობილების ჩამოყალიბებას, რომელიც არსებითად სპობდა ძველი არისტოკრატიის პრივილეგიებს და სამაგიეროდ უფრო შეესაბამებოდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი სრულებით უსაფუძვლოდ უარჰყოფს კლისთენის მიერ ათი ახალი ფილის შექმნას და ამ რეფორმას ჯერ კიდევ პისისტრატეს მიაწერს. ასე იქცევიან: ცნობილ მკვლევარი, აწ უკვე მიცვალებული ბელოხი და კაჰრსტედტი (Kahrstedt). სხვათა შორის, მართალია, ჯერ კიდევ პისისტრატემ დააწესა მოსამართლეები დუმებში და, მაშასადამე, დემები წინათაც არსებობდა, მაგრამ კლისთენმა მათ გაცილებით უფრო გარკვეული და ახალი სახე მიანიჭა: გაარკვია მათი საზღვრები, დააწესა მათი ცენტრები, დაანაწილა ტრიტიებში, დაუკავშირა მათი არსებობა საერთო სახელმწიფოებრივ წყობილებას და, რაც უმთავრესია, მისცა მათ განსაკუთრებული ორგანიზაცია და აღჭურვა თვითმმართველობით [112].

ცხადია, ათენის ახალ წყობილებას თვისი მოწინააღმდეგე პირები და ჯგუფები გაუჩნდებოდა. ძველი არისტოკრატიის ნაშთებისათვის ახლა უფრო

სასურველი ისევ ტირანია გახდა. ასეთი პირების საწინააღმდეგოდ კლისთენმა ოსტრაკისმი შემოიღო.

იგი შემდეგში მდგომარეობდა: ყოველწლიურად ერთერთ მორიგ სახალხო კრებაზე იხილავდენ საკითხს იმის შესახებ, არსებობენ თუ არა სახელმწიფოში ისეთი პირები, რომლებიც თვისი მოქმედებით საშიში არიან შექმნილი წყობილებისთვის და საჭიროა თუ არა მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება. თუ უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებდა, იწვევდენ მეორე კრებას, რომელზედაც დამსწრეთ ურიგებდენ გასანთლულ ფირფიტებს (ὄστρακον—ostrakon, აქიდან ოსტრაკისმი), და თითოეულ მათგანს მასზე უნდა დაეწერა იმისი სახელი, ვისი გაძევებაც საჭიროდ მიაჩნდა. ასეთ კრებას უნდა დასწრებოდა არა ნაკლებ 6000 მოქალაქისა. იმ პირს, ვისი სახელიც უფრო ხშირად იქნებოდა მოხსენებული ამ ოსტრაკონებზე, აძევებდენ ატიკიდან ჩვეულებრივად ათი წლის ვადით, რომლის განვლის შემდეგაც მათ საშუალება არ ესპობოდა, კვლავ მოეპოვებიათ მოქალაქის ყველა და მათ შორის სამშობლოში დაბრუნების უფლება. ზემოთ დასახელებული მეცნიერები არა ნაკლები უსაფუძვლობით უარჰყოფენ კლისთენის მიერ ოსტრაკისმის დაწესებას. სხვათაშორის, არისტოტელი გადაჭრით მიაკუთვნებს მას კლისთენს (Ἀθ. πολ. XXII) და განგვიმარტავს იმ საფუძველსაც კი, რომელმაც გამოიწვია ამ ინსტიტუტის შემოღება.

ერთი სიტყვით, შეუძლებელია გავიზიაროთ ის აზრი, რომ ოსტრაკისმი კლისთენის დროს არ ყოფილა შემოღებული.

ლურიე ამ საკითხში ერთგვარ მერყეობას განიცდის და ბერძენ-სპარსელთა ომების დროის მიმართ აღნიშნავს [113]: „ამ დროს ათენში ყოველ შემთხვევაში უკვე არსებობდა კანონი ოსტრაკისმზე. ეს კანონი დამყარებულია დიდი ადამიანების ძლიერების გულუბრყვილო რწმენაზე—ანთროპოლატრიაზე“-ო. ჩვენ დავინახეთ, თუ რამ გამოიწვია ამ ინსტიტუტის წარმოშობა და რამდენად იყო დაკავშირებული იგი სახელმწიფოს რეალურ მოთხოვნილებებთან და ამიტომაც მისი ანთროპოლატრიად გამოცხადება არც სამართლიანია და არც არას ჰმატებს საკითხის გაშუქებას.

VI საუკუნის დასასრულს ათენის ახალგაზრდა დემოკრატიას გაუჩნდა დიდი საგარეო საფრთხე. მის წინააღმდეგ შედგა მთელი კოალიცია, რომელშიც შედიოდენ: სპარტა, ბეოტია, ევბეას ქალკიდა და კუნძული ეგინა.

სპარტას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა ათენში დემოკრატული წყობილების განმტკიცებისათვის და აგრეთვე სამაგიეროს მიგების გრძნობით იყო აღფურვილი ისაგორის დროის კაპიტულაციისათვის. ბეოტია უკმაყოფილო იყო იმით, რომ ატიკის მოსაზღვრე ქალაქმა პლატეამ, რომელსაც თებელები ავიწროვებდენ, ათენში მოიპოვა მფარველობა.

ქალკიდა და ეგინა კი სავაჭრო ნიადაგზე ექიშპებოდენ ათენს. ასეთ საფუძველს ემყარებოდა ბრძოლა ათენსა და ამ კოალიციას შორის.

ლაკედემონელები და მისი მოკავშირეები უკვე მიადგენ ელევსინს და საშინელ საფრთხეში ჩააგდეს ათენი, მაგრამ სპარტის მეფეთა შორის დაიწყო უთანხმოება და მოკავშირეთა ჯარი უკან გაბრუნდა. ამას შემდეგ ათენი ადვილად გაუსწორდა ბეოტიას და ქალკიდას, რომელსაც ჩამოართვა ლელანტის

ნაყოფიერი ველი, სადაც თვისი კლერუქიები მოათავსა. ეგინასთან ბრძოლა კი გაჭიანურდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბრძოლაში ათენელები შეეცადენ მოეპოვებიათ სპარსელების დახმარება. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ამ დროს სპარსეთის ძლიერების მნიშვნელობა უკვე ფართოდ იყო გავრცელებული საბერძნეთში. ისტორიკოსს ჰეროდოტეს სურს ათენელების გამარჯვება კოალიციაზე ატიკაში დემოკრატიული წყობილების დამყარებას დაუკავშიროს (V, 78): „სანამ ათენელებს ტირანები განაგებდენ, სამხედრო საქმეში ისინი ვერც ერთ თავის მეზობელს ვერ აღემატებოდენ, ხოლო ტირანიისაგან განთავისუფლების შემდეგ მათ ყველას წინგაუსწრეს"-ო. მაგრამ მას ავიწყდება, რომ სწორედ ტირანი პისისტრატეს დროს მოიპოვა ათენმა დიდი საგარეო ძლიერება და მნიშვნელობა.

11. გარდამავალი ხანის კულტურა [114].

ჩვენ გავეცანით საბერძნეთის სახელმწიფოთა გარდამავალი ხანის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ამჟამად საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მაინც გავითვალისწინოთ ამ დროის ბერძნული კულტურის საერთო სურათი. VII და VI საუკუნეები წარმოადგენს გარდამავალი ხანის გულგულს, რომელსაც „საშუალო საუკუნეების" სამყაროსაგან მივყავართ V ს-ის „კლასიკური" ეპოქის მწვერვალებთან. საბერძნეთის როგორც სამეურნეო, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე კულტურისა და ხელოვნების დარგში, ეს ხანა იყო გარკვეული გარდატეხის პერიოდი. წინაალმდეგ „საშუალო საუკუნეების" რაინდული და კარის პოეზიისა და ხელოვნებისა, ახლა ვხედავთ, რომ ახალ სამეურნეო პირობებთან და სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობასთან შეფარდებით კულტურა ხალხის უფრო ფართო ფენებს სწვდება და იმავე დროს ცალკეული პიროვნებებიც უფრო ადვილად ითავისუფლებენ თავს ტრადიციის ძველი ნორმებისაგან. ძველი პატრიარქალური ცხოვრება გაიბზარა, თვისი ხელშეუხებელი ავტორიტეტი დაჰკარგა და თანდათან ძლიერ და შეუპოვარ კრიტიკას განიცდიდა. პ ო ე ლ მ ა ნ ი ს თქმით, ცხარე შინაური საზოგადოებრივი ბრძოლის პროცესში ყველაფერი შეირყა: სახელმწიფო და უფლება, მეურნეობა და საზოგადოება, ძველი მეცნიერება და ხელოვნება, ჩვეულება და სარწმუნოება [115]. ეს ხანა ხელსაყრელი იყო ლირიკული პოეზიის წარმოშობისათვის, რომელიც, წინაალმდეგ წარსულის წყნარი ჰექსეტით გატაცებული ეპოსისა, აწმყოსს აპყრობს მთელ თავის გულისყურს და გვაცნობს უწინარეს ყოვლისა თვით მგოსნის პირად განწყობილებასა და განცდებს.

ბერძნული კულტურის ახალი მიმართულების მეთაურად იონია გვევლინება, მაგრამ ახალ მიმდინარეობაში თანდათან მეტროპოლიაც ებმება და მის ცალკეულ ადგილებში თავს იჩენს ამ მომენტის ცხადი გამომჟღავნება. პოეზიაში ჰ ო მ ე რ ო ს ი ს ე პ ო ს ი განიცდის შემდგომ გავრცელებას: ილიადასა და ოდისეას ენიჭება ახლა თვისი უკანასკნელი რედაქცია. თქმულებათა სხვა მასალებისაგან, განსაკუთრებით მეტროპოლიიდან, ჰომეროსის მიბაძვით შედგე-

ნილ იქნა ეგრეთწოდებული „კიკლიკური“ ეპოსი, ე. ი. მითების მთელი რკალის ან „კიკლის“ შემცველი. რაფსოდები, რომლებიც გამოდიოდენ უკვე არა მარტო მთავრების კარზე, არამედ დიდ სახალხო სარწმუნოებრივ დღესასწაულებზეც, თხზავდენ ღმერთების საპატივცემო შესავალთ (Proömien), რომელთაგან ზოგიერთმა ჩვენამდე მოაღწია „ჰომეროსის ჰიმნების“ სახელით. მაგრამ განსახილველი პერიოდის დასაწყისში ეპოსს სრულებით ახალი მიმართულება ეიეცა ჩვენთვის უკვე ცნობილი, ბეოტიის ასკრის გლეხისშვილის, „სოფლის მშრომელი ხალხის“ მგოსნის ჰ ე ს ი ო დ ე ს წყალობით. თავის პოემაში პიროვნულად სავსებით დაფარული ჰომეროსისაგან განსხვავებით, ჰესიოდე წარმომადგენელი გახდა სუბიექტივიზმისა და წინამორბედი ლირიკისა. თუმცა იგი სწერდა ძველი ეპიური ფორმებით, მაგრამ თვის შემოქმედებაში იგი გვევლინება საკუთარი სახელით და პიროვნული განცდების გამომჟღავნებით. ვ ი ლ კ ე ნ ს კარგად აქვს ნათქვამი, რომ ჰესიოდე უძველესი ევროპელი პოეტის ფიგურაა და რომ იგი იყო „პირველი ბერძენი, რომელიც ხორცსა და სისხლში დგას ჩვენ წინ“ (der erste Grieche. der in Fleisch und Blut vor uns steht). პოემაში „სამუშაონი და დღეები“, როგორც დავინახეთ, იგი მშვენიერი სიტყვებით უგალობს პატიოსან შრომას და მასა და ძმას შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გაცნობასთან ერთად გვისურათებს იმ დროის გლეხობის მძიმე ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას. როგორც თავისებური მოაზროვნე, იგი გვევლინება თავის „თეოგონია“-ში, რომელშიც იგი მისი სამშობლოს—ბეოტიის ღმერთებსა და ჰომეროსის ოლიმპის ღმერთებს შორის არსებული დისჰარმონიის გამო, ცდილობს გაატაროს ბერძენი ტომების სარწმუნოებრივ შეხედულებათა სრული სისტემატიზაცია. ამ მხრით „თეოგონია“-ს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნული სარწმუნოებრივი აზროვნების განვითარებისათვის. ამ ძირითადმა პოემამ შემდეგში მრავალი დამატება განიცადა გენეალოგიურ ეპოსში, რომელშიც სხვადასხვა ადგილობრივი თქმულება, განსაკუთრებით მეტროპოლიიდან, იქნა შეერთებული.

მაგრამ, როგორც სრულებით ახალი რამ, ამ პერიოდის დასაწყისში გვევლინება ლ ი რ ი კ ა, რომელმაც პოეტური შემოქმედების ახალი ფორმები შეჰქმნა მჭიდრო დაკავშირებით იმ დიდ განვითარებასთან, რომელსაც მაშინ მუსიკის ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი, რომელმაც ლიდიისა და ფრიგიის ძლიერი გავლენა განიცადა, მცირე-აზიიდან საბერძნეთში გავრცელდა და ახალგაზრდობის აღზრდის სისტემაში იქნა შემოღებული. აღსანიშნავია, რომ ჩვენთის ცნობილი უძველესი მეთაურები პოეზიის ამ ახალი მიმართულებისა, რომელთა შემოქმედებაში გვეცხადება ამ ეპოქის განსაზღვრული წრეების სულისკვეთება, გვევლინებიან, თითქოს, „ციდან ჩამოვარდნილ“ უსრულეს ოსტატებად, რადგან მათი წინამორბედნი ჩვენთვის სავსებით უცნობი არიან და საშუალება არა გვაქვს, სათანადოდ გავითვალისწინოთ თანდათანობითი განვითარება. მაგრამ, ცხადია, მათ წინ უსწრებდა მთელი თაობა, რომელმაც შეუმზადა მათ ნიადაგი.

ამ მხრით ბერძნებს უდიდეს ოსტატად ჰყავდათ მიჩნეული ზემოთ უკვე დასახელებული პოლიტიკური არაკის—„მაიმუნი და მელა“ს—ავტორი ა რ ქ ი-

ლოქე პაროსელი (VII საუკუნის ნახევარი), რომელსაც ისინი ჰომეროსთან ერთად ხელოვნების არქეგეტად თვლიდენ. როგორც დაქირავებულ ჯარისკაცს, მას ბევრი უმოგზაურია და მრავალი გაქირვება და მწუხარება უნახავს ბრძოლასა და ხეტიალში. და ყოველივე ის, რაც მასში ან სიყვარულს და ან სიძულვილს იწვევდა, დიდი გატაცებით აღუბეჭდავს სხვადასხვა ფორმაში, უმეტესად კი ელეგიებსა და იამბებში. არა ადამიანთა ბედი საერთოდ, არამედ მხოლოდ პირადი განცდები ჰპოულობს თავის პოეტურ გამოძახილს მის შემოქმედებაში. ერთი სიტყვით, არქილოქეს ლექსებში ძლიერად ვგრძნობთ მისი ინდივიდუალური ცხოვრების გამალებულ მაჯისცემას და ამ მხრით კარგად უთქვამს ბელოხს: „ამგვარად იგი იყო პირველი ბერძენი, რომელიც ჩვენ წინ დგას თვისი სრული ინდივიდუალობით, როგორც ადამიანი ხორცისა და ძვლისაგან“ (So ist er der erste Grieche, der in seiner vollen Individualität als Mensch von Fleisch und Bein, vor uns steht[116]). თვისი შემოქმედების მიმზიდველობით და ტალანტით არქილოქე გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე მისი ახალგაზრდა თანამედროვენი—სემონიდე სამოსელი და ჰიპონაქტე (VI ს.).

უფრო ნაკლებად სუბიექტური იყო არქილოქეს თანამედროვე მგოსნის კალინე ეფესელის შემოქმედება, რომელიც უმეტესად მებრძოლი ელფერით განსხვავდებოდა. ამის მიზეზი კი იმ ისტორიული პირობებით უნდა ავხსნათ, რომელშიც მოუხდა ცხოვრება კალინეს. მისი სამშობლო—ეფესი იმ ხანებში ბრძოლას აწარმოებდა მაგნესიასთან, რომელიც მაგნესიის დაცემით დამთავრდა. ამ ბრძოლის დროს კალინე ცდილობდა თვისი ლექსებით სიმამაცის გრძნობა აღეძრა თანამოქალაქეებში. შემდეგ დაიწყო კიმერიელების შემოსევა, რაზედაც საუბარი უკვე გვქონდა თავის ადგილას. როგორც ჩანს, ეფესელებს მაინცდამაინც კარგად ვერ გაუთვალისწინებიათ ამ შემოსევის განსაცდელი და კალინე კვლავ მიმართავს მათ ელეგიებით, რომლებშიც მოუწოდებს მათ საშინელ მტერთან დაუნდობელი ბრძოლისაკენ, რადგან, მისი აზრით, სამშობლოსათვის სიკვდილზე უფრო მაღალი პატივი მოკვდავთათვის არ არსებობს.

თვისი შემოქმედებით კალინესთან ახლოს დგას ჩვენთვის უკვე ცნობილი სპარტის მგოსანი ტირტეო, რომელიც, როგორც სარდალი მესენიის მეორე ომში, ძვირფას ცნობებს გვაწვდის ამ დროის სპარტის მდგომარეობის შესახებ, რაზედაც საუბარი უკვე გვქონდა. საყურადღებოა აგრეთვე მისი ცნობები მესენიელთა არსებობის დუხჭირი პირობების შესახებ, რასაც შედეგად მათი აჯანყება და ომი მოჰყვა. სამაგიეროდ, როგორც სპარტელი და გაბატონებული სოციალური წრის წევრი, იგი თვისი ლექსებით ცდილობს აღაფრთოვანოს სპარტელი მეომრები, რომ სრული გამარჯვებით იქნეს დამთავრებული ომი მესენიელების წინააღმდეგ. მეორის მხრით ამ ომის პროცესში წარმოშობილი შინაური მღელვარების დროს იგი თავის თანამემამულეთ ზომიერებისა და თანხმობისაკენ მოუწოდებდა და ცალკე პოემაში დიდი ქებით იხსენიებდა სპარტის სახელმწიფო წყობილებასა და კანონებს, რომლებიც ომმა შეარყია და რომელთა დაცვას იგი ყოველი სპარტიატის უმთავრეს მოვალეობად თვლიდა.

ტირტეო ახალი მიმართულების პირველი პოეტი იყო საკუთრივ საბერძ-

ნეთში. ტირტეოს სადაურობის შესახებ ძველადვე სხვადასხვა ვერსია არსობობდა. ათენური ვერსიის მიხედვით ტირტეო ატიკის მკვიდრი იყო; ასეთ აზრს გვაწვდიან ფილოსოფოსი პლატონი (Leges, I, 629), ორატორი ლიკურგი (c. Leocrat. 106) და სხვ. ძველად გავრცელებული ათენური ლეგენდის მიხედვით, მესენიის ომის დროს სპარტელებმა დახმარებისათვის მიმართეს ათენელებს. უკანასკნელებმა, მათი მასხრად აგდების მიზნით, გაუგზავნეს კოჭლი მასწავლებელი ტირტეო, მაგრამ დიდად მოსტყუვდენ თავის განზრახვაში, რადგან ტირტეო ნამდვილად დიდი პოეტი აღმოჩნდა, რომელსაც შეეძლო თვისი ლექსებით გმირული სული ჩაებერა სპარტელებში (Paus. IV, 15, 6). ამის მიხედვით, მაშასადამე, პირველი წარმომადგენელი ელეგიისა საკუთრივ საბერძნეთში ათენელი იყო და არა სპარტელი. ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ სპარტელებმა შეჰქმნეს საკუთარი ვერსია, რომლის მიხედვით ტირტეო ნამდვილი სპარტელი იყო. თანამედროვე მეცნიერებაშიც ამ საკითხის ვარშემო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პროფ. გრ. წერეთელი თავის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია"-ში (გვ. 170—171) აღნიშნავს ლექსიკოგრაფოსის სვიდას ცნობას, რომ ტირტეო მილეტში დაიბადა, ე. ი. ის შემდეგ გასპარტებული მცირეაზიელი ბერძენი იყო, და იმ მოსაზრებით, თითქოს ძნელია იმის წარმოდგენა, რომ VII ს-ის დასაწყისში შეიძლებოდა ყოფილიყო ან ათენში ან სპარტაში პოეტური ფორმის უნაკლოდ მცოდნე პოეტი, გადაჭრით აღიარებს, რომ ტირტეო ჩამომავლობით მილეტელი იყო, ხოლო სპარტაში გადასახლების შემდეგ მან აქ მიიღო მოქალაქეობის უფლებები. მაგრამ შეუძლებელია ასეთი მოსაზრების გაზიარება. ჩვენ უკვე გავეცანით სპარტის სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას და მის განსაკუთრებულ კარჩაკეტილობას და წარმოუდგენლად მიგვაჩნია მცირეაზიიდან, თუ ათენიდან გადმოსახლებულ პოეტს სპარტაში მოქალაქეობის უფლებები მოეპოვებია, ე. ი. იმ სპარტიატთა წრეში მომხვდარიყო, რომლებიც განსაკუთრებული სიჯიუტით და თავგამოდებით იცავდენ თვისი წრის შეურევლობას და, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, სარდლის ღირსებისათვისაც კი მიეღწია. ამას გარდა, თავის ელეგიებში ტირტეო სპარტის წყობილებისა და ინტერესების ისეთ ერთგულ დამცველად გვევლინება, რომ თავისთავად აამკარავებს წმინდა ძველი სპარტელის ბუნებას. ამიტომ სავსებით უნდა უარყოფილ იქნეს ტირტეოს როგორც ათენელობა, ისე მცირე-აზიელობა, და იგი გარკვეულად სპარტის მკვიდრად უნდა მივიჩნიოთ [117].

VII საუკუნის დასასრულს ათენის ცნობილმა ხალხმწიფო-მოღვაწემ სოლონმა ატიკურ ნიადაგზე გადმონერგა ელეგია და თავის ლექსებში თვალწინ გადაგვიშალა ატიკის VI ს-ის მებრძოლი პარტიების განწყობილება და მის მიერ გატარებულ რეფორმათა რაობა. იმავე დროს იგი ცდილობს, თავი იმართლოს იმ ბრალდებათაგან, რომლებსაც მას უყენებდენ როგორც მტრები, ისე მეგობრები. ამ მხრით, იგი ბერძნების უძველესი პუბლიცისტი იყო. იგი სხვა

ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებთან — პერიანდრე კორინთელთან, პიტაკ მი-ტილენელთან, თალესთან და სხვ. ერთად ჩარიცხულ იქნა „შვიდი ბრძენის" წრეში.

თუ სოლონი გვიშუქებს ცხარე სოციალურ ბრძოლას VI ს-ის დასაწყისის ატიკაში, თ ე ო გ ნ ი დ ე მ ე გ ა რ ე ლ ი ც თავის ელეგიებში გვისურათებს მეგარის მოსახლეობას შორის წარმოშობილ ღრმა შინაურ შეხლა-შემოხლას VI ს-ის მეორე ნახევარში, რაზედაც საუბარი უკვე გვქონდა თავის ადგილას. სოლონის თანამედროვენი იყვენ ლირიკული პოეზიის დიდი ოსტატები ლესბოსში ა ლ კ ე ო და ს ა პ ფ ო. ამაყი და შეურიგებელი არისტოკრატი ალკეო, როგორც დავინახეთ, ღრმად ააშკარავებს თვისი წრის უაღრეს უკმაყოფილებას ახალი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ და ერთგვარი პესიმიზმით უცქერის მომავალს, მაგრამ იმავე დროს გარკვევით უგალობს ცხოვრებით დატკბობის სიხარულს.

მასზე გაცილებით მაღლა იდგა თვისი შემოქმედებით განთქმული პოეტი-ქალი საპფო. მისი განსაკუთრებული სიყვარული და ინტიმობა აღსაზრდელად ჩაბარებული ახალგაზრდა მეგობარი ქალებისადმი შემდგომ საუკუნეებში სამარცხვინო ცდის ობიექტი გახდა, რომ ასეთ ურთიერთობაში რაიმე უზნეო ელემენტები ნეეცნოთ. მაგრამ ასეთი ცდის წინააღმდეგ გარკვევით ლაპარაკობს მისი ძვირფასი პოეზია, რომელშიც არ ზოიპოვება არც უგვანო აზრები და არც დაბალი ხარისხის გამოთქმები. თითქოს ცილისმწამებელთა საპასუხოდ შენახულა VI ს-ის ეგრეთწოდებული მიუნქენის ვაზა, რომელზედაც დასურათებული ალკეო მოხრილი თავით დგას მაღალი ქალის წინ. ფილოსოფოსი პლატონი მას მუზებს მიაკუთვნებდა, როგორც მეათე წევრს. VI ს-ის დასასრულს ა ნ ა-კ რ ე ო ნ ტ ი ს წყალობით პიროვნული ლირიკა ახალ გაფურჩქვნას განიცდიდა. ძველად მას საპფოზე და ალკეოზე არა ნაკლებ დიდ პოეტად სთვლიდენ, ხოლო მისი პოეზიის განსაკუთრებული თვისებების გამო ხალხის ფართო წრეებისათვის ის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე სხვა ცნობილი პოეტები. ჩამომავლობით ანაკრეონტი იონიის ქალაქი ტეოსიდან იყო. განწყობილებით მუდამ ახალგაზრდა, იგი ტირანების კარზე მღეროდა თავის სიცოცხლით სავსე ლექსებს.

VII—VI ს-ში გარკვეული მხატვრული ფორმები მიიღო ხ ო რ ი კ უ ლ მ ა ს ი მ ღ ე რ ე ბ მ ა, რომლებიც მარტივი სახით დიდი ხნიდან იყო შემოღებული სარწმუნოებრივ კულტში რითმული ცეკვისათვის. ჩვენ ცოტა რამ ვიცით იმ წარმტაცი ხორიკული სიმღერების შესახებ, რომლებიც VII ს-ის დასასრულს შეუქმნია პოეტ ა ლ კ მ ა ნ ს სპარტის ქალიშვილების გუნდისათვის. უახლოეს საუკუნეებს ეკუთვნოდენ, როგორც ხორიკული ლირიკის წარმომადგენლები, სტეზიქორე და იბიკოსი.

VI საუკუნეშივე უნდა ვეძებოთ ატიკური ტრაგედიის წინამორბედი ელემენტების წარმოშობა, რომლებიც წარმოდგა ატიკის ნიადაგზე ორი სავსებით განსხვავებული მხატვრული ფორმის—ხორიკული ლირიკისა, როგორც იგი ლესბოსელმა ა რ ი ო ნ მ ა განავითარა დიონისეს კულტში კორინთში, და იონური იამბის შეერთებისაგან. ალბათ, არიონმა გამოიყენა დიონისეს სიმღერების შე-

მსრულებელნი, როგორც სატირების თუ თხების გუნდი. სოლო ის ორიგინალური აზრი, რომ ეს „თხების გუნდი“ (τραγικοὶ χοροί), როგორც „მოპასუხენი“ (ὑποκριταί) იამბებში ერთიმეორეს დაპირისპირებოდენ, თესპისს ეკუთვნის, რომელიც ჩამომავლობით ატიკის იკარიიდან იყო. 534 წელს პისისტრატეს მიერ დაარსებულ დიონისიებში იგი პირველად გამოვიდა ამ თვისი გამოგონებით. ამ ელემენტების შემდგომი განვითარების შესახებ ცნობები მოგვეპოვება უკვე მხოლოდ V ს-დან.

აღნიშნულ ეპოქაში წარსულთან შედარებით თვალსაჩინო ცვლილება განიცადა აგრეთვე ბერძენთა სარწმუნოებრივმა შეეცნებამ. ჰომეროსის პოემების ხალხის უფრო ფართო წრეებში გავრცელებამ სხვა პირობებთან ერთად გაცილებით მაღლა დააყენა ჰომეროსის ღმერთები, ვიდრე მრავალი ადგილობრივი კულტი, და მათ სახელმწიფო ღმერთების ღირსება მიანიჭა. არსებითად კი ორივე მხარემ მოახდინა ერთიმეორეზე გავლენა. ერთის მხრით ოლიმპის ღმერთების ანთროპომორფისმი ხშირად გადადიოდა ადგილობრივ ღმერთებზე და ძველ ფეტიშებს აძევებდა, მეორის მხრით სამაგიეროდ ზოგი რამ ადგილობრივი კულტებიდან გადატანილ იქნა ოლიმპის ღმერთებზე. ამასთან დამახასიათებელია, რომ ამ დროის სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის შესატყვისად ფრიად განვითარდა გლეხური კულტი, განსაკუთრებით—დემეტერის (მიწის მეურნეობის) და დიონისესი (მეღვინეობის). ღმერთებისადმი ადამიანის თვისებების მიკუთვნების, მათი განკაცების პროცესთან ერთად მათი არსების წარმოდგენაში მოხდა ერთგვარი პროგრესი: ისინი წარმოიდგინეს, როგორც ზნეობრივი ძალები, რომლებიც უფლებისა და სამართლიანობის წყაროდ მიიჩნიეს. ამ მიმართულებით თანდათან ჰქრება ფეტიშებში განსხეულებული ბუნების მკაცრი ძალების წარმოდგენა და ისპობა აგრეთვე კულტის ისეთი საშინელი მომენტი, როგორიც იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რომელიც სხვადასხვანაირი სიმბოლური აქტით შეიცვალა. ამასთან ერთად უფრო გაიზარდა მანძილი ღმერთებსა და ადამიანებს შორის და უფრო გაღრმავდა ბათდამი უკანასკნელთა დამოკიდებულება. ამ მხრით ეგრეთწოდებული შეიდი ბრძენის დროის სარწმუნოებრიობის მთავარი აზრი შემდეგ თქმაში გამოიხატებოდა: ვინც თავის თავს იმაღლებს (ὕβρις) და ღვთაებრიობისაკენ ისწრაფვის, მას თავს დაატყდება ღმერთების შურისძიებაო. მათვე მიაწერდენ შემდეგ აფორიზმებს, რომლებიც არსებითად იმ დროის ზომიერი წრეების სულისკვეთებას გამოხატავდა: „თვით იცან თავი თვისი“ (γνῶθι σεαυτόν), „არაფერი ზომაზე მეტი“ (μηδὲν ἄγαν), „ზომიერება—საუკეთესოა“ (μέτρον ἄριστον) და სხვ. ზოგიერთი მათგანი წარწერილი იყო დელფის აპოლონის ტაძრის შესავალში.

დიდად გაიზარდა აგრეთვე სხვადასხვა მისნის მნიშვნელობა და გავლენა. მათში კი ყველაზე განთქმული იყო დელფის აპოლონის მისანი, რომელიც დიონისეს ზეგავლენით ბედის მანტიკიდან შთაგონების მანტიკაზე გადავიდა. მისი სახელი საბერძნეთის გარეშეც შორს იყო გავრცელებული. VII ს-ში მას შეკითხვით მიმართავს ლიდიის მეფე გიგესი, ხოლო VI ს-ში—კრეზი. შეკითხვებთან ერთად იზრდებოდა მდიდარი შესაწირავი და, მაშასადამე, თვით

ტაძრის სიმდიდრეც. ამ მოვლენას, რომელიც ჰქმნიდა აღმოსავლეთის მსგავს ძლიერებას დელფის ქურუმებისას, თავისებური გავლენა ჰქონდა საბერძნეთის სახელმწიფოთა ცხოვრებაზე და ხშირად ანიჭებდა ამ მისნის მოსაზრებათ გადაშწყვეტ მნიშვნელობას სხვადასხვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში.

მოსახლეობის შეძლებული წრეები დიდ ყურადღებას აქცევდენ ტაძრების, როგორც ღმერთების სადგომების, გამშვენიერებასა და შემკობას, აგრეთვე ცნობილი სარწმუნოებრივი დღესასწაულების ბრწყინვალედ შესრულებას. ძველი დროის ოლიმპის პენტეტერიულ დღეობებს ახლა ახალი დღეობები მიემატა, მაგ., ისთმოსის და ნემეის ტრიეტერული დღეობები. 556 წელს კი დაარსებულ იქნა დიდი პანათენეები, რომლის დროისათვის პისისტრატემ მუსიკალური შეჯიბრი (აგონი) დააწესა.

მიცვალებულთა კულტის შესრულებაში თავს იჩენს უდიდესი ფუფუნება, რომლის წინააღმდეგ ზოგიერთ სახელმწიფოში განსაკუთრებულ ზომებსაც კი მიმართავენ, როგორც, მაგ., სოლონი ათენში, რომელიც სპეციფიკურ კანონს სცემს მის შესახებ. სპარტის საფლავის ქვები გვიხასიათებს მიცვალებულებს მდიდრულად გამართული სამსხვერპლო მაგიდებით. მიცვალებულთა სახელებს საერთოდ აწერდენ საფლავის ქვაზე და საყურადღებოა, რომ სპარტაში ასე იქცეოდენ მხოლოდ ისეთ მიცვალებულთა მიმართ, რომელნიც სპარტისათვის ბრძოლაში დაიღუპენ.

ჰომეროსის წარმოდგენა იმ აჩრდილისებურ მოჩვენებათა (εἴδωλα) შესახებ, რომლებშიც ადამიანები ცნობიერების გარეშე განაგრძობენ იმ ქვეყნად უსიხარულო არსებობას, ამ დროს უკვე აღარ აკმაყოფილებდა. ამიტომ ძლიერად აღძრული სურვილი იმ ქვეყნად ცნობიერი და ნეტარი ცხოვრების განგრძობისა, რომლის მინიჭება არ შეეძლო ოლიმპის ღმერთებს, განსაკუთრებულ მზრუნველობასა და თავშესაფარს ჰპოულობს გლეხურ დემეტერისა და დიონისეს კულტში. ამ ნიადაგზე წარმოიშვა თავისებური საიდუმლო კულტები (მისტერიები), რომლებიც მიზნად ისახავდა ნაკურთხთათვის უზრუნველეყო იმ ქვეყნად მარადიული სიცოცხლის სინამდვილე. ეს იყო, თუ გნებავთ, მთავარი აზრი ელევსინის მისტერიებისა, რომელთა ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა იმედით სავსე შითი პერსეფონეს მოტაცებისა და დემეტერის მიერ მისი კვლავ მოპოვების შესახებ. როგორც მასში ნაკურთხი საიდუმლოს (საკრამენტოს) საშუალებით „ღედამიწის“ შვილი ხდებოდა, ისე დიონისეს კულტის ამოცანას შეადგენდა, წინააღმდეგ ძველი ტრადიციისა, მორწმუნეთა დაახლოება ღვთაებრიობასთან. ამ ორგიასტულ კულტში ამას აღწევდენ ექსტაზის საშუალებით, რომელშიც ადამიანი თითქოს, თავის თავიდან ამოსვლით (ἐξίστασθαι) უახლოვდებოდა ღვთაებას, ან საღვთო ცხოველის ხორცის ჯამის საკრამენტის მეოხებით, რითაც იგი თავის თაეში იღებდა, თითქოს, თვითონ ღმერთს (ἔνθεος, ἐνθουσιασμός—აქედან სიტყვა ენთუზიაზმი).

ამ დროის ყველა ასეთ მისწრაფებათა გათვალისწინებიდან უნდა იქნეს შეცნობილი ორფიკული სარწმუნოების წარმოშობა, რომელიც VII ს-დან იწყებს განვითარებას, ხოლო VI ს-ში ატიკაში იღებს თავის გარკვეულ ფორმებს. იგი გამოდის გამოცხადებული სარწმუნოების პრეტენზიით და თავის

მოძღვრებას გადმოგვცემს ლექსებში, რომლებსაც უძველესი დროის გმირს კითა-- როდე ორფეუსს, როგორც ამ სარწმუნოების დამაარსებელს, მიაწერდენ. თეოლოგიური სისტემის ამ დოგმატური დებულებით ეს ორფიკი ამ პუნქტში ეწინააღმდეგება ბერძნულ თავისუფალ აზროვნებას და მოგვაგონებს უფრო აღმოსავლეთის გამოცხადებულ სარწმუნოებას. არსებობს მოსაზრება, რომ აღმოსავლეთმა ამ სარწმუნოების არა მარტო დოგმატურ მხარეზე, არამედ მისი კულტის შინაარსსა და ფორმებზედაც იქონია გავლენა, მაგრამ ყოველივე ეს დღემდე საკამათო საგანს წარმოადგენს და გარკვეეთ რისამე თქმა ძნელია. ორფიკის მთავარი მიზანი, რომელშიც მდებარეობდა მისი მიმზიდველობის დიდი ძალა, იყო ის, რომ ყველა ადამიანისათვის, მონებისათვისაც კი, უზრუნველეყო სიკვდილის შემდეგ ნეტარი ცხოვრება იმ ქვეყნად. ადამიანის სული, რომელიც ამ მოძღვრების მიხედვით ნაწილობრივ ღვთაებრივია და ამიტომ უკვდავიც, ამ ქვეყნად სხეულში, როგორც სამარეში, განისვენებს (აქედან—σῶμα σῆμα=სხეული სამარეა). იგი უნდა განიწმიდოს ცხოველების თუ ადამიანის სახით ხანგრძლივი ხეტიალით, სანამ არა მარტო კურთხევით, არამედ მრავალგზის უცოდველი ცხოვრების მეოხებით არ განთავისუფლდება ტყვეობისაგან და არ იპოვის შესავალს კრონოსის სამეფოში ნეტართა კუნძულზე; არანაკურთხთ და ცოდვილთ კი მისჯილი აქვს წამება ჯოჯოხეთში.

ორფიკულ სარწმუნოებას განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა ათენის ტირანი პისისტრატე, მაგრამ მას სახელმწიფო სარწმუნოების მნიშვნელობა არ მოუპოვებია. მისმა ზოგიერთმა აზრმა გავლენა იქონია ფილოსოფოსებზედაც, მაგ., პითაგორზე და პითაგორული სკოლის მეოხებით პლატონზედაც. ხოლო საერთოდ ორფიკი ხალხის უფრო ქვედა ფენებში იყო გავრცელებული და დიდხანს შეინარჩუნა თვისი გავლენა.

რამ გამოიწვია ასეთი გარდატეხა ბერძნების სარწმუნოებრივ შემეცნებაში? ამაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს გვაძლევს ცნობილი მკვლევარი *გომპერცი*[118]: „მისი წყარო ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ მისი წარმოშობის ისტორიულ პირობებს. სარწმუნოებრივი კრიზისი სოციალური კრიზისის გამოძახილია, ერთ-ერთი შედეგია წოდებათა შორის ბრძოლისა, რომლითაც მოცული იყო VII საუკუნე და VI ს-ის ნაწილი... ადამიანებმა, რომლებმაც წამება განიცადეს დაპყრობათაგან, ან მსხვერპლი გახდენ სასტიკი ოლიგარქიული წესწყობილებისა, ალბათ, პირველებმა მიაპყრეს თვალი იმქვეყნიური ცხოვრების ნუგეშს და ღმერთებისაგან მოელოდენ სამაგიეროს ქვეყნად განცდილი უსამართლოებისათვის. ყოველ შემთხვევაში ორფიკული მოძღვრება წარმოიშვა საზოგადოების არა ზედა, არამედ საშუალო ფენებში. სისხლისღვრისადმი სიძულვილი, რომელიც თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამ მოძღვრებაში, იმაზე მიგვითითებს, რომ მისი წარმომადგენლები ისეთი ადამიანები იყვენ, რომლებიც გულგრილად უცქეროდენ სამხედრო დიდებას და რომელთათვისაც უცხო იყო სამხედრო გმირობა. სწორედ ასევე „სამართალს“ და „კანონს“ (Dike და Nomos), რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ორფიკულ პანთეონში, ჩვეულებრივად მოუწოდებენ დასახმარებლად ჩუსტნი და დაჩაგრულნი და არა ძლიერი და გავლენიანა პირები.

ჩვენ არანაკლები უფლებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ მმართველი კლასის სოფლმხედველობისა და იდეალების წინააღმდეგ შ ე გ ნ ე ბ უ ლ პროტესტზე, ვიდრე ყველასათვის ცნობილი ამბოხების შესახებ გაბატონებული სარწმუნოების წინააღმდეგ. ამ ამბოხებამ გამოიწვია ის, რომ სწორედ თრაკიელმა დიონისემ, რომლის სახე შედარებით გვიან შეითვისა ბერძნულმა მითოლოგიამ, ასეთი თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ამ სარწმუნოებრივ სისტემაში. ამგვარად, ახალი რწმენის მისტიურ მარცვალს შეადგენს არა სახელოვანი გმირობანი, როგორც, მაგ. რჩეულთა ღმერთის, ჰერაკლეს გმირული მოღვაწეობა, არამედ სახალხო ღმერთის — დიონისეს დაუმსახურებელი „ენებანი". აღმატებულობა ძლიერი მჩაგვრელებისა, რომელთაც თავს დაატყდება შემდეგში უმაღლესი ღვთაების შურისძიება, — უღონობა უდანაშაულოდ დევნილი, მაგრამ სამართლიანობის საბოლოო გამარჯვების მსასოებელი პირებისა, -- ყოველივე ეს გამოისახა ბოროტ ტიტანებში და უსუსურ ბალღ დიონისეში.

რასაკვირველია, ეს არ იყო პირველადელი აზრი ლეგენდისა, რომელიც შეიქმნა ორგიასტების სამსხვერპლო ბარბაროსული ჩვეულების — ცოცხალი მხეცების დაგლეჯისა და შეჭმის - უფრო როგორც განმარტება. მაგრამ სარწმუნოებრივმა ფანტაზიამ თავის მასალად აირჩია ეს ლეგენდა, შეავსო იგი ახალი შინაარსით და მოიმარჯვა იგი ახალი შეხედულების სამსახურისათვის. პროტესტი იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ერთდროულად წარმომადგენლები იყვენ სახელმწიფო სარწმუნოებისა და მცველი მამა-პაპათა გადმოცემებისა, უეჭველად იწვევდა ორფიკების საიდუმლო კრებებზე ისეთსავე მოქმედებას, როგორსაც „ტირანების" კარისკაცთა შორის. ესენიც და ისენიც ხომ უუფლებო ბურჟუაზიისა და ყმადქცეული გლეხობის წოდებათ ეკუთნოდენ. მსგავსება მართლაც გასაოცარია. საკმარისია მოვიგონოთ, რომ სწორედ იმ კლისთენმა, რომელმაც გაანადგურა არისტოკრატიის ბატონობა სიკიონში... იქვე აკრძალა საჯარო წაკითხვა ჰომეროსის სიმღერებისა, მოსპო თაყვანისცემა სახალხო გმირის, ნახევარღმერთის, ადრასტისა და გადაიტანა იგი დიონისეზე... ყოველივე ამას შემდეგ ჩვენ მივხედებით, რომ არა მარტო შემთხვევამ მიიყვანა ათენში ორფიკული სექტის დამაარსებელი ო ნ ო მ ა კ რ ი ტ ე ადგილობრივი მმართველის კარზე და მოუპოვა მას პისისტრატეს სახლის მოწყალებითი მფარველობა".

სარწმუნოებრივ შემეცნებაში ასეთ გარდატეხასთან ერთად უფრო განათლებული ადამიანების წრეში, უმთავრესად ახალშენებში, თავი იჩინა ბუნების პროცესთა უფრო გაღრმავებულმა მეთვალყურეობამ და ფიქრებმა მისი ნივთიერი ფაქტორების აგებულებაზე. ეს იყო უდიდესი საქმე იონელი ნ ა ტ უ რ ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ე ბ ი ს ა, რომელთაც, ასე ვთქვათ, საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერულ აზროვნებას. თუ წინათ ბერძნები ისე, როგორც აღმოსავლეთის მცხოვრებლები, ბუნების მოვლენებს მითოლოგიურად თვისი ღმერთების მოქმედებათაგან განმარტავდენ, ახლა ჩნდება ადამიანთა ისეთი ჯგუფი, რომელიც იწყებს ბუნების კანონზომიერების შეგრძნობას და მისი კანონების შესწავლას; წინააღმდეგ ანონიმური და ფსევდონიმური ორფიკისა ესენი იყვნენ გარკვეული ინდივიდუმები, რომლებიც საკუთარი სახელის ქვეშ აქვეყნებდენ წერილობით თავიანთ მოსაზრებათ და ამით, სხვათაშორის, ბერძნული მხატვრული პროზის

განვითარებასაც უწყობდენ ხელს. ისინი მოქმედებდენ ამ შემთხვევაში არა ინდუქტიურად, არამედ წმინდა სპეკულატურად და ხელს ჰკიდებდენ ისეთ უკიდურეს პრობლემებს, როგორიც არის მსოფლიოს დასაბამის (ἀρχή) საკითხი. ცხადია, ამ გზით ისინი ვერ შესძლებდენ მსოფლიო ამოცანის გადაჭრას და გამოთქვამდენ ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებათ; ასე, ერთი ამ დასაბამს წყალში ხედავდა (თალესი), მეორე (ანაქსიმანდრე)—უსაზღვროში (ἄπειρον), მესამე ჰაერში (ანაქსიმენე). მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათ პირველებმა წამოაყენეს ეს პრობლემა, ამას გარდა მათვე პირველად ჩაეყარეს საფუძველი მეცნიერების ისეთ გაგებას, რომლის მიხედვითაც მეცნიერება მიზნად ისახავს სინამდვილის შეცნობას არა მარტო ყოველდღიური ვიწრო პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, არამედ საერთოდ. ვილკენის თქმით, ეს იყო მოქცევის პუნქტი კაცობრიობის ისტორიაში. ძველმა ბაბილონელებმა და ეგვიპტელებმა „მრავალ დარგში მიაღწიეს მდიდარ ცოდნას და გასაოცარი მოხერხებით გამოიყენეს პრაქტიკული მიზნის დასაკმაყოფილებლად თვისი ცალკეული ემპირული დაკვირვებანი, და მათი ცოდნისაგან ზოგი რამ ბერძენ მკვლევარებზედაც გადავიდა, მაგრამ ცალკეულ დაკვირვებათაგან აბსტრაქციით ისინი არ ამაღლებულან საერთო შემეცნებამდე, რადგან წამოყენება წმინდა თეორიული პრობლემებისა ისე, როგორც თეორიების მიღწევა, მათთვის აბსოლუტურად შორეული რამ იყო. ეს ითქმის ყოველ დარგზე. როგორც ფილოსოფიურმა აზროვნებამ აღმოსავლეთში ვერ შეძლო განცალკევება სარწმუნოებრივ და მითოლოგიურ მოსაზრებათაგან, ისე ბაბილონელების ასტრონომია ასტროლოგიის სამსახურში იმყოფებოდა, რომელიც დამყარებული იყო სარწმუნოებრივ წარმოდგენაზე, რომ ღმერთები ვარსკვლავებიდან განსაზღვრავენ ადამიანთა ბედს. წმინდა მეცნიერებად ასტრონომია პირველად ბერძნების მეოხებით იქცა. ეგვიპტელების მათემატიკური ქრესტომათიები შეიცავდა გეომეტრიულსა და არითმეტიკულ ამოცანებს იმ სახით, როგორითაც მათ ყოველდღიური ცხოვრება აყენებდა... ხოლო მათემათიკა მეცნიერებად გახადეს პირველად ბერძნებმა, რომლებმაც თეორემები წამოაყენეს. ეგვიპტელების სამკურნალო ქრესტომათიები გვიჩვენებს ნაწილობრივად ფრიად. საგულისხმიერო პრაქტიკულ ცნობებს ავადმყოფობათა წამლობისა და რეცეპტების გამოწერისას... მაგრამ მედიცინა მეცნიერებად იქცა პირველად V ს-ში ჰიპოკრატეს წყალობით, რომელიც ასწავლიდა, რომ ყველა ავადმყოფობას აქვს თვისი ბუნებრივი მიზეზი, და ადამიანის სხეულის შესწავლაში ხედავდა მედიცინის გამოსავალ პუნქტს“ (ვილკენი). გადავიდეთ ისტორიაზე. ეგვიპტის, ბაბილონის და სირიის მეფეთა მრავალრიცხოვან წარწერებში ჩვენ ვკითხულობთ მათ ლაშქრობათა და დიდი მშენებლობის ამბავს, მაგრამ მათში ამაოდ მოვძებნით ფაქტების ისტორიული განხილვისა და შეფასების, ან კრიტიკის ანდა ზოგადი პრობლემების წამოყენების რაიმე კვალს.

სულ სხვა რასმე ვხედავთ ამ მხრით ბერძენთა ცხოვრებაში. ბერძნული ისტორიოგრაფიის სამშობლოც მცირე აზიის ახალშენები, უმთავრესად იონია, იყო, და ეს გასაგებიცაა, თუ მოვიგონებთ ზემოთაღნიშნულ პირობებს მათი განვითარებისას. ჰეროდოტეს წინამოადგილე პირველ ბერძენ ისტორიკოსებს ჩვეულებრი-

ვად ლ ო გ ო გ რ ა ფ ო ს ე ბ ს უწოდებენ. მათი ნაწარმოებები, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია, წარმოადგენს ადგილობრივ ქრონიკებს, სხვადასხვა ქალაქის დაარსების თქმულებებს, სხვადასხვა მხარის აღწერათ, გმირებისა და უძველესი დროის სახელგანთქმული მოღვაწეების გენეალოგიას და სხვ. მათ შესახებ ზოგადად უნდა ითქვას, რომ მათში მთავარი ყურადღება მითურ ხანას აქვს მიქცეული და ისტორია არ არის ჯერ კიდეე გამიჯნული მითისაგან. ლოგოგრაოფსთა შორის ყველაზე უფრო განთქმული იყო ჰ ე კ ა ტ ე ო ს მ ი ლ ე ტ ე ლ ი, რომელიც თანამედროვე იყო იონელთა აჯანყებისა სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ. ჰეკატეოსს მრავალ ქვეყანაში უმოგზაურია და თვისი საგულისხმიერო დაკვირვებები წერილობით უანდერძებია კაცობრიობისათვის. იგი იყო არა მარტო ისტორიკოსი, არამედ გეოგრაფოსიც. მან დაგვიტოვა ისტორიული ნაშრომი „გენეალოგია“ ანუ „ისტორია“ (4 წ.) და „მიწის აღწერილობა“. ეს უკანასკნელი შეიცავდა ევროპის, აზიის და აფრიკის აღწერას და დართული ჰქონდა გეოგრაფიული რუკა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ჰეკატეოსის ნაშრომში მოჩანს უკვე ერთგვარი რაციონალიზმი და ისტორიული კრიტიკის ცდები. სხვათაშორის თვისი „გენეალოგი“-ის შესავალში მას გამოთქმული აქვს შემდეგი საყურადღებო მოსაზრება: „ჰეკატეოს მილეტელი ლაპარაკობს ასე: მე დავწერე ის, რასაც ჭეშმარიტად ვთვლიდი, რადგან ბერძნებს მოეპოება მრავალგვარი და, რამდენადაც მე მეჩვენება, სასაცილო მოთხრობები“-ო. მაშ, იგი თავის მასალის ერთგვარ შერჩევასა და კრიტიკულ განხილვას აწარმოებდა. ისტორიკოსმა ჰ ე რ ო დ ო ტ ე მ კი, რომელმაც გეიანდერძა ბერძენ-სპარსელთა ომების აღწერა, წამოაყენა უდიდესი ისტორიული პრობლემა—აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობისა და მანვე პირველმა: მიაქცია ყურადღება მომხდარი ამბების საფუძველთა გათვალისწინებას და ამიტომაც სამართლიანად მოიპოვა „ისტორიის მამამთავრის“ სახელწოდება“. ნამდვილ ისტორიულ კრიტიკას კი საფუძველი ჩაუყარა უდიდესმა ისტორიკოსმა თ უ კ ი დ ი დ ე მ. მაგრამ ჰეროდოტესა და თუკიდიდეზე საუბარი უფრო ვრცლად სხვა ადგილას გვექნება. აღნიშნული დიდი კულტურული მოძღვრობა არ განისაზღვრებოდა მარტო იონიით. თუ იმ დროს საკუთრივ საბერძნეთში მის ირფიკთან ერთად ამისათვის საკმაო საფუძველი არ არსებობდა, სამაგიეროდ მისი გავრცელების ხელსაყრელი პირობები მოიპოვებოდა ქვედა-იტალიაში. აქ იმ ხანაში მოღვაწეობდა დიდი მათემატიკოსი პ ი თ ა გ ო რ ე, რომელმაც კროტონში დაარსა საკუთარი სკოლა, რომლის შესახებ გ ო მ პ ე რ ც ი ღრმა გრძნობით წარმოთქვამს: „მოკრძალებით ვიხრებით იმ ადამიანთა ნიჭის წინაშე, რომელთაც პირველებმა მიგვითითეს ბუნების ძალთა ჩაწვდომისა და მათზე საბოლოო ბატონობის გზა“-ო. იტალიის ელეაში მოუხდა აგრეთვე მოღვაწეობა განთქმულ მოაზროვნეს— ქ ს ე ნ ო ფ ა ნ ე კ ო ლ ო ფ ო ნ ე ლ ს, რომელიც იძულებული იყო იონიის სპარსეთის პროვინციად გამოცხადების შემდეგ მიეტოვებია თვისი პირვანდელი სამშობლო და იტალიაში გადასახლებულიყო. იგი დაცინვით უკუაგდებდა ოლიმპის ღმერთებს და მათ „ყოფაცხოვრებას“. „ჰომეროსმა და ჰესიოდემ, ამბობს იგი, ღმერთებს მიაწერეს ყოველივე ის, რასაც ადამიანები უდიდეს სირცხვილად სთვლიან: ქურდობა, მრუშობა და ურთიერთის მოტყუილება“.

„ადამიანები ფიქრობენ, რომ ღმერთები იბადებიან, ატარებენ ისეთსავე ტანსაცმელს და აქვთ ისეთივე გამოსახულება და ხმა, როგორიც თვით მათ"; „ხარებსა და ლომებს რომ ხელები ჰქონდეთ და შეეძლოთ ხატვა და ქანდაკების შექმნა, როგორც ადამიანებს, მაშინ ცხენები ღმერთებს გამოსახავდენ ცხენების მსგავსად, ხარები კი—ხარების მსგავსად"; „უბრალოდ არ ამბობენ ნეგრები, რომ მათი ღმერთები შავი და მოღუნულცხვირებიანია, ხოლო ფრაკიელები—რომ მათი ღმერთები მტრედისფერთვალებიანი და ქერათმიანია"-ო. ასეთი სიტყვებით ეხებოდა იგი თვისი დროის ბერძნულ სარწმუნოებას. თვით მას კი ღვთაება წარმოდგენილი ჰყავდა პანთეისტურად ერთიან, აბსტრაქტულ და მსოფლიოსთან იდენტიურ არსებად (ლ უ რ ი ე).

დიდი ცვლილებები განიცადა გარდამავალ ეპოქაში ბერძნულმა ს ა ხ ვ ი თ მ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა მ ა ც. კერძოდ ხუროთმოძღვრების მიმართ უნდა აღინიშნოს, რომ VII ს-ში წინა პერიოდის ხისა და თიხის შენობების ადგილს თანდათან ქვის შენობები იკავებს. ამასთან თუ VII ს-ში ფორმათა დიდი სხვადასხვაობა არსებობდა, VI ს-ის დასაწყისში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა დორიულმა და იონურმა სტილებმა. დორიული სტილი, რომელიც პელოპონესში წარმოიშვა, სიმბოლურად გამოსახავდა დორიელთა მძიმე და მტკიცე ხასიათს, იონური სტილი კი თვისი მსუბუქი და ნაზი ფორმებით უფრო იონურ მოძრაობუნებას შეესაბამებოდა. ხოლო ათენისა და კერძოდ ხელოვნების სამყაროში მისი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ აქ შემდგომში ორივე სტილის შეერთება მოხდა. ორივე სტილის ტიპიურ და განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენდა თითოეულის სხვადასხვა სახის სვეტების ფორმები. დორიული სტილი პელოპონესს გარდა გავრცელდა სიცილიასა და ქვედაიტალიაში და საკუთრივ საბერძნეთის ზოგიერთ ნაწილშიც. დორიული იყო, მაგ., ათენის აკროპოლისის VI ს-ის ტაძრები, ოლიმპიის ჰერაიონი და სხვ. იონური სტილი გაბატონებული იყო მცირე-აზიასა და კუნძულებზე, სამხრეთით ლიკიამდე, და პერსეპოლისა და სუზას სამეფო შენობებიც კი ააშკარავებს იონური ხელოვნების გავლენას. იონიაში, ალბათ, არა აღმოსავლური გავლენის გარეშე, მალე განვითარდა მიდრეკილება უზარმაზარი შენობების აგებისადმი, როგორც ამას გვიჩვენებს ჰერას ტაძარი სამოსში და არტემიდას ტაძარი ეფესში. რაც შეეხება დელფოს, სადაც საბერძნეთის ყველა ნაწილიდან სახელმწიფოები თავის საუნჯეებს (θησαυροί) აგებდენ, თითოეული თვისი სტილით, ორივე, დორიული და ინოური სტილი აქ ერთიმეორის გვერდით გვხვდება. ახალ პირობებში ახალი მოვალეობა დაეკისრა აგრეთვე, პ ლ ა ს ტ ი კ ა ს. ბერძენთა საქანდაკო ხელოვნება VII ს-ში აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ეგვიპტის, იონიაში კი ასირიული და ხეთური ხელოვნების, გავლენას განიცდიდა.

ფეხზემდგომი ადამიანის ეგვიპტური ქანდაკი წინწამოწეული მარცხენა ფეხით და ქვემოთ ჩამოშვებული ხელებით იყო ნამდვილი ნიმუში შიშველი მამაკაცის მრავალრიცხოვანი ქანდაკებისა, რომლებსაც ჩვეულებრივად „აპოლონად" აღნიშნავენ. ამ ტიპის განვითარებაში კი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ადგილობრივი სკოლა. განსაკუთრებით მხარგანიერი და ჯმუხი იყო კლეობისისა და ბიტონის განსახიერებანი, რომლებიც პოლიმედე არგოსელს ეკუთვნოდა, რომელ-

საც ისინი კრეტის გაელენით უნდა ჰქონოდა დამუშავებული. ფიგურები იონური წარმოშობისა კი უმეტესად წარმტაც და მაღალხარისხოვან ნაწარმოებთ გვისახიერებს. საყურადღებო ცდას მჯდომარე მამაკაცების განსახიერებისას წარმოადგენს VI ს-ის ბრანჰიდების* ქანდაკები, რომლებიც ეგვიპტური წესით გამწკრივებული იყო საღვთო გზაზე მილეტიდან დიდიმაიონისაკენ; მათი ნიმუშები ხეთურ ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ. დიდ განვითარებას ააშკარავებს აგრეთვე ტანჩაცმული ქალების ფიგურები, განსაკუთრებით იონური წარმოშობისა. ეს იონური ხელოვნება, რომელიც უმთავრესად ქიოსში ვითარდებოდა, VI ს-ში თანდათან დიდ გავლენას ახდენს მეტროპოლიაზე. პისისტრატე მრავლად იწვევდა ათენში იონელ ხელოვანთ, რომელთაგან ნაწილი მაინც ძველ სამშობლოს სტოვებდა სპარსელების ბატონობის დამყარების გამო. მათ თვალსაჩინო გავლენა მოახდინეს ატიკის ადგილობრივ მხატვრებზე, რომელთაც ამაზე წინათ უკვე ჰქონდათ შემუშავებული საკუთარი სტილი. მაგრამ ამ საუკუნის დასასრულიდან მათ შესძლეს ამ გავლენისაგან თანდათანობით განთავისუფლება. VI ს-ის დასასრულსა და V ს-ის დასაწყისის იონურ-ატიკური პლასტიკა ცნობილი გახდა ჩვენთვის ათენის აკროპოლისზე სისტემატიური გათხრების მეოხებით, რომლებმაც წარსული საუკუნის 80 წლებში თვალწინ დაგვიყენა ქალიშვილების წარმტაცი ქანდაკები, რომლებიც, როგორც ვოტიური ფიგურები, აკროპოლისში სვეტებზე ყოფილა მოთავსებული. მარმარილოს შემოღება ქანდაკებაში აგრეთვე აღმოსავლეთში დაიწყო. აქ პირველად ხმარობდენ ნაქსოსის მარმარილოს, შემდეგ კი გაცილებით უკეთესი ხარისხის პაროსის მარმარილოს. მეტროპოლიაში, აგრეთვე დასავლეთ ახალშენებში ამ ახალმა მასალამ მხოლოდ თანდათანობით მოიპოვა გასავალი. მისი სრული გაბატონება ათენში მოხდა პერიკლეს ეპოქაში. VI ს-ში კი ჯერ კიდევ გაოცებას იწვევდა ის, რომ ალკმეონიდებმა 548 წელს დამწვარი აპოლონის პატარა ტაძრის ადგილას დელფოში აგებულ ახალ უზარმაზარ შენობას მარმარილოს ფასადი გაუკეთეს. იონიიდან იქნა გადმოლებული აგრეთვე ბრინჯაოს ჩამოსხმა. მის-გამომგონებლად ძველად სამოსის ოსტატებს რჰოიკოსსა და თეოდორეს თელიდენ, მაგრამ იგი მათ ეგვიპტიდან უნდა გადმოეღოთ, სადაც ძველი დროიდან ყოფილა ის შემოღებული. ბრინჯაოს პლასტიკამ დიდ მნიშვნელობას მიაღწია პელოპონესში, განსაკუთრებით აროგოსში. ბრინჯაოს უძველეს საკულტო ფიგურებს ეკუთვნის ამიკლეს აპოლონის კოლოსი, რომელსაც დაახ. 500 წ. ბათიკლე მაგნესიელმა განაქმული „ტახტი“ შეუქმნა,

-მხატვრობა ამ ხანაში შენობათა და ქანდაკებათაგან მოცემული შთაბეჭდილების გაძლიერებას ან უფრო დამატებას ემსახურებოდა. ჩვენ გვაქვს ცნობები ამ დროის იონური ზოგიერთი განთქმული მხატვრის შესახებ. ჩვენ მოგვეპოვება, მაგ.. გადმოცემა (Herod. IV,88), რომ მანდროკლე სამოსელმა, რომელმაც ბოსფორზე ხიდი ააგო დარიოსის სკვითებზე გალაშქრების დროს, თვისი ქალაქი ჰერას ტაძარში მოათავსა დიდი სურათი სპარსელების ხიდზე გადასვლისა. დიდ. ყურადღება ექცეოდა ვაზების დასურათებას და ჩვენამდე ათასობით მოაღწია ასეთმა დასურათებულმა ჭურჭლეულობამ საბერძნეთის სხვადასხვა ნაწილიდან,

* ბრანჰიდები აპოლონის „შვილის“ ბრანჰის ჩამოშველობად ითვლებოდენ და მემკვიდრეობითი ქურუმები იყვენ აპოლონის ტაძარში, მილეტის მახლობლად, დიდიმაიონში.

აგრეთვე ახალშენებიდან და სავაჭრო მხარეებიდან, ეტრურიიდან და ნავკრატი-სიდანაც კი. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი საექსპორტო საგანს წარმოადგენდენ, რომელიც განსაკუთრებით ათენიდან გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყანაში, ვიდრე სპარსეთის მიერ მცირე აზიისა, ეგვიპტის და სხვ. მხარეთა ოკუპაციამ ათენს ეს საშუალება არ შეუვიწროვა. საერთოდ ამ ხანაში ათენი უკვე დიდ სამეურნეო და კულტურულ განვითარებას განიცდიდა და მისი დასურათებული ჭურჭლეულობა შორს უნდა ყოფილიყო განთქმული. საუცხოო ნიმუში სოლონის დროის ატი-კური ვაზებისა არის ხიუზიში (ეტრურიაში) აღმოჩენილი ეგრეთწოდებული ფრან-სუას ვაზა მისი ღრმა მითური სურათებით. ძველად პირველ ხანებში, როგორც ვიცით, ვაზების დასურათებაში გაბატონებული იყო გეომეტრიული სტილი. უფ-რო საყურადღებო ნიმუშები ასეთი ვაზებისა ნახულ იქნა ათენის სასაფლაოზე ეგრეთწოდებული დიპილონის (Dipylon—ორმაგი ჭიშკარი) წინ, რისთვისაც მათ დიპილონის ვაზები უწოდეს. მაგრამ უკვე VIII ს-ში ჩანს ორიენტალიზირე-ბული დეკორაციული სტილის გავრცელება, ხოლო VII ს-ში დაიწყო ვაზების აქამდე მთავარი ორნამენტალური დეკორაციიდან ფიგურალურ დასურათებაზე გადასვლა, რომლის მასალას უმთავრესად ღმერთებისა და გმირების შესახები თქმულებებიდან იღებდენ. VI ს-ის მეორე ნახევრამდე გაბატონებული იყო უმეტე-სად შავფიგურებიანი სილუეტური დასურათება, ხოლო ამ დროიდან კი ჩნდება წითელფიგურიანი ვაზები, რომლებიც შემდგომში პირველს აძევებს და დასუ-რათების ტექნიკაში დიდ წინსვლას განიცდის. დასასრულ, ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ VI ს-დან იწყება ასეთ საგნებზე იმ ოსტატების ვინაობის აღნიშვნა, რონელთაც ისინი შეჰქმნეს. ეს ფაქტი, სხვათაშორის, ერთ-ერთ გან-მასხვავებელ მომენტს წარმოადგენს საბერძნეთსა და აღმოსავლეთს შორის, სა-დაც, თითქმის, არ ასახელებენ მხატვარს, როგორც თვისი ნაწარმოების შე-მოქმედს.

თავი მეოთხე

ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ

1. ჰეროდოტე. ბერძენ-სპარსელთა ომების წარმოშობის პიროგები. იონიის აჯანყება.

V ს-ის დასაწყისში ბერძნებს უდიდესი ბრძოლის წარმოება მოუხდათ სპარსელების წინააღმდეგ, რომლებიც იონიის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ საკუთრივ საბერძნეთის დასჯას ისახავდენ მიზნად. ამ ბრძოლას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძენი ტომების ცხოვრებაში და სამართლიანად ითვლება თვალსაჩინო ფაქტად მთელ მსოფლიო ისტორიაში.

ბერძენ-სპარსელთა ომების ჩვენი მთავარი წყარო—ჰეროდოტე ჰალიკარნასელია. იგი დაიბადა კარიის სანაპიროზე მდებარე დორიულ ქალაქ ჰალიკარნასში დაახლ 484 წ.[1] და ეკუთვნოდა წარჩინებულ გვარს. მის ახალგაზრდობაში ქ. ჰალიკარნასი მოცული ყოფილა ძლიერი შინაური ბრძოლით, რომლის შედეგად ტირანია დამყარებულა. ლექსიკოგრაფოსის სვიდას სიტყვით, ჰეროდოტეს მონაწილეობა მიუღია ტირანიის წინააღმდეგ მოძრაობაში და ამ ნიადაგზე იძულებული გამხდარა კუნძულ სამოსზე გადასახლებულიყო. შემდეგში ჰეროდოტე დაბრუნდა სამშობლოში და მონაწილეობა მიიღო ტირანიის დამხობაში, მაგრამ მის გარშემო ისეთი პირობები შეიქნა, რომ იგი სამუდამოდ სტოვებს ჰალიკარნასს. ერთ დროს იგი ცხოვრობდა ათენში და ახლოს გაეცნო საბერძნეთის ამ კულტურული ცენტრის ცხოვრებას. სამხრეთ-იტალიაში თურიოის დაარსების შემდეგ იგი ხანმოკლედ ცხოვრობდა ამ ახალშენში. გარდაიცვალა იგი დაახ. 425 წ.[2] ცნობილია, რომ ჰეროდოტეს თავის ცხოვრებაში ხშირად უმოგზაურია, მრავალი ქვეყანა დაუთვალიერებია და მათი ხალხებისა და შესანიშნავი შენობების, მათი ზნეჩვეულებებისა და საყურადღებო ძეგლების შესახებ ცნობები შეუგროვებია (ἱστορεῖν) ჰეკატეოსის მიბაძვით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, როგორც მასზე წინ დიონისე მილეტელს, მათი წარსულიც გამოუკვლევია. ამ უმთავრესად ეთნოგრაფიული ცნობების შედეგებს იგი საჯაროდ უკითხავდა ხალხს იონურ დიალექტზე და ამ მხრით არსებითად ისე იქცეოდა, როგორც ლოგოგრაფოსები. ისტორიკოსად გახდა იგი მხოლოდ პერიკლეს დროის ათენში ურთიერთობის მეოხებით. აქ, სადაც იგი თვისი მოხსენებით გამოდიოდა და საშუალება ჰქონდა პერიკლეს წრეს დაახლოებოდა, დაებადა მას, ალბათ, აზრი სპარსელების ომები და საფუძვლები, რომლებმაც ისინი გამოიწვია, გაეშუქებინა და განსაკუთრებით ნათელი

ნის ველზე დაბანაკებული სპარსელების რიცხვს (ანგარიშობდენ 200.000—600.000-დე), ნამდვილად კი მათი რიცხვი, ალბათ 15.000-ს, ხოლო ბერძნების 10.000-ს არ აღემატებოდა. მარათონის ბრძოლაში დიდი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა მილტიადემ, რომელიც ათენის ხალხმა განსაკუთრებული დადგენილებით უმაღლეს სარდლად აირჩია.

დაგვიანებით გამოჩდენ ბრძოლის ველზე სპარტელები, მაგრამ შეაქეს ათენელები და უკანვე გაბრუნდენ. ამგვარად, ბრძოლის მთელი სიმძიმე ათენელებმა გადაიტანეს, სპარსელები სასტიკად დაამარცხეს და ამით მთელ ჰელადას უდიდესი სამსახური გაუწიეს. ამიტომ სამართლიანად უწოდებს პოეტი სიმონიდე მარათონის მეომართ „ჰელენების მოწინავე მებრძოლთ“ (Ἑλλήνων προμαχοῦντες)...

სპარსელების დამარცხების შემდეგ მილტიადემ დაარწმუნა ათენელები, რომ იწყებს დიდ საქმეს და მოითხოვა მის განკარგულებაში ფლოტისა, მეომართა რაზმისა და სათანადო ნივთიერი საშუალებების გადაცემა. მისი მოქმედება მიმართული იყო კიკლადების ერთი კუნძულის პაროსის წინააღმდეგ, მაგრამ მისი განზრახვა დამარცხებით დამთავრდა. ამით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდეგეებმა, განსაკუთრებით ალკმეონიდების ნათესავმა და მათთან საერთო ინტერესებით დაკავშირებულმა კსანთიპემ, და ბრალი დასდვეს სახელმწიფო ღალატში. მართალია, იგი გადაურჩა სიკვდილად დასჯას, მაგრამ მიუსაჯეს დიდი ფულადი ჯარიმა. იგი მოკლე დროში მიიცვალა და ჯარიმა მისმა შვილმა გადაიხადა. ათენის სათავეში კვლავ თემისტოკლე ჩადგა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სპარსელები ამ დამარცხებას არ აპატივებდენ ათენელებს და კვლავ შეეცდებოდენ მათ სასტიკად დასჯას; ამიტომ მისი მთავარი მიზანი ათენის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ათენის შინაური ცხოვრების მოწესრიგება, რადგან, როგორც ვიცით, ტირანიის მომხრეებმა თავი წამოყვეს და განსაცდელს უმზადებდენ ათენის დემოკრატიას. 488/7 წელს მათ წინააღმდეგ მიმართეს უკვე კლისთენის მიერ დაწესებულ ოსტრაკისმს და პირველ რიგში ათენიდან გააძევეს „ტირანების მეგობრები“. ხოლო პირველი მათ შორის, რომელიც ამ დროს ოსტრაკისმით იქნა განდევნილი, იყო პისისტრატეს ნათესავი და „ტირანების მეგობართა წინამძღოლი“ ჰიპარქოსი, ხარმის შვილი. ამას გარდა თვით სახელმწიფო კონსტიტუციაში გატარებულ იქნა თვალსაჩინო ცვლილება, რომელიც ა რ ქ ო ნ ტ ა ტ ი ს რ ე ფ ო რ მ ა შ ი გამოიხატებოდა. 487/6 წელს აღადგინეს არქონტების არჩევა წილის ყრით. იგი შერეული სახით არსებობდა ჯერ კიდევ სოლონის დროს, მაგრამ პისისტრატემ გარკვეული პოლიტიკის მიხედვით იგი არჩევნების სისტემით შესცვალა; არ აღუდგენია იგი არც კლისთენს. ახლა კი იგი კვლავ შემოიღეს მეორე სტადიაში, ე. ი. ფილეებში პირველი ორი კლასიდან ხმისმიცემით არჩეული 100 კანდიტატისაგან უკვე წილისყრით ირჩევდენ არქონტებს. ამგვარად, წილისყრის, ე. ი. უბრალო შემთხვევის ძალით ამიერიდან შესაძლებელი ხდება არქონტის თანამდებობის მოპოება უმნიშვნელო ადამიანისათვისაც. ეს კი დიდი დამცირება იყო ძველად ამ პირველხარისხოვანი თანამდებობისა, რომლის მეოხებითაც შეძლებული წრეები თვისი წადილების განხორციელებას ახერხებდენ.

შემდეგში, სახელდობრ 457/6 წელს, როგორც ამაზე არისტოტელი მიგვითითებს (Ἀθ. πολ. XXVI, 2) არქონტის თანამდებობის დაკავების უფლება მესამე კლასს—ძ ე ვ გ ი ტ ე ბ ს ა ც მიენიჭა. ხოლო რაც შეეხება მეოთხე კლასს—თ ე ტ ე ბ ს, იურიდიულად მათ არასოდეს არ ჰქონდათ უფლება არქონტად არჩევისა, მაგრამ ფაქტიურად მათაც მოიპოვეს შემდეგში ეს უფლება, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ დოკიმასიის, ე. ი. თანამდებობის დაკავების უფლებების გამორკვევის დროს ამ კლასის წევრს თვისი თავი თეტად არ უნდა დაესახელებია (Ἀθ. πολ. VII, 4). ამგვარად თვით დოკიმასია ამ ხანაში უბრალო ფიქციად იქცა.

487 6 წელს არქონტების არჩევის რეფორმასთან ერთად მათი უმთავრესი ფუნქციები 500-ის საბჭოს და სტრატეგოსების კოლეგიუმს გადაეცა. ათი ფილე ახლა ირჩევს არა 10 სტრატეგოსს, როგორც წინათ, არამედ ცხრას და ერთ მდივანს, მეათეს კი ირჩევენ ყველა ფილისაგან, როგორც ობერსტრატეგოსს, რომელიც სტრატეგოსების კოლეგიუმს ხელმძღვანელობს[8]. ამით გატარებული იქნა უმაღლესი სარდლობის მთლიანობა და ბოლო მოეღო ამ ნიადაგზე ხშირად წარმოშობილ მრავალ გაუგებრობას. ობერსტრატეგოსის ხელში გადადის თანდათანობით სამხედრო წინამძღოლობასთან ერთად სახელმწიფო საქმეების უმაღლესი ხელმძღვანელობაც და იგი ხდება „ხალხის მეთაური“ (δημαγωγός ძველი მნიშვნელობით), ამას შემდეგ ათენის დემოკრატიის მეთაურები უმეტეს ნაწილად სწორედ ამ თანამდებობაში გვევლინებიან.

ამ რეფორმის შემდეგ თემისტოკლე უფრო მტკიცედ შეუდგა თვისი საზღვაო პროგრამის განხორციელებას, რომელიც მან ჯერ კიდევ 493 წ. წამოაყენა. მის მოპირდაპირედ გამოვიდა დემოკრატიული პარტიის მეორე მეთაური—არისტიდე, რომელიც, წინააღმდეგ თემისტოკლეს საზღვაო პოლიტიკისა, კონტინენტალური პოლიტიკის ნომხრე იყო. თემისტოკლეს პროგრამისათვის სასარგებლო აღმოჩნდა ეგინასთან ომი, რომელიც ხანგრძლივად გაჭიანურდა და ნათლად მიუთითებდა ათენელებს საკუთარი ძლიერი ფლოტის შექმნის აუცილებლობაზე.

საჭირო ნივთიერი სახსრები კი ფლოტის შესაქმნელად მოპოვებულ იქნა 483/2 წელს ახლად აღმოჩენილი ლავრეიონის ვერცხლის სახელმწიფო მაღაროებისაგან. არისტოტელის სიტყვით (Ἀθ. πολ., XXII), როდესაც ნიკომედის არქონტობაში აღმოჩენილ იქნა მაღაროები მარონეაში და მათი დამუშავებით სახელმწიფომ 100 ტალენტის შემოსავალი მიიღო, რომელიც მაშინდელი ჩვეულების თანახმად მოქალაქეებს შეეძლოთ ურთიერთ შორის გაენაწილებიათ, თემისტოკლეს რჩევით იგი ფლოტის შექმნისათვის გადადვეს. არისტიდეს მიმართ კი გატარებულ იქნა ოსტრაკისმი. ამას გარდა მდიდარ მოქალაქეებს ერთგვარი საზოგადოებრივი ბეგარა, „ტრიერარქიის ლიტურგია“, დაეკისრა გემების დასამზადებლად. ასეთი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ სულ $1^1/_2$ წელიწადში ათენმა ძლიერი ფლოტი გაიჩინა და თვალსაჩინო საზღვაო ძლიერებას მიაღწია. ამგვარად, თემისტოკლემ ათენი საზღვაო სახელმწიფოდ გარდაქმნა. „ხმელეთიდან სიმძიმის ცენტრი ზღვაზე იქნა გადატანილი. ამან კი თავის მხრით ათენის ცხოვრების მთელ წყობილებაზე მოახდინა გავლენა. კლისთენის კონსტიტუციას მხედ-

ველობაში ჰყავდა მიწის მეურნე მოსახლეობა; მისი თვალსაზრისით ეს იყო მთავარი ძალა და სახელმწიფოს საფუძველი. ახლა წინ დგებიან ახალი ელემენტები. სხვა კლასები და პროფესიები, უმთავრესად „გემების შავი ხალხი", იმ ძველი ავტორების გამოთქმით, რომლებიც უკიდურეს დემოკრატიას არ უთანაგრძნობდენ. ფლოტის ასაგებად საჭირო გახდა სამსახურში თეტების მიწვევაც; სოლონის კანონმდებლობის პრინციპების მიხედვით კი მოვალეობათ უნდა შეესაბამებოდეს უფლებებიც; ამგვარად, ეს ნიშნავდა მოქალაქეთა მეოთხე კლასისათვის იმ უპირატესობათა უფლების მინიჭებას, რომლებიც აქამდე პირველი სამი კლასის კუთვნილებას წარმოადგენდა"[9]... ისე რომ, თემისტოკლეს მიერ გატარებულმა საზღვაო პროგრამამ არსებითად ხელი შეუწყო ათენის შემდეგ დემოკრატიზაციას, ხოლო ამასთან ერთად მიანიჭა მას პირველ რიგში ისეთი ძლიერება, რომელმაც დიდ ომში გამარჯვების სასწორი მის მხარეზე გადახარა.

3. ქსერქსეს გალაშქრება საბერძნეთზე და მისი შედეგები. ბერძენ-სპარსელთა ომების დასასრული და მნიშვნელობა. ბრძოლა ბერძენთა და კართაგენელებსა და ეტრუსკებს შორის დასავლეთში.

მარათონის ბრძოლის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ბერძნებისათვის ეჭვს გარეშე განსაკუთრებული იყო[10]. მან დიდად შეუწყო ხელი ათენელების პატრიოტული გრძნობის გაღვივებას და ერთ-ერთი თემა გახდა სამხედრო პარტიის აგიტაციისათვის[11]. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მარცხმა შეასუსტა სპარსეთის სამხედრო ძლიერება და საბერძნეთს თავიდან ააცდინა მოსალოდნელი ახალი შემოსევა, რაც დიდ საგონებელში აგდებდა ათენის სახელმწიფოს მესვეურთ. ცხადი იყო, რომ მარათონის მარცხს სპარსეთის შეფე დარიოსი ათენელებს არ აპატიებდა. ოფიციალურად ამ ფაქტს, თითქოს, გვერდს უვლიდენ და დარიოსის საფლავზე მის ქვეშევრდომთა შორის გამოსახული იყვენ მცირეაზიელ იონელებთან ერთად აგრეთვე „ფარისმატარებელი იონელებიც", ე. ი. ჰელადისა და კუნძულების ბერძნები. მაგრამ ქსერქსეს გამოლაშქრებამ მალე გაფანტა ოფიციალური ფიქციის ეს სიცრუე.

ბერძნული ვერსია, თითქოს მარათონის ბრძოლის შემდეგ სპარსეთის მეფე მთელი ათი წლის განმავლობაში საბერძნეთის საწინააღმდეგო ლაშქრობისათვის ემზადებოდა, სინამდვილეს არ შეესაბამება და ანარეკლია ბერძენთა მიერ თვისი გამარჯვების გაზვიადებისა. ამ ხანაში სპარსეთის მონარქიამ რამდენიმე თვალსაჩინო მღელვარება განიცადა და მათ დამშვიდებას მოუნდა. 486 წელს მას განუდგა ეგვიპტე, რომელიც დარიოსის სიკვდილის შემდეგ (485 წ.) კვლავ სპარსეთის მეუფებას დაუმორჩილა მისმა შვილმა ქსერქსემ; მერე აჯანყდა ბაბილონი (484 წ.), რომელიც აგრეთვე დიდი სისხლის ღვრის შემდეგ იქნა დამშვიდებული. მხოლოდ ამას შემდეგ იწყო ქსერქსემ საბერძნეთზე გალაშქრებისათვის მზადება. ამ ლაშქრობას მიზნად უნდა ჰქონოდა დასახული არა მარტო ათენელების დასჯა, როგორც 490 წ., არამედ მთელი საბერძნეთის სპარსეთისათვის დამორჩილება. ამგვარად, ისმებოდა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი საკითხი—დარჩებოდა თუ არა საბერძნეთი თავისუფალი, თუ იგი სპარსეთის პროვინციად გახდებოდა;

შენარჩუნებულ იქნებოდა თუ არა ბერძნული კულტურის თავისუფალი განვითარება, თუ აღმოსავლური ცივილიზაციის სრული გავლენის ქვეშ იგი არსებითად შეიცვლიდა თავის სახეს. ამ უდიდესი მომენტის წინაშე ბერძენთა შორის თანხმობა და მთლიანობა არ არსებობდა: ძველი პარტიკულარიზმი და ურთიერთშორის ქიშპობა კვლავ ღრღნიდა მათ ერთიანობას. უმთავრესად სპარტა და ათენი ცდილობდენ სპარსეთის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნას და მოახერხეს კიდეც 481 წელს ისთმოსში ბერძენთა კონგრესის მოწვევა და საერთო კავშირის ჩამოყალიბება სპარსელებთან ბრძოლის მიზნით. კონგრესის დადგენილებით კავშირის წევრთა შორის ბოლო უნდა მოღებოდა ყოველგვარ უთანხმოებას და სრული მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარებულიყო, ის სახელმწიფოები კი, რომლებიც იძულების გარეშე მიემხრობოდენ სპარსეთს, სასტიკად უნდა დაესაჯა, მათი ქონება გა ენაწილებიათ და მეათედი დელფის ღმერთისათვის მიეძღვნათ (δεκατεύειν). სარდლობა ზღვასა და ხმელეთზე სპარტას გადაეცა. კონგრესს დაესწრენ, სპარტისა და პელოპონესის კავშირს გარდა, ათენის, პლატეას, თესპიეს, ევბეის ქალკიდის და ერეტრიის, ფოკეას და კორინთის ახალშენების—ლევკადის, ანაქტორიონის და ამბრაკიის წარმომადგენლები. დანარჩენ სახელმწიფოთაგან ზოგიერთი სპარსეთის გამარჯვებას საკუთარი ინტერესების განაღდებას უკავშირებდა (მაგ. თესალიაში ლარისის ალევადები), ზოგიც მათთან მოსალოდნელ ბრძოლაში ნეიტრალიტეტის დაცვას ამჯობინებდა (არგოსი, თებე და სხვ.); დასასრულ, ზოგიერთი მეტად ორპოფულად იქცეოდა (მაგ. ზღვაზე ძლიერი კორკირა). ძლიერ ცუდ გავლენას ახდენდა აგრეთვე დელფის მისანი, რომელსაც, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საბერძნეთის ცხოვრებაში: ჩანს, მისი ქურუმების ინტერესებიც სპარხეთის მიზნის წარმატებით დამთავრებასთან ყოფილა დაკავშირებული. მომავალი ბრძოლის შესახებ შეკითხვებზე ივი მეტად ბუნდოვანსა და ორაზროვან პასუხს იძლეოდა და ამით ხელს უწყობდა ბერძენთა არა გამხნევებას, არამედ სულით დაცემას, ხოლო არგოსსა და კრეტას მან პირდაპირ ურჩია, თავი შეეკავებიათ ომში მონაწილეობისაგან.

ასეთი იყო მდგომარეობა საბერძნეთში, როდესაც სპარსეთის მეფე გაჩქარებით ემზადებოდა მასზე გალაშქრებისათვის: ჯარების გადასაყვანად სპარსელებმა ჰელესპონტზე გააკეთეს ორი მცურავი ხიდი, ხოლო ჯარების სანოვაგით უზრუნველყოფის მიზნით თრაკიასა და მაკედონიაში სათანადო ადგილებში მოაწყვეს სასურსათო მაღაზიები.

480 წლის გაზაფხულზე თვით ქსერქსეს მეთაურობით დაიძრა სპარსეთის ჯარი, გადავიდა ჰელესპონტზე და თრაკიის სანაპიროს გაყოლით მივიდა მაკედონიაში, საიდანაც თესალიით საბერძნეთს უნდა შესულიყო. სპარსელების ფლოტი კი, რომლის დანიშნულებას ჯარებთან მუდმივი ურთიერთობის განმტკიცება შეადგენდა, ნაპირების მახლობლად მოემართებოდა.

ბერძნულმა ტრადიციამ ამ შემთხვევაშიც არაჩვეულებრივად გაადიდა შემოსეული სპარსელების რიცხვი. ჰეროდოტეს გადმოცემით (VII, 228), თერმოპილთან ბრძოლის დროს დახოცილი ბერძნების საფლავის ძეგლზე მოთავსებული ყოფილა წარწერა, რომლიდანაც ჩანს, თითქოს, აქ სამი მილიონი სპარსელი იბრძოდა ოთხი ათასი პელოპონესელის წინააღმდეგ. თვითონ ჰეროდოტეს

ანგარიშით კი, საბერძნეთს უნდა შემოსეოდა ხუთ მილიონზე მეტი სპარსელი. ეს რიცხვი დიდად გადაჭარბებულად მიაჩნია მეორე ბერძენ ისტორიკოსს კტესიასს, რომელიც 17 წლის განმავლობაში (415—398) ცხოვრობდა სპარსეთში. მისი აზრით თავდამსხმელთა რაოდენობა 800.000 მეომარს უდრიდა (Περσικά, XXIII).

ისტორიკოსის ბელოხის საგულისხმიერო მსჯელობის [12] მიხედვით, თუ ჰეროდოტეს რიცხვს სწორად მივიჩნევთ, მივიღებთ ასეთ სურათს: მაშინ, როდესაც სპარსელების ავანგარდი თერმოპილს უახლოვდებოდა, მისი არიერგარდი იწყებდა მხოლოდ გამოსვლას სარდიდან. ამგვარად, გამოდის, რომ სპარსეთის ჯარი გაჭიმული იქნებოდა მცირე-აზიის ცენტრიდან თერმოპილამდე, რაც უდაო უაზრობაა. ცხადია, ჰეროდოტეს მიერ ნაჩვენებ რიცხვზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია; იგი არსებითად იმ დროს უნდა იყოს მოგონილი, როდესაც სპარსელებზე ეამარჯვებით გალაღებულმა ბერძნებმა განცდილი საფრთხე უდიდესად გაუზვიადეს. არც კტესიასის ცნობაა დასაჯერებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსელების ჯარის რიცხვი რამდენიმე ათეულ ათასს არ აღემატებოდა [13]. ბერძნებმა გაამაგრეს თერმოპილის გადასავალი, რომ სპარსელებისათვის შუა-საბერძნეთში შეჭრის საშუალება მოესპოთ. აქ პელოპონესელების მცირერიცხოვანი რაზმი სპარტის მეფის ლეონიდის მეთაურობით დიდ წინააღმდეგობას უწევდა სპარსელებს. იმავე დროს ბერძნების ფლოტი ევბეის ჩრდილოეთ წვერთან—არტემისიონთან შეება სპარსეთის ფლოტს, მაგრამ სასურველი გამარჯვება ვერ მოიპოვა. ამასთან ერთად სპარსელებმა მოახერხეს, ზურგიდან მოევლოთ თერმოპილის დამცველი რაზმისათვის, სავსებით ამოხოცეს იგი და თავისუფლად შეიჭრენ შუა-საბერძნეთში. ამგვარად, სპარსელებს ხელში ჩაუვარდათ შუა-საბერძნეთი ისთმოსამდე და, რასაკვირველია, ატიკაც, მაგრამ ათენელებმა მოასწრეს ქალების, მოხუცებულების, ავადმყოფებისა და ბავშვების კუნძულ სალამინზე გადაყვანა, ხოლო მეომრები თემისტოკლეს მეთაურობით გემებზე გადავიდენ. სპარსელებთან ომის წარმოების გარშემო ახლა ორი გეგმა წარმოიშვა: სპარტა და პელოპონესის სახელმწიფოები საჭიროდ სთვლიდენ მათთან ისთმოსთან შებრძოლებას, და ამიტომ მის გამაგრებას, ხოლო ათენელებსა და კუნძულის ქალაქებს, რომელთაც თემისტოკლე მეთაურობდა, ყველაზე უფრო ხელსაყრელად სალამინთან ბრძოლის მიცემა მიაჩნდათ. თემისტოკლემ მოახერხა, რომ ბრძოლა სწორედ სალამინთან მომხდარიყო, და იგი ბერძნების ფლოტის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. სპარსელების ფლოტის ნაშთი მეფის ბრძანებით აღმოსავლეთისაკენ წავიდა. თემისტოკლეს უნდოდა უკან დაედევნებია მისთვის ბერძნების გემები, თავის მხარეზე გადმოეყვანა მცირე-აზიის სანაპიროს ქალაქები და ამით სპარსელებისათვის უკან დასახევი გზა შეეკრა, მაგრამ სპარტამ, რომელსაც სამხედრო ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა, ეს გეგმა არ მოიწონა. ქსერქსემ უბრძანა მარდონიოსს ჯარი საზამთრრდ თესალიაში გადაეყვანა, თვითონ კი აზიაში დაბრუნდა.

479 წელს მარდონიოსი გადმოვიდა სამხრეთით და მას შემდეგ, რაც უშედეგოდ სცადა ათენელების თავის მხარეზე გადაბირება, შეიჭრა და დაარბია ატიკა, რომელიც ათენელებმა კვლავ მიატოვეს, საფუძვლიანად დაანგრია ათე-

ნი, რის შემდეგ დაბრუნდა ბეოტიაში და პლატეასთან დაბანაკდა. აქ ბერძნებმა სასტიკად დაამარცხეს სპარსელების ჯარი, რომელმაც თვისი სარდალი მარდონიოსიც კი დაჰკარგა ბრძოლაში და რომლის ნაშთი იძულებული გახდა საჩქაროდ დაბრუნებულიყო აზიაში. ამას შემდეგ დასჯილ იქნა სპარსელებისადმი თანაგრძნობისათვის თებე, რომელსაც ჩამოერთვა ჰეგემონია ბეოტიის კავშირში.

პლატეასთან გამარჯვებასთან ერთად ბერძნების ფლოტმა გაანადგურა სპარსეთის ფლოტის ნაშთი ნახევარკუნძულის მიკალეს ნაპირებთან. ამით დამთავრდა სპარსელებთან ბრძოლის მთავარი პერიოდი. გამარჯვებამ მიკალესთან ნიშანი მისცა მცირეაზიელი ბერძნების ახალ აჯანყებებს, და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში იწყება ახალი მომენტი — თავდაცვის ტაქტიკიდან ბერძნები შეტევის ტაქტიკაზე გადადიან და მიზნად ისახავენ ეგეოსის ზღვის გაწმენდას სპარსელებისაგან და ჰელესპონტის განთავისუფლებას სპარსელთა საფრთხისაგან [14]. ბრძოლის ამ მეორე მომენტში ომი, უმთავრესად ზღვაზე წარმოებდა და, ამგვარად, ათენი, რომელსაც ძლიერი ფლოტი ჰყავდა, მასში მთავარ ძალას წარმოადგენდა. ეს გარემოება კი ათენის მნიშვნელობას ადიდებდა და მასა და სპარტას შორის ქიშპობისა და მტრობის გაღვივებისათვის ნიადაგს ამზადებდა. კერძოდ ათენში ამ მხრით ორი გარკვეული მიმართულება არსებობდა: ერთის წარმომადგენელი იყო დემოკრატიული პარტიის მეთაური თემისტოკლე, რომლისათვისაც სპარსელებთან ომი საშუალება იყო ათენის გაძლიერებისათვის, ხოლო მთავარი მიზანი კი ათენის გამაგრება სპარტასთან მოსალოდნელი შეტაკებისათვის. მეორე მიმართულებას მეთაურობდა მილტიადეს შვილი კიმონი, არისტოკრატიული პარტიის წინამძღოლი, რომელიც დიდი მომხრე იყო საბერძნეთში სპარტის ჰეგემონიისა და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობისა, ხოლო სპარსეთის წინააღმდეგ კი უფრო ენერგიული ბრძოლის წარმოებისა. კიმონმა მოაწყო ლაშქრობა თრაკიაში სპარსელების მათი ევროპული სამფლობელოდან გაძევების მიზნით და მიაღწია კიდეც სასურველ შედეგებს. ამას შემდეგ უფრო გაძლიერდა ბრძოლა დასახებულებულ ორ მიმართულებას შორის, რომელიც 470 წელს თემისტოკლეს ოსტრაკისმით დამთავრდა; მისმა ათენელმა და სპარტელმა მტრებმა ბრალი დასდვეს მას სპარსელების მომხრეობაში და იძულებული გახადეს იგი ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ისევ სპარსეთის მეფისთვის ეთხოვა თავშესაფარი. სპარსეთის მეფემ მას გადასცა ქ. მაგნესიის მმართველობა, სადაც იგი გარდაიცვალა. კიმონი კი აწყობს მეორე გილაშქრებას სპარსელების წინააღმდეგ, რომლის დროსაც იგი საესებით ანადგურებს ევრიმედონის შესართავთან (პამფილიის ნაპირებთან) მის წინააღმდეგ გამოგზავნილ სპარსელების დიდ ფლოტს. ამ გამარჯვების შედეგი იყო ერთის მხრივ ის, რომ კარიისა და ლიკიის სანაპიროების ქალაქები განუდგენ სპარსეთს და მათ წინააღმდეგ მებრძოლ ბერძნებს მიემხრენ. მეორის მხრით კი მან სპარტელებში ათენისადმი დიდი შუღლი გამოიწვია, კიმონის სურვილების წინააღმდეგ, რადგან მათ უკვე აღელვებდა ათენელების ასეთი გაძლიერება. ამიტომ, როდესაც 465 წელს ათენელებს განუდგენ თასოსე-

ლები და სპარტელებს დახმარება სთხოვეს ატიკაზე თავდასხმის სახით, სპარტელები დათანხმდენ. მაგრამ მოულოდნელად მათ თავს დაატყდა დიდი მიწისძვრა და მესენიელებისა და ჰელოტების აჯანყება. სპარტა განსაცდელში ჩავარდა და თვითონ შეიქნა იძულებული დახმარება ეთხოვა ათენისათვის. ეს საკითხი შეიქნა დიდი ბრძოლის საგანი არისტოკრატიულ და დემოკრატიულ პარტიებს შორის. პირველი, რომლის იდეალს წარმოადგენდა სპარტის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, მოითხოვდა დახმარების საჩქაროდ გაგზავნას, მეორე პირიქით სპარტაში დემოკრატიის დაუძინებელ მტერს ხედავდა და სასტიკი წინააღმდეგი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმისა. გაიმარჯვა პირველმა მიმართულებამ და სპარტელების დასახმარებლად ითომში გაიგზავნა რაზმი კიმონის მეთაურობით. მაგრამ სპარტელებმა ეჭვის თვალით შეხედეს ათენელების მისვლას და უკან გამოაბრუნეს. ამ ფაქტმა დიდი ზიანი მიაყენა კიმონის ავტორიტეტს და საერთოდ არისტოკრატიული პარტიის გავლენას. ათენელებმა შეცვალეს თვისი პოლიტიკა სპარტისადმი, გააუქმეს მასთან საკავშირო ურთიერთობა და პირიქით კავშირი შეკრეს მის მოწინააღმდეგე არგოსთან და თესალიასთან, რომელთაც შემდეგში მეგარაც შეუერთდა. ხოლო როდესაც მესენიელები სპარტელებთან ბრძოლაში დამარცხდენ, ათენელებმა ისინი ნავპაქტოსში დაასახლეს.

ამას შემდეგაც ათენელებს არ შეუჩერებიათ ბრძოლა სპარსელებთან. 459 წელს მათ მოიწადინეს კიპრში დამკვიდრება, მაგრამ უშედეგოდ; აგრეთვე ეგვიპტელებს, რომლებიც სპარსეთს აუჯანყდენ, დასახმარებლად გაუგზავნეს 200 გემი, მაგრამ ეს ექსპედიციაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დიდი კატასტროფით დამთავრდა, რაზედაც საუბარი თავის ადგილას გვექნება. 449 წელს ათენელებმა ერთხელ კიდევ სასტიკად დაამარცხეს სპარსეთის ფლოტი კიპრის სალამინის მახლობლად, მაგრამ სხვადასხვა პირობების გამო უმჯობესად ჩათვალეს, შეეწყვიტათ შემდეგი ბრძოლა სპარსელებთან და, ამგვარად, თავის მთავარ მიზანს—მცირე-აზიელი ბერძნების თავისუფლების უფლებრივი აღიარებისას ვერ მიაღწიეს. სპარსეთის მეფემ აღთქვა მხოლოდ, რომ იგი ნებას არ მისცემს თავის ფლოტს გასცილდეს კუნძულ ხელიდონს (ლიკიის ნაპირებთან) და კიანეებს (ბოსფორის შესავალში), ხოლო ხმელეთის ჯარს მიუახლოვდეს ზღვის ნაპირებს ერთი დღის სავალზე უფრო ახლოს. ასეთი იყო პირობები ეგრეთწოდებული კალიასის (448 წ.) და არა კიმონის ზავისა, როგორც შეცდომით მას ზოგიერთი ისტორიკოსი უწოდებს [15]. თვით ეს ზავი და მისი პირობები დიდხანს იყო სადაო მეცნიერებაში და ზოგიერთი მკვლევარი მას ან გადაჭრით უარჰყოფდა, ან ყოველ შემთხვევაში დიდი ეჭვის ქვეშ აყენებდა [16]. მაგრამ ღღეს იგი ნამდვილ ფაქტად არის მიჩნეული და ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს [17]. ასე დასრულდა ბერძნების ნახევარსაუკუნიანი ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძენ ტომთა სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა და მათი კულტურული წინსვლისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ ბერძნების არაერთგზის გამარჯვების შემდეგ სპარსეთი დაუძლურდა და არსებითად დაჰკარგა თვისი საერთაშორისო მნიშვნელობა. პირიქით იგი დარჩა ძლიერ სახელმწიფოდ და V და IV ს-ში რამ-

დენჯერმე მიიღო მონაწილეობა საბერძნეთის სახელმწიფოების საქმეებში და მათ ურთიერთობაში ითამაშა უაღრესად თვალსაჩინო როლი. მაგრამ ბერძენ-სპარსელთა ომების ზეგავლენით დიდი ცვლილება განიცადა ათენის საგარეო და შინაურმა მდგომარეობამ; მისი სამეურნეო განვითარება უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, ხოლო მისი შინაური წყობილება უფრო მეტად დაადგა დემოკრატიზაციის გზას. მცირე-აზიელი ახალშენების განთავისუფლებამ უფრო გაადვილა სავაჭრო ურთიერთობა ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებს შორის. ამასთან ომმა სპარსელების ქვეშევრდომების სავაჭრო მნიშვნელობა დასცა და სამაგიეროდ გაადიდა ბერძნების ხვედრითი წონა ზღვაზე. ათენის ჰეგემონიის ქვეშ ეგეოსის ზღვის სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილის გაერთიანებამ და ამ ნიადაგზე ცნობილი კავშირის წარმოშობამ, რომლის ძლიერებას უდიდესი ფლოტი წარმოადგენდა, უზრუნველჰყო სავაჭრო გემების ზღვებზე მიმოსვლისა და საერთოდ სავაჭრო გაცვლა-გამოცვლის უშიშროება. ამასთან ერთად ომის პროცესში თანდათან დაეცა იონელთა ახალშენების სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობა და ამ მხრით პირველი ადგილი მოიპოვა საკუთრივ საბერძნეთის ქალაქებმა - ათენმა, ეგინამ და კორინთმა.

თვალსაჩინო განვითარებას აღწევენ V ს-ში აგრეთვე დასავლეთის ახალშენები, რომელთაც მეტროპოლიასთან თითქმის ერთდროულად დიდი განსაცდელი გადაიტანეს კართაგენელებთან და ეტრუსკებთან ბრძოლაში. VI ს-ის ნახევრიდან კართაგენელები, რომლებიც წინათ ბერძნებთან შედარებით ნაშვიდობიან ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, მათდამი მტრულ პოზიციას დაადგენ. შესაძლებელია, ეს ფაქტი ერთგვარად მაინც დაკავშირებული იყო იმ ცვლილებებთან, რომელთაც ამ ხანაში ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთში, სახელდობრ სპარსელების უზარმაზარი მონარქიის დაარსებასა და მცირე-აზიელი ბერძნების მდიდარი სავაჭრო ქალაქების დაპყრობასთან. მაგრამ მთავარი მიზეზი ბერძნებისადმი დამოკიდებულების შეცვლისა ის უნდა ყოფილიყო, რომ კართაგენელი ვაჭრები კონკურენტებს ხედავდენ ბერძნებში და შიშობდენ თვისი პოზიციები ხმელთაშუა ზღვაში არ დაეკარგათ. იტალიაში იმ დროს ზღვაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ხალხი იყო ეტრუსკები. კართაგენელები შეუკავშირდენ მათ, რომ შეთანხმებული მოქმედებით ხელი შეეშალათ ბერძენთა ახალშენების განსახლებისათვის დასავლეთში.

როგორც ვიცით, მცირე-აზიაში სპარსელების დამკვიდრებას ვერ შეურიგდენ, სხვათა შორის, ფოკეელები, რომელთაც მიატოვეს პირვანდელი სამშობლო, მოისურვეს კვლავ დაეკავებიათ წინათ დაფუძნებული თვისი ახალშენი კორსიკაში—ალალია. მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოვიდა ორივე მოკავშირე, რომლებმაც დაახ. 540 წელს ალალიასთან საზღვაო ბრძოლაში ფოკეელები სასტიკად დაამარცხეს. ამას შემდეგ ფოკეელები იძულებული გახდენ მიეტოვებიათ ეს თვისი ახალშენი და ქვედა-იტალიაში დაეარსებინათ ელეა. ამგვარად, პირველი ცნობილი შეტაკება ბერძნებისა კართაგენელებთან მათი დამარცხებით დამთავრდა. ამას შემდეგ კართაგენი კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა აფრიკის სანაპიროში, დასავლეთ სიცილიაში, სარდინიაში და სამხრეთ ესპანიაში და შეჰქონა ისეთი მდგომარეობა, რომელმაც ბერძნების განსახლებას დასავლეთით

სასტიკი საზღვარი დაუდო. იმავე დროს კი, როგორც აღმოსავლეთში, ისე აქაც, ბერძენ ახალშენთა შორის გამეფებული იყო ურთიერთის ქიშპობა და მტრობა და ძლიერი პარტიკულარიზმი, რომელიც გაერთიანებული მოკავშირეების წინაშე ბერძნების ძალას ასუსტებდა და აქუცმაცებდა. სიბარისმა დაიპყრო ქვედა-იტალიაში სირისი და დაანგრია. მაგრამ მალე თვით სიბარისი იქნა განადგურებული; 510 წელს ბერძენთა ეს განთქმული სახელმწიფო დასავლეთში. რომელსაც 26 ქალაქი ემორჩილებოდა, კროტონმა მიწასთან გაასწორა, რაც უდიდესი უბედურობა იყო მთელი ბერძნობისათვის. როგორც უკვე იყო ნათქვამი, ამ შემთხვევამ განსაკუთრებით შემაძრწუნებული შთაბეჭდილება მოახდინა მილეტელებზე. მეორის მხრით, ბერძნული სიცილიის ტირანები ცდილობენ გააფართოვონ თავიანთი საბრძანებელი და შეჰქმნან უფრო დიდი სახელმწიფოები. და მართლაც სირაკუსის ტირანმა გელონმა და აკრაგანტის ტირანმა თერონმა შესძლეს ბერძნული სიცილიის უმეტეს ნაწილზე გაბატონება. მესამის მხრით თვით ბერძნები არ ერიდებიან თავიანთ საქმეებში ჩარიონ მათი უდიდესი მოწინააღმდეგე კართაგენელები. ასე, მაგ., როდესაც აკრაგანტის ტირანმა თერონმა ჰიმერიდან გააძევა ტირანი ტერილოსი, ამ უკანასკნელმა დასახმარებლად მოიწვია კართაგენელები. მათ სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება, რომელიც უდაოდ ხელსაყრელი იყო მათი პოლიტიკისათვის და ჰამილკარის მეთაურობით ტერილოსს მაშველი ჯარი გამოუგზავნეს, რომელიც ჰიმერასთან დაბანაკდა. ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო სირაკუზის ტირანი გელონი, რომელიც თავის მხრით თერონის დასახმარებლად გამოეშურა და სწორედ იმ წელს, როდესაც ბერძნებმა სალამინთან სასტიკად დაამარცხეს სპარსელები, გელონმა და თერონმა ჰიმერასთან გაანადგურეს კართაგენელების ჯარი. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ანდა იყოს ეს ერთდროული თავდასხმა ბერძნებზე აღმოსავლეთში და დასავლეთში; შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სპარსელებსა და კართაგენელებს შორის არსებობდა ერთგვარი შეთანხმება და რომ ფინიკიელებში საერთოდ სპარსეთის მეფემ მოხერხებული იარაღი იპოვა ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაზედაც საუბარი ზემოთ უკვე გვქონდა. ყოველ შემთხვევაში ასეთ ცნობას გვაწვდიან ძველი ისტორიკოსები ეფორი და დიოდორე. მართალია, ჰეროდოტეს, რომელიც მათზე გაცილებით ადრე ცხოვრობდა და დიდხანს დაჰყო ქვედა-იტალიის თურიოიში, ეს ამბავი მათზე უკეთესად უნდა სცოდნოდა, ხოლო ამის შესახებ სრულებით არა გაუგონია რა, მაგრამ ამ მოსაზრებით საესებით უარყოფა ასეთი შესაძლებლობისა სამართლიანი არ უნდა იყოს. არ შეიძლება, რასაკვირველია, ლაპარაკი იმაზე, რომ კართაგენელები სპარსელების ქვეშევრდომები იყვნენ, ან მათი გარკვეული მოკავშირეები, მაგრამ მათ საერთო მიზანი ჰქონდათ ბერძნებთან ბრძოლის საქმეში და ამ ნიადაგზე შეეძლოთ შეთანხმებული მოქმედების წარმოება.

ჰიმერასთან გამარჯვების შემდეგ გავიდა სულ რამდენიმე წელიწადი და ბერძნებს შეტაკება მოუხდათ დასავლეთში მეორე თავის ძლიერ მოწინააღმდეგე ეტრუსკებთან. 474 წელს ზღვაზე კიმესთან გელონის ,ძმამ და მოადგილემ სირაკუსში ჰიერონმა დიდი დამარცხება მიაყენა ეტრუსკებს და სამუდამოდ შეარყია მათი საზღვაო ძლიერება [19]: ამას შემდეგ კართაგენელებიც გაცილებით

უფრო თავდაჭერილად იქცეოდენ ბერძნების მიმართ და მხოლოდ V ს-ის დასასრულს, ათენელების საბედისწერო სიცილიის ექსპედიციის შემდეგ, მათ კვლავ მოიპოვეს საშუალება და ნიადაგი ბერძნების საქმეებში ჩარევისა და მათ წინააღმდეგ თავდასხმაზე გადასვლისა.

V ს-ში სიცილიის ბერძენთა სახელმწიფოებში დაიწყო ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა და ტირანია დემოკრატიული წყობილებით შეიცვალა. ამასთან ერთად თავი იჩინა მათ შორის ძველმა შურმა და ქიშპობამ, და სირაკუსმა დროებით დაჰკარგა თვისი გაბატონებული მდგომარეობა სიცილიაში.

იამაეე საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ეროვნული რეაქცია ადგილობრივი მცხოვრებლებისა ბერძნების წინააღმდეგ. ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების პროცესში შესძლეს სიკულებმა დუკეტიოსის მეთაურობით თავისუფლების კვლავ მოპოება, მაგრამ მალე ისევ იქნენ დამორჩილებული ბერძნების მიერ. ქვედა-იტალიაში ბერძნებს საშიში მტერი გაუჩნდა ლუკანების სახით, რომლებიც თანდათან უფრო მეტ აქტიობას იჩენდენ. ხოლო საბელების შეჭრას კამპანიის ველში თანმოჰყვა კიმეს დაპყრობა. დუკეტიოსის დამარცხებისა და სირაკუსში დემოკრატიის განმტკიცების შემდეგ ამ უკანასკნელმა კვლავ იწყო თვისი ბატონობის გავრცელება სიცილიის ბერძენთა სახელმწიფოებზე. ამიტომ უკვე V ს-ის მეორე ნახევრიდან აქაური ახალშენების ნიწილი ათენს უკავშირდება და მისგან მოელის დახმარებას სირაკუსის წინააღმდეგ. ამ მოვლენასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ჯლკიბიადეს ცნობილი ექსპედიცია სიცილიაში.

მოეფინა ათენელების დამსახურებისათვის ჰელადის განთავისუფლების საქმეში. ამ აზრის განხორციელება მან შესძლო მხოლოდ თურიოიში გადასახლების შემდეგ. აქ ჩაურთო თავის ისტორიულ თხრობას ჰეროდოტემ ახალგაზრდობის ლოგოგრაფოსული ნამუშავარი, როგორც ექსკურსი (λόγοι), და ასე წარმოიშვა მისი დიდი ნაშრომი, რომლიდანაც იწყება ბერძნული ისტორიული ლიტერატურა. თვისი ნაშრომის დასაწყისში ჰეროდოტე განგვიმარტავს იმ მიზანს, რომლის მიხედვითაც დაუწერია მას იგი. ეს მიზანია—„რომ დროთა მსვლელობაში მეხსიერებიდან არ ამოიშალოს ადამიანთა მოქმედებანი და არ იქნეს დავიწყებული უდიდესი და გაკვირვების ღირსი გმირობანი, რომლებიც ჩაიდინეს როგორ ჰელენებმა, ისე ბარბაროსებმა, და განსაკუთრებით კი—მიზეზი, რომლის მეობებითაც მათ დაიწყეს ომი“ (I, 1).

ამ ომს უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს ჰეროდოტე და, იგონებს რა ათენელების მიერ იონელების დასახმარებლად 20 გემის წარგზავნის ფაქტს, აღნიშნავს: სწორედ ამ გემებმა მისცეს დასაბამი, როგორც ჰელენების, ისე ბარბაროსების უბედურებათო (V, 97). ჰეროდოტეს ისტორია დაყოფილია 9 წიგნად და ეს დანაწილება ეკუთვნის არა მას, არამედ ალექსანდრიის გრამატიკოსებს. პირველ წიგნში ჰეროდოტე ეხება ჯერ აზიასა და ევროპას შორის მომხდარ შეტაკებათ, რომლებიც წინუსწრებდა ბერძენთა და სპარსელების ომებს, და შემდეგ გადმოგვცემს ლიდიის, მიდიის და კიროსის ისტორიას; დასასრულ, იქვე ეხება ბაბილონს. მეორე წიგნში იგი იხსენიებს კამბიზის გალაშქრებას ეგვიპტეზე და ამ ფაქტთან დაკავშირებით გვიხასიათებს ეგვიპტეს. III წიგნში იგი უბრუნდება კამბიზს, მოგვითხრობს ცრუ-სმერდისზე და დარიოს ჰისტასპზე, სპარსეთის სახელმწიფოს ორგანიზაციაზე და სამოსის ისტორიაზე. IV წიგნში ჰეროდოტე აგვიწერს დარიოსის გალაშქრებას სკვითებზე, თვით სკვითიისა და პონტოს ჩრდილოეთით მობინადრე ხალხების ყოფაცხოვრებას, და შემდეგ ეხება კირენასა და ლიბიას. მხოლოდ V წიგნიდან იწყებს იგი საკუთრივ ბერძენ-სპარსელთა ომების ისტორიას იონიის აჯანყებიდან მიკალესთან ბრძოლამდე და მას ანდომებს ყველა დანარჩენ წიგნს. გზადაგზა მას თვისი თხრობისათვის ჩაურთავს სხვადასხვა ეპიზოდი და ექსკურსი. ასეთია გეგმა ჰეროდოტეს ნაშრომისა, რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის არა მარტო საბერძნეთისა და სპარსეთის, არამედ ეგვიპტისა და წინა-აზიის ისტორიის გასათვალისწინებლად. მაგრამ ჰეროდოტეს ცნობებით სარგებლობის დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთი მათგანი ფრიად საეჭვოა და საეჭვო წყაროდანაც გამომდინარეობს, აგრეთვე ისიც, რომ იგი მაინცდამაინც მაღლა ვერ დგას ლოგოგრაფოსებზე, რომლებიც თითქმის ვერ ასხვავებდენ ერთიმეორისაგან ისტორიასა და მითს. მიუხედავად ამისა, ჰეროდოტე ძველი ისტორიის უძვირფასესი წყაროა, რომლის ცნობების სარგებლობა სათანადო კრიტიკული შეფასებით საჭიროც არის და აუცილებელიც. ამასთან გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტეს ნათლად ემჩნევა ცხადი თანაგრძნობა ალკმეონიდებისადმი, რომელთა დაცვასაც ზოგჯერ იგი თავის თავზე იღებს, და პირიქით უარყოფითი დამოკიდებულება მათთან მტრულ განწყობილებაში მყოფ თემისტოკლესადმი[3]. ახლა, ვიდრე ბერძენ-სპარსელთა ომების საერთო მსვლელობასა და შედეგებს შევეხებოდეთ, სა-

თავი მესაქე

ატიკის ჰეგემონია და ათენის დემოკრატია

1. ატიკა-დელოსის კავშირი. მისი წარმოშობა და საფუძვლები. არეოპაგის რეფორმა; სახალხო სასამართლო, ხუთასის საბჭო და სახალხო კრება.

ერთი უდიდესი შედეგთაგანი ბერძენ-სპარსელთა ომებისა ატიკა-დელოსის კავშირის დაარსება იყო. როგორც ვიცით, ამ ომების მეორე, პერიოდში ბერძნები მიზნად ისახავდენ ეგეოსის ზღვის გაწმენდას სპარსელებისაგან, ჰელესპონტის უზრუნველყოფას მათი საფრთხისაგან და მცირე-აზიელ ბერძენთა განთავისუფლებას მათი ბატონობისაგან. ამასთან ამ პერიოდში ბრძოლა უმთავრესად ზღვაზე მიმდინარეობდა, და სპარტა კი, რომლის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სტრუქტურა არსებითად ვერ ეგუებოდა შორეულ საზღვაო ექსპედიციებს, უმჯობესად სთვლიდა, რომ მცირე-აზიელ ბერძნებს მიეტოვებიათ თვისი მოსახლეობის ადგილები და საბერძნეთში გადმოსახლებულიყვენ. სულ სხვაგვარად უდგებოდა ამ საკითხს ათენი, რომელიც თემისტოკლეს პროგრამის გატარების შემდეგ ერთი უძლიერესი საზღვაო სახელმწიფო იყო საბერძნეთში. თვისი ინტერერესების მიხედვით იგი ზზად იყო თავს ედვა მეთაურობა მცირე-აზიელი ბერძნების განმათავისუფლებელი ომის გაგრძელებაში და ამ მხრით მისი სახელი თანდათან უფრო მიმზიდველი ხდებოდა სპარსეთის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ბერძნების თვალში. საერთოდ ეცემა სპარტის გავლენა ამ ხრით და სამაგიეროდ იზრდება ათენის ფასი და მნიშვნელობა. ამ მოვლენას კი თან უნდა მოჰყოლოდა იმ დუალიზმის დასაწყისი, რომელიც დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს V ს-ის საბერძნეთის ისტორიაში. 478/7 წელს ბერძნების ფლოტი სპარტის სარდლის პავსანიასის მეთაურობით კიპრისაკენ გაეშურა, მისი უმეტესი ნაწილი განათავისუფლა სპარსელებისაგან და დაიმორჩილა, ხოლო შემდეგ დაიპყრო აგრეთვე ქ. ბიზანტია. მაგრამ, სხვათაშორის, პავსანიასის ბრძანებლობითმა და უაღრესად მედიდურმა მოპყრობამ მოკავშირეებისადმი[1] და პირიქით ათენელების ფლოტის მეთაურების, კიმონისა და არისტიდეს, მათდამი კეთილგონივრულმა მოქცევამ უფრო მეტად დაამცირა მოკავშირეების თვალში სპარტის სარდლობა და ხელი შეუწყო მათ შორის იმ აზრის განმტკიცებას, რომ ჰეგემონია ათენელებისათვის გადაეცათ და ათენთან უფრო მჭიდრო კავშირი დაემყარებიათ. ათენმა სიამოვნებით ჰიიღო ასეთი წინადადება და იონელებთან დასდო ატიკა-დელოსის საზღვაო კავშირი, რომლის სა-

ჭიროდ მიგვაჩნია გავითვალისწინოთ ის საერთო პირობები, რომლებმაც ვამოიწვია ეს დიდი ბრძოლა.

როგორც ვიცით, VI ს-ის მეორე ნახევარში მცირე-აზიის ახალშენთა ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა: ლიდიის ადგილი სპარსეთის დიდმა მონარქიამ დაიკავა და აქ თვისი ბატონობის ახალი პირობები შეჰქმნა. სპარსეთისათვის აუცილებელი გახდა ბერძენთა ახალშენების დაპყრობა იმდენად, რამდენადაც ასეთი უზარმაზარი მონარქიისათვის საჭირო იყო დიდი ნიეთიერი საშუალებანი, და ახალშენები კი ამ მხრით თვისი სიმდიდრით დიდ რესურსებს წარმოადგენდენ.

სპარსეთის მონარქია სატრაპიებად იყო დაყოფილი და ბერძენთა ახალშენებიც იონიის სატრაპიაში შედიოდენ, რომელიც სარდის სატრაპს ექვემდებარებოდა. როგორც ქვეშევრდომები, ბერძნები იხდიდენ სპარსეთის სასარგებლოდ ხარკს, რაც თავისუფალი მოქალაქის შესახებ ბერძნულ შეხედულებას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა, და ასრულებდენ სამხედრო მოვალეობათ. ამასთან სპარსელები გაცილებით უფრო მეტად ერეოდენ ბერძენთა ახალშენების შინაურ საქმეებში, ვიდრე ლიდიელები, და აძლიერებდენ ისეთ სახელმწიფო წყობილებას, რომელიც მათი ბატონობის სიმტკიცის თვალსაზრისით უფრო სასარგებლო იყო, სახელდობრ ტირანიას, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა სოციალური ბრძოლის ნიადაგზე წარმოშობილი წინანდელი ტირანიისაგან: ახლანდელი ტირანები სპარსელების მიერ დაყენებული პირები იყვენ, რომლებიც პირველ რიგში თვისი ბატონების ინტერესებს იცავდენ (ან როგორც მოსწრებულად ამბობს ვილკენი: die wie persische Vögte ihnen auf dem Nacken sassen). ამ მხრით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ომის დაწყების პერიოდში სპარსელები ათენელებისაგანაც კი მოითხოვდენ თვისი ვასალის, ათენიდან გაძევებული ტირანის, სიგეის მფლობელის, ჰიპიასის დაბრუნებას და უფლებებში აღდგენას. ხოლო დატისისა და არტაფერნის ლაშქრობის დროს სპარსელების ბანაკში იმყოფებოდა ჰიპიასიც, რომელსაც სრული იმედი ჰქონდა თვისი მიზნის განხორციელებისა. როგორც ვიცით, ბერძნების უმაღლეს იდეას წარმოადგენდა ავტონომია, და ამიტომ შექმნილი პირობების გამო ბევრი ბერძენი, ზოგჯერ მთელი ქალაქიც კი სტოვებდა მცირე-აზიის სანაპიროებს და სხვაგან ეძებდა ახალ სამშობლოს. ასე, მაგ., ფოკეელებმა, როდესაც მათი ქალაქის წინააღმდეგ სპარსელმა ჰარპაგოსმა გაიალაშქრა, მიატოვეს სამშობლო, რომ თავიდან აეცილებიათ „მონობა“ (Herod. I, 164). მაგრამ მთავარი და ძირითადი ის იყო, რომ სპარსეთის ბატონობის დამკვიდრებამ იმ დროის ცნობილ ქვეყნებში უდიდესი ზიანი მიაყენა ახალშენების ვაჭრობა-წარმოებას, რასაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი თომა ლენშაუმ (Thomas Lenschau) თავის ნარკვევში „იონიის ისტორიისათვის“ [3a]. სპარსეთის მეფეს იმაზე მეტი ერთგული ქვეშევრდომები არ ჰყავდა, როგორც ფინიკიელები, რომლებიც მის განკარგულებაში სულ ახალ-ახალ ფლოტსა და მეომრებს აგზავნიდენ ბერძნების საწინააღმდეგოდ. ამ ფაქტის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ სპარსელები იმდენად, რამდენადაც მათი ბატონობა შორს იყო გავრცელებული, სისტემატიურ მფარველობას უწევდენ იონელების ხარჯზე ფინიკიელების ვაჭრობას. შემთხვე-

ვითი არ უნდა იყოს ის, რომ კართაგენელები, რომლებიც წინათ დასავლეთ ზღვაში ბერძნებთან შედარებით კეთილმეზობლურ განწყობილებაში იმყოფებოდენ, ახლა მოულოდნელად მათ დაუნდობელ მტრებად გადაიქცენ. უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსეთის მეფემ ფინიკიელებში იპოვა ის იარაღი, რომლითაც შეეძლო დაეზარალებია და დაემცირებია ბერძენთა ამაყი სავაჭრო ქალაქები. სულ ორიოდე ათეული წლების განმავლობაში იონური უდიდესი ვაჭრობის ბრწყინვალე შენობა დიდად შეირყა. ზოგიერთ შორსმჭვრეტელობას მოკლებულ მილეტელს შეეძლო ჯერ კიდევ სიამოვნებით მიეღო მცირე აზიიდან ლტოლვილი ფოკეელების დასავლეთში დამარცხების ამბავი, აგრეთვე სიბარისის მიერ ცნობილი სავაჭრო ქალაქის სირისის (ქვედა იტალიაში) განადგურების ფაქტი, რადგან საბოლოო ანგარიშით ყოველივე ეს მილეტის ვაჭრობისათვის შეიძლება სასარგებლო აღმოჩენილიყო, მაგრამ ყველა მალე დარწმუნდებოდა, თუ რამდენად ნაადრევი და უადგილო იქნებოდა ასეთი სიხარული. საქმის შემდეგმა მსვლელობამ თანდათან ცხადჰყო, რომ ახალ პირობებში დიდი შეფერხება მოელის აგრეთვე მილეტის ვაჭრობის განვითარებას და, მაშასადამე, თვით მილეტის ნივთიერი კეთილდღეობაც უძლიერესი განსაცდელის წინაშე დგება. ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ რამდენიმე ფაქტი.

ეგვიპტის დაპყრობასთან ერთად, რომელსაც თანმოჰყვა მილეტის ვაჭრობისათვის ფრიად თვალსაჩინო პუნქტის ნავკრატისის აყვავების შეწყვეტა, დაიწყო დაცემის ხანა. პ რ ი ნ ც მ ა ჯერ კიდევ აღმოჩენათა ფენებიდან შესძლო იმის დამტკიცება, რომ დაპრყობას შემდეგ, თითქმის, უშუალოდ მოხდა ამ სავაჭრო ფაქტორიის დაქვეითება (Funde aus Naukratis, 114). ასეთივე მძიმე ზარალი განიცადა იონელთა ვაჭრობამ დარიოსის სკვითებზე გალაშქრებასთან (513?) დაკავშირებით, რის შედეგი იყო თრაკიის სამხრეთ სანაპიროს დაპყრობა სტრიმონამდე და აგრეთვე ჰელესპონტის ჩრდილოეთი ნაპირისა და პროპონტის და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს სპარსელების ხელში გადასვლა. ამ მიდამოებშიც მალე იჩინა თავი დაცემამ, როგორც ეს გვიჩვენა არქეოლოგიურმა შედეგებმა, რომლებიც შ ტ ე რ ნ მ ა და ფ ა რ მ ა კ ო ს კ ი მ აღმოაჩინეს ბერეზანის კუნძულის სავაჭრო ფაქტორიებში: VI ს-ის უკანასკნელ წლებში ჰქრება აქ მილეტური ჭურჭლეულობა, რომელიც წინათ სავსებით იყო გაბატონებული. საფიქრებელია, რომ ასეთი ზიანის ასანაზღაურებლად იონელები სათანადო ნაბიჯებს დგამდენ; ასე, მაგ. მილეტის ტირანის ჰისტიეოსის განზრახვა მირკინოსში, რომელიც მან სპარსეთის მეფისაგან მიიღო ერთგულებისათვის, ახალშენების დაარსებისა იმ მოსაზრებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ მილეტისათვის ჩრდილეთით ნაწარმოებთა გასაღების ახალი პუნქტი აღმოეჩინა. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც იონელთა ეგვიპტის და პონტის ვაჭრობას ასეთი განსაცდელი მიადგა, რომ 510 წელს კროტონმა მიწასთან გაასწორა დასავლეთ ზღვაში მისი ვაჭრობის დასაყრდენი პუნქტი და მილეტის საფეიქრო პროდუქტების გავრცელების საუკეთესო ადგილი სიბარისი. ამ ფაქტს უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საერთოდ იმ დროის იონელებზე, კერძოდ მილეტელებს, ჰეროდოტეს სიტყვით, გლოვის ნიშნად თმები მოუშვიათ (VI, 21).

ვაჭრობა-წარმოების ყოველივე ასეთ შეფერხებასა და განადგურებას იო-

ნელები სპარსელების გაბატონებას მიაწერდენ და უდიდესი უკმაყოფილებით შესცქეროდენ მათ ულელს ქვეშ ყოფნას. ასეთ პირობებში მზადდებოდა იონიაში ნიადიგი სპარსელების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსელისათვის.

საკუთრივ საბერძნეთშიც სავაჭრო ქალაქებმა სპარსეთის ბატონობის ფართოდ გავრცელების გამო თვალსაჩინო ზარალი განიცადეს, ვინაიდან დაჰკარგეს ზოგიერთი ხელსაყრელი პუნქტი თვისი ნაწარმოებთა გავრცელებისათვის. ამასთან მათი სავაჭრო ურთიერთობა ახალშენებთან უფრო გართულდა და გაძნელდა ახალ პირობებში. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ათენზე, რომელშიც VI ს-ის დასასრულს თანდათან უფრო დიდ საფეხურს აღწევდა ვაჭრობისა და წარმოების განვითარება. ამიტომ მეტროპოლიის ზოგიერთ სახელმწიფოშიც სხვა ნიადაგთან ერთად საკმაო სამეურნეო საფუძველი არსებობდა სპარსეთთან უთანხმოებისათვის. ჩვენი დროის ზოგიერთი ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჰეროდოტეს იმ ცნობას, რომელიც ამ ომში ალკმეონიდების როლს შეეხება. მისი მიხედვით, ათენში გავრცელებული ყოფილა ხმა, რომ ალკმეონიდები სპარსელების მომხრეები არიან. აგრეთვე როდესაც დამთავრებულა მარათონის ომი და სპარსელები უკვე გემებზე გადადიოდენ, უცნობ პირებს აწეული ფარის საშუალებით მიუციათ ნიშანი, რომელიც მიუთითებდა სპარსელებს ათენზე თავდასხმისათვის ხელსაყრელ მომენტზე, და რომ ყველაფერი ეს ალკმეონიდებს ჩაუდენიათ. ჰეროდოტე თავგამოდებით იცავს ალკმეონიდებს ამ, მისი აზრით, სრულებით უსაფუძვლო და უსამართლო ცილისწამებისაგან: „ჩემთვის გასაოცარი და წარმოუდგენელია, ამბობს იგი, ის აზრი, თითქოს ალკმეონიდებმა პირობის თანახმად მაღლა ასწიეს ფარი სპარსელებისათვის და მიზნად ჰქონდათ ჰელადის სპარსელებისა და ჰიპიასისასთვის დამორჩილება“-ო (VI, 121). ერთი სიტყვით, ჰეროდოტე სრულებით დაუჯერებლად სთვლის ალკმეონიდების მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმას. ზოგიერთ თანამედროვე ისტორიკოსს კი, მაგ, ედ. მაიერს[4], რ. პოელმანს[5] და სტ. ჰაინლაინს[6], ასეთი რამ შესაძლებლად მიაჩნია. ძნელია იმ აზრის გაზიარება, თითქოს ალკმეონიდები სპარსეთის მომხრეები იყვენ და ამ მოსაზრებით მოღალატურ საშუალებასაც კი მიმართეს. ერთი რამ უდაოა, რომ ფარის აწევას, როგორც ნიშანს სპარსელებისთვის, მართლაც ჰქონდა ადგილი. ჰეროდოტე გარკვეეით გვეუბნება: „არ შეიძლება იმის უარისყოფა, რომ ფარი აღმართულ იქნა; ეს ნამდვილად მოხდა, ხოლო ვინ ასწია იგი, ამის შესახებ მეტის არაფრის თქმა არ შემიძლიაო“ (VI, 124). ჩვენი აზრით, სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ყოველივე ეს ჩაიდინა იმ ჯგუფმა, რომელიც მოუთმენლად მოელოდა ჰიპიასის დაბრუნებას ათენში და ამ ფაქტს თვისი ინტერესების განხორციელებას უკავშირებდა. ალკმეონიდებს ცნობილი წარმომადგენლები კი სწორედ ტირანიის წინააღმდეგ იბრძოდენ და ხელი შეუწყვეს ჰიპიასის ათენიდან გაძევებას. ამას გარდა ათენელების მიერ იონელების დასახმარებლად 20 გემის წარგზავნა ალკმეონიდების მონაწილეობის გარეშე არ უნდა მომხდარიყო. ამიტომ მიუღებლად მიგვაჩნია ლ ურ ი ეს კატეგორიული მოსაზრება, რომ ალკმეონიდები სპარსეთის ჰეგემონიის მომხრეები იყვენ და მათი პოლიტიკა უფრო შეესაბამებოდა იმ დროის საბერძნეთის პირობებსა და მოთხოვნილებათ[7].

ბერძენ-სპარსელთა ომების საბაბი გახდა იონიის აჯანყება და ევროპელ ბერძენთა დახმარება.

წინათ ცალკეული ქალაქების— ბიზანტიის, ქალკედონის, პერინთის და სხვების ცდამ თავიდან მოეშორებიათ სპარსელების ბატონობა, რასაკვირველია, საბურველი შედეგი ვერ გამოიღო. ახლა კი საქმემ გაცილებით უფრო ფართო და სერიოზული ხასიათი მიიღო. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მილეტის სარდში გაწვეული ტირანის ჰისტიეოსის მოადგილის არისტაგორის სახით. ამ უკანასკნელის რჩევით სარდის სატრაპმა არტაფერნემ ნაქსოსის წინააღმდეგ სპარსელ-იონელთა ექსპედიცია მოაწყო და, როდესაც იგი მარცხით დამთავრდა, არისტაგორემ ისარგებლა იმ საერთო დიდი უკმაყოფილებით, რომელიც იონელებში სუფევდა სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ, და თავს იდვა ბერძენთა წინამძღოლისა და განმათავისუფლებლის როლი. მისმა მოწოდებამ, მიუხედავად ჰეკატეოს მილეტელის გაფრთხილებისა, რომელიც კარგად იცნობდა სპარსელების სამხედრო ძლიერებას, უდიდესი გამოძახილი და თანაგრძნობა ჰპოვა იონელებში. აჯანყება დაიწყო მილეტმა და მალე იგი მთელ სანაპიროს მოედო. 500/499 წ. არისტაგორე საკუთრივ საბერძნეთში გამოემგზავრა, რომ აქაური სახელმწიფოების თანაგრძნობა და დახმარება მოეპოვებინა და ამით უფრო განემტკიცებინა იონელთა მიერ დაწყებული საქმე. სპარტამ და მისმა მოკავშირეებმა უარყოფითად შეხედეს ამ მოვლენას და სრული უარით გამოისტუმრეს არისტაგორე. უფრო კარგი ნიადაგი დახვდა მას ათენში, სადაც სახალხო კრებამ დაადგინა, დახმარება აღმოეჩინა იონელებისათვის. ამის შესახებ ჰეროდოტე შენიშნავს: აღმოჩნდა, რომ უფრო ადვილია ბევრის შეცთომაში შეყვანა, ვიდრე ერთის, რადგან არისტაგორემ ერთი კლეომენ ლაკედემონელი ვერ შეაცდინა, მაშინ როდესაც 30 ათასი ათენელი კი შეაცდინაო. ამიტომ ათენელებმა დაადგინეს გაეგზავნათ იონელების დასახმარებლად 20 გემი... სწორედ ამ გემებმა მისცეს დასაბამი როგორც ჰელენების, ისე ბარბაროსების უბედურებათო (V,97). ასე მარტივად ესმის ჩვენს ისტორიკოსს იმ დიდი საქმის დასაწყისი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნებისათვის. ათენს გარდა ერეტრიამაც გაუგზავნა იონელებს დასახმარებლად 5 გემი. აჯანყებულებმა შეძლეს სარდის აღება და იგი ცეცხლს მისცეს.

აჯანყების ამ პირველ ბრწყინვალე შედეგს თანმოჰყვა კარიის, ლიკიის და კიპრის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე. მაგრამ ათენში მომხდარმა შინაურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია მისი ფლოტის უკან გაწვევა, რასაც თავისთავად დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მებრძოლ მხარეებზე. მართალია, იონელთა ფლოტმა გაიმარჯვა ფინიკიელების ფლოტზე, მაგრამ კიპრი კვლავ იქნა დაპყრობილი სპარსელების მიერ. ამას შემდეგ სპარსელებმა მოახერხეს ისე გაენაწილებიათ თვისი ძალები, რომ იონელთა ქალაქების მთლიანობა დაერღვიათ და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე დაემარცხებინათ. აჯანყებულებმა კიდევ რამდენსამე წელს შესძლეს სპარსელების წინააღმდეგ გმირული ბრძოლა, მაგრამ მათი საქმე უკვე განწირული იყო. ლადესთან საზღვაო ბრძოლაში (495 წ.) უკვე ნათლად გამოჩნდა მათი თანხმობისა და მთლიანობის დაშლა: ურჩობა არჩეული მეთაურებისადმი, შინაური განხეთქილება და,

დასასრულ, ახლილი ღალატი ბრძოლაში. ასეთ პირობაში შემოარტყეს ალყა ზღვიდან და ხმელეთიდან სპარსელებმა აჯანყების სულის ჩამდგმელ მილეტს, რომელიც აჯანყების მეექვსე წელს (494 წ.) აიღეს და მიწასთან გაასწორეს; განადგურებულ იქმნა თვით დიდიმის აპოლონის ტაძარი, რომლის საუნჯეთა ომისათვის მოხმარებას ურჩევდა იონელებს ჰეკატეოს მილეტელი მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მისი გაფრთხილების მიუხედავად აჯანყება აუცილებელი იყო; ახლა ეს საუნჯენი სპარსელებს ჩაუვარდა ხელში. მოსახლეობა სპარსეთის მეფის განკარგულებით სუზაში გადაიყვანეს და ტიგრის შესართავთან დაასახლეს. ჰეროდოტეს სიტყვით (VI,19), მილეტის მოსახლეობის მამაკაცთა უმეტესი ნაწილი ამოჟლეტილ იქნა დიდთმებიანი სპარსელების მიერ, ცოლები და ბავშები მონების მდგომარეობაში ჩავარდნენ, ხოლო დიდიმის საკუთრხეველი ტაძრითა და მისნით დაწვეს.

მილეტის ასეთ განადგურებას უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია საერთოდ ყველა ბერძენ ტომზე. კერძოდ ათენში ფრინიხის პიესის—„მილეტის დაცემა“-ს (Μιλήτου ἅλωσις)—წარმოდგენის დროს მთელ დამსწრე საზოგადოებას ქვითინი ასტეხია. შემდეგში ეს კვლავ აღდგენილი ქალაქი, როგორც გერმანელების არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, თვისი მოცულობის უმეტეს ნაწილში ძველი მასალით აუგიათ. ერთი წლის შემდეგ (493 წ.) დანარჩენი ქალაქებიც, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობდენ ბრძოლას, დაპყრობილ იქნენ და სპარსელებმა კვლავ აღადგინეს იონიაში სატრაპიების ძველი წყობილება, მაგრამ ხარკის გადიდება კი არ მოუხდენიათ. ასეთი მარცხით დამთავრდა იონელების აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ.

რაკი სპარსეთმა მცირე აზია კვლავ თვისი სრული მორჩილების ქვეშ დააყენა, სპარსეთის მეფემ 492 წელს განსაკუთრებული დამსჯელი რაზმი წარგზავნა მარდონიოსის მეთაურობით თრაკიაში, რომ აქაც სიწყნარე დაემყარებინა. მარდონიოსმა ამ დავალების შესრულების დროს დაიკავა კუნძული თასოსი და დაამარცხა ამბოხებული ბრიგები, მაგრამ უკან დაბრუნებისას მისმა ფლოტმა ათოსთან დიდი მარცხი განიცადა, ხოლო ხმელეთის ჯარს ძლიერ ავიწროებდენ თრაკიელები და იგი იძულებული გახდა საჩქაროდ წასულიყო ამ ადგილებიდან. შემდეგში ბერძნებმა მარდონიოსის ეს ექსპედიცია ისე გადააკეთეს, თითქოს იგი საბერძნეთის წინააღმდეგ მარცხით დამთავრებულ სპარსელების გალაშქრებას წარმოადგენდა.

2. ათენის შინაური მდგომარეობა V ს-ის დასაწყისს. სპარსელების პირველი გამოლაშქრება საბერძნეთზე. მარათონი. პოლიტიკური ცვლილებები ათენში.

მას შემდეგ, რაც სპარსეთმა ჩააქრო იონელთა აჯანყება და სასტიკად გაუსწორდა მათ ქალაქებს, სპარსეთის მეფემ მზადება იწყო მათი დამხმარე ათენისა და ერეტრიის დასასჯელად. ძველი გადმოცემით, მეფე დარიოსს განუცხადებია, რომ იგი იმ დრომდე არ დამშვიდდება, ვიდრე სამაგიეროს არ გადაუხდის ევროპელ ბერძნებს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს მის წინააღ-

ბდეგ მკირეაზიელ ახალშენებს. ამასთან მან, თითქოს, ერთ-ერთ კარისკაცს უბრძანა ყოველ დღე დილით შემდეგი სიტყვებით მიემართა: „ხელმწიფეე, ათენელებს ნუ დაივიწყებ"-ო. თვით ათენი კი ამ პერიოდის დასაწყისში კვლავ შინაურ ბრძოლას განიცდიდა. მართალია, კლისთენის რეფორმებმა საფუძვლიანად განამტკიცა დემოკრატია ათენში და ღრმად შეარყია ძველი არისტოკრატიის მნიშვნელობა, მაგრამ ამ ხანაში თავი წამოყვეს პისისტრატიდების მომხრეებმა, ორმელთაც ჰიპიასის დაბრუნებისათვის ნიადაგის შემზადება განიზრახეს. მაო შესძლეს ალკმეონიდების, რომელთაც მოახერხეს იონელების დასახმარებლად 20 გემის წარგზავნა, დროებით უკან დაყენება და 496/95 წ. არქონტად აირჩიეს თვისი მეთაური ჰიპარქოსი. ამას ხელი შეუწყო სხვათა შორის იმ გარემოებამაც, რომ ათენის მოსახლეობის უმრავლესობაში თანდათან მტკიცდებოდა იონელების მოძრაობის მიმართ ნეიტრალიტეტის დაცვის აზრი. თვით ფაქტი ათენელების მიერ თვისი გემების უკან გამოწვევისა ამ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა იქნეს განმარტებული.

მაგრამ იონიის აჯანყების შემაძრწუნებელმა შედეგებმა. განსაკუთრებით მილეტის განადგურებამ, დიდი გავლენა მოახდინა ათენელებზე. გამოჩნდენ ისეთი პირები, რომელთაც ამ ღრმად სამწუხარო ამბებთან დაკავშირებით კარგად გაითვალისწინეს მოსალოდნელი საფრთხე, რომელსაც ათენს სპარსეთის გამარჯვება უქადდა. ამ პირთა შორის ყველაზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა ნეოკლეს შვილი. თემისტოკლე, ჩამომავლობით წარჩინებულთა გვარის—ლიკომიდების—წევრი, ხოლო რწმენით დემოკრატი, და რადიკალური პარტიის წინამძღოლი.

ცნობილი ისტორიკოსი ბელოხი მას არისტოკრატიულ პარტიას მიაკუთვნებს[8], მაგრამ ასეთი მოსაზრება საესებით ეწინააღმდეგება ტრადიციას თემისტოკლეზე და არც არსებითად შეესაბამება ისტორიულ ფაქტებს. თემისტოკლე არჩეულ იქნა არქონტად 493/2 წელს და დაუყონებლივ შეუდგა თვისი პროგრამის პოპულარიზაციას და განხორციელებას, რადგან, ისტორიკოსის თუკიდიდეს სამართლიანი თქმით, იგი პირველი იყო, რომელმაც გამბედაობა გამოიჩინა ათენელებისათვის ეთქვა, რომ მათთვის აუცილებელია ზღვაზე გამგრება(Thuc. I, 93,4). ის კარგად გრძნობდა, რომ სპარსეთთან მომავალ აუცილებელ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, შესძლებდა თუ არა ათენი ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევას. მან უწინარეს ყოვლისა მოახერხა ამ მიმართულებით ის, რომ ათენელებმა იწყეს პირეუსის, როგორც სიმაგრის და ფლოტის თავშესაფარი პუნქტის, გამაგრება. მაგრამ ამ ნიადაგზე თემისტოკლეს საკმაოდ დიდი ოპოზიცია შეხვდა იმ წრეების მხრიდან, რომლებიც ათენის ზღვაზე გაძლიერებას თვისი ინტერესების მიხედვით სახელმწიფოსთვის დამღუპველად ხედავდენ. ეს მიმართულება განსაკუთრებით აქტიური გახდა ათენში მილტიადეს გადმოსახლების შემდეგ,

იგი ჩამომავალი იყო იმ მილტიადესი, რომელმაც პისისტრატეს დროს თრაკიის ხერსონეში საკუთარი სამთავრო დაარსა. სპარსელებისაგან შევიწროვების გამო მან დასტოვა ხერსონესი და მრავალრიცხოვანი თანმხლებლებით მოვიდა ათენში და თანმოიტანა დიდძალი ძვირფასი ნივთები. მილტიადე ძლიერი მოწინააღმდეგე იყო თემისტოკლეს საზღვაო პროგრამისა. იგი ემყარებოდა

აზიაში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათ და დაკვირვებებს და უფრო დიდი იმედი ჰქონდა მოქალაქეთა შუბოსანი რაზმებისა სპარსეთის მეფის მშვილდოსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველად მილტიადეს ათენში ეჭვის თვალით უცქეროდენ, როგორც ყოფილ ტირანს, და ბრალდებაც კი წაუყენეს ხერსონესში მისი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ შემდეგში თანდათან დარწმუნდენ მის დიდ სიძულილში სპარსელების მიმართ და მათ წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის გულწრფელ მისწრაფებაში, მით უმეტეს, რომ ტირანების მომხრე საკმაოდ თვალსაჩინო ჯგუფი ცხადად ებრძოდა, როგორც მას, ისე ალკმეონიდებს. მარათონის ბრძოლის დროს იგი სტრატეგოსადაც კი იქნა არჩეული.

ჰეროდოტეს სიტყვით (VI, 48), დარიოსმა, ვიდრე ჯარებს გაგზავნიდა ბერძნების წინააღმდეგ, განიზრახა ჰელენების განწყობილება გამოეცადა, ფიქრობენ თუ არა ისინი მასთან ომის წარმოებას, თუ მას უბრძოლველად დაემორჩილებიან. ამ მიზნით მან დაგზავნა ჰელადაში განსაკუთრებული პირები „მიწისა და წყლის“ (ე. ი. მორჩილების) მოთხოვნით. იმავე დროს ზღვისპირა ქალაქებს უბრძანა გრძელი გემების აგება ცხენების გადასაყვანად, და ამ ქალაქებმა იწყეს კიდეც მათი შემზადება. ამას გარდა საბერძნეთის მცხოვრებთაგანაც ბევრმა სრული მორჩილება განუცხადა სპარსეთის მეფის მოციქულებს. მხოლოდ ათენსა და სპარტაში მოჰკლეს ეს მოციქულები, რომლებიც მათაც ეწვიენ „მიწისა და წყლის“ მოთხოვნით. დარწმუნდა რა იმაში, რომ საბერძნეთის სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილს არ სურს მიემხროს სპარსელებთან ბრძოლის იდეას და თავი უჭირავს ან გაუბედავად ანდა ახდილად სპარსეთის მხარეზეა, დარიოსმა გასცა სპარსელების ჯარების საბერძნეთზე გალაშქრების ბრძანება. ჯარების მეთაურობა ჩააბარა მედიელ დატისს და სარდის სატრაპის არტაფერნეს ახალგაზრდა შვილს, აგრეთვე არტაფერნეს. ამ გალაშქრებას მიზნად ჰქონდა დასახული არა საბერძნეთის დაპყრობა, არამედ იმ სახელმწიფოების სამაგალითოდ დასჯა, რომელთაც დახმარების ხელი გაუწოდეს იონელ მეამბოხეთ. 490 წლის ზამთრის დასაწყისში სპარსელების ჯარები დაიძრენ კილიკიიდან, სატრანსპორტო გემებით გადავიდენ ეგეოსის ზღვაზე და უწინარეს ყოვლისა სასტიკად გაუსწორდენ ნაქსოსს, რომელმაც სპარსელებს წინააღმდეგობა გაუწია 500 წელს; შემდეგ კი მიადგენ ევბეის ქალაქ ერეტრიას, რომელმაც იონელებს გაუგზავნა დასახმარებლაღ 5 გემი; აქ მათ დიდი შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, და ქალაქი ერეტრია დაეცა მხოლოდ გმირული ბრძოლის შემდეგ; იგი განადგურებულ იქნა სპარსელების მიერ, ხოლო მისი მცხოვრებლები აზიაში გადაასახლეს. ამას შემდეგ სპარსეთის ფლოტმა ჰიპიასის რჩევით, რომელიც სპარსელებს თანახლდა და მოუთმენლად ელოდა ათენში დაბრუნებას, გასწია ატიკის აღმოსავლეთი ნაპირისაკენ.

აქ სპარსელები გემებიდან ნაპირზე გადავიდენ და დაბანაკდენ ათენიდან 30 კილომეტრის დაშორებით მარათონის ველზე. ათენელებმა მსწრაფლ აფრინეს კაცი სპარტაში და ითხოვეს დახმარება. სპარტელებმა უხერხულად ჩათვალეს დაუყონებლივ დახმარებაზე პირდაპირ უარისთქმა და მთვარის გავსებამდე ლაშქრობის შეუძლებლობა მოიმიზეზეს. სამაგიეროდ ათენელების დასახმარებლად საჩქაროდ მოვიდა ათასამდე პლატეელი. ძველად დიდად აზვიადებდენ მარათო-

შეედრო მიზანს პირველად მცირე-აზიელი ბერძნების სპარსელების ბატონობისაგან განთავისუფლება შეადგენდა. თუ წინათ და შემდეგშიც 461 წლამდე ათენი სპარტასთან ერთად სპარსელების წინააღმდეგ შექმნილ ბერძენთა კავშირში იმყოფებოდა, ახალი პირობების გამო მათი გზები არსებითად შორდება ერთიმეორეს, და სპარტაც თანდათან სავსებით ზურგს აქცევს სპარსელებთან ბრძოლას. მოკლე დროში ატიკა-დელოსის კავშირი უდიდესად გაიზარდა და შედარებით საბერძნეთის პატარა სახელმწიფოებთან უზარმაზარ გაერთიანებას წარმოადგენდა. მის გარშემო მოკლე დროში გაერთიანდა სან

თუკიდიდე. მისი სიტყვით (I, 99), ამაში დამნაშავენი აღმოჩნდენ თვით მოკავშირეები: სამხედრო სამსახურისადმი გულგრილობის წყალობით და აგრეთვე სამშობლოდან ხანგრძლივად წასვლის მიუღებლობის გამო მოკავშირეთა უმრავლესობამ გემების გამოყვანის მაგივრად თავი დაიბეგრა ფულადი გადასახადით... ამგვარად ათენელების ფლოტი იზრდებოდა მოკავშირეების მიერ შემოტანილი გადასახადების ანგარიშზე, ხოლო უკანასკნელნი კი, ომბოხების შემთხვევაში, ომში მიდიოდენ მოუმზადებელნი და საჭირო გამოცდილების გარეშე. ერთი სიტყვით, ასეთი დიდი კავშირის სამხედრო დაცვა და აგრეთვე განდგომილ წევრთა დასჯა ათენის ხელში გადავიდა და არაჩვეულებრივად გაადიდა მისი სამხედრო ძლიერება. ყოველივე ამის გამო არ შეიძლებოდა არ შეცვლილიყო ათენელების პირვანდელი დამოკიდებულება კავშირის წევრებისადმი და თავი არ წამოეყო მათის მხრით უკვე მბრძანებლობის მომენტს. არც ეს ცვლილება გამოპარვია თუკიდიდეს და იგი ხაზგასმით აღნიშნავს: სხვა მხრივადაც ათენელების მეთაურობა მოკავშირეებს უკვე ისე აღარ ესიამოვნებოდათ, როგორც დასაწყისში; საერთო სამხედრო ოპერაციების დროსაც ათენელებსა და მოკავშირეებს შორის თანასწორობა აღარ არსებობდა, და ათენელები მეტად ადვილად იმორჩილებდენ კავშირის განდგომილ წევრებს. ამგვარად, პირველად თანასწორუფლებიანობის პრინციპზე აგებული ატიკა-დელოსის კავშირი თანდათანობით ათენის სამფლობელოთი (ἀρχή) შეიცვალა და მასზე უმაღლესი ხელისუფლება ათენის ხელში გადავიდა.

კავშირის დაარსებიდან უკვე ათი წლის შემდეგ აჯანყდა კუნძული ნაქსოსი, რომლის შინაურ საქმეებში ჩარევას ცდილობდენ ათენელები. ნაქსოსი დამარცხდა, დაკარგა კავშირის თანასწორუფლებიანი წევრის ადგილი და მისი მოსახლეობა ათენის ქვეშევრდომები გახდა. მალე ამას შემდეგ განდგომის გზას დაადგა თასოსი. თასოსელები ვერ ურიგდებოდენ იმ გარემოებას, რომ ათენელები მათი კონკურენტები გახდენ თრაკიასთან ვაჭრობაში და მდინარე სტრიმონის ოქროს მაღაროების ექსპლოატაციაში (Thuc. 1, 100). ათენელებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს თასოსელები, რომლებიც იძულებული გახდენ დაენგრიათ თავიანთი სიმაგრეები, გადაეცათ ათენელებისთვის ფლოტი, ვალად ედოთ დაუყონებლივ გადაეხადათ ათენელების სამხედრო ხარჯები, აღეთქვათ მომავალში ფოროსის შეტანა და ხელი აეღოთ მაღაროებზედაც. მოკლე დროში მხოლოდ დიდ მოკავშირეებს ლესბოსს, ქიოსსა და სამოსს, შერჩა საკუთარი ფლოტი და მათ შედარებით უფრო ხანგრძლივად შესძლეს სრული ავტონომიის დაცვა. მხოლოდ მათ შეინარჩუნეს თვისი ძველი წყობილება მაშინ, როდესაც წვრილმა მოკავშირეებმა თვისი სურვილით თუ იძულებით დროთა მსვლელობაში თვისი კონსტიტუცია ათენის დემოკრატიული წყობილების მიხედვით შესცვალეს. ამასთან ერთად ათენის დაწესებულებნაი მოკავშირეებისათვის უფრო მეტად და მეტად ხდებოდა სანიმუშოდ[2]. თვისი ფინანსიური და საერთოდ სამეურნეო ინტერესების მიხედვით ათენელები ცდილობდენ თავზე მოეხვიათ მოკავშირეებისათვის ფულის, წონისა და ზომის საკუთარი სისტემა. მოკავშირეების უფლებების თვალსაჩინო შეზღუდვას წარმოადგენდა ათენში მთელი რიგი სასამართლო პროცესების გადატანა[3]. ათენის სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა ისეთი

საქმეების გარჩევა, რომლებიც შეეხებოდა მოკავშირეების მიერ კავშირის წინა-შე ჩადენილ დანაშაულთ—ღალატს, საკავშირო ვალდებულებათა დარღვევას და სხვ., აგრეთვე სერიოზული სისხლის სამართლის პროცესები, რომლებიც დამნა-შავეთა სიკვდილად დასჯას, გაძევებას ანდა მოქალაქობრივი უფლებების აღ-კვეთას (ატიმია) ითვალისწინებდა. ამგვარად, ადგილობრივ სასამართლოს გა-სარჩევად რჩებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის შედარებით უმნიშვნელო სა-ქმეები და სამოქალაქო პროცესები. რაც შეეხება ათენელ მოქალაქეებსა და მოკავშირეთა შორის წარმოშობილ დავას, ასეთი შემთხვევებისათვის ათენი მოკავშირეებთან განსაკუთრებულ ხელშეკრულებათ სდებდა.

მოკავშირეებს შორის გადასახადთა განაწილების წინასწარ სამუშაოს განსაკუთრებული მოხელეები (τάκται) ასრულებდენ, რომლებსაც ათენის სახალხო კრება ირჩევდა. მოკავშირეთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა უფლე-ბა გადასახადის პროექტის დამოუკიდებლად შემუშავებისა; დანარჩენები თვი-სი შემოსავლის შესახებ მასალას უგზავნიდენ შესამოწმებლად დასახელებულ მოხელეებს, ხოლო როგორც ამ უკანასკნელთა, ისე მოკავშირის მიერ წარმოდგე-ნილი პროექტები ა თ ე ნ ი ს 500-ის საბჭოს უნდა დაემტკიცებინა. რასაკვირეე-ლია, მოკავშირეებს უფლება ჰქონდათ საბჭოს გადაწყვეტილება გაესაჩივრებიათ. მაგრამ ისევ ა თ ე ნ ი ს სახალხო სასამართლოში. ა ს ე წ ა რ მ ო ი შ ვ ა ა თ ე ნ ი ს დ ი დ ი ს ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო, რ ო მ ლ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა პ ი რ ვ ე ლ რ ი გ ში მ ი ზ ნ ა დ ი ს ა ხ ა ვ დ ა ა თ ე ნ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს ა და ფ ი ნ ა ნ-ს უ რ ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა. ამ უკანასკნელი მომენტის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი იყო საკავშირო სალაროს დელოსიდან ათენის აკროპოლისში გადატანა (454 წ.), რის შემდეგაც კავშირის მფარველად უკვე არა დელოსის აპოლონი, არამედ ათინა ითვლებოდა, რომლის საუნჯის სა-სარგებლოდ მიდიოდა ახლა ფოროსის $^1/_{60}$. თანდათან უფრო ძლიერდებოდა ათენელების ბატონობა ატიკა-დელოსის კავშირში და უფრო გარკვეულ სახეს ილებდა; ატიკის გარნიზონები და კლერუქიები იგზავნებოდენ მოკავშირეთა მხა-რეებში და ათენის მეთვალყურეები (ἐπίσκοποι) კონტროლს უწევდენ მოკავ-შირეთა ქალაქების შინაურ ცხოვრებას. როდესაც სპარსეთთან დადებულ იქ-ნა კალიასის ზავი (448 წ.), ბუნებრივად წარმოიშვა საკითხი, უნდა გაგრძელ-დეს თუ არა მოკავშირეების მიერ ათენის სასარგებლოდ ფოროსის გაღება მა-შინ, როდესაც მისი დაწესება უმთავრესად სპარსელებთან ბრძოლის მიზნით იყო გამოწვეული და ეს საფუძველი კი უკვე მოისპო. ამ საკითხის გარშემო თვით ათენშიც ცხარე პარტიული ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ათენის დემოკრატიის ბელადმა პერიკლემ წამოაყენა ის მოსაზრება, რომ ათენელები ამას შემდეგაც უზრუნველჰყოფენ მოკავშირეების დაცვას და რომ მშვიდობიანობის შენარჩუნე-ბა სპარსელების მხრით მხოლოდ ათენისადმი პატივისცემაზე იქნება დამყარებუ-ლი. ამასთან ერთად მან კატეგორიულად განაცხადა ისიც, რომ მოკავშირეებს უფლება არა აქვთ ანგარიში მოსთხოვონ ათენელებს საკავშირო თანხების და-ხარჯვის საქმეში. ამ ბრძოლიდან პერიკლე გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო მოკავშირეების დამცველი თუკიდიდე ოსტრაკისმით იქნა გაძევებული ათენიდან (443 წ.). ასე მიიყვანა ლოღიკურ დასკვნამდე პერიკლემ ატიკა-დელოსის კავ-

შირის ათენის სამფლობელოდ გადაქცევისა და მოკავშირეების ათენის ქვეშევრ-დომებად (ὑπήκοοι) გახდომის პროცესი.

443 წელს ათენელებმა თვისი სამფლობელო ფოროსის უფრო მოხერხებულად განაწილებისა და შეგროვების თვალსაზრისით 5 საგადასახადო ოლქად დაყვეს (იონია, ჰელესპონტი, თრაკია, კარია და კუნძულები). იონელთა მთელი სამყაროს ათენის ბატონობის ქვეშ მოხვედრა ერთი უდიდესი პოლიტიკური საქმე იყო იმ დროს. მეორის მხრით, ათენის ასე დიდი სამფლობელოს წარმოშობას უაღრესად საყურადღებო მნიშვნელობა ჰქონდა სამეურნეო თვალსაზრისით. „ეგეოსის ზღვის მთელ სივრცეზე ერთიანი ძალაუფლების დამყარებამ, რასაკვირველია. დიდად შეუწყო ხელი საზღვაო ურთიერთობათა გაცხოველებას. სასარგებლო იყო ისიც. რომ ათენელები ავრცელებდენ თვისი ფულის სისტემას და ნერგავდენ ზომისა და წონის ერთიანობას“. ათენის სასამართლოებმა კი ხელი შეუწყვეს უფლების ერთიანობის დამყარებას. მაგრამ, ცხადია, თავის სავაჭრო პოლიტიკაში ათენელები პირველ რიგში თვისი ინტერესების დაცვას ისახავდენ მიზნად და ხშირად სრულებით არ უწევდენ ამ მხრით ანგარიშს თავის მოკავშირეებს, მაგ., მათ აკრძალეს კუნძული კეოსიდან რკინის გატანა სხვა ადგილებში, გარდა ათენისა, და არ აძლევდენ ნებას სესხის მიცემისას ისეთი გემებისათვის. ომლებიც საქონელს არა ათენში მიეზიდებოდენ[4]. ამას გარდა არისტოტელის სიტყვით (Ἀθ. πολ. XXIV), ათენში საქმე ისე იყო, რომ მოკავშირეების ფოროსის და გადასახადების ანგარიშზე (λαμ ἀπὸ τῶν φόρων καὶ τῶν τελῶν) ო�e ათას კაცზე მეტი იკვებებოდა.

ბერძენ-სპარსელთა ომებისა და ათენის მცირე მხარიდან ასეთ დიდ სამფლობელოდ გადაქცევის ზეგავლენით მისმა შინაურმა წყობილებამ თვალსაჩინო ცვლილებები განიცადა. არქონტატის დემოკრატიზაციას თან მოჰყვა არეოპაგის უფლებების შეკვეცა. არისტოტელის გადმოცემით (XXIII, 1), მედიელთა ომის შემდეგ კვლავ გაძლიერდა არეოპაგის საბჭო და იწყო ქალაქის გამგებლობა (μετὰ δὲ τὰ Μηδικὰ πάλιν ἴσχυσεν ἡ ἐν Ἀρείῳ πάγῳ βουλή). ამგვარად, იმ დროს,როდესაც ათენში წარმოებს მისი წყობილების დემოკრატიზაცია, კვლავ მაღლდება ისეთი არქაული დაწესებულება, რომელიც თვისი შინაგანი არსებით ძველ არისტოკრატულ წრეებთან იყო დაკავშირებული, და ათენის სახელმწიფოს ცხოვრებაში უდიდეს მნიშვნელობას აღწევს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. როგორ უნდა ავხსნათ ეს ფაქტი? არისტოტელის განმარტებით არეოპაგის მიერ ჰეგემონიის მოპოვება მომხდარა არა ფორმალური დადგენილებით (ψηφίσματι λαβόντα), არამედ იმით, რომ სალამინის ბრძოლის დროს, როდესაც სტრატეგოსები დაბნეულან და გამოუცხადებიათ, რომ ყველამ თავს უშველოს, როგორც შეუძლიაო, არეოპაგს წონასწორობა არ დაუკარგავს და სათანადო ზომები მიუღია. ამ ცნობის მიხედვით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ათენისთვის მეტად სერიოზულ მდგომარეობაში არეოპაგმა, როგორც უფრო ცენტრალიზირებულმა და შეკავშირებულმა დაწესებულებამ, მართლაც გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე და ინიციატივა და ამით ტროებით კვლავ მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა. მაგრამ რაკი ასეთმა მომენტმა განელო, რადიკალურ წრეებში თავი აიჩინა მისი ავტორიტეტის საწინააღმდეგო

მიმდინარეობამ და ათენის დემოკრატიის წინაშე მორიგ საკითხად დაისვა მისი უფლებებისა და ფუნქციების ძირითადი გადასინჯვა. ძნელია სრული სისწორით იქნეს აღნიშნული არეოპაგის უფლებები და ფუნქციები", მაგრამ დიდად არ შეეცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ იმ დროს მას ეკუთვნოდა: 1. საბჭოსა და სახალხო კრების ყველ ადადგენილების მიმართ ვეტოს უფლება, 2. უმაღლესი სასამართლოს უფლებები და 3. მოქალაქეთა ზნეობის მეთვალყურეობის უფლება". როგორც ვხედავთ, ამ უფლებებზე დამყარებით არეოპაგს მართლაც შეეძლო უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულების როლი ეთამაშნა, და ამ მხრით არისტოტელი, თითქოს, სამართლიანად უწოდებს იმ ეპოქას 461 წლამდე „არეოპაგის ბატონობის ხანას". (არეოპაგის წინააღმდეგ გამოდის რადიკალური პარტიის წინამძღოლი არისტიდე, რომელიც არისტოტელის სიტყვით უანგარო და მმართველობის საქმეში სამართლიანობის მომხრე ადამიანი იყო (XXV, 2). იგი მოითხოვს არეოპაგის უფლებებისა და ფუნქციების რადიკალურ შეკვეცას.)

არისტოკრატული პარტიის მეთაური კიმონი იმ დროს, როგორც ვიცით, ითომეში იყო წარგზავნილი სპარტელების დასახმარებლად. დაბრუნების შემდეგ იგი თავის პარტიასთან ერთად თავგამოდებით ებრძოდა ეფიალტეს წინადადებას, რადგან კარგად გრძნობდა, რომ არეოპაგის დაკვირებით მის პარტიას ხელიდან ეცლებოდა უკანასკნელი მთავარი დასაყრდენი ძალა სახელმწიფოს პოლიტიკურ აპარატში. მაგრამ ეფიალტეს საქმეს ბევრი მომხრე გამოუჩნდა ათენის მოქალაქეებში და კიმონი ოსტრაკისმით იქნა გაძევებული ათენიდან (461 წ.), ხოლო არეოპაგის რეფორმა კი გატარებული. არეოპაგს ჩამოერთვა კანონების დამცველის ფუნქცია და აგრეთვე მათი დარღვევისათვის მოქალაქეთა პასუხისგებაში მიცემის უფლება და ამიერიდან მას დარჩა მხოლოდ წინასწარი განზრახვით მკვლელობისა და დაშავების საქმეთა განხილვის ფუნქციები. ასე დაჰკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა ოდესღაც დიდი ავტორიტეტით აღჭურვილმა არეოპაგის საბჭომ. ამიერიდან მისი მთავარი ფუნქციები გადადის ნაწილობრივ ხუთასის საბჭოს, ნაწილობრივ „დემოსის", ე. ი. სახალხო კრებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხელში.

ნ ა ფ ი ც მ ს ა ჯ უ ლ თ ა ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს კომპეტენცია ამას შემდეგ არაჩვეულებრივად გაფართოვდა. ახლა ბას ექვემდებარებოდა როგორც ის საქმეები, რომლების მიმართ წინათ არქონტები იყვენ მსაჯულებად, აგრეთვე ისეთები, რომელთა განხილვა რეფორმამდე არეოპაგის ფუნქციაში შედიოდა. ამას გარდა ჰელიეა არჩევდა არა მარტო ათენელი მოქალაქეების, არამედ მოკავშირეების საქმეებსაც. ყოველივე ამის გამო საჭირო გახდა მისთვის სათანადო ორგანიზაციული სახის მინიჭება. მართალია, ჰელიეა ჯერ კიდევ სოლონის დროს წარმოიშვა, მაგრამ მისი უფრო გარკვეული და სრული ორგანიზაცია V ს-ში მოხდა. ყოველწლიურად ფილეებში წილისყრით ირჩევდენ 6000 მოქალაქეს, თითოეული ფილიდან 600-ს, მათგან 5000 მორიგ ნაფიც მსაჯულად ითვლებოდა, 1000 კი სათადარიგოდ. მორიგი ნაფიცი მსაჯულები დაყოფილი იყვენ 10 დიკასტერიად და, მაშასადამე, თითოეულ დიკასტერიაში შედიოდა 500 კაცი. ათენის სახალხო კრებასთან ერთად ჰელიეა ათენის დემოკრატიის მთავარი ორგანო იყო, რომელსაც სამოსამართლო ფუნქციებს გარდა ეკუთვნოდა კონტროლი

თანამდებობის პირების მიმართ და აგრეთვე მთავარი როლი კანონმდებლობის დარგში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ მხრით ერთგვარად სახალხო კრებაზე-დაც კი მაღლა იდგა: ათენის სახალხო კრებას შეეძლო გამოეტანა მხოლოდ დადგენილებები (ψηφίσματα), კანონები (νόμοι) კი ჰელიეას კომისიებში უნდა ყოფილიყო გატარებული.

ათენის გარეშე მცირე საქმეების გასარჩევად 45 1/2 წელს აღდგენილ იქნენ მოსამართლეები დემებში (δικασταὶ κατὰ δήμους). ასეთი მოსამართლეები არსებობდენ ჯერ კიდევ პისისტრატეს დროს, შემდეგში კი მათი თანამდებობა გაუქმებულ იქნა. აღდგენის შემდეგ მათი რიცხვი უდრიდა 30, ალბათ, 30 ტრიტიის მიხედვით და, მაშასადამე, თითოეულ ტრიტიაზე მოდიოდა ერთი ასეთი მოსამართლე. დემებში მოსამართლეების თანამდებობის აღდგენით სასამართლო კელავ დაუახლოვდა ხალხის ფართო მასას და უფრო მისაწვდომი გახდა მისთვის. მათ გარდა არსებობდენ დიეტეტები, თავისებური შუამავალნი ან მომრიგებელი მოსამართლენი, რომლებსაც დემის მოსამართლენი გასარჩევად აძლევდენ პროცესებს 10 დრახმის ზევით.

ჰელიეის გვერდით მოხსენებულ უნდა იქნას ხუთასის საბჭო, რომელიც აგრეთვე პირველ ხანში არეოპაგის უფლებათა მემკვიდრე იყო. როგორც ვიცით, მას ირჩევდენ კლისთენის ფილეებში, თითოეულისაგან 50 წევრს; იგი ათ პრიტანიად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეული ერთიმეორის შეცვლით უძღვებოდა დაკისრებულ საქმეებს. საბჭო ანუ ბულე განაგებდა მიმდინარე საქმეებს, წინდაწინ იხილავდა იმ საკითხებს, რომლებიც სახალხო კრებაში უნდა შეეტანათ და გამოჰქონდა მათ შესახებ წინასწარი დადგენილება—პრობულევმა (προβούλευμα); მასვე ჰქონდა დაკისრებული სახალხო კრების დადგენილებათა შესრულების მეთვალყურეობა. საბჭო კონტროლს უწევდა აგრეთვე კანონების ცხოვრებაში გატარებას და თანამდებობის პირთა მიერ თვისი მოვალეობის ასრულებას. ამასთან დაკავშირებით საბჭოს მიკუთვნილი ჰქონდა ფართო სამოსამართლო კომპეტენცია, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო დამნაშავე პირთათვის მიესაჯა ჯარიმა და დაპატიმრება და ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილად დასჯაც კი.

არისტოტელი, რომელიც ვრცლად გვაცნობებს საბჭოს ორგანიზაციასა და კომპეტენციას (Ἀθ. πολ. XLIII—XLVII), გადმოგვცემს, რომ შემდეგში საბჭოსთვის ჩამოურთმევიათ სიკვდილად დასჯის უფლება. სხვა შემთხვევებშიც მისი სამოსამართლო დადგენილება საბოლოოდ არ ითვლებოდა და შესაძლებელი ყოფილა მასზე აპელაციის შეტანა სახალხო სასამართლოში. ხუთასის საბჭო თვალყურს ადევნებდა საზოგადოებრივი შენობების აგებას, საკურთხეველებს და დღესასწაულებს, ტრიერების შეშზადებას და სხვ. და სხვ. ამგვარად, საბჭო იყო სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო. მაგრამ უმაღლესი ხელისუფლება ათენის სახელმწიფოში სახალხო კრებას (ეკლესიასი—ἐκκλησία) ეკუთვნოდა. იგი იხილავდა და სწყვეტდა ყველა იმ საკითხს, რომლებიც სახელმწიფო წყობილებას შეეხებოდა; მასზე იყო დამოკიდებული საერთაშორისო ურთიერთობათა გარკვევა, ხელშეკრულებათა დადება, ომის გამოცხადება, ზავის დამყარება; მას ეკუთვნოდა ფლოტისა და ჯარის საკითხების განხილვა; მასზე იყო დამოკი-

დებული ახალი პირების ათენის მოქალაქეთა რიცხვში მიღება და ათენის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის როგორც ათენელი, ისე უცხოელი მოქალაქის დასაჩუქრება; იგი აქვეყნებდა დადგენილებათ კულტის შესახებ; არა ჩვეულებრივ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხებოდა საყურადღებო სახელმწიფო დანაშაულს, იგი ზოგჯერ სასამართლოს როლშიც გამოდიოდა*.

ასეთი მოვალმხრივი და ფაქიად სერიოზული მოვალეობა-უფლებები ჰქონდა დაკისრებული სახალხო კრებას ათენის დემოკრატიის განვითარების ხანაში.

ეკლესია ჩვეულებრივად იკრიბებოდა ყოველ პრიტანიაში პირველად ერთჯერ, შემდეგში კი ოთხჯერ.

ამას გარდა საჭიროების დროს იწვევდენ მის არაჩვეულებრივ კრებებსაც. თითოეული ჩვეულებრივი კრების განსახილველად დაწესებული იყო საქმეთა განსაზღვრული კატეგორია: პირველ კრებაზე იხილავდენ თანამდებობის პირთა მოქმედებათ, სახელმწიფო ღალატში ბრალდებებს, ქონებათა კონფისკაციის შესახებ მოხსენებათ, „პურის“ საკითხს და აწარმოებდენ „კანონების კენჭისყრას“ (ეპიხეიროტონია), რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი; მეორე ჩვეულებრივ კრებაზე იღებდენ თხოვნებს; მესამე და მეოთხე კრებაზე მსჯელობდენ დანარჩენ საკითხებზე; მეექვსეზე ისმებოდა საკითხი ოსტრაკისმის შესახებ და სხვ. თავმჯდომარეობდენ სახალხო კრებებს პრიტანები, საქმის წარმოებას კი განაგებდა ხუთასის საბჭოს მდივანი. ჩვეულებრივი სახალხო კრების „დღიურ წესრიგს“ ხუთი დღით ადრე აქვეყნებდენ. თითოეული საკითხის დასმისათვის აუცილებელი იყო საბჭოს პრობულეემა, რომლის წაკითხვიდანაც იწყებოდა სხდომა.

სახალხო კრების ასეთი დიდი კომპეტენციის გათვალისწინების დროს არ უნდა დავიიწყოთ, რომ პირველად სახალხო კრების დადგენილებას—ფსეფიზმასა და კანონს შორის ცხადი განსხვავება იყო, მაგრამ შემდეგში იგი თანდათანობით მოისპო და სახალხო კრება ყველა სახელმწიფო საქმეს განაგებდა ფსეფიზმების საშუალებით. ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა გავითვალისწინოთ ის გზა, რომლის მიხედვით წარმოებდა ათენში კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა დემოკრატიის სრული ჩამოყალიბების დროს.

ყოველი წლის დასაწყისში პირველ ჩვეულებრივ სახალხო კრებაზე ხდებოდა „კანონების ეპიხეიროტონია“ და ისმებოდა საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა რომელიმე ძველი კანონის შესწორება ან მოსპობა და ახალი კანონის შემოღება. ყოველ დამსწრე მოქალაქეს უფლება ჰქონდა მიეღო მონაწილეობა ამ მსჯელობაში და შეეტანა თვისი წინადადება. თუ კრება მსჯელობის შედეგად საჭიროდ ჩასთვლიდა კანონებში რაიმე ცვლილებების შეტანას, მაშინ ახალი კანონის პროექტს მისი ავტორი წარადგენდა ხუთასის საბჭოში, რომელიც მესამე კრებისათვის ამზადებდა პრობულეემას. ამასობაში პროექტს გამოჰკიდებდენ თვალსაჩინო ადგილებში, რომ ყველა მოქალაქეს მისი გაცნობისა და მის შესახებ საბჭოსათვის თვისი აზრის გადაცემის საშუალება ჰქონოდა. ამასთან ერთად, თუ წარმოდგენილი პროექტი ეწინააღმდეგებოდა რომელსამე არსებულ კანონს, მისი ავტორი ვალდებული იყო ეს განეცხადებია და მოეთხოვა ასეთი

* ასეთ დაბეზღებათ ეისანგელია (εἰσαγγελία) წოდებოდა.

ძველი კანონის გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა ბრალდება „კანონის საწინააღმდეგო მოქმედებაში“—graphe paranomon (γραφὴ παρανόμων). ყოველ ათენელ მოქალაქეს, რომელიც წამოყენებულ პროექტში დაინახავდა წინააღმდეგობას არსებულ კანონებთან, უფლება ჰქონდა გამოსულიყო ამ ბრალდებით. საკმარისი იყო რომელიმე მოქალაქეს ახალი პროექტის, თუ წინადადების განხილვის დროს ფიცის ქვეშ განეცხადებინა, რომ მის წინააღმდეგ შემოიტანს graphe paronomonს, რომ ამ პროექტის შესახებ მსჯელობა შეწყვეტილიყო. ამას შემდეგ საკითხი განსახილველად გადადიოდა სახალხო სასამართლოში. ბრალს დებდა graphe paronomonის წარმომდგენელი, ხოლო მოპასუხის როლში გამოდიოდა პროექტის, თუ წინადადების ავტორი. თუ სასამართლო უკანასკნელს დამნაშავედ იცნობდა, ჩვეულებრივად მას მიუსჯიდა ჯარიმას, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი სიკვდილად დასჯასაც. სამაგიეროდ თუ ბრალმდებელი მოსამართლეთა შორის თავის სასარგებლოდ $^1/_6$ ხმასაც ვერ შეაგროვებდა, მაშინ უსაფუძვლო ბრალდებისათვის იხდიდა ჯარიმად 1 000 დრახმას. ამას გარდა პასუხისმგებლობა რომელიმე პროექტისა და წინადადებისათვის ძალას ჰკარგავდა მისი შეტანიდან ერთი წლის შემდეგ. თუ ავტორი წინასწარ აღნიშნავდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეწინააღმდეგება რომელსამე კანონს და მოითხოვდა მის გაუქმებას, მაშინ ორივეს გადასწერდენ თეთრ დაფაზე და გამოჰკიდებდენ ფილეების ეპონიმთა ქანდაკებთან. მესამე სახალხო კრებაზე პროექტს საბჭოს დასკვნასთან ერთად დაწვრილებით იხილავდენ და, თუ კრება მას მისაღებად მიიჩნევდა, იგი ადგენდა მის გადაცემას ნაფიც მსაჯულთაგან გამოყოფილი განსაკუთრებული კომისიისათვის (ეგრეთწოდებული ნომოთეტების კომისიისათვის), აწესებდა ნომეთეტების რიცხვს, მათი სხდომების წესსა და ვადას, მათ გასამრჯელოს და ირჩევდა ძველი კანონების 5 ოფიციალურ დამცველს (სინდიკს). საქმის გარჩევა ხდებოდა სამოსამართლო პროცესის ფორმით, იცავდა ახალ პროექტს მისი ავტორი, ბრალს დებდა 5 სინდიკი, რომლებიც პირიქით ძველი კანონის დამცველის როლში გამოდიოდენ. ამას გარდა ყოველ ათენელ მოქალაქეს უფლება ჰქონდა მასში მონაწილეობა მიეღო დამცველისა, თუ ბრალმდებლის სახით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პროექტი ნომოთეტების ხმების უმრავლესობას მიიღებდა, იქცეოდა იგი კანონად. ამგვარად სახალხო კრების ჩვეულებრივ დადგენილებასა, რომელიც ცალკეულ, კერძო შემთხვევას ეხებოდა, და კანონს შორის, რომელიც საერთო ნორმას აწესებდა, ღრმა განსხვავება არსებობდა[8]. მაგრამ დროთა მსვლელობაში, როგორც ვთქვეთ, ეს განსხვავება თანდათან მიჩქმალულ იქნა და სახალხო კრებების ფსეფიზმებს, თითქმის კანონების ხასიათი მიენიჭა.

ამგვარად, ათენის დემოკრატიის განვითარებასთან ერთად შეირყა ძველი დაწესებულებების—არქონტატისა და არეოპაგის დიდი გავლენა და სანაგიეროდ უღრესად გაიზარდა ჰელიეას, ხუთასის საბჭოს და სახალხო კრების მნიშვნელობა.

მალე, არეოპაგის რეფორმის გატარების შემდეგ, ეფიალტე მოკლულ იქნა და საფიქრებელია, რომ ეს საქმე არისტოკრატული პარტიის მიერ იყო მოწყობილი. მაგრამ ეფიალტეს მოკვლით მის მიერ დაწყებული საქმე არ შეჩერებულა, ათენის დემოკრატიას გაუჩნდა უფრო ენერგიული წინამძღოლი პერიკლეს სახით.

2. ბრძოლა ოლ ფროსტზე. მშვიდობიანობის ხანა. პერიკლე. ატიკის ვაჭრობა-წარმოების თვალსაჩინო განვითარება. ათენის დემოკრატიის ზოგადი დახასიათება.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა ბედი ეწია კიმონის მეთაურობით წარგზავნილ ექსპედიციას სპარტელების დასახმარებლად მესენიელების წინააღმდეგ. თუკიდიდეს სიტყვით (I, 102), ამ ლაშქრობამ პირველად გამოიწვია დაუფარავი მტრობა ლაკედემონელებსა და ათენელებს შორის: ბრძოლა გაგრძელდა და სპარტელებს შეეშინდათ, რომ ათენელები ითომეში მომწყვდეულ მესენიელებს არ დაახლოვებოდენ და არ მოეხდინათ სახელმწიფოებრივი გადატრიალება, ამიტომ ყველა მოკავშირეთაგან მათ მხოლოდ ათენელები დააბრუნეს უკან. ცხადია, ეს გარემოება უდიდეს ზიანს მიაყენებდა კიმონის პოლიტიკას, რომელიც, როგორც ვიცით, ოსტრაკისმით იქნა გაძევებული ამას შემდეგ ათენიდან. მაგრამ საქმე მაინც არ მისულა ჯერ კიდევ ათენსა და სპარტას შორის შეიარაღებულ შეტაკებამდე.

იმ დროს ათენის ძლიერება იმდენად დიდი იყო, რომ 459 წ. ათენელები ეგვიპტეში ჯარსა და ფლოტს უგზავნიან დასახმარებლად დელტის მთავარს ინარს, რომელმაც ეგვიპტის განსათავისუფლებლად ამბოხება მოაწყო სპარსელების წინააღმდეგ. ეს ნაბიჯი გამოწვეული უნდა ყოფილიყო ორი მოსაზრებით: ერთის მხრით იგი, ასე ვთქვათ, სპარსელებთან ბრძოლის საერთო პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა, მეორის მხრით ათენელებს ეგვიპტე აინტერესებდათ თვისი სავაჭრო ინტერესების მიხედვით, განსაკუთრებით კი იაფი პურის შემოტანის თვალსაზრისით. ინართან ერთად ათენელებმა ალყა შემოარტყეს სპარსელების ჯარს მემფისში.

ამას გარდა ათენის სამფლობელოს ზრდა იმ წლებში ისეთ მიმართულებას იღებს, რომ განსაცდელს უმზადებს სპარტის ჰეგემონიას პელოპონესში: კორინთის მიერ შევიწროებული მეგარი ათენის კავშირს უერთდება და, ამგვარად, ათენს საშუალება ეძლევა ხელი შეუშალოს სპარტას, რომ იგი საჭიროების დროს შუა-საბერძნეთში შეიჭრას. თვით პელოპონესის ერთ-ერთ ნაწილში არგოსში მოხდა დემოკრატიული გადატრიალება და არგოსიც ათენის კავშირში შედის. ამგვარად, ათენი პელოპონესშიც ახერხებს თავის გავლენის გავრცელებას და, ცხადია, ამ გარემოებას გულგრილად ვერ შეხედავდა სპარტა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა პირველი შეტაკება ათენსა და სპარტას შორის (ეგრეთწოდებული პელოპონესის პირველი ომი). სპარტის ლაშქარი შუა-საბერძნეთში გადავიდა, რომ კვლავ გაემაგრებინა თებას ჰეგემონია ბეოტიაში და ამით ათენისათვის აქ თვისი გავლენის განმტკიცების საშუალება მოესპო.

იმავე დროს თემისტოკლეს პროგრამის განვითარების თვალსაზრისით, ათენელები იწყებენ „გრძელი კედლების“ აგებას, რომლებსაც ერთიმეორესთან უნდა შეერთებინა ათენი და ფალერონის და- პირეუსის ნავსადგურები. ასეთი ნაბიჯი სასურველად არ მიაჩნდა კონსერვატორული პარტიის წევრებს, რადგან მიუღებლად სთვლიდენ ათენის მჭიდრო დაკავშირებას პირეუსთან, სადაც თავმოყრილი იყო მათი აზრით ყველაზე უფრო მოუსვენარი და რადიკალურად

განწყობილი მეზღვაურები და მუშები, რომელთაც შეეძლოთ უფრო ენერგიული ზეგავლენა მოეხდინათ ათენის ცხოვრებაზე. ამას გარდა, აკად. ვლ. ბუზესკულის საფუძვლიანი შენიშვნით [9] უკმაყოფილო იყვნენ სოფლის მცხოვრებლებიც, „რომლებსაც ეშინოდათ, რომ ახლა მტრის შემოსევის შემთხვევაში მათი მამულები და თვითონ ისინი მტრის თვითნებობის მახვერპლი გახდებიან მაშინ, როდესაც ქალაქის მოსახლეობა „გრძელი კედლების“ იქით უზრუნველყოფილად იგრძნობს თავს და გულგრილად შეხედავს მათ დარბევას; დასასრულ, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო უკიდურესი ოლიგარქოსების პარტია, რომელიც სპარტაში ეძებდა თავის დასაყრდენს და მზად იყო მის ხელში გადაეცა თვისი ქალაქი, ოღონდ კი დაეთრგუნა მისთვის საზიზღარი დემოკრატია...“ ამ პარტიის წევრებმა საიდუმლო კავშირიც კი დააწესეს სპარტელებთან, რომლებმაც 457 წელს ტანაგრასთან დაამარცხეს ათენელები. მაგრამ გავიდა ორიოდე თვე და ათენელებმა ოინოფიტასთან გამარჯვება მოიპოვეს ბეოტიელებზე, რის შედეგი იყო ათენელების არა მარტო სუპრემატია ბეოტიაზე, არამედ მათთან ფოკიდელებისა და ლოკრიდელების დაკავშირება და ამით მათი გაბატონება შუა-საბერძნეთში თერმოპილამდე. ძველი სავაჭრო კონკურენტი ეგინაც ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ 456 წელს მძიმე პირობებით დამორჩილდა ათენს: იძულებული გახდა სიმაგრეები დაანგრია, გემები ათენისათვის გადაეცა, გადაეხადა 30 ტალენტის კონტრიბუცია და ათენის საზღვაო კავშირში შესულიყო. ასე დამთავრდა ხანგრძლივი ბრძოლა ამ ორ ერთიმეორის მოქიშპე ქალაქს შორის, და ეგინას წილად ხვდა დიდი დამცირებისა და შევიწროვების ვადატანა. ამასობაში დამთავრებულ იქნა ჩრდილოეთის კედლისა და ფალერონის კედლის აშენება და ათენი შეუერთდა პირეუსსა და ფალერონს. როგორც აღვნიშნეთ, ამ კედლების აგებით პერიკლემ განავითარა ათენის გამაგრების საკითხში თემისტოკლეს პროგრამა. ამასთან ერთად მანვე განახორციელა თემისტოკლეს აზრი იმ მხრით, რომ ცდილობდა ათენის გავლენა შორს გაევრცელებია დასავლეთით; ეს კი შესაძლებელი იყო, რასაკვირველია, მხოლოდ კორინთის შევიწროებით, რომლის ვაჭრობა აღმოსავლეთში მეგარის ნავსადგურის ნისეას დაპყრობით, განსაკუთრებით კი ეგინას დამორჩილებით დიდად იყო უკვე შეზღუდული. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში კორინთის წინააღმდეგ იყო მიმართული დაკავშირება დასავლეთის კუნძულებთან—ზაკინთოსსა და კეფალენიასთან და ზოგიერთი პუნქტის დაკავება კორინთის ზღვის ყურეში 455 წელს [10].

მაგრამ 454 წელს ათენის ჯარმა სასტიკი კატასტროფა განიცადა ეგვიპტეში; სპარსეთის მხედრობამ დაამარცხა მემფისთან ათენელები და დელტისაკენ დაახევინა; აქ კი ბრძოლის დროს თითქმის სავსებით იქნენ განადგურებული.

ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა ათენელები, რომლებიც შიშობდენ, რომ ასეთი გამარჯვების შემდეგ სპარსეთის მეფე მათ წინააღმდეგ გამოილაშქრებდა, და ამიტომ საკავშირო სალარო დელოსიდან ათენში გადაიტანეს (454 წ.). მაგრამ სპარსეთის მეფეს, გარდა კიპრის კვლავ დაკავებისა, თვისი გამარჯვებით არ უსარგებლია. ამას შემდეგ, მართალია, 453 წელს პერიკლემ მოაწყო ახალი ლაშქრობა, რომელსაც თან მოჰყვა აქეის ქალაქების დაკავშირება ათენ-

თან, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ განცდილი კატასტროფის შემდეგ ათენს დასვენება ესაჭიროებოდა, განსაკუთრებით ახალი ფლოტის შესაქმნელად. ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა გამოეწვია, სხვათაშორის, მოკავშირეთა ფორ-სის გადიდებაც.

451 წელს ათენში დაბრუნდა კიმონი ათი წლის გაძევების შემდეგ და მისი მეოხებით ათენმა სპარტასთან 5 წლით მშვიდობიანობა დაამყარა, რის შემდეგ მასთან (სპარტასთან) არგოსიც 30 წლით ჰკრაეს ზავს.

სამაგიეროდ კიმონის დაბრუნებასთან ერთად კვლავ აქტუალურ ხასიათს ღებულობს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

კიმონმა მოახერხა, რომ მისი მეთაურობით 449 წ. გაგზავნეს ახლადაგე-ბული ფლოტი კიპრიდან სპარსელების განდევნის მიზნით, მაგრამ იგი გზაზე გარდაიცვალა და, როგორც ვიცით, მალე სპარსელებთან დადებულ იქნა ეგრეთ-წოდებული კალიასის ზავი. ამ ზავის დადებით პერიკლეს სურდა, რომ სპარ-სეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით კვლავ გაედიდებია ათენის ნივთიერ-ი საშუალებანი, რომელნიც ორ ფრონტზე ბრძოლისა და განსაკუთრებით ეგ-ვიპტის კატასტროფის გამო ძალზე შემცირებული იყო; მეორის მხრით იგი ცდილობდა დაეჩქარებია ატიკა-დელოსის კავშირის ატიკის სამფლობელოდ გა-დაქცევა, რომ ამით უფრო ხელშესახები გაეხადა ათენის ძლიერება ზღვასა და ხმელეთზე. ათენს რომ საშუალება მისცემოდა დაეყუჩებია ორ ფრონტზე ბრძო-ლის დროს მიღებული ჭრილობები, პერიკლე საჭიროდ სთვლიდა აგრეთვე სპარტასთან უფრო ხანგრძლივი ზავის დადებას მით უმეტეს, რომ ამ დროს ათენმა ფრიად თვალსაჩინო მარცხი განიცადა. 447 წელს იგი დამარცხებულ იქ-ნა კორონეასთან და მას განუდგა ბეოტია, სადაც კვლავ დაარსდა ოლიგარ-ქიული სახელმწიფოების კავშირი თებას მეთაურობით; ამას კი თან მოჰყვა ათე-ნის ჰეგემონიის მოსპობა შუა-საბერძნეთში. აუჯანყდენ ათენს აგრეთვე ევბეის ქალაქები და მეგარი, რომელთაც დაეხმარენ ლაკედემონელები და მათი მოკავ-შირეები. სპარტელების ჯარი ატიკაშიც კი შეიჭრა, მაგრამ მალე უკან გაბრუნდა. ათენელებმა შესძლეს აჯანყების ჩაქრობა ევბეაში და გაგზავნეს იქ ათენელი კლერუქები. საერთოდ ამ პერიოდში ათენელებმა, ეგინისა და ნავპაქტოსის გა-მოკლებით, ყველა სხვა ახალი მონაპოვარი დაჰკარგეს და იძულებული გახდენ მშვიდობიანობის გზაზე დამდგარიყვენ. 446 წელს სპარტასა და მის მოკავში-რეებს და ათენს შორის დადებულ იქნა 30 წლიანი ზავი, რომლის მიხედვით ათენელებმა უარი თქვეს მეგარზე და პელოპონესის მოკავშირეებზე: ეგინას მიენიჭა ავტონომია, მაგრამ ხარკი უნდა ეძლია ათენისათვის; ამას გარდა ორი-ვე მხარეს აეკრძალა მიეღო თავის კავშირში მეორე კავშირის წევრი.

მართალია, 30 წლიანი ზავი ფაქტიურად მხოლოდ 15 წლის განმავლო-ბაში დარჩა ძალაში, მაგრამ ასეთი ხანმოკლე მშვიდობიანობის დროს ათენმა მაინც შესძლო, როგორც საგარეო, ისე შინაური მდგომარეობის განმტკიცება. ეფიალტეს საქმის გაგრძელება, როგორც უკვე იყო ნათქვამი, რადიკალური პარტიის მეორე მეთაურს პ ე რ ი კ ლ ე ს დაეკისრა. კ-მონის გარდაცვალების შემდეგ, კონსერვატორულ პარტიას მეთაურობდა მისი სიძე, მელესიას შვილი, თ უ კ ი დ ი დ ე, რომელიც თვისი პარტიის ინტერესების მიხედვით ცდილობდა

ხელი შეეშალა ათენის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის. მაგრამ იგი ოსტრაკიზირებულ იქნა და თვით კონსერვატორულმა პარტიამ დიდი დეზორგანიზაცია განიცადა. სამაგიეროდ რამდენიმე წლის განმავლობაში ზედი-ზედ ირჩევდენ რადიკალური პარტიის წინამძღოლს პერიკლეს ობერსტრატეგოსად, რომელსაც, როგორც ვიცით, არქონტატის რეფორმის შემდეგ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოში. ხოლო უფრო საყურადღებო ის იყო, რომ პერიკლე ხალხის მიერ სრული ნდობით აღჭურვილ პირად—დემაგოგად (δημαγωγός) ითვლებოდა და, როგორც ასეთი, დიდი გავლენით სარგებლობდა სახალხო კრებაში. პერიკლე წარჩინებული ჩამომავლობისა იყო (მამა მისი კსანთიპე მიკალესთან გამარჯვების ერთ-ერთი მესვეურთაგანი იყო, დედა—ალკმეონიდების გვარიდან) და თვისი ოჯახის ტრადიციისა და გარეგანი ქცევის მიხედვით, თითქოს, ნამდვილ არისტოკრატს განასახიერებდა [11], მაგრამ თვისი განწყობილებითა და სოფლმხედველობით იგი უფრო დემოკრატს წარმოადგენდა. მისი როლი და გავლენა ძველადვე ისე გადაჭარბებულად ეჩვენებოდათ ათენელ მწერლებს, რომ მას ძველ დიდ ტირანებს ადარებდენ, ხოლო ისტორიკოსი თუკიდიდე ასეთი სიტყვებით გვიხასიათებს მის მნიშვნელობას ათენის სახელმწიფოში (II, 65,9): სიტყვით ეს იყო დემოკრატია, საქმით კი პირველი მამაკაცის ბატონობაო (ἐγίγνετο τε λόγῳ μὲν δημοκρατία, ἔργῳ δὲ ὑπὸ τοῦ πρώτου ἀνδρὸς ἀρχή). იგივე გარკვევით აღნიშნავს, რომ უფრო პერიკლე უძღვებოდა ხალხს, ვიდრე თვითონ ემორჩილებოდა მის ხელმძღვანელობასო [12]. საერთოდ ჩვენ დროშიც კი პერიკლეს ზოგიერთი ისტორიკოსი ათენის დემოკრატიის განვითარებაში არაჩვეულებრივად დიდ როლს მიაწერს და მის სახელს უწოდებენ ზოგჯერ ათენის ისტორიაში ამ უაღრესად საყურადღებო ეპოქას („პერიკლეს ეპოქა"). რასაკვირველია, ყოველივე ამაში ბევრი რამ გადაჭარბებულია. პერიკლე არსებითად გამგრძელებელი იყო იმ დიდი საქმისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს წინა ისტორიული პროცესის მიხედვით კლისთენმა, თემისტოკლემ, არისტიდემ და ეფიალტმა, და ამ მხრით მას ათენის დემოკრატიის გენიალურ დამაარსებათ ვერ ჩავთვლით, მაგრამ იმის უარისყოფა არ შეიძლება, რომ პერიკლემ სწორი აღღო აუღო ათენის სახელმწიფოს განვითარების პირობებს, უფრო მტკიცედ და ფაქტიურად ჩამოაყალიბა დემოკრატიული წყობილება და ამ მიმართულებით ზოგიერთი რამ მაინც გააძლიერა ათენის დემოკრატიულ მოძრაობაში და, რაც მთავარია, იგი უაღრესად ცდილობდა დემოკრატიული წყობილება პრაქტიკულ განხორციელებასთან საფუძვლიანად დაეახლოებინა.

თავიდანვე პერიკლე, პლუტარქის სიტყვით (Plut. Perik. c. 17) დიდ ყურადღებას აქცევდა ჰელენთა შორის მშვიდობიანობის განმტკიცებას და ამ მიზნით შეიმუშავა პროექტი ათენში პანჰელენური კონგრესის მოწვევისა, რომელსაც ათენის მეთაურობით ჰელადაში ახალი მშვიდობიანი ერა უნდა დაემყარებინა, ხოლო ბერძნებს შორის კი სრული სიწყნარე (εἰρήνη) და მათი ძა-

ლები საერთო საქმეებისაკენ (κοινοπραγία) მიემართა, მაგრამ სპარტა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო მეტად გულგრილად და, შეიძლება ითქვას, უნდობლადაც შეხვდა ამ იდეას და პერიკლეს პროექტი ვერ განხორციელდა.

ათენის სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო გაძლიერების თვალსაზრისით პერიკლემ დააჩქარა და უფრო გარკვევით შეუწყო ხელი ატიკა-დელოსის კავშირის ათენის სამფლობელოდ გადაქცევის უკვე შემზადებულ პირობებს.

რაც შეეხება პერიკლეს, როგორც რადიკალური პარტიის მეთაურის, შინაგან პოლიტიკას, მას ახასიათებს სამი მთავარი მომენტი: 1. ნივთიერად შეუძლო და მცირე-ქონებიანი მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ფაქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის ცდა; 2. საზოგადოებრივი შენობების აგებითა და კლერუქიების განსახლებით მოქალაქების ღარიბი ნაწილისათვის სამუშეაროსა და საარსებო საშუალებათა მინიჭება; და 3. ათენის საერთო სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად გადაქცევის ხელისშეწყობა.

პირველი მომენტის დასახასიათებლად უნდა მოვიგონოთ, რომ პერიკლეს გარეშე არ უნდა მომხდარიყო ის ფაქტი, რომ 457 წ. მოსახლეობის მესამე კლასს ძეგვიტებსაც მიეცა უფლება არქონტის თანამდებობის მოპოებისა. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის, რომ პერიკლემ ნივთიერად შეუძლო მოქალაქეთა ინტერესების მიხედვით შემოიღო გასამრჯელო სახელმწიფო მოვალეობათა შესრულებისათვის - პირველად ნაფიც მსაჯულობისათვის, შემდეგ საბჭოს წევრობისათვის (ეგრეთწოდებული—βουλευτικόν—ბულევტიკონი) და ჯარში სამსახურისათვის (στρατευτικόν—სტრატიოტიკონი).

ძველად სამხედრო სამსახური ათენში დაკავშირებული იყო ქონებრივ ცენზთან და მოითხოვდა განსაზღვრულ ნივთიერ საშუალებას შეიარაღებისათვის. ბერძენ-სპარსელთა ომების დროს კი სამხედრო სამსახურში მოწოდებულ იქნენ ეკონომიურად შეუძლო წრეებიც. ამიტომ, რომ მათთვის შესაძლებელი და მისაწვდომი ყოფილიყო სამხედრო მოვალეობის შესრულება, პერიკლემ მეომრების მიმართაც დააწესა გარკვეული გასამრჯელო. მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი პერიკლეს დემოკრატიული პოლიტიკისათვის იყო ის, რომ მან მოქალაქეთა ღარიბი ნაწილისათვის შემოიღო „სანახაობათა ფული" (θεωρικά) - თეორიკონი, რომელსაც სპეციალური მნიშვნელობა ჰქონდა, ხელმისაწვდომი გაეხადა ღარიბ მოქალაქეთათვის დღესასწაულების დროს თეატრის სანახაობებზე დასწრება.

მეორე მომენტის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ პერიკლემ, პისისტრატეს მსგავსად, ათენი გაამშვენიერა ძვირფასი შენობების აგებით და თვისი მშენებლობის განხორციელებით მცირე შემოსავალი მაინც გაუჩინა მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს. პერიკლეს მოღვაწეობის ეს მხარე შეუმჩნეველი არ დარჩენია ზოგიერთ ძველ მწერალს. პლუტარქი, მაგ. აღნიშნავს: პერიკლეს სურდა, რომ ხელოსნებსაც, რომლებიც ვალდებული არ იყვენ ემსახურათ ჯარში, ჰქონოდათ მონაწილეობის თვისი წვლილი შემოსავალში, მაგრამ მიეღოთ იგი მხოლოდ შრომით (Plut. Perik. c. 11). ამ მიზნით მას შემოუღია საზოგადოებრივი სამუშაონი, რომელთა წყალობით საშოვარი მოუცია 17 სხვადასხვა პროფესიის ხელოსნებისათვის, რომლებსაც პლუტარქი იქვე ჩამოთვლის. ამ ფაქტს

ადასტურებს აგრეთვე ერეხთეიონის აგებაზე გაწეული ხარჯების შენახული ანგარიშები[13]. ამას გარდა მცირემამულიანი და უმამულო მოქალაქეების მოსაწყობად პერიკლეს დროს ფართოდ წარმოებდა ახალშენებისა და კლერუქიების განსახლება სხვადასხვა ადგილებში. ამ გზით, გარდა სამხედრო მეთვალყურე პუნქტების დაარსებისა, მრავალი მოქალაქე იძენდა მიწა-წყალს. ახალშენებში გადაყვანილ ათენელ მოქალაქეთ წილისყრით ეძლეოდა მიწის განსაზღვრული ნაკვეთები—კლეროსები *, რაც მოკავშირეებს დიდად აღელვებდა იმ შემთხვევებში, როდესაც კლერუქიები მათ სამფლობელოში ეწყობოდა.

ამასთან ერთად პერიკლეს დროს, წინააღმდეგ სოლონისა და კლისთენის ლიბერალური პოლიტიკისა, ათენის მოქალაქეობის გარკვევის საკითხში, 451 წელს გამოიცა კანონი, რომელმაც სასტიკად განსაზღვრა იმ პირთა კატეგორია, რომელთაც შეეძლოთ ათენის მოქალაქეები ყოფილიყვენ. ახალი კანონის ძალით ათენის მოქალაქეთ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ისეთი პირი, რომლის დედაც და მამაც ათენელი მოქალაქეები იყვენ. (ἐξ ἀμφοῖν αστοῖν). ასეთი შეზღუდვა ათენის მოქალაქეობის მიღების უფლებისა ფრიად საბედისწერო აღმოჩნდა ატიკის საზღვაო კავშირის სიცოცხლის უნარიანობისათვის[14]. ჩვენ ვიცით, რომ ათენს მრავლად განუდგა მოკავშირეები, ხოლო სიცილიის კატასტროფის შემდეგ ეს კავშირი სავსებით დაირღვა.

მ ე ს ა მ ე მომენტის გათვალისწინების დროს უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიგონოთ, რომ პერიკლეს ხანაში მოკავშირეების სამეურნეო და პოლიტიკური დამოკიდებულება ათენისაგან თვისი განვითარების ზენიტს აღწევს. ათენი ფლობდა სამხრეთ-რუსეთის ხორბლეულობის ექსპორტს, განსაზღვრავდა მის განაწილებას მოკავშირეთა შორის და სრული საშუალება ჰქონდა ყოველ ურჩ მოკავშირეს მისი მიწოდების აკრძალვით დამუქრებოდა. ამ განაწილების მეთვალყურეობა დაკისრებული ჰქონდა „ჰელესპონტის მცველებს“) (Ἑλλησποντοφύλακες), რაც პირველად მხოლოდ პელოპონესის ომის დასაწყისში იქნა დაწესებული და გარეგნულად, თითქოს სამხედრო ზომას წარმოადგენდა, თუმცა არსებითად მოკავშირეების მიმართ ათენის ეკონომიურ ბატონობას განასახიერებდა. დიდ თვალყურს ადევნებდა ათენი აგრეთვე იმას, რომ მოკავშირეების გემებს ნედლი მასალა სხვაგან არ წაეღოთ და პირველ რიგში მხოლოდ ათენში მიეტანათ. აღმოსავლეთში იონელთა ოდესღაც შორს გავრცელებული ვაჭრობა სპარსეთთან ხანგრძლივი ომიანობის გამო დაეცა და, როდესაც კალიასის ზავმა კვლავ შესაძლებელი გახადა აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენა, ამით ისარგებლეს ათენელებმა და ამ მხრით იონელების მემკვიდრეები გახდენ. პერიკლეს გიზანშეწონილი სავაჭრო პოლიტიკა ათენის სურსათისა და ნედლი მასალით უზრუნველყოფის თვალსაზრისით ისევე უწყობდა ხელს პონტოსთან საპირო ურთიერთობის განმტკიცებას, როგორც დასავლეთთან. მისი შორსმჭვრეტელი პოლიტიკის შედეგი იყო ამ მხრით საკავშირო ხელშეკრულებათა დადება სეგესტასთან (454 წ.) და ლეონტინოისთან და რეგიონთან (433 2 წ.), რომლებსაც ძალზე ავიწროებდა ძლიერი სირაკუსი, და თურიოის დაარსება (444 წ.) ქვედა-იტალიაში.

* აქედან კლერუქია- κλῆρος=ნაკვეთი და ἔχω=მაქვს.

შექმნილი მდგომარეობის გამო ხმელთაშუა ზღვის მიდამოებიდან სხვადასხვაგვარი საქონელი თავს იყრიდა პირეუსის საუცხოოდ გაშენებულ სავაჭრო ნავსადგურში. პირეუსი, რომელშიც ჰიპოდამ მილეტელის მიერ აგებული ნაგებსადგურო ქალაქი მისი სწორკუთხოვანი ერთიმეორეზე გადაჯვარადინებული ქუჩებით გამალებული ტემპით ვითარდებოდა[15], იყო არა მარტო ათენის სამფლობელოს, არამედ ხმელთაშუა ზღვის მხარეების უდიდესი სავაჭრო პუნქტი. ამ მხრით მას ვახსმუთი (Wachsmuth) სამართლიანად უწოდებს საბერძნეთის უდიდეს ზღვისპირა ბაზარს[16]. პროფ. კულიშერს[17] აღნიშნული აქვს ორატორის ისოკრატეს ერთი სიტყვა (Paneg. 10 – 12), რომელშიც იგი ამბობს: „არა ყველგან აკმაყოფილებს მხარე მოსახლეობის მოთხოვნილებათა, პირიქით, ხშირად საგრძნობი ხდება ამათუიმ საგნების სიმცირე იმ დროს, როდესაც სხვა საგნები გადაჭარბებით მოიპოვება, ამიტომ არ იციან, საიდან მოიტანონ ერთი და სად წაიღონ მეორე. ათენმა მოაწესრიგა ეს უხერხულობა საბერძნეთის ცენტრში პირეუსის შექმნით, რომელიც განსხვავდება ისეთი ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, რომ იქ ადვილად შეიძლება მოვიპოვოთ ყოველივე ის, რაც სხვა შემთხვევებში შეიძლება შეეიძინოთ მხოლოდ ნაწილობრივად და ისიც გაჭირვებით“... საერთოდ ათენი უკვე მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში შეიქნა ფრიად ცნობილ სავაჭრო ქალაქი, რომელიც გახდა ტრანზიტის ფართო ბაზარი [18]. მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ათენი იყო არა მარტო ტრანზიტის ადგილი, არამედ თვით ჰქმნიდა სხვადასხვა საგნებს ექსპორტისათვის. იმ დროის ათენში არსებობდა სპეციალური ქუჩები, რომლებსაც გარკვეული დარგის ხელოსნების სახელი ეწოდებოდა, მაგ. მოქანდაკეთა ქუჩა, ყუთების გამკეთებელთა ქუჩა, ტყავის დამმზადებელთა ქუჩა და სხვ.; აქვე იყო მეჭურჭლეთა განსაკუთრებული სავაჭრო მოედანი[19].

ჩვენ არ მოგვეპოვება საბუთები იმის შესახებ, იცნობდა თუ არა ამის მიხედვით ათენი ხელოსანთა ამქრებს, მაგრამ ამათუიმ დარგის ხელოსნების გარკვეულ ქუჩაზე თავის მოყრის ფაქტი იმას უნდა მიგვითითებდეს, რომ მათ წარმომადგენლებს შორის რაღაც კავშირი არსებობდა.

ამგვარად, ათენში ფართოდ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის ხელოსნობა და, ცხადია, არსებობდა არა მარტო სპეციალიზაცია, არამედ უფრო მაღალი სამრეწველო განვითარების დამადასტურებელი დანაწილება წარმოების პროცესებისა[20].

ათენის სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობას ჩვენ კვლავ დაეუბრუნდებით, როდესაც შეეხებით საერთოდ საბერძნეთის მეურნეობის მდგომარეობას V—IV საუკუნეებში. აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ათენში უნდა გაზრდილიყო მონათა რიცხვიც, როგორც ამას საფუძვლიანად აღნიშნავს ვილკენი[21].

ამ ეპოქაში ათენის დემოკრატიამ უკვე მიიღო მთავარ ხაზებში გარკვეული სახე და ორგანიზაცია. ამ მხრით უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიგონოთ, რომ, მართალია, ათენის დემოკრატიის მესვეურნი გარკვევით იბრძოდნენ იმისათვის, რომ ყველა მოქალაქეს თანასწორად ესარგებლა პოლიტიკური უფლებებით და თანასწორი მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს ცხოვრებაში, მაგრამ

ეს შეეხებოდა მხოლოდ მოქალაქეებს და არა საერთოდ მთელ მოსახლეობას.

ამიტომ თუ ათენის სახელმწიფოს, მაგ., სპარტას შევადარებთ, იგი მართლაც დემოკრატიულ სახელმწიფოდ გვეჩვენება, მაგრამ საერთო თვისებების მიხედვით კი უფრო სხვა სურათი წარმოგვიდგება. ჩვენ ვიცით, რომ ათენის მოკავშირეები თანდათანობით მისი ქვეშევრდომები გახდენ და, მართალია, მოკავშირე ქალაქებში ათენელები დემოკრატიულ წყობილებას უჭერდენ მხარს. მაგრამ ამ დემოკრატიული თემების წარმომადგენლები ათენში მოქალაქეებად არ ითვლებოდენ და არც სარგებლობდენ პოლიტიკურ უფლებებს. ამგვარად, ათენში გადმოსახლებული მოკავშირეები სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი არ იყვენ. რაც უფრო იზრდებოდა ათენს სავაჭრო-სამრეწველო და კულტურული მნიშვნელობა, მით უფრო მრავალად მოდიოდა ათენში სხვა ქალაქების მცხოვრებლები, რომლებიც, როგორც მეტეკები, განსაკუთრებული გადასახადით იყვენ დაბეგრილი (μετοίκιον -მეტოიკიონი=12 დრახმას) და მძიმე და დამამცირებელ მდგომარეობაში იმყოფებოდენ. მართალია, ზოგჯერ ისინი ახერხებდენ მონაწილეობა მიეღოთ კომერციულსა და ინდუსტრიულურ ცხოვრებაში და იშვიათ შემთხვევაში ფლოტსა და ჯარშიც მოხვედრილიყვენ, მაგრამ მოქალაქის უფლების მოპოება მათთვის ისევე ძნელი და თითქმის შეუძლებელი იყო, როგორც მოკავშირეებისათვის; რომელთა ფოროსი ახლა უკვე ათენის სასარგებლოდ მიდიოდა; არას ვიტყვით მონებზე, რომელთა რიცხვიც ამ საუკუნეში-წარმოების განვითარებასთან ერთად დიდად გაიზარდა.

ჩვენ ვიცით, რომ უხსოვარი დროიდან მონა არ ითვლებოდა პიროვნებად, არამედ სულიერ ქონებად. (ktema empsychon) და. მაშასადამე, იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უფლებათა სუბიექტი და მით უმეტეს რაიმე მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს ცხოვრებაში.

ხვოსტოვს აღნიშნული აქვს მომზენის აზრი[22], რომ რომაელი მოქალაქენი თავის უფლებას მოქალაქეობისას ისე უცქეროდენ, როგორც აქციას, რომელიც მოგებაში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა. ასევე ათენელ მოქალაქეებს არ სურდათ სხვებისათვის გაეწაწილებიათ თვისი მდგომარეობის ხელსაყრელი პირობები. თუ კლისთენის დროს ათენელი მოქალაქის უფლების მიღება შედარებით ადვილი იყო და მრავალი მეტეკი და მონაც კი იქნა შეყვანილი ფილეებში, ახლა პერიკლეს კანონის წყალობით 5.000 პირზე მეტმა დაჰკარგა მოქალაქის უფლება და ბევრი იძულებული გახდა მიეტოვებია ათენი. ერთი სიტყვით, ათენის მეურნეობა და მასთან დაკავშირებით ათენელების სამოქალაქო უფლებები უმთავრესად დამორჩილებული ხალხებისა და ქალაქების, განსაკუთრებით კი მეტეკების და მონების ექსპლოატაციაზე იყო დამყარებული, და ამიტომ თუ ათენის თემი თავგამოდებით იცავდა თვისი წევრების თანასწორუფლებიანობას, მეორის მხრით იგი დიდი წინააღმდეგი იყო თავის წრეში უცხო პირების მიღებისა.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა ზომები მიიღო პერიკლემ იმისათვის, რომ სახელმწიფოს ორგანოებში ნივთიერად ხელმოკლე ადამიანებსაც ჰქონოდათ მონაწილეობის საშუალება. 395 წლიდან ამ ზომებს მიემატა კიდევ გასამრჯელო სახალხო კრებაზე დასწრებისათვის (ἐκκλησιαστικόν—ეკლესიასტიკონი).

ამგვარად, IV ს-ში, თითქმის ყველა პოლიტიკური მოვალეობის შესრულებისათვის დაწესებულ იქნა გასამრჯელო. აქიდან შეგვეძლო გვეგულისხმა, რომ, მაშასადამე, თვით ათენელ მოქალაქეთა შორის სრული თანასწორუფლებიანობა და მისი ფაქტიური გამოყენების საშუალება დამყარდა, მაგრამ, რასაკვირველია, ნამდვილად ეს ასე არ იყო.

ორ მთავარ თვისებას აღნიშნავდენ ძველად განსაკუთრებით ათენის დემოკრატიაში—ისონომიას, ე. ი. კანონის წინაშე თანასწორობას, თანასწორუფლებიანობას, და ისეგორიას. ე. ი. თანასწორ უფლებას სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას. „რაც შეეხება სახალხო მმართველობას, ამბობს ჰეროდოტე ერთ-ერთი სპარსელის პირით (III, 80), მას აქვს ერთის მხრით ყველაზე უმშვენიერესი სახელი—ისონომია, ხოლო მეორის მხრით მმართველი ხალხი არ ჩადის არაფერს ისეთს, რასაც მონარქი...“ მაგრამ ათენის დემოკრატიის სრულ აპოთეოზს წარმოადგენს თუკიდიდეს მიერ გადმოცემული პერიკლეს სიტყვა (II, 37—41): „ეწოდება ჩვენ წყობილებას დემოკრატია იმიტომ, რომ იგი ემყარება არა უმცირესობას, არამედ უმრავლესობას. კანონით კერძო საქმეებში ჩვენ ყველას თანასწორი უფლებები გვაქვს; რაც შეეხება გავლენას. თითოეული, თუ იგი რითიმე განთქმულია, სარგებლობს მეტი პატივით სახელმწიფო მოღვაწეობაში არა რომელიმე კლასისადმი კუთვნილების გამო, არამედ თვისი ღირსების მიხედვით. ღატაკსაც კი არ უშლის მისი ბეჩავი მდგომარეობა ხელს გაუწიოს სახელმწიფოს სამსახური, თუ კი მას საამისო ნიჭი აქვს...“

ვნახოთ, რამდენად შეესაბამებოდა ასეთი დახასიათება ათენის დემოკრატიის სინამდვილეს და რამდენად ტარდებოდა ცხოვრებაში ათენის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა და თანასწორი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სხვადასხვა თანამდებობებისათვის გასამრჯელო იქნა დაწესებული. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაგვიწევს მკვლევარის ზუნდვალის (J. Sundwall) სპეციალური ნარკვევი, რომელიც უმთავრესად ეპიგრაფიულ მასალაზეა დამყარებული[23].

დავიწყოთ ხუთასის საბჭოდან. არისტოტელის ცნობით (LXII, 2) საბჭოს თითოეულ წევრს ეძლეოდა დღეში 5 ობოლი, ხოლო პრიტანს 1 დრახმა. ცნობილი მეცნიერის ფრანკოტის (Francotte) გამოანგარიშებით 1 დრახმა არ იყო დიდი თანხა და ოჯახის უფროსს გაჭირვებით შეეძლო მისი აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილება[24]. ამას გარდა იგი ეძლეოდა საბჭოს წევრებს მხოლოდ მათი პრიტანიის მორიგეობის დროს—35, ან სულ დიდი 39 დღეს, ხოლო თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ საბჭო წელიწადში სულ დაახ. 300 დღეს იკრიბებოდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დანარჩენ 265 დღის განმავლობაში მათ დღიურად 5 ობოლი ურიგდებოდა; ამ ფულით კი დიდად მოშჭირნე ადამიანსაც ძალზე გაუჭირდებოდა თავის გამოკვება, სხვა ოჯახის წევ-

რებს რომ თავი დავანებოთ. ამის მიხედვით ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთ პირობებში საბჭოს წევრად არჩეულ ათენის ღარიბ მოქალაქეს, ისიც ოჯახიანს, საშუალება ექნებოდა სხვა საშუშაოსათვის თავი მიენებებია და პირნათლად შეესრულებია თავისი მოვალეობა, ერთი სიტყვით, იგი ფაქტიურად საბჭოს თანასწორუფლებიანი წევრი ვერ იქნებოდა. ასეთი დასკვნისათვის საჭირო მასალა ზუნდვალს გარკვევით აქვს აღნიშნული[25]. ამიტომ საბჭოს ხელმძღვანელობა არსებითად საშუალო შეძლებისა და მდიდარი მოქალაქეების ხელში უნდა ყოფილიყო და ღარიბების მიმართ კი ეს უფლება უფრო ნომინალურ ხასიათს ატარებდა. ამასთან ერთად ვრცელი ეპიგრაფიული მასალის მიხედვით ზუნდვალი საფუძვლიანად დაასკვნის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში— დემებში მთავარ როლს მოსახლეობის შეძლებული ნაწილი თამაშობდა და ნივთიერად ხელმოკლე მოქალაქეები კი შედარებით უფრო მეორეხარისხოვან ელემენტებს წარმოადგენდენ. თვით სახალხო კრებაშიც კი, რომელიც ათენის დემოკრატიის სრულ სუვერენიტეტს განასახიერებდა, პროლეტარიატს და მცირე შეძლების მოქალაქეებს არ ჰქონდათ ისეთი მნიშვნელობა და გავლენა, რომელიც მათ რიცხვის მიხედვით ეკუთვნოდათ. ის მცირე გასამრჯელო, რომელიც IV ს-ში იქნა დაწესებული სახალხო კრებაზე დასწრებისათვის, არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მოქალაქეთა ამ დიდ ნაწილს შესძლებოდა ყოველთვის მიეღო მონაწილეობა რთული სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში. მხოლოდ ისეთ გამწვავებულ მომენტებში, როდესაც ათენის სახელმწიფო მძიმე ეკონომიურსა და პოლიტიკურ კრიზისებს განიცდიდა, ათენის მოქალაქეების ეს ნაწილი ახერხებდა სახელმწიფოს ხელმძღვანელი როლის სავსებით მითვისებას. ამიტომ სამართლიანად შენიშნავს ხვოსტოვი[26], რომ სახელმწიფო თანამდებობათა ასრულებისათვის გასამრჯელოს დაწესების პრინციპი სრულებით არ ჰქმნიდა ათენში პროლეტარიატის მუდმივ ბატონობას.

მეორის მხრით საყურადღებოა ათენელი მოქალაქეების დამოკიდებულება დაქირავებული შრომისადმი. ხშირად ამ საკითხის გარშემო ერთსადაიმავე დროს და ზოგჯერ ერთსადაიმავე პირის მიერ გამოთქმული ყოფილა ორი მოწინააღმდეგე მოსაზრება. თუკიდიდეს გადმოცემით, პერიკლე აღნიშნავდა: იმას, ვინც არავითარ საქმეს არ მისდევს, ჩვენ თავისუფლების მოყვარულ ადამიანად კი არ აღვიარებთ, არამედ უსარგებლო ადამიანადო.

პლუტარქის სიტყვით (Pericles XIX) კი პერიკლე აცხადებს: ისინი, ვინც იარაღს არ ატარებენ და იძულებული არიან თვისი მარჯვენით იცხოვრონ, იღებენ სახელმწიფო შემოსავლის ნაწილს, ხოლო ის, რაც მათ ეძლევა, არ არის გასამრჯელო უსაქმობისათვის. მათ სარგებლობენ დიდი შენობების აგებისას, ან იყენებენ ყოველგვარი სახის ხელოვნებაშიო. ამ სიტყვებიდან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ პერიკლეს დროს ათენში ზიზღით უცქეროდენ ფიზიკურ შრომას. უფრო მეტიც სათანადო ძეგლების მიხედვით სხვადასხვა დარგის ხელოსნები მსხვერპლის შეწირვის დროს სრულებითაც არ მალავენ თავის პრო-

ფესიას და მეწაღეები და ნალბანდები საფლავის ქვებზე გმირულ პოზებში არიან გამოსახული თვისი ხელობის იარაღებთან ერთად.

მაგრამ ამ მხრით მეტად დამახასიათებელი ეპიზოდი მოგვეპოება IV ს-ის ათენის ისტორიიდან, როდესაც დემოკრატიული ტენდენცია, თითქოს, განსაკუთრებით ძლიერი იყო. ამ ეპიზოდს ვეცნობით ორატორი დემოსთენის ერთ-ერთ სიტყვაში[27]. ერთი ათენელი მოქალაქე, სახელად ევკსითეოსი, დემოტების სიიდან ამოურიცხავთ და, ამგვარად, მისთვის მოქალაქის უფლებები წაურთმევიათ. სხვათა შორის ასეთი მოქმედების გასამართლებლად აღუნიშნავთ ის, რომ თვითონ იგი და მისი დედა ბაზარში ლენტებით ვაჭრობდენ: ევკსითეოსი ბაზარში ჰყიდდა ლენტებს, ის ხელოსანი და წვრილი ვაჭარია; მაშასადამე, იგი მეტეკია და არა ათენელი. ამას გარდა დედა მისი ყოფილა ძიძა. „ჩვენ აღვიარებთ, ამბობს ევკსითეოსი, რომ ლენტებსაც ვყიდდით და ვერც ისე ვცხოვრობდით, როგორც გვსურდა“, დედა მართლაც იყო ძიძადა: „ჩვენ არ უარვყოვთ, რომ ეს ნამდვილად მოხდა, როდესაც სახელმწიფო უბედურებას განიცდიდა (ომის გამო) და ყველა გაჰივრებაში იმყოფებოდა... ჩვენ რომ მდიდრები ვყოფილიყავით, არ დავიწყებდით ლენტებით ვაჭრობას და გამოუვალ[illegible]მდგომარეობაში არ ჩავვარდებოდით... ნუ ამცირებთ, მოსამართლენო, ღარიბებს—საკმარისია მათთვის უკვე მათი გაჰივრება—სიღარიბე, ნუ დაამცირებთ განსაკუთრებით იმათ, რომელნიც უპირატესობას ანიჭებენ შრომას და პატიოსან ცხოვრებას... რომ დამამცირებელია ძიძად ყოფნა, ამ ჭეშმარიტებას მე არ უარვყოფ; მაგრამ ჩვენ მართალი არა ვართ არა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ღარიბები ვიყავით, არამედ—თუ ჩვენ მოქალაქეები არა ვართ, და ქონებისა და მდგომარეობის გამო კი არ წარმოებს ეს პროცესი, არამედ ჩამომაგლობის შესახებ: სიღარიბე აიძულებს თავისუფალთაც შეასრულონ მრავალი მონური და უღირსი მოვალეობა, რისთვისაც უფრო სამართლიანია, ათენელებო, მათი შეცოდება, ვიდრე მათი დაღუპვა“. დასასრულ ევკსითეოსი სთხოვს მოსამართლეებს, ნუ ჩათვლიან მშრომელებს „უცხოელებად“, არა-მოქალაქეებად, ხოლო დამბეზღებლები კი ბოროტმომქმედებად მიიჩნიონ. ამ სიტყვებით ჩანს აგრეთვე ისიც, რომ ათენში ხშირი ყოფილა შეურაცხყოფა იმათი, ვინც ბაზარში ვაჭრობდა და ამიტომ განსაკუთრებული კანონიც კი ყოფილა გამოცემული, რომლითაც ასეთი საქციელი აუკრძალავთ[28].

ამგვარად, ისეთი სამუშაო და ხელობა, რომელსაც მონები ასრულებდენ, ათენის მოქალაქეთა ზოგიერთი წევრისათვის უმეტეს ნაწილად დამამცირებელ საქმედ ითვლებოდა იმ ხანაშიც კი, როდესაც დემოკრატიული განვითარება განსაკუთრებული ძლიერებით მიმდინარეობდა. ამიტომ გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა ასეთ ხელობას სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრებას ამჯობინებდა საბჭოს და ჰელიეას წევრისა, თუ სხვა თანამდებობის შესრულების სახით. არც არისტოტელის მიერ მოწოდებული რიცხვი უნდა მიეჩნიოთ ამ მხრით გადაჭარბებულად. მისი სიტყვით (Ἀθ. πολ. XXIV, 3) სახელმწიფოს ხარჯზე იმყოფებოდა 20.000-დე მოქალაქე. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ პელოპონესის ომის დასაწყისში ედ. მაჯერის გამოანგარიშებით იყო 55.500 სრულწლოვანი მოქალაქე, ხოლო ფრანკოტის მიხედვით 30—35 ათასი[29]. არისტოტელი დაასკვნის (Ἀθ. πολ. XXV, 1), რომ ასეთი წა-

როებიდან იღებდა ხალხი „კვებას (τροφή)[30], ხოლო ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ საერთოდ გასამრჯელოს შემოღება თვისი სიმცირის გამო მაინც ვერ ჰქმნიდა მტკიცე შესაძლებლობას, რომ ღარიბ მოქალაქეებსაც ფაქტიურად მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფოს ორგანოებში.

მაგრამ მიუხედავად ამისა გასამრჯელოს შემოღებას, ცხადია, მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია ათენის დემოკრატიის განვითარებისათვის. ამ მხრით საყურადღებოა ეგრეთწოდებული ფსევდო-ქსენოფონტეს „ათენის პოლიტია“ (Ἀθηναίων πολιτεία), რომელსაც წინათ ქსენოფონტეს მიაწერდენ, მაგრამ დღეს კი, თითქმის, საბოლოოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მას არ ეკუთვნის. დაწერილი უნდა იყოს იგი V ს-ის მეორე ნახევარში და რომელიღაც უცნობი ოლიგარქოსის, ათენელი მოქალაქის, ნაშრომს უნდა წარმოადგენდეს[31]. შესავალშივე ავტორი აცხადებს, რომ მას არ მოსწონს, რასაკვირველია, ათენელების მიერ არჩეული წესწყობილების სახე, მაგრამ იმის უარისყოფა არ შეუძლია, რომ ისინი კარგად უწყობენ ხელს თავის სახელმწიფო წყობილებას და კარგად უძღვებიან მასთან დაკავშირებულ საქმეებს (I, 1). ერთი სიტყვით, ტრაქტატის ავტორი, მიუხედავად დემოკრატიისადმი პრინციპიალური წინააღმდეგობისა, იძულებულია აღიაროს, რომ ათენის დემოკრატია მიზანშეწონილად და გეგმიანად მოქმედებს. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის თვალსაზრისით ყურადღების ღირსია ტრაქტატის ის ადგილი, სადაც შემდეგია ნათქვამი: „ათენელები არ ფიქრობენ, რომ მათ უნდა მიიღონ სტრატეგოსებისა და ჰიპარქოსების თანამდებობანი, რადგან ხალხმა კარგად იცის რომ იგი დიდ სარგებლობას მიიღებს იმ შემთხვევაში, როდესაც ის თვითონ კი არ დაიკავებს ამ თანამდებობათ, არამედ ყველაზე უფრო მეტად შეძლებული პირები. ხოლო ხალხი ცდილობს მიიღოს ისეთი თანამდებობანი, რომელთა მიმართ გასამრჯელოა დაწესებული და ქონებრივი მხრით ხელსაყრელია“ (I, 3). ამგვარად, ათენის დემოკრატიის უფრო შეგნებული უცნობი მოწინააღმდეგე გასამრჯელოს დაწესების ფაქტში ხედავს დემოკრატიის ერთ-ერთ განმამტკიცებელ მომენტს. ამასთან ერთად ტრაქტატის ავტორი აღნიშნავს რომ მონებისა და მეტეკების მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო ათენში, ვიდრე სხვა რომელსამე სახელმწიფოში. მისი სიტყვით, ათენში მონას ვერ გაარჩევ თავისუფალისაგან: ორივე ერთნაირი ტანსაცმელით დადის და აქ არც მონის გალახვა შეიძლება. და ეს მოვლენა თვით ათენის ძლიერების განვითარების პირობებზეა დამყარებული, რადგან ამ ძლიერებას საფუძვლად უდევს ფულადი საკაპრო მეურნეობა, რომლის დროსაც მონები თავის ბატონებს ხარკს უხდიან და, რაც უფრო მდიდარია მონა, ეს მით უფრო ხელსაყრელია ბატონისათვის (I. 11).

ამიტომ მონას არავისი არ უნდა ეშინოდეს, რადგან შიშით მას შეუძლია გადასცეს მთელი თვისი ქონება და აღარ იქნეს შემოსავლის წყაროდ. სახელმწიფო მრავალი ხელოსნობისა და საზღვაო საქმის გამო დიდად საჭიროებს მეტეკებს და ამიტომაც მათაც მიენიჭათ მონაწილეობა მოქალაქის უფლებებში (I,12) და, თითქოს, ამ ორი წრის თანასწორუფლებიანობა მხოლოდ ეიმით იყო შეზღუ-

დული, რომ მათ აკრძალული ჰქონდათ მუსიკასა და ტანთვარჯიშობაში მეცადინეობა (I, 13). მართალია, მას შემდეგ, რაც მონები არა მხოლოდ ოჯახის მსახურების როლს ასრულებდენ, არამედ მრაველად იძენდენ მათ უმთავრესად სამრეწველო მიზნით, უფრო ხელსაყრელი გახდა მდიდარი მონების ყოლა, რადგან ერთი ასეთი მონა უფრო მეტ საბატონოს იხდიდა, ვიდრე რამდენიმე ღარიბი მონა, აგრეთვე სასარგებლო შეიქნა მდიდარი მონის განთავისუფლება. რადგან იგი დიდ გამოსასყიდ თანხას აძლევდა ბატონს და მის მიმართ ერთგვარ ვალდებულებათ კვლავ თავის თავზე ღებულობდა. ხოლო მონა რომ გამდიდრებულიყო, საჭირო იყო, კანონს დაეცვა მისი პირადი ხელშეუხლებლობა. და ათენის იურისტებიც ცდილობდენ დაემტკიცებიათ, რომ კანონი მოქმედებით შეურაცხყოფის წინააღმდეგ ვრცელდება მონებზედაც[32]. თუ ამ მიმართულებით განვიხილავთ მონების მდგომარეობას საერთოდ ძველ საბერძნეთში, შეიძლება მათი მდგომარეობა მართლაც უკეთესი იყო ათენში, მაგრამ, არ უნდა დავიწყოთ ის, რომ ტრაქტატის ავტორი ოლიგარქოსია და მონების მდგომარეობის ასეთი დახასიათებით სურს დაამცირეროს ათენის დემოკრატია. ხოლო საესებით რომ გავიზიაროთ კიდევაც მისი გადაჭარბებული და ცალმხრივი მტკიცება, თითქოს ათენში მონებისა და მეტეკების მდგომარეობა, შედარებით სხვა მხარეებთან შეუდარებლად კარგი იყო, მ ა ი ნ ც მ ი ს ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი დ ა ნ ლ ო გ ი კ ურ ა დ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ი ს, რ ო მ ა თ ე ნ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა თ ვ ი ს ი ს ი ნ ი 'ს რ უ ლ ს ა ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ო ო ბ ი ე ქ ტ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ე ნ დ ა, ა რ ა, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ წ ე ვ რ ე ბ ს. ამიტომაც ჩვენ მიერ ძირითად ხაზებში მოცემული დახასიათება ათენის დემოკრატიისა სინამდვილისაგან დაშორებულად ვერ ჩაითვლება.

თავი მეოთხე

ბრძოლა ჰეგემონიისათვის.

1. ძთავარი წყაროები: თუკიდიდე; ქსენოფონტე; ეფორი; თეოპომპე; ოქსირინხის პაპირუსი; პლუტარქის ბიოგრაფიები.

V ს-ის მეორე ნახევრის და განსაკუთრებით ათენსა და სპარტას შორის ჰეგემონიისათვის იმ დიდი ბრძოლის, რომელიც პელოპონესის ომის სახელითაა ცნობილი, უმთავრესი წყარო არის ძველი დროის სახელგანთქმული ისტორიკოსი თუკიდიდე. მისივე სიტყვით, პელოპონესის ომის დასაწყისში იგი სავსებით სრულწლოვანი იყო: „მე განვიცადე, ამბობს თუკიდიდე, მთელი ომი და ჩემი ხნოვანობის წყალობით შევიცანი იგი და გულდასმით თვალყურს ვადევნებდი მას იმ მოსაზრებით, რომ სისწორით გამეგო ყოველი შემთხვევა“-ო (V, 26, 5). ამგვარად, იგი თანადამხდური და მონაწილე იყო პერიკლეს დროისა და პელოპონესის ომისა. იგი ეკუთვნოდა თრაკიული ჩამომავლობის მდიდარსა და ცნობილ გვარს და, როგორც ჩანს, თრაკიაში ჰქონდა ოქროს მადნები ამფიპოლისის სანახებში (IV, 105, 1). იმ დროის მიხედვით თუკიდიდეს მშვენიერი განათლება მიუღია და, როგორც ათენელს და ათენის სტრატეგოსს, კარგად სცოდნია ათენის მდგომარეობა ამ ეპოქაში [1]. პელოპონესის ომის პირველ წლებში თუკიდიდე ათენში ცხოვრობდა და მოწამე ყოფილა იმ საშინელი ეპიდემიისა, რომელიც იმ დროს ათენში იყო გავრცელებული და მრავალი პირი იმსხვერპლა. თვითონ თუკიდიდესაც გადაუტანია ეს ავადმყოფობა და მისი შედეგების შესახებ დაგვიტოვა მეტად ნათელი სურათი. ერთ დროს თუკიდიდე ათენის ესკადრას მუთაურობდა თრაკიის სანაპიროსთან და ვერ მოასწრო ხელი შეეშალა ბრასიდის მიერ ამფიპოლისის დაკავებას (427 წ.); ამიტომ იძულებული გახდა გაქცეულიყო და დასახლდა თრაკიის მამულში. გაძევების ეს ხანა, მისივე გადმოცემით, მისთვის სასარგებლო აღმოჩნდა: „მე გაძევებაში ვიყავი, გვიამბობს იგი, ახლოს ვიდექი ორივე მებრძოლ მხარესთან, განსაკუთრებით... პელოპონესელებთან, და ამ მოცლის დროს უფრო მეტი საშუალება მქონდა გამომერკვია ესათუის შემთხვევა“-ო (V, 26, 5).

ამავე ხანაში თუკიდიდეს უმოგზაურია და, საფიქრებელია, რომ მან ინახულა იტალია და სიცილია, განსაკუთრებით სირაკუსი, რომლის აღწერილობა ისეთი სიცხადით აქვს გადმოცემული, რომ მისი შედგენა შეეძლო ისეთ პირს, რომელსაც იგი პირადად უნდა დაეთვალიერებინა. ომის დამთავრების შემდეგ თუკიდიდეს საშუალება მიეცა ამნისტიით სამშობლოში დაბრუნებისა, სადაც მალე გარდაიცვალა IV ს-ის პირველ წლებში. თვისი ნაშრომის დასაწყისში თუკიდიდე აცხადებს, რომ მის წერას „შეუდგა მაშინვე ომის დაწყების მო-

მენტიდან, დარწმუნებული იმაში, რომ ეს ომი იქნებოდა უმნიშვნელოვანესი და ყველა წინანდელზე უფრო ღირსშესანიშნავი“ (I, 1). მაშასადამე, პელოპონესის ომის აღწერა მას თავიდანვე დაუწყია, თუმცა იგი არ დაუმთავრებია და 411 წელზე შეჩერებულა. სწერდა იგი თავის ნაშრომს, როგორც თვითმხილველი და თანადამხდური, და თავის მიერ ნახულსა და გაგონილს უმატებდა სხვა, ნდობის ღირსი, პირების ნაამბობსაც, საბუთებს, მაგ. ხელშეკრულებათა ტექსტებს. წარწერებს და ნივთიერი ძეგლების აღწერასა და სხვას. სარგებლობდა იგი აგრეთვე თავის წინამოადგილე მწერლების ნაშრომებსაც, როდესაც ათენის უფრო შორეულ წარსულს ეხებოდა. იხსენიებს იგი, მაგ., ლოგოგრაფოსებს; ამასთან, მართალია, იგი პირდაპირ არ ასახელებს ჰეროდოტეს, მაგრამ ცხადად ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა მის ნაწარმოებს, უარჰყოფს სწორეთ ზოგიერთ ისეთ ცნობას, რომელიც სახელდობრ ჰეროდოტეს ეკუთვნის, და შეაქვს მათში თვისი შესწორებები. სიცილიის ძველი ისტორიის დარგში კი მისი ძირითადი წყარო ანტიოხ სირაკუზელის ნაშრომი უნდა ყოფილიყო [2]. თვისი „ისტორია“ თუკიდიდეს თვითონ არ გამოუქვეყნებია; არსებობს ერთგვარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი ქსენოფონტემ გამოსცა [3].

მართალია, თუკიდიდეს მთავარი თემა პელოპონესის ომია, მაგრამ დასაწყისში, შესავლის სახით მოკლედ ეხება იგი საბერძნეთის ისტორიის უძველეს პერიოდს და იმ ეპოქას, რომელიც უშუალოდ წინუსწრებდა ამ ომს.

იმ დროისთვის არაჩვეულებრივი სიფრთხილით და დაკვირვებით უდგებოდა თუკიდიდე დასახული მიზნის განხორციელებას და ამ მხრით თავის მოვალეობას განსაზღვრავდა, როგორც ჭეშმარიტების ძიებას (ἡ ζήτησις τῆς ἀληθείας; I, 20). მაშასადამე, ისტორიკოსის მოწოდებად თუკიდიდე სთვლიდა უწინარეს ყოვლისა ჭეშმარიტების გამორკვევას. ამასთან იგი გადაჭრით ემიჯნება როგორც პოეტებს, რომლებსაც, მისი სიტყვით, უყვართ გადაჭარბება და შემთხვევათა მუქი საღებავებით გადმოცემა, ისე ლოგოგრაფოსებს, რომელთა ნაწარმოებებში დიდი ადგილი უკავია მითურ ამბებს. იგი სწერს არა იმისათვის, რომ გაართოს ზოგიერთი შემთხვევითი მკითხველი: „ჩემი მოთხრობა, რომელიც მოკლებულია არაკებს, ამბობს იგი, შეიძლება უფრო ნაკლებად სასიამოვნო აღმოჩნდეს სმენისათვის, მაგრამ სამაგიეროდ მას საკმაოდ სასარგებლოდ მიიჩნევს ყველა ის, ვინც მოისურვებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს წარსულზე... ჩემი ნაშრომი არ არის საგანი სიტყვიერი შეჯიბრებისა მოცემულ მომენტში, არამედ სამარადისო სამკვიდრებელია“-ო (I, 22) [4].

როდესაც თუკიდიდეს უხდებოდა ესარგებლა თვითმხილველთა მიერ გადმოცემული ამბებით, იგი ამ შემთხვევაში უდიდეს სიფრთხილეს და ცხად კრიტიკულ მიდგომას იჩენდა. „რაც შეეხება ამ ომის განმავლობაში მომხდარ შემთხვევებს, მე სამართლიანად არ მიმაჩნდა ჩამეწერა ის, რასაც ეტყობილობდი პირველი შეხვედრილი პირისაგან, ან ის, რაც შემეძლო მე მეგულისხმა, აღიარებს იგი, არამედ ეწერდი ისეთ შემთხვევათ, რომელთა თვითმხილველი ვიყავი და იმას, რაც სხვებისაგან მესმოდა, მხოლოდ, რამდენადაც შესაძლებელია, ცალკე აღებული თითოეული ფაქტის სრული შემოწმების შემდეგ. ძიება ამ მხრით ძნელი იყო იმიტომ, რომ ცალკეული ფაქტების თვითმხილველნი ერთსა-

დაიმაე შემთხვევაზე ისე სხვადასხვაგვარად მოუთხრობდენ, როგორც თითოეულ მათგანს შეეძლო ამათუიმ მებრძოლი მხარისადმი თანაგრძნობისა და მეხსიერების ძალის მიხედვით"-ო (I, 22).

ამგვარად, თუკიდიდე პირველი აყენებს მოთხოვნილებას წყაროების შემოწმებისას და თვითმხილველების მიმართაც კი ანტიპათია-სიმპათიის საკითხის გამორკვევას. ამიტომ საფუძვლიანად აღნიშნავს აკად. ბუზესკული, რომ ისტორიული კრიტიკის მეთოდები, შეიძლება ითქვას, პირველად იქნა აღმოჩენილი და გამოყენებული თუკიდიდეს მიერ[5].

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე თუკიდიდე საბუთებს და წარწერებს და ზოგიერთი მათგანი მთლიანად შეუტანია თავის „ისტორიაში". თუ მათ დედნებს შევადარებთ, აღმოვაჩენთ ერთგვარ სტილისტურ ცვლილებათ, „რაც დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს, თითქმის, თანამედროვე ისტორიკოსისათვისაც, თუ ის აცხადებს, რომ გადმოგვცემს ამათუიმ საბუთის მხოლოდ შინაარს"[6].

დიდი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ საბერძნეთის უძველესი ისტორიის მთავარი მომენტების რეკონსტრუქციის დროს თუკიდიდე მიმართავს უკუქცევითი დასკვნის მეთოდს — აწმყოდან წარსულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ და თვისი დასკვნებისათვის იყენებს ეპოსის მოწმობას, ტოპოგრაფიულ ცნობებს, ნივთიერ ძეგლებს, დღესასწაულებს, სარწმუნოებრივ წესებს, ზნეჩვეულებათ, კულტურულად ჩამორჩენილი ბერძნული და ბარბაროსული ტომების ყოფაცხოვრებას და, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც დღეს ჩვენ კულტურულ გადანაცადებს ვუწოდებთ[7].

ამასთან ერთად თუკიდიდე საბერძნეთის ისტორიის მიმოხილვაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიურ ურთიერთობათ და ნივთიერ საშუალებათა განვითარებას. ისეთი მოვლენები, როგორიცაა გადასახლებანი, დაპყრობები, საგარეო ძლიერების ზრდა და ზოგიერთ შემთხვევაში შინაური მდგომარეობის გამწვავება, მას ხშირად მჭიდროდ აქვს დაკავშირებული ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო პირობებთან. არ დავიწყებია მას აგრეთვე გეოგრაფიული პირობების მნიშვნელობაც. ხოლო ფაქტების წარმოშობისა და განმარტების დარგში თუკიდიდე ააკრავებს წინდა ისტორიულ თვალსაზრისს. იგი ცდილობს გამოარკვიოს შემთხვევათა გამომწვევი მთავარი მიზეზები და ერთი მეორისაგან განასხვავოს ზოგადი და კერძო მიზეზები, ერთი მეორეს დააშოროს მიზეზი და მახლობელი საბაბი (πρόφασις და αἰτία). ამასთან თუკიდიდეს მსჯელობაში ვამჩნევთ ისტორიულ მოვლენათა კანონზომიერების ერთგვარ შეგნებას და ისეთ დებულებებს, რომლებიც დამყარებულია რწმენაზე, რომ მსგავსი მიზეზები და პირობები მსგავს შედეგებს იწვევს. თუკიდიდე გადაჭრით უარჰყოფს რაიმე ზებუნებრივი ძალის ჩარევას ისტორიული პროცესის მსვლელობაში და ამ მხრით იგი თვისი გარკვეული რაციონალისტური თვალსაზრისით არსებითად განსხვავდებოდა თვისი წინამოადგილეებისაგან. თუკიდიდე არ უარჰყოფდა წინათმოსწავლეებათა და მის-

ნების ხალხის მასაზე გავლენის ფაქტს, მაგრამ თვითონ სრულებით არ იზიარებდა მათ მნიშვნელობას და ხშირად ზოგიერთი „წინასწარმეტყველების“ შესახებ მეტად მოსწრებულ კრიტიკულ მოსაზრებას გამოთქვამდა.

ასე, მაგ., როდესაც ათენში გავრცელებული იყო ჭირი და პელოპონესელები არბევდენ ათენელების სარჩო-საბადებელს, მათ მოიგონეს მისნის „წინასწარმეტყველება“, რომ „დადგება დორიელთა ომი და მასთან ერთად ჭირი (λοιμός)“. ამის გარშემო დაიწყო კამათი, ზოგი ამტკიცებდა, რომ ძველად ხმარობდენ არა სიტყვას λοιμός (ჭირი), არამედ λιμός-ს (სიმშილი), მაგრამ ახლა გაიმარჯვა პირველმა აზრმა, რადგან, ამბობს თუკიდიდე, ადამიანებმა თვისი მოგონებანი შეუფარდეს იმას, რაც განიცადეს, და ვფიქრობ, თუ ოდესმე დაიწყო დორიელთა სხვა ომი და მას თან დაჰყვა სიმშილი (λιμός), მაშინ, ალბათ, ამ სიტყვას სწორედ ასე გამოთქვამენ-ო“ (II, 54).

მიუხედავად იმისა, რომ თუკიდიდე უმეტეს შემთხვევაში დიდ ობიექტიობას იჩენს თავის „ისტორია“-ში, რასაკვირველია, მას მაინც გარკვევით ეჰჩნევა სუბიექტივიზმის ცხადი ელემენტები: და ეს არც გასაკვირველია: უკვე თვისი ჩამომავლობით და სოციალური მდგომარეობით იგი ეკუთვნოდა უფრო არისტოკრატიას, ვიდრე დემოსს. ამ უკანასკნელის შესახებ იგი კარგი შეხედულებისა არ იყო. მიუხედავად პერიკლესადმი ღრმა პატივისცემისა, რომელშიც იგი საბოლოო ანგარიშით დემოკრატიის ზომიერ და კეთილგონიერ მოღვაწეს ხედავდა, ალკიბიადეს პირით თუკიდიდე დემოკრატიის შესახებ აღნიშნავს, რომ ამ საერთოდ აღიარებულ „სიგიჟეზე“ ახალის სრულებით არაფრის თქმა არ შეიძლებაო (VI, 89).

სამაგიეროდ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ თუკიდიდე უფრო დადებითად უყურებდა 5000-ის უაღრესად ზომიერ დემოკრატიას, რომელიც ათენში დამყარდა 400-ის ოლიგარქიის დაცემის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ამ ზომიერი დემოკრატიის შესახებ იგი გარკვევით ამბობს: ათენელებს ამას შემდეგ პირველ ხანებში ჰქონდათ საუკეთესო სახელმწიფო წყობილება... რადგან იგი წარმოადგენდა ოლიგარქიისა და დემოკრატიის ზომიერ შეერთებას და ასეთმა კონსტიტუციამ უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო გამოიყვანა იმ სამწუხარო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდაო (VIII, 97).

ძველი დროის ამ უდიდეს ისტორიკოსს ჩვენს ხანაში გამოუჩნდა ზოგიერთი მკვლევარი, რომლებიც მას ბევრ დაუმსახურებელ ბრალდებას უყენებენ, მაგ., მიულერ-შტრიუბინგი[9] და ი. შვარცი[9], მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით და საკითხით დაინტერესებულთ მივუთითებთ მხოლოდ მთავარ ლიტერატურას [10].

საერთოდ კი აღვნიშნავთ, რომ ნიცშემ თავის დროზე სამართლიანად შენიშნა, რომ „თუკიდიდეში, ამ ადამიანურზე მოაზროვნეში, უმაღლეს გაფურჩქვნას მიაღწია იმ კულტურამ, რომელმაც თვისი სახელმწიფო მოღვაწე იპოვა პერიკლეში, თვისი ექიმი ჰიპოკრატეში, თვისი ბუნებისმეტყველი—დემოკრიტში“. (Morgenröte, 168)*.

---

* ციტირებულია ლ ურ ი ე ს წიგნიდან.

როგორც აღვნიშნეთ, თვისი „ისტორია“ თუკიდიდემ მიიყვანა 411 წლამდე. მისი უშუალო განმგრძობი არის ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე. საფიქრებელია, რომ იგი ეკუთვნოდა მხედრების კლასს და დაიბადა დაახ. 430 წ. ახალგაზრდობაში იგი მოწამე იყო ათენის დემოკრატიის დაცემის პერიოდისა, როდესაც პელოპონესის ომის მძიმე შედეგების შემდეგ ათენის საზოგადოებაში თავი იჩინა დემოკრატიის საწინააღმდეგო რეაქციამ და სამაგიეროდ თვალსაჩინოდ გაძლიერდა ლაკონომანია. სპარტაში ხედავდენ ახლა სახელმწიფო წყობილების იდეალს და მაბაძვის საუკეთესო ნიმუშებს. ქსენოფონტე მოწაფე იყო სოკრატისა, და ამ უკანასკნელის ტრაგიკულ ბედს უფრო უნდა აემხედრებია იგი დემოკრატიის წინააღმდეგ. სხვათა შორის ქსენოფონტემ მონაწილეობა მიიღო კიროს უმცროსის ექსპედიციაში და მიაღწია სპარსეთის მონარქიის შორეულ ნაწილებს ბაბილონის სანახებამდე. ხოლო 10.000 ბერძნის ცნობილი უკანდახევის დროს კუნაკსთან ბრძოლისა და ბერძენთა წინამძღოლების დაღუპვის შემდეგ მას წილად ხვდა თვალსაჩინო როლი. თრაკიის ნაპირებთან დაბრუნებისას იგი მიემხრო სპარტელებს და განსაკუთრებით დაუახლოვდა სპარტის მეფეს აგესილაოსს. კიროს უმცროსის ექსპედიცია მან აღწერა შემდეგში თავის „ ა ნ ა ბ ა ს ი ს შ ი “. ქსენოფონტე ბოლომდე დარჩა სპარტის ერთგული და ათენის მოწინააღმდეგე. იგი გარდაიცვალა 355 წლის შემდეგ[11].

მისი მთავარი ნაშრომია საბერძნეთის ისტორია (Ἑλληνικά) 411 წლიდან 362 წლამდე 7 წიგნად. ქსენოფონტეს Hellenica შეიძლება გავყოთ ორ მთავარ ნაწილად: პირველი შეიცავს საბერძნეთის ისტორიას პელოპონესის ომის დასასრულამდე და არსებითად მოგვაგონებს მატიანეს ანუ ქრონიკას; ხოლო მეორე ნაწილი იწყება 30-ის მართველობიდან და უფრო მემუარების ხასიათს ატარებს; ვიდრე ისტორიისას. ქსენოფონტეს ნაშრომის დასახასიათებლად საერთოდ უნდა ითქვას, რომ ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს სამართლიანი შენიშვნით, იგი იყო „იმ დროის ლიტერატურაში რეაქციის ტიპიური და დარწმუნებული წარმომადგენელი; მისი იდეალია—წესრიგი და დისციპლინა, სამხედრო აღზრდა და სუბორდინაცია... ე. ი. სპარტაში გაბატონებული წყობილება, რომელიც მტკიცედ ფლობდა ამ სიკეთეთ ბოროტი დემოკრატიების საწინააღმდეგოდ“[12]. მართალია, ქსენოფონტე მშვენიერი სტილისტი იყო და ძველად მას „ატიკურ ფუტკარს“ უწოდებდენ, კარგი ენისა და მოთხრობისათვის, მაგრამ „ერთადერთი გულწრფელი გრძნობა ამ ადამიანისა—ეს სიძულვილია დემოკრატიისადმი; ამას გარდა იგი—პროფესიონალური კონდოტიერია და მზად არის ემსახუროს ყველას, ვინც უნდა იყოს, იქნება ეს სპარსეთის მეფე კიროსი, თუ მისი კერპი, სპარტის მეფე აგესილაოსი. მას აქვს განსაკუთრებული ჭკუა და იშვიათი დიპლომატიური ნიჭი და მართალს ამბობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სასარგებლოა მისი საქმისათვის“[13].

საერთოდ, როგორც ისტორიკოსი, ქსენოფონტე შეუდარებლად დაბლა დგას თუკიდიდესა და ჰეროდოტეზე. იგი ვერ ახერხებს ჩასწვდეს მოვლენათა სიღრმეს, მათ აზრს და შინაგან კავშირს და ხშირად სრულებით ვერ არჩევს ერთიმეორისაგან არსებითსა და უმნიშვნელო ფაქტებს. მის ნაშრომს აკლია სათანადო ისტორიული პერსპექტივა და ზოგჯერ ისეთი შემთხვევებია მასში სრულებით მივიწყებული ან მიჩქმალული, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

კიროს უმცროსის ექსპედიცია ქსენოფონტემ, როგორც ვიცით, აღწერა თავის „ანაბასის“-ში, რომელიც მას თემისტოგენე სირაკუსელის ფსევდონიმით გამოუცია. აკად. ბუზესკულის განმარტებით, ასე იმიტომ მოქცეულა, რომ უფრო თავისუფლად ელაპარაკნა თავის თავზე და თავის დამსახურებაზე; საქმე ისაა, რომ „ანაბასისი“ არა მარტო თავისებური მემუარებია, არამედ აპოლოგიაც[14]. „ანაბასისი“ კიროს უმცროსის იდეალიზაციას წარმოადგენს.

მართალია ქსენოფონტე არსებითად სწორ ცნობებს გვაწვდის ამ ექსპედიციისა და მასში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ყოველთვის დაცული არ არის სათანადო დაკვირვებისა და ჩაწვდომის უნარი, განსაკუთრებით იქ, სადაც ლაპარაკია ბერძნებისათვის უცნობი და შორეული ქვეყნებისა და ხალხების შესახებ. ქსენოფონტეს, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანაზედაც გამოუვლია და საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ქართველი ტომების ყოფაცხოვრების შესახებ, მაგრამ ამ ცნობებით სარგებლობის დროს აუცილებლად საჭიროა მათი კრიტიკული შეფასება. განსაკუთრებული ტრაქტატი დაგვიტოვა ქსენოფონტემ მისთვის იდეალური სპარტის წყობილების შესახებ „ლაკედემონიის პოლიტია“, რომელშიც სპარტელების სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებები, და ამ მხრით იგი ერთი საყურადღებო წყაროთაგანია.

ქსენოფონტეს სხვა ნაშრომებზე აღარ შევჩერდებით. განსახილველი ეპოქის თვალსაზრისით ჩვენთვის საყურადღებო არიან IV საუკუნის მეორე ნახევრის განთქმული ისტორიკოსები ეფორი და თეოპომპე.

ეფორის თემაა — „საბერძნეთის საერთო ისტორია“[15] დორიელთა გადმოსახლებიდან 340 წლამდე და, მაშასადამე, მისი ნაშრომი შეიცავს იმ ეპოქასაც, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს. შედგება იგი 30 წიგნისაგან, რომელთაგან თითოეულს თვისი შესავალი აქვს და ერთგვარ დასრულებულ მთლიან მოთხრობას წარმოადგენს.

არსებითად ეფორის „ისტორია“ შეიცავს არა რომელიმე გარკვეული შემთხვევის, თუ ცალკეული ბერძენი ტომის ცხოვრების გაშუქებას, არამედ მას მხედველობაში აქვს მთელი ბერძნული სამყარო, როგორც მეტროპოლია, ისე ახალშენები, და ამიტომაც უნივერსალურ ხასიათს ატარებს. მისი თანამედროვეთათვის და აგრეთვე შემდეგი თაობებისათვის ეფორის ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მთავარ წყაროდ ითვლებოდა საბერძნეთის ისტორიისათვის; აკად. ბუზესკულის თქმით, ეფორმა „შეჰქმნა, თითქმის, ამ ისტორიის ვულგატა“[16]. ამასთან აღსანიშნავია, რომ თავის თხრობაში იგი მეტ სიმპათიებს ათენელებისადმი ააჟკარავებს და საერთოდ მათდამი უფრო კეთილგანწყობილებას იჩენს. ეფორი რაციონალისტურ თვალსაზრისს ატარებს თავის ნაშრომში და გადაჭრით წინააღმდეგია ყოველგვარი მითებისა. ამას გარდა იგი გამოთქვამს სწორ თეორეტიულ მსჯელობას ისტორიული კრიტიკის დარგში, მაგრამ პრაქტიკულად ხშირად ყოველივე ამას ვერ ახორციელებს. ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინება, მათი ურთიერთშორის კავშირი და მათი მიზეზები მას დამაკმაყოფილებლად ვერ აქვს განხილული. იგი ზოგჯერ საკვლევით გადაჭარბებულ და ყოველად უსაფუძვლო მნიშვნელობას ანიჭებს პიროვნულ მომენ-

ტებს რომელიმე უდიდესი შემთხვევის განმარტებაში. ასე, მაგ., პელოპონესის ომის წარმოშობას იგი იმით ხსნის, რომ პერიკლეს არ სურდა ანგარიში ჩაებარებია თანხების დახარჯვაში და უნდოდა ამით პასუხისგებისაგან დაეხსნა თვისი მეგობრები (fr. 119).

თუკიდიდეს, გარდა ქსენოფონტესი, მეორე განმგრძობიც აღმოუჩნდა ეფორის თანამედროვე ისტორიკოსის, თეოპომპეს სახით. მისი ჰელენიკა (Ἑλληνικά), რომელიც 12 წიგნისაგან შესდგებოდა, იწყება 411 წლიდან და თავდება 394 წლით. თეოპომპე მოწინააღმდეგე იყო ათენის დემოკრატიისა და უდიდესი დამცველი სპარტის წყობილებისა. მიუხედავად თვალსაჩინო ნაკლისა, რომელიც თეოპომპეს ნაწერებს ახასიათებს, ძველად მათ დიდი ყურადღებით კითხულობდენ და სარგებლობდენ, განსაკუთრებით იმ ადგილით, სადაც ათენის დემაგოგებზეა ლაპარაკი.

1904 წელს ეგვიპტეში, ძველი ოქსირინხის ადგილას, აღმოჩენილ იქნა დიდი ისტორიული ნაწყვეტი, რომელიც 396/5 წელს შეეხება. ეს არის ეგრეთწოდებული ოქსირინხის Hellenica. ტექსტი დაწერილია საბუთის მეორე მხარეზე და ზოგიერთ ნაწილებში კარგად არის დაცული, ზოგიერთში კიდევ, თითქმის, სრულებით განადგურებულია. იგი ეხება უმთავრესად ათენის პარტიების დამოკიდებულებას სპარტისადმი, იმ დროის პოლიტიკურ მდგომარეობას, სპარტის საწინააღმდეგო განწყობილებას საბერძნეთში, მის ძირითად მიზეზებს და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ცნობები ბეოტიის კავშირის ორგანიზაციის შესახებ.

ტრაქტატის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ავტორი ცხოვრობდა IV ს-ში და თვისი შრომა დაიწყო 411—10 წლიდან, ე. ი. იმ მომენტიდან, რომელზედაც შეჩერდა თუკიდიდე. ძნელია, გარკვეით იმის თქმა, თუ ვინ იყო ამ Hellenicas ავტორი. ედ. მაჯერი და ვილამოვიცი ასახელებენ თეოპომპეს, სხვები ეფორს, ზოგი კიდევ კრატიპს, რომელიც თუკიდიდეს უმცროსი თანამედროვე უნდა ყოფილიყო, და სხვ. მაგრამ საკითხი არსებითად ჯერ კიდევ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება[17].

დასასრულ ჩვენთვის საყურადღებო ეპოქის ისტორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს I საუკუნის (ჩვ. წელთაღრიცხვის) მწერლის პლუტარქის ბიოგრაფიებს. პლუტარქი მსოფლიო ლიტერატურაში უდიდესად პოპულიარული მწერალია, რომელსაც ხშირად „მსოფლიო ისტორიის ბიოგრაფიულ შექსპირს“ უწოდებენ.

ჩვენამდე მოაღწია მისმა 20-ზე მეტმა „პარალელურმა ბიოგრაფიამ“ (Βίοι παράλληλοι), რომელთაც ასე იმიტომ ეწოდება, რომ თითოეული ბერძენი მოღვაწის ბიოგრაფიას თანსდევს სათანადო რომაელი მოღვაწის ბიოგრაფია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა პერიკლეს, ნიკიასის, ალკიბიადეს და ლისანდრეს ბიოგრაფიები, რომლებიც დამყარებულია უმთავრესად ისტორიკოსების თუკიდიდეს, ქსენოფონტეს, ეფორის და თეოპომპეს ნაშრომებზე. საერთოდ პლუტარქი თავისი დროის მიხედვით ფრიად განსწავლული პიროვნება იყო, მაგრამ იგი ისტორიკოსად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არ ჩაითვლე-

ბა. მას დიდად ეხერხება ანეგდოტებისა და წვრილი ამბების გადმოცემა, ხოლო ისტორიული მოვლენების ანალიზს ამაოდ მოვძებნით მის ბიოგრაფიებში. ამიტომაც შემოწმებისა და სათანადო კრიტიკის გარეშე შეუძლებელია ვირწმუნოთ პლუტარქის ცნობები, რომელიც უფრო მხატვარი და ფილოსოფოს-მორალისტი იყო, ვიდრე ისტორიკოსი. მაგრამ თუ საპირო გაცხრილვას და აწონ-დაწონვას მოვახდენთ, თამამად შეგვიძლია ბევრი რამ ძვირფასი აღმოვაჩინოთ ცნობათა იმ მდიდარ არსენალში, რომელიც პლუტარქის ბიოგრაფიაშია დაცული[13].

2. პელოპონესის ომის წარმოშობა პირობები და საბაბი; მისი საერთო მსვლელობა; ნიკიასის ზავი. ალკიბიადე და სიცილიის ექსპედიცია.

ათენსა და სპარტას შორის 446 წ. დადებული 30-წლიანი ზავი ძალაში დარჩა მხოლოდ 15 წელს და შემდეგ კი კვლავ დაიწყო ხანგრძლივი ომი, რომელიც პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს ო მ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ არის ცნობილი (431—404 წ. წ., არსებითად იგი პელოპონესის მეორე ომი იყო). ვიდრე მის საერთო მსვლელობას გავითვალისწინებდეთ, უწინარეს ყოვლისა საპიროდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ ის პ ი რ ო ბ ე ბ ი, რომელშიც წარმოიშვა ეს დიდი ბრძოლა, რომელსაც უაღრესად თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთის ისტორიაში.

იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ეს ომი, ძველადვე ხხვადასხვა აზრი არსებობდა. ძველი მწერლების უმრავლესობა მის წარმოშობაში ამათუიმ პოლიტიკური მოღვაწის, უმთავრესად პერიკლეს, პირად მოტივებს ანიჭებდა გადამწყვეტ როლს. ასეთ მოსაზრებას იზიარებდენ და ავრცელებდენ პერიკლეს პოლიტიკური მტრები, რომლებიც მზად იყვენ ყოველგვარი უსაფუძვლო ბრალდება წაეყენებიათ პერიკლეს მახლობელი ადამიანებისათვის და ამით დაემცირებიათ თვითონ პერიკლე. პირველად პასუხისგებაში იქნა მიცემული პერიკლეს მარჯვენა ხელი ათენის გამშვენიერებაში, ათინა-ქალწულის ქანდაკის შემქნელი ფიდიასი, რომელსაც, ალბათ, ბრალი დასდვეს პართენოსისათვის გადაცემული ძვირფასი მასალის ნაწილის მითვისებაში. იგი დამნაშავედ იცვნეს და ციხეში ჩასვეს, ხოლო მისი თანაშემწე მეტეკი მენონი, რომელმაც იგი „დააბეზღა“, განთავისუფლებულ იქნა მეტეკებისათვის დაწესებული გადასახადისაგან. შემდეგ სახალხო კრებაში წინადადება შეიტანა ცნობილმა ქრესმოლოგოსმა დიოპეითმა, რომლის ძალითაც ყველა ის, ვინც ღმერთებს უარჰყოფდა და ცისიერ მოვლენებზე მსჯელობდა, პასუხისგებაში უნდა ყოფილიყო მიცემული, როგორც სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენი.

ეს „დიოპეითის ფსეფიზმა“ პირველ რიგში პერიკლეს მახლობელი მეგობრის, ფილოსოფოსის ანაქსაგორასის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც მართლაც იძულებული გახდა მიეტოვებინა ათენი და ლამპსაკში გადასახლებულიყო. დასასრულ, ბრალი დასდვეს პერიკლეს უახლოეს მეგობარ ქალს ასპაზიას მაპანკლობაში, თუმცა იგი ასეთი ბრალდებისაგან გამართლებულ იქნა...

საერთოდ პერიკლესადმი მტრულად განწყობილ წრეებს სურდათ პელოპონესის ომის დაწყებაც კი მხოლოდ მისი პირადი მოტივებით განემარტათ,

თითქოს სახელმწიფოს შიგნით პერიკლეს გარშემო შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა იგი გამოეწვია ასეთი სისხლის ღვრა.

როგორც ვიცით, IV საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ე ფ ო რ ი, რომელიც ამ მიმართულების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, პელოპონესის ომის წარმოშობას იმით ხსნიდა, რომ პერიკლემ არ მოინდომა ანგარიში ჩაებარებია თანხების დახარჯვაში და ამით, თითქოს თვისი მახლობელი პირების პასუხისგებისაგან დახსნა სურდა (ſr. 119). ხოლო პირად მომენტებს უფრო გარკვევით უსვამს ხაზს ამ ომის თანამედროვე მწერალი ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე, რომელიც თავისებურ წყაროს წარმოადგენს ამ ეპოქისათვის[19]. მისი კომედიები უმეტეს ნაწილად ყოველდღიურ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხებს ეხება და იმდენად, რამდენადაც ავტორი დემოკრატიისადმი არ არის კეთილად განწყობილი, დემოკრატიის მეთაურები, მათ შორის პერიკლეც, მას უფრო კარიკატურული გაშუქებით აქვს წარმოდგენილი. თავის „აქარნელებ“ში არისტოფანე ომის გამომწვევ მიზეზად იმას ასახელებს, რომ მთვრალმა ათენელმა ახალგაზრდებმა მეგარიდან გამოიტაცეს მეძავი ქალი: აღშფოთებულმა მეგარელებმა თავის მხრით ასპაზიას მოსტაცეს ორი მხევალი, და აი, თითქოს, ამ სამი ქალისათვის დაიწყო ომი და „ოლიმპიელმა“ პერიკლემ მთელ ჰელადას თავს დაატეხა საშინელი ქარიშხალი... ამას წინათ ეგვიპტეში აღმოჩენილ იქნა არისტოფანის უფროსი თანამედროვის კ რ ა ტ ი ნ ი ს კომედიის „დიონისალექსანდროს“-ის შინაარსის მოკლე გადმოცემა, რომელშიც ელენეს სახით გამოყვანილია ასპაზია, ხოლო ტროიას ომის ქვეშ ნაგულისხმევია პელოპონესის ომი. მაშასადამე, კრატინის აზრით, როგორც ტროიას, ისე პელოპონესის ომი რომანიული ინტრიგებით ყოფილა გამოწვეული[20]. ზედმეტია ლაპარაკი ასეთ მოსაზრებათა სრულ უსაფუძვლობაზე, მაგრამ უცნაურია ის გარემოება, რომ პირადი მოტივებით პელოპონესის ომის წარმოშობის ახსნას მიმდევარი ჩვენ დროშიც გაუჩნდა ისეთი დიდი მკვლევარის სახით, როგორიც ბ ე ლ ო ხ ი იყო, რომელიც უმნიშვნელო როლს აკუთვნებს პიროვნებას ისტორიაში და გარკვევით სწერს: „ვინც ხედავს ისტორიული განვითარების მამოძრავებელ ძალას ცალკეულ პიროვნებებში, „დიდ ადამიანებში“, და არა ხალხის მასებში, რომელთა მისწრაფებანი ხორციელდება ამ გმირებში, ის, დეე, ნუ შეეხება ძველ ისტორიას“-ო. ამავე დროს კი, მისი აზრით, პელოპონესის ომი პერიკლეს მიზეზით წარმოიშვა, რომელიც მის გამოწვევას შინაგანი პოლიტიკის მოსაზრებით და ეგოისტური მოტივებით ცდილობდაო[21].

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძველადვე გამოჩნდა ისეთი ისტორიკოსი, რომელიც ამ მოვლენის გარკვევას უფრო ღრმად და უფრო საფუძვლიანად მიუდგა. მხედველობაში გვყავს თ უ კ ი დ ი დ ე. პელოპონესის ომის წარმოშობის „უტეშმარიტესი მიზეზი, თუმცა სიტყვით ყველაზე უფრო მეტად დაფარული, ამბობს თუკიდიდე, იმაში მდგომარეობს ჩემი აზრით, რომ ათენელებმა თვისი გაძლიერებით ლაკედემონელებში შიში აღძრეს და ამით აიძულეს ისინი დაეწყოთ ომი“ (I, 23,5). ამგვარად თუკიდიდეს განმარტებით ომის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სპარსეთთან ო მ ი ს შ ე მ დ ე გ ა თ ე ნ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო ძ ლ ი ე რ ე ბ ა ა რ ა ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ა დ გ ა ი ზ ა რ დ ა და ა მ გ ა რ ე მ ო ე ბ ა მ ს პ ა რ ტ ა ში

და მის მოკავშირეებში შექმნა ძლიერი შეშფოთება. დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ათენის საზღვაო გაძლიერებას ჩვენ მიერ უკვე დასახელებული „ათენის პოლიტიის“ უცნობი ავტორი. /იგი აღნიშნავს იმას, თუ რამდენად უფრო ხელსაყრელია ხმელეთზე ჰეგემონიასთან შედარებით ზღვაზე ჰეგემონია არა მარტო ომის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. ზღვაზე გაბატონებული სახელმწიფოსთვის, სხვათა შორის, არც მოუსაელიანობაა საშიში, რადგან საჭირო ხორბალს იგი სხვა მხარეებიდან შემოიტანს: ძევსის მიერ მოელინებული განადგურება ნათესისა და მცენარეებისა მძიმე მდგომარეობას უქმნის იმათ, ვისაც ხმელეთი ეკუთვნის, ამბობს იგი, ხოლო გაცილებით უფრო ადვილად იტანს ამ მოვლენას ის, ვინც ზღვას ფლობს, ვინაიდან იგი ყველა ქვეყანაში ერთდროულად არ ხდება; ამიტომ იმ მხარიდან, სადაც კარგი მოსავალია, ხორბალს მოეზიდებიან ისინი, ვინც ზღვაზე ბატონობს... ყველა ბერძენთა შორის მხოლოდ ათენელებს შეუძლიათ ფლობდენ სიმდიდრეს. თუ რომელიმე სახელმწიფოს აქვს ზედმეტი საალმშენებლო ტყე, სად წაიღებს მას, თუ იგი ცუდ დამოკიდებულებაშია იმასთან, ვინც ზღვაზე ბატონობს? ან თუ სახელმწიფოს აქვს ზედმეტი რკინა, თუ სპილენძი, ან სელი, სად გაასაღებს მას?.. არავინ არ მისცემს ნებას, რომ არ დაჰკარგოს თავისი ბატონობა ზღვაზე. მათი გატანისას მოწინააღმდეგე მხარეებში. აქ კი, ათენში, ყოველივე ამას ადვილად იღებენ ზღვის მეოხებით... (II, 6. 11—13)[12].

ერთი სიტყვით, ზღვაზე გაბატონებისა და დიდი სამფლობელოს შექმნის გამო ათენი უაღრესად ხელსაყრელ ნივთიერ და სამხედრო პირობებში ჩავარდა თავის მოწინააღმდეგეებთან შედარებით და, ცხადია, ეს უკანასკნელნი გულგრილად ვერ შეხვდებოდენ მის შემდგომ უფრო თვალსაჩინო გაძლიერებას. /პელოპონესის ომის წარმოშობის საერთო პირობები კი ზოგადად ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ბერძენთა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ცენტრს V ს-ის პირველი ნახევრიდან ორი, პელოპონესისა და ატიკის, კავშირის ურთიერთობა შეადგენდა. პირველში შედიოდენ უმთავრესად კონტინენტალური სახელმწიფოები და, როგორც გამონაკლისი, ისეთი სავაჭრო ქალაქები, რომლებიც მტრულ ურთიერთობაში იყვენ ათენთან სავაჭრო კონკურენციის ნიადაგზე.

პელოპონესის მიწის მეურნეობის სახელმწიფოებში გაბატონებული იყო ძველი არისტოკრატია და ოლიგარქიული წყობილება, რომლის თავგამოდებით დამცველი იყო კავშირის მეთაური სპარტა. ეს უკანასკნელი თავის საგარეო პოლიტიკას წარმართავდა მასში გაბატონებული კლასის—სპარტიატების ინტერესების მიხედვით და ცდილობდა ყველგან დახმარება აღმოეჩინა ოლიგარქიული პარტიებისათვის.

მეორე კავშირს შეადგენდენ უმთავრესად სავაჭრო საზღვაო ქალაქები, რომელთა სამეურნეო და პოლიტიკური ინტერესები არსებითად განსხვავდებოდა პირველი კავშირის წევრთა მსგავსი ინტერესებისაგან. ატიკის კავშირის სახელმწიფოებში სამეურნეო განვითარებასთან დაკავშირებით წარმოებდა ძლიერი კლასობრივი ბრძოლა და ვითარდებოდა დემოკრატიული მიმართულება, ამიტომაც ადგილობრივი დემოკრატიული პარტიები ოლიგარქოსებთან ბრძოლაში ათენს მიმართავდენ დახმარებისათვის. ამგვარად, თუ სპარტა ოლიგარქი-

ული წყობილების ცნობილი დამცველი იყო, ათენი პირიქით დემოკრატიულ სახელმწიფოებს უწევდა სრულ მფარველობას.

ასე წარმოიშვა საბერძნეთში თავისებური დუალიზმი, რომელიც არსებითად სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობას, ოლიგარქიულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის ბრძოლას განასახიერებდა. ასეთ პირობებში ათენის შემდგომ გაძლიერებას, ცხადია, დიდი მღელვარება უნდა გამოეწვია პელოპონესის კავშირში შემავალ წევრთა შორის და კონფლიქტი უფრო უნდა გაეღრმავებინა. კეთილოდ, ათენმა მეტად შეავიწროვა პელოპონესის კავშირში შემავალი კორინთის სავაჭრო ასპარეზი. ერთ დროს კორინთმა ასეთი შევიწროვებისაგან ოდნავ ამოისუნთქა, მაგრამ 446 წელს დადებული ზავის გამო ათენი იძულებული შეიქნა ახალი ადგილები დაეპყრო საროონისა და კორინთის ყურეში, და ეს გარემოება გახდა იმის საფუძველი, რომ, როდესაც ათენელებს 440 წ. სამოსი განუდგა, კორინთელებმა სამოსელებს დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა უშედეგოდ. ორიოდე წლის შემდეგ ათენელებმა დასავლეთ სანაპიროში, რომელსაც კორინთელები თვისი ინტერესების სფეროდ თვლიდენ, კავშირი დაამყარეს აკარნანიელებთან, და კვლავ გაძლიერდა წინააღმდეგობა კორინთსა და ათენს შორის. ამიტომაც კორინთმა, რომლის სასიცოცხლო ინტერესებს განსაკუთრებით ემუქრებოდა ათენის სამფლობელოს გაძლიერება, პირველმა იწყო ათენის წინააღ-დეგ ომის ნიადაგის შემზადება.

უწუალო საბაბი, რომელმაც დააჩქარა პელოპონესის ომის დაწყება, მდგომარეობდა ათენსა და მის უახლოეს მეზობლებს—მეგარასა და კორინთს შორის არსებული უთანხმოების გამწვავებაში: ა) კორკირელები (კ. კორფუ) 435 წლიდან ბრძოლას აწარმოებდენ თავის მეტროპოლიასთან (კორინთთან) და 433 წ. ათენელებს ატიკის კავშირში მიღება სთხოვეს. ათენელები დათანხმდენ მათთან მხოლოდ თავდაცვითი კავშირის დადებაზე (ეპიმაქიაზე და არა სიუმაქიაზე) და, თუმცა გაეგზავნეს მათ დასახმარებლად გემები, მაგრამ სტრატეგოსებს უბრძანეს თავი შეეკავებიათ კორინთელებზე თავდასხმისაგან. და მხოლოდ კორკირელების დაცვით დაკმაყოფილებულიყვენ (Thuc. I, 45). და მართლაც საზღვაო ბრძოლაში სიბოტის კუნძულებთან (433 წ.) ათენის გემებს თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ აქ ათენელების მეორე ფლოტის გამოჩენის გამო კორინთელები იძულებული გახდენ ნამდვილ ომში ჩაბმულიყვნენ. ბ) მეორე წელს საქმე უფრო გართულდა პოტიდეას (ქალკიდიკეში) გარშემო ბრძოლის გამო. იგი ათენის კავშირში შედიოდა, მაგრამ რადგან ამავე დროს კორინთის ასაღშენი იყო, ამიტომ მეტროპოლია მას განსაკუთრებულ მოხელეს, ეპიდემიურგს უგზავნიდა. ათენელებმა მოითხოვეს, რომ პოტიდელებს გაეძევებიათ ეს კორინთელი მოხელე. მაგრამ პოტიდეა განუდგა ათენს, ხოლო კორინთმა და მაკედონიის მეფემ—პერდიკამ მას დახმარება აღმოუჩინეს. კორინთის ასეთი ნაბიჯი 446 წლის ზავის დარღვევას წარმოადგენდა. გ) ამის საპასუხოდ ათენის დემოკრატიის მეთაურმა პერიკლემ ეგრეთწოდებული „მეგარის ფსეფიზმით“ პელოპონესის კავშირში შემავალ მეგარას დაუხშო ატიკის კავშირის ნავთსადგურები და ათენის ბაზარი.

ამით სავსებით ჩამოყალიბდა კონფლიქტი და კორინთმა და პელოპონესის

კავშირის სხვა წევრებმა მოსთხოვეს სპარტას, როგორც კავშირის მეთაურს, ათენის საწინააღმდეგო ზომების მიღება. სპარტის სახალხო კრებამ ათენის მიერ დარღვეულად ჩასთვალა 446 წლის ზავი და გადაწყვიტა ომის გამოცხადება, მაგრამ 432/1 წ. წინასწარ გარკვეული მოთხოვნილებები წარუდგინა ათენს. ათენის სახალხო კრებამ უარჰყო ყველა ეს მოთხოვნილება და თავის მხრით საპიროდ ჩასთვალა ომისათვის საჩქაროდ შემზადება. ასე შეიქმნა აუცილებელი ეგრეთწოდებული პელოპონესის ომის დაწყება.

აღსანიშნავია, რომ სპარტელები და მათი მოკავშირეები აცხადებდენ, თითქოს მათ ათენის „ტირანიისაგან" შეეიწროებულ ბერძენთა განთავისუფლების მიზნით აიღეს იარაღი ხელში.

ამგვარად, ერთიმეორის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა ორი განსხვავებული მოპირდაპირე (Thuc. II, 69). ერთ მხარეზე იყო პელოპონესის კავშირი, რომელიც შეიცავდა, არგოსისა და აქაიას ნეიტრალური ქალაქების გამოკლებით, მთელ პელოპონესს, შემდეგ მეგარას და შუა-საბერძნეთში ფოკეელებს, ლოკრიდელებს და ბეოტიელებს, აგრეთვე კორინთის დასავლეთ ახალშენებს — ამბრაკიას, ლეკასს და ანაქტორიონს. მეორე მხარეზე იდგა ათენი მთელი მისი მოკავშირეებით და აგრეთვე მასთან ცალკეულად დაკავშირებული თესალიით, პლატეათი, ნაკპაქტოსით, აკარნანიით და სხვ. პელოპონესის კავშირს ეკუთვნოდა უდაო უპირატესობა ხმელეთზე; მისი ჯარი აღემატებოდა ათენელებისას. სამაგიეროდ ათენელები თავისი ფლოტით ზღვაზე იყვენ გაბატონებული და ფინანსიური საშუალების მიხედვითაც სპარტელებზე აბსოლუტურად მაღლა იდგენ. მაშინ როდესაც პელოპონესის კავშირს საერთოდ არ ჰქონდა დაწესებული საკავშირო გადასახადი და ამიტომ არც საკავშირო თანხები მოპოებოდა, აგრეთვე ზოგიერთი ქალაქის, როგორც, მაგ., კორინთის, გამოკლებით, მასში შემავალ წევრებს არც შეეძლოთ რაიმე გარკვეული თვალსაჩინო თანხების გამოღება ომის საპიროებისათვის. ათენს გარდა ყოველწლიური ფოროსისა — 600 ტალენტის რაოდენობით და სხვა შემოსავლისა, მომარაგებული ჰქონდა 6.000 ტალენტი, რომელთაგან დაუყონებლივ შეეძლო ომის საპიროებისათვის 5.000 ტალენტის (27 მილიონ ოქროს მარკის) მოხმარება, ხოლო 1.000 ტალენტის განსაკუთრებული შემთხვევისათვის სათადარიგო თანხად შენახვა.

ამ განსხვავებასთან დაკავშირებით ორივე მოპირდაპირეს ბრძოლის სხვადა-სხვაგვარი გეგმა ჰქონდა დასახული: სპარტელები ფიქრობდენ ათენელები ხმელეთზე ბრძოლაში ჩაერთიათ და ამით თვისი საბოლოო გამარჯვება უზრუნველეყოთ. ათენი პერიკლეს სახით, საწინააღმდეგო სტრატეგიას ადგა: სპარტელების შემოსევის შემთხვევაში ხალხი კედლებს იქით უნდა მოთავსებულიყო და სპარტის წინააღმდეგ უნდა ეწარმოებინა უმთავრესად საზღვაო ბრძოლა, რადგან სპარტელებისათვის, რომლებიც ზღვაზე მეტად სუსტი იყვენ, იგი უაღრესად მძიმე იქნებოდა და გამარჯვების სასწორს ათენელებისაკენ გადახრიდა.

პელოპონესის ომის პირველ პერიოდს, რომელიც დაახ. 10 წელს გაგრძელდა (431—421) არქიდამის ომი ეწოდება, სპარტის მეფის არქიდამის სახელის მიხედვით. სპარტელები რამდენჯერმე შემოესივენ ატიკას, რომლის მოსახლეობამ თავი ქალაქს შეაფარა. მართალია, ათენელების ფლოტმა თავის მხრით

დაარბია ლაკონიისა და ელიდის სანაპიროები, დაიკავა დასავლეთით კორინთის ციხე სოლიონი (აკარნანია) და აღმოსავლეთით კუნძული ატალანტი და გამოაძევა ეგინელები მათი კუნძულიდან, მაგრამ ომის მეორე წელს ათენს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება ჭირის სახით, რომელმაც ქალაქში ხალხის არაჩვეულებრივი შეჯგუფების გამო მეტად კარგი ნიადაგი იპოვა გავრცელებისათვის. ორი წლის (430 და 429) განმავლობაში იგი მუსრს ავლებდა ათენელებს და 427/6 წლის ზამთარშიც კვლავ იჩინა თავი. მეტად შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა იმ დროს ათენი: იშვიათი იყო ოჯახი. სადაც ამ საშინელ სენს თვისი გამანადგურებელი როლი არ ეთამაშა. იგი აღმოსავლეთიდან იქნა შემოტანილი პირეუსში და აქიდან მოედო ათენსაც. ჭირმა იმსხვერპლა მოსახლეობის თითქმის მესამედი. ათენელები უნუგეშობამ შეიპყრო და, როგორც ეს ხშირად ხდება, ყველაფრის მიზეზად პერიკლე წარმოიდგინეს, სამაგიეროდ აუცილებლად ჩასთვალეს სპარტელებთან საზაო მოლაპარაკების დაწყება, მაგრამ აქიდან არაფერი გამოვიდა. პერიკლე მაინც პასუხისგებაში მისცეს, 50 ტალენტით დააჯარიმეს და ობერსტრატეგოსის თანამდებობიდანაც გადააყენეს. მართალია 429 წელს იგი კვლავ აირჩიეს სტრატეგოსად, მაგრამ მალე მას ჭირი შეეყარა და გარდაიცვალა. ამას შემდეგ ათენის შინაური და საგარეო საქმეების წინამძღოლობა რადიკალური დემოკრატიის უკიდურესი ფრთის ხელში გადავიდა, რომლის მესვეური იყო უდიდესი ენერგიის პატრონი კლეონი. იგი გადაჭრით მომხრე იყო ათენის პროლეტარიატის ინტერესების მიხედვით სახელმწიფოს როგორც შინაგანი, ისე საგარეო საქმეთა წარმართვისა. მასთან ერთად დიდი გავლენა მოიხვეჭა ამავე მიმართულების მიმდევარმა, „ლამპების ფაბრიკანტმა“ ჰიპერბოლოსმა.

428 წელს ათენს განუდგა მისი მოკავშირე ლესბოსი. ამ დროს სრულუფლებიან მოკავშირეებად ითვლებოდენ მხოლოდ ქიოსი და ლესბოსი. ლესბოსის ქალაქ მიტილენში გაბატონებული იყო ოლიგარქია, რომელიც მტრულად იყო განწყობილი დემოკრატიული ათენისადმი და მიზნად ჰქონდა დასახული მისგან სრული ჩამოშორება. ათენელებმა სცადეს მიტილენელების დამშვიდება მოლაპარაკების საშუალებით და, როდესაც აქიდან არა გამოვიდა რა, მათ წინააღმდეგ წარგზავნეს ფლოტი, რომელმაც 427 წელს დაიმორჩილა მთელი ლესბოსი. ამას შემდეგ ათენის სახალხო კერბამ დაადგინა მიტილენის მთელი სრულწლოვანი მამაკაცური მოსახლეობა სიკვდილად დაესაჯა, ხოლო ბავშვები და ქალები მონებად გადაექცია, რის შესახებაც განკარგულება უკვე გაუგზავნეს ფლოტის სარდალს. მაგრამ მეორე დღეს კვლავ მოწვეულ იქნა სახალხო კრება ასეთი სასტიკი დადგენილების გადასასინჯავად. თუკიდიდეს გადმოცემით (III, 37—48) ამ კრებაზე ერთიმეორეს დაპირისპირებია ორი მოწინააღმდეგე შეხედულება სიკვდილად დასჯის სისტემის მიზანშეწონილების შესახებ. ამ სისტემისა და შეუბრალებელი სისასტიკის დამცველად გამოსულა თვით კლეონი, ხოლო მოწინააღმდეგედ—დიოდოტი. კლეონი იცავდა, თურმე, იმ აზრს, რომ მოკავშირეები ემორჩილებიან ათენელებს არა სიკეთისათვის, რომელსაც მათ ათენელები ანიჭებენ, არამედ იმისათვის, რომ ათენელები მათ ძალით აღემატებიან... მიტილენელები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, რომ სხვებს აღარ აღეძრას

სურვილი მათ მაგალითს მიჰბაძონ. დიოდოტის მტკიცებით კი სიკვდილად დასჯა ვერ აღწევს თავის მიზანს და ვერ სპობს არსებითად პირობებს ამათუიმ დანაშაულის წარმოშობისათვის; ამიტომ არ ვაჯრა „სიკვდილად დასჯაზე დამყარება, როგორც მშვიდობიანობის საწინდარზე, და დამღუპველი გადაწყვეტილების გამოტანა... ვინც ბრძნულად სწყვეტს საკითხს, ის უფრო ძლიერია თვისი მტრების მიმართ, ვიდრე ის, ვინც მათ წინააღმდეგ მიდის, თუმცა ნიეთიერი ძალებით, მაგრამ არა კეთილგონივრულად“ [23]...

ათენელებს შეუცვლიათ პირვანდელი დადგენილება და სიკვდილად დაუსჯიათ მხოლოდ ყველაზე მეტად დაშნაშავე პირები. ამასთან ათენელებმა მიტილენის კედლები დაანგრიეს, ფლოტი ჩამოართვეს და მთელი მიწა დაჰყვეს 3.000 ნაკვთად, რომლებიც, მცირე ნაწილის გამოკლებით, ატიკის სამხედრო კოლონისტებს გადასცეს. მიწას ამუშავებდენ მაინც ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც თითოეული ნაკვეთისათვის 2 მინას აძლევდენ ათენელ კოლონისტებს წლიური საიჯარო გადასახადის სახით.

ამავე წელს დაიმორჩილეს სპარტელებმა ათენის ერთგული მოკავშირე, მის მეზობლად მდებარე პლატეა, რომელსაც მათგან რამდენიმე წლის განმავლობაში ჰქონდა ალყა შემორტყმული. მისი მოსახლეობის მიმართ, თუკიდიდეს სიტყვით (III, 68), სპარტელებმა არაჩვეულებრივი სისასტიკე გამოიჩინეს: თითოეულ პლატეელს ეკითხებოდენ, დაეხმარა თუ არა იგი ლაკედემონელებს ომში, და რაკი, ცხადია, უარყოფით პასუხს იღებდენ, რადგან პლატეელები ათენის მოკავშირეები იყვენ, ხოცავდენ. პლატეა თებელებს გადაეცა, რომლებიც მისი დაუძინებელი მტრები იყვენ; მათ ის ქალაქი, რომლის მახლობლად ბერძნებმა ერთ დროს ბრწყინვალედ გაიმარჯვეს სპარსელებზე, მიწასთან გაასწორეს. საერთოდ, ომი ჰეგემონიისათვის თანდათან უფრო ცხადად ოლიგარქიასა და დემოკრატიას შორის ცხარე ბრძოლად გადაიქცა. „მთელი ჰელადა, ამბობს თუკიდიდე (III, 82), შეინძრა იმიტომ, რომ ყველგან წარმოებდა შეხლა-შემოხლა დემოკრატიულსა და ოლიგარქიულ პარტიებს შორის; პირველის წარმომადგენლები ათენელებს მოუწოდებდენ, ხოლო მეორის წარმომადგენელები—ლაკედემონელებს“... აქვე უკეთებს განთქმული ისტორიკოსი ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს იმ მდგომარეობას, რომელიც ასეთი გამწვავებული ბრძოლის შედეგად წარმოიშვა საერთოდ საბერძნეთის სახელმწიფოებში. იმ დროის სასტიკი და დაუნდობელი შინაური ბრძოლის სანიმუშო სურათს წარმოადგენს ის სისხლისმღვრელი სცენები, რომელთაც კუნძულ კერკირაში ჰქონდა ადგილი (Thuc. III, 70—81).

425 წელს ომმა, თითქოს, უფრო გადამწყვეტი ხასიათი მიიღო. ათენის ფლოტმა დაიკავა პილოსი მესენიის სანაპიროსთან. ეს გარემოება მეტად სახიფათო იყო სპარტისათვის, რადგან მესენიელები სპარტელების ბატონობის აუტანელი პირობების გამო მუდამ მზად იყვენ აჯანყებისათვის. სპარტის ჯარი გამოეშურა მდგომარეობის გამოსასწორებლად და დაიკავა კუნძული სფაქტერია პილოსის ყურეს შესავალთან. მაგრამ ათენელებმა დაამარცხეს სპარტელები და ალყა შემოარტყეს სფაქტერიას, სადაც 420 ჰოპლიტი და მათ შორის 180 ნამდვილი სპარტიატი იმყოფებოდა. ამ გარემოებამ აიძულა სპარტა დათმობაზე

წასულიყო და მოციქულები გაგზავნა ათენში ზაეის წინადადებით. ათენში კი იმ დროს უკვე ზაეის საწინააღმდეგო განწყობილება იყო გაბატონებული. ამიტომ საზაო მოლაპარაკებიდან არსებითად არა გამოვიდა რა, და სფაქტერიის გარემოცვა გაგრძელდა.

ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა პირადად კლეონი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სფაქტერიაში მომწყვდეული სპარტელები — 292 ჰოპლიტი, მათ შორის 120 სპარტიატი, — იძულებული გახდენ დანებებოდენ ათენელებს. ეს ტყვეები ძვირფას ძეკვლებს წარმოადგენდენ ათენელებისათვის. მათ გამოაცხადეს, რომ თუ სპარტელები კვლავ შემოესევიან ატიკას, სიკვდილად იქნებიან დასჯილი ტყვედ წამოყვანილი სპარტელები. ამიტომ სპარტა, პირველ ხანებში მაინც, გარკვეულად თავს იკავებდა ატიკაზე ახალი თავდასხმისაგან. ათენი იმდენად დარწმუნებული იყო თავის საბოლოო გამარჯვებაში, რომ ხელაღებით უარჰყო სპარტის ახალი სამშვიდობო წინადადებები. ათენელებმა დაიკავეს კუნძული კითერა და მეგარის ნავთსადგური ნისეა და განიზრახეს ბეოტიის დამორჩილება. მაგრამ დელიონთან (424 წ.) დამარცხება განიცადეს თებელებისაგან. ამავე ხანებში ორმე გაწეული დიდი ხარჯების გამო ათენელები იძულებული გახდენ ვაეჯიდებიათ მოკავშირეთა ფოროსი, რადგან მომარაგებული თანხა უკვე ამოიწურა. ამიტომ ჯერ კიდევ 428 წელს, ლესბოსის წინააღმდეგ ექსპედიციის დროს, ათენელებმა შემოიღეს განსაკუთრებული გადასახადი ქონებაზე, ეგრეთწოდებული „ეისფორა“ (εἰσφορά).

თუკიდიდე გადაჭრით გვეუბნება (III, 19), რომ ამ დროს ეისფორა პირველად იქნა შემოღებული. ჭეშმარიტია გარკვევით იმის თქმა, თუ რას გულისხმობდა ამ შემთხვევაში თუკიდიდე: იმას, რომ საერთოდ ეისფორა 428 წელს პირველად იქნა დაწესებული, თუ ლაპარაკია იმაზე, რომ პელოპონესის ომის მსვლელობაში ეისფორა პირველად მხოლოდ ამ წელს იყო გატარებული. ამას გარდა მარტო პოტიდეას ალყა ათენელებს 2.000 ტალენტად დაუჯდათ. ამიტომ არისტიდეს მიერ დაწესებული ფოროსი მათ ორჯელ გაადიდეს. ამავე დროს ომის ასპარეზი დიდად გაფართოვდა. სირაკუსის მიერ შევიწროებული სიცილიელი მოკავშირეები ათენისა მას დახმარებას სთხოვენ, თავის მხრით სირაკუსელები ამავე მიზნით სპარტას მიმართავენ. ეწყობა ათენელების სიცილიის პირველი ექსპედიცია (427—424 წ.წ.), რომელსაც შესაძლებელია მიზნად ჰქონდა დასახული არა მარტო სირაკუსის დასჯა, არამედ სიცილიისა და კართაგოს დაპყრობაც. მაგრამ როდესაც სიცილიას მიადგა ათენელების 40 გემისაგან შემდგარი ფლოტი, ამან სიცილიის ბერძნებზე სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება მოახდინა, და მათ ამჯობინეს საშვიდობო კონგრესი მოეწვიათ გელაში (424 წ.), რომელზედაც სირაკუსელმა ჰერმოკრატემ წამოაყენა დევიზი — „სიცილია სიცილიელებისათვის“. ამას შემდეგ ათენელების ფლოტს სხვა აღარა დარჩენოდა რა, რომ უშედეგოდ ისევ უკან დაბრუნებულიყო.

მეორის მხრით სპარტის სარდალს ბრასიდს საბედრო მოქმედება გადააქვს ტრაკიაში, რომ აქ დიდი ზიანი მიაყენოს ათენელებს. იგი ახერხებს მისდამი ფტრიოლად განწყობილ თესალიაზე გავლას და მიეშურება ამფიპოლისისაკენ, რომელსაც აიძულებს განუდგეს ათენს. როგორც იყო ნათქვამი, ისტორიკოსმა

თუკიდიდემ, რომელიც თასოსთან მეთაურობდა ათენელების გემებს, ვერ მოასწრო დროზე მიშველებოდა ამფიპოლისს, რისთვისაც ათენიდან იქნა გაძეებული. ამფიპოლისისა და თრაკიის სხვა ქალაქების დაკარგვა მეტად მძიმე რამ იყო ათენისათვის: აქედან ათენელები მოეზიდებოდენ არა მარტო ძვირფას ლითონებს, არამედ გემების ასაშენებელ ხე-ტყესაც. ამიტომ ბრასიდის საწინააღმდეგო ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა 422/1 წ. თვით კლეონი იმ რწმენით, რომ მოკლე დროში დაუბრუნებდა ათენელებს თრაკიაში დაკარგულ საყურადღებო პუნქტებს. მაგრამ ბრძოლაში დაიღუპა ორივე სარდალი—კლეონიც და ბრასიდიც.

ამასობაში ორივე მხარე მოიქანცა და ომის დასასრულს კი ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანდა.

ათენში უფრო გაძლიერდა ზავის მომხრე ჯგუფი ნიკიასის მეთაურობით, და სპარტაშიც უაღრესად გაბატონდა სამშვიდობო განწყობილება, რომელსაც მეფე პლეისტონაქსი მეთაურობდა. მიუხედავად ზოგიერთი წრეების წინააღმდეგობისა, ასეთმა მიმართულებამ გაიმარჯვა და მეომარ მხარეთა შორის 421 წელს დამყარებულ იქნა ათენის შუამავლის ნიკიასის სახელით წოდებული ნიკიასის ზავი 50 წლით, რომლის მთავარ საფუძველს, ზოგიერთ უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, ომის წინა მდგომარეობის—status quo ante bellum—აღდგენა წარმოადგენდა. ათენს უნდა დაბრუნებოდა ამფიპოლისი, მაგრამ თავის მხრით ხელი უნდა აეღო პილოსზე, კითერაზე, მეთანაზე და ატალანტზე, ხოლო განადგურებული პლატეის მაგიერ შეენარჩუნებინა მეგარის ნავსადგური ნისეა; ათენისაგან გამდგარი ქალაქები თრაკიაში კავშირში აღარ უნდა დაბრუნებულიყვენ და მიეღოთ სრული დამოუკიდებლობა თავის მმართველობაში, მაგრამ ფოროსი უნდა ეძლიათ ათენელებისათვის არისტიდეს მიერ დაწესებული ნორმით; სადაო საკითხები მოპირდაპირე მხარეებს შორის განსაკუთრებულ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა. ეს ზავი ცნობილია „დამპალი ზავი“-ს (der faule Friede) სახელით და მას მართლაც სრულებით არ გადაუწყვეტია ჰეგემონიის საკითხი, რომელსაც იმ დროის საბერძნეთის სინამდვილეში უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ უკვე ამ ფაქტის მიხედვით იგი არ შეიძლებოდა ხანგრძლივი და მტკიცე ყოფილიყო. მაგრამ არც მისი პირობები იქნა არსებითად ცხოვრებაში გატარებული. სპარტის მოკავშირეები კორინთო, თება და მეგარი დიდად უკმაყოფილო იყვენ ამ ზავის პირობებით და შესაძლებლად ვერ ცნობდენ მათ მიღებას: კორინთო ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ მისი ახალშენები—სოლიონი და ანაქტიონი აკარნანიელების ხელში უნდა დარჩენილიყვენ, ხოლო თება აღშფოთებული იყო იმით, რომ ბეოტიის საზღვარზე მდებარე სიმაგრე პანაქტონი ათენელებს უნდა გადასცემოდა. მეორის მხრით, მართალია, ათენმა დაბრუნა სპარტაში სფაქტერიიდან ტყვედ წამოყვანილი სპარტელები და სპარტასთან კავშირიც კი შეჰკრა 50 წლით, მაგრამ ამფიპოლისი სპარტამ მას არ დაუბრუნა და თვით ათენიც საზავო პირობების წინააღმდეგ კვლავ ჰფლობდა პილოსსა და კითერას. მესამის მხრით ომის დროს განცდილმა დიდმა სამეურნეო კრიზისმა გაამწვავა პელოპონესში შინაური ბრძოლა და ზოგიერთ ქალაქში თავი იჩინა ძლიერმა დემოკრატი-

ულმა მოძრაობამ. პელოპონესის კავშირს ჩაბოშორდა ზოგიერთი წევრი, რომლებმაც მისი საწინააღმდეგო კოალიაციაც კი შეჰქმნეს. მართალია კორინთო იძულებული გახდა მალე ისევ პელეპონესის კავშირში დაბრუნებულიყო, მაგრამ იმ ქალაქებმა, სადაც დემოკრატიულმა მიმართულებამ გაიმარჯვა, არგოსმა, ელიდამ და მანტინეამ თავდაცვითი კავშირი დაამყარეს ათენთან. მათ შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი ეკუთვნოდა არგოსს, რომელიც სპარტასთან დადებული 30 წლიანი ზავის ვადის გასვლის შემდეგ უფრო გარკვევით სცდილობდა სპარტის დამცირებას. მაგრამ მანტინეასთან სპარტამ კვლავ სასტიკად დაამარცხა (418 წ.) ათენი და მისი მოკავშირეები და ამით აღიდგინა პირველსარისხოვანი სამხედრო სახელმწიფოს სახელი არა მარტო პელოპონესში, არამედ საერთოდ მთელ საბერძნეთში. ამას შემდეგ არგოსიც კი იძულებული გახდა პირველად შესულიყო პელოპონესის კავშირში და ყველგან, თითქმის, არგოსშიც კვლავ შემოღებული იქნა არისტოკრატიული წყობილება. ამ დროს ათენში ყველაზე უფრო ცნობილი და გავლენიანი მეთაური იყო ალკიბიადე. იშვიათად თუ ვისმე გამოუწვევია ჯერ კიდევ ძველ მწერლებში ისეთი დიდი ინტერესი თვისი პიროვნებისადმი, როგორიც წილად ხვდა ალკიბიადეს. ამასთან ერთად გარკვევით უნდა აღინიშნოს. რომ მისდამი დამოკიდებულებაში საშუალო ხაზს, თითქმის, ადგილი არ აქვს: მას ან დიდი სიძულვილით ამაგებენ ანდა არაჩვეულებრივი გატაცებით ადიდებენ, ყოველ შემთხვევაში გულგრილად მას გვერდს არავინ უვლის. ცხადია, მას სიცოცხლეში გარს ერტყა დაუძინებელი მტრები და თავდავიწყებამდე ბისული თაყვანისმცემლები. IV ს-ში მისი განსაკუთრებული კულტიც კი შეჰქმნეს, კულტი ძლიერი პიროვნებისა[23]. იგი იზრდებოდა თვისი ნათესავისა და ზრუნველის პერიკლეს სახლში, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერ ახალგაზრდას. იგი უსმენდა განთქმულ სოფისტებს გორგიასს, პროტაგორეს, პროდიკს და სხვ., მაგრამ არსებითად ყველაზე უფრო დაახლოებული იყო სოკრატთან. 'არსებობს ცნობა, თითქოს ალკიბიადე ხშირად აღნიშნავდა, რომ სცხვენია მხოლოდ ერთადერთი სოკრატისა. ხოლო სოკრატის გავლენა მასზე უფრო წუთიერი და გარეგნული უნდა ყოფილიყო.

პოელმანის სიტყვით[23]: „ალკიბიადესათვის ყოველი პოლიტიკური საქციელი უბრალოდ ბატონობის საკითხი იყო. სამართლიანად უწოდებს მას ნიბური (Niebuhr) ტირანულ ნატურას (φύσις τυραννική). მისთვის, რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაბედა დიდი პერიკლეს წინაშე წამოეყენებინა იმ დროის განმანათლებელი ფილოსოფიიდან ამოღებული თვისი სოფისმები კანონისა და უფლების არსის შესახებ, არ ეოიპოვებოდა არავითარი ობიექტური ზღუდე, სადაც მას შეეძლო დაფიქრებულიყო თვისი არსებობის ცენტრალურ პუნქტებზე და მიზანზე... შეუზღუდავი სუბიექტივიზმი, პრინციპი „ადამიანი არის ზომა ყველა საგნისა" (πάντων χρημάτων μέτρον ἄνθρωπος) იმ აზრით, რომ ადამიანი თავის განცალკევებაში, ყოველი ინდივიდუმი არის საგანთა საზომი, იყო საერთოდ გაბატონებული ნორმა ამ საბედისწერო ადამიანის მოქმედებისა, როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში"...

იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ჩვენ ხელთ არის,

ალკიბიადე მართლაც განსაკუთრებული პიროვნება იყო V ს-ის მეორე ნახევრის ათენში, მაგრამ სრულებით უსაფუძვლოა მისი როლის გადაჭარბებით წარმოდგენა, ან მისი თვისებების ამ დროის საერთო მომენტებიდან განცალკევებით განხილვა და განმარტება.

ამ ეპოქამ თვისი ყველაზე უფრო გარკვეული გამოძახილი ალკიბიადეს ძლიერ პიროვნებაში ჰპოვა. სამართლიანად აღნიშნავს აკად. ბუზესკული[26], რომ „მასში ყველაზე უფრო მკაცრად გამოისახა ამ ეპოქის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი, და რომ ალკიბიადე იმ დროის განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო". ჰოელმანიც გარკვეულად ამბობს, რომ „ეს იყო ხანა ინდივიდუალისტური ბუნებრივი უფლებისა, რომელმაც ეგოისმის დაკმაყოფილებისას სხვა ზღუდე არ იცის, გარდა საკუთარი ძალის ზომისა. როგორც ცხოველთა სამყაროში არსებობისათვის ბრძოლაში უძლიერესი მუდამ წარმოადგენს იმას. ვინც გამარჯვებას აღწევს უძლურთა მიმართ, ისე ეგოისმის ამ დოგმატიკის მიხედვით სამართალი ყოველთვის იმის მხარეზეა, ვის ხელშიც ძალაა; იგი იდენტიურია ძლიერის უფლებისა"... ასეთი მოვლენის ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მელოსის ამბები (Thuc. V, 84—116). მელოსი კეთილგანწყობილებაში იყო სპარტასთან, ხოლო პირველ ხანებში სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა. მაგრამ 416 წელს ათენელებმა შეიარაღებული ძალები გაგზავნეს მელოსში და მოსთხოვეს ადგილობრივ მცხოვრებლებს დამორჩილება. თუკიდიდეს სიტყვით, მოლაპარაკების დროს გამართულა საყურადღებო პაექრობა: მელოსის მცხოვრებლები, დარწმუნებული იმაში, რომ სამართლიანობას ემყარებიან, იმედს გამოთქვამენ, რომ არ იქნებიან დამარცხებულნი, რადგან ცხად უსამართლოებას ებრძვიან. ათენელები კი თავის პასუხში აღნიშნავენ, რომ ისინი პირიქით უძლიერესის უფლებას ემყარებიან, როგორც ბუნების კანონს, რომელიც მათ არ დაუწესებიათ პირველად და რომელიც მუდამ იარსებებს... ხანგრძლივი გარეშოცვის შემდეგ მელოსი იძულებული გამხდარა დანებებოდა ათენელებს, რომელთაც ყველა მამაკაცი სიკვდილად დაუსჯიათ, ხოლო ქალები და ბავშვები მონებად გაუხდიათ.

420 წელს ათენელებმა შედარებით ახალგაზრდა ალკიბიადე სტრატეგოსად აირჩიეს; იგი უკავშირდება რადიკალურ პარტიას ნიკიასის და მისი მომხრეების ზომიერი პოლიტიკის წინააღმდეგ და ახერხებს ათენის მიერ სპარტასთან დადებული ხელშეკრულების ჩაშლას და არგოსსა, მანტინეასა და ელიდასთან დამოუკიდებელი კავშირის შექმნას. ხოლო ათენელების მიერ მანტინეასთან განცდილმა დიდმა დამარცხებამ შეარყია ძისი მდგომარეობა და მორიგ საკითხად წამოაყენა ორი მთავარი მიმართულების მეთაურთაგან ერთ-ერთის გაძევება. მაგრამ ალკიბიადესა და ნიკიასს და მათ მომხრეებს შორის მოხდა მოულოდნელი შეთანხმება და ოსტრაკისირებულ იქნა მესამე პირი—ჰიპერბოლოსი. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამას შემდეგ ოსტრაკისმა დაჰკარგა თვისი პირვანდელი მნიშვნელობა და სათამაშო ბურთად გადაიქცა მებრძოლი ჯგუფების ხელში.

416 წელს დახმარებისათვის მიმართა ათენს სეგესტამ, რომელთანაც პერიკლეს კავშირი ჰქონდა დადებული ჯერ კიდევ 454 წ.; ამგვარად ათენს კვლავ

ეხდება სიცილიის საქმეებში ჩარევა. სიცილიის პირველი ექსპედიციის ფიასკოს შემდეგ სირაკუსმა დაიკავა ათენთან კავშირში მყოფი ლეონტინოის მხარე და ათენელები ამ შემთხვევაში უბრალო დიპლომატიური ჩარევით დაკმაყოფილდენ. ახლა კი დახმარებას ითხოვენ სეგესტელები, რომელთაც სელინტუტი ავიწროებდა; ამ უკანასკნელს კი მხარს უჭერდა სიცილიის უძლიერესი სახელმწიფო სირაკუსი. ამ წინადადების გარშემო ათენის სახალხო კრებაში კვლავ წამოიჭრა აზრთა სხვადასხვაობა: ალკიბიადე გადაჭრით მოითხოვდა სათანადო დახმარების გაგზავნას, ხოლო ნიკიასი ამ საკითხს უფრო ფრთხილად უდგებოდა. კრებამ გადასწყვიტა გაეგზავნა სიცილიაში ახალი ექსპედიცია: ეს იყო უკვე სიცილიის მეორე ექსპედიცია. თუკიდიდეს სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს ალკიბიადეს ამ შემთხვევაში ამოძრავებდა სახელისა და პატივის მოხვეჭისა და მასთან თვისი შერყეული ნივთიერი მდგომარეობის გამოსწორების სურვილი. მაგრამ ალკიბიადეს გავლენას ვერ მივაწერთ ათენელების მიერ ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას. აქ მთავარი, და ძირითადი ის იყო, რომ აღმოსავლეთით საკმაოდ შეეიწროვებული და ნივთიერად უკვე თვალსაჩინოდ დაუძლურებული ათენი სავაჭრო ინტერესების მიხედვით ახლაც, როგორც პირველად, იძულებული იყო თვისი ყურადღება სიცილიისაკენ მიეპყრო. ამ მოსაზრებით, ცხადია, ათენელები მარტო სეგესტელების დაცვის მიზნით არ ჩარევიან სიცილიის საქმეებში. საგულისხმებელია, რომ ათენის რადიკალურ წრეებს ახლაც აზრად ჰქონდათ მთელი სიცილიის და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, კართაგოს დაპყრობაც, რომ ათენის მეთაურობით ერთ მთლიან კავშირში გაერთიანებულიყვენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბერძნები.

ყოველ შემთხვევაში თუკიდიდე გადაჭრით გვეუბნება, რომ ამ შემთხვევაში ათენელების ნამდვილი მამოძრავებელი ძალა იყო მთელი კუნძულის დაპყრობისადმი მისწრაფება, ხოლო გარეგნულად როგორც კეთილგონიერ საბაბს, ისინი თვისი თანამემამულეებისა და მოკავშირეებისადმი დახმარების აღმოჩენის სურვილს აცხადებდენ (VI, 6).

სხვა საკითხია, თუ რამდენად შესწევდა ათენს საამისო ნივთიერი და საბრძოლო საშუალება; ამაზე, როგორც ჩანს, ბევრი სრულებით არ ფიქრობდა, იმდენად ღრმად იყო დარწმუნებული დასახული მიზნის საბოლოო განხორციელებაში. „ახალგაზრდობა პალესტრებში, მოხუცებულები სახელოსნოებსა და მოედნებზე ისხდენ სკამებზე და მიწაზე ერთიმეორეს უხაზავდენ კუნძულის ქარტას, ლიბიის და კართაგოს მდებარეობას“[27]...

ექსპედიციის მეთაურებად ათენელებმა დანიშნეს ალკიბიადე, ნიკიასი და ლამაქოსი. უკვე მზად იყო გასამგზავრებლად ექსპედიცია, როდესაც ერთ დილას ქუჩებსა და მოედნებზე აღმართული ჰერმები გადაგდებული ნახეს. ამ შემთხვევით მოვლენას უდიდესად საბედისწერო მნიშვნელობა მიეცა ათენელების განწყობილებისათვის. მას მით უფრო საყურადღებოდ თვლიდენ, რომ მასში ხედავდენ ლაშქრობის შესახებ წინათმოსწავებას და აგრეთვე სახელმწიფო გადატრიალებისა და დემოკრატიის დამხობის შეთქმულებას. ალკიბიადეს მოწინააღმდეგეები ბრალს სდებდენ, როგორც ამ საქმეში, ისე საერთოდ ღვთის გმობაში.

ალკიბიადემ მოითხოვა მისი პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მისმა მტრებმა ხელსაყრელად არ ჩათვალეს ამ საქმის გარჩევა მისი თანდასწრებით. ასეთ პირობებში გაემგზავრა 415 წლის ზაფხულში ათენის ექსპედიცია სიცილიისაკენ. ალკიბიადე ფიქრობდა, რომ ათენელებს ჯერ, რაც შეიძლება, მეტი მოკავშირე შეეძინათ სიცილიაში და მერე დაეწყოთ შეტევა სირაკუსზე, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა: მხოლოდ ნაქსოსი და კატონი დაუახლოვდა მათ, დანარჩენები კი კვლავ ერთგვარი ეკვის თვალით შესცქეროდენ ათენელების იმ დროის მიხედვით უდიდესი ფლოტის მოსვლას სიცილიაში. მაგრამ მოულოდნელად მოვიდა ათენის სახელმწიფო გემი — სალამინია ბრძანებით, რომ ალკიბიადე საჩქაროდ დაბრუნებულიყო ათენში და პასუხი ეგო სასამართლოში. საქმე ისაა, რომ ექსპედიციის წამოსვლის შემდეგ ათენში ჰერმების ღამსობიო გამოწვეული მღელვარება არ დამცხრალა, პირიქით უფრო გაძლიერდა.

გახშირდა დაბეზღება, დაპატიჟრება და უდანაშაულო ადამიანების დასჯა. მაშინ ერთმა დაპატიჟრებულთაგანმა ორატორმა ანდოკიდემ სავანეებო კომისიას, რომელიც ამ შემთხვევას იკვლევდა, მისცა ჩვენება, რომლის მიხედვითაც ჰერმების გადმოგდება საქმე იყო ოლიგარქიული გეტერიისა, რომელსაც ვიღაც ევფილეტი მეთაურობდა; თვითონ ანდოკიდე ამ ბოროტმოქმედების ჩადენის ღამეს ავად ყოფილა და ამიტომაც მისი სახლის წინ აღმართული ჰერმი უვნებელი დარჩენილა. ანდოკიდეს მიერ მიცემული ჩვენება სარწმუნოდ ჩათვალეს და მისგან დასაბეღებული პირები სიკვდილად დასაჯეს. მაგრამ არც ალკიბიადე დაივიწყეს მისმა მოპირდაპირეებმა. მის წინააღმდეგ სასალხო კრებაში შეტანილ იქნა ფორმალური ბრალდება (ეისანგელია), რომელიც მიღებულ იქნა და ალკიბიადე გადააყენეს სტრატეგოსის თანამდებობიდან და ათენში გამოიწვიეს გასასამართლებლად. ასეთ პირობებში ათენში დაბრუნებას ალკიბიადემ გაქცევა ამჯობინა და თავი შეაფარა ათენის მტერს სპარტას. მაშინ მას in absentia (დაუსწრებლად) სიკვდილად დასჯა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს.

ამასობაში ათენელებმა, მართალია, მოახერხეს სიცილიაში სტრატეგიული თვალსაზრისით საყურადღებო პუნქტის—ეპიპოლეს დაპყრობა, საიდანაც ემუქრებოდენ სირაკუსს, მაგრამ მალე მათ გარშემო მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ალკიბიადეს რჩევით სპარტელებმა სირაკუსელებს დასახმარებლად გაუგზავნეს რამდენიმე გემი ცნობილი სარდლის გილიპოსის მეთაურობით. შემნილი მდგომარეობის გამო ნიკიასი, რომელიც ლამაქოსის სიკვდილის შემდეგ მარტო მეთაურობდა ათენელების ფლოტს, საჭიროდ სთვლის ათენისაგან საჩქაროდ ახალი ექსპედიციის გამოგზავნას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე წაგებულად მიაჩნდა. იმავე დროს იმავე ალკიბიადეს რჩევით სპარტის მეფე აგისმა დაიკავა ატიკაში დეკელეია, რომელიც ათენისაგან მხოლოდ ოცი კილომეტრით იყო დაშორებული. დეკელეიას საშუალებით სპარტელები არსებითად ბატონობდენ მთელ ატიკაზე და დიდად ავიწროვებდენ სურსათის შემოტანას ევბეიდან; მიწის დამუშავება მთელ ატიკაში, გარდა ქალაქის სანახებისა, მეტად გაძნელდა; მალე შეუძლებელი გახდა ლავრიონის მაღაროების დამუშავება, რაც ფინანსების მხრით მძიმე მდგომარეობას უქმნიდა ათენის სახელმწიფოს; მრავალი ათასი ინდუსტრიალური მონა მტრების მხარეზე გადავიდა. მიუხედავად ასე-

თი მძიმე პირობებისა, ათენმა მაინც შესძლო ნიკიასის დასასმარებლად ახალი ექსპედიციის გაგზავნა დემოსთენის მეთაურობით. მაგრამ მოპირდაპირე მხარემ მოახერხა სიცილიაში ათენის ფლოტის დამარცხება და გარს შემოერტყა ათენელ ჯარს, რომელმაც გაქცევითაც ვერ უშველა თავს: მისი უმეტესი ნაწილი ამოსოცილ იქნა, ხოლო მცირეოდენი დარჩენილი ნაწილი ქვის სატეხებში იქნა გაგზავნილი მონების სახით. ბრძოლაში დაიღუპენ სარდლები—ნიკიასი და დემოსთენიც.

ასეთი უდიდესი კატასტროფით დამთავრდა ათენის სიცილიის მეორე ექსპედიცია, რომელსაც საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ათენის დემოკრატიისათვის. ამ ექსპედიციამ შეიწირა ათენის უდიდესი ნივთიერი საშუალებანი, მისი ორი ფლოტი და მრავალი ათასი მეომრის სიცოცხლე; ბერძენ-სპარსელთა ომების შემდეგ წარმოშობილი ატიკა-დელოსის უდიდესი კავშირი სრული დაშლის გზას დაადგა და მოკავშირეებმა ერთიმეორის შემდეგ იწყეს ათენისაგან განდგომა. ერთი სიტყვით, ათენს უაღრესად მძიმე და საეჭვალო მდგომარეობა შეექმნა. მართალია, თუკიდიდეს გადმოცემით, ათენელები სულით არ დაეცენ და კვლავ განაგრძობდენ დასახული მიმართულებით მოქმედებას და გადასწყვიტეს დარჩენილი ფული ახალი ესკადრის შექმნისათვის მოესმარებიათ, მაგრამ სიცილიის კატასტროფა ათენისათვის არსებითად დაცემის დასაწყისის მომასწავებელი იყო. ეს გარემოება კი არა მარტო ათენის, არამედ მთელი საბერძნეთის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა, სხვათა შორის, სპარსეთის მონარქიამ, რომელიც კალიასის ზავის შემდეგ შედარებით შორს იდგა საბერძნეთის საქმეებისაგან, და ახლა კვლავ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ბერძენთა სახელმწიფოების ურთიერთობის საკითხში. ამას გარდა სპარსეთის მეფემ დარიოს II უბრძანა თავის სატრაპებს შეეგროვებიათ მცირეაზიელ ბერძენთა ახალშენებზე დარჩენილი ძველი ხარკი. სპარტა მზად იყო ბერძენთა ეს ქალაქები ისევ სპარსეთის უღელს ქვეშ დაეყენებინა, ოღონდ კი სპარსელებისაგან მიეღო საჭირო ოქრო ათენელების წინააღმდეგ საზღვაო ექსპედიციის გასაგზავნად მცირე აზიის სანაპიროებისაკენ. მტრული განწყობილება ცაიკავეს ათენთან მისგან გამდგარმა მოკავშირეებმაც, რომელთაც ორიოდე წლის წინათ ათენმა მძიმე ფოროსი შემოტანილი და გატანილი საქონლის ღირებულების ხუთ პროცენტიანი ბაჟით (εἰκοστή) შეუცვალა; ახლა, როგორც აღვნიშნეთ, ათენს თანდათან ჩამოშორდა მისი უმეტესი ნაწილი და მალე ათენმა დაჰკარგა თვისი იონელი მოკავშირეები სამოსამდე, სადაც დემოკრატიული რევოლუცია მოხდა და რომელიც დასაყრდენი პუნქტი გასდა ათენის ფლოტისათვის ომის შემდგომ მსვლელობაში.

3. ათენის შინაური მდგომარეობა ომის დროს; ხხჭადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება ომისადმი. 411 წლის ოლიგარქიული გადატრიალება.

პელოპონესის ომის ეპოქაში ათენის დემოკრატია ღრმა კრიზისს განიცდიდა. ამ ომის მსვლელობაში, როგორც ცნობილია, დიდი ადგილი ეკავა ბრძოლას დემოკრატიულსა და ოლიგარქიულ მიმართულებათა შორის, და ეს მომენტი თავის განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამდა ათენის შინაური ცხოვრების მი-

მდინარეობას, ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ომმა და მასთან დაკავშირებულმა პირობებმა უდიდესად გაამკაცრა მებრძოლ მხარეთა ზნე ჩვეულება და საზოგადობრივ ზნეობაში განამტკიცა ყოველგვარი პრინციპის უარისყოფა; ცალკეული პიროვნების შოქმედების საფუძვლად უძლიერესის უფლება იქნა აღიარებული და იგივე ითვლებოდა იმ დროს ყველაზე უფრო გავრცელებულ პოლიტიკურ თეორიად (ამასთან ერთად თავი იჩინა ღრმა უკმაყოფილებამ არსებული დემოკრატიული წყობილებისადმი) და ეს მოვლენა უწინარეს ყოვლისა უფრო გარკვეული ხაზით გველინება სიტყვა-კაზმულ მწერლობაში, განსაკუთრებით კომედიებში, რომლებიც უკვე ნიღაბახდილად ააშკარავებს ცხად პოლიტიკურსა და ტენდენციოზურ ხასიათს. კომედიების ავტორები ხშირად წმინდა კარიკატურული ფორმებით გვისურათებენ იმ დროის დემოკრატიას და მის ისეთ მხარეებს, რომლებიც განსაკუთრებით არ მოსწონს მათ მიერ წარმოდგენილ წრეებს. აგრეთვე მის მეთაურებს, პერიკლედან დაწყებული, პერიკლეს, მაგ., უწოდებდენ „უდიდეს ტირანს", „შფოთისა და კრონოსის ნაშობს" და აშკარად დასცინოდენ მის გარეგნობას. მაგრამ გაცილებით უფრო მოურიდებლად იხსენიებდენ პერიკლეს მოადგილეებს. შედარებით ობიექტური ისტორიკოსი თუკიდიდეც კი ვერ იკავებს თავს ამ მხრით და კლეონს, მაგ., ასეთი სიტყვებით გვიხასიათებს: „იგი იყო საერთოდ მოქალაქეთა შორის ყველაზე უფრო თავხედი, მაგრამ სარგებლობდა ხალხის უდიდეს ნდობას"ო (III, 36, 6). არისტოფანეს კომედიაში „მხედრები"[28] პაფლაგონელი (კლეონი) ებრძვის დემოსზე გაელენისათვის „მეკალბასე" აგორაკრიტეს; დემოსი წარმოდგენილია, როგორც ჭკუიდან შეშლილი მოხუცი: „პნიქსის* შვილი, მობუზღუნე, ყრუ მოხუცი, სასტიკი, ფიცხე და ცერცვის** მარცვლებზე მონადირე"ო. საერთოდ, ამ კომედიაში გუნდი ასეთი სიტყვებით მიმართავს დემოსს: საუცხოოა შენი ხელისუფლება, დემოსო! შენ ყველა ადამიანს, როგორც ტირანი, უდიდეს შიშს უნერგავ, მაგრამ ძლიერ ადვილია შენი შეცთომაში შეყვანა: მლიქნელობაზე მსუნაგი ხარ და თვითონ მიძვრები ხაფანგში: ყველას სიტყვაზე შენ პირი გაგიღია, ხოლო შენი თვითნება გონება სადღაც შორს გაფრენილაო. აქვე დემოკრატიის მეთაური კლეონი დასურათებულია, როგორც უნამუსო, ქურდი და მატყუარა, მისი მოპირდაპირე „მეკალბასე" აგორაკრიტე კი, როგორც უსირცხვილო და უშეცარი თავხედი დემაგოგი, რომლისათვისაც სრულებით არ არის საჭირო რაიმე გონებრივი განვითარება[29]. და ეს ხდებოდა სწორედ იმ დროს. როდესაც დემოკრატია ძლიერი იყო ათენში, ხოლო კლეონის გავლენა უმაღლეს წერტილს აღწევდა. როგორც ჩანს, ათენის დემოკრატია დიდხანს მოთმინებით ეკცეოდა კომიკოსების ასეთ „თავდასხმას". მაგრამ საფიქრებელია, რომ შემდეგში იგი იძულებული გახდა მათ წინააღმდეგ ერთგვარი ზომები მიეღო. ყოველ შემთხვევაში, ეგრეთწოდებული ფსევდოქსენოფონტეს ტრაქტატი გადმოგვცემს, რომ ათენელები ნებას არ აძლევდენ კომიკოსებს კომედიებში გამოეყვანათ და ცუდად მოეხსენებიათ დემოსი (II, 18); მაგრამ კერძო პირების მიმართ ასეთი აკრძალვა არ არსებულა.

---

* გორაკი, სადაც ჩვეულებრივად იკრიბებოდა საპალპო კრება.

** ცერცვს ხმაობდენ არჩევნების დროს წილისყრისათვის.

დაცინვისა და გამასხარავების დიდი ობიექტი იყო კომიკოსებისათვის ათენის სახალხო სასამართლო და მისი წევრები--ჰელიასტები. მათი და ორატორების სიტყვების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ნაფიც მსაჯულებს, რომლების გასამრჯელო სიძვირის გამო კლეონმა ორი ობოლიდან სამამდე გაადიდა, პირდაპირ, დაუფარავად ეუბნებოდენ: თუ არ გამტყუნებთ ბრალდებულებს, განსაკუთრებით მდიდრებს, რომ მათი ქონების კონფისკაცია მოხდეს, სახელმწიფოს საშუალება არ ექნება მოგცესთ ხვედრი გასამრჯელოო. ცხადია, ომმა დიდი ნივთიერი კრიზისი შეუქნა ათენს და სახელმწიფო იძულებული იყო ხშირად მიემართა, შეძლებული წევრების გადასახადებით, თუ სხვა მოვალეობით, ზედმეტ დატვირთვისათვის. სალბათ, ყოველ ცალკეულ საქმეში შემთხვევაში ასეთ საკითხებს ჰელიეა სწყვეტდა და, საგულისხმებელია, რომ გადაპარბებულად მუქი საღებავებით დასურათება სახალხო სასამართლოსი და მისი წევრებისა ამ მომენტიდან უნდა გაგრძელინარეობდეს. აღსანიშნავია, რომ კომედიებსა და ორატორების სიტყვებში, თითქმის, ვერ ვხედავთ მითითებას იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვას, და ეს საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ასეთი ფაქტები რომ ყოფილიყო, სათანადო გამოძახილს იპოვიდა კომედიებში. პირველი შემთხვევა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, შეეხება პელოპონესის ომის დასასრულს, როდესაც სოკრატის ცნობილ ბრალდებელს ანიტს მოუსერხებია მოსამართლეების მოსყიდვა (Arist. Ἀθ. πολ. XXVII).

უფრო ბეტი სიძულვილით იხსენიებენ ეს წრეები ათენელ სიკოფანტებს. სიკოფანტობა ათენში განსაკუთრებით განვითარებულა პელოპონესის ომის დროს და თავისებური ხელობის ხასიათი მიუღია. ათენში იყვენ პროფესიონალური სიკოფანტები, რომლებიც არ მისდევდენ სხვა რაიმე გარკვეულ ხელობას და თვისი ნებით კისრულობდენ სახელმწიფო კანონებისა და ინტერესების დამცველისა და მათი დამრღვევვლების ბრალმდებლის როლს. როგორც ჩანს, ისინი განსაკუთრებულად ადევნებდენ თვალყურს ათენის დემოკრატიისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს. ორატორი დემოსთენი სიკოფანტებს გველს ან მორიელს ადარებს, რომელიც ხან აქეთ და ხან იქით მიაბრუნებს მაღლა აწეულ საჩხვლეტელს, რომ ნიშანში ამოღებულ პირს ვნება და უბედურება მიაყენოს. ერთი უცნობი გაღარიბებული არისტოკრატი თავისებური ირონიით აცხადებს: სანამ მდიდარი ვიყავ, მეშინოდა, რომ სახლში არავინ შემომპაროდა, არ წაეღო ჩემი ფულები და თვით ჩემთვისაც არ მოეყენებია რაიმე ვნება. შემდეგ, მე ველაქუცებოდი სიკოფანტებს, რადგან კარგად ვიცოდი, რომ უფრო მათგან მივიღებდი უსიამოვნებას, ვიდრე მათ მივაყენებდი მას. ამას გარდა, სახელმწიფო ჩემგან მუდამ მოითხოვდა რაიმე ხარჯებს და მე უფლება არ მქონდა ატიკიდან სადმე წავსულიყავი. ახლა კი, როდესაც სხვა მამულები დავკარგე, აქაური მიწა კი შემოსავალს არ იძლევა და ჩემი საოჯახო ქონებაც გაყიდულია, მე უფრო ტკბილად მძინავსო[2]). ერთი სიტყვით ცხადი უკმაყოფილება ათენის დემოკრატიით უფრო მოურიდებლად აშკარავდება, განსაკუთრებით სიცილიის მეორე ექსპედიციის კატასტროფის შემდეგ, როდესაც ოლიგარქოსები უფრო გაბედულად იწყებენ მოქმედებას პოლიტიკური გადატრიალების მოსაწყობად. ძველი

არისტოკრატული გვარების ნაშთები ჯერ კიდევ არსებობდენ ათენში. მათი წარმომადგენლები შეურიგებელი მტრები იყვენ დემოკრატიული წყობილებისა, თანასწორუფლებიანობისა და დემოკრატიის სოციალური პოლიტიკისა. მათ წრეში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა სპარტა მისი სოციალურ-პოლიტიკური ყოფა-ცხოვრებით. ამიტომ ოლიგარქოსების ეს უკიდურესი ფრთა წინააღმდეგი იყო ომისა და, პირიქით, სპარტასთან კავშირის მომხრე, რომ სპარტის დახმარებით აღედგინა ათენში მამა-პაპათა წყობილება (ἡ πάτριος πολιτεία). რომელიც სოლონის წინა დროის წყობილების რესტავრაციით უნდა განხორციელებულიყო.

უკმაყოფილო იყო ომით აგრეთვე ატიკის სოფლის მოსახლეობა. რადგან სპარტელების ატიკაში არაერთგზის შემოკრისა და განსაკუთრებით მათ მიერ დეკელიას დაკავების გამო ათენის სოფლის მეურნეობამ უდიდესი შეფერხება და ზიანი განიცადა. განადგურდა არა მარტო ყანები, არამედ ზეთის ხილისა და ლეღვის ბაღები, რომელთაც თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა ატიკის მეურნეობაში; გლეხობის დიდი ნაწილი საესებით გაღატაკდა; ქალაქში იძულებით თავმოყრილი გლეხობა განიცდიდა მწვავე სასურსათო კრიზისს და აგრეთვე მსხვერპლი ხდებოდა ჭირისა. ამიტომ იგი თავის მამულში დაბრუნებაზე ოცნებობდა. ატიკის გლეხობაში ბუნებრივად წარმოიშვა ომის საწინააღმდეგო განწყობილება, მაგრამ სულ სხვა საფუძველით, ვიდრე ამას ოლიგარქოსების უკიდურეს ფრთაში ჰქონდა ადგილი. ატიკის გლეხობა ბუნებით კონსერვატორი იყო, გაურბოდა პოლიტიკას და მოუთმენლად მოელოდა ზავს, რომელიც საშუალებას მისცემდა დაბრუნებოდა ნაცნობ ველ-მინდვრებს. გლეხობის ასეთი განწყობილება კარგად დაგვისურათა არისტოფანემ თავის „აქარნელებში“ და „ზავში“. არისტოფანეს ერთი ნაწყვეტის მიხედვით ატიკელი გლეხი ასე ოცნებობდა: ნეტავ შემეძლოს თავი დავაღწიო ომს, გავსხლა და შემოვუბარო ვაზს და გამაგრილებელი ბანაობის შემდეგ დაველიო მაჭარი და დავაყოლო პური და ბოლოკი... მეორე ნაწყვეტში კი, წარმოდგენილია ის სასურველი პირობები, რომლებიც თანმოჰყვება ზავს: თავისუფალი ცხოვრება პატარა მამულში, ბაზრის ფუსფუსისაგან მოსვენება, შშვიდობიანი ყოლა ერთი უღელი ხარისა, ცხერების ბღავილი და თასში ჩასხმული ღვინის კამკამი, საუზმედ კი ნიბლია და შაშვი: არ არის საჭირო ბაზრიდან ელოდე სამი დღის წინათ დაქერილს და მოვაპრის ბინძური ხელებიდან ერთისამად ნაყიდ თევზს.... ამგვარად, ატიკის გლეხობა, რომლის მეურნეობა ომის გამო უდიდესად შეფიწროებული და თითქმის განადგურებულია, გარკვევით წინააღმდეგია ომის და მოუთმენლად მოელის იმ დროს, როდესაც საშუალება მიეცემა დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებას სოფლად თავის პატარა მამულში.

სამაგიეროდ ომის მომხრე იყო ქალაქის მოსახლეობა. ათენელი ვაჭრებისა და მწარმოებელთათვის ფრიად ხელსაყრელი იყო საკავშირო ქალაქებში მონოპოლიური ბაზრების არსებობა და ახალი სავაჭრო პუნქტების მოპოვება. ამიტომ ათენის ეს თავისებური „საშუალო“ და ნა-

წილობრივ „მსხვილი ბურჟუაზია“ მომხრე იყო ომისა, თუმცა იმავე დროს მიზნად ისახავდა სპარტასთან ურთიერთობაში ერთგვარი კომპრომისის გამონახვას. ასეთი პოლიტიკის გამტარებელი იყო ამ ზომიერი ჯგუფის მეთაური ნიკიასი, რომლის მოღვაწეობას ნაწილობრივად უკვე გავეცანით. თუ საგარეო პოლიტიკაში ეს ჯგუფი თვისი სავაჭრო ინტერესების მიხედვით ომის მომხრე იყო, შინაგან პოლიტიკაში იგი წინააღმდეგი იყო ათენის დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და საკმაოდ სთვლიდა პირიქით არსებული დემოკრატიული წყობილების გარკვეული ცენზის შემოღებით შეზღუდვას. თუ ოლიგარქოსების უკიდურესი ფრთის იდეალი სოლონის წინა დროის წყობილების რესტავრაციას შეიცავდა, ამ ზომიერი ფრთის სურვილები ასე შორს არ მიდიოდა და ხან სოლონის და ხან კლისთენის პოლიტიკას დასტრიალებდა თავს.

უდაოდ დინტერესებული იყო ომით აგრეთვე ათენის მოსახლეობის დაბალი ფენები, პროლეტარიატი და „წვრილი ბურჟუაზია“, საერთოდ დეშოსი, რადგან ომის წარმატებით დამთავრებაზე იყო დამოკიდებული ათენის ვაჭრობის განვითარება, ხოლო ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დემოსის მიერ მცირეოდენი საშოვრის მაინც მოპოვება. ამასთან ამ ფენებს აფიქრებდა ის გარემოება, რომ თუ ათენს ჩამოშორდებოდენ მოკავშირეები და ომიც მისთვის დამარცხებით დამთავრდებოდა, ცხადია, სახელმწიფოს ნივთიერი საშუალება აღარ ექნებოდა, დაეკმაყოფილებია ხვედრი გასამრჯელოთი ათენის მოქალაქეები.

კომედიაში — „ზავი“ არისტოფანე გვისურათებს იმ სისარულს, რომელსაც განიცდიან ზავის დამყარებით თოხებისა და ცელების ხელოსნები, და, პირიქით, ომის დამთავრებით დაწუხრებას იმ ხელოსნებისას, რომლებიც სხვადასხვა საგნებს ამზადებდენ ომისათვის: ზოგი — ჩაჩქანს, სხვები — საყვირებს, მესამენი — შუბებს, ზოგიც კიდევ — ხმლებსა და აბჯრებს და სხვ. ცხადია, ასეთი ხელოსნებისათვის ომი ჰქმნიდა ისეთ პირობებს, რომლებშიც გაცილებით მეტი მოთხოვნილება არსებობდა მათ მიერ შემზადებულ საგნებზე და, მაშასადამე, მათი შემოსავალიც უფრო დიდი იყო. ამას გარდა შინაგან პოლიტიკაში დემოსის აქტუალური ნაწილი გარკვევით მხარს უჭერდა ათენის დემოკრატიის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას და სოციალური პოლიტიკის მისი ინტერესების მიხედვით უფრო გადაჭრით გატარებას.

ამგვარად, ათენში იმ დროს ოთხი გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფი არსებობდა. როჭელთაგან თითოეულს თვისი ინტერესების მიხედვით განსაზღვრული პოზიცია ეჭირა ომის მიმართ. თუკიდიდეს სიტყვით, როდესაც სიცილიის კატასტროფის ამბავმა ათენამდე მოაღწია, ათენელებს დიდხანს არ სჯეროდათ, თითქოს ყველაფერი ასე საბოლოოდ დაიღუპა... მაგრამ როდესაც შეიტყვეს სინამდვილე, მეტად გამკაცრდენ... ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც იმედს აძლევდა სიცილიის დაპყრობისას... პანიკამ და შიშმა მოიცვა ათენი, რადგან, ცალკეული პირების მიერ განცდილ დიდ ზარალს გარდა, თვითონ სახელმწიფო იყო შეძრწუნებული მრავალი ჰოპლიტის, ცხენოსანი მეომრებისა და ახალგაზდობის დაღუპვით... ამასთან ერთად ათენელები ხედავდენ, რომ მათ უკვე,

აღარ მოეპოვება გემების საკმარისი რაოდენობა, არც ფული ხაზინაში და არც მეზღვაურები ფლოტისათვის; ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა სასოწარკვეთილებამ მოიცვა და დარწმუნებული იყვენ, რომ მტერი სიცილიიდან პირდაპირ მათ წინაღმდეგ გამოეშურება და პირეუსს დაესხმება თავს ფლოტით; რომ მათი მტრები ჰელადაში, რომლებსაც ახლა მათზე ორჯერ მეტი სამხედრო ძალა აქვთ, დაუნდობლად შეუტევენ მათ ხმელეთიდან და ზღვიდან; რომ მოკავშირეები განუდგებიან და მტრების მხარეზე გადავლენ. მიუხედავად ამისა, ათენელებმა გადაწყვიტეს, რამდენადაც შესაძლებელია, არ დაეთმინათ მტრებისათვის და როგორმე მოენახათ საშუალება ახალი ფლოტის ასაგებად, აგრეთვე ტაბრუნველყოთ მოკავშირეების ერთგულება, განსაკუთრებით ევბეასი, და რაც შეიძლება, შეემცირებიათ სახელმწიფო ხარჯები (Thuc. VIII). ხალხის ასეთი განწყობილებით სარგებლობენ ოლიგარქიული მიმართულების ჯგუფები და შექმნილ მომენტს ხელსაყრელად სთვლიან ათენის სახელმწიფო წყობილებაში მათვის სასურველი ცვლილებების შეტანისათვის. ამავე დროს ოლიგარქიული პარტიის ორივე ფრთა— ზომიერი და უკიდურესი, პირველ ხანებში მაინც, შეთანხმებულად მოქმედებდა. ამ მხრით უწინარეს ყოვლისა 413 წელს ათენში განუსაზღვრელი დროით დაწესებულ იქნა უხუცეს მოქალაქეთაგან ამორჩეული 10 მრჩევლის (πρόβουλοι) კოლეგია, რომელსაც დაეკისრა მომენტის მოთხოვნილებებთან შეთანხმებით წინასწარ გაერჩია ყველა ის საკითხი, რომლებიც საბჭოსა და სახალხო კრებაში უნდა შესულიყო განსახილველად. სამგვარად, პრობულების კოლეგიის დაარსებით კლისთენის საბჭოს მნიშვნელობა ცხადად შერყეულ იქნა და ეს გარემობა არსებითად ოლიგარქიული მიმართულების პროგრამის გამომქღავნებას მოასწავებდა. მაგრამ მალე ოლიგარქოსების მიერ უფრო გაბედული ნაბიჯი იქნა გადადგმული ათენში სახელმწიფო გადატრიალების გასატარებლად. თვისი გეგმის განხორციელებისათვის ისინი მზად იყვენ დაახლოვებოდენ ალკიბიადეს და მისი დახმარებით კი სპარსეთის მონარქიას. ალკიბიადე დიდ ხანს ვერ დარჩა სპარტაში და იძულებული გახდა სპარსეთის სატრაპ ტისაფერნესთან გაქცეულიყო. იგი ცდილობდა დაერწმუნებია ტისაფერნე, რომ სპარსეთის ინტერესები მოითხოვს არა ათენის მოსპობას, არამედ საბერძნეთში ორი თანასწორი ძლიერების სახელმწიფოს შენარჩუნებას (Thuc. VIII, 45, 47). თუკიდიდეს სიტყვით ის ასე იმიტომ მოქმედებდა, რომ იცოდა, თუ სამშობლოს დაიხსნიდა საბოლოო დალუპვისაგან, შესძლებდა დაეთანხმებია ათენელები, რომ მისთვის ათენში დაბრუნების უფლება მიეცათ. მეორის მხრით იგი უახლოვდება ოლიგარქიული პარტიის წარმომადგენლებს, რომლებიც სამოსში მყოფ ათენელ მეომრებში აწარმოებდენ მუშაობას, და არწმუნებს მათ, რომ სურს დაბრუნდეს სამშობლოში ოლიგარქიის დასამყარებლად და არა თავისადა დემოკრატიისათვის, რომელმაც იგი თვისი ქვეყნიდან გამოაძევა, და მოწადინებულია კეთილი ურთიერთობა დაამყაროს ათენელებსა და ტისაფერნეს შორის. ვილკენი დიდად აქებს ალკიბიადეს შორსმჭვრეტელობის წარმოდგენაში, როდესაც ამტკიცებს, თითქოს ასეთი აზრი მას მხოლოდ იმიტომ დაებადა, რომ ოლიგარქიული რევოლუციის შემთხვევაში, რომელსაც მეტად მცირე ხანგრძლივობას აღუთქვამდა, იგი, როგორც მხსნელი დემოკრატიისა, სასურველ დაბრუნებას მოიპოვებდა[21]. უფრო

საფიქრებელია, რომ ალკიბიადეს სრული დაკავშირება ოლიგარქიულ პარტიასთან შეუძლებელი შეიქნა თვით ამ უკანასკნელში მის წინააღმდეგ წარმოშობილი ოპოზიციის წყალობით.

მოძრაობა ათენის დემოკრატიის დამხობისათვის პირველად დაიწყო სამოსში მყოფ ლაშქარში და აქედან გავრცელდა ათენის სახელმწიფოშიც (Thuc. VIII, 48 შმდგ.). აქ შეიქნა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ათენში ოლიგარქიის დამყარებას; მას მეთაურობდა ყოფილი რადიკალ-დემოკრატი და ახლა კი ოლიგარქოსების მხარეზე გადასული პეისანდრე. თვისი შეთქმულებისათვის გარეგნულად მაინც რომ სხვა ხასიათი მიეცათ, წამოაყენეს საკითხი, რომ ათენის ხსნისათვის აუცილებელია კავშირი სპარსეთის მეფესთან, რომელიც ათენის მეგობარი გახდება და ფულით დახმარებასაც აღმოუჩენს, ხოლო ამისათვის კი საჭიროა ალკიბიადეს დაბრუნება და დემოკრატიის შეცვლა ოლიგარქიით. შეთქმულების წევრთა შორის ასეთი წინადადება მიღებულ იქნა და ათენში გაგზავნეს დელეგაცია პეისანდრეს მეთაურობით, რომელსაც დაავალეს შეემზადებია ნიადაგი ალკიბიადეს დაბრუნებისა, სპარსელებთან კავშირის დამყარებისა და, რაც მთავარია, ათენში დემოკრატიის დამხობისათვის. ამ პირებმა ათენის სახალხო კრებაში ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნეს, თითქოს, ამ წინადადების მიღების გარეშე სხვა გზა აღარ არსებობდა ათენისათვის, რომ მას თავი ეხსნა უდიდესი განსაცდელისაგან, და დამსწრეთა უმრავლესობამ, ზოგმა შიშით და ზოგმაც მოსჩენილის ზეგავლენით, დაადასტურა ეს მოთხოვნილება. ტისაფერნეს

ეკუთვნის არისტოტელის (Αθ. πολ. XXIX—XXXIII) და მეორე თუკიდიდეს (VIII, 67—71) [32]. არსებითად მათ შორის განსხვავება უფრო დეტალებშია, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ არისტოტელის მიხედვით გადატრიალება თანდათან ვითარდება და ერთგვარად, თითქოს, ლეგალურ ხასიათს ატარებდა; თუკიდიდე კი პირიქით მას გვიხასიათებს, როგორც ჩქარი ტემპით მიმდინარე მოძრაობას, რომელიც სრულებით არ ერიდებოდა ძალადატანებას და ტერორს. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში, თუკიდიდეს მოწმობა უფრო შეესაბამება სინამდვილეს.

ამ გადატრიალების ძირითადი დამახასიათებელი მომენტები ასე უნდა წარმოვიდგინოთ: არჩეულ იქნა 30 კაცის კომისია, მათ შორის ათი პრობული, რომლებსაც, როგორც სრულუფლებიან კანონმდებლებს (συγγραφεῖς αὐτοκράτορες), უნდა შეემუშავებიათ „სამშობლოს დახსნისათვის" საჭირო წინადადებები, რომ შემოღებული ყოფილიყო საუკეთესო სახელმწიფო წყობილება; ამას შემდეგ მოწვეულ იქნა სახალხო კრება ყოველი მხრით დახშულ კოლონში, ათენიდან 10 სტადიონის დაშორებით (Thuc. VIII, 67,2). ვინაიდან ძველის შეცვლა განსაზღვრული პროცედურის გარეშე არ შეიძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადების ავტორს პასუხისგება მოელოდა graphe paranomonის მიხედვით, ამიტომ კომისიამ მოითხოვა ამ კანონის გაუქმება, რომ ყველა ათენელს საშუალება ჰქონოდა თავისუფლად შეეღოტანა ყოველგვარი წინადადება; ოლიგარქიული ტერორით შეშინებულმა კრებამ ეს წინადადება დაადასტურა.

ამას გარდა დადგენილ იქნა, რომ უმაღლეს ხელისუფლებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო არა ყველა მოქალაქეს განურჩეველად, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებსაც განსაზღვრული ქონებრივი ცენზი ჰქონდათ. ასეთი მოქალაქეთა რიცხვი 5 000-ით იყო განსაზღვრული; შემდეგ— შეზღუდულ იქნა ეგამაგირიან თანამდებობათა რიცხვი და გასამრჯელოს სისტემაც არსებითად იქნა შევიწროებული; დასასრულ, უკიდურესი ოლიგარქოსების მეთაურმა პეისანდრემ ისარგებლა შექნილი მდგომარეობით და თავის მხრივ გაატარა დადგენილება, რომლის მიხედვითაც არჩეულ იქნა 400-ის საბჭო, რომელსაც შეუზღუდავად უნდა წარემართა სახელმწიფო (αὐτοκράτορες) ისე, როგორც ამას საუკეთესოდ ჩათვლიდა, და მოეწვია 5 000 მოქალაქე თვისი შეხედულებით, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავდა. თუკიდიდეს სიტყვით ასეთი დადგენილების გატარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე იმ დროის განთქმულ ორატორს ანტიფონტეს, რომელიც თურმე მეტად მაღალი ზნეობის ადამიანი იყო, მაგრამ რომანტიული თაყვანისმცემელი ძველი დროისა [33].

ძველი ხუთასის საბჭოს დაშლა ახალ მმართველებს ერთგვარი შეიარაღებული თავდასხმის საშუალებით მოუწყვიათ, თუმცა წევრებისათვის დაურიგებიათ გასამრჯელო წლის ბოლომდე დარჩენილი დროისათვის. ასე იქნა დამხობილი ათენში დემოკრატია, რომელსაც ასი წლის წინათ, ჰიპიასის გაძევების შემდეგ, ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ ოლიგარქიულმა წყობილებამ ათენში სულ ოთხიოდე თვეც კი ვერ იარსება. სახელმწიფოს მმართველობა დამყარებული იყო თავაშვებულ ძალადობაზე; მოწინააღმდეგე პირები ნაწილობრივ სიკვდილად იქნენ დასჯილი, ნაწილობრივ დაპატიმრებული და გადასახლებული. სცადეს საზაო მოლაპარაკება სპარტას-

თან, მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა. ხოლო 400-ის ბატონობისათვის ყველაზე უფრო მძიმე იყო ის, რაც მოხდა სამოსთან. აქ ათენელების ლაშქრის სარდლები და მეზღვაურები დემოკრატიის სრული ერთგულნი აღმოჩნდენ და გაგონებაც კი არ სურდათ ოლიგარქიული გადატრიალებისა. მათ გადააყენეს ოლიგარქიული მიმართულების მეთაურები და სტრატეგოსებად აირჩიეს თრასიბული და თრასილი, რომელთა რჩევითაც სტრატეგოსად არჩეულ იქნა აგრეთვე ალკიბიადეც, რომელიც დემოკრატიის დამცველის როლში გამოდის. თუკიდიდეს სიტყვით (VIII, 86, 4), ალკიბიადემ უდიდესი სამსახური გაუწია ათენს იმით, რომ ხელ შეუშალა ათენელების ლაშქარს სამოსიდან პირდაპირ ათენზე წასულიყო ოლიგარქოსების დასასჯელად, რადგან ამ შემთხვევაში მტერი უეჭველად დაეპატრონებოდა იონიასა და ჰელესპონტს. ხოლო როდესაც ჯართან მოვიდენ 400-ის მოციქულები, რომლებიც ცდილობდენ, მომხდარი გადატრიალება უნებელ რამედ დაეხასიათებინათ, ალკიბიადემ ჯარის სახელით მოსთხოვა მათ 400-ის გადაყენება; 5 000-ის მმართველობის საწინააღმდეგო მათ არა ჰქონდათ რა, თუ კლისთენის 500-ის საბჭო კვლავ იქნებოდა აღდგენილი; ამასთან განსაკუთრებით წინააღმდეგი იყვენ სპარტასთან ზავის შეკვრისა. ჯარის ასეთმა დამოკიდებულებამ ნიადაგი გამოაცალა 400-ის ბატონობას. ამასთან ერთად ზომიერმა ფრთამ, რომელსაც თერამენი მეთაურობდა, აშკარად იწყო მათ წინააღმდეგ გამოსვლა. ასეთ პირობებში უკიდურესი ოლიგარქოსების უკანასკნელი იმედი სპარტა იყო, რომელსაც აქეზებდენ ათენის წინააღმდეგ. მართლაც სალამინთან გამოჩნდა სპარტელების ფლოტი, რომელიც ევბეასაკენ გაეშურა. ათენელები საჩქაროდ გადავიდენ ევბეაზე და დაედევნენ სპარტელებს. მოხდა ბრძოლა, რომლის დროსაც ათენელები დამარცხდენ და დაჰკარგეს, თითქმის, მთელი ევბეა, რომელსაც მათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თუკიდიდეს გადმოცემით, ათენელები ევბეასაგან მეტ სარგებლობას ღებულობდენ, ვიდრე ატიკისაგან (VIII, 96). არსებობდა აგრეთვე შიში, რომ მტერი ასეთი გამარჯვების შემდეგ პირდაპირ პირეუსზე წამოვიდოდა. ამგვარად, უკიდურესი ოლიგარქოსების პოლიტიკამ ათენი მეტად დიდ განსაცდელში ჩააგდო. ამიტომ ხალხი შეიკრიბა ისევ პნიქსზე, გააუქმა 400-ის ხელისუფლება და სახელმწიფოს მმართველობა გადასცა 5 000-ს, რომელთაც ის მოქალაქეები ეკუთვნოდენ, თვითონ რომ შეეძლოთ შეიარაღება (οἱ τὰ ὅπλα παρεχόμενοι). არც ეს ახალი ზომიერი ოლიგარქიული მართველობა, რომლის სათავეში თერამენი იდგა, აღმოჩნდა ხანგრძლივი. უკიდურესი ოლიგარქოსებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ დაიწყო მთელი რიგი პროცესებისა. მაგ., ორატორ ანტიფონტეს ბრალი დასდეს ღალატში და ნიუხედავად იმისა, რომ თუკიდიდეს სიტყვით თავდაცვის საუკეთესო სიტყვა წარმოთქვა (VIII, 68, 2), სიკვდილად იქნა დასჯილი. პეისანდრე, და სხვა მეთაურები დეკელეიაში გაიქცენ სპარტელებთან.

მესამეში ათენის ფლოტმა ორჯელ გაიმარჯვა სპარტელებზე, ხოლო მესამედ ალკიბიადეს მეოხებით სასტიკად დაამარცხა ისინი კიზიკოსთან; ამგვარად გამარჯვების სასწორი კვლავ ათენისაკენ გადაიხარა, სპარტელების ფლოტი დროებით განადგურებულ იქნა და ათენელების ბატონობა ზღვაზე, თითქოს, აღდგენილი. ბიზანტიის მახლობლად ათენელებმა ააგეს სიმაგრე, რომლითაც

კვლავ შეეძლოთ უზრუნველეყოთ პონტის ხორბლის ტრანსპორტი. შეძრწუნებულმა სპარტელებმა ათენელებს ზავი შესთავაზეს status quo-ს საფუძველზე და აღუთქვეს დეკელეიას გადაცემა პილოსის და კითერას სანაცვლოდ, მაგრამ ათენმა აჩქარებულად უარჰყო ასეთი საზავო პირობები.

იმავე დროს ბოლო მოეღო ათენში 5 000-ის მმართველობას და კვლავ დაწყარებულ იქნა ძველი რადიკალური დემოკრატია (410 წ.): აღდგენილ იქნა ხუთასის საბჭო და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ხოლო ძველ გასამრჯელოთ რადიკალური დემოკრატიის ახლანდელმა მეთაურმა კლეოფონმა მიუმატა კიდევ დიობელია, რომელიც სახელმწიფო პენსიას წარმოადგენდა ორი ობოლის რაოდენობით ისეთი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც წინათ გასამრჯელოს არ იღებდენ. ამასთან განსაკუთრებით გონივრული იყო ის ნაბიჯი აღდგენილი დემოკრატიისა, რომლის მიხედვით მუშების მიერ საშოვარის მოპოვების მიზნით განახლებულ იქნა მშენებლობა ერეხთეიონში (409 წ.).

4. პელოპონესის ომის დასასრული. მისი საერთო შედეგები. 30 ტირანი ათენში. დემოკრატიის საბოლოო აღდგენა.

რაკი ათენმა უარჰყო სპარტის სამშვიდობო წინადადება, ომი კვლავ გაგრძელდა და უკანასკნელ წლებში უმთავრესად ჰელესპონტის მიდამოებში წარმოებდა. ალკიბიადემ შესძლო აღედგინა აქ ათენის ბატონობა და მოახერხა აგრეთვე კალქედონის და ბიზანტიის აღება (409 წ.). ასეთი ბრწყინვალე შედეგის შემდეგ ალკიბიადეს, რომლის გაძევების დეკრეტი უკვე 411 წელს იქნა გაუქმებული, სრული იმედი ჰქონდა ათენში დაბრუნებისა. მართლაც, 408 წელს, როგორც გამარჯვებული, დაბრუნდა იგი ათენში და მისი შეხვედრის სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; მისი დაბრუნება ნამდვილი ტრიუმფი იყო: არაჩვეულებრივი აღტაცებით შეხვდა ხალხი, აღუდგინეს მას ყოველგვარი სამოქალაქო პატივი და აირჩიეს შეუზღუდავ უმაღლეს სარდლად ზღვასა და ხმელეთზე (ἡγεμὼν αὐτοκράτωρ). მაგრამ, როდესაც ათენელები ასეთი ზეიმით უმასპინძლდებოდენ ალკიბიადეს, მოხდა დიდი ფაქტი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის შემდგომ მსვლელობაში. ჩვენ ვიცით, რომ სპარსეთი წინათაც უწევდა დახმარებას სპარტას და სუბსიდიასაც აძლევდა, მაგრამ მაინც ერთგვარ ორპოფულ პოლიტიკას აწარმოებდა მებრძოლი მხარეების მიმართ, ახლა კი უფრო გადაჭრილი ნაბიჯები გადადგა. უკვე 409 წელს სუზაში სპარტამ წარგზავნა მოციქულები, რომლებმაც დაარწმუნეს სპარსეთის მეფე, რომ მისი ინტერესების მიხედვით სასარგებლოა გაიმარჯვოს სპარტამ, რომელიც სცნობდა მის ბატონობას მცირე აზიაში. მართლაც, სპარსეთის მეფემ გადასწყვიტა გაცილებით სხვა ენერგიით, ვიდრე აქამდე, მოეკიდა ხელი ათენის სრული დამარცხების საქმისათვის. 408 წელს, როდესაც ომის ასპარეზზე საერთოდ ერთგვარი მშვიდობიანობა სუფევდა, გაგზავნილ იქნა ახალგაზრდა პრინცი კიროსი 500 ტალენტით, როგორც სპარსეთის მონარქიის სარდალი, მცირე აზიაში [34]. თავის მხრით სპარტამ, რომელმაც იცოდა მხოლოდ ეს ამბავი, ფლოტის სათაოეში დააყენა, როგორც ნავარქოსი, დიდი სტრატეგიული და დიპლომა-

ტიური ნიჭის ადამიანი—ლისანდრე, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური გეგმა ჰქონდა დასახული—სპარტაში მემკვიდრეობითი მონარქია არჩეული მეფის ხელისუფლებით შეეცვალა და ამით გაეწალდა გზა სამეფო ტახტისაკენ. ამ ამბის გაგებისთანავე მცირე აზიისაკენ გაეშურა ათენის ფლოტით ალკიბიადე და კოლოფონის ნავსადგურ ნოტიონში გაჩერდა, რადგან აქედან შეეძლო თვალყური ედევნებია ეფესის ნავსადგურის გასავალისათვის, სადაც იმყოფებოდა სპარსელების წყალობით დიდად გაძლიერებული ლისანდრის ფლოტი. ბრძოლაში დიდი დამარცხება განიცადა ალკიბიადემ, რომელსაც ამიტომ ათენელებმა სარდლობა ჩამოართვეს, და ამ დროიდან იგი თრაკიაში ცხოვრობდა, სადაც სპარტელების ინტრიგების მეოხებით მოკლულ იქნა 404 წელს.

ლისანდრეს იმედი ჰქონდა, რომ, მიუხედავად კანონის მოთხოვნილებისა, მას ერთი წლით კიდევ გაუგრძელებდენ ნავარქოსის რწმუნებას, მაგრამ იძულებული გახდა გადაეცა იგი თვისი მოადგილე კალიკრატიდესთვის. ამ უკანასკნელის მეთაურობით სპარტის ფლოტმა ალყა შემოარტყა ათენის ფლოტს, რომელსაც კონონი წინამძღოლობდა, მიტილენის ნავსადგურში. როდესაც ამ ამბავმა ათენამდე მიაღწია, ათენელები არაჩვეულებრივმა განწყობილებამ მოიცვა: ყველა კარგად გრძნობდა, რომ საბედისწერო მომენტი მოახლოვდა და, თუ საჩქაროდ არ გამოასწორებდენ საქმეს, ათენის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ათენელებმა ერთი თვის განმავლობაში გაამზადეს 110 ტრიერისაგან შემდგარი ფლოტი და, რომ საჭირო ფული მოეპოვებიათ, დაურიდებლად ისარგებლეს ტაძრების სალაროთი და გადაადნეს ტაძრებში შეწირული ძვირფასი ოქროსა და ვერცხლის ნივთები ისე, რომ პართენონის პრონაოსში მხოლოდ ერთი ოქროს გვირგვინიღა დარჩა. ამ ახალი ფლოტით, რომელსაც სამოსის გემებიც მიემატა, ათენელებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს სპარტელებზე ლესბოსის სამხრეთით არგინუსის კუნძულებთან. მაგრამ ამ გამარჯვებას თან სდევდა დიდი ზარალიც: რამდენიმე ტრიერი, რომლებზედაც მეზღვაურები იმყოფებოდენ, იმდენად დაზიანებული იყო, რომ უკვე აღარ შეეძლო თავისუფალი მოძრაობა. სარდლობამ მიიღო ზომები ამ გემებზე დარჩენილი მეზღვაურების გადასარჩენად, მაგრამ ზღვის დიდმა მღელვარებამ შეუშალა ხელი და მრავალი ათენელი მოქალაქე დაიღუპა ასეთი შემთხვევითი მოვლენის გამო უკვე არა ბრძოლის ველზე, არამედ ზღვის ტალღებში.

ამ ამბავმა ძალზე ააღელვა ათენელები, რომელთაც ბრალი დასდეს სტრატეგოსებს, რომ მათ საჭირო ზომები არ მიიღეს თავის დროზე და ნაჩქარევად სამართალში მისცეს სტრატეგოსები. წინააღმდეგ სამართლის წარმოების ჩვეულებრივი წესისა, მათი საქმე სახალხო კრებაში განიხილეს და სტრატეგოსებს სიკვდილად დასჯა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს. სხვათა შორის დიდად შეეცადა ფილოსოფოსი სოკრატი ხელი შეეშალა სახალხო კრების ასეთი აჩქარებული ნაბიჯისათვის, მაგრამ უშედეგოდ (Xenophon. Hellenica I, 7). მართალია, ორი დღის შემდეგ ხალხი სინანულმა მოიცვა ექვსი ნიჭიერი სარდლის ასე განუკითხავად დასჯის გამო, მაგრამ, რასაკვირველია, უკვე გვიან იყო, რადგან განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი და საქმეს აღარა ,ეშველებოდა რა. არგინუსის კუნძულებთან დამარცხების შემდეგ სპარტამ კვლავ მი-

მართა ათენს საზავო წინადადებით, მაგრამ უკანასკნელმა იგი გადაჭრით უარჰყო. იმავე დროს კი სპარტის ფლოტს ფაქტიურად სათავეში ჩაუდგა ისევ ლისანდრე (ფორმალურად იგი ნავარქოსი კი არ იყო, არამედ ნავარქოს არაკოსის რწმუნებული) მან ბრძოლის გარკვეული გეგმა შეიმუშავა, რომ უფრო დაეჩქარებინა ათენის სრული დამარცხება. ამ გეგმის მიხედვით დეკელეიას დაკავებას მხოლოდ დარდანელის დახურვასთან ერთად შეეძლო გამოეწვია ათენში უდიდესი სიმშილი, რომელსაც იგი ვეღარ გაუძლებდა და იძულებული გახდებოდა იარაღი დაეყარა. ამიტომ ომის ასპარეზი ლისანდრემ დარდანელში გადაიტანა და 405 წ. ეგოსპოტამოსთან სასტიკად დაამარცხა ათენელების ფლოტი: ათენელების 180 გემიდან სპარტელებმა ხელში ჩაიგდეს 120; ახალი გემების აშენების საშუალება კი ათენელებს აღარ ჰქონდათ და ამით მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

მას შემდეგ, რაც ლისანდრეს დანებდა ბიზანტია და კალქედონი, ათენს მოესპო საშუალება პონტის ხორბლის მემოტანისა და ათენში უკვე დაიწყო სიმშილიანობა, მოკავშირეთა შენდგომამ უდიდეს წერტილს მიაღწია, მხოლოდ სამოსელები დარჩენ ბოლომდე ათენის მოკავშირენი და ასეთი ერთგულებისათვის სამოსელებს ათენელებმა ატიკის მოქალაქის უფლება მიანიჭეს. მაგრამ დაიწყო უკვე თვით ქალაქ ათენის გარემოცვა, რომ იგი სიმშილიანობის წყალობით იძულებული გამხდარიყო დამორჩილებოდა მოწინააღმდეგეებს. რადიკალური დემოკრატიის წარმომადგენლები ამხნევებდენ ათენელებს, რომ უკანასკნელ საშუალებამდე ებრძოლათ, რადგან კარგად იცოდენ, თუ რა უდიდესი უბედურება იქნებოდა დემოკრატიისათვის ათენის სრული კაპიტულაცია, მაგრამ თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ მალე ათენს სხვა გამოსავალი აღარ დარჩებოდა. ეს გარემოება კი ამხნევებდა ოლიგარქიული პარტიის წევრებს, რომლებსაც საფუძვლიანი იმედი ჰქონდათ სახელმწიფო წყობილების შეცვლისა ათენის დამორჩილების შემდეგ. სპარტელებმა უკანასკნელად მისცეს წინადადება ათენელებს ზავის შეკვრისა იმ პირობით, რომ მათ დარჩებოდა ლემნოსი, იმბროსი და სკიროსი, თუ ათი სტადიონის მანძილზე დაანგრევდენ გრძელ კედლებს. მაგრამ რადიკალური პარტია და მისი მეთაური კლეოფონი წინააღუდგენ ასეთ წინადადებას და სახალხო კრებამ იგი უარჰყო. სამაგიეროდ ოლიგარქიული პარტიის წევრები სარგებლობენ იმ განწყობილებას, რომელმაც მოიცვა ხალხი თანდათან გაძლიერებული სიმშილიანობის გამო, და უფრო გაბედულ ოპოზიციას უწევენ რადიკალურ ელემენტებს. მეტი გავლენით სარგებლობდა იმ დროს ოლიგარქოსების უფრო ზომიერი ფრთა, რომელმაც მოახერხა ლისანდრესთან ცნობილი თერამენის მეთაურობით მოციქულების გაგზავნა საზავო პირობების გამოსარკვევად. ამავე დროს ოლიგარქოსების პროპაგანდის წყალობით ხალხის ფართო მასებში გაიზარდა რადიკალური დემოკრატიის მეთაურებისადმი მტრული განწყობილება. ახლა მათ სდებდენ ბრალს იმაში, რომ ათენს ასეთი უდიდესი განსაცდელი მიადგა. სხვათა შორის, სრულებით უმნიშვნელო საბაბის მიხედვით სიკვდილად იქნა დასჯილი კლეოფონი. ლისანდრემ თერამენს გარკვეული პასუხი არ მისცა და ურჩია სპარტაში წასულიყო ეფორებთან მოსალაპარაკებლად. სპარტაში ზოგიერთი მისი მოკავშირე, განსაკუთ-

რებით კორინთელები და თებელები, მოითხოვდა ათენის სრულ დანგრევას და მისი მოსახლეობის მონებად გაყიდვას, მაგრამ ასეთი წინადადებისათვის სრული წინააღმდეგობა გაუწევიათ სპარტელებს. ამ ფაქტით აღფრთოვანებული ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ სპარტელებმა ასეთი მოქმედებით საპატიო ძეგლი აიგეს, რადგან ნება არ მისცეს „მონებად ექციათ ის ბერძნული ქალაქი, რომელმაც ერთ დროს საბერძნეთს უდიდეს გაჭირვებაში მრავალი სიკეთე აღმოუჩინა“-ო (Hellen. II, 220). ძნელია, სათანადო ცნობების სიმცირის გამო, იმის გამორკვევა, თუ რატომ მოიქცა ასე სპარტა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ბერძენ-სპარსელთა ომებში ათენის ღვაწლის მოგონება მისთვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან უკანასკნელ ომში მისი გამარჯვება, სხვათა შორის, სწორედ სპარსეთის სუბსიდიაზედაც იყო დამყარებული [36]. ყოველ შემთხვევაში საზავო პირობები ათენისათვის მეტად მძიმე იყო: ათენელებს უნდა დაენგრიათ პირეუსის სიმაგრენი და გრძელი კედლები, უარი უნდა ეთქვათ ატიკის გარეშე სამფლობელოზე, გადაეცათ დარჩენილი ფლოტი, 12 გემის გამოკლებით, დაებრუნებიათ გაძევებული ოლიგარქოსები და შესულიყვენ სპარტის კავშირში. ათენის სახალხო კრებამ მიიღო ეს პირობები, და ამგვარად ბოლო მოეღო პელოპონესის ხანგრძლივ ომს, რომელმაც ჰეგემონიისთვის ბრძოლა სპარტის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ათენმა დაჰკარგა საზღვაო ძლიერება, მოკავშირეები და კლერუქიები; მას დარჩა მხოლოდ ატიკა. ამასთან ლისანდრის თანდასწრებით დანგრეულ იქნა გრძელი კედლები და ამ საქმეში სპარტელებს ეხმარებოდენ გაძევებიდან დაბრუნებული ათენელები, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ „ეს დღე ჰელადის თავისუფლების დასაწყისი იყო“.

დამარცხების შემდეგ ათენში კვლავ თავი წამოყვეს ოლიგარქოსებმა, რომლებმაც სპარტელების დახმარებით ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო ძალა-უფლება. არჩეულ იქნა 30-ის კომისია, რომელშიც შეევიდენ, ოლიგარქოსების როგორც უკიდურესი, ისე ზომიერი ფრთის წარმომადგენლები. ამ კომისიას მინდობილი ჰქონდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება, მაგრამ მან არსებითად მიითვისა სახელმწიფო ხელისუფლება და მიიღო 30 ტირანის სახელწოდება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ეს ტერმინი სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე წინათ, როდესაც ტირანია ჩვეულებრივად საზოგადოების ქვედა ფენების თავისებურ დიქტატურას წარმოადგენდა. 30-ს შორის უკიდურესი მიმართულების მეთაური იყო კრიტიასი, ხოლო ზომიერის თერამენი. კრიტიასის წინადადების მიხედვით მთელ ატიკაში ქონებრივი ცენზის თანახმად სამოქალაქო უფლებები მიენიჭა მხოლოდ 3 000 პირს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეთი სიის შედგენის დროს მთავარი მნიშვნელობა ცენზს კი არ ჰქონდა, არამედ იქას, თუ რამდენად სანდო იყო ესათუის პირი კრიტიასისა და მისი მიმდევრების პოლიტიკისათვის.

30 ტირანის ბატონობის დროს მრავალი ათენელი დასაჯეს სიკვდილად (1500—2000) და საერთოდ კრიტიასის ჯგუფი ცდილობდა ტერორისტული მოქმედებით და სპარტის დახმარებით შეენარჩუნებია ძალა-უფლება. ამ უკიდურესობის წინააღმდეგ იბრძოდა უფრო ზომიერი მიმართულების თერამენი, რისთვისაც იგი თვით იქნა სიკვდილად დასჯილი. სპარტელების 700 კაცისა-

გან შემდგარი გარნიზონი იკავდა აკროპოლისიდან ოლიგარქოსების ბატონობას. მაგრამ დემოკრატი ემიგრანტები, რომლებმაც თავშესაფარი იპოვეს თებაში, შეკავშირდენ თრასიბულის მეთაურობით და იწყეს ოლიგარქოსების წინააღმდეგ ბრძოლა, დაიკავეს საზღვართან ახლოს მდებარე სიმაგრე ფილე, შემდეგ პირეუსი და მუნიხია და ალყა შემოარტყეს ათენს, 30 ტირანი ელევსინში გადავიდა და მათ მაგიერ დაწესებულ იქნა კომისია 10 კაცისაგან. ათენელი დემოკრატების სასარგებლო აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ ატიკელი ოლიგარქოსების მფარველ ლისანდრესა და სპარტის მეფეს პავსანიასს შორის დიდი ანტაგონიზმი სუფევდა და ეს უკანასკნელი გადაჭრით წინააღმდეგი იყო იმ პოლიტიკისა, რომელსაც ლისანდრე ათენში აწარმოებდა. მან პირიქით შეთანხმება მოაწყო ათენის დემოკრატებთან, რის შემდეგაც ევკლიდეს არქონტობაში 403 წელს ათენში სავსებით აღდგენილ იქნა დემოკრატიული წყობილება. ოლიგარქიული გადატრიალების ყველა მონაწილის მიმართ, 30-ისა და 10-ის კომისიებისა და მათი დადგენილებათა შემსრულებელი პირების გამოკლებით, ამნისტია იქნა გამოცხადებული. ელევსინი, სადაც თავი შეაფარა 30 ტირანმა, ცოტა ხნით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მაგრამ მალე (401 ᲝᲐ წ.) ეს დამოუკიდებლობა მას ჩამოერთვა და კვლავ ათენის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილი გახდა.

5. V ს-ნის კულტურა. სარწმუნოება და მეცნიერება; სოფისტიკა და სოკრატი; ლიტერატურა; ხელოვნება.

როგოც დავინახეთ, V საუკუნე საბერძნეთის ისტორიაში მდიდარი იყო სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებით. ამასთან დაკავშირებით ფრიად თვალსაჩინო ცვლილება განიცადა ბერძენ ტომთა კულტურულმა მდგოშარეობამაც. ამ მხრით განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ხანგრძლივი ომის შემდეგ სპარსელებზე ბრწყინვალე გამარჯვებამ. ამ გარემოებამ, სხვათაშორის, უფრო გაამახვილა კონტრასტი „ჰელენებსა“ და „ბარბაროსებს“ შორის. ამ ეპოქაში ბერძნების შემოქმედება, თითქმის, აღმოსავლური გავლენისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, თუმცა არ ერიდებოდა აღმოსავლური ცოდნის გადაშუშავებას. V ს-ის მეორე ნახევრიდან საბერძნეთის სამეურნეო და პოლიტიკური ცენტრი ათენი გახდა, რომელიც კულტურულ დარგშიც ახლა იონიის ადგილს იკავებს და, მიუხედავად იმ დიდი კატასტროფისა, რომელიც მან პელოპონესის ომის პროცესში განიცადა, იგი მაინც ინარჩუნებს პანჰელენურ მნიშვნელობას ბერძნულ კულტურაში.

VI საუკუნე გონებრივ დარგში დამთავრდა კონტრასტით ერთის მხრით ღრმად სარწმუნოებრივ განწყობილებას, რომელიც ორფიკში გვეცხადება, და მეორის მხრით იონური ნატურფილოსოფიის მიერ დამყარებულ სოფმხედველობას შორის [36]. პირველი გაბატონებული იყო უმეტესად საკუთრივ საბერძნეთში, მეორე იონიაში, და ორივე ერთიმეორის გვერდით დასავლეთში. საბერძნეთში, განსაკუთრებით ათენში, სპარსელების ომმა, თითქოს, უფრო გააღრმავა სარწმუნოებრივი განწყობილება: მარათონისა და სალამინის ბრძოლათა მოწმე

თაობას სწამდა, რომ მრავალრიცხოვან მტერზე გაიმარჯვეს მხოლოდ ღმერთების დახმარებით. ეს იყო არა მხატვრული ფანტაზია, არამედ სახალხო სარწმუნოების კვლავ ცხადი გამოჩენება, როდესაც 460 წელს ეგრეთწოდებულ „პრელ გალერეიაში“ გამოჰკიდეს სურათი, რომელშიც ღმერთები და გმირები ბრძოლაში უახლოეს მონაწილეობას იღებენ და ბერძნებს ეხმარებიან. როგორც სახვით ხელოვნებაში, ისე პოემებში მთავარი მოტივის როლს თამაშობს ღმერთების ძლიერების განსაკუთრებული ქება.

ათენიდან შემდეგ ათეულ წლებშიც კი გააძევეს ისეთი მოაზროვნე პირები, რომლებიც ხალხის წარმოდგენით უარჰყოფდენ სახელმწიფო ღმერთებს, ანაქსაგორი, დიაგორ მელოსელი და პროტაგორი. მაგრამ საერთოდ დადებითი ცოდნის მოთხოვნილება აუცილებლად თანსდევდა საზღვაო ვაჭრობისა და ქალაქური კულტურის განვითარებას. ამიტომ იონური ფილოსოფიის მოძღვრებათა შესწავლა ათენში ერთ უსაჭიროეს მომენტად იქცა. ამას გარდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში ნატურფილოსოფოსებს თვისი მიმდევრები გაუჩნდენ, რომლებიც განაგრძობდენ მათ მიერ დაწყებულ საქმეს. ხოლო ესენიც, როგორც ძველები, საკითხების მეტად ვიწრო წრეს ეხებოდენ, სპეკულატიურად უდგებოდენ მათ და სულ ახალ თეორიებს აკენებდენ, რომლებიც უმეტეს ნაწილად ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდენ.

როგორც ცნობილია, ჰერაკლიტე ეფესელი, რომელიც დასაბამ ელემენტად ცეცხლს სთვლიდა ისე, როგორც თალესი - წყალს და ანაქსიმენი ჰაერს, უარყოფდა არსს (Sein) და აღიარებდა მხოლოდ ქცევადობას (Werden). მისი განსაკუთრებული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ არსი მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მარადიული მოძრაობა საწინააღმდეგოში გადასვლის გზით და, მაშასადამე, რღვევათა და ქმნადობათა საერთო ჯაჭვში, რომლებიც ერთიმეორეს სცვლის დიალექტიურ პროცესში[37]. ყველაფერი მიმდინარეობს (πάντα ῥεῖ), ამბობს იგი, ყოველი არსი იმყოფება შეუწყვეტელ რღვევასა და განახლებაშიო. „თუ ჩვენ შეხედულებას რაიმე მყარად და დადგრომილად ეჩვენება, სინამდვილეში ყოველი არსი მოცულია შეუჩერებელი ცვლილებით. თუ ნივთთა ცვალება ყოველთვის არ იწვევს მათ რღვევას, ეს ხდება მხოლოდ იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ნივთიერების ნაწილების დაკარგვა შეივსება მათი ახალი მოადგილეების შეუჩერებელი მომდინარეობით“. მისი საყვარელი სახეა — შეუწყვეტლივ მიმდინარე ნაკადი. „ორჯელ ვერ ჩავალთ ერთსადაიმავე ნაკადში, რადგან სულ ახალ-ახალი წყალი ემატება მას... ჩვენ ჩავდივართ იმავე ნაკადში — და არც ჩავდივართ ბასში; ჩვენ ვარსებობთ და არც ვარსებობთ...“[38]. ადამიანთა ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს წინააღმდეგობანი და ბრძოლა; ერთნაირად აუცილებელია სამართლიანი და უსამართლო, სიკეთე და ბოროტება. ადამიანთა კანონები დამყარებულია საყოველთაო გონებაზე, არსის კანონზე. „გარეული და შინაური ცხოველები, რომლებიც ცხოვრობენ ჰაერში, დედამიწაზე და წყალში, ღვთაებრივი კანონის მიხედვით იბადებიან, მწიფდებიან და იღუპებიან“; „ომია ყველაფრის მამა, ყველაფრის მეფე; მან შეჰქმნა ზოგიერთი მდიდრებად, სხვები ადამიანებად, ზოგიერთი მონებად, სხვები — თავისუფლებად“[39]. კერძოდ პოლიტიკაში ჰერაკლიტე, როგორც არისტოკრატი, დიდი თავგამოდებით ებრ-

ძვის მისთვის მიუღებელ დემოკრატიას იმ ცხარე სოციალური ბრძოლის ზეგავლენით, რომელიც მის დროს წარმოებდა ეფესში. ჰერაკლიტეს საწინააღმდეგოდ ელეატი პარმენიდი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ არსს აქვს რეალობა. მისი ფილოსოფია საერთოდ განმსჭვალულია უცვლელი, განუყოფადი და უძრავი არსის აღიარებით, რომელიც რაღაც სულიერ არსებად გვეელინება, მაგრამ ამ არსებასაც პარმენიდი მიაწერს განფენილობას—სივრცეში და, მაშასადამე, ნივთიერ თვისებებს [40].

ემპედოკლე აგრაკანტელმა წამოაყენა მოძღვრება ოთხ დასაბამ ელემენტზე (ῥιζώματα): წყალსა, ცეცხლსა, ჰაერსა და დედამიწაზე, რომლებიც გარედან მოძრაობაში მოჰყავს „სიყვარულს“ და „სიძულვილს“. „ემპედოკლე ცდილობს გამონახოს დიალექტიკა ორი მარადიული ძალის – სიყვარულისა და სიძულვილის შერევასა და ბრძოლაში. სიყვარული აერთებს, სიძულვილი განაცალკევებს. მაშასადამე, დიალექტიკა აქაც ძირითადი ნიშანია ყოველგვარი ცხოვრებისა და მოძრაობისა“ [41].

ამასთან ერთად, ლურიეს სიტყვით, ემპედოკლემ პირველმა გამოთქვა მეცნიერების ისტორიაში ის აზრი, რომელიც შემდეგში განავითარა დარვინმა, —აზრი არსებობისათვის ბრძოლისა და ყველაზე უფრო შეგუებულთა გამძლეობის შესახებ.

ანაქსაგორ კლაზომენელმა, რომელიც პირველად დამკვიდრდა ათენში და აქ პერიკლეს დაუახლოვდა, წარმოიდგინა ურიცხვი გაყოფადი, თვისებრივად სხვადასხვაგვარი, არაჩვეულებრივად მცირე ძირითადი ელემენტები (σπέρματα), რომლებიც დასაბამიდან მოძრაობაშია მოყვანილი მსოფლიო გონების (Νοῦς) მიერ, და, ამგვარად, განსხვავება დააწესა მატერიასა და სულს შორის [42]. ასეთი დუალისტური თეორიის საწინააღმდეგოდ ლევკიპმა და მისმა დიდმა მოწაფემ დემოკრიტ აბედერელმა, რომელიც უნივერსალური სწავლული იყო არისტოტელამდე, წამოაყენეს მონისტური თეორია ატომების შესახებ, რომლის მიხედვით მატერია შედგება სხვადასხვა სახის უსაზღვროდ მრავალი, განუყოფადი (ἄτομα), სივრცის ამავსებელი, თვისებრივად ერთნაირი ნაწილაკებისაგან. ამ მოძღვრების თვალსაზრისით ყველაფერი აუცილებლობით აიხსნება: „არც ერთი ნივთი არ წარმოიშვის უმიზეზოდ, არამედ ყველაფერი წარმოდგება საფუძვლისაგან და აუცილებლობის ძალით“. მასთან დაკავშირებულია ჩვენი გრძნობებისა და შემეცნების პირობითი ხასიათი: „არ არსებობს არაუერი ჭეშმარიტი, არაფერი სარწმუნო, გარდა პირველადი ელემენტების ატომებისა და სიცარიელისა“. მაგრამ ამით მეცნიერება და შემეცნება არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, პირიქით მეცნირების გარეშე არავის ძალუძს მიაღწიოს პრაქტიკულ უნარიანობასა და სიბრძნეს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრიტი ჰერაკლიტეს წინააღმდეგ სახალხო მმართველობის მომხრე იყო [43], თუმცა ყველაზე უკეთესად მიაჩნდა სულიერი სიმშვიდის თვალსაზრისით პოლიტიკური ცხოვრებიდან განშორება და საკუთარ კერძო საქმეებზე ზრუნვა.

ფილოსოფიასთან ერთად შემდგომ განვითარებას განიცდის მეცნიერების ცალკეული დარგები. თალესისა და განსაკუთრებით პითაგორის მიერ საფუძველჩაყრილი მათემატიკა ვითარდება არა მარტო დასავლეთში, პითაგორის

სკოლის წყალობით, არამედ იონიაშიც, სადაც მის წინსელას ხელს უწყობ-დენ ისეთი პირები, როგორიც იყვნენ ოინოპიდე ქიოსელი და ჰიპო-კრატე ქიოსელი, რომელმაც პირველმა შეადგინა გეომეტრიის სახელ-მძღვანელო. ოინოპიდე ამას გარდა ეშსახურებოდა ასტრონომიული მეცნიერების განვითარებას და ამ მიმართულებით სარგებლობდა ბაბილონელების ასტრონო-მიულ დაკვირვებებს. მოძღვრება დედამიწის ბურთობრი სახის შესახებ, რომ-ელიც ჯერ კიდევ პითაგორმა გამოთქვა, გაზიარებულ იქნა მხოლოდ დასავლეთ-ში მაშინ, როდესაც ასეთი შეხედულება იონიაში უკუაგდეს და მას ანაქსიმან-დრის მიერ წარმოდგენილ წრისებრ დისკოდ აღიარებდენ. რაც შეეხება სხვა დიდ მსოფლიო სხეულებს, ანაქსაგორმა მათ შესახებ წამოაყენა ახალი თეორია, რომ-ლის მიხედვით მზე. გახურებული ლითონის ბურთოს წარმოადგენს; იგი უფრო დიდია, ვიდრე პელოპონესი; მთვარე მეორე დედამიწაა, რომელსაც მისებრ აქვს მთები და ველები და დასახლებულია სულიერი არსებებით; სინათლეს იგი მზი-საგან იღებს. ასეთი მოძღვრებისათვის, რომელიც არსებითად ანადგურებდა ძველ მითებს, ანაქსაგორი შემდეგში დევნას განიცდიდა. წინსელამ მათემატიკასა და ასტრონომიაში ხელი შეუწყო კალენდრის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მთვა-რის წლის მზის წელთან გათანასწორების საქმეში. მეცნიერული ხასიათი მიიღო ამ საუკუნეში აგრეთვე მედიცინამ. ძველად ბერძნებიც სხვადასხვა ავად-მყოფობის წარმოშობას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდენ და მათგან თავდასაცა-ვად შელოცვებს, მსხვერპლის შეწირვას, ლოცვასა და ჯადოქრულ ფორმულებს მიმართავდენ. სხვათა შორის ასკლეპიოსის ტაძრებში ხშირად წარმოებდა ღვთა-ების შეკითხვა ძილის დროს (ინკუბაცია) მაგრამ საერთო საზოგადოებრივ-კულტურულ განვითარებასთან ერთად საბერძნეთში მალე იჩინა თავი ავადმყო-ფობის შედარებით უფრო რაციონალურმა მკურნალობამ. ამ მხრით განსაკუთ-რებით განთქმული გახდა VI და V ს-ის მიჯნაზე ქვედა-იტალიის ქალაქი კრო-ტონი. ჰეროდოტეს გადმოცემით (III, 125 შმდ.), თავის დროზე უალრესად გა-მოჩინებული ექიმი იყო სწორედ კროტონელი მოქალაქე დემოკედი (Δημοκήδης), რომელმაც სპარსეთის მეფის დარიოსის კარზე დიდი ცოდნა გამოიჩინა და და-ჩრდილა ამ მხრით ეგვიპტელი სპეციალისტები. მაგრამ ამ დარგის განვითარება უფრო გარკვევით დაკავშირებულია განთქმული ექიმის—ჰიპოკრატე კო-სელის სახელთან, რომელმაც გაფანტა მასში მითური ბურუსი (ვილკენი) და პირველმა გამოთქვა ის აზრი, რომ თითოეულ ავადმყოფობას აქვს თვისი გარკვეული ბუნებრივი მიზეზი, და მოითხოვდა ადამიანის აგებულებისა და ანა-ტომიის შესწავლას[11].

მეორის მხრით რაც უფრო ვითარდებოდა დემოკრატიული წყობილება ათენში და ფართოვდებოდა ცალკეული მოქალაქეების უფლება-მოვალეობის ას-პარეზი, მით უფრო იზრდებოდა რეაქცია ბუნების ცალმხრივი გამოკვლევის წი-ნააღმდეგ და ცენტრალური პუნქტის მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის ურ-თიერთობის გამორკვევას მის მსგავს არსებათა და სახელმწიფოს მიმართ. თან-დათან ცხადი ხდებოდა, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში მონაწილეობისათვის აუცილებელია დაკისრებულ მოვალეობათა წესიერად შესრულების მხრით ცოდ-ნის გარკვეული ჯამი. და სწორედ აქ აშკარავდებოდა ძველი ბერძნული აღ-

ზრდის სისუსტე და ახალ პირობებთან შეუსაბამობა; აღარ იყო საკმარისი წერაკითხვისა და ლიტერატურის შესწავლა, მუსიკა და ტანთვარჯიშობა, რომლებიც, მართალია, ხელს უწყობდა სხეულის განვითარებას და გონებრივ ძალთა განმტკიცებას, მაგრამ ვერ ამზადებდა ბერძენ მოქალაქეებს პრაქტიკული საქმიანობისათვის. „ნუ დავივიწყებთ: პერიკლეს ეპოქაში ათენი უდიდეს სამფლობელოდ გადაიქცა და დაიწყო იმ დროის საერთაშორისო პოლიტიკაში როლის თამაში. ვისაც სურდა, ან მოწოდებული იყო მასში მონაწილეობა მიეღო, მას უნდა ჰქონოდა საკმაო პოლიტიკური განათლება, უნდა შესძლებოდა „პოლიტიკური აზროვნება“ და „კარგი ლაპარაკი“... სახალხო კრებაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ათენელ მოქალაქეს მუდამ წინ უდგებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხებოდა პოლიტიკას, უფლებას, მორალს. ამავე საკითხებს ეხებოდენ ზოგჯერ ათენის სცენაზედაც, განსაკუთრებით ევრიპიდეს პიესებში... ასე დაჟინებით წამოყენებულ მოთხოვნილებათ უნდა გამოეწვია მათი დაკმაყოფილების საშუალებაც. და ათენში გაჩნდენ ადამიანები, რომელთაც იკისრეს ამოცანა, რომ მეთოდიური შესწავლის გზით დაემუშავებიათ სისტემატურად ის აზრები, რომლებიც ათენის მოქალაქეთა თავში იყო აღძრული, და ამით პასუხი გაეცათ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე“ [45]. ასეთ პირებს ს ო ფ ი ს ტ ე ბ ს უწოდებდენ, ხოლო მათ პროფესიას—ს ო ფ ი ს ტ ი კ ას. ეს პირები მთელ საბერძნეთში მოგზაურობდენ, ასწავლიდენ ჰონორარის აღებით საორატორო ხელოვნებას და ცდილობდენ თვისი მოხსენებებით ახალგაზრდობისათვის მიეცათ მოქალაქეობრივი მოღვაწეობისათვის საჭირო აღზრდა. ჩვენ დროში სიტყვა „სოფისტს“ სპეციფიკური მნიშვნელობა მიენიჭა და ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ადამიანი, რომელიც ყოველგვარი საშუალებით ცდილობს დაამტკიცოს წინასწარ ცნობილი ცრუ აზრი. ბერძნები, პირიქით, პირველად „სოფისტს“ ხმარობდენ იმავე შინაარსით, როგორითაც „ბრძენს“; ესქილე, მაგ., პრომოთეოსს სოფისტს უწოდებს იმ მოსაზრებით, რომ მან კაცობრიობას მოუპოვა ისეთი დიდი ელემენტი კულტურისა, როგორიცაა ცეცხლი. დროთა მსვლელობაში ამ სიტყვას ბერძნებმა უფრო ვიწრო მნიშვნელობა მისცეს და ამ სიტყვით იწყეს ისეთი ადამიანების აღნიშვნა, რომლების პროფესიას პრაქტიკული ცნობების გავრცელება წარმოადგენდა; ასეთი პირები აზროვნებას მიმართავდენ არა ნატურფილოსოფიის პრობლემების თეორეტიული შესწავლისაკენ, არამედ ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი პ[illegible]ტიკული მომენტების გამორკვევისა და ათვისებისაკენ. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, სოფისტები განსაკუთრებული ყურადღებით ჩერდებოდენ შემდეგ ცალკეულ დარგებზე: შემეცნების თეორიაზე, ეთიკაზე, უფლებისა და სამართლიანობის მოძღვრებაზე, სახელმწიფო ხელისუფლების თეორიაზე და მჭევრმეტყველებაზე, რომელიც თავისებურ ხელოვნებად ითვლებოდა საჯაროდ სიტყვის წარმოთქმისა და სახალხო დაწესებულებებში საქმიანობისათვის. სოფისტებს აინტერესებდათ უმთავრესად მოძღვრება ა დ ა მ ი ა ნ ს ა და ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ა ზ ე და ამაშია მათი განსაკუთრებული დამსახურება [46].

მათ შორის პირველი და მეტად მნიშვნელოვანი იყო პ რ ო ტ ა გ ო რ ა ბ დ ე რ ე ლ ი (თრაკიაში), რომელმაც ჰელენთა სამყაროს მრავალი ქალაქი ინა-

ხულა და ხშირად იყო ათენში, სადაც დიდი წარმატება და სახელი მოიხვეჭა. იგი მიზნად ისახავდა არა მარტო მჭევრმეტყველების სწავლებას, არამედ აზროვნების განვითარებასაც. მასთან ერთად დასახელებულ უნდა იქნას გორგია ლეონტინელი (სიცილიაში), რომელიც თავის მხარის ელჩად იყო წარგზავნილი ათენში 427 წელს; უწინარეს ყოვლისა იგი საორატორო ხელოვნებას ასწავლიდა და მისი მეოხებით სიცილიაში დიდად განვითარდა რეტორიკა, განსაკუთრებით კი სასამართლო მჭევრმეტყველება. მათთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ: პროდიკ კეოსელი, რომელიც პროტაგორის ძლიერ გავლენას განიცდიდა და მრავალჯერ იყო ათენში თვისი კუნძულის კეოსის საქმეების გამო და აქ რამდენიმე წლის განმავლობაში მისდევდა მასწავლებლობას; ჰიპიას ელიდელი, რომელიც აგრეთვე იყო ათენში დიპლომატიური დავალებებით; თრასიმაქოს კალქედონელი, და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პირები სხვადასხვაგვარი შთამომავლობისა იყვენ, მათი მოძრაობის ცენტრალური პუნქტი მაინც ათენი იყო. მთავარი საფუძველი სოფისტიკას ჩაუყარა პროტაგორმა, რომელმაც განავითარა ჰერაკლიტეს აზრები[18] და წამოაყენა დებულება: „ადამიანი არის საზომი ყველა ნივთისა, არსებულთა, რომ ისინი არსებობენ, და არარსებულთა, რომ ისინი არ არსებობენ“. ამგვარად, ჩვენი შემეცნება სუბიექტიურია და არსებობს არა აბსოლუტური, არამედ რელატიური ჭეშმარიტებანი, რომელნიც მხოლოდ მათი გამომთქმელთათვის არიან ნამდვილი.

აქედან გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი შედეგი, ასეთი დასკვნა: ყოველი საკითხის შესახებ შეიძლება არსებობდეს ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო არგუმენტაცია, და რომ ყოველგვარი ზნეობრივი ცნება არსებობს არა ბუნებისაგან, არამედ ემყარება ადამიანთა შეთანხმებას; ასევე სახელმწიფო კანონები და სარწმუნოება წარმოადგენს მხოლოდ რელატიურ სინამდვილეს. პლატონის გადმოცემით, სოფისტი ჰიპიასი ამბობდა: „ჩვენ ყველანი ნათესავები და თანამოქალაქეები ვართ ბუნებით და არა კანონით; რადგან ბუნებით თანასწორი ნათესავია თანასწორისა, კანონი კი, როგორც მეუფე ადამიანთა. გვაიძულებს ბევრში წავიდეთ ბუნების წინააღმდეგ, ამიტომ ცალკე სახელმწიფოებში არსებულ კანონებს მხოლოდ პირობითი ღირებულება აქვს; ისინი ადამიანთა ხელის საქმეა და მუდმივად იცვლება ადამიანთა მოთხოვნილებებთან შეთანხმებით“-ო. სარწმუნოება და კულტიც პირობით მრმენტებზეა დამყარებული. პროტაგორი აღნიშნავდა: მე არ შემიძლია რაიმე ვიცოდე ღმერთების შესახებ, არც ის, რომ ისინი არსებობენ და არც ის, რომ არ არსებობენო. აქ ბევრი რამ უშლის ხელს ცოდნას: გაურკვევლობა და ადამიანის ცხოვრების ხანმოკლეობაო. უნდა გარკვევით ითქვას, რომ სოფისტებმა საერთოდ არა ერთი ორიგინალური მოსაზრება წამოაყენეს, რომლითაც უდაოდ ხელი შეუწყვეს აზროვნების განვითარებას განსაკუთრებით იმით, რომ თანახმად თვისი მეთოდისა, თითოეულ საკითხს ორი თვალსაზრისით იხილავდენ, ებრძოდენ დაწესებულ შეხედულებათ და ყველაფერს ეჭვის ქვეშ აყენებდენ. სოფისტებმა მეტად ბევრი რამ გააკეთეს ათენის მოქალაქეების პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის და, მიუხედავად განსხვავებისა პოლიტიკურ საკითხებში, უაღრესად თვალსაჩინო სა-

მსახური გაუწიეს თავის თანამედროვე საზოგადოებას. აგრეთვე მიუხედავად უაღ-
რესი ინდივიდუალიზმისა, სოფისტების უმრავლესობა მუდამ ხაზს უსვამდა ადა-
მიანთა შორის თანასწორობის პრინციპს და გორგიას მოწაფის ალკიდამის პი-
რით სოფისტებმა ანტიური სამყაროს ერთი უსაშინელესი საზოგადოებრივი
იარის—მონობის ინსტიტუტის მოსპობაც კი მოითხოვეს. მაგრამ სოფისტიკას
ახასიათებდა უარყოფითი მხარეებიც, რომლებიც უმთავრესად იმაში გამოიხა-
ტებოდა, რომ სოფისტიკის საფუძველს წარმოადგენდა, რამდენადაც ეს სოფის-
ტების დისკუსიებში აშკარავდება, რაღაც პრობლემატიური და დისჰარმო-
ნიული [49].

სოფისტიკამ საბერძნეთში მოიპოვა დიდი გავრცელება, განსაკუთრებით
ახალგაზრდობაში, მაგრამ ამასთან ერთად გამოიწვია ცხარე ოპოზიცია არა მარ-
ტო ძველებურად მოაზროვნე წრეებში, არამედ ისეთი პიროვნების მხრითაც,
როგორიც იყო ქვისმთლელი სოფრონისკის შვილი სოკრატი (470-399 წ.წ.)
ცნობილია, რომ მას ბრალი დასდეს იმაში, თითქოს იგი არ სცნობდა ღმერთებს,
რომლებსაც სახელმწიფო აღიარებდა, და მათ მაგიერ ახალ ღვთაებათ აწესებდა,
გარდა ამისა, რყვნიდა ახალგაზრდობას. იგი დამნაშავედ აღიარეს და სიკვდი-
ლად დასჯა მიუსაჯეს; მან თვითონ დალია შხამი, რაც ათენში სასჯელის ჩვეუ-
ლებრივ სახედ ითვლებოდა, და მისმა ასეთმა სიკვდილმა არაჩვეულებრივი შა-
რავანდედით შემოსა იგი მრავალი მკვლევარის თვალში.

საერთოდ ახალ დროში სოკრატს სხვადასხვა მწერალი ერთი-მეორისაგან
სრულებით განსხვავებულ თვისებებს აწერს; მასში ხედავენ: თეორეტიკოს-მო-
აზროვნეს, სოციალურ რეფორმატორს, ფილოსოფოს-პოპულარიზატორს, კაცო-
ბრიობის კეთილშობილ მეგობარს, კრიტიკოს-რაციონალისტს, მეოცნებე-უტო-
პისტს, მისტიკოსს, თავისუფალ მოაზროვნე—ათეისტს, ჭკვიან სოფისტს, წვრილმან
და მომაბეზრებელ მორალისტს, პოლიტიკურ რეაქციონერს, რომელმაც დამღუპ-
ველი გავლენა იქონია ადამიანის გონების თავისუფალ განვითარებაზე, და, პირ-
იქით, თავხედ რევოლუციონერს, რომელიც ანგრევს დაწესებულ წყობილებას.
მაგრამ უძლურია შესცვალოს იგი რაიმე ახლით, და სხვ. და სხვ. [50].

ერთი სიტყვით, თითოეული მკვლევარი მასში ეძებს იმას, რაც მისი აზრით
მთავარი და ძირითადია, და ამ მხრით უმეტეს ნაწილად ადგილი აქვს, როგორც
მისი ისტორიული ნიშვნელობის გადაჭარბებულად გათვალისწინებას, ისე მისი
დამცირების უდიდეს ტენდენციას [51]. მაგრამ ჩვენ სოკრატის მოძღვრება და მო-
ღვაწეობა გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათში თავისებურ გა-
მოძახილს ეპოულობთ იმ საზოგადოებრივ-კულტურულ განვითარებისას, რომელ-
საც ამ ეპოქაში ათენი განიცდიდა.

პლატონის ერთ დიალოგში ჩვენთვის ცნობილი ალკიბიადე ასეთი სიტ-
ყვებით აღნიშნავს სოკრატის გავლენას: „როდესაც ვუსმენ მას, ჩემი გული გა-
ცილებით ძლიერად ცემს, ვიდრე კორიბანტებისა*, და ცრემლი მდის მისი სი-
ტყვებისაგან. ვხედავ მრავალ სხვასაც, რომლებიც ამასვე განიცდიან... ეს მარ-
სიასი ხშირად ისეთ განწყობილებას მიქმნიდა, რომ ულირსად მეჩვენებოდა ისე-

* კორიბანტები—ღმერთების დიდი დედის ქურუმები, რომლებიც არაჩვეულებრივი ექს-
ტაზით ასრულებდენ ღვთისმსახურებას.

თი ცხოვრება, რომელსაც მე ვატარებ... ყველა ადამიანთაგან მხოლოდ მის წინაშე ვგრძნობ იმას, რასაც ჩემში არავინ იფიქრებდა,—ვგრძნობ სირცხვილს, მხოლოდ მისი მრცხვენიაო"... ამ სიტყვებიდან უწინარეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ იმაზე, თუ რას გულისხმობდა ალკიბიადე, როდესაც სოკრატს სატირ მარსიასს ადარებდა. შეიძლება მას მხედველობაში ჰქონდა V ს-ის პირველი ნახევრის განთქმული ბერძენი მოქანდაკის მირონის ბრინჯაოს ჯგუფი ათენის აკროპოლისში: მასში გადმოცემულია ათინა და სატირი მარსიასი იმ მომენტში, როდესაც მას უპოვია ათინას მიერ გადმოსროლილი ფლეიტა და მხიარული გაოცებით არ იცის, ხელი სტაცოს მას, თუ თავის ადგილას დატოვოს. აქ დიდი მხატვრული ოსტატობით არის გამოსახული ღმერთქალის მშვენიერი სახე, რომლის წინაშე მარსიასის გარეგნობა უაღრესად მახინჯად მოჩანს [52]. ალბათ, ამ ჯგუფზე მითითებით იმ აზრის გატარება სურდა ალკიბიადეს, რომ მიუხედავად არამიზიდველი გარეგნობისა, სოკრატი მაღალბუნებოვანი და ღრმა აზროვნების ადამიანი იყო. მეორის მხრით, ალკიბიადეს სიტყვები გვარწმუნებს, რომ სოკრატს დიდი გავლენა ჰქონია თავის მსმენელებზე. მაგრამ სრული დაპირისპირება სოკრატისა სოფისტებისადმი სწორი არ არის: მისი მოძღვრების შინაარსი ისევეა განმსკვალული ინდივიდუალიზმით, როგორც სოფისტების მოძღვრებათა შინაარსი [53]. სოკრატი, როგორც სოფისტები, რომელთა წრიდანაც გამოვიდა თვითონ იგი [54] და რომლებსაც მას მიაკუთვნებდენ მისი თანამედროვენი, უარჰყოფდა მეცნიერებათ ბუნების შესახებ და მთავარ მიზნად ისახავდა, როგორც ისინი, ადამიანების აღზრდას მოქალაქეობრივ თვისებათა განმტკიცების თვალსაზრისით; მისთვისაც ცენტრალური მნიშვნელობა აღზრდის პრობლემებს ჰქონდა, განსაკუთრებით ძლიერი პიროვნების განვითარების მიმართულებით. მაგრამ იგი არ გამოდიოდა იმ პრეტენზიით, თითქოს ჭეშმარიტება უკვე მოპოვებული ჰქონდა, და არც ფულით ასწავლიდა მსმენელებს, არამედ ცდილობდა ინდუქტიური გზით სხვებთან დისკუსიების საშუალებით ჭეშმარიტების გამორკვევას.

ამ დისკუსიების პროცესში იგი ააშკარავებდა იმ ყალბ დებულებებს, რომლებსაც, მისი აზრით, სოფისტები ემყარებოდენ, და ცდილობდა დაემტკიცებია, თუ რამდენად მცირე და არა სანდოა მათი ცოდნა. ამასთან თუ სოფისტები უმეტეს ნაწილად კმაყოფილდებოდენ უარყოფით და ეკვით და, მათი აზრით, საერთო ჭეშმარიტება არ არსებობდა, სოკრატი პირიქით ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება არსებობს, არსებობს რაღაც საკალდებულო, ყველა ინდივიდუმზე მაღლა მდგომი, და რომ ცოდნა მხოლოდ ეს შეიძლება იყოს, სადაც ეს შეგნებულია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სოფისტებთან მას აახლოვებდა დამოკიდებულება ავტორიტეტისადმი: მისი პრინციპი იმაში მდგომარეობდა, რომ არაფერი არ ყოფილიყო მიღებული სარწმუნოდ დამტკიცებისა და შემოწმების გარეშე; იგი ყველას მოუწოდებდა გამოეკვლიათ და შეესწავლათ ყოველი საკითხი და ანგარიში გაეწიათ მხოლოდ თვისი რწმენისათვის. ყოველ დღე ხედავდენ სოკრატს ათენის ქუჩებში, მოედნებზე, გიმნაზიებში და პალესტრებში, სადაც იგი აჩერებდა ნაცნობს და უცნობს და იწყებდა მათთან ბაასს, რომლის დროსაც ცდილობდა გაერკვია ძირითადი ცნებების არსი, თუმცა იგიც საკმაოდ დაშო-

რებული იყო ცნებების სისტემატიკას. განსაკუთრებული ყურადღებით ეხებოდა იგი ზნეობრივი მომენტების ცოდნას და გარკვევით აღიარებდა, რომ კეთილ-მოქმედება ცოდნაში მდგომარეობს: ცოდნა საფუძველია ყოველგვარი ზნეობრივი მოქმედებისა და უცოდინარობა კი—ყველა შეცთომისა და ნაკლისა. ამ მხრით სოკრატმა გზა გაუწალდა შემდეგ თაობას ეთიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების საქმეში. ამავე დროს სოკრატის პრაქტიკული მოღვაწეობა დამყარებული იყო იმ რწმენაზე, რომ ღვთაებრივი მისიის შესასრულებლად თავის თანამოქალაქეთა წრეში ზნეობრივი გამაღვიძებლის როლი ეთამაშნა. საერთოდ სოკრატმა გადალახა სოფისტების მოძღვრება რელატივ-ტეტის შესახებ და საბოლოოდ აღიარა ზოგადი ცნებების რეალობა. ამით ერთგვარად გაიბზარა სოფისტების მოძღვრების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ყოველი საგნის მიმართ შეიძლება არსებობდეს ორი თანაბრად სწორი, სამართლიანი, ერთიმეორის საწინააღმდეგო გაგება და არა, პირიქით, ერთი რომელიმე აბსოლუტურად ნამდვილი შემეცნება. ამ მხრით სოფისტების უკიდურესი სუბიექტივიზმის გადალახვა უდიდესი საქმე იყო[55].

V ს-ის სოციალურ-პოლიტიკურმა, ფილოსოფიურმა და სარწმუნოებრივმა მიმდინარეობებმა და ბრძოლამ ახალი ნიადაგი შეუქმნა ბერძნული ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. ამ ეპოქის დასაწყისში ხორ-ლირიკამ უმაღლეს წერტილს მიაღწია თებელი მგოსნის პინდარის შემოქმედებაში. იგი, როგორც მისგან დაცული ნაწყვეტებიდან ჩანს, წარმომადგენელი იყო იმ ღრმა სარწმუნოებრივობისა და მომაკვდავი არისტოკრატიის რაინდული იდეალებისა, რომლებიც უმთავრესად საკუთრივ საბერძნეთში იყო იმ დროს გავრცელებული. „ხალხი, როგორც ასეთი, არ აინტერესებდა პინდარს, მის მიერ ნაქადაგევი მორალი უპირატესად მაღალი წოდების მორალი იყო. ამ წოდების წრეში ტრიალებდა მგოსანი, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის, და ამ წოდების ინტერესები განსაკუთრებით ძვირფასნი იყვნენ მისთვის. ერთი სიტყვით, პინდარის სახით ჩვენს წინაშე დგას დრომოჭმული საუკუნის დამახასიათებელი წარმომადგენელი“[56].

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ამ საუკუნეში ბერძნული ტრაგედიის განვითარება. იგი ისე, როგორც პოლიტიკური კომედია, სავსებით სპეციფიკური ატიკური ქმნილება იყო, თუმცა ორი უცხო სტილის ფორმების—დორიული დითირამბისა და იონური იამბის შეერთებისაგან იყო წარმოდგარი[57]. თუ ტრაგედიის განვითარების საქმეში თესპისის მონაწილეობის შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა რამ ვიცით, სამაგიეროდ უფრო ნათელია ამ დარგში დიდი მწერლების ესქილის, სოფოკლის და ევრიპიდის მოღვაწეობა. პირველად ესქილს შემოქმედებაშიც ხორ-ლირიკა სჭარბობდა და მსახიობი („მოპასუხე“—ὑποκριτής) უკანა რიგში იყო დაყენებული, მაგრამ მან შეჭქმნა დრამა, რომელშიც მეორე მსახიობის დამატებით შესაძლებელი გახდა დიალოგი და მოქმედება. ხოლო პირველად ახალგაზრდა სოფოკლემ დააწესა მესამე მსახიობი და სცენურ საშუალებათა დახმარებით დასაბამი მისცა სიცოცხლით სავსე მოქმედებას. ასეთი ახალი მომენტები მიიღო მოხუცმა ესქილმაც და თავის „ორესტია“-ში მოგვცა უმაღლესი მხატვრული ნაწარმოები.

ტრაგედიის სამი უდიდესი წარმომადგენელი: ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე ამ საუკუნის საზოგადოებრივად და კულტურულად შედარებით განსხვავებულ მომენტებში მოღვაწეობდენ და ამის მიხედვით განსხვავებული იყო მათი შემოქმედების ძირითადი ხაზებიც. ესქილე თანამედროვე და მონაწილე იყო სპარსელებთან ომისა, განსაკუთრებით მარათონისა და სალამინის ბრძოლებისა, და, მაშასადამე, თვითონ განიცადა ის დიდი მხნეობა, რომელიც ბერძნებმა ამ ომში გამოიჩინეს, და აგრეთვე ის აქტიობა, რომელიც ამ ხანაში ძველმა არისტოკრატიულმა ორგანომ—არეოპაგმა გამოაშკარავა. ესქილე არისტოკრატი და ღრმადმორწმუნე ადამიანი იყო, მაგრამ იმავე დროს, თითქოს, გატაცებული დემოკრატიული იდეით. როგორც მისი ტრაგედიიდან—„სპარსელები"—ჩანს, იგი დარწმუნებული იყო, რომ ათენის ახალგაზრდა პატარა რესპუბლიკის უზარმაზარ და უძლიერეს სპარსეთზე გამარჯვება იყო დემოკრატიისა და საერთო თანასწორობის იდეის გამარჯვება დესპოტიზმისა და ძალმომრეობის იდეაზე. ამ გარემოების ახსნა შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ თავისებური მდგომარეობა ამ ეპოქაში არისტოკრატიული ინტელიგენციისა დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობის საქმეში აიძულებდა მას წასულიყო თავის მხრით დათმობაზე და გარკვეულ საზღვრამდე პატივი ეცა დემოკრატიული იდეალისათვის; ამ მიმართულების იდეოლოგებს საჭიროდ მიაჩნდათ უჩვენებიათ, რომ მიუხედავად არისტოკრატიის ყველა შეცთომისა და დანაშაულისა, სახელმწიფო მმართველობაში არისტოკრატიისა და მისი მთავარი ორგანოს, არეოპაგის, მონაწილეობა უმაღლესი საშართლიანობა იყო. ამ ამოცანის შესრულება თავს იდო ესქილემ [58].

მისი ტრილოგიის პირველი პიესა—„პრომეთეოსი"—ააშკარავებს დემოკრატიულ თვალსაზრისს: „ხალხის მოყვარე" და ბედნიერი მმართველობა კრონოსისა შესცვალა ძევესისა და მისი დამქაშების სახით წარმოდგენილმა არისტოკრატიამ. ძევესი განაგებს, როგორც მოძალადე და თვითნება ტირანი. დემოკრატიის განმასახიერებელი პრომეთეოსი კი ცდილობს გაანათლოს და განათავისუფლოს ხალხი, მაგრამ ასეთი „კაცნიერებისათვის" მას სასტიკად სჯის ძევესი; პირადი ეინის დასაკმაყოფილებლად იგი აწამებს აგრეთვე საცოდავ ქალიშვილს—იოს. პრომეთეოსი უშიშრად და მოურიდებლად წინასწარმეტყველებს, რომ ახლო მომავალში დაემხობა ძევესის ტირანია. მაგრამ ტრილოგიის მეორე და მესამე პიესიდან, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ჰერაკლე, რომელსაც უნდა დაემხო ძევესის ბატონობა, ნამდვილად არიგებს პრომეთეოსს ძევესთან და პრომეთეოსიც, რომელიც უკვე უარს ამბობს ძევესისადმი მტრობაზე, პირიქით აღიარებს მისი მმართველობის სიბრძნეს, სიკეთეს და უმაღლეს სამართლიანობას. საფიქრებელია, რომ ამით ესქილეს სურდა წარმოედგინა პოლიტიკური ევოლუციის საკუთარი თეორია. როგორც პრომეთეოსი შეურიგდა ძევესს და შეიცნო მისი სახელმწიფო სისტემის სიბრძნე, ისე ათენის დემოკრატია უნდა შეუთანხმდეს არისტოკრატიას და შადლობელი იყოს მისი იმ ტანჯვისათვის, რომლის წყალობით მან ზნეობრივი უფლება მოიპოვა ახალ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაზე. განსაკუთრებით მაღლა აყენებს ესქილე ძველ ტრადიციულ ინსტიტუტს—არეოპაგს, რომლის აპოლოგეტად გამოდის თავის „ევმენიდებ"-ში, როდესაც უკვე დაისვა საკითხი მისი

უფლებების შეკვეცისა და მისთვის ძველი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩამორთმევისა [59].

ამგვარად, ესქილე ათენის არისტოკრატიის იმ ნაწილისა და თაობის ზრახვების მატარებელია, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სპარსელებთან ბრძოლის გამო დემოკრატიასთან ერთგვარი შეთანხმების დამყარება, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ამ უკანასკნელს თავის მხრით შეეგნო და ეცნო არისტოკრატიის ბურჯის არეოპაგის მაღალი დანიშნულება და მნიშვნელობა. ეჭვი არ არის, ასეთი სულისკვეთება ისტორიის მიერ უკვე განწირული იყო.

მეორე დიდი ტრაგიკოსის სოფოკლის მთავარი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო „პერიკლეს“ ეპოქასთან, როდესაც უკვე სხვა საზოგადოებრივი და ულტურული პირობები იყო გაბატონებული ათენში, ვიდრე ბერძენ-სპარსელთა ომების დროს. იგი ახალი საზოგადოებრივ-კულტურულ მიმდინარეობათა გავლენას განიცდიდა და თავის პიესებში ააშკარავებდა უკვე თავისუფალ სარწმუნოებრივ სოფლმხედველობას.

მაგრამ გაცილებით უფრო საყურადღებოა ევრიპიდე, რომელიც რაციონალიზმისა და სკეპტიციზმის ხანაში ჰქმნიდა თავის მრავალი მხრით საგულისხმიერო პიესებს. მისი მომქმედი პირები, მართალია, გმირების სახელებს ატარებენ, მაგრამ ისინი უკვე აღარ არიან ესქილის გმირული ტიპები, არც სოფოკლის იდეალური სახეები, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავნი მათი მწუხარებით თუ სიხარულით, მათი სულისკვეთებით და განცდებით. დროს უკვე აღარ შეესაბამებოდა ძველი გმირების თავგადასავლის პოეტურ ფორმებში გადმოცემა, და ევრიპიდეც თავის პიესებში იხილავდა უმთავრესად იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც მის თანამედროვე საზოგადოებას აღელვებდა: სხვადასხვა პარტიის სოციალურ-პოლიტიკურ მისწრაფებებს, მოსახლეობის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების გულისწადილს, ფილოსოფიურ შეხედულებათ, სოფისტურ შიმართულებას, საერთოდ სარწმუნოებრივსა და ფილოსოფიურ დარგებში წარმოშობილ მიმდინარეობათ და საგარეო პოლიტიკის საკითხებსაც, მაგ., სპარტისადმი დამოკიდებულებას, ათენის მდგომარეობას საბერძნეთში და სხვ.

ამ საკითხების განხილვაში ევრიპიდე ააშკარავებდა იმ წრეების სოფლმხედველობას, რომლებსაც პელოპონესის ომის დროს წარმოშობილი ზნეობრივი დაქვეითება და საზოგადოებრივი გახრწნა უკიდურესი დემოკრატიის მმართველობის შედეგად მიაჩნდათ. წყობილება, რომელშიც მოქალაქეებს ქონება ერთმევა ხალხის უღარიბეს ნაწილებს შორის დასარიგებლად, ევრიპიდეს აზრით, საოცარი ტირანიაა და სხვა არაფერი. მაგრამ ამ მხრით მას უფრო ზომიერი პოზიცია ეჭირა: იგი სრულეპით არ ფიქრობდა იმ „მამაპაპათა წყობილების“ რესტავრაციაზე, რომელიც თერამენისა და მისი თანამოაზრეების იდეალი იყო. თუ ამ მიმართულების ხალხი ფიზიკურ შრომას ადამიანის დამაჩლუნგებელ და დამამცირებელ საქმედ თვლიდა, ევრიპიდე, პირიქით, თავის მასწავლებელ სოკრატთან ერთად, დარწმუნებული იყო, რომ სწორედ შრომა ჰქმნის ადამიანს შომქმედ და მომთმენ და, მაშასადამე საზოგადოებისათვის სასარგებლო არსებად.

მაგრამ საფიქრებელია, რომ ასეთ გამაკეთილშობილებელ გავლენას ევრიპიდე უფრო სოფლის მეურნეობაში მუშაობას მიაწერდა.

საერთოდ, ევრიპიდეს კონცეპციით, სახელმწიფოს დასაყრდენ ძალად კვლავ უნდა გამხდარიყო ის კლასი, რომელსაც ასი წლის წინათ ემყარებოდა პისისტრატე და, მაშასადამე, აღდგენილ და გამაგრებულ უნდა ყოფილიყვენ წვრილი და საშუალო ინდივიდუალური მიწის მეურნეები, რომლებიც სახელმწიფოსათვის ყველაზე უფრო ჯანსაღი ელემენტებია, რადგან არსებობს სამი კლასი: მდიდრები, რომლებიც უსარგებლონი არიან და მუდამ უფრო მეტის ძებნაში იმყოფებიან, ქონებრივად შევიწროვებულნი, რომლებიც სახელმწიფოსათვის საშიშროებას წარმოადგენენ, ვინაიდან ეხარბებათ შეძლებულთა მდგომარეობა და ცუდი მეთაურების ხელმძღვანელობით მთელ თავის შხამს მათ წინააღმდეგ მიმართავენ, და საშუალო კლასი, რომელიც მხსნელია სახელმწიფოსი და მცველი არსებული წყობილებისაო. ამგვარად, ევრიპიდეს საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფოს დასაყრდენ ძალად მიჩნეულ იქნას ატიკის წვრილი და საშუალო მიწის მეურნეები. მაგრამ ასეთი პროგრამა უკვე აღარ შეესაბამებოდა იმ დროის ათენის მდგომარეობას.

ძველი წყობილების მოტრფიალე წრეებისაგან ევრიპიდე განსხვავდებოდა იმითაც, რომ, თუ პირველთათვის სპარტა იყო იდეალური სახელმწიფო, ევრიპიდეს სძულდა სპარტა და მისი წყობილება და, პირიქით, მისი აზრით ათენი მსოფლიო სამართლიანობის მატარებელი იყო, რომელიც, თითქოს, განგების მიერ იყო მოწოდებული საერთო-ბერძნული მოსამართლის როლისადმი. კერძოდ თანამედროვე რადიკალურ-სოფისტურ იდეებისადმი ევრიპიდე ცხად სკეპტიციზმსა და ზოგჯერ დაუფარავ უარყოფით დამოკიდებულებას ააშკარავებს, მაგრამ იმავე დროს იგი დიდი რაციონალისტი იყო და არ შეეძლო ღრმა ინტერესი არ გამოეჩინა მათდამი. მართალია, იგი ცდილობს შეებრძოლოს ამ მიმდინარეობას, მაგრამ ის სოფლმხედველობა, რომელზედაც სურს თვითონ დაემყაროს, სავსებით ველარ უძლებს დროის ახალ მოთხოვნილებათ [60]. ამ მხრით ევრიპიდეს შემოქმედება უაღრესად საყურადღებოა ათენის იმ დროის საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის გათვალისწინების თვალსაზრისით.

✓ იმავე ეპოქის საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების ორგანიული შედეგი იყო აგრეთვე კომედიის ჩამოყალიბება. როგორც ტრაგედია, ისე კომედიაც დიონისეს ღვთისმსახურებისაგან განვითარდა. სადღესასწაულო პროცესია (κῶμος) და უზარმაზარი ფალოსები დიონისეს კარნავალისაგან იყო წარმომდგარი [61]. პირველად 487/6 წ. იქნენ დაშვებული დიონისიების სახელმწიფო დღესასწაულზე კომიკურ ხოროები.

უძველესი კომიკური პოეტების შესახებ ჩვენ, მათ სახელებს გარდა, სხვა, თითქმის, არა ვიცით რა. თუ ყოველი კომედიის საგანს არ შეადგენდა ყოველდღიური პოლიტიკის კრიტიკა, ათენის მიმართ პირიქით დამახასიათებელი იყო სწორედ პოლიტიკური კომედია. ამ მხრით გაცილებით მეტი ცნობები შოგვეპოება არისტოფანეზე, რომელიც კრიტიკულად ეხებოდა პელოპონესის ომის დროს ყველა დიდ პოლიტიკურ შემთხვევას და აგრეთვე მთავარ მიმდინარეობებს კულტურულ დარგში: თავს ესხმოდა სოფისტურ სოფლმხედველობას, ევრიპიდეს და სოკრატს, რომელსაც სოფისტების წარმომადგენლად თვლიდა-

საერთოდ იმ დროის ატიკური კომედია არაჩვეულებრივი გულახდილობით ააშკარაევებდა უაღრეს სიძულვილს ათენის დემოკრატიისადმი და გამოხატავდა იმ წრეების პოლიტიკურ მრწამსს, რომლებიც ანტიდემოკრატიულად იყვენ განწყობილი. V ს-ის ყველა კომიკოსი მტერი იყო ათენის დემოკრატიისა და სწორედ ამ უკანასკნელის მოთმინების წყალობით ახერხებდენ ისინი სასაცილოდ აეგდოთ დემოკრატიის მეთაურები და თვით დემოსი. მათ პიესებში ცხადად მოჩანს არისტოკრატიული ტენდენციები და არისტოკრატიული მიმართულების წარმომადგენელთა უფრო მიმზიდველი საღებავებით დასურათება. ერთი სიტყვით, V ს-ის ატიკური კომედია არსებითად პოლიტიკურ პროპაგანდას წარმოადგენდა მხატვრულ ფორმებში არსებული დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ.

საზოგადოდ ბერძნულ ლიტერატურაში ყოველთვის ძლიერი იყო პოლიტიკური ელემენტი, განსაკუთრებით სოფისტების ხანაში და პელოპონესის ომის დროს, როდესაც მმართველობის ფორმისა და საუკეთესო წყობილების საკითხები საერთო ყურადღებას იპყრობდა. სოფისტების საუბრებში, სხვადასხვა პოლიტიკურ ტრაქტატებსა და სიტყვებში და აგრეთვე სცენაზედაც ცხოველი კამათი წარმოებდა ამ საკითხების გარშემო: ან დიდი ქებით იხსენიებდენ არსებულ წყობილებას, ან, პირიქით, დიდი სიმპათიებით იგონებდენ ძველ „მამაპაპათა წყობილებას“: ეხებოდენ ადამიანის საზოგადოების და სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების პრობლემებსაც. თითოეული მიმართულება ლიტერატურაში ხედავდა იარაღს და საშუალებას საზოგადოებრივ აზროვნებაზე ზეგავლენისათვის.

სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულმა მომენტებმა და განსაკუთრებით კი მათზე გამარჯვების შემდეგ დამყარებულმა საზოგადოებრივმა პირობებმა ხელი შეუწყო ბერძნული ხელოვნების ფართო განვითარებას[2]: სპარსელების შემოსევამ და მათ მიერ ზოგიერთი ქალაქის ნაწილობრივმა თუ სრულმა განადგურებამ პირველ რიგში აუცილებელი გახადა გამარჯვების შემდეგ ასეთი ქალაქების აღდგენა და მათი ახალი მბატკერული ძეგლებით შემკობა. კერძოდ, ამ დროს საფუძვლიანად მინგრეული ათენი პოლიტიკური მდგომარეობის ზეგავლენით დიდი სიჩქარით იქნა აღდგენილი. ახალი აღმოჩენების წყალობით სავსებით ზტკიცდება თუკიდიდეს ცნობა (I, 93), რომ თემისტოკლეს კედლის აგების დროს, რომელიც შედარებით ძველ საქალაქო კედელთან უფრო შორს უვლიდა ათენს, მოხმარებულ იქნა ზოგიერთი ძველი მხატვრული ძეგლი, მათ შორის საფლავის ქვები. იმ დროის ხელოვანთა მთავარ ამოცანას შეადგენდა, ხალხის ფართო ფასების განწყობილების მიხედვით, მხატვრულ ფორმებში აესახათ განცდილი დიდი ომი და მტერზე ძლევამოსილი გამარჯვება.

მაგრამ წინანდელი გარდამავალი საფეხური ხელოვნებისა შემდგომ განვითარებას უმეტესად ათენში აღწევს, ეგრეთწოდებული „კლასიკური“ ხელოვნების დამყარების სახით. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო იმ სამხედრო და ნივთიერ ძლიერებასთან, რომელიც ათენს მიენიჭა დელოს-ატიკის კავშირის შექმნით, მისი თავის სამფლობელოდ გადაქცევით და ახალი დიდი ნივთიერი საშუალებების მოპოვებით, განსაკუთრებით საკავშირო სალაროს ათენში გადმო-

ტანის შემდეგ. ამას გარდა ათენში ახალი პირობების გამო დიდად გაფართოვდა ვაჭრობა და წარმოება. ამ გარემოებამ კი ხელი შეუწყო ათენელების კულტურულ ამაღლებას. ერთი სიტყვით V ს-ის მეორე ნახევარში ათენი მთელი საბერძნეთის ცენტრალურ პუნქტად გახდა, „ჰელადა ჰელადისაგან„ (Ἑλλάδος Ἑλλάς Ἀθῆναι), როგორც ეს ერთი ქვის წარწერაშია ნათქვამი.

მას შემდეგ, რაც ათენში ქალაქი და პირეუსი გრძელი კედლების საშუალებით თავისებურ ერთიან სიმაგრედ იქცა, აკროპოლისმა დაჰკარგა თვისი ძველი მნიშვნელობა, როგორც გამაგრებულმა ადგილმა, თუმცა შემდეგშიც შეინარჩუნა ნაწილობრივად თვისი ბუნებრივი ციტადელის სახის მიხედვით სამხედრო გამოყენების ხასიათი. სამაგიეროდ იგი ამ ეპოქაში შემკულ იქნა ძვირფასი მხატვრული ძეგლებით, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა: პართენონი, ერეხთიონი, გამარჯვების ტაძარი და სხვ. აქ სხვა საუცხოვო ძეგლების გვერდით დგას დიდი ხელოვანის ფიდიასის ქმნილებანი: უზარმაზარი ათინა პრომაქოსი და ათინა ლემნია. საბერძნეთის ძველი კულტურის სახელგანთქმული თანამედროვე მკვლევარის ვ ი ლ კ ე ნ ი ს სიტყვით, „ასე წარმოიშვა აქ წარუშლელი სიმშვენიერის ადგილი, რომელიც ნანგრევების სახითაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს; ვისაც ჰქონია ბედნიერება, ეს სურათი თვისი თვალით ენახა, აკროპოლისიდან გადაეხედა ატიკის საოცარ ფერებად მბრწყინავი ლანდშაფტისათვის და თვალი გადაეელო სხვა მიდამოებისათვისაც ლურჯი ზღვისა და სალამინის იქით არგოლიდას სანაპიროებამდე, იგი მუდამ ატარებს თავის გულში სიყვარულს ათენისადმი“. მაგრამ არა მარტო აკროპოლისი, არამედ საერთოდ მთელი ქალაქი და მისი მთავარი ნავსადგური პირეუსი იყო იმ დროს ათენელების განსაკუთრებული მზრუნველობისა და მხატვრული გამშვენიერების საგანი.

თავი მესამე

საბერძნეთის პოლისების სამეურნეო მდგომარეობა V—IV ს-ში.

1. მიწის მეურნეობა. ვაჭრობა და წარმოება. თავისუფალი და მონური შრომის როლი წარმოებაში. სავაჭრო კომპანიები; საკრედიტო საქმე. საერთო ნოსაზრები.

ვაჭრობის განვითარებამ და უმთავრესად კი ფულის შემოღებამ ღრმა და არსებითი გავლენა მოახდინა საბერძნეთის პოლისების სასოფლო მეურნეობაზე, მიწის მეურნეთა სხვადასხვა ფენების მდგომარეობასა და ურთიერთობაზე. ამ მიმართულებით უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ ახალ სამეურნეო ვითარებას სრულებით აღარ ეგუებოდა მიწის ტრიალის შეზღუდვა. ამიტომ წარმოიშვა აუცილებლობა ასეთი მოვლენის დამბრკოლებელი პირობების აღკვეთისა. და არა მარტო ათენში და მის მოკავშირე ქალაქებში, არამედ საერთოდ საბერძნეთის სხვა ნაწილებშიც, სპარტისა და თესალიის ტიპის მიწის მეურნეობის მხარეების გამოკლებით, „კლასიკურ“ ეპოქაში მიწის ტრიალი განთავისუფლებულ იქნა შემზღუდველი პირობებისაგან და კერძოდ გვარის წევრების მიერ გამოსყიდვის უფლებისაგან. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბერძნულ პოლისებში თავი იჩინა მიწის მფლობელობის ოდენობის დიდი განსხვავების წარმოშობის შესაძლებლობამ[1]. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი უმეტეს ნაწილად მამულების უშუალო კონცენტრაციას იწვევდა. მსხვილ სავაჭრო ცენტრებში, როგორც იყო, მაგ., კორინთი და ათენი, არ გვხვდება მიწების მაინცადამაინც გაძლიერებული კონცენტრაცია, რადგან აქ თავისუფალი ფულადი თანხები უფრო სავაჭრო ოპერაციებს ხმარდებოდა, ვიდრე მამულების შეძენას. მიუხედავად ამისა, ატიკაშიც ვამჩნევთ მამულების კონცენტრაციისა და უფრო მსხვილი სასოფლო მეურნეობათა შექმნის ერთგვარ ტენდენციას.

პელოპონესის ომის შემდგომ დამყარებული კრიზისით უსარგებლია ვინმე ისხომაქოსს და დაუწყია მიწების ყიდვა-გაყიდვა გარკვეული მოგების მიღების მიზნით.

ისტორიკოს ქსენოფონტეს ისხომაქოსი და მისი მამა დახასიათებული ჰყავს, როგორც ომის შემდგომი დროის მიწის სპეკულანტის დამახასიათებელი ტიპები. ისხომაქოსი აღიარებს, რომ მამა ნებას არ აძლევდა ეყიდა დამუშავებული მიწები და ურჩევდა „შეეძინა უმეტესად მფლობელების დაუდევრობისა თუ უძლურების წყალობით დაქვეითების გზაზე დამდგარი მამულები (Oecon. XX). ეს ფაქტი სარწმუნოდ ხდის იმ მოსაზრებას, რომ ამ დროს ათენში ადგილი ჰქონდა მიწების სპეკულაციას.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ფენიპის მამული უდრიდა 3.200 პლეთრონს (275 დესეტ.), არა ნაკლები იყო, ალბათ, პასიონის მიწები, რომლებიც 20 ტალენტად ყოფილა შეფასებული და სხვ. და სხვ. მაგრამ საერთოდ ადგილობრივი პირობების მიხედვით აქ მიწების კონცენტრაცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც იყო დიდად თვალსაჩინო. პირიქით უფრო დამახასიათებელი იყო მამულების დაქუცმაცების მოვლენა[2]. მოსახლეობის ზრდისა და ახალ სამეურნეო ურთიერთობათა ზეგავლენით წარმოებს უმეტესად მამულების დანაწილებისა და მიწის წვრილი საკუთრების გავრცელების პროცესი. სპარტასა და ათენს შორის ჰეგემონიისათვის ბრძოლის დროს ერთ ტალენტად ღირებული მიწა უკვე დიდ მამულად ითვლებოდა; ძველი ცნობილი გვარების მიწებიც კი, იშვიათად აღემატებოდა 300 პლეთრონს (დაახ. 25 დესეტინას), სამაგიეროდ ხშირი იყო სულ რამდენიმე ასეულ დრახმად ღირებული მამულები.

ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბერძნეთის ნიადაგი, ზოგიერთი მხარის, მაგ. თესალიის, ბეოტიის, მესენიის და სხვ., გამოკლებით, მეტად მწირი და მოუსავლიანი იყო. ამის მიხედვით მიწის მეურნეობა ასეთ ადგილებში ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანი იყო და იძლეოდა წლიურად 8%, უფრო იშვიათ შემთხვევაში 12%[3]. ამიტომ საბერძნეთის იმ სახელმწიფოების, რომელთაც საკუთარი პური არ ჰყოფნიდა, მთავარ საზრუნავ საგანს სხვა მოსავლიანი მხარეებიდან საპირო ხორბლეულის შემოტანა წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას საბერძნეთის ისეთ ნაწილზე, როგორიც იყო ატიკა. ჩვენ ვიცით, რომ ატიკას ახასიათებდა მიწის სივიწროვე და ნიადაგის დიდი სიმწირე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი პირობებისა, როგორც აქ, ისე საბერძნეთის სხვა მხარეებში მიწის დამუშავებას თვალსაჩინო და ერთ დროს გაბატონებული ადგილი ეკავა.

V—IV ს-ში კი მიწის მეურნეობა საბერძნეთის ზოგიერთ ნაწილებში, მათ შორის ატიკაშიც, უკვე ცხადი დაქვეითებისა და შემცირების ნიშნებს ააშკარავებდა. ამასთან ერთად ადგილობრივი პური კონკურენციას ვერ უწევდა იმ იაფ ხორბლეულს, რომელსაც უხვად მოეზიდებოდენ საბერძნეთში სიცილიიდან, ეგვიპტიდან და სამხრეთ რუსეთიდან. ეს გარემოება კი ხელს უშლიდა საბერძნეთში მიწის მეურნეობის უფრო ინტენსიური კულტურის განვითარებას- და, მაშასადამე, სასოფლო მეურნეობის კრიზისის შენელებას. ასეთი პირობების გამო დამუშავებული მიწების ფართობი ყოველ წლიურად მცირდებოდა და უფრო მსხვილი მიწის მფლობელნიც კი მიწას საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამუშავებდენ. ატიკაში, მაგ., ადგილობრივად მოდიოდა მხოლოდ 400.000 მედიმნი პური, ხოლო შემოჰქონდათ 800.000 მედიმნი (დაახ. 1.800.000 ფუთი). მართალია მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ შემოტანილი პური რჩებოდა არა მარტო ატიკაში, არამედ იგი საბერძნეთის სხვა მხარეებშიც გადაჰქონდათ, მაგრამ აღნიშნულ რიცხვს მაინც უმნიშვნელოდ ვერ ჩავთვლით ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირის მიხედვით. თუ რა ხელსაყრელ სავაჭრო საგანს წარმოადგენდა პური, ამის კარგ სურათს გვაძლევს ქსენოფონტე ერთ თავის ნაშრომში (Οἰκονομικός): ვაჭრები პურისადმი უდიდესი სიყვარულის გამო, როგორც კი გაიგონებენ, რომ სადმე პური მრავლად მო-

გროვდა, მსწრაფლ მიემართებიან ამ ადგილისაკენ... პურის ყიდვის შემდეგ მოეზიდებიან მას ზღვით დატვირთული გემებით, რომლებზედაც თვითონაც იმყოფებიან; ხოლო, როდესაც ფული დასჭირდებათ, პურს ყველგან კი არ ჰყიდიან. არამედ იქ, სადაც იგი უფრო ძვირიაო. ახალი სამეურნეო პირობების გამო მიწის მფლობელები ხშირად უფრო ხელსაყრელად თვლიდენ გაეყიდათ თვისი მამულები და აღებული თანხები, როგორც უკვე იყო ნათქვამი, სავაჭრო და საკრედიტო ოპერაციებისათვის მოეხმარათ. ქსენოფონტე ამ მომენტსაც გარკვევით აღნიშნავს: „როდესაც ბაზარზე ჩნდება ბევრი პური და ღვინო, ამბობს იგი, და ხილიც იაფდება, მიწის მეურნეობა იმდენად საზარალო ხდება, რომ ბევრი ჰყიდის მამულებს და თავის ძალას ნარდისა თუ საცალო ვაჭრობისა და საკრედიტო ოპერაციებისაკენ მიმართავსო". (De vectigalibus IV, 6)[1].

მიწის დამუშავების შემცირებასთან ერთად ფართოვდება სხვადასხვა სასარგებლო მცენარის კულტურა, რომელსაც უფრო ნაყოფიერად შეეძლო აენაზღაურებია გაწეული შრომა. რაც შეიძლება, მეტი მოვების მოპოების მიზნით, მიწის მფლობელნი ატიკაში ცდილობდენ მისი ნიადაგის არახელსაყრელი პირობების გამო საზარალო პურის მოყვანა ეგრეთწოდებული სავაჭრო მცენარეებით შეეცვალათ, რომლებიც უფრო დიდ შემოსავალს იძლეოდა და უფრო კარგადაც იზრდებოდა ატიკის მშრალ ნიადაგზე[2]. ეს მცენარეები იყო უწინარეს ყოვლისა ზეთის ხილისა და ლეღვის ხეები და ვენახები. ზეთის ხილი წარმოადგენდა მასიური მოხმარების პროდუქტს და იმავე დროს მრავალ ადგილას საექსპორტოსაგანს. იმ დროის ამფორებზე ხშირად გეხვდება ზეთის ხილის მოკრეფის სურათი შემდეგი წარწერით: „მამა ძველო, მომანიე მე გამდიდრება!" ხოლო მოკრეფის შემდეგ — „უკვე, უკვე აიესო!" აქვე გამოხატულია ყმაწვილი, რომელიც ავსებულ ჭურჭელზე მიუთითებს და ითვლის მოსალოდნელ შემოსავალს[3].

სოფლის ეკონომიური ცხოვრების შეცვლასთან დაკავშირებით ღრმა ცვლილება უნდა განეცადა სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ურთიერთობასაც. ახალ პირობებში მიწის მეპატრონეებს უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ მონების საშუალებით დამუშავებიათ თვისი მამულები და უფრო გაეფართოებიათ და გაეკრცელებიათ ვენახები და ზეთის ხილის ბაღები, რომლებიც მათ უფრო მეტ შემოსავალს მიანიჭებდა. ამიტომ ასეთი პირები შედარებით იშვიათ შემთხვევაში მიმართავდენ მიწების იჯარით გაცემას. ჩვენთვის ცნობილ საიჯარო ხელშეკრულებათა უმეტეს ნაწილში მოხსენებულია უფრო საზოგადოებრივი და ტაძრის მამულები. ამას გარდა, როგორც ჩანს, გართულდა საიჯარო პირობებიც; ზოგიერთ ხელშეკრულებაში აუცილებელ პირობად არის დადებული მოიჯარადრის მიერ საკმაოდ მძიმე ვალდებულებების შესრულება, მაგ. ჭაობის ამოშრობა, ვენახებისა და ზეთის ხილის ბაღების გაშენება და სხვ. ყოველივე ეს კი ხშირად აღემატებოდა წვრილი მოიჯარადრის ძალას[4] და, მაშასადამე, ერთგვაროვად საშუალებას უსპობდა მას მიწის იჯარით აღებისა და დამუშავებისას.

თუ მიწის მეურნეობა V—IV ს-ის საბერძნეთში ცხად დაქვეითებას განიცდიდა, სამაგიეროდ სხვადასხვა ხელსაყრელი პირობის გამო შედარებით დიდ საფეხურს აღწევს მის ცალკეულ მხარეებში ვაჭრობა-წარმოების განვითარება.

ჩვენ ვიცით, რომ უკვე VIII ს-დან მოკიდებული საბერძნეთის საზღვაო ვაჭრობა მალე გაიზარდა და ფართო კოლონიზაციის გავლენით გავრცელების დიდი ასპარეზი მოიპოვა. მაგრამ, თუ დასაშვებია, რომ ბერძნული საგარეო ვაჭრობა პირველ ხანებში უმეტესად შუამავლის ხასიათს ატარებდა, ე. ი. გასასყიდად მიეზიდებოდა სხვადასხვა ქვეყნის პროდუქტებს და არა საკუთარი ინდუსტრიის ნაწარმოებთ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასეთი პასიური როლით და თვისი ქვეყნიდან მხოლოდ ნედლეულისა და მიწის მეურნეობის პროდუქტების გატანით ბერძნული ქალაქები დიდხანს ვერ დაკმაყოფილდებოდენ და ამიტომაც უნდა ეზრუნათ საკუთარი წარმოების განვითარებაზე. მართლაც სულ ორიოდე საუკუნის განმავლობაში ღარიბი მიწის მეურნეობის მხარიდან საბერძნეთი V ს-ის ნახევრისათვის თვისი დროის მოწინავე სამრეწველო ქვეყნად გადაიქცა[8]. ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს სიტყვით, „საბერძნეთი პატარა იყო სიერცით, ხოლო ბუნებით ღარიბი და მწირი, ამიტომ ბუნების ნაწარმოები მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა იმ საქონლისას, რომელსაც საზღვარგარეთ ეზიდებოდენ; ზეთი გაჰქონდათ ატიკიდან, ღვინო—ქიოსიდან, ლესბოსიდან და თასოსიდან, მიწის პროდუქტები—მეგარიდან და ბეოტიიდან, ძოწეული - კიფერიდან... სპილენძს ეზიდებოდენ ევბეასა და კიპრიდან, ვერცხლს - ატიკის ლავრეიონის მაღაროებიდან, ოქროს—თასოსიდან და მის გასწვრივ აზიდული ჰანგეის მთებიდან, რკინას—ლაკონიიდან, და სხვ. გაცილებით უფრო მეტი იყო ხელოვნური ნაწარმოებები: საბერძნეთში ამ დროს განვითარებულია ისეთი მრეწველობა, რომელიც უმთავრესად საქონლის გარეთ გატანაზე მუშაობს. მაგალითად, მილეტის მცხოვრებლები მეტ წილად შალეულობასა და ძოწეულ ტანისამოსს ამზადებენ და ხალიჩებსა ჰქსოვენ; მათ საკმაო მეტოქეობას უწევენ ქიოსი და სამოსი. ლითონის ნივთეულობით, იარაღით, ჭურჭლით და მრავალნაირი სამკაულით უფრო განთქმული არიან კორინთი, ქალკიდა და არგოსი. კირენას, თებეს და სიცილიაში საუკეთესო ეტლებს ამზადებდენ; ეგინა კი ჰქმნიდა უმთავრესად საწვრილმანო და ძვირფას საქონელს, ნაირნაირ საცხებელსა და მრავალ სხვას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თიხის ნაწარმოებს, მეტადრე ვაზებს, რომელთაც თავდაპირველად გეომეტრიული ხაზებით ანდა მცენარისეულ ორნამენტით ლამაზად ჰქარგავდენ და კაზმავდენ. ხოლო შემდეგში ყოფა-ცხოვრებისა და მითოლოგიიდან აღებული სცენებით ამკობდენ და ალამაზებდენ... საბერძნეთის ყველა მსხვილ ცენტრში ვითარდება თიხის ადგილობრივი წარმოება, სამკაულ-კაზმის ადგილობრივი სტილი, და ყველა ასეთი ცენტრი ცდილობს, რაც შეიძლება, ბევრ ადგილას უშოვოს თავის საქონელს გასავალი... პირველი ადგილი ეკუთვნის ქალკიდასა და კორინთს, რომლებიც თიხის ჭურჭელს მთელი იტალიისა და სიცილიისთვის ამზადებდენ. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან თანდათან იზრდება ათენის კონკურენცია და იმის წყალობით, რომ ათენში დამზადებული საქონელი უკეთესი იყო და ვაზებსაც უფრო ნიჭიერი ხელოვნები ჰკაზმავდენ და აფერადებდენ, ათენი ამარცხებს თავის უფროს მეტოქეებს“ [9]... მაგრამ, როგორც ვიცით, ათენი თიხის წარმოებაზე არ შეჩერებულა და ხელსაყრელი პირობების გამო აჩქარებული ტემპით ანვითარებდა თავის ვაჭრობა-მრეწველობას. როგორც დავინახეთ, უკვე V ს-ის პირველ ნახევარში ათენი გახდა „შუამავალი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავ-

ლეთ და დასავლეთ ნაპირებს შორის, სავაჭრო ცენტრი, მთავარი საწყობი ადგილი ბერძნული სამყაროსი, უმდიდრესი და მრავალრიცხოვანი მოსახლეობის შემკველი ქალაქი, ხოლო პირეუსი ყველაზე უფრო გაცხოველებული ნავთსადგური, სადაც თავს იყრიდა ყოველი მხრიდან გემები და სადაც, ორატორი ისოკრატეს სიტყვით, ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა"[10]. თუკიდიდეს გადმოცემით (II,38) პერიკლე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ათენში დედამიწის ყოველი მხრიდან მოდიოდა სხვადასხვა პროდუქტი, ხოლო ფსევდოქსენოფონტეს ტრაქტატის ავტორი გარკვევით აღნიშნავს (II,7): „ყველაფერი, რაც კი რჩეულია სიცილიაში, ქვემო-იტალიაში, კიპრში, ეგვიპტეში, ლიდიაში და პონტში, ან პელოპონესში, ან სხვა რომელსამე ადგილას, სულ ათენში მოდის მისი ზღვაზე ბატონობის წყალობით"-ო.

პელოპონესის ომის დროს საბერძნეთმა საერთოდ დიდი ნივთიერი დაზარალება განიცადა; ხანგრძლივმა ომმა, რომელიც არსებითად შინაური სამოქალაქო ომის ხასიათს ატარებდა, ღრმა ეკონომიური დაქვეითების კვალი დაჩინა ბერძენთა სახელმწიფოებს. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად დაზარალდა ათენი, რომლის მოქალაქეების რიცხვი ომის გამო თითქმის განახევრდა; ატიკა განადგურებული იყო, მიწის მეურნეობა, წარმოება და ვაჭრობა დაცემის გზაზე იდგა, სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა, ატიკა-დელოსის კავშირი აღარ არსებობდა, აღარც ფოროსი და არც 5% გადასახადი; ათენელებმა დაჰკარგეს თვისი საჭფლობელო ატიკის გარეშე. მიუხედავად ყოველივე ამისა, ათენელებმა თანდათანობით შესძლეს იმდენად განემტკიცებიათ თვისი სახელმწიფოს პოლიტიკური და ნივთიერი მდგომარეობა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის დაპყრობამდე ათენმა მაინც შეინარჩუნა ბერძენთა სამყაროს სავაჭრო ცენტრის ადგილი. ამას გარდა, იგი ეკონომიურად იმდენად მოლონიერდა, რომ შესძლო თვისი წარმოების გაფართოება და დაკარგული სავაჭრო პუნქტების ნაწილობრივად მაინც აღდგენა. ჩვენ მოგვეპოვება ფრიად საყურადღებო ცნობა, თუ საქონლის რამდენად თვალსაჩინო ტრიალი წარმოებდა პირეუსის ნავსადგურში V ს-ის დასასრულს. ლაპარაკია ანდოკიდეს სიტყვაზე[11], რომელშიც იგი თავის თავს დიდ დამსახურებად უთვლის, რომ 400/399 წ. 36 ტალენტად შეისყიდა ბაჟი, რომელსაც ახდევინებდენ ყველა შემოტანილ და გატანილ საქონელზე პირეუსის ნავსადგურში მაშინ, როდესაც ერთი წლის წინათ იგი 30 ტალენტად იყო სხვა პირის მიერ შესყიდული. ბაჟი უდრიდა საქონლის ღირებულების $^1/_{50}$-ს (πεντηκοστή).

მაშასადამე, მარტო ანდოკიდეს მიერ გაღებული თანხა რომ მივიღოთ მხედველობაში, პირეუსის წლიური სავაჭრო ტრიალი 1800 ტალენტად უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო თუ მას მივუმატებთ ბაჟის შეგროვებაზე გაწეულ ხარჯებს, აგრეთვე თვით ანდოკიდეს მოგებას, იგი დაახლოებით 2000 ტალენტს უნდა წარმოადგენდეს. პროფ. ბელოხის აზრით ეს თანხა 11 მილიონ ოქროს მარკას უდრის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ დროს ფული სამჯერ მეტს ფასობდა, მაშინ 33-40 მილიონ მარკასაც[12]. საერთოდ ეს ხანა ათენის მეურნეობისა და საზღვაო ძლიერების დაცემის პერიოდი იყო და ამ დროს პირეუსის წლიური სავაჭრო ტრიალი უეჭველად თვალსაჩინოა. მაგრამ საკითხს სხვა-

გვარად უდგება კარლო ბიუხერი. ის დარწმუნებულია, რომ პირეუსის სავაჭრო ტრიალის უმთავრეს საგანს შეადგენდენ მონები. მისი გამოანგარიშებით ატიკის მონებში ყოველწლიურად სიკვდილის 7 900 შემთხვევა იყო ჩვეულებრივი, ხოლო ყოველწლიური მოთხოვნილება ახალი მონებისა 6 000 უდრიდა. ამას გარდა უცხოელები ყოველწლიურად ათენის ბაზარზე 2 000 მონას ჰყიდულობდენ, და ამ მონებზე ათენელები ორმაგ ბაჟს იღებდენ—შემოყვანისა და გაყვანის დროს. რასაკვირველია, ორივე ეს რიცხვი სრულებით არ არის დამყარებული რაიმე საბუთზე ან საეუძველიან მოსაზრებაზე. მაგრამ გაცილებით უფრო ხელოვნური და, შეიძლება ითქვას, დაუჯერებელია ის მსჯელობა ბიუხერისა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ბაჟის უმეტესი ნაწილი მოდის იმ მონებზე, რომლებიც მოგზაურ ბატონებს, თითქოს, თან ახლდენ ატიკაში მისვლისას; ბიუხერი ითვალისწინებს თანამედროვე შვეიცარიაში ყოველწლიურად მიმავალი ტურისტების საერთო რიცხვს, ამცირებს მას 10-ჯერ, ჰგულისხმობს ყოველ ძველ 5 ტურისტზე 2 მონას და ასეთი, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური მსჯელობის შედეგად იღებს 20—24 ათას მონას, რომლებზედაც ბაჟს იხდიდენ, როგორც პირეუსის ნავსადგურში შესვლისას, ისე უკან დაბრუნებისას. ერთი სიტყვით, ანდოკიდეს მიერ აღნიშნული ბაჟი გროვდებოდა მხოლოდ მონებისაგან და სხვა არავითარი ვაჭრობა აქ თითქმის არ წარმოებდა. ათენი იყო არა სავაჭრო ქალაქი, არამედ მონებისა და ხელოვნების ცენტრი, რომელიც საბერძნეთის ყოველი მხრიდან იზიდავდა ტურისტებს[13]. მთელი მსჯელობა ბიუხერისა სრულებით მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. „ატარებს" ცხადი ხელოვნური კომბინაციების ხასიათს და მისი გაზიარება ყოვლად შეუძლებელია.

მეორის მხრით უდაოდ ცალმხრივია ანტიკური ისტორიის სახელგანთქმული მკვლევარის ბელოხის დასკვნებიც ანდოკიდეს დასახელებულ ცნობასთან დაკავშირებით. იგი პირეუსის ხსენებული სავაჭრო ტრიალის საერთო ჯამს ჰყოფს ატიკის იმ დროის მოსახლეობის რიცხვზე (რომელიც მისი გამოანგარიშებით დიახ. 150.000 უდრიდა) და თითოეულ სულზე იღებს 220—270 მარკას; ამ უკანასკნელს აღარებს 1890 წელში გერმანიისა და დანიის ვაჭრობის ანალოგიურ ცნობებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ატიკის სავაჭრო ტრიალი სულობაზე ანგარიშის მიხედვით უდრიდა თანამედროვე დანიისას და აღემატებოდა გერმანიისას. ცხადია, შედარების ასეთი მეთოდი თავისთავად არ არის სწორი და მისი გამოყენებაც მიზანშეუწონელია. ამას გარდა პირეუსის ნავსადგურს მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო ტრიალის მხრით არა მარტო ატიკისათვის, არამედ ხმელთაშუაზღვის მთავარი ნაწილისათვის. ამიტომ, სხვა რომ არა იყოს რა, საერთო ჯამის მარტო ატიკის მოსახლეობის რიცხვზე გაყოფა სამართლიანად ვერ ჩაითვლება.

მაგრამ, ბიუხერისა და ბელოხის გადაჭარბებულ მოსაზრებათ რომ გვერდი ავუხვიოთ, მაინც ცხადი ხდება, თუ საქონლის რა დიდ ტრიალს ჰქონდა ადგილი იმ დროის მიხედვით პირეუსის ნავთსადგურში. ამასთან ერთად წარმოება

IV ს-ში უფრო მსხვილ ხასიათს ღებულობს, ჩნდება თავისებური მანუფაქტურები. ორატორი ლისიასის სიტყვიდან (C. Eratosthen. XII, 19) ჩანს, რომ მას და მის ძმას პოლემარქოსს პირეუსში ჰქონდათ ფარების შესამზადებელი სახელოსნო, რომელშიც 120 კაცი მუშაობდა[14], მაგრამ იგი კონფისკაციაქმნილ იქნა 30 ტირანის მიერ 403 წელს. ცნობილ ორატორ დემოსთენს, როგორც მის მიერ აფობის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვა გვიმტკიცებს (C. Aphob. I, 9), მამისაგან მემკვიდრეობით მიუღია ორი სახელოსნო: ერთში 33 კაცი დანებს ამზადებდა, მეორეში 20 კაცი—საწოლებს. უფრო მცირე მანუფაქტურები ათენში, ეჭვს გარეშეა, მრავლად მოიპოვებოდა. ასე, ესქინე (C. Timarch. I, 97) მიგვითითებს, რომ ტიმარქოსს ჰქონდა ტყავის სახელოსნო, რომელშიც 10 თუ 11 კაცი მუშაობდა; პოეტი ჰერონდას სიტყვით კი, ვინმე კერდონი ფლობდა წუღების სახელოსნოს 13 მუშით,[15] და სხვ. და სხვ. ასეთი სახელოსნოები მათში ჩაბმული მუშების რიცხვის მიხედვით არც ისე უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ, თუ შევადარებთ მათ დასავლეთი ევროპის XVI და XVII ს-ის მანუფაქტურებს. როგორც პროფ. კულიშერის ცნობიდან ჩანს[16], პარიზის ოსტატებს XVI ს-ში ჩვეულებრივად ჰყოლიათ 6 ხელოსანი და 6—16-დე შეგირდი, ხოლო XVII ს-ში ისეთი სახელოსნო, რომელშიც 15 კაცი მუშაობდა, უკვე მსხვილ სახელოსნოდ ითვლებოდა.

ბერძნულ ხელოსნობაში ჯერ კიდევ თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნოდა თავისუფალი შრომის გამოყენებას, ამიტომ საბერძნეთის ქალაქები სავსე იყო ხელოსნებით, რომლებიც სამუშაოს ეძებდენ თვისი პროფესიის მიხედვით. სხვა ადგილას უკვე იყო ნათქვამი, რომ კერძოდ ათენში ფართოდ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის ხელოსნობა და რომ ცალკე დარგებისათვის არსებობდა სპეციალური ქუჩები. ძნელია იმისი თქმა, იცნობდა თუ არა ამის მიხედვით ძველი ათენი ხელოსანთა ამჭრებს, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად საყურადღებოა იმ მხრით, რომ იგი ხელოსანთა წარმომადგენლებს შორის ერთგვარი კავშირის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. ჩვენ საკმაო ცნობები მოგვეპოვება იმის გასათვალისწინებლად, თუ რა დიდ განვითარებას მიაღწია ამ დროს სპეციალიზაციამ ხელოსნობაში. ასე, მაგ., ქსენოფონტე გადმოგვცემს ქალაქ ეფესის შესახებ, რომ იქ ყველა იარაღის შემზადებაზე მუშაობს—მექვაბეებიც, დურგლებიც, ნალბანდებიც, მეტყავეებიც და მხატვრებიც; ისე რომ მთელი ქალაქი სამხედრო სახელოსნოდ შეგვიძლია ჩავთვალოთო (Hellen. III. 4, 17). სხვა ადგილას იგი უფრო ხაზგასმით აღნიშნავს ამ საყურადღებო მოვლენას: „მცირედ დასახლებულ ადგილებში ერთიდაიგივე ადამიანი აკეთებს საწოლს, კარებს, სახნისს, მაგიდას, ხშირად იგივე აშენებს სახლებს და კმაყოფილია, თუ ასეთი გზით შეუძლია თავისგამოკვება... პირიქით, დიდ ქალაქებში, სადაც ბევრს ერთიდაიგივე მოთხოვნილება აქვს, ერთი რეწვაც საკმარისია ადამიანის არსებობისათვის. ეს კიდევ ცოტაა, მრავალ შემთხვევაში იგი მისდევს ამ ხელოსნობას არა მთლიანად: ერთი კმაყოფილდება მამაკაცის, ხოლო მეორე დედაკაცის ფეხსაცმელის შემზადებით; ერთი ცხოვრობს მხოლოდ ფეხსაცმელის შეკერვით, მეორე ტყავის დაჭრით: ერთი სკრის ტანსაცმელს, მეორე მის არც ერთ ნაწილს არ ამზადებს, არამედ აერთებს ყველა—ნაწილს, და იმის

წყალობით, რომ თითოეულს აღებული აქვს ერთი გარკვეული სამუშაო, იგი მას საუკეთესოდ ასრულებს"-ო (Kyropaed. VIII. 2,5). ამ და სხვა ასეთი ცნობების მიხედვით პროფ. კ ულ ი შ ე რ ი სამართლიანად დაასკვნის[17]: „ჩვენ წინაა ხელობის ორგვარი დანაწილება. ერთის მხრით წინანდელი ერთიანი რეწვა იყოფა სხვადასხვა სპეციალობად, ცალკეულ დამოუკიდებელ ხელოსნობად, რის მიხედვით თითოეული ამზადებს გარკვეულ საგნებს, მხოლოდ უკვე თავიდან ბოლომდე, როგორც იქ, სადაც ლაპარაკი იარაღის შემზადებელ რეწვაზე იყო, ერთი სპედს ხმლებს, მეორე ფარებს, მესამე აბჯრებს, მეოთხე ჩაჩქნებს. მაგრამ საქმე იმით არ ამოიწურება, რომ ერთი ხელოსანი მამაკაცის, მეორე დედაკაცის ფეხსაცმელებს ჰკერავს; თვით სანდალსაც იგი მთლიანად კი არ ამზადებს, არამედ სამუშაო რამდენსამე პირს შორის არის განაწილებული... ასე რომ სპეციალიზაციასთან ერთად გვეელინება წარმოების პროცესის განწევრება, შრომის სიგრძივ დანაწილებასთან ერთად ჩნდება მისი გარდიგარდმო დანაწილებაც, ერთი მეორეს აესებს"...

მაგრამ V—IV ს-ში ბერძნულ მსხვილ სახელოსნოებში თანდათან უფრო თვალსაჩინო გამოყენებას პოულობს მ ო ნ უ რ ი შრომა, რომელიც უდიდეს კონკურენციას უწევს თავისუფალ ხელოსნებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს საფუძვლიანი მოსაზრებით, თავისუფალი და მონური შრომა ერთიდაიმავე ხნისაა (beide sind gleich alt) და წარმოადგენს ორ ურთიერთშორის მოქიშპე და განსხვავებულ ფორმას, რომელშიც თვისი დაკმაყოფილების მოპოვებას ცდილობს ერთიდაიგივე ეკონომიური მოთხოვნილება და სახიერდება ერთიდაიგივე ეკონომიური გადატრიალება; და რომ მონურ შრომას თავისუფალთან შედარებით ჰქონდა მთელი რიგი უპირატესობისა, რომლებიც ხელს უწყობდა მის ფართოდ შემოღებას და პირიქით თავისუფალი შრომის დიდ შევიწროვებას. ზოგიერთი მეცნიერი მეტად აზვიადებდა მონათა რიცხვს ძველ საბერძნეთში, მაგრამ ახალი გამოკვლევების წყალობით ასეთ გადაჭარბებას გარკვეული საზღვარი დაედო. დღეს ძველი ქვეყნების აგრარული ისტორიის ავტორი ვ ებ ე რ ი იძულებულია აღიაროს, რომ „ძველი შეფასების საოცარ გადაჭარბებათა შემდეგ დაიწყო, სწორედ ედ. მ ა ჯ ე რ ი ს ზეგავლენით, ძლიერი და, რამდენადაც საქმე ძველ ჰელადას შეეხება, არსებითად სამართლიანი რეაქცია მონის შრომის რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი შეფასების შესახებ"ო[19]. მით უფრო გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ V—IV ს-ში მონურ შრომას არ გაუნუდევნია წარმოებიდან თავისუფალი შრომა და არც გამხდარა მეურნეობის ერთადერთი საფუძველი. მაგრამ არ შეიძლება გავიზიაროთ ამ მხრით მკვლევარი ჩ ი კ ო ტ ი ს აზრი, თითქოს, IV ს-ში მონურ შრომას არამც თუ არ გაუძევებია თავისუფალი შრომა, არამედ, პირიქით, თვითონ იყო იძულებული თვისი ადგილი მრეწველობაში მისთვის დაეთმო[20]. ასეთი შეხედულების წინააღმდეგ ლაპარაკობს ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვიცით IV ს-ის ეკონომიური ცხოვრების შესახებ[21]. მეორის მხრით შედარებით უფრო დამარწმუნებელია ფ რ ა ნ კ ო ტ ი ს მტკიცება, თითქოს მონური შრომა თავისუფალს აძევებდა მხოლოდ დაბალ პროფესიებში, მაგრამ ძნელია ამ მოსაზრების სათანადო ფაქტებით დამტკიცება. ზემოთ დასახელებულ მანუფაქტურებში მუშებად, თითქმის, მხოლოდ მონები

იყვენ[22]. ყოველ შემთხვევაში მონური შრომა უაღრესად გარკვეულ ხასიათს ანიჭებდა ძველი საბერძნეთის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას საზოგადოდ და კერძოდ V—IV ს-ში. მონობის ინსტიტუტი ბევრ თავისუფალ მოქალაქეს უხშობდა საშუალებას საარსებო სახსრების მოპოებისას და აიძულებდა მათ უსაქმურებაში გაეტარებიათ თვისი ცხოვრება. ეს გარემოება კი განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებდა სახელმწიფოს, რომელსაც თავს აწვა ასეთი მოქალაქეების ნივთიერი უზრუნველყოფის ძნელი ამოცანა[23]. ამას გარდა იმით, რომ მონური შრომა თვისი კონკურენციით ანადგურებდა დამოუკიდებელ ხელოსნებს და ავიწროებდა თავისუფალ ხელოსნობას, იგი არა მარტო აფერხებდა სახელოსნო წარმოებისა და ქალაქის მოსახლეობის ხელოსნური ორგანიზაციის შემდგომ განვითარებას, არამედ გამხრწნელსა და დამღუპველ გავლენას ახდენდა საბერძნეთის სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაზე და იწვევდა წარმოების ტექნიკის გაუმჯობესების არამც თუ შეფერხებას, არამედ დაქვეითებასაც. ამიტომ თუ ბერძნული წარმოება მოგებას განიცდიდა მონის შრომის ექსპლოატაციით დამზადებული პროდუქტების რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს თვალსაზრისით, სამაგიეროდ ზარალობდა მათი თ ვ ი ს ე ბ ი ს მიხედვით[24].

ჩვენ საკმაო საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საბერძნეთის ცნობილ საეკონომო ქალაქებში თვალსაჩინო როლს თამაშობდა ს ა კ რ ე დ ი ტ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ც. იმ დროის ათენში, მაგ., სესხი გემებისა და მათი ტვირთების დაწინდრებით, ეგრეთწოდებული საზღვაო სესხი, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში სესხს აძლევდენ ათენელებიც და ათენში მცხოვრები უცხოელებიც, როგორც ვაჭრები, ისე პირები, რომელთაც ვაჭრობას თავი დაანებეს და სპეციალურად საკრედიტო ოპერაციებს მისდევდენ. სესხის გაცემას აწარმოებდა ჩვეულებრივად რამდენიმე პირისაგან შემდგარი ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა, რომელსაც სანდო პირები ჰყავდა საზღვარგარეთ სათანადო მეთვალყურეობის გასაწევად, ანდა სპეციალურად მონებს აგზავნიდა ამ მიზნით. სესხს აძლევდენ განსაზღვრული პროცენტებით გემებისა და მისი ტვირთის დაწინდრების ქვეშ იმ იმედით, რომ ყოველივე ეს საკმაო გარანტიას წარმოადგენდა გაღებული თანხის ასანაზღაურებლად. ჩვეულებრივად სესხის ამღები ორი პირი იყო: ერთი მათგან თან მიჰყვებოდა გემს, მეორე კი ათენში რჩებოდა, რომ კრედიტორებს საშუალება ჰქონოდათ მისგან აეღოთ გაღებული თანხა პროცენტებით იმ შემთხვევაში, თუ მისი ამხანაგი უკან დაბრუნებას აღარ მოისურვებდა. სესხის გაცემისას კრედიტორებსა და მოვალეებს შორის იდებოდა მოწმეების თანდასწრებით გარკვეული წერილობითი პირობა. მაგრამ მოვალეები, როგორც სათანადო მასალიდან ჩანს, ხშირად არ ასრულებდენ დაკისრებულ პირობას და აიძულებდენ კრედიტორებს სასამართლოს საშუალებით ეზრუნათ გასესხებული თანხების განაღდებაზე. გემის ავარიისა, ან პირატების თავდასხმის შემთხვევაში მოვალე თავისუფალი იყო სესხად მიღებული თანხის ანაზღაურებისაგან. ეს გარემოება კი ხშირად იწვევდა მათი მხრით ბოროტმოქმედებას. არსებობდა ისეთი ამხანაგობანი, რომლებიც ხელს ჰკიდებდენ სხვადასხვა წამოწყების შესრულებას, შენობების აგებას, ან მაღაროების დამუშავებას, საზოგადოებრივი მიწების იჯარით აღებას, და სხვ. უფრო ხშირად საბერძნეთის პოლისებში და

კერძოდ ათენში კაპიტალისტები თავის თანხებს გადასახადების შესყიდვას ახმარდენ. ათენში შესყიდვით აძლევდენ რაპირდაპირი გადასახადების შეგროვების უფლებას. ანდოკიდეს სიტყვიდან უკვე ვიცით, რომ V ს-ის მეორე ნახევარში შესყიდვით იცემოდა 2%-იანი ბაჟი პირეუსის ნავთსადგურში შემოტანილსა და გატანილ საქონელზე, ამას გარდა არსებობდა ბაჟები ყიდვა-გაყიდვაზე და მრავალი სხვა წვრილი გადასახადი[26]. ყველა ასეთ გადასახადს ჩვეულებრივად იჯარით იღებდა რომელიმე შეძლებული პირი, რომელსაც გარკვეული საწინდარი შეჰქონდა წინასწარ სახელმწიფოს სალაროში; იმავე დროს ამ ოპერაციაში მას სხვა პირებიც შეყავდა ამხანაგების სახით. თუ იგი თავის დროზე არ შეასრულებდა აღებულ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, მას სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა, ქონების კონფისკაცია და დაპატიმრება მოელოდა. ეს საქმე თავისთავად რთული იყო და რთულ ორგანიზაციასაც მოითხოვდა. ამიტომ ათენში წარმოიშვა ბაჟების შემსყიდველი პირების-პროფესიონალების განსაკუთრებული წრე, რომელიც სახელმწიფოში თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა. თუმცა განსაზღვრული პირობების გამო რომაელი პუბლიკანების მნიშვნელობას ვერ მიაღწია.

მეორის მხრით, რაც უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა საბერძნეთში სავაჭრო ტრიალი, მით უფრო საგრძნობი ხდებოდა მოსახლეობის ფართო მასებისათვის საჭიროება ფულადი თანხებისა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება პირველად თავს იდეს ტაძრებმა, რომლებიც სათანადო პროცენტებით ასესხებდენ თავის თანხებს. მაგრამ მალე მათი თანხები საკმარისი აღარ აღმოჩნდა და ამ ნიადაგზე IV ს-ის დასაწყისში წარმოიშვა თავისებური ბანკირები, ზარაფები, ეგრეთწოდებული ტრაპეზიტები (τραπεζῖται) *. აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქვეყნების ბანკები უმეტესად არა სავაჭრო და სამრეწველო კრედიტისათვის იყო დაარსებული, არამედ უმთავრესად დასახურდავებელი პუნქტებსა და ფულის შენახვისა და გაცემის ადგილებს წარმოადგენდა [26]. ტრაპეზიტები აწარმოებდენ სხვადასხვაგვარ ოპერაციებს [27]. უწინარეს ყოვლისა ისინი ფულს ახურდავებდენ, რასაც იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ინახავდენ კერძო პირების ფულს, რომელსაც განსაკუთრებულ წიგნებში აღნიშნავდენ, იღებდენ ფულს სხვა პირებისათვის გადასაცემად, აწარმოებდენ სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშის გასწორებას, თავისუფალი კაპიტალებისათვის ხსნიდენ მიმდინარე ანგარიშს, ასესხებდენ ფულს კერძო პირებსა და ქალაქებს, ასრულებდენ თანამედროვე ნოტარიუსების როლს და სხვ. [28]. როგორც ჩანს, ასეთ ბანკირებად იმ დროს უმეტეს ნაწილად მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული პირები იყვენ. ათენის ბანკირთა შორის IV ს-ში ყველაზე უფრო ცნობილი იყო გათარხნებული მონა პასიონი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ძველი დროის როტშილდს უწოდებს (ბელოხი). პასიონის ბანკის საოპერაციო თანხა 50 ტალენტს** უდრიდა[1] და ამას გარდა მას ჰქონდა ფარების სახელოსნოც. იგი შეუზღუდავი კრედიტით სარგებლობდა საბერძნეთის ყველა სავაჭრო ცენტრში. მას იმდენად დიდი, დამსახურება გაუწე-

* სიტყვა „ტრაპეზისაგან" — მაგიდა, რომელთანაც იჯდა ზარაფი.

** იმ დროის მიხედვით ფრიად თვალსაჩინო თანხაა (დაახ. 125.000 მან.).

ვია ათენის სახელმწიფოსათვის, რომ ამ ყოფილი მონისათვის მოქალაქის უფლებები მიუცია. მისი უფროსი შვილი კი თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოხუცებულობისას პასიონს დაუძლურების გამო აღარ შეძლებია თვისი საბანკო კანტორის გამგებლობა და ივი ფარების სახელოსნოსთან ერთად გადაუცია თვისი თანაშემწის, მონობისაგან განთავისუფლებული ფორმიონისათვის, პირველი წლიურად 100 მინის, ხოლო მეორე 60 მინის საიჯარო გადასახადით. თავის ანდერძში კი პასიონს განკარგულება გაუცია, რომ ფორმიონს ცოლად შეერთო მისი ქვრივი და მზითვად დაუტოვებია 120 მინი, 100 მინად ღირებული სახლი და სხვადასხვა ძვირფასი ნივთები. ამასთან ფორმიონი დაინიშნა პასიონის მეორე მცირეწლოვანი შვილის მეურვედ და მის დავაჟკაცებამდე შეინარჩუნა ბანკისა და სახელოსნოს იჯარა.

მსხვილ საბანკო ოპერაციებს აწარმოებდა, როგორც იყო ნათქვამი, ბერძნების ცნობილი ტაძრებიც (აპოლონის--დელოსში და დელფოში, არტემიდის--ეფესში, და სხვა). დელოსის ტაძრის არქეოლოგიური ნაშთებისა და არქივების შესწავლამ ცხადჰყო, რომ მრავალი პირი სწირავდა ამ ტაძარს თვალსაჩინო ფულად თანხებს იმ პირობით, რომ ისინი გაესესხებიათ პროცენტით და ეს უკანასკნელი მოეხმარათ გარკვეული მიზნისათვის---მსხვერპლშეწირვათა შესრულებისა და ტაძრისათვის საჭირო სამკაულის შესაძენად. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დელოსის ტაძარი ასესხებდა ფულს 10%; ეს ნორმა კანონის მიერ იყო დაწესებული და უცვლელად უნდა ყოფილიყო დაცული. როგორც საათანადო საბუთებიდან ჩანს, დელოსის ტაძრისაგან მრავალ პირს ჰქონია აღებული სესხი. ამგვარად, ძველმა საბერძნეთმა თავისებური საბანკო ოპერაციებიც [29] იცოდა, რაც არსებითად გამომდინარეობდა მისი სავაჭრო ტრიალისა და წარმოების იმ დროის მიხედვით ფრიად თვალსაჩინო განვითარების პირობებისაგან. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანის საბერძნეთის ეკონომიური ცხოვრების წესიერ მიმდინარეობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ კრედიტი არ იყო იაფი და უმეტეს ნაწილად არც ორგანიზაციულად იყო მაინცდამაინც სათანადოდ მოწყობილი; ამის გამო როგორც სოფლის მეურნეები, ისე ვაჭრები და მრეწველები, გაჭირვების დროს ისევ ვალების ქსელში ებმებოდენ, და ამიტომ IV ს-ის საბერძნეთშიც დიდი ადგილი ეკუთვნოდა სავალო ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს, როგორც სამეურნეო და სოციალური ცხოვრების ერთ უმტკივნეულეს მოვლენას. მიუხედავად ამისა, პროფ. ხვოსტოვის სწორი დაკვირვებით, ბერძნული პოლისების სახალხო მეურნეობა IV ს-ში იმდენად გართულდა, რომ სახელმწიფო ქალაქის პოლიტიკური ორგანიზაცია უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ახალი ეკონომიური პირობების მოთხოვნილებათ: „დემოკრატიული პოლისების შიგნით მოსახლეობის იმ ჯგუფებს, რომელთა ხელში იყო სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი, ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია სურდათ, რომელიც უფრო მეტად უზრუნველჰყოფდა მათ ინტერესებს. ვიდრე საქალაქო დემოკრატია“ [30].

ფულად-სამეურნეო ურთიერთობათა განვითარებასა და მათი სახელმწი-

ფო მეურნეობის დარგშიც გაერცელებასთან დაკავშირებით არსებითი ცვლილებები უნდა მომხდარიყო საგადასახადო სისტემაში. კერძოდ, ათენის სახელმწიფოში ნავსინიკის არქონტობაში 378/7 წელს გაუტარებიათ ტიმემა, ე. ი. საგადასახადო მიზნით მოუხდენიათ შეფასება ათენის მოქალაქეთა მამულებისა, სახლებისა და სხვა ქონებისა. ამ შეფასების მიხედვით გადასახადების შეგროვების უფრო ადვილად მოწესრიგებისათვის მოქალაქეები დაუყვიათ დაახლოვებით თანასწორი შეძლების საგადასახადო ჯგუფებად, ამხანაგობებად, ან ეგრეთწოდებული სიმორიებად (συμμορία). გადასახდელი თანხა სიმორიებს შორის თანასწორად გაუნაწილებიათ; ხოლო შემდეგ თითოეულ სიმორიის თავის, თუ ჰეგემონის ხელმძღვანელობით წარმოებდა მისი დანაწილება წევრებს შორის, თითოეულის შეძლებისა, თუ საგადასახადო კაპიტალის მიხედვით. ამ რეფორმის გატარების თანამედროვის ორატორი დემოსთენის სიტყვით, მისი მამისაგან დატოვებული 15 ტალენტად ღირებული ქონებიდან სამი ტალენტი, მაშასადამე, მხოლოდ $^1/_5$, შეადგენდა ტიმემას, რომლისაგანაც უნდა ყოფილიყო გაღებული ეისფორა; ტიმემის საერთო თანხა კი მთელ ატიკაში უდრიდა 6 000 ტალენტს (Demosth. XIV, 19). დაახლოებით ასეთსავე რიცხვს გვიჩვენებს IV ს-ის დასასრულის ცნობილი ატიდოგრაფოსი ფილოხორი (Philochor., fragm. 151). დემოსთენის ცნობიდან ჩანს, რომ საგადასახადო თანხა ითვალისწინებდა ათენის მოქალაქეებ- ის არა მთელ ქონებას, არამედ მხოლოდ მის გარკვეულ ნაწილს. სამაგიეროდ, II ს-ის ცნობილი ისტორიკოსის პოლიბიოსის გადმოცემით (II, 62,6), შეფასებული ყოფილა ატიკის მთელი, როგორც უძრა-ვი, ისე მოძრავი ქონება და შეფასების საერთო ჯამი 5 750 ტალენტს შეადგენდა. ამ საკითხის შესახებ ჩვენი წყაროების ასეთი ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობის გამო ახალი დროის ისტორიკოსებშიც წარმოიშვა დიდი დავა ათენის ტიმემას გარშემო. მკვლევარი ბოეკი [31] გვარწუნებს, რომ წყაროებში ნაჩვენები თანხა გულისხმობს ატიკის არა მთელ ქონებას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, რომელზედაც უნდა დაედოთ გადასახადი, ერთი სიტყვით — საგადასახადო კაპიტალს; ატიკის სახალხო ქონება კი იმ დროს გაცილებით უფრო დიდი იყო და დაახ. 30—40 ათასს ტალენტს უდრიდა, ამიტომ საგადასახადო მიზნით შეფასებულ იქნა მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი, პირველ ქონებრივ კლასის მიმართ უფრო დიდი ($^1/_5$), დანარჩენებისათვის კი უფრო მცირე, ხოლო მეოთხე კლასი სრულებით იქნა განთავისუფლებული; ატიკური ეისფორა პროგრესიულ გადასახადს წარმოადგენდა. უფრო საფუძვლიანი და დასაბუთებული მოსაზრება გამოთქვა ამ საკითხებზე ბელოხმა სპეციალურ ნარკვევებში [32]. იგი ამტკიცებს, რომ იმ ხანაში ატიკის მთელი ქონება არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისე დიდი, როგორც ბოეკს წარმოუდგენია, და რომ პირიქით პოლიბიოსის რიცხვი მთელი ქონების შეფასების ჯამს წარმოადგენს, თუმცა, ალბათ, რამდენადმე შემცირებულს, რადგან ასეთ შემთხვევებში მოქალაქეები ფარავენ ქონების ნაწილს, ან ცდილობენ, მოხდეს მისი, რაც შეიძლება, დაბალი შეფასება. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ იმ დროის ატიკაში საგადასახადო მიზნით გატარებულ იქნა ატიკის მთელი როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების შეფასება და მას

საფუძვლად ედო უკვე გარკვეულად ფულადი ცენზი. დემოსთენის, თუ პოლიბიოსის მიერ აღნიშნული რიცხვები შეფასების შემცირებულ, მაგრამ მაინც საერთო ჯამს წარმოადგენს; ეს საერთო ჯამი (დაახ. 14,7 მილიონი მანეთი) იმ დროის მიხედვით უმნიშვნელო თანხად არ უნდა მივიჩნიოთ.

საბერძნეთის V—IV ს-ის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ჩვენ მიერ მოცემული სურათი არსებითად და რადიკალურად ეწინააღმდეგება როდბერტუს-ბიუხერის თეორიას. როგორც ცნობილია, წარსული საუკუნის სამოციან წლებში ეკონომისტმა როდბერტუსმა წამოაყენა მოსაზრება, რომლის მიხედვით ძველი მეურნეობა ოიკოსის * კარჩაკეტილი მეურნეობა იყო, რომელიც საკუთარი ძალებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებათ [33]. ეს მოსაზრება გაიზიარა და განავითარა განსაკუთრებით კარლო ბიუხერმა [34]. იგი გეიმტკიცებს, რომ ძველმა ქვეყნებმა და აგრეთვე საშუალო საუკუნეების პირველმა ნახევარმა იცოდა მხოლოდ კარჩაკეტილი საოჯახო მეურნეობა, „მეურნეობა გაცვლა-გამოცვლის გარეშე", რომელშიც „სამეურნეო ტრიალი, წარმოებიდან მოხმარებამდე, ხდება სახლის (ოჯახის, გვარის) კარჩაკეტილ წრეში"; ძველი სამყარო არ გასცილებია უბრალო გაცვლა-გამოცვლასა და უმაღლესი ფორმის ჩანასახს, როგორც ცალკეულ მოვლენებს, და ისიც მხოლოდ ერთი ქალაქის საზღვრებში; ამიტომ ლაპარაკი იმ დროის სახალხო მეურნეობაზე, მუდმივ ვაჭრობასა და სავაჭრო კლასზე და საერთოდ საზოგადოების ეკონომიურ დანაწილებაზე, არ შეიძლებაო. ასეთმა მკაცრად ჩამოყალიბებულმა თეორიამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ახალ მკვლევართა შორის და გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ მისი მთავარი დებულებები დღეს საბოლოოდ დარღვეულია.

დღეს თვით ნატურალურსა და ფულად მეურნეობას შორის სოციოლოგიურად სავსებით გარკვეული საზღვრის გავლებაً მიუღებლად არის ცნობილი. კაცობრიობის უძველესი წარსულის შესწავლა გვარწმუნებს, რომ წმინდა ნატურალურ მეურნეობას, რომელიც ფულის მსგავსი საგნების ტრიალისაგან სრულებით თავისუფალი იყოს, გაცილებით უფრო იშვიათად აქვს ადგილი სინამდვილეში, ვიდრე ეს ზოგიერთ ზერელე სქემების მოყვარულ პირს ეჩვენება [35]. ისეთი დიდი მეცნიერების, როგორიც პოელმანი, ბელოხი და ედ. მაიერი იყვნენ, ღირსშესანიშნავმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ შეუძლებელია იმ აზრის გაზიარება, თითქოს ანტიკურმა სამყარომ იცოდა მხოლოდ ოიკოსური მეურნეობა, რომლის საზღვრებს იგი თითქმის არ გაშორებია. ფრიად საყურადღებო და სარწმუნო ისტორიულმა მასალამ უდაოდ დაამტკიცა, რომ ანტიკურ სამყაროში არსებობდა თავისებური კაპიტალიზმი, რომელსაც ჩვენ თანამედროვე კაპიტალიზმისაგან განსასხვავებლად „ანტიკურ კაპიტალიზმს" ვუწოდებთ; რომ უკვე ძველ დროს იყო გავრცელებული ეკონომიურ ურთიერთობათა უმაღლესი ფორმები, რომ უკვე მაშინ მრეწველობა, ვაჭრობა, ფული და კაპიტალი დიდ როლს თამაშობდა, არსებობდა ვაჭართა და მრეწველთა კლასები, სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობანი, თავისებური ბანკები და სხვ.

---

* ბერძნული სიტყვა οἶκος=სახლი, ოჯახი.

ამ აზრის განმტიცებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დასახელებულ მკვლევართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი თავის მხრით, მეორე უკიდურესობაში ჩავარდენ: ანტიკური ქვეყნების ეკონომიკის ღრმა და სისტემატიური, მაგრამ ცალმხრივი შესწავლის შედეგად მათ წამოაყენეს დებულებები, თითქოს ძველმა საბერძნეთმა სამეურნეო განვითარების მხრით ისეთივე სტადიები განვლო როგორიც თანამედროვე ევროპამ, და ათენი V—IV ს-ში იმგვარადვე იდგა კაპიტალიზმის ნიშნის ქვეშ, როგორც ინგლისი XVIII და გერმანია XIX საუკუნიდან; რომ „ძველ ქვეყნიერებაშიც გაბატონებული იყვნენ, თუმცა გაცილებით უფრო მცირე სივრცეზე და სხვა ფორმებში, იგივე გავლენანი და წინააღმდეგობანი, რომელნიც მიმართავენ თანადროულ განვითარებასაც"; რომ ყველა ის უდიდესი პრობლემები, რომლის წინაშე სდგას თანამედროვე საზოგადოება, აღლევებდა უკვე ძველებს. ერთი სიტყვით ანტიკურ ქვეყნებსა და ჩვენ დროს შორის ცხადი ანალოგია გატარებული. და თითქმის სრული იგივეობის ნიშანია დაწესებული. ანტიკური ქვეყნების ისტორიის ასეთმა მოდერნიზაციამ უფრო მტკიცე გამოსახულება ჰპოვა ბელოხის, პოელმანის და ედ. მაიერის მიმდევრებში"[16]. ეჭვი არ არის, ასეთი მოვლენა დაკავშირებულია ანტიკური ქვეყნების სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გადაჭარბებულ შეფასებასა და მისი დამახასიათებელი მომენტების არა ჯეროვან გათვალისწინებასთან. ჩვენ უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ (იხ., მაგ., 51 გვ.), რომ ანტიკური მეურნეობის ძირითად და ტიპიურ ფაქტორს მონობა წარმოადგენდა, რომელიც სრულებით განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებდა იმ დროის საზოგადოებრივ-ეკონომიურ სტრუქტურას და ურთიერთობათ. მართალია, მონობას სავსებით არ განუდევნია თავისუფალი მუშა ხელი, მაგრამ შექმნილი პირობების გამო თაკისუფალი პროლეტარიატის უდიდესი ნაწილი უფრო მომხმარებელ პროლეტარიატს წარმოადგენდა, ვიდრე მწარმოებელს, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი იყო დეკლასირებული წვრილი ბურჟუაზია. ედ. მაიერი არსებით განსხვავებას ვერ ხედავს იმ დროის დიდ მონურ სახელოსნოსა და ჩვენი დროის ფაბრიკებს შორის; პოელმანიც მონურ სახელოსნოს წარმოების კაპიტალისტურ ფორმას ადარებს. მაგრამ მონების რიცხვის მიხედვით ძველ სახელოსნოებს კიდევაც რომ ვუწოდოთ ფაბრიკები, მაინც გარკვევით უნდა გვახსოვდეს, რომ ტექნიკური სტრუქტურის მიხედვით ისინი მარტივ სახელოსნოებს წარმოადგენდენ, ხოლო ეკონომიური სტრუქტურის თვალსაზრისით მათ საერთო არა ქონდათ რა კაპიტალისტური სახის წარმოებასთან. თვით სახელოსნოს ღირებულება განისაზღვრებოდა არა მასში არარსებული მანქანებით, არამედ მომუშავე მონების რიცხვით და გამოცდილებით. ამასთან ერთად კაპიტალისტური წარმოების ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი—მანქანების მუდმივი გაუმჯობესების უნარიანობა—ანტიკური წარმოების „მოლაპარაკე ინსტრუმენტების" მიმართ, თითქმის. სრულებით არ არსებობდა. საერთოდ „დაპყრობილი სახელმწიფოების და ხალხების ექსპლოატაციაზე. ხოლო უფრო მეტად მეტეკებისა და მონების ექსპლოატაციაზე, იყო დამყარებული ანტიკური მეურნეობა; უფრო მეტიც—სწორედ მონობა იყო აუცილებელი და პირდაპირი წინასწარი პირობა დემოკრატიული პოლისისათვის"[37]. საერთოდ ანტიკური კაპიტალიზმის ხარისხისა, სიღრმისა და

დიაპაზონის ევროპის კაპიტალიზმთან შედარება გადაჭარბებული და მიუღებელი რამ არის, რადგან არსებითად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ ცნობილსა და უდაო ფაქტებს.

ამ წიგნის მესამე ნაწილში ჰელენისტური ეპოქის მეურნეობის განხილვის დროს კვლავ გვექნება საშუალება შეეხოთ ანტიკური ეკონომიკის დამახასიათებელ მომენტებს და ამიტომ აქ ამ საგანზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ მით უმეტეს, რომ ჩვენი მსჯელობის საგანს მხოლოდ V—IV ს-ის საბერძნეთის სამეურნეო მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა შეადგენდა, ხოლო ანტიკურმა კაპიტალიზმმა სწორედ ჰელენისტურ ეპოქაში მიაღწია გაცილებით უფრო თვალსაჩინო განვითარებას.

2. სპარტის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა V—IV ს-ში.

ჩვენ ვიცით (გვ. 23 შმდ.), რომ სპარტაში არსებითად გაბატონებული იყო მიწის მეურნეობა და მთელი მიწა-წყალი სპარტიატების საკუთრებად ითვლებოდა, და რომ სპარტიატებს უფლება არ ჰქონდათ დაენაწილებიათ ან გაესხვისებიათ თვისი კლეროსები, რომლებსაც ჰელოტები ამუშავებდენ და უხდიდენ მათ განსაზღვრულ ღალას მოსავლიდან. ჰელოტების მთავარი დანიშნულება იყო სპარტიატების უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით, რომ მათ საშუალება ჰქონოდათ თავისუფლად შეესრულებიათ სახელმწიფოს წინაშე სამხედრო და პოლიტიკური მოვალეობანი. რაც შეეხება პერიეკებს, ისინი უმთავრესად ხელოსნობას მისდევდენ. ისტორიკოსი ქსენოფონტე კინადონის შეთქმულების გადმოცემაში გვიამბობს (Hellen. III 3,7), რომ ეფორების შეკითხვაზე, თუ საიდან ფიქრობდენ შეთქმულები იარაღის მოპოვებას, შეთქმულების გამცემი პირი უპასუხებს: კინადონს იმედი ჰქონდა იარაღის შეძენისა რკინის ბაზარში, სადაც მრავლად არის ხანჯლები, ხმლები, შუბები, ნაჯახები და სხ.. კინადონს იგი პირადად წაუყვანია ამ ბაზარში და ყველა ეს საგანი უჩვენებია. ამ ცნობიდან ჩანს, რომ სპარტაში იარაღის დამმზადებელი ხელოსნები IV ს-ში მუშაობდენ არა მარტო წინასწარი შეკვეთით, არამედ თვისი ნაწარმოებები ბაზარზედაც გამოჰქონდათ გასასყიდად.

უძველესი დროიდან სპარტის სახელმწიფოს მთავარი ყურადღება იმაზე იყო მიქცეული, რომ სპარტიატებს შორის დაცული ყოფილიყო ქონებრივი და მასთან დაკავშირებული მოკალაქეობრივი თანასწორობა, რადგან სწორედ ეს მომენტი ითვლებოდა მისი არსებობის ქვაკუთხედად, მაგრამ ბუნებრივი პირობები ხელს უშლიდა ასეთი თანასწორობის შენარჩუნებას: სპარტიატების რიცხვის გამრავლება მოითხოვდა ახალ კლეროსებს, ასეთები კი ლაკონიაში აღარ მოიპოვებოდა, და ამის გამო სპარტა ადრე გახდა იძულებული დაპყრობის საშუალებით შეეძინა ახალი მიწები. ამ გარემოებასთან იყო დაკავშირებული სპარტის მიერ მესენიის დაპყრობა, ხანგრძლივი ომი არგოლიდასთან და საერთოდ მთელი მისი საგარეო პოლიტიკა. ჯერ კიდევ ძველად წარმოიშვა სპარტაში გაღარიბებული სპარტიატების ჯგუფი და, როგორც ტირტეოს ფრაგმენტებიდან ვი-

ცით, მესენიის მეორე ომის დასაწყისის წინ იგი გარკვეეით მოითხოვდა მიწების ახალ გადანაწილებას. რამდენსამე ათეულ წელს გაგრძელებულმა ომმა კიდევ უფრო გაადიდა გაღატაკებული არისტოკრატების რიცხვი, მაგრამ ომის სპარტის სასარგებლოდ დამთავრებამ საშუალება მისცა სპარტის სახელმწიფო ხელისუფლებას დაერიგებია მათთვის მესენიაში ახალი კლეროსები, რომელთაც ჰელოტებად გადაქცეული მესენიელები ამუშავებდენ და მოსავლის გარკვეულ ნაწილს აძლევდენ ახლად მოვლენილ მებატონეთ.

ხოლო თუ პირველ ხანში სპარტა კიდევ ახერხებდა ამ აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და თვისი ძველი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნებას, VI ს-ის მეორე ნახევრიდან პირობები ამ მხრით არსებითად შეიცვალა და სპარტას უკვე აღარ შეეძლო მის გარშემო მდებარე სახელმწიფოებისათვის ახალი მიწები ჩამოერთმია. იმავე დროს კი ყოველგვარი კანონი და ტრადიცია უძლური იყო ხელი შეეშალა იმ ბუნებრივი მოვლენისათვის, რომ ზოგიერთ სპარტიატს უჩნდებოდა რამდენიმე ვაჟი და ამ შემთხვევისათვის სპარტის კანონების მიერ დაწესებული მეურნეობის საერთო წარმოება და ერთი საზოგადო ცოლი ძმებისათვის, ვიდრე ისინი ცალ-ცალკე მოიპოვებდენ კლეროსებს, იმდენად აუტანელი შეიქნა, რომ ასეთი პირები ამათუიმ საშუალებით გვერდს უვლიდენ კანონს და ახდენდენ მამისაგან დატოვებული კლეროსის ურთიერთ შორის დანაწილებას[38]. ამას გარდა გაღარიბებული სპარტიატები იძულებული ხდებიან ნივთიერი ხელმოკლეობის გამო მამულების ფიქტიურ გაყიდვასაც მიმართონ. სამართლიანად შენიშნავენ, რომ „როდესაც უფლების ნორმა აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებათ, იგი, თუმცა არსებობს, მაგრამ ჰკარგავს რეალურ მნიშვნელობას და ყოველთვის მოიძებნება შემოსავლელი გზა. ასე მოხდა სპარტაშიც“ [39]. ამ ნიადაგზე კლეროსების დაუყოფელობა და განუსხვისებლობა უბრალო იურიდიულ ფიქციად იქცა. აუცილებელი საჭიროების გამო სპარტიატი სესხს იღებდა უფრო შეძლებული პირისაგან და უწინდრებდა მას არა მიწას, არამედ მოსავალს: ამგვარად, დაგირავებული მიწის მესაკუთრედ იურიდიულად იგივე პირი რჩებოდა, ხოლო მოსავალი კრედიტორს მიჰქონდა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დაგირავებული მიწა მის პატრონს მხოლოდ ფიქტიურად ეკუთვნოდა, ნამდვილად კი კრედიტორის განკარგულებაში იმყოფებოდა, დავრწმუდებით, რომ ამ ნიადაგზე მრავალ სპარტიატს არსებითად ეცლებოდა ხელიდან კლეროსი, რომელიც მცირერიცხოვანი შეძლებული პირების ხელში გადადიოდა. ამ გარეგმოების გამო სპარტაში ადგილი ჰქონდა მართლაც მიწების დიდ კონცენტრაციას და სპარტიატთა შორის ღრმა ქონებრივი უთანასწორობის დამყარებას: მცირერიცხოვან თანასწორუფლებიან სპარტიატებთან ერთად ჩნდება „ჰიუპომეიონების“ წრე (ὑπομείονες), ე. ი. გაღატაკებული არისტოკრატების განსაკუთრებული წოდება, რომელმაც დაჰკარგა ყველა პოლიტიკური უფლება, შეიძლება სახალხო კრებაზე მონაწილეობის გამოკლებით. სპარტიატების ასეთი წრე ვერ ურიგდებოდა შექმნილ პირობებს და ხშირად მიმართავდა აჯანყებათ, ზოგჯერ პერიეკებთან და ჰელოტებთან შეკავშირებით, მაგრამ გაბატონებული არისტოკრატია, რომლის ხელში გადავიდა სავსებით მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება, სასტიკად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეთ. ის იური-

დიული ფიქციაც, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არსებითად იქნა მოსპობილი V ს-ის დასასრულს ეფორის ეპიტადეს მიერ გატარებული კანონით, რომლითაც სპარტიატებს სრული თავისუფლება მიენიჭათ, გაესაჩუქრებიათ ან ანდერძით დაეტოვებიათ თვისი მამულები ვისთვისაც სურდათ (Plut. Agis, 5). უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ უკვე იყო ჩვეულებაში შემოღებული და იმ დროს მისი მხოლოდ კანონით დადასტურება მოხდა. მართალია, ეს კანონიც კრძალავდა მიწების გაყიდვას, მაგრამ, ცხადია, სრულ შესაძლებლობა დამყარდა მიწების ყიდვა-გაყიდვისა ანდერძით დატოვებისა თუ გასაჩუქრების სახით. ამას შემდეგ გაღატაკებული სპარტიატების რიცხვი უფრო მეტად იზრდებოდა. IV ს-ში მიწების უდიდესი ნაწილი 1 000 სპარტიატს ეკუთვნოდა, ხოლო III ს-ში 700-ს. ამგვარად, თუ სპარტიატების ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით სპარტა პირველად დემოკრატიას წარმოადგენდა, ახლა იგი ოლიგარქიად იქცა, რადგან, როგორც ვიცით, აქ პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისათვის აუცილებელი იყო სისიტიებში მონაწილეობა, რომელიც თავის მხრით გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული; ამ უკანასკნელთა გაღებისათვის კი საჭირო იყო განსაზღვრული ქონება; ვისაც ამის საშუალება არ ჰქონდა, იგი პოლიტიკურ უფლებებსაც ჰკარგავდა. ახალ პირობებში მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ ეფორები, რომელთაც სრულუფლებიანი სპარტიატები ირჩევდენ თვისი წრიდან, როგორც მათი ინტერესების თავგამოდებით დამცველებს. ამას გარდა შეიცვალა სპარტის საგარეო პოლიტიკაც. ძველად მისი მთავარი ამოცანა იყო ახალი კლეროსები მოეპოვებია სპარტიატებისათვის, ახლა კი მიწებით მდიდარი მცირერიცხოვანი სპარტიატების წრეს, რომლის ხელშია სახელმწიფო ძალა-უფლება, ასეთი რამ აღარ ესაჭიროება, ამიტომ მისი მთავარი ყურადღება უფრო ფულადი თანხების შეგროვებისაკენაა მიპყრობილი როგორც სახელმწიფოსათვის, ისე კერძო პირებისათვის. პლუტარქი გადმოგვცემს, რომ ცნობილმა ნავარქოსმა ლისანდრემ თვისი სამშობლო გაამდიდრა და ამით გაუღვიძა მათ დიდი მიდრეკილება ქონების შეძენისადმი. ამიტომ ამ დროიდან აღარავის აფიქრებდა სპარტის სიძულვილი სიმდიდრისადმი. ათენთან ომის დამთავრების შემდეგ ლისანდრემ სპარტაში მოიტანა დიდძალი ოქრო და ვერცხლიო (Plut. Lis. II). ქსენოფონტეს სიტყვით კი (Hellen. II, 3, 8-9) ლისანდრემ სპარტას გადასცა კიროსის მიერ ომისათვის გადადებული თანხიდან დარჩენილი 470 ტალენტი და ყველაფერი ის, რაც მან ომით მოიპოვაო. ფულადი თანხების ასეთ მობილიზაციას სპარტაში, უეჭველია, დიდი გავლენა ექნებოდა ძველ ნატურალურ სამეურნეო ურთიერთობის დაშლაზე და ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავებაზე.

რაც შეხება სპარტის მეფეებს, რომელთა ისედაც შეკვეცილ ხელისუფლებას უფრო მეტად ავიწროვებდა ახალი არისტოკრატია, ისინი ცდილობდენ თვისი მდგომარეობის მიხედვით უფრო სპარტიატების გაღარიბებულ ნაწილს და ზოგჯერ პერიეკებსა და ჰელოტებსაც კი დაკავშირებოდენ შექმნილი მდგომარეობის

წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი მიდრეკილება, როგორც ჩანს, უმეტესად აგიადების დინასტიის წარმომადგენლებს ახასიათებდა. პელოპონესის ომის დროს დიდ გავლენას აღწევენ სარდლები, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი ლისანდრე, რომელმაც ათენი დიდ განადგურებამდე მიიყვანა. იგი მაღალნიჭიერი ორგანიზატორი, შორსმჭვრეტელი დიპლომატი, იშვიათი სარდალი და არაჩვეულებრივი თავდაკავებისა და ენერგიის ადამიანი იყო. მან მოახერხა ხელში ჩაეგდო ოლიგარქიული მოძრაობის ხელმძღვანელობა მცირე აზიასა და კუნძულებზე და გააერთიანა ყველა ანტი-ათენური პოლიტიკური ჯგუფები (გეტერიები), რომ მათი მოქმედებისათვის გარკვეულად ჩამოყალიბებული მიმართულება მიეცა. პელოპონესის ომის უკანასკნელ წლებში იგი ფაქტიური მბრძანებელი იყო სპარტაში. მის მიერ დაპყრობილ კუნძულებსა და მცირე აზიის ქალაქებში ლისანდრემ ხელისუფლება ჩამოართვა როგორც დემოკრატებს, ის არისტოკრატებს, ყველგან სპარტელი კომენდანტები—ჰარმოსტები დააყენა და დეკარქიები, ე. ი. ადგილობრივი ათი მოქალაქის, რომლებიც ლისანდრესა და სპარტისადმი სრულ ერთგულებას ააშკარავებდენ, მმართველობა დაამყარა. მაგრამ ლისანდრე კარგად გრძნობდა სპარტაში თვისი მდგომარეობის არასიმტკიცეს და გამოიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით მემკვიდრეობითი დუალისტური მონარქია გაუქმებული უნდა ყოფილიყო და ერთი არჩეული მეფის ხელისუფლებით შეცვლილიყო. თვით ლისანდრეს ეტვი არ შედიოდა, იმაში, რომ იგი უეჭველად იქნებოდა არჩეული სპარტის მეფედ და, როგორც გვირგვინოსანი, უფრო თავისუფლად შეასხამდა ხორცს თავის სურვილებს. ამ მიმართულებით იგი საშუალებას არ ზოგავდა სხვადასხვა მისნის მოსასყიდად, რომ მის პროექტს „ღვთაებრივი“ სანქციაც მიეღო[10]. ლისანდრეს დიდი მოწინააღმდეგე იყო მეფე პავსანიას უმცროსი, რომელიც სპარტის ხალხის ფართო წრეებზე დამყარებით ცდილობდა გაბატონებული არისტოკრატიისა და მისი ბურჯის—ეფორატის უფლებების შეკვეცას და სამაგიეროდ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასა და ჰიპომეიონების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ ვიცით, რომ V ს-ის დასასრულს სპარტაში წარმოიშვა თავისებური პოლიტიკური ლიტერატურა და ოფიციალური ვერსიის ხასიათი მიიღო იმ გადმოცემამ, რომ ლიკურგოსს თვით პითიამ გადასცა გეგმა სპარტის სახელმწიფო წყობილებისა. ამ ვერსიის გამტკიცება უმთავრესად მეფე პავსანიას უმცროსს უნდა მიეწეროს. ლისანდრესთან ბრძოლის ნიადაგზე წარმოიშვა მისი განსაკუთრებული პამფლეტი, რომელიც მისნის მრავალ გამოთქმას შეიცავდა. ამ პამფლეტში პავსანიასი აცხადებდა, რომ ეფორატი შემდეგი დროის დაწესებულებაა, რომელიც უცხოა ლიკურგოსის კონსტიტუციისათვის, და რომ ლიკურგოსმა სპარტელებს უანდერძა მიღებული ფიცისადმი ერთგულება და კეთილსინდისიერება პოლიტიკაში. ერთი სიტყვით, სპარტის სახელმწიფოს გენეზისის გარკვევით პავსანიასი ლისანდრესა და მისი მიმდევრების ტენდენციების სრულ განადგურებას ისახავდა მიზნად. პირველი გამარჯვება ლისანდრეზე პავსანიასმა 406 წელს მოიპოვა, როდესაც ლისანდრეს მაგივრად ნავარქოსად მისი თანამოაზრე კალიკრატიდე იქნა. არჩეული. მაგრამ ეს უკანასკნელი მალე დაიღუპა ბრძოლაში და ნავარქოსის ადგილი კვლავ ლისანდრემ დაიკავა. იგი განაგრძობდა თვისი პოლიტიკის განხორციელებას და, როდესაც 404 წელს ათენი დაი-

პყრო, დაარსა აქ 30-ის ხელისუფლება, რომელიც საესებით შეესაბამებოდა მცირეაზიურ დეკარქიებს. მაგრამ სწორედ ათენის დამარცხებამ შეარყია ლისანდრეს პარტიის გავლენა: სპარტა დიდად იყო დაინტერესებული ათენის დამარცხებაში და ამიტომ თვალსაჩინო ნაწილი მოქალაქეებისა თავგამოდებით უჭერდა მხარს ლისანდრეს, რომელიც დაუზოგველად უტევდა ათენს, ახლა კი ეს მიზანი მიღწეული იყო და ათენის მხრით ყოველგვარი საშიშროებაც თავიდან აცილებული, ამიტომ ბევრს ლისანდრეს მისია უკვე დამთავრებულად მიაჩნდა. ასე არ ფიქრობდა, რასაკვირველია, თვითონ ლისანდრე, რომელიც სწორედ ახლა უფრო ოცნებობდა სპარტის სამეფო გვირგვინზე და თვისი მოქმედებით უკვე გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა. მართალია, იგი გაგზავნილ იქნა ათენში რწმუნებულად, მაგრამ, როგორც მოგვითხრობს პლუტარქი მის ბიოგრაფიაში, მეფეები და ეფორებიც კი დიდი ეჭვით უცქეროდენ უკვე ლისანდრეს ნაბიჯებს და ეშინოდათ მისი დიდი პოპულარობისა ჯარში და მის ნიერ მთელი საბერძნეთის ოლიგარქიულ პარტიებს შორის მოპოვებული გავლენისა. ამიტომ ათენის წინააღმდეგ წარგავზნილი ჯარის მთავარსარდლად მეფე პავსანიასი დანიშნეს. იგი გაემგზავრა ათენისაკენ, თითქოს 30 ტირანის დასახმარებლად ადგილობრივი სახალხო პარტიის წინააღმდეგ, ნამდვილად კი ომის დასამთავრებლად, რომ ლისანდრე თვისი მიმდევრების დახმარებით კვლავ არ გამხდარიყო ათენის ბატონ-პატრონი. ამგვარად, სპარტის პოლიტიკის ხელმძღვანელობა ისევ პავსანიასის ხელში გადავიდა. უწინარეს ყოვლისა მან მოსპო ლისანდრეს დეკარქიები და მათ შორის 30-ის ბატონობა ათენში და საერთოდ საესებით გაანადგურა ის ქსელი, რომელიც ლისანდრეს მთელ საბერძნეთში ჰქონდა გაბმული თვისი ზრახვების განხორციელების მიზნით. ლისანდრეს მომხრეებმა სცადეს ძველი ნაცადი გზით პავსანიასის ტახტიდან გადაყენება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ახალი პოლიტიკის გამარჯვებაზე, რომელსაც პავსანიასის წრე ახორციელებდა, დიდ იმედს ამყარებდა სპარტიატების ის ნაწილი, რომელმაც გარკვეული პირობების გამო დაჰკარგა თვისი ქონება და ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური უფლებებიც. მაგრამ პავსანიასის სიკვდილის შემდეგ მათთვის ნათელი გახდა, რომ ასეთი იმედი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამიტომ მათ წრეში გარკვეით ჩაისახა შეიარაღებული აჯანყების აზრი, რომ ძალდატანებითი აქტით ყოფილიყო შეცვლილი მათთვის მიუღებელი და დამღუპველი წყობილება. შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა 399 წ. კინადონი, მაგრამ მალე გამოჩენილა გამცემი, რომელსაც ქსენოფონტეს გადმოცემით (Hellen., III) დაკითხვის დროს მიუთითებია, რომ შეთქმულებას კინადონი მეთაურობდა. კინადონმა მიმიყვანა, განუცხადებია მას, ბაზრის მოედნის ნაპირას და მიბრძანა დამეთვალა, თუ რამდენი სპარტიატი იმყოფებოდა მოედანზე. მე დავთვალე და მეფისა და ჰერონტების ჩათვლით სულ დაახ. 40 სპარტიატი აღმოჩნდა. მაშინ მე შეეკითხე: „კინადონო, რისთვის მიბრძანე მათი დათვლა". მან მიპასუხა: „ყველა ესენი მტრებად ჩათვალე, ხოლო ყველა დანარჩენი, რომლებიც მოედანზე იმყოფებიან, რიცხვით ოთხი ათასზე მეტი,—მოკავშირეებად"... ასეთი რამ მიჩვენა კინადონმა ქუჩებზედაც: იშვიათად გვხვდებოდა ერთი ან ორი მტერი, ყველა დანარჩენი მოკავშირეები. ასე სპარტიატების მამულებშიც: მხოლოდ ერთი

მტერი—თვითონ მემამულე, ყველა დანარჩენი—მოკავშირეები. შემდეგ ეფორეების შეკითხვაზე, თუ რამდენი კაცი იღებდა მონაწილეობას შეთქმულებაში, კინადონი უპასუხებს: ძლიერ მცირე რიცხვი, მაგრამ სამაგიეროდ შეთქმულების ხელმძღვანელნი კარგად იცნობენ იმ განწყობილებას, რომელიც სუფევს სპარტის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში არსებული წყობილების მიმართ; საკმარისია დაუწყოთ მათ ლაპარაკი სპარტიატებზე და ვერც ერთი მათგანი ვერ მოახერხებს დაფაროს, რომ ცოცხლად შესჭამდა სპარტიატებს, თუ ამისი საშუალება ექნებოდაო. ამგვარად, გაბატონებული მცირერიცხოვანი არისტოკრატიის საწინააღმდეგო განწყობილებით მოსახლეობის ყველა ნაწილია უაღრესად გამსჭვალული. მაგრამ, როგორც ჩანს, არც შეთქმულება და მით უმეტეს არც ამ საერთო უკმაყოფილების სათანადო გამოხატულება ყოფილა იმ დროს ჯეროვანად მოწესრიგებული, რომ შეთქმულებას რაიმე რეალური შედეგი მოჰყოლოდა. ხელისუფლებამ მოტყუებით ჩაიგდო ხელში ამ საყურადღებო მოძრაობის მესვეურები და სამარცხვინო წამებას მისცა. სპარტის არისტოკრატიამ შესძლო ამ მოძრაობის სრული დამარცხება და თვისი სასტიკი რეჟიმი უფრო გაამკაცრა. შექმნილი მდგომარეობით უაღრესად უკმაყოფილო ელემენტები ამას შემდეგაც განაგრძობენ ბრძოლას სპარტაში არსებული წყობილების წინააღმდეგ და III ს-ში კვლავ შეეცდებიან თავისებური რევოლიუციის მოხდენას, რომლის გაშუქება ამ წიგნის მესამე ნაწილში გვექნება წარმოდგენილი.

თავი მეექვსე

სპარტის ჰეგემონია.

1. საბერძნეთის პოლისების მდგომარეობა სპარტის ჰეგემონიის ქვეშ. „სამეფო ზავი“ და მისი მნიშვნელობა.

ჩვენ ვიცით, რომ პელოპონესის ომის შედეგები მეტად მძიმე იყო ათენის სამეურნეო და სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობისათვის. 30 ტირანის ხელისუფლების დამხობის შემდეგ აღდგენილი დემოკრატიის წინაშე მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა იყო დასმული: სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების განკურნება იმ ღრმა ჭრილობებისაგან, რომლებიც მას განელილმა ომმა მიაყენა, და ათენის საერთაშორისო მნიშვნელობის აღდგენა შესაძლებელ ფორმებში. ათენის დემოკრატიამ მოახერხა ამ ამოცანის, თუ სრულად არა, ნაწილობრივად მაინც განხორციელება. არისტოტელის სიტყვით (Ἀθ. πολ. XLI) ამ ხანაში ხალხის მასამ უფრო მეტად მიითვისა ძალა-უფლება და ყველაფერს განაგებდა ფსეფიზმებისა და დიკასტერიების საშუალებით. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ზომა, რომელსაც იმ დროს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მიმართა, სახალხო კრებაზე დასწრებისათვის გასამრჯელოს (ეკლესიასტიკონის) დაწესება იყო. არსებითად იგი დაგვირგვინება იყო გასამრჯელოთა იმ სისტემისა, რომელსაც საფუძველი პერიკლეს მმართველობაში ჩაეყარა, და ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებათაგან გამომდინარეობდა. მაგრამ ასე არ უყურებდა, როგორც ჩანს, მას ზოგიერთი ძველი მწერალი. არისტოფანე, მაგ., გულისტკივილით იგონებს ძველ კურთხეულ დროს, როდესაც ვერაფინ გაბედავდა სამოქალაქო მოვალეობათა შესრულებისათვის გასამრჯელო აეღო, ხოლო ესქინე ათენის სახალხო კრებას სავაჭრო თუ სამრეწველო ამხანაგობას ადარებს. ათენელები, მისი სიტყვით, გამოდიოდენ სახალხო კრებიდან, ვითომც სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობიდან, შემოსავლის განაწილების შემდეგ [1]. უფრო სამართლიანად აფასებს ამ ზომას არისტოტელი, თუმცა იგი მას არ უთანაგრძნობს: ჯერ ათენელებმა გადასწყვიტეს, ამბობს იგი, არ დაენიშნათ გასამრჯელო სახალხო კრების წევრებისათვის, მაგრამ, რადგან ხალხი არ მოდიოდა კრებაზე და პრიტანებმა არ იცოდენ, რა მოეფიქრებიათ, რომ იგი შეკრებილიყო, პირველად აგირიოსმა შეიტანა წინადადება გასამრჯელოდ 1 ობოლის დანიშვნისა, ჰერაკლეიდე კლაზომენელმა კი 2 ობოლი. წამოაყენა, შემდეგ კი ისევ აგირიოსმა—3 ობოლი (იქვე). შემდეგში, თუ არისტოტელს დავუჯერებთ, ალბათ, სიძვირის ზრდასთან ერთად, ეს გასამრჯელო 1 დრახმამდე გაუდიდებიათ (Ἀθ. πολ. XLII). ასეთი გასამრჯელოს დაწესება, როგორც ვთქვით, აუცილებელი გახდა ათენში შექმნილი პირობების გამო: ნივთიერად ხელმოკლე მოქალაქეთათვის,

შეუძლებელი შეიქნა სამუშაოს მიტოვება და სახალხო კრებაზე დასწრება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა. ამიტომ ან სახელმწიფო სისტემა უნდა შეცვლილიყო, ანდა ასეთ მოქალაქეებს მცირე საშუალება მაინც უნდა მისცემოდა თვისი მთავარი მოვალეობის ფაქტიური შესრულებისათვის, თუმცა დაწესებული გასამრჯელო მეტად უმნიშვნელო იყო და ასეთი საშუალების გარანტიას ვერ იძლეოდა.

საერთოდ IV ს-ის დასაწყისში ათენის შინაური ვითარება მეტად რთული საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში მიმდინარეობდა. პელოპონესის ომმა ბერძნულ სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი სპარტას მიაკუთვნა, მაგრამ ჰეგემონის როლი მეტად მძიმე გამოდგა მისთვის, იგი მის ძალასა და საშუალებათ აღემატებოდა. ამას გარდა, თუ პელოპონესის ომში მისი გამარჯვებისაგან ზოგიერთი სახელმწიფო ათენის ძალმომრეობისაგან განთავისუფლებას მოელოდა, სინამდვილემ მათ ეს იმედი არ გაუმართლა. სპარტის ბატონობა, თუ ათენისაზე უფრო მძიმე არ იყო, ყოველ შემთხვევაში არც უფრო მსუბუქი. სპარტის გამარჯვება არსებითად კონსერვატორული და ოლიგარქიული ელემენტების გამარჯვებას წარმოადგენდა და, მაშასადამე, დემოკრატიულად განწყობილი ქალაქების სახელმწიფო ცხოვრების რადიკალურ შეცვლას მოასწავებდა. ათენისაგან განდგომილ ქალაქებში დაწესებულ იქნა ოლიქარგიული კომიტეტების ხელისუფლება, დეკარქიები და ჰარმოსტები. თვისი პოლიტიკით სპარტამ ძველ მოკავშირეებშიც კი უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია (კორინთო, თებე და სხვ.) და მძლავრად აღუძრა მათ სურვილი მისი ჰეგემონიისაგან განთავისუფლებისა.

შეიცვალა მისი წინანდელი დამოკიდებულება სპარსეთთანაც. სპარტის გაბატონებული მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც იგი თავისუფლად ერეოდა საბერძნეთის სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, უწინარეს ყოვლისა სპარსეთის დახმარებაზე იყო დამყარებული. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის სატრაპის ფარნაბაზის მოთხოვნით ლისანდრე გაწვეულ იქნა მცირე აზიიდან და მისი დეკარქიები კი გააუქმეს, კეთილი ურთიერთობა სპარტასა და სპარსეთს შორის მაღე დაირღვა კიროს უმცროსის განზრახვასთან დაკავშირებით. დარიოს II-ის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი არტაქერქსე მნემონი (404—359). მისმა ძმამ კიროსმა მოისურვა მისთვის ტახტის ჩამორთმევა და დახმარებისათვის მიმართა სპარტას. ამ უკანასკნელს კარგად ახსოვდა ის დიდი შემწეობა, რომელიც კიროსმა მას აღმოუჩინა, და მზად იყო მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებია, მაგრამ ძმებს შორის ბრძოლაში პირდაპირი ჩარევა ვერ გაბედა და კიროსს ნება მისცა არაოფიციალურად მოეგროვებია ჯარი საბერძნეთში და თავის მხრით რაზმის უფროსად წარგზავნა სპარტელი კლეარქოსი. კიროსის მიერ დაწყებული საქმე სრული დამარცხებით დამთავრდა და თვითონაც დაიღუპა ბაბილონის მახლობლად, ევფრატსა და ტიგრს შორის, სოფ. კუნაქსთან ბრძოლაში. მის ლაშქარში მყოფი ბერძენი რაზმები მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდენ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათი წინამძღოლები კლეარქოსი და სხვები ვერაგულად იქნენ მოკლული. მრავალი დიდი გაჭირვების დაძლევით შესძლო ბერძენთა მეომრების ნაწილმა უკან დაბრუნება და მონაწილეობა მიიღო იმ დროს სპარსეთსა და სპარტას შორის უკვე დაწყებულ ომში.

როგორც ვიცით, კიროსის ექსპედიცია აგვიწერა ამ ლაშქრობის მონაწილემ ისტორიკოსმა ქსენოფონტემ თვის „ანაბასის"-ში, სადაც, სხვათა შორის, გაზვიადებულად აქვს გადმოცემული მისი როლი მეთაურების დახოცვის შემდეგ, თითქმის, უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ბერძენთა მეომრების სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

კიროსის ექსპედიციაში, ამგვარად, მონაწილეობას იღებდენ საბერძნეთის არა რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო ძალები, არამედ დაქირავებით შეგროვებული ბერძენი მეომრები. საერთოდ IV საუკუნის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა იყო დაქირავებული მეომრების სისტემის განვითარება. მუდმივმა ომიანობამ წარმოშვა პროფესიონალი სარდლები და მეომრები, რომლებიც ფულით მზად იყვენ ემსახურათ ყველგან, სადაც კი ეს მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა[2]. საბერძნეთში დაქირავებული ჯარების სისტემა განვითარდა პელოპონესის ომის დროიდან და ერთ-ერთი აუცილებელი შედეგი იყო იმ ხანის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობებისა. ყველა მოქალაქეს უკვე აღარ შეეძლო შეესრულებია ფრიად გართულებული სამხედრო მოვალეობა, არ შეეძლოთ ხანგრძლივათ მიეტოვებიათ თვისი მეურნეობა და მთელი წლობით ემსახურათ ჯარში, ამიტომ ხშირი და ხანგრძლივი ომების დროს უნდა წარმოშობილიყო ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფები, რომლებიც თავის სპეციალობად, პროფესიად სამხედრო სამსახურს სთვლიდენ. ამას გარდა თუ ძველად საზოგადოების ნივთიერად ხელმოკლე ნაწილი ზოგიერთ შემთხვევაში სხვა მხარეებში მიდიოდა კოლონისტების სახით, ახლა მდგომარეობა ამ მხრითაც შეიცვალა: ახალი ახალშენების განსახლებას ხელს უშლიდა გადაულახავი პირობების მთელი რიგი; შეუძლებელი შეიქნა აგრეთვე კლერუქიების დაარსება, და საერთოდ ამ სახის ემიგრაცია შეწყდა. მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებიდან საბერძნეთში მრავლად შემოჰყავდათ მონები, რომლებიც უდიდეს კონკურენციას უწევდენ და ავიწროებდენ ადგილობრივ თავისუფალ მუშებსა და ხელოსნებს, მრავალი მოქალაქე იძულებული ხდება უცხო ქვეყნებში ეძიოს დაქირავებული მეომრის ადგილი. განსაკუთრებით მრავლად იძლეოდა ასეთ სამსედრო პროფესიონალებს სპარტა. თვით სპარტის მეფე აგესილაოსი თვისი რაზმით გადადის ტახოსის სამსახურში, რომელიც მეთაურობდა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ეგვიპტელებს. იმ დროის დაქირავებული მეომრების განთქმული მეთაურები იყვენ ათენელები იფიკრატე. ხაბრია და ტიმოთე. იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც ბერძენთა ასეთი დაქირავებული რაზმები მათი ქვეყნის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოს მხარეზე იბრძოდენ: ისინი ემსახურებოდენ ფულისათვის იმას, ვინც უფრო უხვად ასაჩუქრებდა. ამ ახალი მოვლენით მოხერხებულად სარგებლობს სპარსეთი, რომელმაც პირდაპირი თაედასხმით, მართალია, ვერ შესძლო საბერძნეთის დაპყრობა, მაგრამ თვისი განზრახვის განხორციელებაზე ხელი არ აუღია და სხვადასხვა გზით სცდილობდა მის შესრულებას. მართალია, სპარტას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია კიროსის ექსპედიციაში, მაგრამ მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამ საქმისადმი დაფარული არ დარჩა სპარსეთის მთავრობისათვის. ტისაფერნე, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია არტაქსერქსე მნემონს იმით, რომ დროზე აცნობა კიროსის განზრახვები, კვლავ

იქნა წარგზავნილი მცირე აზიაში სატრაპად. იგი შეუდგა მცირეაზიელ ბერძენთა ქალაქების სპარსეთისადმი კელავ დამორჩილების განხორციელებას. მცირეაზიელმა ბერძნებმა დახმარებისათვის მიმართეს სპარტას, როგორც ბერძნული სამყაროს ჰეგემონს. ამ გარემოების გამო სპარტა ფრიად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: ერთის მხრით მისი მდგომარეობა საბერძნეთში აიძულებდა მას გამოჰქომაგებოდა მცირეაზიელ თანამოძმეთ, ხოლო მეორის მხრით სპარსეთთან პირდაპირ ომს ერიდებოდა. ბოლოს მაინც ეს უკანასკნელი გზა აირჩია, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ სპარტა ამ შემთხვევაში სრულებით არ მოქმედებდა საერთო ბერძნული ეროვნული ინტერესების მიხედვით: წინათ გულგრილად იყიდა სპარსეთის მეფის დახმარება მცირეაზიელი ბერძნების ანგარიშზე, მაგრამ ახლა ცდილობდა პოლიტიკურად თავის სასარგებლოდ გამოეყენებია ეროვნული მომენტიც[3].

ომი სპარსეთსა და სპარტას შორის პირველად ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა, ვიდრე ცნობილი ნავარქოსის ლისანდრეს მეოხებით სპარტის ჯარების სარდლობა მეფე აგესილაოსს არ გადაეცა. მან თვისი თავი ახალ აგამემნონად წარმოიდგინა და მისი მიბაძვით უნდოდა ბრძოლის ველზე გამგზავრების წინ მსხვერპლი შეეწირა ავლიდში (ბეოტიაში), მაგრამ ბეოტიელებმა ასეთი განზრახვის შესრულების ნება არ მისცეს. 396 წელს აგესილაოსი ახალი რაზმებით გადავიდა მცირე აზიაში და ამას შემდეგ ომმა უფრო დიდი და ფართო ხასიათი მიიღო. ტისაფერნე დროის მოგების ანგარიშით თანახმა გახდა მიენიჭებია ბერძნული ქალაქებისათვის ავტონომია და აგესილაოსთან დროებით ზავი ჩამოაგდო, მაგრამ ომი მალე განახლდა და 395 წელს აგესილაოსმა დაამარცხა ტისაფერნეს ცხენოსანი ჯარი. მოსალოდნელი იყო, რომ ამ გამარჯვების შემდეგ სპარტელების საქმე უფრო კარგად წავიდოდა, მაგრამ სპარსელებმა ზურგს უკან მოუწყვეს მათ ახალი კოალიცია. საქმე ისაა, რომ საბერძნეთში სპარტის ბატონობა უკვე დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და ამ მხრით ნიადაგი იმდენად იყო მომზადებული, რომ მცირე საბაბიც საკმარისი იყო მის წინააღმდეგ ომის გამოწვევისათვის. სპარსელებმა მშვენიერად ისარგებლეს ამ გარემოებით და სპარსული ოქროს საშუალებით მალე შექმნეს თვით საბერძნეთში სპარტის წინააღმდეგ ომი, — ეს არის ეგრეთწოდებული კ ო რ ი ნ თ ი ს ო მ ი (395—386). კოალიცია შედგებოდა სპარტის როგორც ყოფილი მოკავშირეებისაგან, ისე ყოფილი მტრებისაგან (თებე, კორინთო, არგოსი, ათენი და სხვ.).

სპარტის მდგომარეობა დიდად გართულდა; სამხედრო მოქმედებები წარმოებდა უმთავრესად შუა-საბერძნეთში და ისთმოსზე. ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა სპარტის სარდალი ლისანდრე. სპარტისათვის აუცილებელი შეიქნა მცირე აზიიდან აგესილაოსის გამოწვევა: საქმეს ართულებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ყოფილმა ათენელმა ნავარქოსმა კონონმა, რომელმაც სპარსეთის ფულით შეიძინა ფლოტი, დაამარცხა სპარტელები კნიდოსთან (მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე). ამ დამარცხებას თან მოჰყვა სპარტის გარნიზონების სრული განდევნა მცირე აზიის ქალაქებიდან. ამას გარდა სპარსეთის ფლოტმა დაარბია პელოპონესის ნაპირები და სპარტის წინააღმდეგ მებრძოლი მოკავშირეების დასახმარებლად მიადგა ისთმოსს. როგორც ვიცით პელოპონესის

ომის შემდეგ ათენის „გრძელი კედლები“ დანგრეულ იქნა; ახლა კონონმა წამოაყენა მათი აღდგენის პროექტი. სპარსელებმა არამც თუ მოიწონეს ეს პროექტი, არამედ სუბსიდიაც კი გაიღეს მათ აღსადგენად. რადგან ამ მომენტში მათთვის ხელსაყრელი იყო ათენის გაძლიერება. მართლაც ათენელებმა შესძლეს თვისი ფლოტის ნაწილობრივი აღდგენა და მრავალი დაქირავებული მეომრის შეგროვება. სტრატეგოსის ი ფ ი კ რ ა ტ ი ს წყალობით ათენმა ამ მეომრებისაგან კარგი ჯარი შექმნა; მანვე მოახდინა სამხედრო საქმეში საყურადღებო რეფორმა: მძიმედ შეარაღებული რაზმები შესცვალა პელტასტებით,ე. ი. მსუბუქად შეიარაღებული მეომრებით, რომლებიც უფრო მეტი სიჩქარით და გაბედულობით იბრძოდენ[4]. საერთოდ ხელსაყრელი პირობების გამო მოკავშირეებმა კორინთის ომში თვალსაჩინო წარმატებათა. მთელ რიგს მიაღწიეს. დიდი წარმატებით მოქმედებდა აგრეთვე ათენის ფლოტი თრასიბულის მეთაურობით აღმოსაელეთში. ათენელებმა შესძლეს იმ დროს სავსებით აღედგინათ თვისი ბატონობა სრუტეების მიდამოებში და კვლავ უზრუნველეყოთ შავი ზღვის ნაპირებიდან პურისა და ნედლეულობის შემოტანა[5]. ჩვენ ვთქვით, რომ სპარსეთი ხელს უწყობდა ათენის აღორძინებას, მაგრამ ათენის ასეთი დიდი გაძლიერება, რომელსაც შეეძლო ახლო მომავალში შეეცვალა სპარტა და საბერძნეთის ჰეგემონი გამხდარიყო, სრულებითაც არ იყო მისთვის მისაღები. ამიტომ მან შეუწყვიტა მოკავშირეებს სუბსიდია და კვლავ სპარტას დაუახლოვდა. თავის მხრით სპარტამ კავშირი დადო სირაკუსის ტირან დიონისესთან და მის მიერ გამოგზავნილი ფლოტის დახმარებით ალყა შემოარტყა ათენს.ასეთ პირობებში ათენისათვის უკვე მეტად მძიმე გახდა ომის წარმოება და იძულებული შეიქნა ზავზე დათანხმებულიყო. ეს ზავი ცნობილია ანტიალკიდეს (Antialkidas და არა Antalkidas) ზავის სახელით, რადგან სპარსეთის მეფესთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილ იქნა სპარტის ნავარქოსი ანტიალკიდე. ხოლო ოფიციალურად იგი უფრო ცნობილია „სამეფო ზავის“ (ἡ βασιλέως εἰρήνη) სახელით, რადგან მისი პირობები სავსებით ნაკარნახევი იყო სპარსეთის მეფის მიერ. მისი მთავარი დებულებები, რომლებიც ისტორიკოსმა ქსენოფონტემ აგვიწერა (Hellen. V, 1, 31), შემდეგში მდგომარეობდა: მცირე აზიის ქალაქები კუნძულების კლაზომენის და კიპრის ჩათვლით სპარსეთის მეფის ხელში გადავიდა, ყველა სხვა დანარჩენ ბერძნულ ქალაქს სრული ავტონომია მიენიჭა; მხოლოდ ლემნოსი, იმბროსი სკიროსი დარჩა ათენს. ვინც არ მიიღებდა ამ პირობებს, მის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა სპარსეთის მეფე ზღვასა და ხმელეთზე მშვიდობიანობის მსურველებთან ერთად. ამგვარად, სპარსეთის წინააღმდეგ სპარტის მიერ ვითომც მცირეაზიელი ბერძნების გასანთავისუფლებლად დაწყებულ ომს პირიქით მათი სპარსეთისადმი დამორჩილება მოჰყვა შედეგად, და ის, რასაც სპარსეთმა იარაღით ხელში ვერ მიახწია, ახლა მისთვის სავსებით ადვილი გახდა; სპარსეთის მეფე საბერძნეთის შინაური საქმეების უმაღლესი მსაჯული შეიქნა.

ზავის მიერ შექმნილი პირობებით ისარგებლა სპარტამ და იწყო საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევა: იგი შეიარაღებულ დასმარებას უწევდა ყველგან ოლიგარქიულ მიმართულებათ და სხვადასხვა ადგილას აყენებდა თავის ჰარმოსტებს.

2. თებეს ხანმოკლე ამაღლება და ატიკის მეორე ხაზღვაო კავშირი.

ათენსა და სპარტას შორის მუდმივმა ქიშპობამ ხელი შეუწყო IV ს-ში ბეოტიის ქალაქის თებეს ამაღლებას, რომელიც წინათ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. ბეოტიის ქალაქთა უმრავლესობა თებეს მეთაურობით ჰეგემონისათვის დიდ ბრძოლაში სპარტის მხარეზე იდგა. ბეოტიის ნიადაგის იშვიათი ნაყოფიერების გამო მისი მოსახლეობის მეურნეობის საფუძველი მიწის მეურნეობა იყო. აქ გაბატონებული იყო ძველი გვარული არისტოკრატია, რომელსაც შეუერთდა ყველაზე უფრო მდიდარი პირების წრე მხედრების ცენზით. ამ წრეების ინტერესების მიხედვით იყო მიმართული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ათენის გამარჯვებას მიუღებლად თვლიდა.

საქმე არსებითად შეიცვალა ათენის დამარცხების შემდეგ, რადგან, მართალია, ბეოტიელების ძველი მტერი ათენი სასტიკად იქნა დასჯილი, მაგრამ სპარტის უაღრესად აგრესიულმა მოპყრობამ მოკავშირეებისადმი მეტად ცუდი გავლენა იქონია ბეოტიელებზედაც და ამ გარემოებამ არსებითად შეარყია ბეოტიის ქალაქებში სპარტის მომხრე ძველი ოლიგარქიის ბატონობა. სახელმწიფო ხელისუფლება „ბურჟუაზიულმა“ პარტიამ მიისაკუთრა, რომელმაც სრულუფლებიან მოქალაქეთათვის შედარებით დაბალი ცენზი შემოიღო. შეიცვალა საგარეო პოლიტიკაც: ბეოტიელები ახლა კავშირს ამყარებენ ათენთან და ბრძოლას იწყებენ პირიქით სპარტის წინააღმდეგ. მაგრამ სპარსეთის დახმარებით სპარტამ შესძლო ამ თვისი საწინააღმდეგო ბრძოლის ლიკვიდაცია. ბეოტიის ქალაქებში, მათ შორის თებეში, კვლავ იქნა აღდგენილი ოლიგარქია და ბეოტიის კავშირიც დაიშალა.

382 წელს სრული მშვიდობიანობის ხანაში ყოველგვარი კანონიერების გარეშე სპარტელებმა დაიკავეს თებეს სიმაგრე კადმეა. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდენ თებელი ოლიგარქოსები, ხოლო სავაჭრო დემოკრატიული პარტიის მეთაურები იძულებული იქვენ თებედან ათენში გაქცეულიყვენ. მათ მზადება იწყეს ბეოტიაში დაბრუნებისა და ოლიგარქიული წყობილების დამხობისათვის. 379 წელს თებელი ემიგრანტი დემოკრატების პატარა რაზმი პელოპიდის მეთაურობით გადავიდა ბეოტიაში, შეიპრა ქალაქში, შეუერთდა თავის თანამოაზრეებს, დაამხო ოლიგარქიული წყობილება და სასტიკად გაუსწორდა ოლიგარქოსების მეთაურებს; სპარტის გარნიზონი კი იძულებული გახდა დაეტოვებინა თებე. თებეში და შემდეგ ბეოტიის სხვა ქალაქებში მომხდარმა პოლიტიკურმა გადატრიალებამ დასაბამი მისცა არ ცენზიანი, არამედ უკვე უკიდურესი დემოკრატიის დამკვიდრებას. ამასთან ერთად აღდგენილ იქნა ბეოტიის კავშირი, რომელსაც თებე მეთაურობდა. ზოგიერთმა ქალაქმა—პლატეამ, თესპიამ და ორქომენმა—არ მოისურვა მასში შესვლა, მაგრამ თებელებმა ძალით შეიყვანეს ისინი ბეოტიის კავშირში, რომლის განმტკიცებისა და გაფართოვების საქმეს პელოპიდი წინამძღოლობდა.

თებეს ახალი წყობილების მესვეურნი კარგად გრძნობდენ, რომ გაუჭირდებოდათ სპარტელებთან გამკლავება მოსალოდნელ ომში, მაგრამ სწორედ ამ მომენტში სპარტელებმა უშედეგოდ სცადეს პირეუსის დაკავება და ამიტომაც ათენმა 378 წელს თებელებთან კავშირი შეკრა. ეს კოალიცია მით უფრო სა-

შიში იყო სპარტისათვის, რომ ათენი ახლა უკვე ახლად დაარსებული საზღვაო კავშირის სათავეში იდგა.

ამ მეორე კავშირს საფუძველი ჩაეყარა ახალი პირობების გამო ჯერ კიდევ კონონის გამარჯვებით კნიდოსთან და თრასიბულის მოღვაწეობით. უკვე — 389 წელს თრასიბულმა სცადა აღედგინა ძველი საზღვაო კავშირი ხუთ პროცენტიანი საკავშირო გადასახადით (εἰκοστή), ხოლო 380 წელს ცნობილმა ორატორმა ისოკრატმა თავის „პანეგირიკოსში“ დიდი პროპაგანდა გასწია ამ აზრის განხორციელებისათვის. 378/7 წ. პირველი კავშირის დაარსებიდან ასი წლის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა მეორე კავშირს. მის შესახებ უწინარეს ყოვლისა მოგვითხრობს ქვის ფიცარზე ამოკვრილი ათენის სახალხო კრების დადგენილება, რომელშიც ჩამოთვლილია მოკავშირე ქალაქების სახელები, მათ შორის პირველ რიგში ქიოსი, მიტილენი, მეთიმნი, როდოსი და ბიზანტია. ამ კავშირის დანიშნულება იყო ბერძნების თავისუფლების დაცვა არა სპარსეთისაგან, არამედ სპარტისაგან, „რომ ლაკედემონელებს ჰელენებისათვის მიენიჭებიათ ყოფილიყვენ თავისუფალნი და დამშვიდებით ესარგებლათ თავიანთი სამფლობელოებით“. მეორე კავშირის ორგანიზაცია არსებითად განსხვავდებოდა პირველის ორგანიზაციისაგან. მასში უფრო სუსტი იყო ცენტრალიზაცია და უფრო ნაკლები ათენის უპირატესობა. მოკავშირეები „თავისუფალი და ავტონომიური“ (ἐλεύθεροι καὶ αὐτόνομοι) იყვენ, თავისუფალი იყვენ აგრეთვე ფოროსისაგანაც. საერთო საკავშირო საქმეებს იხილავდა საკავშირო საბჭო — სინედრიონი, რომელიც ათენში იკრიბებოდა; მასში ყველა, მ ხვილ თუ წვრილ წევრს თანასწორი ხმა ჰქონდა. სინედრიონის დადგენილებანი ხუთასის საბჭოს პრობულევმით გადადიოდა დასამტკიცებლად ათენის ეკლესიაში. მოკავშირეების მიერ შეტანილ თანხებს (συντάξεις) იგივე სინედრიონი განაგებდა. ამგვარად, ამ კავშირს მასში შემავალი წევრების გაცილებით მეტი თანასწორუფლებიანობა ახასიათებდა.

ათენს ამ კავშირში მხოლოდ ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა. მართალია, იგი მეთაურობდა მოკავშირეების სამხედრო ძალებს და ამას გარდა შეეძლო შეეჩერებინა სინედრიონის დადგენილებანი, მაგრამ მარტო მისგან არ იყო დამოკიდებული საკავშირო გადასახადების განაწილება. პირიქით, თუ სინედრიონი არ დაეთანხმებოდა ათენის სახალხო კრების თუ საბჭოს წინადადებებს, ათენელები ვალდებული იყვენ მოკავშირეების ასეთ სურვილს დამორჩილებოდენ. ამასთან ათენელებმა ხელი აიღეს აგრეთვე კლერუქიების პოლიტიკაზე, რომელიც დიდ მღელვარებას იწვევდა წინათ — პირველი ატიკა-დელოსის კავშირის წევრთა შორის. ამგვარად, პირველ ხანში მაინც ათენელები ცდილობდენ აღარ გაემეორებიათ ის ნაბიჯები, რომლებმაც თავის დროზე დამღუპველი გავლენა იქონია მოკავშირეებთან მათი ურთიერთობის განმტკიცებაზე, და პირიქით ზრუნავდენ, რაც შეიძლება, მეტად დაეახლოებიათ საბერძნეთის სავაჭრო დემოკრატიული სახელმწიფოები, რომელთათვისაც ოლიგარქიული სპარტის ჰეგემონია მეტად მძიმე აღმოჩნდა.

ათენელებმა ზღვაზე ნაქსოსთან დაამარცხეს სპარტელების ფლოტი და ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ატიკის კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას; მას შეუერთდა კიკლადის კუნძულები, ხოლო შემდეგში კორკირა და სხვ.

იმ დროს, როდესაც სპარტა გართული იყო ათენთან საზღვაო ომში, ბეოტიაში თებემ შექმნა ძლიერი კავშირი თვისი მეთაურობით. თებეს დემოკრატიამ ახლა უკვე ფართო საგარეო პროგრამა შეიმუშავა და მიზნად ისახავდა მთელ საბერძნეთზე ბატონობის მოპოებას. ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა ათენის მმართველი წრეები და დაიჩქარა პირიქით მათი დაახლოვება სპარტასთან. 371 წელს სპარტაში შეიკრიბა კონგრესი სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. სპარტამ და ათენმა შეთანხმებას მიაღწიეს და მალე ამავე გზას დაადგენ კონგრესის სხვა წევრებიც. სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტს კონგრესმა საფუძვლად დაუდო ანტიალკიდეს ზავის პრინციპი ბერძენთა ქალაქების ავტონომიისა. ასეთ დებულებას ვერ შეურიგდენ თებელები, რომლებიც მთელ ბეოტიაზე თვისი ჰეგემონიის განმტკიცებას ფიქრობდენ, და მათმა წარმომადგენლებმა დასტოვეს კონგრესი. თვისი ავტორიტეტის დასაცავად და კონგრესის დადგენილების სისრულეში მოსაყვანად სპარტამ ბეოტიის წინააღმდეგ გაგზავნა თვისი ჯარები. ბრძოლა მოხდა ლევკტრასთან, რომლის დროსაც სპარტელები დამარცხდენ და იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. ლევკტრასთან ბეოტიელების გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: სპარტამ დაჰკარგა არა მარტო დაუძლეველობის სახელი, არამედ მისი მეთაურობაც საბერძნეთში ძირფესვიანად შეირყა. ამ გამარჯვების შემდეგ შუა-საბერძნეთის სახელმწიფოები, ათენის გამოკლებით, თებეს მხარეზე გადავიდენ და მასთან ერთად დაარსეს კავშირი, რომლის საქმეებსაც, როგორც ათენის საზღვაო კავშირში, მოკავშირეთა სინედრიონი იხილავდა, რომელიც თებეში იკრიბებოდა. როდესაც არკადიელებმა, რომელთაც უნდოდათ ერთი მთლიანი საკავშირო სახელმწიფო შეექნათ, დახმარებისათვის თებეს მიმართეს, თებელების ჯარი ეპამინონდის მეთაურობით გადავიდა პელოპონესში და დაარბია ლაკონიის მხარე; თვისი ისტორიის მანძილზე სპარტელებმა პირველად დაინახეს მტერი თვისი ქალაქის კედლების მახლობლად. მაგრამ ეპამინონდმა სპარტა ვერ აიღო და გაეშურა სპარტისათვის უაღრესად საყურადღებო მხარის მესენიისაკენ, სადაც აჯანყებულმა ჰელოტებმა—ეპამინონდის მეთაურობით მთლიანი მესენიის სახელმწიფო დაარსეს. ამგვარად სპარტამ დაჰკარგა თვისი ფრიად ნაყოფიერი მხარე, რომლის მოსავალზე იყო დამყარებული მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამას გარდა თებეს გავლენის ქვეშ მოექცა არკადია, სადაც დაარსებულ იქნა ქ. მეგალოპოლისი, რომლის გარშემო გაერთიანდა მთელი ეს მხარე და ელიდა. იმავე დროს თებე ერევა თესალიისა და მაკედონიის საქმეებში. ერთი სიტყვით თებეს დემოკრატია მთელ საბერძნეთზე ჰეგემონიის განხორციელებაზე ოცნებობდა, ამიტომ მას შემდეგ, რაც მან დაამცირა სპარტა, იგი ცდილობდა შეესუსტებინა ათენის საზღვაო ძლიერებაც, რომელიც ტიმოთეს მეთაურობით უაღრესად ვითარდებოდა; ამ მხრით იგი სპარსეთის მეფის სურვილებსაც ასრულებდა, თუმცა თვისი პოლიტიკით არსებითად არღვევდა „სამეფო ზავის“ პირობებს.

საშიშროებამ თებეს მხრით აიძულა ათენელები გაეგზავნათ სპარტის დასახმარებლად ჯარი იფიკრატის მეთაურობით, რომელმაც მოასერხა ეპამინონდის გამოდევნა პელოპონესიდან, მაგრამ ისთმოსი კი ბეოტიელების ხელში დარჩა, რაც მუდმივ საფრთხეს უქმნიდა სპარტას. ამას გარდა თებემ შექმნა საკუ-

თარი ფლოტი და წარგზავნა იგი აღმოსავლეთში ათენელების წინააღმდეგ. ამის შედეგი ის იყო, რომ ათენს განუდგა ზოგიერთი მოკავშირე და ატიკის მეორე საზღვაო კავშირს უკვე ერთგვარი რღვევის ნიშნები დაეტყო. მაგრამ ეპამინონდი მალე იქნა გაწვეული თებეში, რადგან უკანასკნელის მდგომარეობა თვალსაჩინოდ გართულდა. თებეს მოკავშირეები პელეპონესში ერთიმეორეს დაეტაკენ და ორ განაკად გაიყვენ: ერთი სპარტას მოუწოდებდა უკვე დასახმარებლად, მეორე კი კვლავ თებეს. ზოგიერთი მათგანი დიდ შინაურ მღელვარებასაც განიცდიდა.

362 წელს ეპამინონდი თებელების ჯარით კვლავ—გაჩნდა პელოპონესში და შეებრძოლა მასტინეასთან სპარტელებისა და ათენელების გაერთიანებულ ძალებს ბრძოლის შედეგი გამოურკვეველი იყო, მაგრამ ეპამინონდი მოკლული იქნა. ამ ბრძოლის შემდეგ თებესთვის აშკარა გახდა, რომ მას ძალა არ შეწევს განახორციელოს ჰეგემონია საბერძნეთზე და მან საესებით ხელი აიღო თავის წინანდელ პოლიტიკაზე; მალე ბეოტია კვლავ საბერძნეთის მეორეხარისხოვან მხარედ იქცა. ასე დამთავრდა თებეს ხანმოკლე ამაღლება.

არც ატიკის მეორე საზღვაო კავშირმა იარსება ხანგრძლივად. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბერძენთა სახელმწიფოების სპარტის ჰეგემონიისაგან განთავისუფლება, სპარტა კი ახლა დამცირებული მოჩანდა ზღვაზე და ხმელეთზეც, და ამგვარად ეს მიზანი უკვე მიღწეული იყო. ამას გარდა ათენის მმართველმა წრეებმა ისევ გამოიჩინეს მოკავშირეებისადმი მოპყრობის ძველი მეთოდები: ავიწროებდენ მათ ნივთიერად, ზოგიერთ მათგანში კვლავ აგზავნიდენ თავის წარმომადგენლებს გარნიზონებით, აგრეთვე კლერუქებს და სხვ. ეს გარემოება უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა მოკავშირეებში. 357 წელს, ათენს განუდგენ ქიოსი, როდოსი და კოსი. რომელთაც ურთიერთ შორის და წინათ. განდგომილ ბიზანტიასთან კავშირი შეჰკრეს; მათ გზას დაადგენ შემდეგში ათენის სხვა მოკავშირეებიც. ათენი შეეცადა ბრძოლით დაებრუნებია განდგომილი მოკავშირეები (ეგრეთწოდებული „მოკავშირეების ომი“), მაგრამ უშედეგოდ. ომი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ ათენს მეტად ძვირად დაუჯდა და შედეგი კი სრულებით უარყოფითი იყო. იგი იძულებული გახდა 355 წ. მოკავშირეთა ვალდებულებანი დარღვეულად გამოეცხადებია.

იმ დროის საბერძნეთში გაბატონებული საერთო დაუძლურება და მოქანცულობა თავის გამოხატულებას ჰპოულობს, სხვათაშორის, პრინციპულად პაციფიზმის აღიარებაში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ პრეტენზიას საბერძნეთის ამათუიმ სახელმწიფოს გაძლიერებისას. ეკონომიურად ძალზე დასუსტებული სახელმწიფოების ყურადღებას ახლა უმთავრესად ფინანსიური მდგომარეობა იპყრობს. კერძოდ ათენში. იმ დროს პირველ რიგში ფინანსიური საკითხი იდგა, რომლის სასურველი სახით გადაჭრისათვის წამოყენებულ იქნა წინადადებებისა და პროექტების მთელი რიგი. ერთ ასეთ პროექტს ვხვდებით დარწმუნებული ოლიგარქისის, ისტორიკოსის ქსენოფონტეს ნაშრომში ათენის შემოსავალზე (πόροι). ქსენოფონტე აღნიშნავს ატიკის ბუნებრივი პირობების მრავალ დადებით მხარეს, რომელთა გონივრული მოხმარებით მას შესაძლებლად მიაჩნია ათენელების ნივთიერი უზრუნველყოფის მოწესრიგება. იგი ,ათენის მმართველ

წრეებს ღონისძიებათა მთელ რიგს მიუთითებს ატიკის მეურნეობის უფრო მიზანშეწონილ ფორმებში მოწყობის მიზნით. პ ო ლ მ ა ნ ი ს სიტყვით[7], ქსენოფონტე ამ მხრით თავისებური სახელმწიფო სოციალიზმის თეორიას აყენებს. ამას გარდა ათენის აყვავების ერთ უმთავრეს საფუძვლად ქსენოფონტეს მშვიდობიანობა მიაჩნია, რადგან მხოლოდ მშვიდობიანობის გზით შეუძლია ათენს მიიმხროს ყველა და ყოველგვარი განსაცდელის გარეშე მიაღწიოს სასურველ ჰეგემონიასო. ზავის უდიდესი დამცველი იყო იმ დროს აგრეთვე ორატორი ისოკრატი, რომელიც ზავის დამყარებას მოითხოვდა არა მარტო ქიოსელებთან, როდოსელებთან და კოსელებთან, არამედ ყველასთან, რადგან სახელმწიფოს ბედნიერება, მისი აზრით, სამართლიანობაზეა დამყარებული და ზავს ყველაზე უფრო კარგად—ვივყავართ მიზნის მიღწევისაკენ. ასეთია, რასაკვირველია, არა მარტო ქსენოფონტეს და ისოკრატის სულისკვეთება ზავის მიმართ, არამედ მოსახლეობის ფართო წრეების საერთო განწყობილება. ზავის მომხრე იყო აგრეთვე ევბული, რომელიც 16 წლის განმავლობაში სარგებლობდა ათენში უდიდეს გავლენას და უმთავრეს ყურადღებას სახელმწიფო ფინანსებისა და ათენის ნივთიერი კეთილდღეობის მოწესრიგებას აპყრობდა. ამ მხრით ყველაზე უფრო საგრძნობი იყო ფინანსიური მმართველობის გაერთიანების საკითხი. ჯერ კიდევ ევბულამდე არსებობდა „დემოსის ხაზინადრის" თანამდებობა, რომელიც ხალხის განკარგულებაში მყოფ თანხებს, ე. ი. სახალხო—ბიუჯეტს განაგებდა[8]. მოკავშირეებთან ომის დროს უფრო ცხადი უნდა გამხდარიყო ათენელებისათვის ბიუჯეტის ასეთი მოწესრიგებისა და გაერთიანების აუცილებლობა. ამ მიმართულებით გატარებულ იქნა კიდეც სათანადო რეფორმა: თუ ძველად სახელმწიფოში გავლენის მხრით უპირატესი ადგილი ეკუთვნოდათ არქონტებს, შემდეგ კი—სტრატეგოებს, ახლა ყველაზე უფრო გავლენიანი პირები საფინანსო მოღვაწეები გახდენ. კერძოდ ევბული განაგებდა თეორიკონის კასას, მაგრამ მასვე ექვემდებარებოდა ფინანსების მთელი საქმე, ბიუჯეტი. ბიუჯეტის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხები თეორიკონის კასაში უნდა გადასულიყო და აკრძალული იყო მათი სხვა დანიშნულებისათვის მოხმარება. ევბულს მიაწერენ კანონს, რომელიც სიკვდილად დასჯით ემუქრებოდა ყველა იმას, ვინც გაბედავდა წინადადება შეეტანა ამ თანხების ომის საჭიროებისათვის დახარჯვის შესახებ. ომიანობამ და ზოგიერთმა სხვა პირობამ მოქალაქეთა შორის მრავალად წარმოშვა უაღრესად გაღატაკებული ელემენტები, რომელთა ნივთიერად უზრუნველყოფას თეორიკონის საშუალებით ფიქრობდენ და არასოდეს თეორიკონს და მის დარიგებას იმ სიდიდემდე არ მიუღწევია, როგორიც მან ევბულის დროს მოიპოვა. იმ ხანაში ფართოდ იქნა გამოყენებული ის პრინციპი, რომლის მიხედვით შემოსავალთაგან გადარჩენილი ნაწილი მოქალაქეთა სრულ საკუთრებას წარმოადგენდა და რომლის ძალით ლავრეიონის მაღაროების შემოსავალი ერთ დროს მათ შორის ნაწილდებოდა. ევბულმა მოახერხა ათენის ფინანსების იმდენად მოწესრიგება, რომ საშუალება მიეცა მრავალი უმუშევარი ხელოსანი და მუშა საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულებაში ჩაება. მაგრამ ვერც ამ გზით და ვერც თეორიკონის დარიგებით, რასაკვირველია, ევბული ვერ შეაჩერებდა ათენის მოქალაქეთა გაღატაკების პროცესს, რომელსაც თვისი ღრმა ფესვები

იმ დროის ათენის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ჰქონდა გადგმული.

3. კლასობრივი ბრძოლის ხასიათი და საერთო შედეგები IV ს-ის ბერძნულ პოლისებში.

ჩვენ დავინახეთ, რომ საბერძნეთის პოლისების სხვადასხვა დაჯგუფებას შორის ფრიად ხანგრძლივად წარმოებდა ბრძოლა ჰეგემონიისათვის, რომელმაც გარკვეულ შედეგს მაინც ვერ მიაღწია და განსაზღვრულ პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი ვერ შეუქმნა. ამ ასპარეზზე ერთიმეორეს თავგამოდებით ებრძოდენ სპარტა, ათენი, თებე და სხვ., ხოლო ვერც ერთმა მათგანმა ვერ შესძლო ამ მხრით თვისი მიზნის საბოლოო განხორციელება და საბერძნეთზე ჰეგემონის როლის დიდი ხნით მითვისება. იმავე დროს ამ ბრძოლამ, რომელსაც უმთავრესად თავისებური შინაური სამოქალაქო ომის ხასიათი ჰქონდა, მეტად მძიმე გავლენა მოახდინა საბერძნეთის პოლისების სამეურნეო და საზოგადოებრივ ვითარებაზე: მან, სხვა პირობებთან ერთად, ხელი შეუწყო საბერძნეთის საწარმოო ძალთა დასუსტებას, სამეურნეო განვითარების შეფერხებას, კულტურულ გაველურებასა და ღრმა ფსიქოლოგიური. მოღლილობის განმტკიცებას. ამასთან ერთად ამ მოვლენასთან დაკავშირებით უფრო ღრმა და მწვავე ხასიათს იღებს შინაგანი საზოგადოებრივი ბრძოლა. ედ. მაიერი ანტიალკიდეს ზავის შემდგომ ეპოქას ,ასეთი სიტყვებით ახასიათებს: „ომის შედეგი იყო რევოლუცია, რომელიც ერთიმეორის შემდეგ მოედო ქალაქებს და ცხარე სამოქალაქო ომში ნთქავდა პარტიებს. მრავალ ადგილას მფლობელობის ყველა უფლებამ უდიდესი შერყევა განიცადა, ხშირად კი საესებით ნადგურდებოდა. მხოლოდ სპარტის, პელოპონესის ზოგიერთი ნაწილის და შორეული ეტოლიის, აგრეთვე ისეთი მოწინავე პუნქტების, როგორიც იყვენ მასილია და ქალაქები შავ ზღვაზე, გამოკლებით არ მოიპოვებოდა თითქმის არც ერთი ბერძნული თემი, რომელშიც ძველი დროიდან მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე არ მოსპობილიყოს, ძველი გვარები არ ამოხოცილიყვენ, ან სიღარიბეზე არ მისულიყვენ და უშთამომავლოდ არ დაღუპულიყვენ. სოფლის მეურნეობა სრულ დაცემაში იმყოფებოდა, ვაჭრობა და წარმოება შეფერხდა, თემების ფინანსები საესებით შეირყა; ათენი, რომელიც V ს-ში ტალენტებს ათასობით ატრიალებდა, ახლა მოხარული იყო, როდესაც თვის განკარგულებაში 20 ტალენტი ეგულებოდა...“ სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილში ერთი პარტია აძევებდა მეორე პარტიის წევრებს, თუ ისინი უკვე ამოხოცილი არ იყვენ, და დროგამოშვებით რომ სპარტასა და სპარსეთს ძალით არ დაეცვათ დამყარებული წყობილება, მრავალი გაძევებული, რომლებიც უცხო თემებში საბრალო არსებობას ატარებდენ ან დაქირავებულ მეომრებად მსახურობდენ, პირველ შემთხვევას უცდიდენ, რომ ახალი რევოლუციის გზით მიეღწიათ სამშობლოში დაბრუნებისა და სისხლიანი შურისძიების გახორციელებისათვის. თუ რამდენად საშიში გაველურება გამოიწვია პარტიულმა ბრძოლამ, ამას მრავალ წყაროში ვხედავთ; მის ნათელ

გამოხატულებას წარმოადგენს არისტოტელის მიერ გადმოცემული ფიცი, რომელსაც მრავალ ადგილას იღებდენ ოლიგარქოსები—„მე ვატარებ სიძულვილს დემოსისადმი და შეძლებისადაგვარად მივსცემ მას მავნებელ რჩევათ“-ო,—და საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ამ წრეებმა შეადგინეს კრიტიასისა და მისი ამხანაგებისათვის—„ეს საფლავის ძეგლია მამაცი ადამიანებისადმი, რომლებიც მოკლე დროის განმავლობაში თავხედად ეწინააღმდეგებოდენ ათენის წყეულ დემოსს“-ო[9].

ათენს რომ თავი დავანებოთ, სადაც მწვავე შინაგანი ბრძოლა შედარებით უფრო ჩვეულებრივი რამ იყო, V ს-ის დასასრულში, როგორც ვიცით, სპარტამაც გარკვეული პირობების გამო დიდად გამწვავებული სოციალური ბრძოლა განიცადა. რომლის პროცესში წარმოშობილი კინადონის შეთქმულების განადგურება შესძლო სპარტიატების გაბატონებულმა წრემ. ხოლო თავისებური კლასობრივი ბრძოლის უფრო გარკვეულ სურათს წარმოადგენს კორინთისა და არგოსის ამბები.

კ ო რ ი ნ თ შ ი დემოკრატიულ და ოლიგარქიულ პარტიებს შორის ურთიერთობამ IV ს-ის დასაწყისში უკიდურეს სიმძაფრეს მიაღწია. 392 წელს ერთ-ერთი დღესასწაულის დროს, როდესაც ხალხი მრავლად იყო თავმოყრილი საბაზრო მოედანზე და თეატრში, შეიარაღებული დემოკრატები მიცემული ნიშნის მიხედვით თავს დაესხენ, თავის მოწინააღმდეგეთ და ამოხოცეს, „ზოგი ნაცნობთა წრეში ყოფნისას, სხვები თეატრში, ზოგიც იმ დროს, როდესაც შეჯიბრების მოსამართლეთა შორის იჯდა“. ისტორიკოსის სიტყვით, ისინიც კი არ დაინდვეს, ვინც თავი ღმერთების ქანდაკებსა და საკურთხევლებს შეაფარეს (Xenophon. Hellen. IV)[10].

არა ნაკლებ დაუნდობელსა და სასტიკ ბრძოლას ჰქონდა ადგილი ა რ გ ო ს შ ი 370 წელს. საზოგადოების დაბალ ფენებს აჯანყება მოუწყვია შეძლებული პირების წინააღმდეგ და ჯოხებით მოუკლავთ 1500 კაცი. ეს მოძრაობა „სკიტალისმოსის“ სახელით არის ცნობილი*.

ამ შემთხვევით აღშფოთებული ორატორი ისოკრატე ამბობს: „არგოსის ხალხი თავისთვის სიამოვნებას ჰქმნის იმით, რომ მდიდარ პირებს ხოცავს“-ო (Philipp. § 52). ხოლო იმ დროის პელოპონესის საერთო შინაგანი მდგომარეობის შესახებ იგი აღნიშნავს: „მტრის უფრო ნაკლებათ ეშინიათ, ვიდრე საკუთარი თანამოქალაქისა. მდიდრებისათვის უფრო მისაღებია ზღვაში გადაყარონ თვისი ქონება, ვიდრე იგი ღარიბებს გადასცენ; ღარიბებისათვის კი იმაზე უფრო სასიამოვნო არა არის რა, ვიდრე მდიდრების გაცარცვა. მსხვერპლს აღარ სწირავენ, საკურთხევლებთან კი ადამიანები ერთიმეორეს ჰკლავენ. ზოგიერთ ქალაქს ახლა უფრო მეტი ემიგრანტი ჰყავს, ვიდრე წინათ მთელ პელოპონესს“-ო (Archidam. § 67)[11].

ე რ თ ი სიტყვით, IV ს-ის პ ი რ ვ ე ლ ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს სხვადასხვა პ ო ლ ი ს ებ შ ი ქ ო ნ ებ რ ივ მ ა უ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა მ დ ა ა მ ნ ი ა დ ა გ ზ ე წ ა რ მ ო შ ო ბ ი ლ მ ა დ ა უ ნ დ ო ბ ე ლ მ ა შ ი ნ ა გ ა ნ მ ა

---

*) σκυταλισμός=მეჯოხეთა აჯანყება.

ბრძოლამ თვისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ფილოსოფოსი პლატონი შენიშნავს, რომ ყოველ სახელმწიფოში ორი მოპირდაპირე ბანაკი არსებობს: ბანაკი ღარიბებისა და მდიდრების ბანაკი (Rep. 422 e). ხოლო არისტოტელი დემაგოგებს უსაყვედურებს, რომ ისინი მტრობენ მდიდრებს და სახელმწიფოს მუდამ ჰყოფენ ორ ნაწილად (Polit. VIII 7, 10. 1310 a)[12].

კლასობრივი ბრძოლის ღრმა გამწვავების ნიადაგზე წარმოდგა საბერძნეთის ზოგიერთ პოლისში თავისებური ახალი „დემოკრატიული ტირანია". მათ შორის შედარებით უფრო მტკიცე იყო დიონისეს ტირანია სირაკუსში. იგი წარმოიშვა სიცილიელი ბერძნების კართაგოს წინააღმდეგ ცხარე ბრძოლის პროცესში და სამხედრო პირობებმა ხელი შეუწყო სტრატეგოსის თანამდებობის არაჩვეულებრივ ამაღლებასა და გაძლიერებას. ამ გარემოებით ისარგებლა იშვიათი სტრატეგიული და ორგანიზაციული ნიჭის პატრონმა დიონისემ და 405 წელს, ხელში ჩაიგდო უმაღლესი ძალა-უფლება სახელმწიფოში (στρατηγὸς αὐτοκράτωρ). თავის მოქმედებაში იგი ემყარებოდა დაქირავებულ მეომრებსა და საზოგადოების უღარიბეს ნაწილს და ამიტომაც მიაი სოციალური პოლიტიკა ამ წრეების ინტერესებისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ იყო მიპყრობილი. მან კონფისკაცია უქნა მდიდრების მიწებს, სახლებს და მოძრავ ქონებას და დაურიგა მეომრებსა და უღარიბეს მოქალაქეთ, რომელთა რიცხვში მრავალი მონა შეიყვანა. ყოფილ მფლობელთა ქალიშვილებს აიძულებდენ ცოლად გაჰყოლოდენ ამ ახალ მოქალაქეებს. დაქირავებული მეომრები კი დიდ გასამრჯელოს იღებდენ. ასეთი ზომების წყალობით დიონისემ არამც თუ შეინარჩუნა სიკვდილამდე ძალა-უფლება, არამ ;ც იგი მემკვიდრეობით გადასცა თავის შვილს—დიონისე II-ს. ბაგრამ მის დროს ახალი პირობების გამო ტირანია სირაკუსში დაემხო და კვლავ აღდგენილ იქნა „ბურჟუაზიული" დემოკრატია[13].

კორინთში ღარიბებსა და მდიდრებს შორის ხანგრძლივი მკაცრი ბრძოლის შემდეგ 367 წელს დამყარდა ტიმოფანის ტირანია, რომელიც ემყარებოდა მეომრებსა და შეიარაღებული დაბალ ხალხს; იგი მალე იქნა მოკლული მისივე ძმის ტიმოლეონის მიერ მოწყობილი შეთქმულების დროს. ასეთივე ეფემერული ხასიათისა იყო ევფრონის ტირანია სიკიონში. ერთ-ერთმა ქალმაც კი შესძლო, როგორც ტირანის მემკვიდრემ, IV ს-ის დასასრულს რამდენიმე დროით შეენარჩუნებინა ბატონობა ერთად სიკიონში და კორინთში. მათგან მახლობლად მდებარე აქაიაში კი ტირანის ძალა-უფლება ცნობილმა ხაირონმა მიითვისა და გაძევებული თუ მოკლული მდიდრების არა მარტო ქონება, არამედ ცოლებიც კი მონებს დაურიგა.

მაგრამ გაცილებით უფრო ხელსაყრელი ნიადაგი ჰქონდა ამ ახალ ტირანიას კუნძულებსა და მცირე აზიის სანაპიროებზე. აქ, როგორც ვიცით, მოხდა დემოკრატიული წყობილების ძალით დამხობა და ლისანდრეს მიერ დეკარქიების დაარსება, რასაც თან მოჰყვა ოლიგარქიული პრინციპების იძულებითი გაბატონება დემოკრატიულად განწყობილ ქალაქებში. სხვა გარემოებასთან ერთად ეს ფაქტი დიდ შინაგან მღელვარებას იწვევდა და ჰქმნიდა

ხელსაყრელ პირობებს საზოგადოების მოპირდაპირე ნაწილებს შორის შეიარაღებული შეტაკებისათვის. ამ მხრით მდგომარეობას ართულებდა აგრეთვე ისიც, რომ ამავე საუკუნეში სპარსეთის პოლიტიკის გავლენა აქ კვლავ ინტენსიური შეიქნა.

უკვე 403 წელს ბიზანტიაში ტირანი გახდა მოკლე დროით სპარტის მეომრების სარდალი და ჰარმოსტი კლეარქი, რომელიც, როგორც ვიცით, შემდეგში ბერძენ მხედრებს მეთაურობდა კიროს უმცროსის ექსპედიციაში და სხვებთან ერთად მოკლულ იქნა სპარსელების მიერ კუნაქსთან ბრძოლაში. ბიზანტიაშიც მძიმე შინაურ ბრძოლას თანსდევდა გაბატონებული წრეების ამოხოცვა და მდიდარი პირების ქონების კონფისკაცია.

ასეთივე სურათი განმეორდა მახლობელ პონტის ჰერაკლეაში, სადაც 363 წელს მეორე სარდალმა კლეარქმა ისარგებლა შინაგანი ღრმა სოციალური ბრძოლით და საფუძველი ჩაუყარა მონარქიას, რომელიც მისი ნაძალადევი სიკვდილის შემდეგაც იქნა შენარჩუნებული.

მსგავს მოვლენებს ვხედავთ საბერძნეთის სხვა ნაწილებშიც და ქვემო-იტალიის ბერძენთა ცხოვრებაშიც, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით[14], რადგან ნათქვამიც საკმარისია ამ უაღრესად საყურადღებო ბრძოლის ზოგადი გათვალისწინებისათვის. ამგვარად, საბერძნეთის პოლისების შეძლებული კლასები IV-ს-ში მუდმივ შიშში იმყოფებოდენ ღარიბთა წრეების მხრით ყოველ მომენტში მოსალოდნელ სასტიკ აჯანყებათა წყალობით და, როგორც ჩანს, ამ მოვლენასარა კერძო და შემთხვევითი, არამედ საერთო და შედარებით ღრმა საფუძველი ჰქონდა.

„სოციალური ბრძოლა აღწევს თითქმის სპარტელების სამხედრო ბანაკის მსგავს სახელმწიფოშიც. ასეთივე ბრძოლა წარმოებდა ათენში და მსხვილსა და წვრილ სახელმწიფოებში. ყველგან ვხედავთ ღრმა კლასობრივ დიფერენციაციას და შეტაკებათ შეძლებულთა და ღარიბთა შორის, მიწის მუშაკთა – მემამულეებთან, პროლეტარიატისას—კაპიტალისტებთან. ამგვარად, სახელმწიფო ფორმათა განსხვავების გარეშე ყველა სახელმწიფოში მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ხშირად მეტად მკაცრ ფორმებს იღებს და ზოგჯერ დამარცხებულთა თითქმის ნაწილობრივი ამოხოცვით, თუ მონებად გაყიდვით მთავრდება. ასეთი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც გართულებული იყო საერთაშორისო შეტაკებებით, სრულებით ვერ ჰქმნიდა უზრუნველყოფას პიროვნებისა და ქონებისას. დაბალი კლასების მხრიდან კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა „საკალო ვალდებულებათა გაუქმებისა და ყველა მიწების გადანაწილების“ ლოზუნგით... სადაც კი დემოკრატია იმარჯვებდა, ცდილობდენ ორივე ეს პუნქტი განეხორციელებიათ. ასეთი ეკონომიური გადატრიალება გავლენას ახდენდა სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობაზეც, რადგან საკალო ვალდებულებათა მასა დაკავშირებული იყო საერთაშორისო ურთიერთობასთან. ხშირად მალე იწყებოდა რეაქცია; ხალხის მასა, რაკი სასურველს ვერ აღწევდა, უარს ამბობდა თავის მეთაურებზე. იმარჯვებდა შეძლებულთა პარტია და შურს იძიებდა დემოკრატიაზე. ეკონომიური წყობილება განაგრძობდა უთანასწორობაზე დამყარებას“[15].

ცხადია, ასეთ პირობებში არსებული სახელმწიფოებრივი ფორმა - პოლისი ველარ აკმაყოფილებდა ვერც საზოგადოების დაბალ ფენებს და მით უმეტეს ვერც შეძლებულ წრეებს. პირველთ იმიტომ, რომ სრულებით ვერ ანიჭებდა შედარებით ხელსაყრელ პირობებში არსებობის გარანტიას და ვერ სპობდა მათთვის შემავიწროვებელ და დამამცირებელ მომენტებს.

ამიტომ მათ წრეში თანდათან მტკიცდებოდა ცხადი ინდიფერენტიზმი ქალაქ-სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების მიმართ. შეძლებულ წრეებს კი ეს ფორმა უწინარეს ყოვლისა იმიტომ ვერ აკმაყოფილებდა, რომ, მიუხედავად მრავალგვარი ხელისშემშლელი პირობებისა, მათი სავაჭრო ურთიერთობა მაინც დიდად ფართოვდებოდა და აღწევდა ეგვიპტესა და სამხრეთ იტალიას, ახალშენ მასილიას და ტავრიდას. ასეთ დიდ სავაჭრო ურთიერთობათ უკვე აღარ შეესაბამებოდა პატარა საქალაქო რესპუბლიკები, რადგან მათ არ შეეძლოთ დიდ მანძილზე მოეწესრიგებიათ და დაეცვათ ამ წრეების სავაჭრო ინტერესები. ამიტომ ახალი სამეურნეო მოთხოვნილებანი გარკვევით აყენებდენ საკითხს უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულების შექმნისას[16]. მეორის მხრით ამ წრეებისათვის აუცილებელი გახდა ეზრუნათ ისეთი სახელმწიფო წყობილებისათვის, რომელშიც ძლიერი ხელისუფლება შესძლებდა დაეცვა მათი ქონებრივი და პოლიტიკური პრივილეგიები და ერთხელ და სამუდამოდ შესაფერი ლაგამი ამოედო მუდამ მოუსვენარი ოლქოკრატიისათვის. ეს ორი მთავარი მომენტი განსაზღვრავდა შეძლებულთა კლასების ტენდენციებს არსებული წყობილების შეცვლისა და ახალი ფართო და ძლიერი ძალაუფლების დამყარებისას. ამ ხანაში გარკვევით თავი იჩინა მონარქიულმა მიმართულებამ, რომლის მიხედვით მონარქია ისეთ წყობილებად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელშიც კლასობრივი ბრძოლა ან სრულებით არ წარმოებს, ანდა სავსებით სუსტ ფორმებში მიმდინარეობს.

გარკვეული წრეების სულისკვეთების გამომხატველი პუბლიცისტ-ორატორი ისოკრატე ამ მხრით თვის იდეალს ჯერ იასონ ფერელში ხედავდა, მისი მოკვლის შემდეგ სირაკუსის ტირან დიონისე I-ში, ხოლო უფრო გარკვევით ფილიპე მაკედონელში. მაგრამ დაწვრილებით ყოველივე ამაზე ლაპარაკი ამ წიგნის მესამე ნაწილში გვექნება და იქ კიდევ დაგვჭირდება უფრო ფართოდ შევეხოთ საბერძნეთის IV ს-ის ისტორიის მთავარ ფაქტებს, რომლებიც ამჟამად მხოლოდ ზოგადად მოვიხსენიეთ. იმის გასათვალისწინებლად, თუ რა პირობებში მოხდა საბერძნეთში გარკვეული მაკედონიური ორიენტაციის პარტიის წარმოშობა, რომელ საზოგადოებრივ წრეებზე ემყარებოდა იგი და რა საბოლოო მიზანს ისახავდა, ჩვენთვის კვლავ აუცილებელი იქნება დაუბრუნდეთ საბერძნეთის პოლისების IV ს-ში სამეურნეო და სოციალ— პოლიტიკური მდგომარეობის ზოგად მიმოხილვას და ამიტომ ამ შემთხვევაში ამ ეპოქის კლასობრივი ბრძოლის და მასთან დაკავშირებული მომენტების შესახებ ნათქვამით უნდა დავკმაყოფილდეთ.

შენიშვნები და დამატებები.

თავი პირველი.

1. მის შესახებ იხ. ედ. მ ა ი ე რ ი ს მშვენიერი ნარკვევი—Gotesstaat, Militärherschaft und Ständewesen in Ägypten (Sitzungsber. d. Preuss. Akad. d. Wissensch. 1928, XXVIII, S. 495—532). იგი უდევ ს-ფუძვლად ამ ნაწილს. ამავე საკითხზე ცალკე მოხსენება გავაკეთე, საიუტორიო საეთნოლოგიო საზოგადოებ ს სხდომაზე 1930 წლის მარტის 14-ს.

2. Ed. Meyer, Geschichte des Altertums II² 1, S. 290.

3. Брэстед, История Египта II стр. 174 сл.

4. Тураев, Древний Египет, стр. 95.

5. Ul. Wilcken, Alexanders Zug in die Oase Siwa (Sit. ber. d. Preuss. Ak. d. W. 1928, XXX, 1).

6. Anton Jirku, Der Kampf um Syrien—Palästina im orientalischen Altertum—Leipzig. 1926.

7 R. Hennig, Die Anfänge des kulturellen und Handelsverkehrs in der Mittelmeerwelt (Histor Zeitschr. B. 139, 1, S. 9).

8 Ed. Meyer, Sitz. ber. Berl. Akad. 1929, S. 204 f. f.

9. პირველი ათასეული წლების დასაწყისში ფინიკიელების დასავლეთით საერთო განსახლების უფრო სწორი სუოათი პირველად ბ ე ლ ო ხ ბ ა მოგვცა თავის Griechische Geschichte ში, I² 2, S. 65 f. f 245 f. f.

10. Ul. Wilcken, Griechische Geschichte², S. 56.

11. ამას ამტკიცებენ W v. Humboldt, K. Müllenhoff, Moverson. Lewy-ს აზრით კიოგ ნიშნავს სეპიტურად წრეს; კუნძული ოგიგია (Ogygia) დაუკავშირეს ამ სიტყვას, ხოლო Wilamowitz—Möllendorff-მა ერთმეორეს გაუთანასწორა νῆσος ὠγυγίη და νῆσος ὠκεανίη და ამის მიხედვით ოგიგია განძარტა, როგორც მსოფლიოს ზღვაში, რომელიც დასახლებულ დედამიწას გარსარტყავს. მდებარე კუნძული (Hennig o. c. S. 12).

12. იტალიასთან ფინიკიელების ვაჭრობის შესახებ იხ. U. Kahrstedt-ის წერილი Klio-ში, B. XII, S. 461 f. f.

13. Wilcken, o. c. S. 57.

14. ამ წიგნის პირველ ნაწილში (გვ. 108) უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ სინაის ნახევარკუნძულზე აღმოჩენილმა დამწერლობამ საეჭვოდ გახადა ფინიკიელების პიონერობა ანბანის გამოგონებაში. წარსულ წელს გამოვეცხებულ სპეციალურ წერილში ე დ. მ ა ი ე რ ი (იხ. ზევით შენ. 8) ამტკიცებს, რომ ფინიკიური ანბანი სინაის შრიფტიდან არ უნდა იყოს განვითარებული, თუმცა ეგვიპტურ გავლენას არ უარყოფს.

15. Wilcken, Gr. Gesch S. 58.

16. ალ. სვანიძე, აღმოსავლეთის ისტორია, სპარსეთი. გვ. 6.

17. ალ. სვანიძე, გვ. 8—9.

18. და არა თავი მოიკლა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს: იხ. W. Schulzel წერილი—Sitzungsber. d. Preus. Akad. 1912, S. 685 f. f.

19 В. П. Бузескул, Открытия..... I Востоk. стр. 189.

20. ალ. სვანიძე, გვ. 13.

21. Wilcken, S. 63—64.

22. Wilcken, ibid.

23. სპარსული ხელოვნების შესახებ—Friedrich Carre, Die Kunst des alten Persien, Berlin, 1922.

24. სპარსეთის უძველესი სატახტო ქალაქი იყო პასარაგადი, ხოლო სპარსეთის მეფეების უმთავრესი რეზიდენცია — სუზი.

25. 1928 წელს გამოიცა საყურადღებო კრებული — Sparta—von F. Bölte, Ehrenberg, L. Ziehen, G. Lippold (ცალკე ამონაბეჭდი Pauly-Wissowa-ს Real-Encyklopädie der classischen Altertumswissenschaft-დან, B. III A, Sp. 1265—1528), რომელშიც სპარტის გეოგრაფიულ პირობებს ეხება — Bölte, ისტორიულ განვითარებას — Ehrenberg, კულტს — Ziehen და სპარტას, როგორც ხელოვნების ქალაქს — Lippold-ი.

26. ზემო შენიშვნაში მოხსენებული Bölte გვაძლევს სპარტის ისტორიულ გეოგრაფიას, რომელიც ასე დ კავშირებით აღარ ყოფილა განხილული კურციუსის Peloponnessos-ის შემდეგ (1852). გეოგრაფიას თან მოსდევს სპარტის ტოპოგრაფიაც, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ინგლისელების გათხრებმა.

27. პლუტარქის მიერ გადმოცემული ლიკურგოსის ბიოგრაფიის შესახებ იხ., სხვათა შორის, E. Kessler, Plutarchs Leben des Lykurg. Berlin 191[illegible]; Ed. Meyer, Lykurg von Sparta (Forschungen zur alten Geschichte, I), და სხვ.

28. М. Хвостов. История Греции, стр. 150.

29. Хвостов, ibid.

30. Ul. Wilcken, S. 72.

31. თავის ნაშრომებში: Handbuch der griechischen Staatsalterthümer I² (Leipzig, 1893 და Studien zur altspartanischen Geschichte (Götting. 1872). ვილამოვიც-მოელენდორფიც რეტრას ხელშეკრულებად თვლის, მაგრამ არა ორ თემს შორის, არამედ სპარტას თემსა, უმთავრესად არისტოკრატიას, და მეფეებს შორის. განსვენებული პროფ. ხოსტოვიც, რომელსაც აღნიშნული აქვს ეს ცნობები, გარკვეულად ამბობს: „სპარტის სახელმწიფოებრივი წყობილება შეიძლება თემთა შეერთებას ნიადაგზე წარმოშობილად ჩავთვალოთ, ხოლო რეტრა მათ შორის ხელშეკრულებად“ (История Греции, стр. 153).

32. იხ. მისი Forschungen zur alten Geschichte I, S. 213 f. f.

33. უკვე დასახელებული Ehrenberg-ი ამ ფაქტს უკავშირებს ურთიერთობას სპარტიატებსა, პერიეკებსა და ჰელოტებს შორის და სპარტის წყობილებისა და ყოფაცხოვრების თავისებურებას.

34. Лурье, История античной общественной мысли, стр. 29 - 30.

35. ამას მსგავს მოვლენას ვხედავთ ძველ კრეტაში, ხოლო საბერძნეთის სხვა ადგილებში ვამჩნევთ ძის უფრო მცირე რუდიმენტებს; ასე, მაგ., საბერძნეთში გავრცელებული „კურეტების“ სარწმუნოებრივი საზოგადოებანი, როგორც ამაზე გარისონმა მიგვიანია, ამავე კ-ებიდან უნდა იყოს წარმომდგარი, თუმცა მათ რიმეკოლიტიური ხელისუფლების ნიშანწყალი სრულებით არ ჰქონდა შენარჩუნებული. ცნობილი ეთნოლოგი შურცი ფიქრობს, რომ ბერძნული პოლისების „საიტეიბის“ ისე, როგორც თანამედროვე პარლამენტების, ერთ-ერთი წყარო იგივე მამაკაცთა კავშირებია. ბევრ ბერძნულ საზელმწიფოში არსებობდა ეგრეთწოდებული პრიტანეიონები, ე. ი. განსაკუთრებული სადგომები, სადაც ერთად საღილობდენ უმაღლესი საბჭოს წევრები და აგრეთვე მოსული წარჩინებული უცხოელები. შურცი და ვილამოვიც-მოელენდორფი პრიტანეიონებში „მამაკაცთა კავშირების“ რუდიმენტებს ხედავენ.

თანამედროვე მელანეზიელების საზოგადოების ხელისუფლების ორგანიზაცია წარმოდგენილია ორი ძირითადი ფორმით: მაკაკაცთა კავშირებისა და წინამძღოლთა ინსტიტუტის სახით (იხ. С. А. Токарев, Общественный строй меланезийцев. Этнография, кн. VIII, 1929, № 2, стр. 15 сл.). აქ უმთავრესად ცნობილია ორი ტიპის კავშირები: სუკვე (Suque, Suqe) და ტამატე (Tamate). სუკვეს სისტემა შედგება რანგებისაგან და თითოეულ რანგს თავისი განსაკუთრებული განყოფილება აქვს მამაკაცების სახლში (გამალში); დაბალი რანგების წევრეს წინათ სიკვდილად ჯერ შიშით ჰქონდა აკრძალული რომელიმე განყოფილებაში შესვლა. სუკვეს წევრებად ითვლებიან მხოლოდ მამაკაცები. კურთხევა სუკვეს წევრებისა დაკავშირებულია განსაკუთრებულ ცერემონიებთან და შესასვლელი გადასახადის შეტანასთან. იგი შესაძლებელია ყოველ ხნოვანობაში, მაგრამ დამოკიდებულია კანდიდატის ნივთიერ შესაძლებლობაზე. თითქმის ყველა მამაკაცი სუკვეს წევრია, და მხოლოდ კავშირისადმი კეთილება ჰქმნის თითოეულ მათგანს სრულუფლებიან მამაკაცად: არაწევრები ვალდებული არიან

სპამონ დედაკაცებთან ერთად და ფაქტიურად საზოგადოებაში პარიების ადგილი უკავიათ. უმაღლეს რანგებს მათი მხოლოდ მცირე რიცხვი აღწევს, რომელიც სამაგიეროდ განსაკუთრებით ჯატივს სარგებლობენ. ტამატეს სისტემაც რამდენიმე საზოგადოებისაგან შედგება. მაგრამ ისინი რანგების გარკვეული იერარქიული წესრიგით არ არიან დანაწილებული, თუმცა მათ შორისაც მოიპოვება მაღალი და დაბალი წევრები. ისინი უფრო მრავალრიცხოვანი არიან, ვიდრე სუკეეს რანგები. შედარებით ადვილია აგრეთვე ყველა მსურველისათვის დაარსოს ტამატეს ახალი საზოგადოება. ტამატეს საზოგადოებანი დიდი საიდუმლოებით არიან მოცული, მათი კრებები იმართება განსაკუთრებულ საღეთო ადგილებში, ტყეებში, მათი წევრები თავზე განსაკუთრებულ ნიღაბებს ატარებენ, რომლებიც სულებს განასახიერებს, და თვითონაც მიცვალებულთა სულებად ითვლებიან (ტამატე=მიცვალებული, მოჩვენება). ტამატეს განსაკუთრებულ ფუნქციას საკუთრების დაცვა წარმოადგენს. თითოეული საზოგადოებას ეკუთვნის მონოპოლიური მოხმარება ზოგიერთი ნიშნისა და ეს ნიშნები ქონების დაცვას ემსახურება ამ საზოგადოების ყველა არაწევრისაგან.

ამგვარად, სუკეეს და ტამატეს ფრიად თვალსაჩინო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს: ერთის მხრივ როგორც სოციალური გავლენის იარაღს, მეორის მხრივ კი როგორც საკუთრების დაცვის აპარატს; პირველი სპარბობს სუკეეში, მეორე ტამატეში. ჩრდილოეთ მელანეზიაში გავრცელებულია შედარებით უფრო მარტივი სისტემის საზოგადოებანი— „დუკ-დუკ“ და „ინგიეტ“. პირველში მხოლოდ ორი რანგია: საკუთრივ დუკ-დუკი და „ტუბუანი“, ე. ი. კავშირის თავის თუ თავმჯდომარის მსგავსი რამ; უფრო მარტივია იგი თვისი შინაარსითაც, რადგან მისი საბოლოო მიზანი—დუკ-დუკის წევრების გამდიდრება—ხდება პრიმიტიული მეთოდით, არაწევრების, განსაკუთრებით ქალების ქონების პირდაპირი ექსპროპრიაციისა და კონფისკაციის გზით. დუკ-დუკის რიტუალური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ პერიოდულად წარმოებს მისი „დაბადება“ და „სიკვდილი“. გარკვეულ დროს ტუბუანისაგან (ტუბუანი მდედრობითი სქესის სულად ითვლება და არასოდეს არ კვდება) „იბადება“ დუკ-დუკი. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი წევრები იკრიბებიან განსაკუთრებულ საღეთო ადგილას, აბზადებენ ნიღაბებს და იფანტებიან მახლობელ მიდამოებში, აშინებენ ყველა არაწევრს, უმთავრესად ქალებს და ართმევენ ფულებს. ეს ამბავი გრძელდება რამდენსამე თვეს. შემდეგ კვლავ ერთად იკრიბებიან და ახალი ცერემონიებით სპობენ ნიღაბებს: „დუკ-დუკი კვდება“. ამ პერიოდში ხდება ახალი წევრების კურთხევა. წევრობისათვის საჭიროა დაწესებული შესავალი გა ასაბადის შეტანა. კავშირის მეთაურისა—ტუბუანის ღირსება კი მოლოდ ყველაზე უფრო მდიდარი და გავლენიანი პირებისათვის არის მისაწვდომი. სამაგიეროდ ტუბუანის ადგილი იძლევა უდიდეს ძალა-უფლებას კავშირში და აგრეთვე მთელ მოსახლეობაზე. ტამატეს მსგავსად ეს კავშირი განსაკუთრებული ნიშნებით იცავს თვისი წევრების ქონებას.

დაახლოვებით ასეთივე მნიშვნელობა აქვს კავშირს ინგიეტს, რომელშიც უფრო ძლიერია მაგიური ელემენტი და წევრები დიდად იწაფებიან ჯადოქრობის სხვადასხვა სახეში.

საერთოდ, ეს, ჩრდილოეთ მელანეზიაში, მამაკაცთა კავშირები გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის ორგანიზაციას წარმოადგენს და ემსახურება, როგორც მის უშუალო გამდიდრებას, ისე ამ ფენის სოციალური წონის დაცვასა და გადიდებას.

მამაკაცთა კავშირების შესახებ საერთოდ—H. Schurtz, Alterklassen und Männerbünde, Berl. 1902.

36. ალ. წერეთელი, სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში.

37. Wilcken, S. 74.

38. R. Pöhlmann, Griechische Geschichte[8], S. 38.

39. ალ. წ ერ ე თ ე ლ ი, ძველი საბერძნეთის ისტორია, I, გვ. 105.

40. Л у р ь е, ук. соч. стр. 174—175.

41. Wilcken, S. 74.

42. Wilcken о ტირტეოს სადაურობის შესახებ გადაჭრით ამბობს: „War also sicher ein Spartaner und nicht ein Athener oder ein sonstinger Ausländer, wie andere glaubten“. (S. 76).

43. Wilcken, S. 77.

44. ეს ფრაგმენტი გამოაქვეყნა და მისი ისტორიული მნიშვნელობა დააწესა Wilamowitz-Möllendorff-ს (Sitzungsber. Preuss. Akad. d. Wissensch. 1918, XXXVI).

45. Wilcken, S. 79.

46. Wilcken, o. c. S. 80.

47. М. Хвостов. История Греции, стр. 116.

48. Ibid. стр. 122.

49 Ἡ ἐν τῷ Ἀρείῳ πάγῳ βουλή.

50. იხ. В. П. Бузескул, История афинской демократии, стр 30—31.

51. ალ. ფერეთელი, ძველი საბერძნეთის ისტორია, I, გვ. 75 შმდ.

52. Проф. Макс Вебер, Аграрная история древнего мира, стр. 146.

53. Лурье, ук. соч. стр. 54.

54. Wilcken, o. c. S. 65.

55. ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობა საერთოდ გადმოცემულია ვილკენით, გვ 66—68.

56. Strabo, Geographica, XII, 2.

57. რუსეთის სამხრეთი ხაწილის ბერძნული ახალშენების შესახებ იხ. Э. Ф. Штерн Значение керамических находок на юге России... (ЗапискиОдесск. Общ. Истории и Древн. XXII, 1900); იგივე, Die griechische Kolonisation am Nordgestade des Schwarzen Meeres... (Klio, IX, 1909), Ebert, Südrussland im Altertum, 1921, და სხვ.

58. ნავკრატისის შესახებ—Hugo Prinz, Funde aus Naukratis Klio, Beiheft 7, 1908).

59. ჰელენები ბარბაროსებისადმი დამოკიდებულების შესახებ იხ Wilcken, Hellenen und Barbaren, 1906; სიტყვა „ბარბაროსის" ტერმინოლოგიისათვის U. Eichorn, Βάρβαρος quid significaverit, 1904 და Jüthner, Hellenen und Barbaren, 1923 (Das Erbe der Alten VIII).

60. Griechische Geschichte I² 1, S, 212.

61. В. П. Бузескул, Международный третейский суд в древнегреческом мире (Вестник Европы, 1917, кн. 4—6, стр. 134).

62. პროქსენის უძველესი მოხსენება ავსებდება VI ს-ის ერთ წარწერაში; ეს არის მენეკრატეს საფლავის ქვის წარწერა, რომელიც თავის ქალაქში — ლოკროში კერკირის პროქსენი ყოფილა (Beloch, Griechische Geschichte I² I, S. 282, Anm. 1).

63. Wilcken, o. c. S. 69.

64. Лурье, ук. соч. стр. 56.

65. ალ. ფერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 121.

66 Griechische Geschichte I² 1, S. 312, Anm. 1.

67. Лурье, ук. соч. стр. 66—67.

68. „Sie sind Vorboten der revolutionären Bewegung" (იხ. მისი Griechische Staatskunde, München 1920, S. 37.

69. იხ. Лурье, გვ. 37—41.

70. ბელოხი ქიოსს „მოათა პირველ სახელმწიფოს ეძახის და თან დასძენს: „das Wort Sklavenstaat hier in dem Sinne gebraucht ist, wie in der Amerikanischen Union vor dem Bürgerkriege" (I² I, S. 270, Anm. 2).

71. Die Sklaverei im Altertum, (Klein. Schrift.), S. 201—202, 196.

72. მონობისა და ყმობის პრინციპში განსხვავების შესახებ იხ. Нибур, Рабство, как система хозяйства. М. 1902.

73. Лурье, История антич. общ. мысли, стр. 24—25.

74. Beloch, I² 1, S. 351.

75. B. Büchsenschütz, Besitz und Erwerb im griech. Altertum, Halle, 1869 S. 35; აგრეთვე Busolt, Griech. Staatskunde, § 36, Klassen und Parteigegensätze, S. 210—220.

76 იხ. Bohn Der Affe des Archilochos und die Brautwerbung des Hippokleides, Philologus 1929; Журн. мин. народ. просв. дек. 1917, стр. 323—332.

77 Лурье, История ант. общ. мысли, стр. 72—74.

78. ალკეოს ახალი ნაწყვეტები გამოსცა E. Diehlმა Anthologia Lyrica Graecaში, I, Leipzig, 1924, S. 390—446.

79. Лурье, ук. соч. стр. 79.

80. „ოა გავუგო ამ ქარების სიცოფეს?
ისევ მოდუღს, მოქანაობს ზღვის ტალღა,
და ვტრიალებ ტლუ ხომალდით ზღვაზე,
დავცურავთ ზვირთებში უგზო-კვალოდ.
ქარიშხალი გამძაფრებით გვაწამებს;
დიდი ანძა ძირით წყალში ჩასულა;
აფრას გასდის; დაიფრიწა სრულად
და იქცა საცოდავ ნაფლეთებად“ (გრ. წერეთელი, ბერძნ. ლიტერ. ისტორია, გვ. 278).

81. Лурье, ibid. стр. 82.

82. Ed. Meyer, Geschichte des Altertums II, S. 621.

83. В. П. Бузескул, Аѳинская полития Аристотеля... Харьков, 1895, стр. 311.

84. ამის შესახებ დაწვრილებით—ალ. წერეთელი, სოლონის სისახთია, გვ. 47—54.

85. Wilamowitz-Möllendorff, Aristoteles und Athen, Berlin, 1893, B. II, S. 56.

86. Ed. Meyer, Forschungen z. alt. Geschichte, I, S. 237—238, Gesch. d. Al. II, S. 364.

87. Beloch, Griechische Geschichte I, 2, S. 258—268.

88. Аѳинская полития Аристотеля... стр. 322.

89. Zur Drakontischen Verfassung („Apophoreton“, 1903, S. 85 f. f).

90. სოლონის ელეგიების შესახებ—Wilamowitz-Möllendorff, Aristoteles und Athen, II, S. 304—315; Peppmüller, Solons Gedichte (Jahresber. d. Gym. zu Stralsund, 1904); Bergk, Poëtae lirici Graeci, II და სხ.

91. დაწვრილებით—ალ. წერეთელი, სოლონის სისახთია, გვ. 18—22.

92. Ul. Wilcken, 82; „Jedenfalls begegnen später in Attika keine Sechstelmänner mehr, und die Späteren verstehen daher nicht mehr diese Einrichtung“.

93. Пёльманн, История античн. коммун. и социализма, II стр. 360, 357.

94. Ibid. 361.

95. Griech. Staatskunde, S. 222.

96. დაწვრილებით—„სოლონის სისახთია“—გვ. 144 შმდ.

97. Wilamowitz-ი გვირჩევს ერთიმეორისაგან განვასხვავოთ ἡ σεισάχθεια და τὰ σεισάχθεια; პირველი გამოხატავდა, მისი სიტყვით, თვით რეფორმას, ხოლო მეორე ამ შემთხვევის მოსაგონარ დღესასწაულს, და ამიტომაც დაცულ იქნა ეს ტერმინიო (o. c. S. 62; Anm. 37).

98. დაწვრილებით—„სოლონის სისახთია“, გვ. 124 შმდ.

99. Ciccotti, Griechische Geschichte, S. 80.

100. Swoboda ფიქრობს, რომ სოლონმა დააწესა მიწის ნორმის მაქსიმუმი და ზედმეტი ნაწილი დაარიგა (Beiträge zur griech. Rechtsgeschichte, Abt. II, S. 276), მაგრამ ასეთი დასკვნისათვის საკუთარი არ მოგვიპოვება

101. Hermes LXIII, 2, 1928, S. 236 f. f. აქვე მან საუცხოოდ შეასწორა პლუტარქის შემდეგი გაუგებარი ადგილი (Sol. XXIII): εἰς μὲν τὰ τιμιμάτα τῶν θυσιῶν. მან სიტყვა „θυσιῶν“ (θυσία =მსხვერპლშეწირვა) შეცვალა „οὐσιῶν“-ით (οὐσία=ქონება) და ტექსტიც უფრო გასაგები გახდა.

102. Лурье, ук. соч. стр. 95.

103. მსგავსი ქვის სვეტზე დაახ 600 წ. (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) დაწერილი კანონები აღმოჩენილი ი ნა ქიოსში (იხ. Wilamowitz, Nordionische Steine (Abh. d. Preuss. Akad. d. W. 1909).

104. ლურიე დარწმუნებულია, რომ პისისტრატე „ფილაიდების მამულიდან" (ek Phylaidon) იყო წარმოშობილი (გვ. 101).

105. М. Хвостов, История Греции, стр. 142.

106. Griechische Geschichte II², S. 328.

107. Хвостов, ук. соч. стр 144.

108 ჰეროდოტეს სიტყვით (I, 64) „ზოგი მათგანი ბრძოლებში დაიღუპა, სხვები კი საზღვარგარეთ აიქენ".

109. Wilcken. o c. S. 84.

110. Хвостов, стр 145.

111. В. П. Бузескул, История аѳинской демократии, стр. 85.

112. Ibid стр. 84.

113. Лурье, ук. соч. стр. 154.

114. უმთავრესად ვილკენი, გვ. 86—96.

115. Пёльманн, История античн. коммун. стр. 355.

116. Beloch, Griechische Geschichte I² 1, s. 313—314.

117. ვილკენი არკვევით აღნიშნავს ამას (ვ. 76), იხ ზემოთ, შენ. 42.

118. Теодор Гомперц, Греческие мыслители, т. I, стр. 118—119.

თავი მეოთხე

1. В. П. Бузескул, Введение в историю Греции, стр. 60 сл.

2. Ibid.

3. ძველია სავსებით განსაზღვრულ იქნას ჰეროდოტეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რადგან ამ მხრით მის მსჯელობას არ ახასიათებს სრული გარკვეულობა, მაკრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი არ უთანაგრძნობდა ტირანიას და მომარე იყო უფრო დემოკრატიული წყობილებისა. რაც შეეხება საბერძნეთის მთავარ სახელმწიფოებს, ჰეროდოტე დიდი სიმპათიით ეხება ათენელებს, ღირსეულად იხსენიებს სპარტელებს და ჭიცხავს თებელებს, რომლებიც საბერძნეთ-წერა ომის დროს აპარსე ებს ემხრობოდნენ. ტექსტში ჰეროდოტეს თან ერთად მოხსენიებული დიონისე მილეტელი ლოგოგრაფოსების უფროს თაობას ეკუთვნოდა და დაწერილი ჰქონდა „სპარსეთის ისტორია" (περσικά), რომელშიც ბერძენ-სპარსელთა ომებს ე. ი. ჰეროდოტეს თემას ეხებოდა. ჰეროდოტეს შესახებ უფრო დაწერილებით — Бузескул, ук. соч. стр. 63 сл., Pöhlmann, Griechische Geschichte³, S. 111 f., Ѳ. Мищенко, Геродот, т. I. Предисловие, და სხვ.

3a. Klio XIII (1913) S. 175—183.

4. Ed. Meyer, Forschungen zur alten Geschichte I, S. 198.

5. Pöhlmann, S. 122.

6. Stefan Heinlein, Marathon und die Alkmeoniden (Ungarische Rundschau I, 1912, S. 880 f.).

7. Лурье, История антич. общест. мысли, стр. 147 сл.

8 Griechische Geschichte II² 2, S 1 0, ადრეთვე A. Rosenberg, Die Parteistellung des Themistokles (Hermes LII, 1918, S. 308 f. f.).

8a. Beloch, II² 1, S. 28.

9 В П. Бузескул, История аѳинской демократии, стр. 106.

10. Pöhlmann, S. 122.

11. Лурье, стр. 152.

12 ციტირებულია ხვოსტოვით, История Греции, стр. 173.

13. Delbrück ფიქრობს, რომ სპარსელების ჯარის რიცხვი უდრიდა 45—50 ათასს (იხ. მისი Perserkriege und Burgunderkriege S. 1 7 f. f.).

14. Хвостов, ук. соч. стр. 175.

15. Wilcken, Griech. Geschichte², S. 110.

16. იხ. მაგ. ხვოსტოვი, გვ. 175; სათანადო ლიტერატურა ნაჩვენები აქვს Busolt-ს თავის ნაშრომში—Griechische Geschichte III, 1, S. 349, Anm. 1. თვითონ ბუზოლტი ამ ზავს ნამდვილ ფაქტად აღიარებს.

17. Wilcken, o. c. S. 105.

18. ეტრუსკების შესახებ—ალ. ფერეთელი, ეტრუსკების საკითხისათვის; თავის ნარკვევში—Die Etrusker in Spanien (Klio, XXIII 3, S. 365—432) A. Schulten იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეტრუსკები 1100 წლ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე ხმელთაშუა ზღვის ყველა ნაპირზე იყვნენ დამკვიდრებული და პირველებმა დაამყარეს ამ ზღვაზე ბატონობის ერთგვარი სახე.

თავი მესამე

1. საერთოდ ბერსანიასმა დიდი დესპოტიზმი გამოიჩინა და სპარტელების მიერ ბრალდებულ იქნა სპარსეთთან ურთიერთობაში. იხ. Reuther, Pausanias, Münster, 1902.

2. Wilcken, Griechische Geschichte, S. 112.

3. Хвостов, История Греции, стр. 180.

4. იქვე, გვ. 183.

5. Бузескул, История аѳин. дем. стр. 120.

6. Лурье, История антич. обществ. мысли, стр. 162.

7. Бузескул, ук. соч. стр. 134—136.

8. იქვე, გვ. 130—131.

9. იქვე, გვ. 139—140.

10. Wilcken, o. c. S. 109—110.

11. Pöhlmann-ი მის შესახებ ამბობს: übrigens war Perikles selbst seinem innersten Wesen nach viel zu sehr Aristokrat... (Griechische Geschichte⁵, S. 155), Wilcken-ი კი მას ასე ახასიათებს: in seinem äusseren Auftreten durch Erziehung und Tradition seines Hauses ein Aristokrat vom Scheitel bis zur Sohle war (Griechische Geschichte, S. 109).

12. καὶ οὐκ ἤγετο μᾶλλον ὑπ' αὐτοῦ ἢ αὐτὸς ἦγε.

13. Ег. Мейер, Экономическое развитие древнего мира², стр. 54, прим. 2.

14. Wilcken, Griech. Gesch. S. 112.

15. იქვე, გვ. 114.

16. И. М. Кулишер, Очерк экономической истории древней Греции, стр. 191.

17. Ibid.

18. Francotte, L'industrie dans la Grèce ancienne, I, 122.

19. Кулишер, ук. соч. стр. 107.

20. იქვე, გვ. 134.

21. Wilcken, o. c. S. 114.

22. Хвостов, ук. соч. стр. 189.

23. Johannes Sundwall, Epigraphische Beiträge zur social-politischen Geschichte Athens im Zeitalter des Demosthenes. Lpz. 1906.

24. Francotte, L'industrie dans la Grèce ancienne, I, 340.

25. Sundwall, o. c. S. 3—18.

26. Хвостов, стр. 190.

27. В Л. Шеффер, Аѳинское гражданство и народное собрание, Москва, 1891, стр. 164—166; Francotte, o. c. 253—5.

28. Бузескул, ук. соч стр. 196.

29. იქვე, გვ. 197.

30. ἡ μὲν οὖν τροφὴ τῷ δήμῳ διὰ τούτων ἐγίνετο.

31. ამ ტრაქტატის შესახებ იხ. Бузескул, Введение... стр. 126—129: Кагаров, Спорные вопросы, связанные с Псевдо-ксенофонтовой „Аѳ. Политией"; А. Захаров, Аѳинская полития Псевдо-Ксенофонта; Die pseudoxenophontische Ἀθηναίων πολιτεία. Einleitung, Übersetzung, Erklärung von Ernst Kalinka, Teubner 1913, და სხვ.

32. Лурье, стр. 14.

თავი მეოთხე

1. В. П. Бузескул, Введение в историю Греции, стр. 85 сл.

2. Бузескул, ibid.

3. С. А. Жебелев, Когда и кем издана история Ѳукидида (сборн. Харьковск. истор-филолог. общества XX, 1914).

4. κτῆμά τε ἐς ἀεί.... (I, 22).

5. Бузескул, ук. соч. стр. 89.

6. Хвостов, История Греции, стр. 199.

7. Бузескул, стр. 90.

8. Müller-Strübing, Aristophanes und die histor. Kritik. Leipzig, 1873; Thukydideische Forschungen. Wien 1881 და ცალკე წერილები Neue Jahrb. f. Phil.-ში (1883, 1885, 1886). მიულერ-შტრიუბინგი უსაფუძვლოდ აყენებს თუკიდიდეს წინააღმდეგ თავის მთავარ ბრალდებას, რომ მისი ისტორია უფრო „სამხედრო-დიდაქტიკური ეპოპეა", „სამხედრო ნოველაა", ვიდრე ისტორიული ნაშრომი.

9. Julius Schwarz, Die Demokratie I², Leipzig, 1901. იგიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომი სხვა არა არის რა, თუ არა ათენელებისა და პელოპონესელების ლაშქრობათა ისტორია, და რომ თუკიდიდეა „ein beschränktes Geisteskind", რომელსაც სამუდამოდ უნდა წაერთვას დიდი ისტორიკოსის სახელი. მაგრამ ასეთმა გადაჭარბებულმა მსჯელობამ თუკიდიდეზე უკვე მიიღო განმანადგურებელი პასუხი და აშვიათად თუ მოიპოვება ისეთი მკვლევარი, რომელიც მას იზიარებდეს.

10. Бузескул, ук. соч. стр. 102—109; Pöhlmann, S. 157 f. და სხვ. უახლესი ნაშრომები თუკიდიდეზე—W. Schadewaldt, Die Geschichtsschreibung des Thukydides, Berlin, 1929; Eugen Täubler, Die Archäologie des Thukydides, Lpz. 1927 და სხვ.

11. Бузескул, стр. 113—114.

12. Ed. Meyer, Geschichte des Altertums, III, S. 279, Лурье, стр. 256—257.

13. Лурье, ibid.

14. Бузескул, 121—122.

15. მისი სათაური—Ἱστορία κοινῶν πράξεων.

16. Бузескул, 134.

17. იქვე, გვ. 130—131.

18. უფრო სრული დახასიათება და ლიტერატურა—Бузескул, 213—224. უახლესი ნაშრომი—Woldemar Uxkull-Gyllenband, Plutarch und die griechische Biographie, Stuttgart, 1927.

19. იხ. Gabe, Die geistigen und socialen Bestrebungen Athens im V vorchristl. Jahrhund. im Spiegel d. Aristophan. Komödie, 1913. ავრეთვე Лурье, Вопросы войны и мира 2300 лет тому назад, Летопись 1916, июнь.

20. Лурье, История ант. общ. мысли, стр. 367.

21. Beloch, Griech. Geschichte II² 1, S. 296.

22. Кулишер, Очерк... стр. 193;

23. 1924 წელს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში წავიკითხე ამ საკითხზე მოხსენება, რომლის დაბეჭდვა, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. მის შესაჩენ საყურადღებო წერილი აქვს გამოქვეყნებული ბუზესკულს—Прения о смертной казни назад тому 2300 с лишком лет (Исторические этюды),

24. Bruns, Das literarische Porträt der Griechen, Berlin, 1896, S. 509 f.

25. Pöhlmann, Griechische Geschichte[5], S. 188.
26. История Аѳинской демократии, стр. 308.
27. Бузескул, ук. соч. стр. 315.
28. რუსული თარგმანი სტანკევიჩისა.
29. Бузескул, ук. соч. стр. 188—289, 256.
30. Бузескул, стр 284 389.
31. U. Wilcken, Gr. Gesch. S. 128.
32. ამ ფერსიების განილვა - Бузескул, ук. соч. стр. 333 - 340.
33. Лурье, История антич. общест. мысли, стр 254 - 256.
34. ამ ამბის გადმოცემის დროს ვილკენი თავს იჭერს იყავებს და ამ ფაქტს განვლილ საერთაშორისო ომმა ამერიკის ჩარევას უთანაბაყრებს: „wie das Eintreten Amerikas mit seinen unerschöpflichen Hilfsmitteln in unserem Weltkriege“ .. (S. 131).
35. არსებითად ქსენოფონტეს მაჯელობას იზიარებს ვილკენიც, როდესაც აღნიშნავს, რომ მხოლოდ სპარტელების წყალობით იქნა შენარჩუნებული „პერიკლეს ათენი“ (გვ. 134). ცხადია, სპარტას უარესად აინტერესებდა ათენის დაპრალება და დაცარიელება, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი სრული განადგურება მის გეგმაში არ შედიოდა. რასაკვირველია, სპარტის ოლიგარქიას ეს ათენისადმი სიყვარულით არ მოსდიოდა.
36. Wilcken, S. 134—135.
37. М. Рейснер, История политических учений, Москва 1929, стр 45.
38. Гомперц. Греческие мыслители, I, стр. 60.
39. ია. დებორინის Книга для чтения по истории философии, I, стр. 20—51.
40. Рейснер, стр. 44.
41. იქვე, გვ. 46.
42. Wilcken, S. 135.
43. Рейснер, стр. 46—47, Деборин, 21—51.
44. Wilcken. S. 136.
45. С. А. Жебелев, Сократ, Берлин, 1923, Госиздат, стр. 36—39.
46. Рейснер, стр. 48.
47. სოფისტებზე უფრო დაწვრილებით — Гомперц, стр. 352—416, Рейснер, 47—54 და სხვ.
48. Wilcken, S. 137 138.
49. Жебелев, стр. 48—49.
50. იქვე, გვ. 9.
51. სოკრატეზე სხვადასხვა მკვლევარის მიერ გამოთქმულ ერთიმეორის საწინააღმდეგო შოსაზრებათა დასაბაისათვალად აღვიანიშნავ ორ მაგალითს. აკადემიკოს ჟებელეოვი (Сократ, стр. 187 сл.) სწერს: „სოკრატი—ეს დიდი ხანია ყველასგან აღიარებულია—კაცობრიობის ისტორიაში სავსებით განსაკუთრებული მოვლენაა. მს მიერ წამოყენებული პრინციპები, რომ სათნოება ცოდნაა, არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი ცოდნა, რომელსაც მოკმეფნა-თა სისწორესთან მივყავართ; რომ დებითი ცნებების დაწესება წინ უნდა უსრულდეს მცდარ წარმოდგენათა დაძლევა და საკუთარი უკოდინარობის აღიარება; რომ სათნოება და ბედნიერება იდენტიფიკაციაა, და რომ „სამართლიანი მამაკაცი და ბედნიერი მამაკაცი—ეთი და იგივეა“; და სა რულ, რომ ზეობრივი სრულყოფა უნდა გამომდინარეობდეს ინდივიდიდან და არა სახელმწიფოსა თუ საზოგადოებ ან მისწრაფებათა შეკავგად ...ვლინებოდეს—ყველა ეს პრინციპი, შესაძლებელია, სოკრატამდე მკრთალად იყო შეგნობილი ვ ნმეს მიერ, მაგრამ სოფლებით გარკვეული სახე პირველად მათ მხოლოდ მის ხელმი მ ...ა-ა. ახლა მოვუმინოთ ...ეი ...ერს (გვ. 54—55): „იგი იყო არა მარტო ტრადიციის მიმდევარი და მკაცრი მტერი ათენის დემოკრატიისა, არამედ მას ...ეუფლია პატრიარქალური კონსერვატორული პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძვლის ჩაყრაა, როგორც იგი შემდეგში დამუშავებულ იქნა მისი მოწაფეების მიერ, ხოლო შემდეგ გადავიდა კლასიკა შეხედულების და ოლიგარქიული ბატონებისა და მათი ერთგული ადამიანთა ჯგუფის მმართველობაში. ურთიერთო-

ბის ყველა მოვზრეთა წრეში...“ აქვე სავერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ე ე ბ ე ლ ი ო ვ ს სოკრატი უფრო გ ნყენებულად აქვს დახასიათებული, რ ე ი ს ნ ე რ ს კი ის დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით.

52. Ж е б е л е в, стр. 7.
53 Р е й с н е р, стр. 54.
54. W i l c k e n, S. 138.
55. Ibid.
56. პროფ. გრ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 36ς.
57. W i l c k e n, S. 139.
58. Л у р ь е, стр. 165.
59. იქვე, გვ. 166—167.
60. იქვე, გვ. 246—252.
61. W i l c k e n, S. 140.
62. იქვე, გვ. 141—144.

თავი მეხუთე

1. М. В е б е р, Аграрная история, стр. 185 сл.
2. Т ю м е н е в, Очерки экономической и социальной истории древней Греции, стр. 131—133.
3. B o e c k h, Die Staatshaushaltung der Athener I, S. 178.
4. Х в о с т о в, История Греции, стр. 221.
5. Т ю м е н е в, ук. соч., стр. 133.
6. Б у з е с к у л, История аѳинской демократии, стр. 179—180.
7. Т ю м е н е в, стр. 134—135.
8. იქვე, გვ. 86.
9. E d. M e y e r, Die wirtschaftliche Entwicklung des Altertums, ციტირებულია მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი ს თარგმანთ, გვ. 34—36, ზოგიერთი უმნიშვნელო შეკუმშვრებით.
10. Б у з е с к у л, ук. соч., стр. 178.
11. A n d o c i d e s, De mysteriis, რომელიც მას IV ს-ის დასაწყისში უნდა წარმოეთქვა,
12. B e l o c h. Die Handelsbewegung im Altertum (Jahrb. für Nationalockon u. Stat. III F. B. XVIII. 1899, S. 626—631.
13. К. Б ю х е р, Очерки экономической истории Греции, Ленинград, 1924, стр. 45 сл.
14. ედ. მ ა ი ე რ ს შესაძლებლად მიაჩნია, რომ თუ ყველა ეს 20 ათეული მონობა სახელოსნოში, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა მაინც (Forschung. zur alten Geschichte, II, S. 166).
15. Х в о с т о в. История Греции, стр. 222.
16. К у л и ш е р, Эволюция прибыли на капитал, I, стр. 540 сл.; Х в о с т о в ibid.
17. Очерки экономической истории древней Греции, стр. 103—104.
18. Die Sklaverei im Altertum (Kl. Schrift.) S. 201—202, 196.
19. В е б е р, Аграрная йстория, стр. 199.
20. C i c c o t t i, Der Untergang der Sklaverei im Altertum, Berl. 1910, S. 56 57.
21. იხ. Т ю м е н е в, ук. соч., стр. 102, пр. 4.
22. ფ რ ა ნ კ ო ტ ი ს გაანგარიშებით (L'industrie dans la Grèce ancienne, II, p. 19—21) მონური სახელოსნოები საშუალოდ იძლეოდა 15—24%, მისის შემოსავალი კი უდრიდა 8%, ხოლო გ ა ე ხ ებული კაპიტალის—12—16%.
23. Ed. M e y e r, o. c. S. 202—203.
24. Т ю м е н е в, ук. соч., стр. 116.
25. Х в о с т о в, ук. соч., стр. 223.
26. Ibid.

27. იხ. Кулишер, ук. соч., стр. 224—239.

28. იხ. Тюменев, стр. 130—131.

29. ამ მხრით უფრო საყურადღებოა ჰელენისტური ეპოქის მეურნეობა, რომელსაც ჩვენ ამ წიგნის მესამე ნაწილში შევეხებით მხოლოდ.

30 Хвостов, стр. 224.

31. Boeckh, Die Staatshaushaltung der Athener, I, S. 661 f. f.

32. Beloch, Das Volksvermögen von Athen და Das attische Timema (Hermes XX და XXII).

33. Rodbertus, Untersuchungen auf dem Gebiete der Nationalökonomie d. klass. Altert. (Jahrbüch. f. Nationalökon. und Statistik, 1864—1867); რუსული თარგმანი მოთავსებულია გამოცემაში—Временник Демидовскаго юридического лицея вып. I—IV (1880—1887). ასევე საერთო სათაურით—Исследования в области национальной экономии классической древности.

34. Bücher, Entstehung der Volkswirtschaft[5], Tübing. 1906, რუსული თარგმანი კულიშერისა—Возникновение народного хозяйства[4], 1923; Zur griech. Wirtschaftsgeschichte (Festgaben zur 70 Geburtstage A. Schäffles, Tübing. 1909), რუსული თარგმანი ფედოტოვისა—Очерки экономической истории Греции, 1924.

35. ვინის უნივერსიტეტის პროფესორი Alfons Dopsch-ი ცალკე ნარკვევში (Naturalwirtschaft und Geldwirtschaft in der Geschichte) იხილავს ნატურალური და ფულადი მეურნეობის წარმოშობას სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში, ძველი საუკუნეებიდან დაწყებული ჩვენ დრომდე, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ორივე სახის მეურნეობა ყველა დროში ერთიმეორის გვერდით გვევლინება და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მეურნეობის ქვედა საფეხურიდან ზედა საფეხურისაკენ მიმავალი ევოლუცია.

36. იხ. Кулишер, ук. соч., стр. 141 сл.

37. ერტელის წერილიდან, რომელიც დართული ჰქონია პოეტმანის — Geschichte der socialen Frage-ს მესამე გამოცემას (1923 წ.) და რომელსაც, სამწუხაროდ, მე გავეცანი მხოლოდ ლურიეს ნაშრომში (გვ. 20—22).

38. Лурье, История антич. общ. мысли, стр. 178.

39 Хвостов, История Греции, стр. 225 - 226.

40. Лурье, ук. соч., стр. 182—187.

თავი მეექვსე

1. Бузескул, История аѳин. дем., стр. 389.

2. Бузескул, ук. соч., стр. 393 сл.

3. Wilcken, Griechische Geschichte, S. 148.

4. Wilcken, S. 149.

5. С. И. Ковалев, Курс всеобщей истории, т. II, Ленинград 1925, стр. 367 сл.

6. Хвостов, История Греции, стр. 229—231.

7. Pöhlmann, Geschichte d. antiken Kommunismus und Socialismus II, S. 250 f., Бузескул, стр. 405—406.

8. Бузескул, стр. 408 сл.

9. Ed. Meyer, Geschichte des Altertums, V, S. 275—276. ციტირებულია კოვალიოვით, გვ. 377.

10. Pöhlmann, Griechische Geschichte, S. 244.

11. ibid.

12. Pöhlmann, S. 245.

13. Ковалев, стр. 380. Pöhlmann, S. 255—257.

14. დაწვრილებით ამ ფაქტების შესახებ—Pöhlmann, S. 257—260.

15. Хвостов, История Греции, стр. 234.

16. Хвостов, стр. 233.

შემჩნეულ კორექტურულ შეცდომათა გასწორება.

გვ.	და სტრ.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
7,	3 (ზემ.)	μάχιμοι	μάχιμοι
13,	4 (ქვევ.)	ᶜΕλληνομεμφῖται	ᶜΕλληνομεμφῖται
23,	4 (ქვევ.)	თთქოს	თითქოს
37,	11 (ქვევ.)	ἄξεινος	ἄξεινος
37,	10 (ქვევ.)	Εὔξεινος	Εὔξεινος
47,	7 (ქვევ.)	რომლისაც	რომელიც
54,	12 (ქვევ.)	ოსტატებით	ოსტატობით
57,	9 (ქვევ.)	მსოფლხვლელობით	მსოფლმხედველობით
77,	13 (ზემ.)	11. გარდამავალი...	12. გარდამავალი
92,	10 „—„	როგორ	როგორც
96,	6 „—„	მილეტის	მილეტი
100,	6 (ქვევ.)	100 კანდიტატისაგან	100 კანდიდატისაგან
101,	10 (ზემ.)	487 6	487/6
108,	24 „—„	არ ანდა	არ უნდა
109,	9 „—„	იამავე	ამავე
112,	18—19	ატიკა-დეოლოსის	ატიკა-დელოსის
112,	6 „—„	დაწესებულებნაი	დაწესებულებანი
114,	20 „—„	λαρ	γαρ
114,	9 (ქვევ.)	ὁ γματί	ὁ ὀγματι
123,	11 (ზემ.)	მოქალაქების	მოქალაქეების
123,	21 „—„	στρατεωτικόν	στρατιωτικόν
123,	14—14 (ქვევ.)	თერიკონი	თეორიკონი
124,	25 (ზემ.)	ᵃΕλληπωντοφύλακες	ᶜΕλληπωντοφύλακες
131,	13 „—„	დავიწყოთ	დავიგიწყოთ
136,	8 „—„	მაბაძვის	მიბაძვის
139,	17 „—„	ხხვადასხვა	სხვადასხვა
148,	2 „—„	კოალიაციაც	კოალიციაც
151,	6 „—„	კატონი	კატანა
151,	13 (ქვევ.)	ალკიაბიდეს	ალკიბიადეს
153,	2—3 (ზემ.)	სახოგადობრივ	სახოგადოებრივ
153,	4—5 „—„	აღირებული	აღიარებული
153,	8 „—„	გველინება	გვეველინება
154,	11 „—„	საგულისხმებელია	საგულისხმებელია
154,	21 „—„	სიკონფანტობა	სიკოფანტობა
157,	7 „—„	მიუხედავიდ	მიუხედავად
163,	14 „—„	მემოტანისა,	შემოტანისა
163,	15 „—„	შენდგომამ	განდგომამ
163,	10—11 (ქვევ.)	გაბებედულ	გაბედულ
165,	4—5 (ქვევ.)	სოფმხედველობას	სოფლმხედველობას
167,	8 (ზემ.)	აგრაკანტელმა	აკრაგანტელმა
167,	8 (ქვევ.)	მეცნირების	მეცნიერების
169,	17 (ქვევ.)	პრონრთეოსი	პრომეთეოსი
169,	25 „—„	დემოკრიტ აბედერელმა	დემოკრიტ აბდერ[illegible]ელმა
170,	13 (ზემ.)	სხვადასგვაგვარი	სხვადასხვაგვარი
178,	12 „—„	ერეხთეონი	ერეხთეონი
182,	18 „—„	ჰანგეის	პანგეის
207,	9 „—„	მასტირნეასთან	პარტინეასთან